დავით ნინიძე

ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია

(XIII–XVIII საუკუნეები)

გამომცემლობა «მერიდიანი»
თბილისი 2004

უაკ (UDC) 947.922
ნ 674

წარმოდგენილ ნაშრომში მონოგრაფიულადაა შესწავლილი XIII-XVIII საუკუნეების ბაგრატიონთა სამეფო სახლის საგვარეულო განშტოებათა ისტორია. იგი განხილულია ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებთან თუ გლობალურ პრობლემებთან მიმართებაში. ჩვენი ამოცანაა, დავაფიქსიროთ არა მარტო ბაგრატიონთა ზოგიერთი გვერდითი შტოს წარმოშობა, მათი გენეალოგია და სხვა მსგავსი საკითხი, არამედ ავხსნათ, თუ რამ განაპირობა ამ პროცესების განვითარების შესაძლებლობა, რაც ფეოდალური ხანის სხვადასხვა თეორიული პრობლემის გაანალიზებას ითხოვს. ასეთი კუთხით განხილულია: XIII ს. ე.წ. „ტეხილი“, „ორმეფობა“, „მრავალმეფიანობა“, „ორიანობა“, „პროვინციის მეფეთა“ არსებობა, ერთიანი მონარქიის დაშლა, მუხრანბატონთა, ბაგრატიონ-დავითიშვილთა, რამაზიშვილთა, გოჩაშვილთა, „ნათესავობით ბაგრატოვანთა“ და მათთან დაკავშირებული შუა საუკუნეების შესაბამისი საკითხები.

წიგნი განკუთვნილია როგორც სპეციალისტებისათვის, ასევე საქართველოს ისტორიითა და ბაგრატიონთა გვარის წარსულით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

რედაქტორი მ. ლორთქიფანიძე

რეცენზენტები: გ. ფუთურიძე
დ. გოგოლაძე
გ. აფრასიძე

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2004
© დ. ნინიძე, 2004

ISBN 99928-32-42-8

შესავალი

სამეფო საგვარეულოთა და, კერძოდ, ბაგრატიონთა სახლის ისტორიის კვლევა ყოველმხრივ აქტუალურია. საქართველოს მმართველი დინასტია – ბაგრატიონთა გვარი საუკუნეების განმავლობაში იდგა ქართული სახელმწიფოს სათავეში. საქართველო და ბაგრატიონები იმდენად განუყოფელ ცნებებად იქცნენ, რომ უმძიმეს ვითარებაშიც კი სამეფო დინასტიის შეცვლის საკითხი არ დამდგარა. ამ მჭიდრო ურთიერთკავშირის გამო, ქართული საზოგადოების შიგნით განვითარებული პროცესები რელიეფურად აისახა „დავით წინაჯსწარმეტყველისა და უფლის მიერ ცხებულ" ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიაზე. ამდენად, ამ კუთხით დანახული ისტორიული მოვლენების განხილვა უდავოდ დაგვეხმარება საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრის საქმეში. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, პირველ რიგში, შესწავლას საჭიროებს ე.წ. „ბატონიშვილობის საკითხი"[1] და ბაგრატიონთა სამეფო სახლის გვერდით შტოთა ისტორია.

თავდაპირველად პრობლემისადმი ჩვენი ინტერესი შუა საუკუნეების ისტორიულ წყაროებში უცნობი ბაგრატიონებისა და აკად. ნ. ბერძენიშვილის ნაშრომში – „ძლევაჲ" განხილული პეტრიწონის მონასტრის ივერონის ღვთისმშობლის ხატის 1311 წლის წარწერაში „უცნობი" მეფეების მოხსენიებამ განაპირობა. ამ კუთხით ჩატარებულმა სამუშაომ მთელი ინსტიტუტის – „პროვინციის მეფეთა" ისტორიის მონოგრაფიულ შესწავლამდე მიგვიყვანა [281]. „პროვინციის მეფის" არსებობამ, რომელიც „ჯერეთ არ იყო კურთხეული მეფედ და იწოდებოდა მეფედ" (იოანე ბატონიშვილი), იმ საკითხის წინაშე დაგვაყენა, რომლის შესწავლის აქტუალურობაზე თ. ჟორდანია აღნიშნავს: „...თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენ ქართველებს ჯერ კიდევ არა გვაქვს სამშობლო ქვეყნის მართალი ისტორია XIV-XV საუკუნეებისა, სრულის ორასის წლისა!"[123,558].

---

[1] „ბატონიშვილობის საკითხი" აკად. ნ. ბერძენიშვილისეული ტექნიკური ტერმინია, რომელიც ზოგადად სამეფო საგვარეულოს შიგნით განვითარებულ ჩვენთვის საინტერესო პროცესებს აღნიშნავს.

„სეფეწულები“, ტაო-კლარჯეთის „ქელმწიფენი“, აფხაზ მეფეთა „უფლისწულები“ – ქართლის ერისთავები, XI-XII საუკუნეებში ტახტის მაძიებელნი, ორმეფობა XIII საუკუნეში, „პროვინციის მეფეები“ XIV-XV საუკუნეებში, „დამოუკიდებელი“ სამეფონი XVI-XVIII საუკუნეებში, „ბატონიშვილები“ XVIII საუკუნეში, – ყველა ერთი კატეგორიის მოვლენაა – „ბატონიშვილობის საკითხია“ შუა საუკუნეების ქართული საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე [174, 133]. მისი ფორმები, დამახასიათებელი ნიშან-თვისებები თუ გამოვლინებაა, ეროვნული თვითშეგნება და სააზროვნო სისტემა დამოკიდებულია სახელმწიფოს განვითარების დონეზე, ანუ ფეოდალური საზოგადოების ყოველ ახალ ეპოქას ბატონიშვილობის ინსტიტუტის გარკვეული ფორმა და ეტაპი შეესაბამება. დიდი ისტორიკოსი ლე ფევრი ამბობს, რომ ყოველი ახალი ეპოქა ისტორიულ წარსულზე თავის წარმოდგენას ქმნის – მას აქვს თავისი რომი და თავისი ათენი, თავისი შუა საუკუნეები და თავისი რენესანსი [396, 12]. რამდენადაც ზემოაღნიშნული ინსტიტუტის ყოველი ახალი ფორმა სახელმწიფოში მიმდინარე მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების შედეგია, მისი განხილვა საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპების ძირეული სტრუქტურების შესწავლა, ავხსნათ მათი ცვალებადობის მიზეზები, ახალი კუთხით მივუდგეთ ჩვენს ხელთ არსებულ ისტორიულ წყაროებს და ა.შ. ყოველივეს შეჯამება კი უფრო სრულ წარმოდგენას შეგვიქმნის ბატონიშვილობის ინსტიტუტის საერთო სურათზე, ქართულ სახელმწიფოებრივ წყობილებაზე ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ფეოდალური საზოგადოების ისტორიის სხვა თეორიულ საკითხზე...

ჩვენი მიზანია XIII-XVIII საუკუნეების ბაგრატიონთა სამეფო სახლისა და, კერძოდ, საგვარეულო განშტოებების მონოგრაფიული შესწავლა, მისი საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებთან თუ გლობალურ პრობლემებთან მიმართებაში განხილვა. ფერნან ბროდელის სიტყვებით, მოვლენები – ეს მტვერია: ისინი ისტორიის ბურუსში სინათლის მოკლე სხივებია, რომლებიც წარმოშობისთანავე უკვე ღამეში ბრუნდებიან და ხშირად დავიწყებას ეძლევიან [394, 223]. მართლაც, ერთი ცალკეული მოვლენა, რომელიმე მოღვაწის მოქმედება თუ გარკვეული პოლიტიკური ფაქტი – ეს ისტორიის

ზედაპირია, გარეგნული გამოსახულებაა რთული და ღრმა პროცესებისა, რომელიც საზოგადოების შიგნით მიმდინარეობს. ჩვენი ამოცანაა არა მარტო დავაფიქსიროთ ბაგრატიონთა ზოგიერთი გვერდითი შტოს წარმოშობა, მათი გენეალოგია თუ მსგავსი საკითხი, არამედ ავხსნათ მთავარი — რამ გამოიწვია ამ პროცესის წარმოშობა, რატომ მოხდა და რა ძალებმა განაპირობეს მისი განვითარების შესაძლებლობა და ა.შ. ბატონიშვილობის საკითხისა და საგვარეულო განშტოებათა შესწავლისას არაერთხელ მოგვიხდება ცალკეულ ფაქტებსა თუ ასეთ პოლიტიკურ მოვლენებზე საუბარი, რადგან მათი გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ საჭიროებს გამოკვლევას, მაგრამ, ვფიქრობთ, უპირველესი ამოცანა ამ ისტორიულ ფაქტებს ქვეშ დამალული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების არსის გარკვევაა. წინამდებარე ნაშრომი ამ საკითხის ასეთი კუთხით წარმოჩენის ცდას წარმოადგენს.

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდის — XIII-XVIII საუკუნეების ძირეული ეტაპების შესწავლას სამეფო საგვარეულოს მაგალითზე ვახორციელებთ. ვფიქრობთ, რომ ამ პრობლემატიკის განხილვა ყველაზე თვალნათლივ სამეფო სახლში მიმდინარე პროცესების საშუალებითაა შესაძლებელი, რამდენადაც ეს საკითხები ძალზე რელიეფურად სწორედ სამეფო საგვარეულოში აისახა. ჩვენი აზრით, განხილვას საჭიროებს: XIII საუკუნეში დინასტიური ბრძოლის გამწვავებისა და სამეფო სახლის საგვარეულო განშტოებათა წარმომშობი საფუძვლების გაჩენის მიზეზები, ორმეფობის, მრავალმეფიანობის, „ორიანობისა“ და მსგავსი ინსტიტუტების ხასიათი და არსი, სამფლობელო ტერიტორიების რაობა და ლოკალიზაცია; იმ პირობების წარმოჩენა, რამაც XIII-XIV საუკუნეებში ბაგრატიონთა გვერდითი შტოს წარმომადგენლებს გვარის — ბაგრატიონობის შენარჩუნების საშუალება მისცა; XV საუკუნეში სამეფოს დაშლის შემდეგ განვითარებული ბაგრატიონთა საგვარეულო განშტოებათა წარმოშობის პროცესის ზოგადი ნიშნების განხილვის პარალელურად ასევე მნიშვნელოვანია თითოეული ასეთი ახალი ფეოდალური სახლის — „ბაგრატიონთ-ყოფილთა“ კონკრეტული შესწავლა თავისი გენეალოგიით, სამფლობელო მამულებით და ა.შ. ვფიქრობთ, მათი კომპლექსური განხილვა საშუალებას გვაძლევს პასუხი გაეცეს XIII-XVIII საუკუნეების

საქართველოს ისტორიის ზოგიერთ ურთულეს საკითხს, ძირეულ ეტაპთა ცვალებადობისა და ბატონყმობის გახანგრძლივების მიზეზებს, დაშლილობისა და გვიანშუასაუკუნოვანი ქართული სახელმწიფოებრიობის ხასიათის რაობას...

ბატონიშვილობის ინსტიტუტის არსის შესაბამისი განხილვა საშუალებას გვაძლევს ახალი კუთხით მივუდგეთ ჩვენს ხელთ არსებულ ისტორიულ მასალას. ეს კი ბევრ ისეთ საკითხზე იძლევა პასუხს, რომელთა შესახებ ადრე კითხვის ნიშანს ვსვამდით — გავიხსენოთ დიდი ივანე ჯავახიშვილი: „...იმ დაბურულ ტყეში, თუ უდაბნოში, რომელსაც XIV-XVI სს. ეწოდება, გზის გაგნება შეუძლებელი იყო" [343, 12]. ამას ემატება ის მომენტი, რომ „ამ საბუთებში მკითხველი იპოვის იმერთა და ამერთა არა ერთს და ორს მეფეებს, რომელნიც სრულიად მოხსენებულნი არ არიან ჩვენს მატიანეში და ისრეთთა მსხვილ-მსხვილ მოვლენათა, რომელნიც ცალის სიტყვითაც აღნიშნულნი არ არიან" [119, VIII]. ვითარებას კიდევ უფრო ართულებს ნატყუარი სიგელების არსებობა — ამ მოვლენას ადგილი აქვს როგორც ანტიკურ, ისე განსაკუთრებით, ფეოდალურ ხანაში და გამონაკლისი არც საქართველოა. ნატყუარობა, ბუნებრივია, უფრო ქონების მიმნიჭებელ, წოდებისა თუ უფლებების დამამტკიცებელ სიგელ-გუჯრებშია მოსალოდნელი. ასეთი დოკუმენტებიდან, პირველ რიგში, აღსანიშნავია მეფეთა სიგელები, რომლებიც, ამჯერად, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა. მათ შორისაა ე.წ. სასისხლო სიგელები, რომელთა ფალსიფიკაციის შემთხვევაში შესაძლებელი ხდება მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ ქონებრივი წარმატებების მიღწევა [376, 177]. ცდუნება დიდია და საბუთის ნამდვილობის დასადგენად საქართველოში მთელი სისტემაც კი არსებობდა. სასისხლო სიგელები ივ.ჯავახიშვილმა ნაყალბევად მიიჩნია [340, 6], რამაც ამ საბუთებისადმი მკვლევართა ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება გამოიწვია, თუმცა დროთა განმავლობაში იგი თანდათანობით შესუსტდა. მართლაც, ყველა ამ დოკუმენტის ნატყუარობის შემთხვევაში თვით ნაყალბევობას ხომ ყოველგვარი აზრი ეკარგება?! ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიის კვლევისას, ბუნებრივია, უპირველესი მნიშვნელობა სამეფო სიგელებს ენიჭება, რომლებშიც მეფეების, სამეფო ოჯახის წევრებისა და ბაგრატიონთა გვერდითი შტოს წარმომად-

გენელთა შესახებაა დაცული ცნობები. ჩვენი აზრით[1], ბაგრატიონთა სამეფო სახლის, გვერდითი შტოებისა თუ „პროვინციის მეფეების“ ისტორიის კვლევისას შესაძლებლად მიგვაჩნია სასისხლო სიგელების მონაცემთა გამოყენებაც: ყალბი სიგელის დამზადებას აზრი არ ჰქონდა, თუ ანალოგიური თავისი შინაარსით, აგებულებითა და ფორმით ცხოვრებაში არ არსებობდა; აქედან გამომდინარე, მათში აღწერილი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა, ყოველ შემთხვევაში, მეფის ოჯახის შემადგენლობა, მეფეთა სახელები თუ სამეფო კარზე არსებული ვითარება რეალურ სინამდვილეს უნდა შეესაბამებოდეს; სასისხლო სიგელებში მოხსენიებული მეფეები ძირითადად ისტორიული პირები უნდა იყვნენ – არარსებული, გამონაგონი მეფის სახელი ხომ ამ დოკუმენტთა ნატყუარობას მაშინვე გაამჟღავნებდა; გამონაგონი მეფის სახელით გამოცემულ სასისხლო სიგელთა ნაყალბევობის დამტკიცება არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა [266].

ჩვენი საკვლევი საკითხის გარშემო არსებულ წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიულ სიძნელეებსა თუ პრობლემებზე ნაშრომის შესაბამის ნაწილებში ვრცლად სპეციალურად შევჩერდებით.

აღსანიშნავია, რომ ბაგრატიონთა სამეფო სახლის საგვარეულო განშტოებათა ისტორია და მისი წარმომშობი პროცესები ერთად და ასე ეტაპების მიხედვით მონოგრაფიულად ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველადაა შესწავლილი. მასში განხილულია XIII საუკუნის ე.წ. „ტეხილი“, რამაც XIV-XV საუკუნეების „ჩიხისაკენ“ გახსნა გზა; ამ ტეხილის გამომწვევი მიზეზების კვლევისას წარმოჩინდა ის საფუძვლები, რამაც მომავალში ბაგრატიონთა სახლში საგვარეულო განშტოებათა წარმოშობას შეუწყო ხელი; ახლებურადაა გააზრებული XIII საუკუნეში საუფლისწულოს რაობა, „ალასტანელობისა“ და „ჯავახთ უფლობის“ საკითხი, იმ მიზეზების ხასიათი, რაც ქმნის საფუძველს ბაგრატიონთა სამეფო სახლის გვერდით შტოთა წარმოსაქმნელად; გაშუქებულია „პროვინციის მეფეთა“ გაჩენის პროცესი, რომელიც მთავარ როლს თამაშობს საგვარეულო განშტოებათა წარმოშობის საკითხში. ამ კუთხით ვჩერდებით XIII საუკუნის ორმეფო-

---

[1] ვრცლად იხ. დ. ნინიძე, XIV-XV სს. ბაგრატიონთა სამეფო სახლი და სასისხლო სიგელთა პრობლემა, „საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიატ ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები“, II, თბ., 2000.

ბისა და მისი თანამეფობით მონაცვლეობის ეტაპებზე — ცალკე ვმსჯელობთ ორმეფობაზე, როგორც ლიხთ-იქითის „მეფეთა“ განშტოების წარმოშობის საფუძველზე. მრავალმეფიანობის ხანის (1298-1318) ისტორიის ნიუანსების გარკვევა აცლენს იმ მიზეზებს, რამაც ბაგრატიონთა სახლში რამდენიმე შტოს ჩამოყალიბება განაპირობა. „ორიანობის“ არსის ახლებურმა გაგებამ რელიეფურად წარმოაჩინა მისი უარყოფითი როლი ერთიანი სამეფო ტახტის დასუსტებისა და ქვეყნის დაშლის პროცესში — დადგენილია „ორიანობის“ ქრონოლოგიური ჩარჩოებიც. ბაგრატიონთა საგვარეულო განშტოებების ჩამოყალიბების გზაზე საქართველოს სამეფოს დაშლა უმნიშვნელოვანესი ეტაპია — ჩვენთვის საკვლევი კუთხით დაშლის ურთულესი პროცესის განხილვამ ამ საკითხს ახლებური ნიუანსები შესძინა და საინტერესოდ დააყენა ბაგრატიონთა დამოუკიდებელ სამეფო შტოთა წარმოშობის პრობლემა. ბაგრატიონთა სახლის დამოუკიდებელი სამეფო შტოების (ქართლის, კახეთისა და იმერეთის) წარმოშობის პროცესი ბატონიშვილობის საკითხთან და „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტთან მიმართებაშია განხილული — სხვაგვარად ვერც ერთი ამ შტოს ჩამოყალიბების პროცესის სრულად წარმოდგენა ვერ ხერხდება; ასეთ შტოთა არსებობა თავის მხრივ ქმნის საფუძველს ქართული დამოუკიდებელი სამეფოების წარმოსაქმნელად.

XIII-XV საუკუნეებში განვითარებულმა პროცესებმა საქართველო დაშლამდე მიიყვანა, ევროპა კი ამის საპირისპიროდ წინსვლის სხვა გზას დაადგა: XII-XIII საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს ცვლილებებს — ე.წ. „გლეხთა პირადი დამოკიდებულებისაგან გათავისუფლების პროცესს“ ბატონყმობის გაუქმება მოჰყვა, ყალიბდება წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები (პარლამენტი...), დასავლეთი „ფეოდალიზმის საყოველთაო კრიზისისაკენ“ მიდის. ამან რენესანსისა და „ახალი ხანის“ წარმოშობა განაპირობა. თამარის ხანის საქართველო მომზადებულია იმ პროცესებისათვის, რაც დასავლეთში XIII საუკუნიდან თანდათანობით წარიმართა; მაგრამ ჩვენთან ბატონყმობა გახანგრძლივდა და მან გაუქმების მაგივრად შეუსაბამო სახე მიიღო, რასაც ე.წ. „ჩიხს“ ვუწოდებთ. „ჩიხში“ მყოფი საზოგადოება ახალს ვეღარ წარმოშობს და შესაბამისად, „ახალი ხანაც“ არ ჩანს. ამიტომ საქართველო

ასცდა განვითარების იმ გზას, რასაც დასავლეთი ევროპა დაადგა.

განხილულია ბატონიშვილობის საკითხისა და დინასტიური ბრძოლის საერთო სურათი დამოუკიდებელ ქართულ სამეფოებში (XVI-XVIII საუკუნეები). საყურადღებოა პრობლემის ორი მხარე: ერთი მხრივ, ახლად წარმოქმნილ ქართულ სახელმწიფოებს შიგნით გამწვავებული ბატონიშვილობის საკითხი და მისი მოგვარების გზები, ხოლო, მეორე მხრივ, დინასტიური ბრძოლა თავად დამოუკიდებელ სამეფოებსა და იქ გამეფებულ ბაგრატიონთა დინასტიის სხვადასხვა სამეფო შტოებს შორის. გაანალიზებულია თავად ქართულ სამეფოებს შიგნით არსებული გამწვავებული ბატონიშვილობის საკითხის სხვადასხვა ფორმა და გარკვეულ შემთხვევებში მათი მოგვარების გზები. ცალკე სპეციალური მსჯელობაა XVI საუკუნიდან ბაგრატიონთა სამეფო სახლის საგვარეულო განშტოებათა წარმოშობის პროცესის არსსა და მის გამომწვევ მიზეზებზე.

ახალი კუთხით დაისვა სამუხრანბატონოსა და მუხრანბატონთა განშტოების წარმოშობის მიზეზები, პროცესის სხვადასხვა ეტაპები; დადგენილია „მუხრანის ბატონთა" გენეალოგია, ზოგი ახალი ფაქტი თუ ნიუანსი მათი მოღვაწეობიდან. სპეციალურად ვჩერდებით სამუხრანბატონოს ცენტრისა და მუხრანბატონთა რეზიდენციის საკითხზე — ეს უკანასკნელი დროთა განმავლობაში მონაცვლეობს და, ამდენად, მასთან დაკავშირებული ზოგიერთი მომენტი კვლევას საჭიროებს; აქვეა საუბარი ამ პერიოდის მუხრანის „ქვეყნის" ისტორიის შესაბამის პრობლემებზე.

მონოგრაფიულადაა შესწავლილი დავითიშვილთა განშტოების წარმოშობისა და უკვე გათავადებული — თვალდამწვარიანთა სახლის ისტორია: განხილულია მათი ქართლში პირველი სამფლობელოების საკითხი, დადგენილია დავითიშვილთა გენეალოგია, სხვადასხვა ეტაპზე დავითიშვილთა სახლის მეთაურთა ვინაობა და ა.შ. სპეციალურად ვჩერდებით ერთ დროს ბაგრატიონთა და ახლა თავადურ სახლში გაყოფა-გაყრის პროცესზე — დავითიშვილთა რამდენიმე „სახლის" („ზაალის შვილები", „ელიზბარის შვილები"...) წარმოშობაზე, შესაბამისად, ცალკე ვმსჯელობთ დავითიშვილთა რეზიდენციის, საძვალის, გერბის საკითხზე. განსაკუთრებული შესწავლის ობიექტად იქცა ის მიზეზი, რამაც დავითიშვილთა საგვარეულოში ახალი განშტოების —

რამაზიშვილთა წარმოშობა განაპირობა; სიახლეს წარმოადგენს რამაზიშვილთა გენეალოგიის დადგენის ცდაც.

ასევე განხილულია ბაგრატიონთა სახლის კიდევ ერთი განშტოების — გოჩაშვილთა წარმოშობის მიზეზები, მისი მამამთავრის გოჩა ბატონიშვილის ჩამომავლობის საკითხი — იგი გიორგი IX შვილადაა მიჩნეული, რაც არ მართლდება; დადგენილია გოჩაშვილთა გენეალოგია, გოჩას შთამომავლების — გიორგი და იორამ გოჩაშვილთა მოღვაწეობის ნიუანსები, მათი სამფლობელო ტერიტორიების ლოკალიზაციის საკითხი. გარკვეულია თუ რა მოხდა ისეთი, რომ ამ სამეფო საგვარეულოს წევრები და ბატონიშვილთა ჩამომავლები ბაგრატიონობასაც კი ვეღარ ინარჩუნებენ.

სიახლეს წარმოადგენს „ნათესავობით ბაგრატოვანთა" და სამეფო საგვარეულოს ზოგიერთი განშტოების ისტორიიდან გარკვეული საკითხების განხილვა. იგი ეხება ბაგრატიონთა საგვარეულოს ისეთ წარმომადგენლებს, რომელნიც, მათი წარმომავლობისა და ბატონიშვილთა საკითხის განსაკუთრებული გამწვავების გამო, „ნათესავობით ბაგრატოვანნი" თუ „მეფეთა მონათესავედ წოდვილნი" ხდებიან: 1)ალექსანდრე „ხანი" — იგივე ალექსანდრე ბატონიშვილი (XVI საუკუნე); 2) ბახუტა ჰუსეინ ბეგისშვილი ბაგრატიონი; 3) კიდევ ერთი განშტოება — ბაბადიშები(?); 4) „ნათესავობით ბაგრატოვანი" — კახაბრის შვილი გორჯასპი; 5) „მეფეთა მონათესავედ წოდვილი" — ვახტანგ ჭუჭუნაშვილი.

ბატონიშვილობის საკითხისა და ბაგრატიონთა სახლის გვერდით შტოთა მფლობელობის კუთხით წარმოჩენილია მეტად საინტერესო რეგიონი — „ქვეყანა" სავახტანგო. მისი წარმოშობა-არსებობა პირდაპირ კავშირშია სამეფო საგვარეულოში ბაგრატიონობა-შენარჩუნებული ერთ-ერთი გვერდითი შტოს არსებობის ფაქტთან. გარკვეულია საძიებელი ვახტანგის პიროვნება (ვგულისხმობთ იდენტიფიკაციას), მისი მოღვაწეობის ნიუანსები, მამულის — „ზოგზოგი სავახტანგოსა" და ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყანა" — სავახტანგოს ჩამოყალიბების ისტორია, მისი საზღვრებისა და ზოგადად სავახტანგოს რაობა-ხასიათის საკითხი; ირკვევა, რომ შიდა ქართლის ეს მხარე გვიან შუასაუკუნეებში ბაგრატიონთა სამეფო სახლის მიერ სპეციალურად სბატონიშვილო მამულად გამოიყენება. საინტერესოა, რომ შიდა ქართ-

ლის ამ ნაწილშივეა ბაგრატიონთ-ყოფილ დავითიშვილთა და გოჩაშვილთა მამულებიც. განხილულია საავხტანგოს პატრონი ვახტანგის ჩამომავალთა მოღვაწეობა, გარკვეულია ბაგრატიონთა ამ ნაკლებად ცნობილი გვერდითი შტოს გენეალოგია.

ცალკე კვლევის საგანია იქცა გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო მმართველობა და ბაგრატიონთა საგვარეულო განშტოებანი. თავდაპირველად განხილულია ის ცვლილებანი, რაც ერთიანი სამეფოს დაშლამ განაპირობა ქართულ სახელმწიფო მმართველობაში. ბაგრატიონთა სამეფო სახლის საგვარეულო განშტოებათა დასახასიათებლად და სრული სურათის შესაქმნელად ყურადღება მახვილდება იმ „საკელოებზე", რომელიც გათავადებულმა ყოფილმა ბაგრატიონებმა მოიპოვეს XVI-XVIII საუკუნეების სახელმწიფო ხელისუფლებაში. ამ „საკელოთა" რანგი და მათი ფლობა რელიეფურად ასახავს საგვარეულო განშტოებათა სტატუსსა და მის წარმომადგენელთა უფლებრივ მდგომარეობას XVI-XVIII საუკუნეებში.

ყურადღება მახვილდება აღნიშნულ პერიოდში დასავლეთისა და აღმოსავლეთის გზასაყარზე მდებარე ქართული ფეოდალური სტრუქტურის რაობაზე. ამ სტრუქტურის დასავლურ-ევროპულმა ხასიათმა, მისმა XVI-XVIII საუკუნეების ირან-ოსმალური საზოგადოებისაგან მკვეთრმა განსხვავებულობამ, მათმა შეუთავსებლობამ, აღმოსავლეთის მოწოლის მიუხედავად, საქართველოს სახელმწიფოებრიობა გადაარჩინა; ამის საფუძველზე შენარჩუნდა ნაციონალური კულტურა და იდეოლოგია, რამაც ქართული ეროვნული თვითშეგნების არსებობისათვის აუცილებელი პირობები შექმნა.

ბოლო ეტაპად განხილულია ბატონიშვილობის საკითხი XVIII საუკუნის II ნახევარში, სადაც სამი მთავარი პრობლემა გამოვყავით: 1)ქართლისა და კახეთის ბაგრატიონთა სამეფო სახლების დინასტიური ბრძოლა, „ქართლოცენტრიზმი" და ქართლის თავადთა „ლეგიტიმისტური მოძრაობა": ქართლში კახეთის ბაგრატიონთა გამეფების საკითხი, ლეგიტიმურობის გამო წარმოქმნილი სირთულეები, ქართლ-კახეთის გაერთიანების პროგრესულობა.... კახეთის ბაგრატიონთა გამაერთიანებელი პოლიტიკის ფონზე „მუხრანელი მეფეების" ტახტის აღდგენისათვის ბრძოლა მსხვილი ფეოდალების ცენტრიდანულ, რეაქციულ და ვიწრო-დინასტიურ „ლეგიტიმისტურ მოძრაობად" მოჩანს.

2) ერეკლეს ბატონიშვილების საკითხი: ეს არის ბატონიშვილობის საკითხის სიმწვავის კლასიკური მაგალითი მისგან მომდინარე შესაბამისი შედეგებით — ჩვენ მიერ განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება პრობლემაზე, რომელიც ერეკლეს დროს დიდი დავის საგნად იქცა, კერძოდ, სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესისა და საუფლისწულოთა სტატუსის საკითხი; შესაბამისად, დაისვა ერეკლეს „ანდერძთა" პრობლემა, ტახტის მემკვიდრეობის კოლატერალური პრინციპის შემოღების შესაძლებლობა და ა.შ. მათი შესწავლა კიდევ უფრო ნათელს ხდის იმ უდიდესი ზიანისა და შინააშლილობის მიზეზებს, რამაც 1801 წლის აქტამდე მიგვიყვანა. 3)ბატონიშვილობის საკითხი იმერეთში სოლომონ I—სოლომონ II ხანაში: XVII-XVIII საუკუნეების იმერეთის სამეფოში ბატონიშვილობის საკითხი მუდმივად გამწვავებულ მდგომარეობაშია, ხოლო მეფის ტახტიდან ჩამოგდება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა; გამონაკლისიც გაკეთდა და იმერეთის ტახტზე არაბაგრატიონნიც აღმოჩნდნენ. მრავალ პრობლემათა შორის ჩვენ ყურადღებას იმერეთში კონკრეტულად ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებებთან დაკავშირებულ საკითხებზე ვამახვილებთ. კვლევის ობიექტია რამდენიმე განშტოება, რომელნიც ისტორიულ დოკუმენტებში „თავად ბაგრატიონ-დავიდოვებად" (იმერეთის ბაგრატიონ-დავითიშვილები) იხსენიებიან — გარკვეულია მათი წარმომავლობა, გენეალოგია და სხვა შესაბამისი პრობლემები; საინტერესოა, რომ იმერეთის მეფის დავით II (1784-1789) შთამომავალთაგან ერთ-ერთი განშტოება თურქეთში ცალკე გვარად — ჰაიდარ-ბეგებად ჩამოყალიბდა.

თავი I

ბაგრატიონთა სახლის გვერდით შტოთა წარმოშობის საფუძვლები

ბაგრატიონთა სამეფო სახლის გვერდით შტოთა წარმოშობის საფუძვლების, XIII საუკუნის საუფლისწულოსა და ორმეფობის ინსტიტუტის არსის გახსნის მიზნით, უპირველეს ყოვლისა, ეპოქაში არსებულ ვითარებას, მის ზოგად შტრიხებსა და ძირეულ ნიშან-თვისებებს შევეხებით:

აკად. ნ. ბერძენიშვილის მდიდარ საარქივო მასალაში ავტორის მიერ ერთგან აღნიშნულია: „XIII საუკუნიდან მაინც ახალი ხანა დავსახეთ (იგულისხმება ს. ჯანაშიასთან ერთად) საქართველოს ისტორიაში. გამართლდება ეს საკვლევით თუ არა, ეს მომავალი კვლევის საკითხია; მაგრამ ჯერჯერობით — წარსული კონცეფციის გავლენისაგან დამოუკიდებლად, ჩვენ ასეთი ტეხილი მაინც გვეჩვენება ჩვენს ისტორიაში...“ [216, 109]. ტეხილის ნ. ბერძენიშვილისეული ახსნა სხვაგვარია (იხ. ქვევით „ჩიხთან“ დაკავშირებით), მაგრამ XIII საუკუნე რომ გარკვეული ულელტეხილი მართლაც არის, ეს უდავოა. ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს ამ ცვლილების ლაკონიური შეფასება: დასრულდა „ქართული ფეოდალიზმის კლასიკური ხანა“, რის შემდეგაც „ფეოდალური ცენტრალიზმი სახელმწიფო წყობილებაში იცვლება ფეოდალური იმუნიტეტით“[238, 40].

XII საუკუნის ბოლოს, ქართული საზოგადოების სრული ფეოდალიზაციის, განვითარებული ფეოდალური სენიორიებისა და ბატონყმობის არსებობის პირობებში, რომელმაც პროგრესული როლი უკვე შეასრულა, საქართველოს ცენტრალიზებული ფეოდალური მონარქია თავისი განვითარების მწვერვალზე იმყოფება; შესაბამისად, მომავალი განვითარების გზაზე ქვეყნის შიგნით ადგილი აქვს მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს, რომლის მხოლოდ ზოგიერთ მომენტზე შევაჩერებთ ყურადღებას.

გარეგნული ბრწყინვალების პარალელურად ქვეყანაში ფეხს იკიდებს ფეოდალის „გაკელმწიფების“ ტენდენცია, ფეოდალური სეპარატიზმი ფრთებს შლის, იზრდება რენტა, მნიშვნელოვნად ღრმავდება იმუნიტე-

ტი... ერთი მხრივ, არსებობს დიდებული სამეფო ტახტი ძლიერი ცენტრალიზმით და მეორე მხრივ, აყვავებულია არატერიტორიულ პრინციპზე აგებული სენიორალური სახლების („ავაგის სახლი", „შანშეს სახლი"...) ბატონობა, დიდებული ნაწყალობევის სამკვიდრო მამულად გადაქცევას ცდილობს, მიმდინარეობს სამეფო მიწების ფონდის შემცირების პროცესი. საბოლოოდ, საქართველოში შენარჩუნებულ-გახანგრძლივებული ბატონყმობა ნატურალური მეურნეობის კვლავ განმტკიცებას ემსახურება, რაც უკვე არასახარბიელო პერსპექტივის შემცველია. თანდათანობით იკვეთება „პოლიტიკური კრიზისი" თუ „კრიტიკული ხანა" (ნ. ბერძენიშვილი მათ სინონიმებად ხმარობს [182, 160, 208, 224...]): დემნას აჯანყება, სირთულეები ეკლესიაში, თამარის მეორედ კურთხევის საჭიროება, დიდგვაროვანთა გამოსვლა, საეკლესიო კრება, ლიხთ-იქითისა და მთიელთა აჯანყება, ათაბაგის საქციელი ახალციხელთა მიმართ, „უცნაური ბრძოლა" დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის, ყარსის დიდი ხნით ვერ აღება...[182, 196].

XII საუკუნის ბოლო მეოთხედის ქართული ცენტრალიზებული მონარქიის სახელმწიფოებრივი განვითარების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ, ერთი მხრივ, ცენტრალური ხელისუფლება ძლიერია — სამეფო ტახტი თავისი არსებობის მწვერვალზეა („ახალი რომის" ფუნქციის შესრულებას ცდილობს...), მაგრამ, მეორე მხრივ, სახელმწიფოებრივ წყობილებას მისი შესაბამისი ფორმა არ მიუღია [298, 470] — ამ შემთხვევაში წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია იგულისხმება. თამარის ხანის საქართველოს პოტენციალი თავის თავში, დასავლეთ ევროპის კლასიკური ფეოდალური სახელმწიფოების მსგავსად (ამის შესახებ ვრცლად იხ. ქვევით), ფეოდალური საზოგადოებისათვის სათანადო ახალი ეტაპის ჩამოყალიბების შესაძლებლობას შეიცავდა — იგი მომწიფდა წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიისათვის და, ჩვენი აზრით, ყუთლუ-არსლანის პროგრამა სწორედ ამას გულისხმობს. ყუთლუ-არსლანის ბრძოლა — რა იყო ეს? — „კონსტიტუციის შეცვლა. ეს იყო სრულიად კანონზომიერი მწვერვალი პოლიტიკური ბრძოლისა" [182, 138]. „კარავი" ევროპის წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიებისათვის (პარლამენტი, გენერალური შტატები...) დამახასიათებელი ნიშან-თვისებების მქონე ხელისუფლებ-

ის უმაღლესი ორგანო უნდა გამხდარიყო — „ყუთლუს გამოსვლა პირველი ტური იყო. თუ ვინ გაიმარჯვებდა საბოლოოდ, ეს დამოკიდებული იყო იმაზე თუ როგორ წავიდოდა საქმე... ჯერჯერობით ვერც ერთი ვერ სჯობნიდა. მათი საბოლოო მორიგება კი არ შეიძლებოდა. კრიზისული ხანა იყო...“ [182, 223-224]. თამარის ცნობილი პოლიტიკის შედეგად „კანონზომიერი მწვერვალი“ სათანადო შედეგებით ვერ დაგვირგვინდა — იგი ასეთი მონარქიის შექმნის ცდა იყო.

ამგვარ საზოგადოებაში უკვე ისეთი სტრუქტურები ყალიბდება, რაც „უეჭველი რეაქციაა და ფრიად ცუდი პერსპექტივების მქონე“ [182, 187]. დგება საკითხი: შენარჩუნდებოდა ზემოაღწერილი თავისებური მდგომარეობა თუ სამეფო ხელისუფლება შეძლებდა ვითარების შეცვლას? ან შეიცავდა თუ არა ქართული ფეოდალური საზოგადოება იმის პოტენციალს, რომ გადასულიყო განვითარების თვისებრივად ახალ ეტაპზე? ჩვენი აზრით, საქართველო ამ დროს განვითარება-წინსვლის გზაზე იდგა, ამიტომ ზემოაღნიშნული მომენტები მხოლოდ დროებითი ჩანს. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ თამარის დროინდელი პოლიტიკური ბრძოლა არ გულისხმობდა იმას, რაც ქვეყანაში XIII-XV საუკუნეებში მოხდა, თუმცა იგი ასეთ შესაძლებლობას შეიცავდა. „საქართველოს თანდათან დაცემის მიზეზი და საფეხურნი რთული რამეა, რომლის ახსნა ორიოდე ფორმულით არ შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, გიორგისა და რუსუდანის საქართველო — იგივე „ოქროს ხანის“ საქართველოა, საერთაშორისო ცვლილებათაგან დაზიანებული“, — აღნიშნავს ზ.ავალიშვილი [167, 105]. ახალ ეტაპზე გარდამავალ საზოგადოებას მონღოლებმა მოუსწრეს — მიმდინარეობდა ნორმალური პროცესი, მაგრამ „ეს არ დასცალდა ქვეყანას. მონღოლები მოვიდნენ და მეურნეობის სწორედ ეს მხარე... დაზიანდა“, — აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი [182, 188]; ორივე ციტატაში დაზიანებაა ხაზგასმული — სწორედ ეს „საერთაშორისო ცვლილებათაგან დაზიანება“, ქართული სახელმწიფოებრიობისათვის სავალალოდ, მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

ლაშა-გიორგის პოლიტიკა აქტიური დაპირისპირებაა იმ უარყოფითი ტენდენციების წინააღმდეგ, რომელსაც ქვეყნის სამეფო ტახტი კარგად ხედავს. მეფის მცდელობა ცენტრალიზაციის, დიდებულთა „გაკელმწიფების“ ტენდენციის შეჩერების, თამარის ვაზირთა შეცვ-

რადგან ხატვასა და ძერწვაში გამოცდა არ იყო, ყვავმა მუსიკის ქვეშ გადასცა რკოს პირველი კლასის დამთავრების მოწმობა.

ეს იყო და ეს დღე, ისე გაიბღინძა რკო, რომ საკუთარ თავთანაც აღარ კადრულობდა ლაპარაკს.

წითელფეხება ჩიტი

გამოცდების შემდეგ დაიწყო რკოს დაუსრულებელი არდადეგები და მუხის ბინადართა გაუთავებელი ფათერაკებიც.

მადლობის მაგივრად რკომ ერთხელ მერცხლის ბუდეს თიხით კარი ამოუქოლა. მერცხალი რომ დაბრუნდა შინ, ბევრი აკაკუნა გარედან, ბარტყები კი შიგნიდან აწვებოდნენ კარს, მაგრამ აბა რას გახდებოდნენ: მზეს ისე გამოეხმო თიხა, რომ იძულებულნი გახდნენ საშველად ოსტატ კოდალასთვის ეხმოთ. კოდალამ ახალი ხვრელი გაბურღა და შიმშილისა და უჰაერობისაგან ცოცხალ-მკვდარი ბარტყები გამოათრია.

რკოს შეეშინდა და მეზობლებს შეჰფიცა, ასე აღარასოდეს მოვიქცევიო. მაგრამ ორ-სამ დღესაც არ გაუვლია, მუხის ბინადრებმა ჯერ მისი ოინბაზობაც ვერ დაივიწყეს, რომ რკომ წარწერა „შოშია“ ჩამოხსნა და ჭივჭავის ბუდეს მიაკრა, ხოლო წარწერა „ჭივჭავი“ შოშიას ფუღუროს მიაჭედა. თავად იქვე ტოტებში ჩაიმალა და სეირის საყურებლად მოემზადა.

მოფრინდა შოშია და გაკვირვებულმა რამდენჯერმე გარს შემოუარა თავის ბუდეს:

— წერა-კითხვის უცოდინარი რომ ვიყო, ვიფიქრებდი, ჭივჭაკთან მოვხვდი-მეთქი!

ჭივჭავსაც თავგზა აებნა:

— ეტყობა, ჩემმა ცოლმა შოშიას გაუცვალა ბინაო, თქვა და თავი შეყო ფუღუროში. გაბრაზებულმა შოშიას ცოლმა ერთი ისეთი ჩაუნისკარტა შუბლში, საწყალ ჭივჭავს თვალებიდან ნაპერწკლები გადმოსცვივდა. მერე წამოჯდა, ფრთები შეიბერტყა და თვალი მოკრა შოშიას, იგი სახლის ვიწრო ხვრელში გაჩხერილიყო.

ახლა კი მიხვდნენ მეზობლები, ვისი ოინებიც იყო, და საჩივლელად მუხას მიადგნენ. ვერც კი მოასწრეს სიტყვის თქმა, რომ გუბურაში ერთი ვაი-უშველებელი ატყდა. თურმე რკო ყუოტრეს მოახტა ზურგზე და აქეთ-იქით ახეთქებდა. ყველა გუბურას ეცა, უნდოდათ ყუოტრესათვის ეშველათ. რკო წყალში ჩახტა და მიიმალა. მხოლოდ საღამო ხანს გამოჩნდა. ჭივჭავის ბარტყს ჩაფრენოდა კუდში და ცხვირგატეხილი ძლივს მოლასლასებდა.

ვიდრე ჭრილობა უშუშდებოდა, რკოსთვის თვალი არავის მოუკრავს, მაგრამ მალე ისევ დაიწყო თავისებური ანცობა: ერთ დღეს ყორანის ბუდეში შეიპარა და საწოლზე ასკილის ეკლები მოაბნია.

მზის ჩასვლისას ყორანი თავისი ბახალებით სეირნობიდან რომ დაბრუნდა, დასასვენებლად წამოწვა. მაგრამ ვაი ამ წამოწოლას. უცებ მუცელში რაღაცამ უჩხვლიტა. „ლურსმანი ხომ არ გადავყლაპე?“ — ამის გაფიქრება მოასწრო და ისევ იგრძნო ჩხვლეტა. მოხუცმა ყორანმა ველარ მოითმინა და ცოლს შესჩივლა:

— ყვა, ყვა, მგონი, დილით ლურსმანი გადამყვა.

გვერდზე გადაბრუნდა და ახლა ფრთაში შეერჭო რაღაც, მერე—ფეხში, მერე ისევ მუცელში. ყორანმა ისეთი ყარყარი მორთო, მთელი მეზობლები შეჰყარა. გასინჯეს შავფრთიანი და გაოცებისაგან შეჰკივლეს: ყორანს მთელ ტანზე ეკლები შერჭობოდა. გახვითქული ბახალები დილამდე აცლიდნენ მამას ბებერ, დანაოჭებულ კანიდან ეკლებს.

ამ ამბავმა მეზობლებს მოთმინების ფიალა აუვსო. ერთ საღამოს ყველამ ერთად მოიყარა თავი, თიხისაგან პატარა ხუხულა ააგეს, ცხაურიც გაუკეთეს და გადაწყვიტეს, ყოველი მისი ოინბაზობის შემდეგ რკო აქ გამოემწყვდიათ. ხომ არ გგონიათ, ყაჩაღანას შიშით გული გაუსკდა, კიდეც მოეწონა ასეთი თამაში. წინააღმდეგობის ვაწევაზე არც უფიქრია, ისე შეძვრა ციხეში. მეზობლებს არც კი სჯეროდათ. ღმერთი თუ ასე მოხედავდათ და ყველა ერთად მიზღვავდა ციხის სარკმელთან, უნდოდათ, თავისი თვალით ენახათ ბოლოსდაბოლოს მოთვინიერებული ურჩი. რკო მოკუნტული იწვა და თვალს სარკმლისაკენ აპარებდა.

მზაკვრობა პირველად მტრედმა შეამჩნია და გაოცებულმა შეჰყვირა:

— თეთრი ვიყავ, შავად ვიქეც!

ვინც კი სარკმელს მიეკარა, ყველამ მუცლები, თავ-პირი ან ნისკარტი დაითხვარა — თურმე ყაჩაღანას ცხაური წინასწარ გაემურა.

ბოლოს და ბოლოს მუხის ბინადართ ნერვები მოეშალათ და ყურები ჩამოყარეს. მხოლოდ ბებერი ყორანი გაფრინდა თავის მეგობარ ბრძენ ჭოტთან და შეეკითხა, რა მოვუხერხოთ ყაჩაღანას, რომელსაც ციხეც არ აშინებსო.

მეორე დღეს გზად მიმავალმა კორესპონდენტებმა მუხის ჩრდილს შეაფარეს თავი.

რკომ დიდხანს უყურა მგზავრებს, თავის თავი შეათვალიერა და სიამაყით გამოაცხადა:

— რითა ვარ ამათზე ნაკლები? ჭკუაც მაქვს და ქუდიც მხურავს! მეც ვიმოგზაურებ და ყველაფერს ჩავიწერ.

— ქუდქვეშ რომ არაფერი გიყრია, — კეთილად უთხრა მუხამ.

რკო ძლიერ განაწყენდა, მამას ენა გამოუყო და ყვირილით აიკლო იქაურობა.

— შე ბებერო ყბედო. თვითონ არაფერი გაგეგება!

და როგორც გადაწყვიტა, ისე მოიქცა: რვეული მრგვლად დაახვია, ჭივჭავის ფრთის კალმისტარი ყურში გაირჭო, კისერზე ძახველის მელნით სავსე ლოკოკინას ნიჟარა ჩამოიკიდა და გზას გაუდგა. ხტუნვა-ხტუნვით მიდიოდა, თან რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თავის საყვარელ სიმღერას გაჰკიოდა:

აბა მე დღეს
ვინ ვარ, ვინა?!
ოკოკაცუნა
ბაწაწინა.
მაგრამ ამას
როდი ვწუხვარ,
ხვალ ვიქცევი
ძლიერ მუხად.

მუხა ტოტებს უქნევდა შვილს და მზრუნველ თვალს არ აცილებდა, თან მძიმედ ოხრავდა:

— ნუ მიატოვებ, შვილო, შენს სახლ-კარს!

რკომ ყურიც არ შეიბერტყა, მიხტოდა და თან შიშის ზარს სცემ-და კალიებს. მერე ხოჭოები გაირეკა წინ და შინიდან კარგა შორს გაჰყარა. რამდენ ხანს იხტუნა ასე, კაცმა არ იცის. ჯერ იყო და გზაზე ჩამწკრივებულ ხეებს ითვლიდა, მაგრამ მალე აღარც ხელის თითები ეყო და არც ფეხის და ხელი ჩაიქნია. მერე ერთ მაღალ ბალახს კენ-წეროში მოეჭცა, რომ უკეთ გაეგნო გზა. ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო, მხოლოდ მოშორებით, მდელოზე რაღაც უცნაური წითელფეხე-ბა და შავკუდიანი ჩიტი დასეირნობდა.

— გამარჯობა, ბატო! — დაუყვირა ყაჩაღანამ და მასთან მიირ-ბინა. — გავიცნოთ ერთმანეთი: მე მსოფლიოში ყველაზე სქელი გა-ზეთის ცნობილი კორესპონდენტი გახლავართ.

ჩიტმა ერთი კი აათვალიერ-ჩაათვალიერა. მერე ზედაც არ შე-ხედა, მხოლოდ ნისკარტის კაკუნით ჰკითხა:

— კკა-რგად გამაგებინე, ვინა ხარ?

— კო-კო-რესპონდენტი, — გამოაჯავრა რკომ.

— მე კი-კი, ვინლა ვარ?

— ბატი.

— მმ-მაშ, გამარჯობა, მატლო!

— შენ მარტო ყრუ კი არა. ბრმაც ყოფილხარ. — გაბრაზდა რკო.

— მე თუ ბატი ვარ, შენ მატლი ხარ! — მშვიდად მიუგო ჩიტმა.

— როგორ ბედავ ჩემს დაცინვას: მე მუხის შვილი ვარ!

— ესეც ვიცი, და ისიც. რომ უვიცი ხარ! ყარყატი ბატისაგან ვერ გაგირჩევია. ტყუილად ნუ ფახიფუხობ. მოხარშულს გიცნობ. შენს თავაშკებულობაზე ყიყინებს ყველა ბაყაყი.

ეს სიტყვები აინუნშიაც არ ჩააგდო რკომ და ისევ შეუტია ყარ-ყატს:

— ჩვენი ხის ჩიტებზე რომ არაფერი ვთქვა. ლოკოკინაც კი ლექსებით ლაპარაკობს, შენ კი აბა რისი მაქნისი ხარ.

— ლექსადაც გეტყვი, — უპასუხა ყარყატმა, ცოტა დაფიქრდა და დაიწყო:

ლისა და მის „თანამოასაკეთა“ დაწინაურების მიზნით არის არა უბრალოდ „თანამებოთლეობის“ ნიადაგზე წარმოჩენილი მოვლენა (ჟამთააღმწერელთან...), არამედ „მონარქიის სასარგებლოდ განსაზღვრული პოლიტიკური მიმართულება“ [238, 41]. აქედან გამომდინარე, ძნელია გავიზიაროთ შემდეგი მოსაზრება: „ლაშა-გიორგის მთავარი შეცდომა ის იყო, რომ ვერ შეიმუშავა (ან ვერ მოასწრო შეემუშავებინა) ახალი ეპოქის შესაბამისი პოლიტიკური დოქტრინა“ [314, 231]. პირიქით, ლაშა-გიორგი აწარმოებს წინასწარ კარგად მოფიქრებულ „შინაპოლიტიკურ ომს“ თამარის „დამსახურებული მამების“ [205, 122] – „თამარის ძლევამოსილი ომების ვეტერანების“ [193, 345] წინააღმდეგ; მეფე აშკარად ხედავს კრიზისს – კრიტიკულ ვითარებას და ქვეყნის მმართველობის გაუმჯობესება-გაძლიერების მიზნით დიდგვაროვან არისტოკრატიას უპირისპირდება თავისი „შეზრდილ-გაზრდილებით“; აღსანიშნავია, რომ ამას სამეფო ტახტი პროგრესულ ძალებზე დაყრდნობით ახორციელებს, რადგან ლაშას „თანამოასაკენი“ – „ეს იქნებოდა სიმდიდრესა და უზრუნველობაში გაზრდილი, განათლებული, ხელოვნებაში დაწინაურებული და საკმაოდ თავისუფლად მოაზროვნე საზოგადოება“ [167, 105]. ასეთივე მსოფლმხედველობისა უნდა ყოფილიყვნენ „რინდებიც“, რომელნიც ფეოდალური არისტოკრატიისადმი ოპოზიციურად არიან განწყობილი. თავის პოზიციებს მეორე მხარეც ძლიერად და აქტიურად იცავს და ასეთ კრიტიკულ ვითარებაში „კარავი“ – პარლამენტისა თუ გენერალური შტაბების მაგვარი ორგანო იქნებ მართლაც გამოსავალი გამხდარიყო არსებული სიტუაციიდან?!

ქვეყანაში დიდი პროცესი მიმდინარეობს, რომლის დასრულებასაც გარკვეული დრო სჭირდება; კრიტიკულ ფაზაში შესულ ურთიერთდაპირისპირებას მონღოლებმა მოუსწრეს, რომელთა სახელსაც უკავშირდება უარყოფითი შესაძლებლობის გამოვლენა. განვითარების სტადიაში მყოფ საზოგადოებას საგარეო ვითარება უმწვავდება, ანუ ადგილი აქვს საშინაო და საგარეო ფაქტორთა არასასურველ ურთიერთგადაჯაჭვას. ნ. ბერძენიშვილი გვაფრთხილებს, რომ „ნუ გვეშინია ამ საგარეო ფაქტორის „ზეშეფასება“: ასეთი ზეშეფასება არავის შეუძლია მისი უდიდესი მნიშვნელობის გამო. და შეიძლება კი, რომ ამ მოვლენებს: ველის სამასწლოვან შემოტევას, ხალხთა დიდ გადმოსახლებას მხოლოდ სა-

გარეო ფაქტორი ვუწოდოთ? ან ასი, ან ორასწლოვანი ბატონობა ბარ-ბაროს დამპყრობლისა საგარეო ფაქტორია? რა თქმა უნდა, არა“ [182, 239]. მართლაც, XIII საუკუნის საქართველოსათვის საგარეო ვითარება საშინაო ფაქტორად გადაიქცა და კატასტროფული შედეგები მოიტანა: მოსახლეობის მნიშვნელოვანი შემცირება („დემოგრაფიული კრიზისი“...), უნოყიერესი ტერიტორიების (სარწყავების) დაკარგვა, ვაჭრობის მოშ-ლა, ქალაქების „გაღარიბება“ და მათი როლის დაკარგვა, ქვეყნის სიმდიდრის გაზიდვა, ბოგანობის გამრავლება... ეკონომიკურ რეგრესს, ბუნებრივია, პოლიტიკური კრიზისი მოჰყვა: სამეფო ტახტის დასუსტე-ბა, „მეფეთა“ გამრავლება-მრავალმეფობა, ორმეფობა, ქვეყნის ადმინის-ტრაციაში მონღოლური ყაიდის შემოსვლა, დიდებულთა წრის „გაკელმ-წიფება“ და სხვ.

მონღოლებმა „საქართველო განიყვეს“ ერთმანეთში და თითოეულ მთავართან ცალკე ურთიერთობა დაამყარეს – ეს უპრეცედენტო შემთხ-ვევა იყო ერთიანი ქართული მონარქიის არსებობის პერიოდში, როცა მეფის გარეშე მოხელე-მთავრების პოლიტიკური უფლებების ცნობა ხდება [252, 595]. მონღოლთა დამპყრობლური პოლიტიკის შედეგად, უკვე „მეფე შემცირებულ არს მძლავრებისაგან თათართასა და კუალ-ად პირნი და მთავარნი საქართველოსანი განდგომილ არიან“. საქართვე-ლო, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია მხოლოდ მონღოლთა ინ-ტერესების მიხედვით არსებობს; სამეფო ტახტის სიძლიერეც მათ პოლიტიკა-განწყობაზეა დამოკიდებული; სამმართველო ინსტიტუტები რეალურად მაშინ ფუნქციონირებს, თუ ეს მონღოლთა სამსახურისთვისაა საჭირო; დიდებულნი უკვე მეფეს იმდენად ემორჩილებიან, რამდენადაც იგი მონღოლთა კარისათვისაა სასურველი – სამეფო კარს იმდენად ეკითხება და შეუძლია ჩაერიოს დიდ ფეოდალთა საქმეში, რამდენადაც ეს თათართა ინტერესებში შედის [183, 222-223].

XII საუკუნის საქართველოს მეფის სასახლე ის ცენტრია, საიდ-ანაც ყოველგვარი წყალობა მოდის – „მეფის კარი ის ფოკუსია, რომელიც სულ უფრო და უფრო იზიდავს თავის გარშემო ქვეყნის მფლობელ დიდგვარიანებს“; იგი დიდ ფეოდალთა დამარცხების შედე-გად წარმოქმნილი იძულებითი ცენტრია და ეს „ამაყი და ქედფიცხე-ლი სახლები“ აქ არც მთლად ხალისით იყრიან თავს. სამეფო ტახტის ძლიერების ხანაში მას სულ სხვა მიმზიდველობა აქვს – „მზე აქ

ამოდიოდა“ [182, 86] და „ზვიადი დიდგვარიანნი“ იდგნენ კიდეც მეფის წინაშე, რადგან მისგან ღებულობდნენ დიდებასა და პატივს. ამაში დიდებულნი ბუნებრივია დაინტერესებულნი არიან, მაგრამ, ამავე დროს, ისინი ვერც „ქელმწიფობას“ კადრულობენ. XIII საუკუნის ტეხილის გამო ვითარება რადიკალურად იცვლება: თვითონ სამეფო სახლის აღზრდილ-შეზრდილები უკვე „სეპარატისტულ მეცადინეობაში“ უფლისწულთა განდიდებისათვის აქტიურად მებრძოლი მოღვაწენი არიან (იხ. ქვევით ვრცლად „პროვინციის მეფეებთან“ დაკავშირებით). მონღოლთა ბატონობის პირობებში, დიდებულთა წრე კიდევ უფრო მწვავედ სვამს ე.წ. „მამულის საკითხს“: სამეფო ტახტი სუსტდება, იგი ძველ ფუნქციას ვეღარ ასრულებს; თუ ძლიერების ხანაში დიდებულებისადმი წყალობა მნიშვნელოვანია, XIII საუკუნიდან იგი „არა ჯერ იყო საყოფლად“ (თამარი ამ პრობლემას საგარეო ომებით არეგულირებდა), არისტოკრატიისათვის სასახლეში — სამეფო კარზე „მზე აღარ ამოდის“ — მეფის უზენაესი უფლებები მიწაზე სუსტდება (მონღოლები ამას ყოველმხრივ უწყობენ ხელს), „თავის ბუნაგში“ მჯდომი XIII საუკუნის დიდაზნაური თავის მკვიდრ მამულს აღარ სჯერდება და ცდილობს მეფის მიერ ნაწყალობევიც მიუდევარ საკუთრებად აქციოს — მოქმედებს სააზროვნო სისტემა და ყალიბდება მენტალიტეტი, რომელსაც ზუსტად ახასიათებს ასეთი ლაპიდარული გამოთქმა: „შეურჩომელი მამული ცუდია, რად მოვაშენოთ“ [182, 86, 96, 99-100, 186, 235].

საქართველოს მეფემ უკვე „მთავარნი და ერისთავნი ვერ სცვალნის შიშისათვის ყაენისა“ [103, 256]; დავით ულუს ისტორიული წყარო „ვარამულ მეფედ“ მოიხსენიებს, რაც ნიშნავს ვარამ გაგელის საშუალებით გამეფებას — „ვარამ, დასვი მეფედ“ [77, 27]. ამ მხრივ, ძალზე რელიეფურია ეგარსლან ბაკურციხელის ფიგურა — „კაცი ღრმად მოუბარი“ და „საკჯირველი“; იგი „ეზომ განდიდნა“, რომ „ყოველი ქართველთა ნათესავი ბრძანებასა მისსა მორჩილობდეს, ვითარცა მეფესა“ [104, 94]. როგორც ცნობილია, მან უმეფობის ხანაში „სახელის-დებადცა მეფისა იკადრა“ — ეს ის პერიოდია, როცა „გაკდეს ქართველნი უნუგეშინისცემოდ და უმეფოდ, რამეთუ არღარავინ იპოვებოდა ნათესავი მეფეთა“ [104, 90]. ამავე დროს, საქართველოში კვლავ (სხვათა შორის, მანამდეც და შემდგომ პერიოდშიც) მოქმედებს

წესი და ისტორიული ტრადიცია, რომ თუ „არა არს ნათესავი მეფეთა... არა ეგების, თუმცა დავემორჩილენით ვისმე, უკეთუ არა იყოს ნათესავი მეფეთა“ [104, 100]. ამ ფონზე ასწლოვანი მატიანეს ავტორი კვლავ იმეორებს: მონღოლი ნოინები „წარემართნეს მიგებებად ულოსა, და თანაწარიტანნეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი, და უმეტეს ეგარსლან, რომელსა, ვითარცა მეფესა, მორჩილობდეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი“ [104, 103].

აღნიშნული საკითხი, ამჯერად, ჩვენთვის ბაგრატიონთა სამეფო სახლის ისტორიის კუთხითაა საინტერესო: როგორც აღინიშნა, ეგარსლანს „კნინღადა სახელიცა მეფობისა ეპყრა“?! ჟამთააღმწერელი ეგარსლან ბაკურციხელის გვარიშვილობის შესახებ ხაზს უსვამს, რომ „მაშინ შეკრბეს დიდებულნი ამის სამეფოსანი, რამეთუ ეგულებოდა მთავარყოფა მათ ზედა ეგარსლანისი, არა საწუნოთა გუარითგან აღმოჩენილისა“ [104, 99]. ამდენად, ეგარსლანისათვის მთელი ძალაუფლების გადაცემა იმიტომ გადაწყდა, რომ იგი დასაწუნი გვარისა როდი ყოფილა [242, 114]. ეგარსლან ბაკურციხელის წარმომავლობასთან დაკავშირებით საინტერესოა იოანე ბატონიშვილის ცნობა, რომ იგი იყო აღათონის ძე, კახი ქორიკოზების ჩამომავალი და გვაროვნობით სააკ ბაგრატიონთან დაკავშირებული [41, 661ბ]. ეს ხომ არ გაიხადა ბაკურციხელმა თავისი ამბიციების საფუძვლად, მით უმეტეს უმეფობის ხანაში, როცა „არღარავინ იპოვებოდა ნათესავი მეფეთა“?! თუმცა, საიდანაა აღებული იოანე ბატონიშვილის ეს ცნობა, ჩვენთვის უცნობია, ამიტომ მისი გათვალისწინება საფრთხილოა და სხვა ცნობებთან შეჯერების გარეშე ვერ გავიზიარებთ.

აქვე უნდა შევჩერდეთ ერთ მოსაზრებაზე, რომელიც ბაგრატიონთა სახლში განაყოფთა და საგვარეულო განშტოებათა წარმოშობას ეხება: ლაპარაკია ე.წ. „ხორნაბუჯელ ბაგრატიონებზე“ , რომელთა თითქოს „განაყარნი არიან ჰერეთელი ბაგრატიონები“ [313, 76]; ავტორის აზრით, XII საუკუნემდე ხორნაბუჯელი მმართველები კვლავ ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენლები არიან, ხოლო XII საუკუნიდან ჰერეთის ბაგრატიონები რამდენიმე გვარად გაიყვნენ, რომელთაგანაც წარმოიშვა გრიგოლისძეთა და მახატლისძეთა საგვარეულოები — მათ მკვლევარი „ბაგრატიონთა ჩამომავლებს“ უწოდებს [313, 77, 83]. ლ. ტუხაშვილი ეყრდნობა პ. ინგოროყვას მოსაზრებებს ე.წ. აღმოსავლეთ-

ჰერეთის მეფეთა, ჰერეთის ერისთავთა და გრიგოლის ძეთა ბაგრატიონობის, ანუ ჰერეთის ბაგრატიონთა შტოს შესახებ [225, 112..., 164..., 528]. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც სიფრთხილეა საჭირო, ისტორიულ წყაროებში აღნიშნულ მოსაზრებათა დამადასტურებელი არგუმენტები არ ჩანს, მათ ბაგრატიონთა საგვარეულოსთან კავშირი არა აქვთ.

საბოლოოდ აღსანიშნავია, რომ XIII საუკუნის ტეხილმა საქართველოში გზა გახსნა „ჩიხისაკენ" („ჩიხის" შესახებ სპეციალურად ვჩერდებით) — მის ერთ-ერთ მთავარ გამოხატულებად სამეფო ტახტის დასუსტება, დიდებულთა განდიდება-„გაკელმწიფება" და „მედროვეთა" ხანა იქცა. მიმდინარეობს მეფის ერთგულთა გადაბირების პროცესი შეწყალების საშუალებით — ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით, ეს შეწყალება ქართული ფეოდალური სისტემის სწორედ ის აქილევსის ქუსლი იყო, რომელსაც მონღოლებმა კარგად მიაგნეს [176, 88]. ფეოდალური სეპარატიზმი სამეფო საგვარეულოშიც აღწევს, რომლის მთავარი მოქმედი პირნი ბაგრატიონთა მომრავლებული გვერდითი შტოს წარმომადგენელნი არიან. ასეთ ვითარებაში წარმოიშვა ფეოდალთა ისეთი ფართო წრე, რომელთა სახითაც ამ ბაგრატიონებს სოციალური საყრდენი — ვასალთა ფენა უჩნდება. ამდენად, თანდათან ისახება საფუძვლები მომავალში საგვარეულო განშტოებათა არსებობისათვის.

§1. საუფლისწულო XIII საუკუნის საქართველოში

საუფლისწულო სამეფო სახლის საერთო-სახასო ქონებიდან გამოყოფილი წილხვდომილი სამფლობელოა, რომელიც მეფის უფროს ძეს — უფლისწულს გადაეცემოდა. თავდაპირველად, უფლისწულის საკუთრებად საუფლისწულოდ გადაცემული ყმა-მამულიდან მიღებული შემოსავალი ითვლებოდა. რაც შეეხება საუფლისწულოს თვითონ ყმა-მამულს, იგი სამეფო სახლის საერთო საკუთრებად რჩებოდა. სახელმწიფოებრივი განვითარების ამ ეტაპზე უფლისწულს მამულისა და მასზე მცხოვრებ ყმა-ვასალთა განკარგვა-გასხვისების უფლება არა აქვს. ერთიანი სამეფოს ძლერების ხანაში საუფლისწულო არ სარგებლობს ადმინისტრაციული, სასამართლო თუ საგადასახადო იმუნიტეტით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ საუფლისწულო დომენის გამგე-

ბლობაში მეფის სავაზირო (უხუცესი ვეზირები) იღებს მონაწილეობას [286, 47]. ქვეყნის ცენტრის დასუსტების პარალელურად, უფლისწული მის სამფლობელოდ გადაცემულ ტერიტორიაზე იმუნიტეტის მოპოვებისა და მემკვიდრეობით საკუთრებად ქცევისათვის იბრძვის და შემდეგ ეტაპზე (როგორც ქვევით ვნახავთ) კიდეც აღწევს ამას.

უფროსი ძის — უფლისწულის სამფლობელო მამულის რაობა და თვით უფლისწულის სტატუსი პირდაპირ კავშირშია სამეფო ტახტის მემკვიდრეობის საკითხთან. ფეოდალურ საქართველოში ტახტის მონაცვლეობის არჩევითობის (გერმანიის იმპერია, პოლონეთი) საპირისპიროდ, მემკვიდრეობითი პრინციპი მოქმედებს. როგორც ცნობილია, ერთი პირის მიერ ტახტის მიღების რამდენიმე წესი არსებობდა: სენიორატი — ტახტს იღებდა სამეფო გვარის ასაკით უხუცესი წარმომადგენელი; მაიორატი — სამეფო ტახტი ეკუთვნოდა უკანასკნელი მეფის უახლოეს უხუცეს ნათესავს; პირმშოობა — ტახტი გადადიოდა უფროს შვილზე და ა.შ. [302, 59].

საქართველოში მესამე პრინციპი მოქმედებს (საინტერესოდ დაისვა ეს საკითხი ერეკლეს ხანაში, რაზეც სპეციალურად შევჩერდებით), თუმცა შეიქმნა თუ არა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის რიგის დამაკანონებელი სპეციალური დოკუმენტი, არ ჩანს. ერთი რამ უდავოა, რომ ფეოდალურ საქართველოში უფროს ვაჟზე ტახტის მემკვიდრეობით გადაცემის წესი ფუნქციონირებს, იგი ისტორიულ ტრადიციადაა ქცეული და მტკიცედ იცავენ — საკმარისია გავიხსენოთ რა მოჰყვა ამ პრინციპიდან გადახრას, კერძოდ, დემნა ბატონიშვილის აჯანყება...

ერთიანი ქართული სამეფოს მეფეები, გამონაკლისის გარდა, ცდილობენ ტახტის უფროსი ვაჟისათვის გადაცემის ტრადიციის (მემკვიდრეობითი პრინციპის) დაკანონებას და ამიტომ თავის მემკვიდრეებს სიცოცხლეშივე თავიანთ თანამოსაყდრეებად აცხადებენ. მეფედ კურთხევის საკითხში ფეოდალურ არისტოკრატიას დიდი უფლებები ეკუთვნოდა, რაც საქართველოს „თუთმპყრობელი“ —ავტოკრატორი მეფისათვის უკვე მიუღებელია, ამიტომ ისინი ამ „გადმონაშთის“ ლიკვიდაციის მიზნით თავიანთ უფროს ძეებს სიცოცხლეშივე თანამოსაყდრე-მეფედ აკურთხებენ [251, 258] (მაგ., გიორგი II — დავით IV აღმაშენებელი, დავით IV — დემეტრე I, გიორგი III — თამარი...). საუფლისწულოც, ბუნებრივია, შესაბამის ნიშან—თვისებებს იძენს; ამას ემატება XII-XIII-

საუკუნეების მიჯნაზე წარმოქმნილი ზემოგანხილული ვითარება და საგარეო ფაქტორის განსაკუთრებული გამწვავება XIII საუკუნეში.

XIII საუკუნის საქართველოში საუფლისწულოს ისტორია ლაშა-გიორგის უფლისწულობით იწყება, მონღოლობის პერიოდში იგი თავისებურ სახეს იღებს, დაბოლოს, თანამოსაყდრეობის „პროვინციის მეფობაში“ გადაზრდასაც კი აქვს ადგილი (იხ. ქვევით).

XIII საუკუნის საუფლისწულოს ისტორიაში ცენტრალურ ადგილს ქვემო ქართლისა და საქართველოს სამხრეთ ტერიტორიების სტატუსის საკითხი იკავებს, განსაკუთრებით — თრიალეთი და ჯავახეთი. ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ თრიალეთისა და ჯავახეთის ნაწილი XII საუკუნის ბოლოდან, ვიდრე XIV საუკუნემდე სამეფო დომენია — ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილი „ქელიანი“ სტელები მოწმობენ, რომ ეს მხარე გარკვეული პერიოდი საუფლისწულო დომენის სტატუსში იმყოფება [324, 56, 57; 286, 46]. აღსანიშნავია, რომ არჩევანი შემთხვევითი არაა, ამ რეგიონის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ისტორიულ-გეოგრაფიული მნიშვნელობიდან გამომდინარე (ჯერ კიდევ საქართველოს გაერთიანების პროცესის საწყისი ეტაპიდან).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ თრიალეთ-ჯავახეთში გავრცელებული „ქელიანი“ სტელები (ყველა მათგანზე ერთი საერთო ნიშანი — გაშლილი ხელის მტევანია გამოსახული, რომელიც ძალაუფლების სიმბოლოს წარმოადგენს; სამ სტელაზე გამოკვეთილია ემბლემა, რაც ბაგრატიონთა სამეფო და საგვარეულო ნიშანი უნდა იყოს) იმ დროს ჩნდება, როცა ეს მხარე სამეფო დომენია და ქრება მას შემდეგ, რაც აღნიშნული ტერიტორია სამეფო დომენიდან „პროვინციულ სამეფოდ“ იქცა [331, 93]. ჩვენი აზრით, აქ ქრონოლოგიურ შეუსაბამობას აქვს ადგილი და, რაც მთავარია, მიზეზიც სხვაგანაა საძებარი: „ქელიანი“ სტელების გაქრობა დავით ულუს მეფობის პერიოდზე მოდის, „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის წარმოშობა კი თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის შემდეგ, XIV საუკუნის დამდეგისათვის ხდება. ამდენად, იგი „ქელიანი“ სტელების გაქრობის მიზეზი ვერ გახდებოდა. ვფიქრობთ, რომ ეს მომენტი მონღოლთა დამპყრობლური პოლიტიკიდან უნდა აიხსნას: „ქელიანი“ სტელები და ქართული ფეოდალური მიწათმფლობელობა უშუალო კავშირშია, მონღოლები კი სწორედ ამ სისტე-

მის მოშლას ცდილობენ; ისინი XIII საუკუნის შუა და მეორე ნახევრიდან აღარ თვლიან საჭიროდ და აღარც უშვებენ ასეთი ქართული იურიდიული ინსტიტუტის ფუნქციონირების შესაძლებლობას. მათი გაქრობა საბოლოოდ ჰულაგუიანების მიერ უნდა ხდებოდეს. ამდენად, „ქელიანი“ სტელები მონღოლებმა გააუქმეს და არა „პროვინციის მეფეებმა“.

ლაშა-გიორგის საუფლისწულო მამული საქართველოს სამხრეთ რეგიონში – თრიალეთსა და ჯავახეთში მდებარეობდა. როგორც ცნობილია, მისი ამ მხრისადმი „განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე“ მეტყველებენ ბარალეთის ეკლესიის, ლაშა-გიორგის „ქელის“ (გუნია-ყალის წარწერა), თამარისა და ლაშას „ქელის“ (პრტენას) წარწერები [286, 20,30,107][1]. საინტერესოა, რომ გუნია-ყალის წარწერაში, რომელიც თანამოსაყდრეობის ხანას ეკუთვნის, თამართან ერთად გიორგიც მოიხსენიება, მაგრამ წარწერას არა თამარი, არამედ ლაშა-გიორგი ამტკიცებს. ახსნა შეიძლება ასეთი იყოს: გუნია-ყალა ლაშა-გიორგის საუფლისწულოში შედის, მეფე უფლისწული კი თანამოსაყდრეობის ხანაში ამ პროვინციისათვის „უფალიც“ არის; ამიტომ თავის საუფლისწულო ტერიტორიაზე „ქელის“ დამსნელად სწორედ იგი აღინიშნა. ლაშას საუფლისწულოს შესასწავლად მეორე მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა გიორგი IV სახელით მოჭრილი მონეტა და მასზე გაკეთებული ზედწერილი: „ქ. გიორგი მეფისა, თამარის ძისასა, ჯავახთ უფლისა“ [240, 51; 379, 99]. მონეტაზე მხოლოდ გიორგის მეფობაა აღნიშნული, რაც იმაზე ლაპარ-

---

[1] 1998 წლის სექტემბერში მათ დაემატა ლაშას ახალი „ქელი“, რომელსაც, აღმოჩენის ადგილის მიხედვით, ზრესკის ლაშა-გიორგის „ქელი“ შეიძლება ეუწოდოთ. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდისა და სოროსის ფონდის მიერ დაფინანსებულმა ექსპედიციის წევრებმა 1998 წლის 2 სექტემბერს კუმურდოდან ახალქალაქის მიმართულებით მიმავალ გზაზე ზრესკის ტბის პირას აშენებული ახალი სომხური ნიშის დათვალიერებისას, მის ცენტრში ოდნავ შეღრმავებულ თალოან სიბრტყეზე, „დიდი „ქელის“ გამოსახულება აღმოჩინეს. ამ ადგილას მლოცველები სანთლებს ანთებენ, ამიტომ „ქელის“ გამოსახულება ძნელი შესამჩნევია. „ქელის“ ზემოთ (ზედა სიბრტყეში) ცენტრში ფეხიანი ჯვარია ამოკვეთილი: მის მარცხნივ – ექვსქიმიანი ვარსკვლავი, ხოლო მარჯვნივ – ვარდული. „ქელის“ მარჯვნივ ძნელად გასარჩევი ასომთავრული წარწერაა, სადაც იკითხება: „სახელითა ღეთისაითა... თამარის ძისა გიორგის „ქელი“. ზრესკის „ქელის“ აღმოჩენა კიდევ ერთი დადასტურებაა, რომ ეს ადგილები ლაშა-გიორგის საუფლისწულო მამულებს წარმოადგენდა (იხ. დ. ნინიძე, საუფლისშულო XIII ს. საქართველოში, „საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიატ ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები“, I, თბ., 1999).

აკობს, რომ მისი ემისია თამარის გარდაცვალების შემდეგ ხდება; საქართველოს მეფის ასეთი ტიტულით მოხსენიება ადასტურებს, რომ ჯავახეთი ლაშა-გიორგისათვის განსაკუთრებულ პროვინციას წარმოადგენს, ამიტომ, როგორც ჩანს, მისი ერთმეფედ დაჯდომა საქართველოს ამ სამხრეთ რეგიონში ასეთი სახით სპეციალურად აღუნიშნავთ — საქართველოს მეფე ხომ აქ „განსაკუთრებით ჯავახეთუფალიც" იყო (173,146). რატომ მაინცადამაინც ჯავახეთი — „ჯავახეთ უფალი", როცა მის საუფლისწულოში ისეთი მნიშვნელოვანი პროვინციაც შედის, როგორიც თრიალეთია?

განსაკუთრებულ ინტერესს ლაშა-გიორგის ზედწოდება — „ალასტანელი" იწვევს. იგი დასტურდება ისტორიულ ქრონიკაში — „მოკლე ცნობები" [224, 65] და „ქართლის ცხოვრების" ბარათაშვილისეულ და ბროსესეულ ნუსხებში [120, 622 — შენ. 7]. ზედწოდება „ალასტანელი" იმის მიმანიშნებელია, რომ ლაშას საუფლისწულო დომენის ცენტრი და მისი რეზიდენცია სოფელ ალასტანში მდებარეობს [264; 281]. ალასტანი ადრევე ხვდება სამეფო სახლის ყურადღების არეში — აქ საზაფხულო სამეფო სადგომი უნდა ყოფილიყო დლივის, ღრტილას, ბოჯანოს მსგავსად; ცნობილია, რომ მეფეები მათ დროებით სადგომად თვლიდნენ, სადაც ხანგრძლივად დარჩენა მიზანშეწონილი არ იყო [189, 113]. XIII საუკუნის დამდეგისათვის ალასტანი საუფლისწულო მამულში შედის და მის ცენტრს წარმოადგენს. გამოდის, რომ ამ რეგიონის სხვა მნიშვნელოვან სოფელთა შორის (ღრტილა, ბარალეთი, გოკია...) დაწინაურებულა ალასტანი, რომელიც, როგორც ჩანს, ყველაზე უფრო აკმაყოფილებდა ლაშა-გიორგის საუფლისწულო რეზიდენციისათვის საჭირო მოთხოვნილებებს. ლაშას საუფლისწულოში, მართალია, თრიალეთიც შედის, მაგრამ რადგან მისი რეზიდენცია ჯავახეთში მდებარე ალასტანია, ამიტომ „ალასტანელად" იწოდა და თრიალეთის ფლობის მიუხედავად, განსაკუთრებით „ჯავახთ უფლობითაც" იმიტომ აღინიშნა. ალასტანის მნიშვნელობაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ცნობილია „ალასტანელი" ტიტულის მატარებელი სამეფო გვარის სხვა წარმომადგენელიც — გიორგი ალასტანელი (1354-1373); ისიც საყურადღებოა, რომ „ალასტანელებს" „პროვინციის მეფეთა" (მათ შესახებ იხ. ქვევით) შორის გამორჩეული

ადგილი უკავიათ. ამიტომაა, რომ აკად. ნ. ბერძენიშვილი „ალასტანელებს“ სეპარატისტული ინსტიტუტის სხვადასხვა წარმომადგენელთა აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად თუ სინონიმად ხმარობს [174, 133].

ლაშა-გიორგის მონეტა წარწერით „ჯავახთ უფალი“ არ აღემატება რამდენიმე ათეულ ცალს. ისინი ნაპოვნია ჯავახეთის ახალქალაქში, ახალციხეში, დმანისში, ე.ი. მისი გავრცელების გეოგრაფია ლაშას საუფლისწულო ტერიტორიებს ძირითადად არ სცილდება. დგება ასეთი საკითხი: მონეტის ეს ტიპი ხომ არ მოიჭრა უშუალუდ ლაშა-გიორგის საუფლისწულოში?! ფაქტია, რომ მისი ემისია ისეთ მნიშვნელოვან მოვლენასთანაა დაკავშირებული, როგორიც „ჯავახთ უფლის“, უფლისწული ლაშა „ალასტანელის“ საქართველოს სამეფო ტახტზე ერთმეფედ კურთხევაა. უნდა გავიხსენოთ, რომ ღირსშესანიშნავ თარიღებთან თუ მოვლენებთან დაკავშირებით მონეტის მოჭრა ცნობილი და გავრცელებული მოვლენა იყო. ვფიქრობთ, ამ პერიოდის ჯავახეთში ზარაფხანის არსებობა მოულოდნელი არ უნდა იყოს. თ. ლომოური თბილისისა და დმანისის გარდა, XIII საუკუნის დამლევსა და XIV საუკუნის დასაწყისში ზარაფხანის არსებობას ახალციხეშიც აღნიშნავს [248, 213-216]; დ.კაპანაძის მიხედვით, ზარაფხანები უნდა ყოფილიყო არა მარტო თბილისში, დმანისსა და ახალციხეში, არამედ ქვეყნის სხვა კუთხეებშიც – ქუთაისში, ოდიშში; ნუმიზმატთა აზრით, მონიტების ემისიას ე.წ. ლიხთ-იქითის „მეფენიც“ ეწეოდნენ, ფულის ჭრის ტრადიცია ინერგება კახეთშიც [237, 156]. ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლაშა-გიორგის მონეტა ზედწერილით „ჯავახთ უფალი“ იჭრება ჯავახეთში არსებულ ზარაფხანაში, თუნდაც ალასტანში, სადაც ლაშა „ალასტანელი“ განსაკუთრებით „ჯავახთა უფალი“ და მეფე-უფლისწულია. საინტერესოა, რომ შემდგომ პერიოდში მონღოლთაგან განმდგარმა დავით VIII გამოიყენა XIII საუკუნის ალასტანის საუფლისწულო სტატუსი, მისი პოლიტიკური და ისტორიულ-გეოგრაფიული იზოლირებულობა და, როგორც უკვე ვვარაუდობდით, ალასტანში, ზარაფხანის მოწყობის შემდეგ, მონეტა მოჭრა [281, 37]; მით უმეტეს უნდა გავითვალისწინოთ, რომ მონღოლთა ხანაში მუდმივი, სტაციონარული ზარაფხანების გარდა „მოძრავი ზარაფხანებიც“ არსებობდა [240, 120].

შესაძლებელია, ამ შემთხვევაში გათვალისწინებულიც კი იქნა ლაშას ხანაში აქ ზარაფხანის არსებობის ისტორიული ტრადიცია.

ჩვენი აზრით, ამ კუთხითვე უნდა მივუდგეთ 1206 წლის ჰორომაირის სომხურ წარწერაში ლაშას მეფედ მოხსენიებას — ეს წარწერაც თანამოსაყდრეობის ხანას განეკუთვნება, ამიტომ თამარის არ აღნიშვნა განმარტებას საჭიროებს. წარწერის დასაწყისი ასე იკითხება: „წელსა 655 (1206) მეფობასა ლაშასი და ამირსპასალარობასა ზაქარესი და ძესა მისისა შაჰინშაჰის და ძმისა მისისა ივანესი...“ [258, 326]. ეს ის პერიოდია, როცა ისტორიული სომხეთი საქართველოს სამეფოს შემადგენელი, ორგანული ნაწილია, ამიტომ ლაშას საუფლისწულოში საქართველოს სამხრეთი მიწების გარდა სომხური პროვინციების ყოფნაცაა სავარაუდო; მით უმეტეს, როგორც ქვევით დავინახავთ, შემდგომ ქართველ უფლისწულებს სწორედ ასეთი მფლობელობა ჰქონდათ ისტორიული სომხეთის არცთუ ისე პატარა ტერიტორიაზე. ასეთ ვითარებაში, გასაგებია, ლაშას საუფლისწულო სამფლობელოში გაკეთებულ თანამოსაყდრეობის პერიოდის წარწერაში (1206 წ.) მეფე-უფლისწულის მეფედ მოხსენიება; უფლისწული ლაშა ხომ აქ „უფალიც“ არის. წარწერა ადასტურებს საქართველოს უფლისწულის მფლობელობის გავრცელების ფაქტს ისტორიული სომხეთის აღნიშნულ რეგიონში.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ვარძიასთან ანანაურის ეკლესიის დასავლეთის სათავსის კედელზე მოთავსებული მეფედ კურთხევის სცენა; ითვალისწინებენ რა ლაშა-გიორგის ასეთ „განსაკუთრებულ დამოკიდებულებას“ ჯავახეთისადმი, ფიქრობენ, რომ შესაძლებელია აქ ლაშა-გიორგის მეფედ კურთხევის სცენა იყოს გამოსახული. ისიც გასათვალისწინებელია, რომ გიორგი IV ლაშას, ერთმეფედ გახდომის შემდეგ, მეფედ კურთხევის გამოსახვა სწორედ ჯავახეთში, ვარძიის სამეფო მონასტერთან, მისი სახელოვანი წინაპრების, დედის — თამარისა და პაპის — გიორგი III პორტრეტების სიახლოვეს არის მოსალოდნელი [243; 244; 369, 68-69].

---

[1] შ. დარჩიაშვილისეული წაკითხვა: „ოწე“ (1206). მეფობასა ლაშასი, ამირსპასალარობასა ზაქარიასი და მისი ძის შაჰანშაჰისა, მისი ძმის ჰოვჰანესისა“... იხ. შ. დარჩიაშვილი, XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს ქრონოლოგიის საკითხისათვის, „მნათობი“, 2, 1975, გვ. 154.

წოდებულება „ალასტანელისა“ და „ჯავახეთის უფლის“ შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში ახალი მოსაზრება გამოითქვა: დავით სოსლანს საქართველოში თითქოს გამოეყო საგანგებო ტერიტორია — ჯავახეთი, რომელიც ლაშა-გიორგის დაბადების შემდეგ ტახტის მემკვიდრის მამულად იქცა [313, 63]; ასევე აღნიშნულია, რომ ეფრემიან-ბაგრატიონთა, ეფრემისძეთა საგვარეულოს უნდა უკავშირდებოდეს ლაშა-გიორგის წოდება „ალასტანელი“ და ჯავახეთში აგებული ციხე-სიმაგრე „ალასტანი“ [313, 45]; ბოლოს კი ასეთი დასკვნა კეთდება: არ არის გამორიცხული ტიტული „ჯავახთ-უაფალი“, რომლითაც ლაშა-გიორგი მოიხსენიება, პირველად დავით სოსლანს ეწოდა — „პირველი „ჯავახთ უფალი“ იყო სწორედ დავით სოსლანი, ხოლო რეზიდენციის სახელი ალასტანი უნდა მოდიოდეს ალანისტანიდან“ [313, 63]. ვფიქრობთ, ზემომოყვანილი ვითარება და ისტორიული მასალა ამ ვარაუდთა საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს. განვიხილოთ ლ. ტუხაშვილის მიერ მოტანილი არგუმენტები: „ასეთ დაშვებას აადვილებს ისიც, რომ ლაშა-გიორგის ჰქვია არა „ალასტანელი“, არამედ „ალასტანელის შვილი“ [313, 63]. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ისტორიულ წყაროში დაცული ცნობები არ არის სწორად გაგებული — სწორედ ლაშა-გიორგი იწოდება „ალასტანელად“ და არა დავით სოსლანი, რაც თავისთავად საფუძველს აცლის განსახილველ მოსაზრებას; საუბარია XVIII საუკუნის I ნახევრის ძალზე საინტერესო ისტორიულ ქრონიკაზე, რომელსაც ე. თაყაიშვილმა უწოდა — „მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან“, სადაც აღნიშნულის საპირისპიროდ ვკითხულობთ: რუსუდანის გარდაცვალების შემდგომ (ამას ყურადღება უნდა მივაქციოთ, საუბარია რუსუდანის მომდევნო პერიოდზე) ხანაში — „ამ დროს ალასტანელისა შვილი დავით (დავით ულუ, — დ.ნ.) მეფე მოვიდა ყაენის წინაშე მეფობის გამოსათხოვნელად. და ვიდრე იქით მოუბრუნდებოდა, მოუხდეს თათარნი და სრულიად სამცხის სახლნი გარდავლნეს“ [224, 65]. როგორც ვხედავთ, პირიქით, „ალასტანელი“ აქ ლაშა-გიორგია (ასე გაიგო ამ ისტორიული წყაროს ყველა შემსწავლელმა [342,127]) და არა დავით სოსლანი. არსად, არც ერთ წყაროში დავით სოსლანი „ალასტანელად“ არ იწოდება, შესაბამისად, მას ვერც პირველ „ჯავახთ უფლად“ ჩავთვლით; ამდენად, აღნიშნულ მოსაზრებას საფუძველი ეცლება. რაც შეეხება „ციხესიმაგრე ალასტანის“

აგების ფაქტის დავით სოსლანთან დაკავშირებას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს აზრიც აშკარა შეუსაბამობას შეიცავს: ალასტანი უფრო ადრეა წარმოქმნილი და დაწინაურებული, ვიდრე დავით სოსლანის მოღვაწეობის ხანაა; იგი, როგორც აღინიშნა, მანამდე სამეფო სადგომიც კი უნდა ყოფილიყო დლივთან, ღრტილასთან და ბოჟანოსთან ერთად. ასევე ხაზგასასმელია, რომ ალასტანის ეკლესია X-XI საუკუნეებით თარიღდება, რომელმაც საინტერესო წარწერებიც შემოინახა; ვ. სილოგავას მიხედვით, პალეოგრაფიული ნიშნებიც მათი ამ პერიოდით დათარიღებას უჭერს მხარს, ანუ ეკლესიის აგების თანადროულნი ჩანან და ნუსხურით შესრულებულ უადრეს წარწერებს წარმოადგენენ [304, 171]. ამდენად, ალასტანი – ასეთი სახელწოდების პუნქტი ჯავახეთში დავით სოსლანამდეც არსებობდა, ამიტომ, ბუნებრივია, უფრო ადრე არსებულ და დაწინაურებულ „ალასტანს" შემდგომ ხანაში მოღვაწე დავით სოსლანის გამო აღნიშნული სახელი ვერ შეერქმეოდა.

აქვე უნდა შევეხოთ მეორე მოსაზრებასაც: ალასტანში „-სტან" სუფიქსის არსებობა მკვლევართ აფიქრებინებთ, რომ იგი („მხარე", „ქვეყანა") სატომო-ეთნიკურ სახელს „ალანს" დაერთო, ხოლო ალასტანი „ალანსტანიდან" უნდა იყოს მიღებული; დასკვნა ასეთი კეთდება: ქართული ისტორიული ტრადიცია ალანებად იცნობს ზოგადად ჩრდილოკავკასიელ ხალხს, ალანის ცნებაში „ოვსნი" კი არ უნდა იგულისხმებოდეს მხოლოდ, არამედ მთლიანად ჩრდილო ირანელნიც (ალანები როგორც სპარსული მოდგმის ტომი), ამიტომ სამხრეთ საქართველოს ტოპონიმიკაში დადასტურებული „ალანი" კონკრეტულად სატომო-ეთნიკური სახელი „ოსი" კი არ არის, არამედ ზოგადად ჩრდილოირანელი [196, 24, 27]. ჩვენი აზრით, „ალასტანში" ამოსავალია არა „ალან", არამედ „ალა", რომელიც ძველი ფორმა ჩანს და შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც – დიდებული, მაღალი, ბრწყინვალე მხარე; მისი წარმოშობა არაბთა ან თურქ-სელჩუკთა შემოსევებსა და მათ ბატონობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. თუ ეს მოსაზრება სინამდვილესთან ახლოსაა, მაშინ ტოპონიმ „ალა" – „სტანში" ხაზი ესმება, რომ აღნიშნული რეგიონი ძალიან კარგი, დიდებული, ლამაზი მხარეა. ამდენად, ჩვენი აზრით, ფიზიკურ-გეოგრაფიული და ხელსაყრალი სამეურნეო ფაქტორის შედეგად ჯავახეთის ერთ-ერთ მხარეს „ალა-სტანი" ეწოდა.

იმაში, რომ ამ რეგიონისათვის კარგი, დიდებული, მაღალი მხარე ეწოდებინათ, ვფიქრობთ, არაფერია მოულოდნელი. მისი დაწინაურებულობის შესახებ არაერთი ისტორიული ცნობა თუ არგუმენტი არსებობს: სამეფო სადგომების სიმრავლაზე (ბოჟანოს სადგომი თამარის დროს ვარძიით იცვლება) [195, 100] უკვე იყო საუბარი (აღვნიშნეთ ალასტანის ეკლესიის სიძველეც); ამავე დროს, ეს რეგიონი მნიშვნელოვან გზასაყარს წარმოადგენს, რომელზეც ძველი ისტორიული გზები გადის; აქ წარმოიქმნა დაწინაურებული საკაჭრო-ეკონომიკური პუნქტი-ბარალეთი; საერთოდ, არაერთი ნაშთია ჩვენამდე მოღწეული, რომელიც ადასტურებს ადრეფეოდალური ხანიდან ამ ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-გეოგრაფიული პუნქტების დაწინაურებულობასა და ცხოვრების განვითარებულ დონეს.

ლაშა-გიორგის დროს, რა თქმა უნდა, ის „ალასტანელობა" არ იგულისხმება, რომელიც XIV საუკუნიდან განვითარდა. ჯავახეთის განკუთვნება საუფლისწულო მამულად იყო საფუძველი, რომელზედაც mutatis mutantis შემდეგდროინდელი „ალასტანელობა" წარმოიქმნა" [174, 147]. როგორც გაირკვა, ერთ-ერთი პირველი ფაქტორი, რამაც XIV საუკუნის დამდეგს ალასტანელ „პროვინციის მეფეთა" შტოს წარმოქმნას შეუწყო ხელი, არის XII საუკუნის ბოლოდან ჯავახეთ-თრიალეთის ლაშა-გიორგისათვის საუფლისწულო მამულად გადაცემა [281, 48...; 274, 175...].

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ თამარის დროს ჯავახეთი სამ ნაწილად იყოფოდა: 1) სამეფო დომენი, 2) საერისთავო (ახალქალაქის საერისთავო) და 3) ფეოდალური მამული (თმოგვი, წუნდა) [286, 47]; ასევე დადასტურებულად ითვლება, რომ ლაშას ერთმეფობამდე თრიალეთ-ჯავახეთის გარკვეული ტერიტორია საუფლისწულო მამულია, რომელიც მან ერთმეფობის ხანიდან სამეფო დომენად აქცია. საუფლისწულოს დიდი ნაწილი მართლაც სამეფო დომენი უნდა გამხდარიყო, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს არ ვრცელდება ალასტანსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. მთავარი არგუმენტი, რომ ყოფილი საუფლისწულო მამული სამეფო დომენი გახდა, ამ რეგიონში მეფეთა „ქელიანი" სტელების აღმოჩენაა — მხედველობაშია, რუსუდანის „ქელი" (არხოტისა და დიდი თონეთის წარწერა) და მეფეთ-მეფის დავით ულუს „ქელი" (საღამოს წარწერა). ეს „ქე-

ლიანი“ სტელები უდავოდ მიუთითებენ საუფლისწულო მამულის სამეფო დომენად გადაქცევის შესახებ, რაც შეეხება ალასტანსა და მის „მიკროქვეყანას“, აქ ასეთი სტელები არ დასტურდება. ამდენად, რუსუდანისა და დავით-ულუს „ქელიანი“ სტელები არ ეწინააღმდეგება ჩვენს მოსაზრებას ლაშას ერთმეფობის შემდეგაც ამ რეგიონის საუფლისწულო მამულად დატოვების შესახებ. თვით ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ლაშა-გიორგიმ თავის ყოფილ ცოლსა და უკანონო შვილს სასახლიდან წასვლის შემდეგ „ალასტანი მისცა და უანდერძა საკუთრებად და სარჩომად“ [342, 127]; რაც შეეხება დავით-ულუს „ალასტანელის შვილად“ მოხსენიებას, დიდი ისტორიკოსი ასეთ ვარაუდს გამოთქვამს: „... იქნებ ასეთი სახელი დავით ლაშას ძეს იმიტომ დაერქვა, რომ დედას სასახლითგან წაგვრის შემდგომ ალასტანი მისცეს საცხოვრებლად, ან იქნებ თითონ ალასტანელი ქალიშვილი იყო ჩამომავლობით და ველისციხეში მხოლოდ გათხოვილი იყო“ [342, 127]. ამ მსჯელობიდან გამომდინარე, ს. ყაუხჩიშვილიც თვლის, რომ ალასტანი შეიძლება ჩაითვალოს დავით ლაშას ძის დედისათვის გადაცემულ სამფლობელოდ.[1]

ლაშა-გიორგის უკანონო ცოლის სამფლობელოს შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ შემავალ „ისტორია ქართლისაში“: ლაშა-გიორგის უკანონო ცოლი მოხსენიებულია, როგორც „გაღარიბებულთა და ძველთა თავადთა კლდეკარის ერისთავთა გუარისა მოწობლიძეთა მონათესავეთაგანნი“ და „აწ გლეხად მცხოვრები“, რომლისათვისაც მეფეს მამულები თიანეთში მიუცია, სადაც თითქოს ცხოვრობდა კიდეც; მას დაუმშვიდებია „არეულობა მთასა მას შინა“ და იქვე გარდაცვლილა, რის გამოც ლაშა „იქმა დიდად მწუხარე და მივიდა თიანეთს და ბრძანა დამარხვა მისი ხარჭოჲს ეკლესიასა შინა 1207; აგვისტოს 20“ [239, 294]. ამ ცნობებზე დაყრდნობით ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლაშას ცოლი და შვილი — დავითი თიანეთში ყოფილან დამკვიდრებულნი, ხოლო რადგან ეს ქალი უკანონო ცოლია და ხარჭას უწოდებენ, მისი საცხოვრებლის ერთ-ერთ მთავარ პუნქტს ხარჭაშანი ანუ ხარჭის სამკვიდრებელი ეწოდა, სალოცავს კი მისი იქ

[1] იხ. ყაუხჩიშვილის შენიშვნა — „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, გვ.632.

დაკრძალვის გამო „ხარჭოჲს ეკლესია“ [254, 83]. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იოანე ბატონიშვილის ეს ცნობები ძირითადად ადგილობრივ თქმულებებსა და გადმოცემებს ეყრდნობა, ამიტომ მათი სანდოობა ყოველმხრივ უნდა შემოწმდეს. ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, რომ ლაშა-გიორგის უკანონო ცოლი მართლაც შეიძლება არ გადაეყვანა ალასტანში (როგორც ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს), მით უმეტეს არსებობს ჟამთააღმწერელის პირდაპირი მითითება: „ამისათჳს წარგუარეს ქალი იგი, დედა დავითისი, და ქმარსავე მისსა მისცე“ ველისციხეს [103, 156]. რაც შეეხება ლაშას შვილის — დავითის სამფლობელოს, იგივე საუფლოსწულოს, იგი ჯავახეთში უნდა მდებარეობდეს; გიორგი IV ლაშას ეს ტერიტორია ერთმეფობის ხანაში თავისი ყოფილი საუფლისწულოდან უნდა გადაეცა „პირმშო“ ვაჟისათვის.

ყველაზე საინტერესო ცნობა ამ საკითხთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, პლანო კარპინთანაა დაცული — „ამ უკანონო ვაჟს (დავით ულუს, — დ.ნ.) მამამისმა თავისი სამფლობელოს ერთი ნაწილი დაუტოვა“ [100, 37]. ჩვენი აზრით, დავითის საუფლისწულო მამული ჯავახეთის გარკვეული ნაწილია, კერძოდ, ლაშას სამფლობელოს ცენტრალური რეგიონი — ალასტანი და მისი მიმდებარე ტერიტორია. როგორც ჩანს, ჯავახეთის ამ ნაწილმა შეინარჩუნა ძველი სტატუსი, იგი ლაშა-გიორგის გადაწყვეტილებით არ იქცა სამეფო დომენად და საუფლისწულო მამულად იქნა დატოვებული. აქედან გამომდინარე, ალასტანის ჯავახეთის მამულებისაგან გარკვეულად განსხვავებულ პირობებში ყოფნამ, როგორც ჩანს, ერთგვარად ხელი შეუწყო ამ რეგიონის იზოლირებულობას სხვა მიწებისაგან. ამ მოსაზრებას ზურგს უნდა უმაგრებდეს ისიც, რომ ალასტანის „მიკროქვეყანა“, როგორც ჩანს, ლაშას უფლისწულობის შემდეგ, მთელი XIII საუკუნის მანძილზე საუფლისწულო მამულს წარმოადგენს და ამიტომ გამოცალკევებულია ჯავახეთის სხვა ტერიტორიებისაგან [281, 36..., 46...].

ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობებით ირკვევა, რომ XIII საუკუნის ქართველ უფლისწულებს მფლობელობა ძირითადად საქართველოს სამხრეთ ტერიტორიასა და ისტორიული სომხეთის გარკვეულ რეგიონზე აქვთ: ცნობილია, რომ დემეტრე ბატონიშვილი ორბელთა სახლში იზრდება — 1268 წლიდან, მისი უფროსი ძმის — გიორგი

უფლისწულის გარდაცვალების შემდეგ, ტახტის მემკვიდრე იგი ხდება; სტეფანოს ორბელიანის ცნობით, „ეზომ შეიყვარა იგი (სუმბატი, — დ.ნ.) მეფემან დავით (დავით ულუ, — დ.ნ.), რომელ სწორად თავისა თვისისა ხედვიდა მას, და მცირე იგი ყრმა დიმიტრი (თავდადებული, — დ.ნ.) მისცა კელთა მისთა შვილად მას“ [114, 97]. ამ მხარეშივე უნდა ვიგულისხმოთ მისი საუფლისწულო მამულიც.

დემეტრე თავდადებულის შვილებიც — დავით უფლისწული (დავით VIII) და მანუელ ბატონიშვილი ორბელებთან იზრდებიან: სტეფანოზ ორბელიანის ტექსტის პირველ რედაქციაში ვკითხულობთ —

მისცა კელთა მისთა ძენი თვისნი დავით და მანუელ აღორძინებად და დაცვად“ (მეორე რედაქციით: „... მიაბარა მას ყრმანი თჳსნი დავით და მანუელ აღზრდად და დაცვად მათთა“) [114, 104]; ჩვენი აზრით, ჯავახეთის აღნიშნული ტერიტორია — ძველ სტატუსს შენარჩუნებული ალასტანის საუფლისწულო „მიკროქვეყანა“, ახლა უკვე დავით უფლისწულის (დავით VIII) სამფლობელო მამულებში უნდა შედიოდეს; ჟამთააღმწერლის ცნობით, მისი საუფლისწულო ასევე სამცხის გარკვეულ ტერიტორიებსაც მოიცავს: „და წარავლინა ძე მისი დავით მცირე სახლსა ზედა ათაბაგისა, რათა მუნ იზრდებოდეს და აქუნდეს საუფლისწულოდ“ [103, 285]; სომხეთში მდებარე ავანის ეკლესიის 1285 წლის სომხურენოვანი წარწერით, დავითის როგორც უფლისწულის მფლობელობა უფრო სამხრეთითაც დასტურდება, კერძოდ, ისტორიულ სომხეთში, რომლის ტერიტორია ამ დროს საქართველოს სამეფოს შემადგენელ, ორგანულ ნაწილს წარმოადგენს — მოვიყვანთ წარწერის ტექსტის იმ ნაწილის ქართულ თარგმანს, რომელიც ამ ინფორმაციის შემცველია:

„წელსა ჩლდ (1285) ქვეყნის მპყრობელობაში მეფეთა მეფის არღუნის მეფობასა შინა, ქართველთა და სომეხთა [მეფისა] დემეტრესითა, მე დავით ძემან დემეტრე მეფისამან დავუტოვე ავანის ვენახების შარიათი ერთგულებისათვის მათთა...“ [152, 127].

„ქართველთა და სომეხთა მეფის“ — დემეტრე II თავდადებულის მეფობით სხვა არაერთი სომხური წარწერაცაა დათარიღებული — მაგ., გოშავანქის 1283 წლის, არუჭისა და მარძის 1285 წლის, სურბ-კირაკის 1286 წლის წარწერები; ასევეა ავანის წარწერის შემთხვევაშიც. ჩვენთვის განსაკუთრებით ის არის ხაზგასასმელი, რომ წყალო-

ბის მინიჭება — გადასახადებისაგან გათავისუფლება დემეტრე თავდადებულის ძის — დავითის მიერ ხდება, რომელიც ამ პერიოდში ჯერ კიდევ უფლისწულია. XIII საუკუნეში ქართველი უფლისწულების საქართველოს სამხრეთ ტერიტორიებზე მფლობელობა, ლაშას „ალასტანელობა“ და „ჯავახთ უფლობა“, ალასტანის „მიკროქვეყნის“ სხვა მიწებისაგან განსხვავებულ სტატუსში ყოფნა — საუფლისწულოდ შენარჩუნება და სხვა ისტორიული ცნობები თვალნათლივ ლაპარაკობენ დავით უფლისწულის სამხრეთ რეგიონებში მფლობელობის შესაძლებლობაზე — ავანის წარწერა ამ ვითარებას ადასტურებს და აფართოებს დავითის საუფლისწულოს საზღვრებს. ისტორიულ სომხეთში დავით უფლისწულის (მომავალი დავით VIII) ასეთი მფლობელობა მის საუფლისწულოში სხვა მამულებთან ერთად სომხეთის გარკვეული ტერიტორიების არსებობაზე ლაპარაკობს. აქედან გამომდინარე, ჰორომაირის წარწერასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრება — ლაშა-გიორგის, როგორც უფლისწულის მფლობელობა სომხეთის შესაბამის მამულებზე, ვფიქრობთ, მოულოდნელობას აღარ წარმოადგენს.

XIII საუკუნის 90-იან წლებში დავითის საუფლისწულო კვლავ იზრდება: 1291 წელს საქართველოს სამეფო კარმა უარყო ხუტლუბუღას ცდა გაემეფებინა დემეტრე II ძე — დავით უფლისწული და მეფობა დავით ნარინის ძეს — ვახტანგ II დაუმტკიცა; მაგრამ ამის სანაცვლოდ დავითს გადაეცა „ადგილ-ადგილ სოფელნი და ქუეყანა“ —ამით კიდევ უფრო „მიეცა ფლობა დავითს“ [104, 294]. დავით VIII ასეთი ხასიათის მფლობელობისა და, საერთოდ, საუფლისწულოს ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვანი ფაქტია „ძეგლი ერისთავთას“ ცნობა, რომ 1302 წელს [281, 30...] ვახტანგ III (1298-1304 [265]) დავით VIII გადასცა „ჯავახეთი და ალასტანი და გამოიყვანა გუელეთით“ [136, 348]. როგორც ვხედავთ, ალასტანის „მიკროქვეყანა“ იმდენად მნიშვნელოვანი რეგიონია, რომ ჯავახეთი და ალასტანი ცალცალკეა აღნიშნული; ფაქტია, ალასტანი ჯავახეთის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ „ძეგლი ერისთავთას“ ავტორი საჭიროდ თვლის მის გამოცალკევებით მოხსენიებას. მათი ასეთი აღნიშვნა იმაზე ლაპარაკობს, რომ შეიძლებოდა ჯავახეთის სამფლობელოდ მიცემა ალასტანის გარეშე და, პირიქით. როგორც ჩანს, ალასტანი თავისი მიმდებარე ტერიტორიით, ლაშა-გიორგის ერთმეფობის შემდეგაც, საუფლისწულო

მამულია და ასეთად რჩება 1302 წლამდე, როცა ვახტანგ III იგი თავის ძმას – დავით VIII გადასცა. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ მარტო ჯავახეთის აღნიშვნაც საკმარისი იქნებოდა და დავით VIII სამფლობელოდ ალასტანის ბოძებას მემატიანე საგანგებოდ ხაზს აღარ გაუსვამდა. სხვაგვარად გაუგებარი რჩება „ძეგლი ერისთავთაში“ მათი ცალ-ცალკე გამოყოფა; ამდენად, პასუხი შეიძლება გაეცეს ქართულ ისტორიოგრაფიაში დასმულ კითხვასაც: „როგორ უნდა გავიგოთ „ძეგლი ერისთავთას“ ცნობა იმის შესახებ, რომ ვახტანგმა მისცა დავითს ალასტანი და ჯავახეთი, ამაზე პასუხის გაცემა ამჯამად ჩვენთვის ძნელია“ [335, 148]. ვფიქრობთ, კვლევის შედეგად მიღებულმა დასკვნებმა ამ პრობლემასაც მოჰფინა ნათელი.

XIII საუკუნეში ალასტანის საუფლისწულოს, ჯავახეთის სხვა მიწებთან შედარებით, ასე განსხვავებულ სტატუსში არსებობამ, მისი გამოცალკევება-იზოლირებულობა და გარკვეულ „მიკროქვეყნად“ ჩამოყალიბება განაპირობა [275, 176...]. ალასტანის გარშემო დადასტურებული „ვერანაების“ სიმრავლე ამ რეგიონის მჭიდრო დასახლებაზე ლაპარაკობს, რომელთა გაერთიანება ერთიან ისტორიულ-გეოგრაფიულ „მიკროქვეყანას“ ქმნის (ასეთი „ვერანაებია“: ოლდანი, დევათი, ერიკლი, ბურასტანი, ორთა ხარაბა, ვარდის ციხე, ცხია...). ასეთ სტატუსში მყოფ ალასტანსა და მის მიმდებარე ტერიტორიას 1302 წლისათვის ღებულობს დავით VIII. ვახტანგ III ჩანაფიქრით, დავითისათვის გადაცემული რეგიონი საუფლისწულოს მაგვარი სამფლობელი უნდა გამხდარიყო, რომელიც მოაგვარებდა მის უფლებრივ მდგომარეობას, შეანელებდა ბატონიშვილობის საკითხის სიმწვავეს და დავითის ყოველწლიური შემოსავლის წყარო გახდებოდა. მიუხედავად ასეთი ჩანაფიქრისა, არახელსაყრელმა ვითარებამ საპირისპირო შედეგი გამოიღო – ალასტანის საუფლისწულოს სტატუსი და დავით მეფისათვის მისი გადაცემა გახდა უპირველესი მიზეზი ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელოს წარმოქმნის პროცესში [275, 177...]. სწორედ ამის შესახებ აღნიშნავდა ე. თაყაიშვილი, რომ „ეტყობა მონღოლების დროს ერთი შტო ბაგრატიონებისა გამეფებულა ალასტანში“ [224, 65]. ერთ დროს საუფლისწულო „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელოში გადაიზარდა – „შვილნი დავით მეფისანი“ [272], ანუ ალასტანელი ბაგრატიონები სარგებლობენ პაპის – დემეტრე თავდადე-

ბულისა და მამის – დავით VIII ბატონობით და თავის მფლობელობას კიდევ უფრო აფართოებენ; მათ ასეთ მფლობელობას ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ შტოს წარმოქმნა მოჰყვა, ხოლო დავით VIII საუფლისწულოში სომხური პროვინციების არსებობამ ალასტანელი ბაგრატიონებისათვის, როგორც ქართულ მიწებზე, ისე ისტორიული სომხეთის ტერიტორიებზეც შექმნა მფლობელობის საფუძველი. ალასტანის საუფლისწულოს შემდგომი სტატუსი და ამ რეგიონის სხვა ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხები უკვე განხილულია ქართულ ისტორიოგრაფიაში [281, 51...].

ბოლოს უნდა შევეხოთ დავით VIII და მელქისედეკის თანამოსაყდრეობას: დავით VIII 1297 წლის სიგელს, როგორც ცნობილია, მელქისედეკი მეფის ტიტულით ამტკიცებს: „ქ. ჩუენ, მელქისედეკ მეფისაგანცა, მტკიცეა ნებითა ღმრთისათა“[130, 184]. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის „მეფე“ მელქისედეკი „პროვინციის მეფედ“ ვერ ჩაითვლება, იგი ამ სტატუსით მხოლოდ 1311 წლიდან მფლობელობს. 1297 წლის ამ საბუთით კი დავით VIII და მელქისედეკის თანამოსაყდრეობა დასტურდება; როგორც გავარკვიეთ [281, 71...], დავით მეფის შვილებს (მელქისედეკი, ანდრონიკე, გიორგი VI მცირე) შორის იგი უფროსია და ამ დროისათვის მეფეს უკვე თანამოსაყდრედაც გაუხდია. თანამოსაყდრეობის, როგორც ქვეყნის მართვის ფორმის შესახებ, უკვე იყო საუბარი; აქ კი უნდა ითქვას, რომ იგი მით უმეტეს სჭირდება დავით VIII მდგომარეობაში მყოფ მეფეს – 1297 წლიდან დავით მეფე აჯანყებულია მონღოლების წინააღმდეგ, დატოვებული აქვს თბილისი და წინააღმდეგობას აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიდან აგრძელებს. მონღოლთაგან მოსალოდნელი იყო და მალე ამას ისინი კიდეც აკეთებენ, რომ დავით მეფეს ტასტზე სხვა კანდიდატურებს უპირისპირებენ (იხ. მრავალმეფიანობა). თავისი უფლებრივი მდგომარეობის სისუსტის გამო დავით VIII პირმშო ძეს – მელქისედეკს (სიმპტომატურია, რომ აჯანყება 1297 წელს იწყება და აღნიშნული სიგელიც, „მეფე“ მელქისედეკის მოხსენიებით, ამავე წლით თარიღდება) თანამოსაყდრედ აცხადებს და ამით მომავალში თავისი სამეფო შტოსათვის ტახტის შენარჩუნებასა და მემკვიდრეობითობის განმტკიცებას ცდილობს. XIV საუკუნის დამდეგის მრავალმეფიანობის სირთულის გამო მელქისედეკის თანამოსაყდრეობა „პროვინციის მეფობაში“ გადაიზარდა.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ: XIII საუკუნის საუფლისწულოს ხასიათი, ლაშას „ალასტანელობა“ და „ჯავახთ უფლობა“, მონღოლთა დამპყრობლური პოლიტიკის ფონზე, ალასტანის სტატუსი და ისტორიულ-გეოგრაფიული იზოლირებულობა, ქართველ უფლისწულთა მფლობელობა საქართველოს სამხრეთ ტერიტორიებსა და ისტორიული სომხეთის მიწებზე თანდათანობით განაპირობებენ და ქმნიან საფუძველს ბაგრატიონთა სამეფო სახლის გვერდით შტოთა წარმოსაქმნელად; მიმდინარეობს იმუნიტეტის მოპოვებისა და საუფლისწულოს მემკვიდრეობით საკუთრებად გადაქცევისათვის ბრძოლა; იწყება სახასოს დაქუცმაცებისა და საუფლისწულოს სამეფო დომენიდან გამოყოფის პროცესი; ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასითიდან გამომდინარე ზოგიერთის უფლისწულობა თუ თანამოსაყდრეობა საპირისპირო შედეგებს იწვევს; ბაგრატიონთა სახლის ზოგიერთ შტოთა მფლობელობა საბოლოოდ „პროვინციის მეფობაში“ გადაიზარდა. ყოველივე კი მნიშვნელოვანი საფუძველია ბაგრატიონთა საგვარეულო განშტოებების წარმოშობის პროცესში.

§2 ორმეფობა XIII საუკუნის საქართველოში

ორმეფობა ერთ-ერთ ფორმასა და ეტაპს წარმოადგენს გამწვავებული ბატონიშვილობის საკითხისა და ტახტისმაძიებელ აჯანყებულ უფლისწულთა დინასტიური ბრძოლის ისტორიაში. თუ XI-XII საუკუნეების განმავლობაში ისინი ერთიანი სამეფო ტახტისათვის იბრძვიან, XIII საუკუნეში უკვე ლიხთ-იქითისა და ლიხთ-ამერის ტახტებითაც კმაყოფილდებიან. ორმეფობა XIII საუკუნის საქართველოში ურთულესი და რამდენიმე საფეხურიანი პროცესის შედეგია. პირველი საფეხური ორი სამეფო შტოს არსებობაა, რომლის თითოეულ წარმომადგენელს თავისი ლეგიტიმური უფლებების სამტკიცებლად საკმაო არგუმენტები გააჩნია. ამ გზაზე უპირველესი ლაშას „ანდერძია“.

ჟამთააღმწერელთან დაცული ანდერძის ტექსტიდან მოვიტანთ იმ ადგილებს, რომელიც უშუალო კავშირშია საკვლევ საკითხთან: „უწყი უმანკოება და ერთგულება მეფეთა ნათესავისაგან თქუნ მკჳდრთა

საქართველოსათა. შეხედვებითა ღმრთისათა მიგათუალავ დასა ჩემსა, რუსუდანს, რათა შემდგომად ჩემსა მეფე-ჰყოთ, ვითარ არს ჩუეულება ნათესავისა თქუენისა... დაღათუ არა მამაკაცი არს, არამედ დედაკაცი, არა აკლია სიბრძნესა და სამეფოთა საქმისა ცნობასა... აწ შეგვედრებ წინაშე ღმრთისა, რათა მეფე-ჰყოთ იგი შემდგომად ჩემსა. ხოლო დასა ჩემსა, რუსუდანს, ვამცნებ წინაშე ღმრთისა და სასმენელად თქუენდა ყოველთა, რათა აღზარდოს შვილი ჩემი დავით. რაჟამს ეძლოს მეფობა და მკხედრობა, რომელ დავით მეფე-ყოს, და იგი დაადგინეთ მეფედ და მემკჳდრედ მეფობისა ჩემისა. დაღათუ ყრმა არს, და ინებოს ღმერთმან აღზრდა მისი, ვჰგონებ, რომე შემძლებელ არს პყრობად მეფობისა, კეთილითა ასაკითა არს და ჰაეროვან" [104, 52-53].

ლაშას ანდერძი დაცულია ფარსადან გორგიჯანიძესთან, რომელთანაც იგი ორ ნაწილად იყოფა: პირველი – რუსუდანისადმი და მეორე – ათაბაგისა და სხვა დიდებულებისადმი; პირველ ნაწილში აღნიშნულია: „...აწე თქვენთვის მამიბარებია საკემწიფო მამა-პაპათა ჩვენი, იქეც ტკბილათ..." ათაბაგსა და დიდებულებს კი უბარებს: „ვატყობ თავსა ჩემსაო გარდასახადსა სოფლისასაო, და ჩემად მაგიერად ჩემი და რუსუდან დედოფალი მეფობდესო ჩემის დავითის გაზდამდისინო... და ნათქვამი არის ძველითა: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, გინდა ქვადია." და ეს სიტყვა მეფეთ მეფეს დედას ჩემს თამარზედანც ითქვა. აწ მე მოგახსენებ დასა ჩემსა რუსუდანს ზედა" [241, 100].

პირველ რიგში, ლაშას ანდერძის რეალურობის შესახებ.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით გადაჭრით პასუხს არ იძლევა – ე.წ. ლაშა-გიორგის დროინდელ მემატიანესთან ანდერძის მოუხსენიებლობა და რუსუდანის ტახტის მემკვიდრედ მიჩნევა დიდ ისტორიკოსს აფიქრებინებს, რომ ეს ყოველივე „ცნობას ლაშა-გიორგის ანდერძის შესახებ საეჭვოდა ჰხდის და მერმინდელ შენათხზად გვაფიქრებინებს," მის ავტორებად კი ლაშა-გიორგის ძის – დავითის მომხრეთა წრეს მიიჩნევს, რომელთაც ამით „რუსუდანისა და მისი შვილის სახელი და მეფობის კანონიერება უნდა გაეტეხათ" [342, 38, 132]; თუმცა, მეორე მხრივ, ლაშას პიროვნებიდან გამომდინარე ფიქრობს, რომ „მეფის თავისუფალი აზროვნებისათვის" ასეთი ანდერძი მეტად დამახასიათებელი იქნებოდა (342,37.38).

— თუ გამოცდილი ხარ, ეგ სხვა საქმეა, — წამოდგა რკო, ქუსლი ქუსლს მიარტყა და ხელი გაუწოდა: — მწერლობითი მეცნიერების დოქტორი, მსოფლიოში უსქელესი წიგნების გამომგონებელი რკო მუხიშვილი. დიახ, მეგობრებისთვისაც და მტრებისთვისაც—რკო მუხიშვილი გახლავართ.

კერკეტამ გულხელი დაიკრიფა და ერთი-ორჯერ შემოურბინა რკოს ირგვლივ, კარგად შეათვალიერა ყოველი მხრიდან, კალმისტარი მოქაჩა, სამელნე მოსინჯა, ცხვირში წკიპურტი წაჰკრა და მერე უთხრა:

— დაგეხმარებიან, შენ მსოფლიოში ყველაზე პატარა წიგნის გამომგონებელი ხარ. ჰი-ჰი-ჰი, მართალს არ ვამბობ?

— ამბავი რა ნაძლევია, ნამდვილად ასეა, — ისევ გაიღიმა რკო.

— მაშ, დამენაძლევე, რომ ციყვს კუდი არა აქვს!

— ნუ მიჰქარავ!

— მაშ იცი, რაზე ვიკამათოთ: შენ თქვი, რომ თოვლი თეთრია, მე კი დაგიმტკიცებ, შავია-თქო. ვინც აჯობებს, ის იქნება გამარჯვებული.

— მერე რა გამოვა, თოვლი მაინც თეთრი იქნება. აბა ეს თამაში რა საინტერესოა. ისა სჯობს, იმაზე ვიფიქროთ, როგორ დავაღწიოთ აქედან თავი.

კერკეტა ჩაჯდა, თავი მოიქექა და ერთხანს ღრმად ჩაფიქრდა. მალე ფეხზე წამოხტა:

— აბა, რომელი სულელი ფიქრობს წინასწარ, რა მოხდება? გინდა, გიამბო აქ როგორ მოვხვდი? ხოლო როცა გავიქცევი, მერე მოგიყვები, როგორ გავიქეცი. ჰა, კარგად არ ვამბობ? შენი ბერეტი და ჩემი ქუდი, სანაძლეოს ვდებ, რომ ჩემი ნაამბობიდან საინტერესო წიგნს დაწერ.

— დაწერით კი დავწერ, მაგრამ, ვის რაში უნდა მაგ მოჩმახულის წაკითხვა? — რკო გრძნობდა, რომ მოთმინების ფიალა ევსებოდა.

— შენ რა გენაღვლება? მთავარია წერო. მე იმდენი რამე ვიცი, რომ მოყოლასაც ვერ ვასწრებ. გინდა, ვიჩხუბოთ?

ასეთი ბაქია რკოს თავის სიცოცხლეში არ უნახავს. უცბად ძა-

ლიან შერცხვა, კერკეტას ასე ჩერჩეტი და უმეცარი როგორ ვგონივარო.

— ხელები თუ გექავება, აგე კედელი და იმას მოუსვი,—უთხრა რკომ და ზურგი შეაქცია.

— მაშ, მოდი ვიჭიდაოთ.

— რა დროს ჭიდაობაა, ისე დამჯიჯგნა ციყვმა კბილებით, რომ ჯერ კიდევ, მტკივა გვერდები.

— მაშ იცი რა, ვიბუცაოთ, აბა ვნახოთ, ვინ ვის ძლევს. რას იტყვი, კარგად არ მოვიგონე?

— თავი თუ არ გეცოდება, აგე კედელი და იმას ებუცავე რამდენიც გინდა, — გაბრაზდა მუხის შვილი.

კერკეტა გაქანდა, ახტა და თავი ისე მაგრად მიახეთქა კედელს, თვალებიდან სულ ნაპერწკლები გადმოსცვივდა.

— ვაშა, მივაგენი! — აჭყლოპინდა გახარებული რკო. — კიდევ მიარტყი თავი, რაც შეგიძლია მაგრად, იქნებ ცეცხლი გავაჩაღოთ და ხეში ხვრელი გამოვწვათ.

კაკალი ტყისშვილი ისევ გაქანდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა მიახეთქა კედელს თავი, მერე ჩაცუცქდა და ძირს მოფენილ ფოთლებზე დაფრქვეულ ნაპერწკლებს გაღვივება დაუწყო.

— რკო, სადა ხარ? — გაისმა ფუღუროს კართან ოქროცერცვის ხმა და მალე მისი ქოჩორიც გამოჩნდა,—შენს დასახსნელად მოვედი.

თქვენ თავად წარმოიდგინეთ, როგორ გაიხარეს მეგობრებმა, როცა ობობამ ისინი ძირს ჩამოიყვანა. ოღონდ კერკეტა გაჯიუტდა:

— მე, ოთხგზის ჩემპიონს, ეგ თოკი რას გამიძლებს. მარტო ჩემი ერთი კუნთი ვინ იცის რამდენს იწონის!

— გაგიძლებს! ჩვენ სამს გაგვიძლო და შენ ერთს ვერ გაგიძლებს? — უყვიროდნენ ქვევიდან ჭირში დაახლოებული მეგობრები.

კერკეტამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, არაფრით არ უნდოდა თოკით დაშვება. ისე გაჰკიოდა, ტყეც კი მიჩუმდა და ყური მიუგდო. კაკალმა რამდენჯერმე დაახეთქა ქუდი მიწას, გულში მუშტებს იცემდა, მოწმედ ცა და დედამიწა მოჰყავდა. ბოლოს ისე გადაირია, პირში ხავსს იტენიდა. ითმინა, ითმინა ობობამ, მერე დაახვია თავისი თოკი და ბადის საქსოვად გასწია.

— ახლა კი მე დაგენაძლევები, აუცილებლად კისერს მოიტეხ,— დასცინოდა ჯიუტ კერკეტას რკო.

— არაფერსაც არ მოვიტეხავ!

— დაიმტვრევი!

— არაფერსაც არ დავიმტვრევი!

კერკეტამ უცბად ვაჟკაცურად დაუსტვინა, მოწყდა ადგილს და ისეთი ძალით ჩაერჭო ფეხებით ხავსში, მიწამდე გაატანა.

ტყის ყველაზე დიდ მოკამათესა და ჯიუტ კაკალს ორი ნეკნი ჩაელეწა, შუბლზე უზარმაზარი კოპი დააჯდა და მიწიდან რომ ამოათრიეს, ფეხის ორივე ტერფი შემობრუნებული ჰქონდა.

მეგობრებს შეეცოდათ კერკეტა, სახელდახელოდ საკაცე გააკეთეს, ზედ დააწვინეს და გზას გაუდგნენ. რკომ გუბეში მობანა კაკალს ცხვირ-პირი, მაგრად გაუკრა გვერდები აბლაბუდით და უთხრა:

— შენ აქ წყნარად იწექი, ჩვენ კი გზას ვიპოვით.

ის იყო მეგობრებმა წასვლა დააპირეს, რომ კაკალმა თავის თავს დაუწყო კამათი, სანაძლეოს დავდებ, გვერდები მთელი და საღი მაქვსო. მაგრამ გაინძრა თუ არა, ერთი საშინლად შეჰკივლა, ტკივილისაგან სულ დაიგრიხა, გაფითრდა, მეგობრების დამზადებულ საწოლზე გაიშხლართა და აღრიალდა:

— რკო, რაზეც გინდა დაგენაძლევები, რომ მე ახლავე მოვკვდები!

მეგობრებმა უკან მოირბინეს და დამშვიდება დაუწყეს აღელვებულ მოკამათეს, მაგრამ ვერაფრით ანუგეშეს.

— მოკვდები, ნამდვილად მოკვდები და ეგაა.

— მოკვდები და მოკვდი! — მოთმინება დაკარგა ოქროცერცვამ. — ვიდი ამბავი, ქალეყანას ერთი ჯიუტი და ბაქია მოაკლდება.

— თუ ასეა, თქვენს ჯიბრზე არ მოვკვდები, — თქვა კერკეტამ და ისევ ფეხზე წამოხტა.

ასე იტანჯებოდნენ მეგობრები მთელი გზა, სანამ თავიდან არ მოიშორეს ეს საძაგელი მოკამათე. აი, როგორ მოხდა ეს ამბავი:

ცოტა გაიარეს თუ არა, კერკეტამ ისევ ატეხა აურზაური:

— გზა აგვერია, ისევ უკან ვბრუნდებით!

— ხომ არ შეიშალე! — განცვიფრდა ოქროცერცვა.

— დამენიძლავეთ!

— სწორად მივდივართ! — მოუჭრა რკომ.

— არა, არ მივდივართ სწორად, თავი მომჭერით, თუ მართალი არ ვიყო. არ გჯერათ? მაშ უკან დავბრუნდები და გავიგებ, ვინ ცდება, — ჯიუტობდა კერკეტა და მართლაც წავიდა. მაგრამ საქმე ის იყო, რომ, თუმცა უკან იყურებოდა, მობრუნებული ტერფები კი წინ გარბოდა. მალე მეგობრები თავს წაადგნენ კაკალს, რომელიც გაცხარებული ელავებოდა რომელიღაც ხოჭოს და უმტკიცებდა, ხოჭო არა ხარო.

ამ დროს მოულოდნელად ციყვი ჩამოხტა ხიდან, სტაცა პირი ქეჩოში კაკალს და გაუჩინარდა.

— სანაძლეოს დავდებ, რომ მესამე დარტყმაზე მიწას გავაკრავ! — ამის დაყვირებაღა მოასწრო კაკალმა.

— ეს მისი უკანასკნელი სანაძლეოა, — ამოიოხრა ოქროცერცვამ.

რკომაც დააპირა რაღაცის თქმა, მაგრამ გადაიფიქრა, თავი ჩაღუნა და მთელი გზა ხმა აღარ ამოუღია. როცა ამ საშინელ ადგილს გასცდნენ, მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა თავისუფლად და მადლიერების თვალით შეხედა მეგობარს:

— ხტუნია, ჩემო ძვირფასო მეგობარო, მეც ხომ კერკეტასავით... მეც ხომ იმასავით... ეჰ, რაღა ბევრი ვილაპარაკო!..

რკომ იგრძნო, გული რაღაც ახალი, საამო გრძნობით ევსებოდა, იმდენად საამო იყო ეს გრძნობა, რომ სიტყვით ვერ გამოთქვამდა. მხოლოდ ხელი ჩაიქნია და უფრო აუჩქარა ფეხს, თუმცა ძალიან უნდოდა ეთქვა ოქროცერცვასთვის, რომ მისი გულისთვის დედამიწის ზურგზე აოაფერს დააშურებდა, არ დაიშურებდა საკუთარ სიცოცხლესაც კი.

ოქროცერცვას ახლა რკოსთვის არ ეცალა, შეშინებული აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს.

— ისევ ჩიტების გეშინია? — ჩუმად ჰკითხა რკომ.

ხტუნიამ თავი დაუქნია:

ამდენად, ივ. ჯავახიშვილი საბოლოო დასკვნისაგან მაინც თავს იკავებს. ლაშას ქცევაში კი მართლაც ჩანს თავისუფალი აზროვნების ნიშნები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ XIII საუკუნის დამდეგის ქართული საზოგადოება მზადაა ახალი სააზროვნო სისტემისათვის (ამაზე ყუთლუს „კარავიც“ ლაპარაკობს).

გიორგი IV ლაშას გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტის მემკვიდრის საკითხი სპეციალური მსჯელობის საგანი გახდა: ალ. აბდალაძის აზრით, საქართველოს წარჩინებულთა ორი დაპირისპირებული დაჯგუფება არსებობს — ლაშას „თანამოასაკენი“ და მისგან შევიწროებული თამარის დიდებულნი, რომელთაც ივანე ათაბაგი მეთაურობს; დიდი გავლენის მქონე ათაბაგს მთავარი როლი უთამაშია რუსუდანის გამეფებაში — ლაშას თანამოაზრეთა დაჯგუფება წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო რუსუდანის გამეფებისა, მიუხედავად იმისა, მართლაც დატოვა თუ არა ლაშამ ჟამთააღმწერელთან შემონახული ანდერძი; რუსუდანის „დასმა“ თავისი გაიტანა და ტახტის კანონიერ მემკვიდრედ რუსუდანი და მისი შტო გამოაცხადა — ლაშა-გიორგის დროინდელ მემატიანესთანაც ეს ვითარება აისახა [162, 105-106].

ჩვენი აზრით, ლაშას ანდერძი რეალურად არსებობდა, რაზეც მიგვითითებს ზოგიერთი მომენტი:

ასწლოვანი მატიანე შემდგომი მოვლენების აღწერისას კიდევ რამდენჯერმე ეხება მეფის ანდერძს — მისი სიტყვებით, რუსუდანმა მეფეძმის დანაბარები არ შეასრულა. ისიც სიმპტომატურია, თუ როგორ ჩქარობს რუსუდანი თავისი ძის თანამოსაყდრედ გამოცხადებას. ჩვენი აზრით, ერთ-ერთი ამის მიზეზი ანდერძიცაა, რამდენადაც იგი ლაშას ძე — დავითს ტახტზე მნიშვნელოვან ლეგიტიმურ უფლებებს აძლევს — თვითონ რუსუდანიც ხომ მისი ძმის ამ ანდერძის საფუძველზე იჯდა სამეფო ტახტზე. ჟამთააღმწერელი რუსუდანის ძის — დავითის თანამოსაყდრედ კურთხევასთან დაკავშირებით უარყოფითი ტონით აღნიშნავს, რომ მან „...დაივიწყა შიში ღმრთისა და სიყუარული ძმისა, და მოიგონა საქმე ყოველთა მიერ განსაკრთომელი“, რადგან დავითი „გიორგისაგან, ანდერძობით შევედრებულ იყო“, რათა „აღეზარდა“, მაგრამ არ აღასრულა [104, 64]. მეორე ადგილას მემატიანე კიდევ უფრო კატეგორიულია: „რამეთუ ამათ ჟამთა დაივიწყა შიში ღმრთისა და ანდერძი ძმისა და ფიცი იგი, რომელ ამცნო ძმამან მისმან რუსუდან

მეფესა, განიზრახა ზრახვა უცხო, რათა დაუმტკიცდეს მეფობა ძესა მისსა, დავითს“. ამის საპირისპიროდ, 1230 წელს რუსუდანმა დასავლეთ საქართველოში თავისი ძე თანამოსაყდრედ გამოაცხადა — „დასუეს მეფედ დავით, ძე რუსუდანისა, აკურთხეს ქუთათისს და დაადგეს თავსა მისსა გურგენი“ [104,64-65]. აღსანიშნავია, რომ თანამოსაყდრე კურთხევის წესით ყველა წარჩინებულს უნდა დაელოცა, მაგრამ ეს წესი არ იქნა დაცული, რადგან ამ პროცესს აღმოსავლეთ საქართველოს დიდებულნი ვერ ან არ დაესწრნენ.

ჟამთააღმწერლის პოზიცია და მისი დამოკიდებულება ლაშასადმი კარგადაა ცნობილი, მისი ანდერძი რომ შეთხზული ყოფილიყო, ეს ფაქტი ასწლოვანი მატიანის ავტორისათვის ცნობილი იქნებოდა; ამავე დროს, რადგან ანდერძი გიორგი IV შტოს, ლეგიტიმიზმის თვალსაზრისით, საკმაო არგუმენტებს აძლევს, ამიტომ ჟამთააღმწერელი ნაყალბეობას აუცილებლად ხაზგასმით აღნიშნავდა (ბუნებრივია, ლაშასთვის უარყოფითი პოზიციებიდან). ამას მემატიანე არ აკეთებს, პირიქით — მას ეყრდნობა, რაც ანდერძს მეტ რეალურობას ჰმატებს.

ანდერძს იყენებს ფარსადან გორგიჯანიძეც და მას შეთხზულად არ თვლის. როგორც ჩანს, მის დროს ეს აზრი არ ფიგურირებდა. ვფიქრობთ, არსებობს სხვა არგუმენტებიც: ლაშას თავისუფალმოაზროვნეობიდან, საერთოდ, მისი პიროვნებიდან გამომდინარე, მისგან ასეთი ანდერძის ავტორობა საკვლევით შესაძლებელია; რაც შეეხება ქალისათვის ქვეყნის მმართველობის გადაცემას, თამარის პრეცენდენტი სულ ცოტა ხნის წინათ იყო, ამდენად, განუხორციელებელი მასში არაფერი ჩანს. თვით ანდერძის ფორმის შესაძლებლობას თუ შეეხებით, ცნობილია, რომ ანდერძი თავად რუსუდანსაც დაუტოვებია (არაფერს ვამბობთ დავით აღმაშენებლის ანდერძზე); კირაკოზ კანძაკეცი პირდაპირ აღნიშნავს, რომ მან სიკვდილის წინ „დაწერა“ ანდერძი, იგი ავაგს გადასცა და თავისი ძეც მას ჩააბარა [151, 120]. ხომ არ „მიბაძა“ რუსუდანმა თავის ძმას?! ეს ფაქტიც ლაშა-გიორგის ანდერძის შესაძლებლობის სასარგებლოდ ლაპარაკობს. ასევე უნდა ითქვას, რომ ლაშას ანდერძის უარსაყოფად ზოგჯერ პლანო კარპინის ცნობებს მიმართავენ — ვფიქრობთ, შეიძლება პირიქითაც იყოს: ლაშას მიერ დავითისათვის სამფლობელოდ გარკვეული ტერიტორიის გადაცემა ხომ იმაზე ლაპარაკობს, რომ მეფე მას თავის მემკვიდრედ მიიჩნევს; ჩვენი

აზრით, ეს ცნობები დავითის ლეგიტიმურ უფლებებს უფრო უჭერს მხარს. ამდენად, ანდერძის უარსაყოფად პლანო კარპინის ცნობათა გამოყენება არ გამოგვადგება [162, 103].

ანდერძი ლაშა-გიორგის შტოს ლეგიტიმურობას უჭერს მხარს — ივ. ჯავახიშვილისეული წაკითხვაც ასეთია: რუსუდანი მხოლოდ დროებითი მმართველი გამოდის, იგი იმდენად მეფე არა, რამდენადაც მეფის აღმზრდელი, მზრუნველი და პატრონი — მემკვიდრის მცირეწლოვანობის პერიოდში კი „სახელმწიფოს უზენაესი გამგეა" [342,37]. ვფიქრობთ, ანდერძში რეგენტობის კლასიკური გაგებაა დაცული (ივ. ჯავახიშვილის მიხედვითაც ასე გამოდის); მართალია, ანდერძში პირდაპირ აღნიშნულია, რომ რუსუდანი უნდა „მეფედ-ჰყოთ", მაგრამ ფუნქციებით რუსუდანს მემკვიდრის აღზრდა და მისი გამეფება აქვს დავალებული — „აღზარდოს შვილი ჩემი დავით , რომელ მეფე-ყოს", ან დავით „დაადგინეთ მეფედ და მემკჯიდრედ მეფობისა ჩემისა." ლაშას მეფობის ხასიათიდან გამომდინარე, როგორც აღვნიშნეთ, მისი ასეთი ნაბიჯი — დავითის ტახტის მემკვიდრედ გამოცხადება და ანდერძის შექმნა, დიდ სიახლედ აღარ მოჩანს. რეგენტობის ფორმულაა ფარსადან გორგიჯანიძესთანაც: „ჩემად მაგიერად ჩემი და რუსუდან დედოფალი მეფობდესო ჩემის დავითის გაზდამდისინო" — მემკვიდრის აღზრდამდე მმართველობა ხომ რეგენტობაა; ივ. ჯავახიშვილის გამოთქმით, იგი ამ პერიოდში „სახელმწიფოს უზენაესი გამგეა". ლაშას თავისუფალმოაზროვნეობა, ახლის შემოტანის უნარი თუ ნოვატორობა აქაც ჩანს — მისი გაგებით, რუსუდანს „რეგენტის" ფუნქცია უნდა შეესრულებინა დავითის სრულწლოვანებამდე, ოღონდ, ბუნებრივია, ევროპაში მიღებულ-გავრცელებული ტერმინი — „რეგენტი" აქ არ იხმარება. აქედან გამომდინარე უნდა იყოს, რომ კირაკოზ განძაკეცი მემკვიდრედ დავითს თვლის და არა რუსუდანს, ხოლო ჟამთააღმწერელი ხაზს უსვამს რუსუდანის მხრიდან მეფე-ძმის ლაშას დანატოვარის არ შესრულებას.

ლაშას ანდერძი არ შესრულდა — რა მოხდა მეფე გიორგი IV გარდაცვალების შემდეგ?

ჟამთააღმწერლის სიტყვებით, „შეკრბეს წარჩინებულნი მის სამეფოსანი... და მეფე-ყვეს რუსუდან, დასუეს საყდართა სამეფოსა და მოულოცეს მეფობა წესისაებრ" [104, 53]; ივანე ათაბაგის წერილში

რომის პაპისადმი აღნიშნულია, რომ გიორგი IV ლაშას გარდაცვალების შემდეგ რუსუდანი „მეფედ ამოვირჩიეთ“-ო. ამდენად, ორი კანდიდატურის პრობლემა რეალურად მდგარა, რის გამოც დიდებულნი „შეკრბეს“ და დიდი ბჭობა გამართეს; მიცვალებულ გიორგი მეფეს რუსუდანის განმგებლობა „რეგენტის“ ფუნქციების ფარგლებში სურდა, არისტოკრატიამ კი თათბირის შემდეგ იგი სრულუფლებიან მეფედ აირჩია. განსაკუთრებით თამარის დიდებულებს უნდა ეაქტიურათ, რომელთაც ლაშას სიცოცხლეშიც კი „არღარა ინებეს მას თანა სამარადისო ყოფა, არამედ განეშორნეს და თჳს-თჳსად იყოფოდეს“ [104, 43]; რაღა გასაკვირია, თუ მისი გარდაცვალების შემდეგ ლაშას ანდერძი არად ჩააგდეს – მათი მეთაური კვლავ ივანე ათაბაგი უნდა ყოფილიყო. არც რუსუდანი ჩანს მთლად ინერტული: მან ანდერძით მინიჭებული „რეგენტობა“ მეფობაში გადაზარდა, ხოლო მისი შტოს ლეგიტიმურობის განსამტკიცებლად 1230 წელს თავისი ძე თანამოსაყდრედ გამოაცხადა. რუსუდანის პოზიცია კარგადაა დაფიქსირებული პაპის ჰონორიუსისადმი გაგზავნილ წერილში: საქართველოს მეფე „მიიცვალა და სამეფო მისი მე დამრჩა“ – ლაშას მცირეწლოვანი მემკვიდრის შესახებ კი არაფერია ნათქვამი, რაც ბუნებრივადაც მოჩანს, რუსუდანი ხომ თავისი შტოს იურიდიული საფუძვლების მოპოვება-განმტკიცებისათვის იბრძვის (სიკვდილის წინ ამიტომაც უტოვებს ავაგს თავის ანდერძს). ამდენად, ლაშა გიორგის ანდერძი აღსრულებული არ იქნა; მეორე მხრივ, ანდერძით ტახტის მემკვიდრეობა ქვეყანაში გარკვეულად სიახლეა, რადგან ისტორიულად საქართველოში „კანონით მემკვიდრეობა“ სხვა ტრადიციას ემყარებოდა.

როგორ მოწესრიგდა ქალის ტახტზე გამეფებისა და გვარის გაგრძელების საკითხი:

რუსუდანის ქმარი სუვერენი მეფე-ქალის თანამოსაყდრეა, ქალის გვარით ტახტის მემკვიდრეობის გამაგრძელებელია; იგი მამაა მისი შვილებისა, ოღონდ, ისინი დედის გვარს ატარებენ – „მამა ზედსიძეა“, რომელმაც იცის, რომ ხაზი ცოლის გვარზე უნდა გაგრძელდეს, მემკვიდრეობის თვალსაზრისით, იგი კარგავს თავის გვარტომობას. ამას ქართველი სამართალმცოდნეები უწოდებენ „ქართულ საქორწინო სამართალს ზედსიძეობის შესახებ“ [302, 66].

ჩვენი აზრით, საქართველოს სამეფო ტახტზე შექმნილი ვითარება

ყველას არ უნდა ეღიარებინა, განსაკუთრებით, ლაშა-გიორგის თანამოასაკეთა „დასს“. ამ მხრივ, მნიშვნელოვან ინტერესს იწვევს 1232 წელს გადაწერილი ერთი სომხური სახარების ანდერძ-მინაწერი: „...დაიწერა ესე სახარება... კაიენის მხარეში..., ერისთავთ-ერისთავის ათაბაგ ივანესა და მისი ძის ავაგის მთავრობის ჟამს და რადგან ქართველებს მეფე არ ჰყავდათ, მეფის მაგივრობას თამარის ასული ასრულებდა...“ [162, 103-104]. აშკარაა, რომ ავტორი რუსუდანს მეფედ არ თვლის და მას მეფის „მაგივრობის“ გამწევად — შემცვლელად მიიჩნევს. ეს ანდერძ-მინაწერიც გარკვეულწილად მხარს უჭერს ლაშას ანდერძის რეალურობას; როგორც ჩანს, რუსუდანის მეფობის წარუმატებლობების პარალელურად თანდათანობით ძლიერდება ლაშას „თანამოასაკეთა“ პოზიციები და სულ უფრო მკვიდრდება აზრი გიორგი IV ლაშას ძის — დავითის მემკვიდრეობის ლეგიტიმურობის შესახებ. ეს აზრი ფართოდ ვრცელდება და როგორც ვხედავთ, 1232 წელს ჰიშატაკარანის ავტორი რუსუდანს მეფედ არც თვლის [162, 106]. აქედან გამომდინარეა, რომ გიორგის ძის — დავითის კანდიდატურა მალე წამოტივტივდა და მის ხელისუფლებას საქართველოში მმართველობისათვის საკმაოდ მომზადებული ნიადაგი დახვდა.

ამდენად, როგორც არ უნდა გადაწყდეს საკითხი — ანდერძი რეალურად ლაშას ეკუთვნის თუ შემდეგ არის შეთხზული, მან მაინც შექმნა საფუძველი დამოუკიდებელი სამეფო შტოების ლეგიტიმურობის სამტკიცებლად; ანდერძით, დავითის სრულწლოვანებამდე რუსუდანი მეფედ უნდა „ჰყონ“, რაც წარმოშობს ნიადაგს ორი სამეფო შტოს ჩამოყალიბებისათვის — ლაშას ძის პარალელურად, უკვე კანონიერი მეფის — რუსუდანის ჩამომავალიც ხომ იმავე ლტოლვას გამოავლენდა?! ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს არის არა XI–XII საუკუნეების ერთიანი ქართული მონარქიის ძლიერების ხანა, არამედ მონღოლთა ბატონობის პერიოდი, სადაც დამპყრობელი თავის მნიშვნელოვან სიტყვას ამბობს.

თუ შევაჯამებთ, ლაშა-გიორგის ანდერძმა საბოლოოდ უარყოფითი როლი ითამაშა: რუსუდანს მიეცა საშუალება მისი შტოს ლეგიტიმურობა ემტკიცებინა — „მეფობა“ ხომ მას თავად მეფე-ძმამ უანდერძა; მით უმეტეს, გიორგი მეფის ძე დავითი უკანონო შვილად ითვლება და გამეფებასთან დაკავშირებით ისედაც სირთულეები ელო-

დება. რუსუდანმა ისარგებლა ლაშას ანდერძით მისთვის გადაცემული ხელისუფლებით და ყველაფერი გააკეთა თავისი შტოს იურიდიული საფუძვლების შესაქმნელად. იგი ითვალიწინებს ანდერძის მეორე მხარესაც, რომლითაც მას დავითის აღზრდა და სამეფო ტახტზე აყვანა ევალება. რუსუდანის მომხრეთა მიერ ყველაფერი კეთდება ლაშას ძის უკანონოდ დაბადების ხაზგასასმელად. გიორგის ანდერძის გასანეიტრალებლად ჯერ რუსუდანის ძის თანამოსაყდრედ კურთხევა ხდება, გარდაცვალების წინ კი თავად მისი ანდერძი იქმნება, რაც უკვე მის შვილს — დავითს აძლევს უფლებას ავიდეს სამეფო ტახტზე (თუ ამას მონღოლები არ შეუშლიდნენ ხელს). შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ანდერძი მეფემ ავაგს გადასცა, როგორც ჩანს, ჩანაფიქრის განხორციელებაში განსაკუთრებული დახმარების იმედი რუსუდანს სწორედ მისგან აქვს — მასვე ჩააბარა თავისი მემკვიდრე დავითიც.

ასე დაკანონდა XIII საუკუნის საქართველოში ორი სამეფო შტოს არსებობა — ანდერძი კი იქცა მიზეზად და საფუძვლად ბაგრატიონთა სახლის დამოუკიდებელი შტოების წარმოშობისა, რასაც ურთულესი პროცესი მოჰვა — უპირველეს ყოვლისა, „ორმეფობა“.

შევეხოთ გზას „უმეფობიდან“ — „ორმეფობაში“:

1243 წლის საქართველო-მონღოლების ზავი ჯერ კიდევ დადებული არ იყო და რუსუდანი ლიხთ-იქითში მონღოლებისადმი დაუმორჩილებლობაში იმყოფებოდა, როცა 1243 წლის 3 ივლისს თათრებმა ქოსე დაღის ბრძოლაში რუსუდანის სიძე — რუმის სულთანი დაამარცხეს. აღმოსავლეთ საქართველო უმეფოდ იყო დარჩენილი, „ამისთვის შეკრბეს მთავარნი ამიერის საქართველოსანი“ და სწორედ ამ დროს ამოატივტივეს მეორე შტო — რუმში ტყვედ მყოფი ლაშას ძის — დავითის კანდიდატურა; მათი უმთავრესი არგუმენტი ისაა, რომ ბატონიშვილი „არასამართლიანადაა ხელისუფლებას ჩამოცილებული“ [151, 180]. მონღოლებს კიდევ უფრო მიეცათ ლავირების საშუალება — ბაიჯუ ნოინმა იგი ტყვეობიდან გაათავისუფლა (ამ პერიპეტიებში ქართველ დიდებულთა როლი ძალზე რელიეფურია) და ამით რუსუდანს დაუპირისპირდა [308, 65...]. მისგან საშიშროებას იგი ადრეც გრძნობს, ამიტომაც შეუთვალა სიძეს — ღიას ად-დინსა და ქალიშვილს — თამთას თხოვნა დავით უფლისწულის მოკვლის თაობაზე.

1243 წელს დავითი რუმიდან საქართველოში მოიყვანეს, გიორგი

IV ლაშას ტახტზე დასვეს [77, 25-27, 118] და მცხეთაში ქრისტიანული წესით აკურთხეს [151, 180-181, 195]. ამდენად, მივიღეთ კიდევ ერთი საფუძველი ლეგიტიმური ორი სამეფო შტოს არსებობისათვის; გაჩნდა შესაძლებლობა „ორმეფობის" ჩამოყალიბებისა — ლაშას ძე ქრისტიანული წესით ნაკურთხი თბილისში ზის, ხოლო რუსუდანის, თავად კანონიერი მეფის, ვაჟი კი უკვე 1230 წლიდან საქართველოს მეფის თანამოსაყდრეა. დავით გიორგის ძე ბათო ყაენთან გაიგზავნა, რომელმაც „კეთილად შეიწყნარა იგი" და, საბოლოოდ, ყარაყორუმის გზას გაუყენა. ყოველივეს რუსუდანის მწვავე რეაქცია მოჰყვა — იგი კარგად ხედავს მისი სამეფო შტოსათვის ვითარების მკვეთრად და არასასიკეთოდ შემობრუნებას; ჩნდება შესაძლებლობა, რომ მისი თანამოსაყდრე ძე — დავითი მეფობის გარეშეც კი დარჩეს. რუსუდანი იწყებს მოლაპარაკებას ზავის თაობაზე, სადაც ერთ-ერთი მთავარი საკითხი მისი ძის დავითის მდგომარეობა-სტატუსი ჩანს: რუსუდანის მხრიდან დაზავების ერთ-ერთ პირობად ვაჟიშვილის გამეფებისათვის გარანტიების მიცემა უნდა იყოს. 1243 წელსვე დაიდო საქართველო-მონღოლეთის ზავი, მონღოლმა ნოინებმა უკვე რუსუდანის ძე — დავითი სცნეს მეფედ და მისცეს სამეფოდ „ტფილისი და ყოველი საქართველო"; ამ სტატუსის დასამტკიცებლად ისიც ჯერ ბათო ყაენთან, შემდეგ კი ყარაყორუმში იგზავნება. ეს კიდევ ერთი ახალი საფეხურია ორმეფობის გზაზე: ორივე ბანაკი, თავისი პოზიციების განსამტკიცებლად, სათანადო არგუმენტებს აგროვებს მათი ლეგიტიმურობის სასარგებლოდ — მონღოლი ნოინების დონეზე უკვე ორივე დავითია მეფედ კურთხეული და გაგზავნილია ყარაყორუმში დიდ ყაენთან.

ამდენად, 1243 წელს დავით გიორგის ძე ტყვეობიდან თავისუფლდება და მეფედ კურთხევის შემდეგ, იმავე წელს ყაენთან იგზავნება. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოითქვა მოსაზრება, რომ დავით რუსუდანის ძის თბილისში გადმოსვლა, მისი კურთხევა — ურდოში გამგზავრება ამის შემდეგ ხდება და არა პირიქით; ამ კონცეფციით, ყოველივეს რუსუდანის გარდაცვალებამდე და კოხტასთავის შეთქმულებამდე აქვს ადგილი — დიდ ყაენთან პირველი დავით გიორგის ძე უნდა მისულიყო და არა მისი მამიდაშვილი, იგი ხომ ბათოს კარზე ორი წელი დარჩა; ყაენთან ბატონიშვილების გამოცხადება 1246 წელს ხდება [308, 77,80,81,84]. ამ დროს ყაენი გუიუქია (1249 წ. გარდა-

იცვალა) და არა მანგუ, იმპერიას კი ფაქტობრივად მისი რეგენტი — ტიურეგენი მართავს [353, 56].

ორი დავითის დავა — არგუმენტების შესახებ:

„ორნივე დავით და დავით“ წარსდგნენ დიდი ყაენის წინაშე და „იურვოდეს ორნივე მეფობასა“, თუ რომელს ჰქონდა კანონიერი უფლება მეფედ ჟურთხევისა; ბატონიშვილთა უკან მდგარი ორივე დასი თავისი კანდიდატის ლეგიტიმურობის სამტკიცებლად სახელმწიფო სამართლის დებულებებს მიმართავენ — საქმე მათ ისე აქვთ წარმოდგენილი, რომ თავიანთი კანდიდატის გამეფება თითქოს მაშინვე ხსნის მეორე ბაგრატიონის მეფობის შესაძლებლობის საკითხს; ქართველ დიდებულებს ალბათ საკითხის სხვაგვარად მოგვარება — სხვა გადაწყვეტა ვერც წარმოედგინათ. ეს დაპირისპირება შესანიშნავად ახასიათებს დიდებულთა ამ მაღალი ფენის წარმომადგენელთა ურთიერთბრძოლას გავლენის მოპოვებისა თუ დაწინაურება-პატივისათვის; ბუნებრივია, ორივე ბანაკი თავიანთი კანდიდატისაგან შესაბამის დიდებას მოელის. მონღოლები კი, თავის მხრივ, გამწვავებული ბატონიშვილობის საკითხის თავის სასარგებლოდ გამოყენებას ცდილობენ.

პლანო კარპინიც ადასტურებს „ორნივე“ დავითს შორის დავას და ურთიერთსაპირისპირო არგუმენტების არსებობას [100, 37]. რუსუდანის ძის კანდიდატურას განსაკუთრებით სარგის თმოგველი დაუპირისპირდა: „არა ჯერ-არს, რათამცა ნაშობმან დედაკაცისამან დაიპყრას მეფობა და არა ძემან თუთმპყრობელისა მეფისა მამაკაცისამან“; საპირისპიროდ ასეთი არგუმენტი იქნა წარმოდგენილი: „დაღათუ ნარინ დავით დედაკაცისა ნაშობი არს, არამედ მეფევე იყო გჯრგჯნოსანი რუსუდან, ძმისა მისისა გიორგისაგან დატეეებული, და მეფისავე ძე არს ნარინ დავით“ [104, 105-106]. როგორც ვხედავთ, ორივე მხარე საკითხს ქართული სახელმწიფო სამართლის ნორმით უდგება და საქართველოში მოქმედი ტახტის მემკვიდრეობის წესიდან თავისთვის სასურველ მომენტს უსვამს ხაზს.

მონღოლები მართლაც ითვალისწინებენ საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესს, ქვეყანაში გაბატონებულ ისტორიულ ტრადიციას, მაგრამ მას თავისთვის სასარგებლო კუთხით წყვეტენ; მათ კარგად იცოდნენ, რომ ქართული წესის დავიწყება-არგათვალისწინება საქართველოს მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევდა —

ასეთი ვითარება კი მონღოლებს არ აწყობდათ. როგორც აღვნიშნეთ, ორივე ბატონიშვილის ბანაკი მემკვიდრის ე.წ. „პირმშოობითი“ წესით არჩევის მომხრეა, მაგრამ ორივე ხომ „გურგუნოსანი“ მეფის ძეები არიან? ბუნებრივია, ამოტივტივდა ლაშას უკანონო ცოლის საკითხი და ხაზი გაესვა მისი ძის – დავითის დედის დაბალ წარმომავლობას. ჩანს, რომ არც მოპირისპირე მხარე დაბნეულა – მათ კარგად გაითვალისწინეს, რომ ეს პრობლემა მონღოლური წესით საერთოდ არ არსებობს და მას არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება; პლანო კარპინთან პირდაპირაა აღნიშნული: „თუმცა მე ხასის შვილი ვარ, მაგრამ სამართალს ვთხოულობ თათრების კანონის მიხედვით“ [100, 37]. აღნიშნულმა არგუმენტმა გაჭრა და ლაშას ძეს წარმატებაც მოუტანა.

ჩვენი აზრით, ეს მარტო ლაშას ძის მხარდამჭერთა დასის დამსახურება არ უნდა იყოს, მასში თითონ მონღოლთა ხელიც მნიშვნელოვანი ჩანს: მართალია, იყენებენ მემკვიდრეობის ქართულ წესს (მოსახლეობისათვის რომ ძალზე ძნელად მისაღები არ ყოფილიყო), მაგრამ არც თავისას თმობენ – საქართველოს ტახტის მპყრობელის პრობლემა „თათრების კანონის“ მიხედვითაც გადაწყვიტეს, ანუ ორივე წესის (ქართულისა და მონღოლურის) სინთეზი მოახდინეს, გარკვეულად ორივე მხარისათვის – მონღოლებისა და ქართველებისათვის მისაღები გახადეს და მონღოლური დამპყრობლური პოლიტიკიდან გამომდინარე კმაყოფილნიც დარჩნენ.

ორივე ქვეყნის კანონის ნორმების შეჯერების შედეგად, კაცი-მეფის ჩამომავალი (ქართული წესით), დედის წარმომავლობის მიუხედავად (მონღოლური წესით), მეფედ იქნა გამოცხადებული; ამავე დროს, გაითვალისწინეს, რომ ლაშას ძის მეფობა ადვილად მისაღები უნდა ყოფილიყო საქართველოს მოსახლეობისათვის; მეორე მხრივ, კვლავ მონღოლური წესით, ძალაუფლების დანაწილება გადაწყდა, ანუ როგორც თვითონ ჰქონდათ საკუთარ იმპერიაში – ცნობილია, რომ მათი საბრძანებელი, ოთხად დაყოფისდა მიუხედავად, ერთი უზენაესი ყაენის ძალაუფლების ქვეშ მყოფად და მთლიან სახელმწიფოდ ითვლებოდა; აქედან გამომდინარე, მეორე დავითსაც მისცეს მეფობა, ანუ კვლავ მოახდინეს ორი სახელმწიფო სამართლის ნორმების შეჯერება – ძალაუფლება დაყვეს, ორივეს გადასცეს (მონღოლური თვალსაზრისით, საქართველოს მთლიანობა ამით არ ირღვეოდა), ხოლო რუსუდანის ძეც, ვითარცა „გურგუნოსანი“

„მეფისავე ძე“, მეფედ აკურთხეს. თუ ამ კუთხით შევხედავთ განსახილველ პრობლემას, იქნებ ცოტათი მაინც შენელდეს სიმძაფრე ლაშას ძის მომხრეთა დასის ქმედების შეფასების საკითხში: „რომის დესპანის ნაამბობი ამტკიცებს, რომ ლაშა-გიორგის ძეს დავითს და მის დასს მართლაც გამარჯვების ასეთი უკადრისი საშუალებისა და ხერხისათვის მიუმართავს, როგორიცაა უცხო, დამპყრობელი ერის სამართალზე დამყარება და ამ გზით საქართველოს სახელმწიფო სამართლის კატეგორიული მოთხოვნილების დარღვევა“ [342, 131]. ორივე ქვეყნის კანონთა სინთეზის ზემოაღნიშნული თეზისიდან გამომდინარე, იქნებ არც ისაა მთლად მართალი (ან მარტო ამ კუთხით არ უნდა შევხედოთ დასმულ საკითხს), რომ დავით გიორგის ძის მომხრეები თავიანთ პოზიციას „ქართულ სახელმწიფო სამართალზე არც ამყარებენ“, რომ მისი დასი მონღოლთა სამართალს „ამოჰფარებია“ [342, 129], ან თითქოს ლაშას ძის — დავითის არჩევა „ქართული სამართლის უარყოფის სანიმუშო პრეცედენტს ქმნიდა“ [299,99].

ამდენად, ყარაყორუმში „ორთავეს მისცეს მეფობა“, დიდმა ყაენმა ისინი წარმოავლინა „ულოს წინაშე, რომელი იხილა და შეიწყნარა, და ორთავე მეფობა დაუმტკიცა და მისცა ყოველი სამეფო მათი“; მეფეთა საქართველოში მოსვლას დიდი ზეიმი გამოუწვევია — „და ვითარ ესმა ქართველთა მოსლვა მეფეთა, უზომოთა სიხარულითა აღვსებულნი წინმოეგებნეს...“ [104, 107]. 1247 წელს — „დასხდეს ტახტსა მამათა მათთასა ტფილისს დავით და დავით, — ორნივე“ [104, 107]. ლაშა-გიორგის ძეს — დავითს უფროსობით „ულუ“ ეწოდა, რუსუდანის ძეს — „ნარინი“[1] სხვათა შორის, საინტერესოა, რომ ჟამთააღმწერლის მიხედვით, ისე გამოდის, თითქოს ამ დავითს მონღოლეთში გამგზავრებამდე ეწოდა „ნარინი“: „და ესრეთ კეთილად შეიწყნარეს დავით მეფე, რომელსა ნარინ დავითობით უწოდეს, ესე იგი არს, სეფისპირი დავით“ [104, 79].

როგორ მოგვარდა „ორნივე“ დავითს შორის უფლებრივი სტატუსი — მმართველობის რა პრინციპი მოქმედებდა ერთ ტახტზე ორი მეფის ხელისუფლობისას?!

---

[1] უკანასკნელ პერიოდში ამ შეხედულების საპირისპიროდ გამოითქვა განსხვავებული მოსაზრება -იხ., გ-ლასანია, ერთი ისტორიოგრაფიული ფაქტის შესახებ, „მაცნე“, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №2, 1993.

უცხოენოვანი ისტორიული წყაროებით (პლანო კარპინი, რაშიდ ად-დინი, ჯუვეინი), მონღოლებმა დავით რუსუდანის ძე (ნარინი) დავით გიორგის ძეს (ულუს) დაუქვემდებარეს — დაუმორჩილეს; კირაკოზ განძაკეცის სხვა პრინციპი აქვს დაფიქსირებული: „И предписал им править царством по порядку: сперва править старшему из них - Давиду, сына Лаша Георгия, а затем, после смерти его (если другой останется жив), - другому Давиду...“ [151, 195]. როგორც ვხედავთ, რიგის მიხედვით „მორიგეობით“ მეფობაა აღნიშნული, მაგრამ მაინც დავით ულუს უფროსობა-პრიორიტეტი ჩანს.

ქართველი ჟამთააღმწერელი იცნობს მსგავს მოსაზრებას ორი დავითის ხელისუფლების შესახებ და აღნიშნავს, რომ „მოწევნულ არს ესეცა სიტყუა“, რომელსაც „სხუა ვინმე ყოველთა აღმწერელი იტყჳს“, რომ გუიუქმა „ესრეთ გაბჭო, რომე მეფობა ლაშას ძესა დაუმტკიცონ, და ესრეთ წარმოავლინა“ — ასწლოვანი მატიანის ავტორი ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ იზიარებს და ხაზგასმით ამბობს: „მე არა შევიწყნარებ ამას“ [104, 107]; მისი არგუმენტებითა და საბოლოო დასკვნით, „ორნი დასხდეს ტახტსა ზედა და აზომ, რომელი მრავალი სიგელი იპოვების და თჳთ მე მინახავს, რომელ სიგლისა თავსა სწერია: „მეფენი ბაგრატოანნი“, და „ნებითა ღ˜თისათა, დავით და დავით“, და ქელითა ორთავესი რთავს: „ჩემ დავითისგან მტკიცე, და ჩემ დავითისგანცა მტკიცე არს“. ხოლო დასხდეს ორნივე მტკიცედ მეფედ... ორნივე დავით და დავით, სიყუარულსა ზედა ეგნეს და არა წინააღუდგებოდეს ერთმანეთსა“ [104, 108]. ფარსადან გორგიჯანიძემაც ასევე „მეფობა ორთავე“ დავითისა აღნიშნა და გაიზიარა [42].

ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირითადად მიღებულია, რომ „ჟამთააღმწერელი მართალი იყო, როდესაც ორთავე დავითის მეფობის აზრს იცავდა“..., „როდესაც ლაშა-გიორგის ძისა და რუსუდანის შვილის იმთავითვე ცალ-ცალკე მეფობის ცნობას არღვევდა და მათ საერთო მეფობას ამტკიცებდა“ [342, 135-136, 137]. რაც შეეხება მმართველობის პრინციპს, აღიარებულია, რომ „მორიგეობითი მეფობის წესი“ არ შემოღებულა და „ორმეფობა საქართველოში თავდაპირველად ერთი ტახტით ხორციელდებოდა“ [299, 99-101].

ამავე დროს, იქმნება ერთი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა: ფაქტია, რომ ორი მეფე და მათი შთამომავალი ერთი და იმავე საფუძვლით — ტახტზე მემკვიდრეობის უფლებით ვერ იარსებებდა; ეს მომენტიც, როგორც ჩანს, გათვალისწინებულია მონღოლთა მიერ, ამიტომ ე.წ. „ულუ-ნარინობის" პრინციპი იქნა შემოღებული; „ხოლო უპირატესი პატივი და ზემოჯდომა ლაშას ძესა, დავითს, ეპყრა ლაშას ძეობისათჳს, დაღაცათუ უხუცესობისათჳს" [104, 108]. აქ კარგად ჩანს ქართული და მონღოლური სახელმწიფო სამართლის ნორმების შეჯერება-სინთეზის ცდა: დავით ულუმ ქართული წესით ტახტის მემკვიდრეობითობის შესახებ, მამაკაცი-მეფის „ლაშას ძეობისათჳს," „ზემოჯდომა" მოიპოვა. ამავე დროს, ეს „ერთგვარი უფროსობა" (ივ. ჯავახიშვილის ტერმინია [342,137]) მას მონღოლური კანონებითაც მიეკუთვნა — „დაღაცათუ უხუცესობისათჳს"; ეს ისევე გაკეთდა, როგორც თვით მონღოლებს ჰქონდათ მოწყობილი — მხედველობაშია, ოთხი ყაენის არსებობა, რომელთაგან ერთი — უხუცესი უზენაესი უფლებით სარგებლობს და დანარჩენთა უფროსადაც ითვლება. იქნებ ამ კუთხითაც შევხედოთ შემდეგ დასკვნას: „საცილობელი საკითხი ქართული სახელმწიფო სამართლის თანახმად კი არ გადაწყვეტილა, არამედ მონღოლთა სამართლისამებრ" [342, 134]. ჩვენ მაინც ორივე ქვეყნის სამართლის ნორმების სინთეზის შესაძლებლობისაკენ ვიხრებით.

ორი ბაგრატიონი — უფლისწულის გარშემო ატეხილმა დავამ ტახტის მემკვიდრეობითი წესის შესახებ ზოგიერთი საინტერესო მომენტიც გამოავლინა: როგორც ჩანს, მიუხედავად თამარისა და რუსუდანის მეფობისა, ქალს სამეფო ტახტზე საქართველოში გარკვეული წრეები მაინც მიუღებლად და უკანონოდ თვლიან (გავიხსენოთ სარგის თმოგველის სიტყვები...). ისტორიულ წყაროთა განხილვა გვარწმუნებს, რომ საკმაოდ ძლიერი ძალა ფეოდალურ საქართველოში ქალის — რუსუდანის მეფობას საეჭვოდ მიიჩნევს [302, 71]. ისიც ფაქტია, რომ შემდეგ პერიოდში საქართველოში ქალის მეფობას ადგილი აღარ ჰქონია. ჩვენი აზრით, აქაც საქართველოს ტახტის მემკვიდრეობის წესის გარკვეული პატივისცემა ჩანს — გათვალისწინება ხდება იმ პრინციპისა, რომ ქართული და სხვა ქვეყნის სამართლითაც, სამეფო ტახტზე ქალის შთამომავალს მხოლოდ მაშინ აქვს მეფობის უფლება, როდესაც მამ-

რობითი სქესის შთამომავალი სამეფო საგვარეულოში ან ოჯახში აღარ არის.

უდავოა, რომ ორი მეფის ერთ სამეფოში არსებობა თავიდანვე შეიცავდა უთანხმოების შესაძლებლობას, რასაც მონღოლები ითვალისწინებენ და ვითარების თავის სასარგებლოდ გამოყენებას ცდილობენ. ცნობილი აზრია, რომ მონღოლები დაპყრობილ ქვეყნებში ერთიანი ქვეყნის დასუსტება-დაშლა-დაქუცმაცებას უწყობდნენ ხელს; ამავე დროს ითქვა, რომ პირიქითაა — მონღოლებს უნდათ საქმე ჰქონდეთ უფრო დიდ პოლიტიკურ ერთეულებთან, ვიდრე დაქუცმაცებულ ანარქიულ ნაწილებთან [314, 269]. ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება გარკვეულად სწორია, მაგრამ საკითხი პრობლემისადმი ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს: იგი დამოკიდებულია პერიოდზე — არის მონღოლთა ბატონობის გარკვეული ხანა, როცა მათ ერთიან საქართველოსთან უფრო აწყობთ ურთიერთობა; მაგრამ სხვა ეტაპებზე, იმპერიის მდგომარეობიდან გამომდინარე, თათართათვის ზოგჯერ ქართულ სამეფოში დაქსაქსულობა და ანარქიაა მომგებიანი (მაგ., მრავალმეფიანობის ხანა). ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, მათთვის სახელმწიფო ცენტრის სისუსტე უფრო მისაღებია; ორი მეფის არსებობა კი შინააშლილობის პროვოცირების კარგ საშუალებად მოჩანს. ამ ეტაპზე ასეთი ვითარება მონღოლებს ძალზე სჭირდებათ, რადგან საქართველო მათ მიერ ჯერ კიდევ ბოლომდე ათვისებული არ არის. ფაქტია, რომ „ორნიენ" დავითის არსებობით მონღოლებმა „შექმნეს სუსტი, უმაღლეს ძალაუფლებას მოკლებული ცენტრი" [252,556]. მეორე მხრივ, ორმეფობასთან დაკავშირებით, ბოლომდე არც მონღოლებს გაუმართლათ: მეორე მეფე — დავით ნარინი, როგორც ცნობილია, დამპყრობლებს აუჯანყდა და მათდამი ბოლომდე დაუმორჩილებლობაში დარჩა; ამ პერიოდში, მონღოლებს ალბათ უკვე ერთი მორჩილი მეფე უფრო ერჩივნათ. ამავე დროს, ეს მომენტი საქართველოსთვისაც საკვალალო აღმოჩნდა — ცენტრის დასუსტება, ლიხთ-იქითის ტახტი, განყოფის ტენდენცია და ერთიანი სამეფოს დაშლა...

1247 წლიდან თბილისში სამეფო ტახტზე შექმნილ სიტუაციასთან დაკავშრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე ჯგუფი ისტორიული წყაროებისა — უცხოურიც და ქართულიც, ჩვენი აზრით, პრინციპში ერთსა და იგივეს ამბობენ: ორივეს ერთ ტახტზე მეფობა, უხუცესი-

სადმი მეორის „ნარინის“ სტატუსში ყოფნა; რაც შეეხება ქართულ თხზულებაში აღნიშნულ „ზემოჯდომის“ პრინციპს, უცხოელი ავტორების მიერ იგი ისე იქნა გაგებული, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. ამდენად, თუ დავასკვნით, ჯერჯერობით საქართველოში ერთიანი სამეფო ტახტია, „ორმეფობა“ ჯერ არ დამდგარა – „თანამეფობაა“, ანუ მმართველობა „უფროს-უმცროსობის პრინციპზე“ (დ. გვრიტიშვილი ტერმინია [205, 203]) ხორციელდება (ეს მომენტი, როგორც ქვევით აღვნიშნავთ, ორი დავითის მონეტაზეც აისახა).

ზემოგანხილულის საპირისპიროდ, ქართულ ისტორიოგრაფიაში არის ცდა საკითხის სხვა კუთხით დაყენებისა: ამ მოსაზრებით, ყაენისგან თბილისში დაბრუნების შემდეგ სამეფო ხელისუფლებას მხოლოდ დავით ულუ წარმოადგენს (ანუ პლანო კარპინი და კირაკოს განძაკეცი მართლები არიან) – XIII საუკუნის 40-იან წლებში არავითარ „ორხელისუფლებიანობას“ ადგილი არ ჰქონია, კერძოდ, იმ გაგებით, რაც მიღებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში [308, 75-76].

პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ დავით ულუსა და დავით ნარინის მეფობის ხანაში ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული პერიოდი გამოიყოფა: ერთი, როცა ორი მეფეა ერთ სამეფო ტახტზე (ამას ადგილი ჰქონდა თბილისშიც და ქუთაისშიც) და მეორე, ორი დამოუკიდებელი მეფე თავისი სამეფო ტახტით, დამოუკიდებელი სამოხელეო აპარატითა და შესაბამისი პოლიტიკით. XIII საუკუნის საქართველოში არსებული ორი ეს განსხვავებული პოლიტიკური ვითარება ქართულ ისტორიოგრაფიაში რატომღაც ერთ ტერმინით „ორმეფობით“ არის აღნიშნული (იხ. მაგ., „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“). ჩვენი აზრით, თვისებრივად სხვადასხვა მდგომარეობა ქვეყანაში თუ ბაგრატიონთა სამეფო სახლში ტერმინოლოგიურადაც მოითხოვს შესაბამის ასახვას. ვფიქრობთ, დავით ნარინის ლიხთ-იქითში დამოუკიდებელი მეფობის ხანიდან არსებულ ვითარებას მართლაც „ორმეფობა“ უნდა ეწოდოს; ბ. სილაგაძის სიტყვებითაც, „ორხელისუფლებიანობა ანუ ორმეფობა ჩვენში დაიწყო მაშინ, როცა ყაენზე განაწყენებული დავით ნარინი ქუთაისში გადავიდა და იქ დაიდო ბინა“ [308, 76]. მაგრამ, განა ცალკე არ უნდა გამოვყოთ პირველი ეტაპი – ყაენისგან მოსვლა და თბილისში ერთად მეფობა?! ჩვენი აზრით, ამ ხანას „თანამეფობა“ უნდა ეწო-

დოს (და არა „ორიანობა“, როგორც ადრე ვფიქრობდით [273]).

ბ. სილაგაძე ამ პირველი პერიოდის ე.წ. „ორხელისუფლებიანობის“ არსებობას უარყოფს; მისი აზრით, თბილისში სამეფო ტახტზე ერთდროულად ორი მეფის განმგებლობის მტკიცების მიზეზად იქცა „ქართველი ჟამთააღმწერლისეული არაზუსტი ცნობებისადმი უპირატესობის მინიჭება“; „ზემოჯდომის“ მომენტიდან გამომდინარე მკვლევარი დავით ნარინს „ვიცე მეფეს“ „უწოდებს [308, 76...81], რომლის მოქმედებასაც დასავლეთ საქართველოს ფეოდალთა ინტერესები მნიშვნელოვნად განაპირობებენ – მას შემდეგ, რაც ქუთაისმა სატახტო ქალაქის სტატუსი დაკარგა, ხოლო დავით ნარინი თბილისში მაინც „დამცრობილი“ ზის, ისინი ყველაფერს აკეთებენ სიტუაციის შესაცვლელად, რასაც ორმეფობა მოჰყვა.

მოყვანილ თვალსაზრისს მოკლედ ვუპასუხებთ: როგორც უკვე აღნიშნული იყო, ერთ-ერთი მეფის „უპირატესი პატივი“ და „ზემოჯდომა“ არ ნიშნავს, რომ გარკვეული პერიოდით ერთ ტახტზე „ორნივე“ დავითის მეფობას ადგილი არ ჰქონია; ჩვენი ტერმინოლოგიით, ეს „თანამეფობაა“. ქართული ისტორიული წყაროები ამ მხრივ არ უნდა ცდებოდნენ – ქართველ ისტორიკოსებს არ შეიძლება სხვაზე ნაკლებად სცოდნოდათ, თუ დიდი ყაენისგან დაბრუნების შემდეგ სამეფოში მმართველობის რა ფორმა ჩამოყალიბდა – ჟამთააღმწერელი, ფარსადან გორგიჯანიძე, ვახუშტი ამ საკითხში ერთსულოვანნი არიან. ჩვენ ვეთანხმებით ზემოაღნიშნული ავტორის სხვა უმთავრეს დებულებებს [308, 79], მაგრამ მხოლოდ „თანამეფობის“ პერიოდის არსებობის შემდეგ; თვითონ მკვლევარივე აღნიშნავს, რომ ნარინი ულუს „თანამეფე“ იყო და ასეთი ვითარება ერთი-ორი წელი გრძელდებოდა [308, 81]. ჩვენც სწორედ ამის მტკიცება გვინდა, რომ ისინი გარკვეული პერიოდი „თანამეფენი“ არიან და, როგორც ჩანს, ჟამთააღმწერელიც სწორედ ამ სიტუაციას აფიქსირებს საქართველოს სამეფო ტახტზე. განა ორი წელი ის ხანა არ არის, რომ იგი შესაბამისად აღინიშნოს ბაგრატიონთა სამეფო სახლის ისტორიაში?! ან რატომღაა მაშინ ჟამთააღმწერლის ცნობა „არაზუსტი“?! მეორე საკითხია, თუ ეს ერთად მეფობა რამდენი ხანი გაგრძელდა.

ამდენად, ორი დავითის დიდი ყაენისგან დაბრუნების შემდეგ არსებობდა ერთად მეფობის პირველი ეტაპი, რომელსაც „თანამე-

ფობა“ უნდა ეწოდოს; „თანამეფობა“ – ორი მეფის საშუალებით ერთი ტახტის მმართველობაა, სადაც გარკვეული „ზემოჯდომა“ უფროსს გააჩნია. მეორე ეტაპი უკვე „ორმეფობაა“ (იგივე „ორხელისუფლებიანობა“), რომელიც ქვეყანაში დავით ნარინის განდგომის შემდეგ დგება.

დავით ნარინის ლიხთ-იმერეთში გადასვლის თარიღი სადავოდ იქცა; საყოველთაოდ გაზიარებულ ამ ფაქტის ივ. ჯავახიშვილისეულ დათარიღებას – 1259 წელი [342,157], უპირისპირდება მისი 1248/49 წლებით აღნიშვნა [308, 82...][1]; როგორც არ უნდა გადაწყდეს ეს პრობლემა, ჩვენთვის ამჯერად მთავარია, რომ დავითის ლიხთ-იქითში გადასვლით ქვეყნის მმართველობის „თანამეფობის“ ფორმა „ორმეფობით“ შეიცვალა. დავით ულუს „ზემოჯდომა“, რუსუდანის ძის „ნარინობით“ მეფობა და ის მიზეზი, რომ „ულო ლაშას ძისა დავითისთჳს უმეტეს მოყუარულ იყო და რუსუდანის ძისა დავითისთჳს მოძულე“, საბოლოოდ, დავით VI დასავლეთ საქართველოში გადასვლა-გამეფებით დასრულდა – სტეფანოზ ორბელიანი მას ასე უწოდებს: „მცირე მეფე სონელთა (სვანეთი, დ.ნ.) დავით“ [114, 75].

ლიხთ-იქითში გადასვლა შემთხვევითი არ იყო – ქვეყნის ამ ნაწილის განყოფა-განდგომის ტენდენცია თუ ისტორიულ-გეოგრაფიული იზოლირებულობა მონღოლთა პოლიტიკისა და სამეფო ტახტის სისუსტის ხანაში კიდევ უფრო ძლიერდება [281,113]. რუსუდანის 1226 წელს ლიხთ-იმერეთში გადასვლასა და ქუთაისის სატახტოდ ქცევის შემდეგ, დასავლეთ საქართველოს წარჩინებულთა წრეში ჩნდება იმედი ძველი მდგომარეობის აღდგენისა, რომელიც XII საუკუნის I მეოთხედიდან, თბილისში სამეფო ტახტის აღდგენის შემდეგ, მათ თანდათანობით დაკარგეს; რუსუდანის თბილისში დაბრუნება, ქუთაისის მიერ სატახტო სტატუსის დაკარგვა და დავით რუსუდანის მიმართ მეორე დავითის „ზემოჯდომა“ ლიხთ-იმერეთის დიდებულთა სეპარატისტულ განწყობილებებს კიდევ უფრო აღვივებს [308, 79]. დავით ნარინის მდგომარეობაში მყოფი ბაგრატიონისათვის ასეთი რეგიონი შესანიშნავ ნიადაგს შეიცავდა სოციალური საყრდენის გაჩენის, ფეხის მოკიდებისა და მფლობელობის მოპოვების თვალსაზრისით. სრულიად ლიხთ-

[1] ბოლო პერიოდის გამოკვლევებიც ამ თარიღს უჭერს მხარს. – მგ., ნ. ასათიანი...

— ვერ მიხვდებიან და ჩვენ მივახვედრებთ.

— ოომ არ დაგვიჯერონ?

— ნუ ხარ მხდალი! — გაჯავრდა რკო, — ხომ იცი ზაფხულის ღამე რა მოკლეა, დროს ნულარ კარგავ.

ოქროცერცვა გაიქცა. ფრთხილად გადაირბინა თხრილები, გადაევლო მავთულხლართებსაც და მტრის ზურგში რომ შევიდა, მუცელზე ხოხვით განაგრძო გზა. თუმცა ოქროცერცვა ისეთი მრგვალი იყო, გინდ წოლილიყო და გინდა მდგარიყო, ერთი ფასი ჰქონდა! თავპირისმტვრევით მიგორავდა, გეგონებოდათ კლდიდან დააგორესო. ჯივხ-პაოკ-პარკუნას კარავს რომ მიუახლოვდა, ხელები ზურგზე შემოიწყო აქაოდა ვსეირნობო და ნელა გასწია წინ. მცველებმა ასე დიდის ამბით და დინჯად მოსეირნე ოქროცერცვა დაუბრკოლებლად გაატარეს და მის აღმატებულების სტუმარს სალამიც კი მისცეს.

მხედრების მეუფეს კარავში მკვდარივით ეძინა. ხტუნიამ ჯიხვ-პაოკ-პარკუნას მოსასხამი გაშალა, ზედ მუზარადი, მედლები და ჯვრები დააწყო. მერე ფუთა გამოკრა, ზურგზე მოიგდო და იმავე ეზით დაბრუნდა უკან.

რკო კარავში არ დახვდა. იგი ფეხოსანთა მთავარსარდლის კარავთან მიწაზე გაშოტილიყო და უცდიდა როდის ჩაქრებოდა კარავში შუქი ან როდის ჩათვლემდა მცველი. მობეზრდა ასე გაუნძრევლად წოლა და რომ დარწმუნებულიყო, მცველს ეძინა თუ არა, კენჭი ესროლა. ჯარისკაცი ფეთიანივით წამოვარდა. სხვა რა გზა ჰქონდა, რკომ ერთი მაგრად ჩასცხო ზურგში და გვერდზე მიაგდო.

მერე კარავში შევიდა, სწრაფად შეაგროვა პარკ-პარკუნას ავლადიდება და გარეთ გამოსვლას რომ აპირებდა, უზარმაზარი სარკე დაინახა.

თავდაპირველად რკომ თავით ფეხებამდე შეათვალიერა თავი. გაიკვიმა, დაეჭყანა კიდეც თავის გამოსახულებას: ენა გამოუყო, ცხვირი აუბზიკა და თვალიც ჩაუკრა. სარკე იმეორებდა ყოველ მის მოძრაობას.

თამაშმა ისე გაიტაცა, ჯერ პარკუნას მუზარადი ჩამოიცვა თავზე. მერე შარვალში გაუყარა ფეხები, დეზებიანი ჩექმებიც ჩაიცვა და წითელწინწკლებიანი მუნდირი მოიცვა. მერე რაც კი ორდენი და ჯვარი

იყო, ყველა გულზე ჩამოიკიდა. ამ ამბებს რომ მორჩა, ისევ სარკეში ჩაიხედა და თავი ვეღარ იცნო: მის წინ წარმოსადეგი მეომარი იდგა.

რკო რამდენჯერმე სამხეკრო ფესით სემოტრიალდა და ისე ააჩხარუნა ჯინჯილები, თითქოს ოქროდა ფულით გატენილი ტომარა ეკიდა. ეს ფალიან მოეწონა და დაიწყო სარკის წინ სიარული. ამ დროს პარკ-პარკუნა საზარელ სიზმარს ხედავდა და იტანჯებოდა. ესიზმრა, ვითომ მსეკრებმა ბოლო მოუღეს მის არმიას და ახლა მას მოსდევდნენ დასაჭერად.

რომ გაღვიძა. შიშით კარგა ხანს თვალი ვერ გაახილა. და წარმოიდგინეთ რა მოუვიდა, სარკის წინ თავისივე თავი რომ დაინახა! პარკ-პარკუნამ ისევ დახუჭა თვალები და თავზე საბანი წაიფარა. მაინც ესმოდა ორდენების ჩხარაჩხური. მხედართმთავარმა ფრთხილად იჩქმიტა ფეხზე და საბნიდან გამოიჭყიტა. გამოიჭყიტა და პირს კატა ეცა: მისი აჩრდილი სარკის წინ ისევ ბოლთას სცემდა. თქმა არ უნდა — თვალიანს დაეიოლა!

„მაგ აქ ვინ წევს?" — გაიფიქრა ჯიხვ-პარკ-პარკუნამ და ისევ იჩქმიტა ფეხზე.

არც ახლა გაქრა აჩრდილი. ფეხოსანთა წინამძღოლმა ცხვირზეც იჩქმიტა. აჩრდილი ისევ ისე იდგა და ფეხს არ იცვლიდა.

— მცველებო! — აბაადამიანური ხმით შეჰყვირა ეაჟკაცმა.

ამ სმაილ რკოს ციემა ოფლმა დაასხა, შიშის ქარმა აიტანა და ადგილიდან ფეხი ვერ დაძრა. თავისდაუნებურად ხმალს წაწვდა.

— ეი მომკლა! — საცოდავად დაიკნავლა პარკუნამ. — ყველა ჯარისკაცს უკლებლივ მოგცემ, ოღონდ სიცოცხლე მაჩუქე! — ფეხებში ჩაუვარდა ლა ხელები მაღლა ასწია. — გნებდები! ოღონდ მითხარი ვინა ხარ?

ჯიხვ-პარკ-პარკუნას შეშინებულმა კნავილმა რკო დააწყნარა. როცა მცველები შემოცვივდნენ, იგი უკვე ბრძენივრად გრძნობდა თავს და ოხიანად ეკითხა მათ:

— მოაგონეთ ამ ყეყეჩს ვინა ვარ მე?!

— თქვენ ხართ პარკოსანთა მეუფე, შეუდარებელი პარკ-პარკუნა!

— მე ვიღა ვარ? — ვერაფერი გაიგო ნაბძანარევმა პარკოსანმა.

იმერელნი „შემოკრბეს სიხარულითა დიდითა და მეფე-ყვეს დავით აფხაზთა ვიდრე ლიხთამდე“ [104, 110]. საშინაო და საგარეო ფაქტორთა უარყოფითად ურთიერთგადაჯაჭვამ და შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ ჯერ კიდევ ერთიან ქვეყანაში რეალურად ორი სამეფო ტახტის არსებობა განაპირობა თავისი ტახტით, სამმართველო აპარატით, საკუთარი ფულითა და საშინაო-საგარეო პოლიტიკით. მიუხედავად ასეთი სიტუაციისა, საქართველო მაინც ერთიან სამეფოდ მოიაზრება — ამ მხრივ, შესანიშნავი დეფინიცია აქვს ასწლოვანი მატიანის ავტორს: „და აქა შინა შეიქმნა სამეფო ესე ორ სამთავროდ“ [104, 110]. ასეთ ვითარებაშიც ორივე „იყვნეს სიყუარულსა ზედა ერთმანერთისასა დავით და დავით“ [104,110]. ეს კარგად გამოვლინდა 1260 წელს დავით ულუს წარუმატებელი აჯანყებისა და მისი ლიხთ-იმერეთში გადასვლის შემდეგ, როცა ადგილი აქვს ორი დავითის „თანამეფობას“ უკვე ქუთაისში — მათი ასეთი მდგომარეობის გამოხატულებაა ორი დავითის გამოსახულებიანი კირმანეულის ტიპის მონეტის მოჭრა (1261 წლის II ნახევარი — 1262 წლის დამდეგი) [158, 143]. უფლებრივი თვალსაზრისით საინტერესოა, რომ ლაშა-გიორგის ძე მასზე აღნიშნულია როგორც „მეფეთა მეფე დავით“, ხოლო რუსუდანის ძე „მეფე დავით“. მეორე „თანამეფობა“ მცირე ხნით გაგრძელდა — წარჩინებულთა მაღალ წრეებში გავლენის მოპოვებისა და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლამ გამოიწვია „აშლილობა და შფოთნი მრავალნი იმერით“, რის შემდეგაც „რომელნიმე წარმოუდგეს ლაშას ძესა, და რომელნიმე რუსუდანის ძესა“. ყოველივეს, მიუხედავად იმისა, რომ „არა ავნებდეს ურთიერთას ორნივე, დავით და დავით,“ ცნობილი პოლიტიკური გადაწყვეტილება მოჰყვა — გაყვეს „სამეფო და საჭურჭლე ორად..., ტფილისი — ორად, ქუთათისი ორად“... თვით „სუანნი განიყვნეს ორად“ [104, 126]. დავით ულუ აღმოსავლეთ საქართველოში დაბრუნდა და მონღოლებს დაუზავდა.

ამდენად, კვლავ „ორმეფობა“ აღდგა — ეს უკვე მისი არსებობის მეორე ეტაპია, როცა საქართველოს ამ ორი მთავარი მხარის სხვადასხვა სტატუსით არსებობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა; ამას ჟამთააღმწერელიც აფიქსირებს, რომელიც პირველ დეფინიციასთან შედარებით ახლა შემდეგს აღნიშნავს: „და აქა იქმნა განყოფა სამეფოსა, და მიერითგან შეიქმნა ორ სამეფოდ“ [104, 127]. ჯერ კიდევ

იურიდიულად ერთიან სახელმწიფოში შეიქმნა ვითარება, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი ერთი წინადადებით ასე ახასიათებს: „პოლიტიკურმა სინამდვილემ საქართველო ორ ცალკეულ ერთეულად აქცია“ [344, 74]. „ორმეფობის“ მეორე ეტაპზე დავით ნარინის სტატუსსა და ილხანებთან დამოკიდებულების ხასიათზე ვრცლად აღარ შევჩერდებით; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ დავით ნარინის ლიხთ-იქითში მმართველობის ფორმისა და მის მიერ წარმოებული პოლიტიკის შედეგად ქვეყნის ამ მეორე ნაწილის მონღოლებისადმი დაქვემდებარება შეწყდა და იგი მათი ყმადნაფიცობისაგან გათავისუფლდა.

„ორმეფობამ“ საქართველოში მეორე ტახტის წარმოშობა განაპირობა, ცენტრით ქუთაისში — „ქუთათისის ტახტისა“ და დავით ნარინის სამეფო შტოს მთავარი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური საყრდენი „ყოველი სამოქალაქო“ ხდება. „ქუთათისის ქვეყანა“, იგივე „შიდა ეგრისი“, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყანაა.“ იგი მის შემკვრელ ცენტრზე — ქუთაისზე ადმინისტრაციულად და ეკონომიკურად დამოკიდებული ტერიტორიაა. „ქუთათისის ქვეყანა“, როგორც პოლიტიკურ-ადმინისტარციული, ბუნებრივ-გეოგრაფიული, ეკონომიკური და ეთნო-კულტურული მთლიანობა, არგვეთთან ერთად ისტორიული იმერეთის ჩამოყალიბების უმთავრესი საფუძველია [213; 214, 207...; 278]. „ლიხთ-იქითის“ პოლიტიკური ცენტრი ქ. ქუთაისი ხდება. ასეთ რეგიონში სამეფო ტახტის გაჩენამ ლიხთ-იმერეთის ბაგრატიონთა დინასტიის — „ძეთაგანი ნარინ დავითისაგან“ შტოს წარმოშობა განაპირობა; ისინი უკვე ლიხთ-იქითის „მეფეებად“ [281,133; 284] გვევლინებიან, ანუ ყალიბდება ბაგრატიონთა სამეფო სახლის ლიხთ-იმერეთის განშტოება. ლიხთ-იმერეთის ეს ბაგრატიონები თავიანთ პრეტენზიებს, ლეგიტიმიზმის თვალსაზრისით, კანონიერად მიიჩნევენ, რამდენადაც თავიანთ შტოს იურიდიულად, ოფიციალურად კურთხეული მეფის — დავით ნარინის მემკვიდრეებად მიიჩნევენ. ამავე დროს, ლაშას ანდერძის არსებობა, სადაც თავად გიორგი მეფის მიერ გარკვეული პერიოდით რუსუდანის მეფობაა ნებადართული, ასევე ქმნის საფუძველს სამეფო სახლის ამ მეორე შტოს წარმოქმნა-არსებობისათვის.

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ „თანამეფობა“ — ერთ ტახტზე „ორნივეს“ მეფობა, ერთ-ერთის „ზემოჯდომის“ პრინციპით, თავიდანვე

თავის თავში სეპარატიზმისა და დინასტიური ბრძოლის შესაძლებლობებს შეიცავდა. რომელიმეს „ზემოჯდომის“ გარეშე მმართველობის რეალურად განხორციელება ხომ შეუძლებელიც იქნებოდა, მეორე მხარის „ნარინობით“ მეფობა თავისთავად უკვე უკმაყოფილების საწინდარიც ხდება. „ორმეფობა“ — ერთ-ერთი ეტაპია ტახტის მაძიებელ უფლისწულთა ბრძოლის ისტორიაში; თუ XI-XII საუკუნეების განმავლობაში ისინი ერთიანი ტახტისათვის იბრძვიან, XIII საუკუნეში ლიხთ-იქითისა და ლიხთ-ამერის ტახტებითაც კი კმაყოფილდებიან. ბაგრატიონთა სახლში ორი სამეფო შტოს ჩამოყალიბება, შინაპოლიტიკურ-დინასტიური ბრძოლა, ე.წ. „ბატონიშვილობის საკითხის“ განსაკუთრებული სიმწვავე და ურთულესი საგარეო ვითარება ქმნიან პირობებს ქვეყნის გახლეჩა-დაშლილობისათვის. ლიხთ-იქითში ასეთი შტოსა და შესაბამისი ტენდენციების განვითარება საბოლოოდ დამოუკიდებელი იმერეთის სამეფოს, ანუ ბაგრატიონთა იმერეთის სამეფო სახლის წარმოშობას განაპირობებს.

თავი II

ბაგრატიონთა სახლის გვერდითი შტოები და ბატონიშვილობის საკითხი XIV-XV საუკუნეებში

§1. მრავალმეფიანობის ხანა - 1298-1318 წლები

XIII-XIV საუკუნეების მიჯნა საქართველოში დინასტიური ბრძოლის განსაკუთრებული გამწვავებით აღინიშნა. ამ მცირე მონაკვეთში სხვადასხვა ძალაუფლების მქონე რამდენიმე მეფე და ე.წ. „პროვინციის მეფე" მოღვაწეობს: დავით VIII (1293-1311), ვახტანგ III (1298-1304), გიორგი V ბრწყინვალე (1299, 1318 – 1346), გიორგი VI მცირე (1308-1318), მელქისედეკ „პროვინციის მეფე" (1311-1318), დემეტრე დმანისის მხარის „პროვინციის მეფე" და დავით ნარინის ძე – მეფე კონსტანტინე (1293-1327) დასავლეთ საქართველოში. რადგან აღნიშნული პერიოდში – 1298-1318 წლებში ერთდროულად რამდენიმე მეფის „ქელმწიფობაა" დადასტურებული, ამიტომ მართებულად გვეჩვენება საქართველოს ისტორიის ამ მონაკვეთს, იურიდიულად ჯერ კიდევ ერთიან სამეფოში, „მრავალმეფიანობის" ხანა ვუწოდოთ [246, 25-26].

დემეტრე თავდადებულის დაღუპვის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში გამეფებულ დავით ნარინის შვილს – ვახტანგ II (1289-1292) მეტოქეები გამოუჩნდენენ დემეტრე II ძეების – დავითისა (დავით VIII) და ვახტანგის (ვახტანგ III) სახით. დავით ბატონიშვილს ვახტანგ II მეფობაში კიდეც „მიეცა ფლობა" [103, 294], რაც მალე – 1293 წელს მისი გამეფებით დასრულდა. დავით მეფის ურთიერთობა ყაზან ყაენთან მალე ფუჭდება და იგი 1297 წ. „უკუდგა ჟინვანს" [103, 302]. დავით VIII და მის ძმას – ვახტანგ ბატონიშვილს შორის კარგი ურთიერთობაა, რაც თავიდან მათი ერთმანეთის გვერდზე დგომაში გამოიხატა – მაგ.,1297 წ. დავით VIII „წარავლინა ძმა თჳსი უმრწმესი ვახტანგ ელჩად დიდისა ბათოს შვილიშვილის ყაენისა და უქადა გზა გამოსვლად ყაენსა ზედა" [104, 195; 279]. მონღოლებმა მალე მოახერხეს ძმებს შორის შუღლის ჩამოგდება და 1298 წ. მეორე ელჩობას უკვე სხვა ძმა – ბაადურ (ბაიდუ) ხელმძღ-

ვანელობს. „იკლო რამე სიყუარული და სიკეთე“ და ვახტანგი „ძმისა მისისა დავითისაგან შეპყრობილცა იყო და პატიმრული ციხესა ჟინოვანისასა“; ვახტანგ ბატონიშვილი ჟინვალიდან გამოიპარა და ივანე ბურსელს სთხოვა ძმასთან შუამდგომლობა: „...აწ წარავლინე კაცი (დავით მეფესთან, – დ.ნ.) და აუწყე ჩემი შენსა მოსვლა. თუ ჰნებავს და ფიცით შემაჯერებს, რომე არა მავნოს და არა შემიპყრას, მის წინაშე მივალ, მცირე სარჩომიცა მომცეს“ [104, 201]. სწორედ ეს „მცირე სარჩომის“ საკითხი წარმოადგენს იმ აქილევსის ქუსლს, რომლის მოუგვარებლობა ბაგრატიონთა სამეფო სახლში ქმნის საფუძველს გვერდითი შტოებისა თუ შემდგომში, საგვარეულო განშტოებების წარმოსაქმნელად. ძმებს შორის გართულებული ურთიერთობა თითქოს დროებით დაცხრა, მაგრამ ილხანებმა შესანიშნავად გამოიყენეს ბატონიშვილობის საკითხში არსებული სიმწვავე, რის შედეგადაც „ვერღარა თავს-იდვა ვახტანგ უპატიოდ ყოფა, და წარვიდა ურდოსა ყაზანის თანა“, რომელმაც იგი „კეთილად შეიწყნარა და მოსცა მეფობა“ [104, 201].

ამდენად, „მცირე სარჩომი“ არ აკმაყოფილებს ვახტანგ ბატონიშვილის გაზრდილ ამბიციებს, ხოლო აღნიშნა – „ვერღარა თავს-იდვა ვახტანგ უპატიოდ ყოფა“, შესანიშნავი ლაკონიური განსაზღვრაა იმ პრობლემისა, რაც ბატონიშვილობის საკითხს ასე ამწვავებს და ზოგჯერ მოუგვარებელსაც ხდის (ან ხერხდება მისი „გადაწყვეტა“ ქვეყნისათვის დიდი ზიანის ფასად).

ვახტანგ III ორჯერ დასჭირდა გამეფება [267,33...] – 1298 და 1302 წელს, რაც თავისთავად ლაპარაკობს ვითარების სირთულეზე. „ვითარ ცნა მეფემან დავით, რომე ვახტანგს მეფედ ჰყოფენ, წარმოავლინა იგივე ბურსელი ზავისათჳს და აღუთქუა ურდოს წასვლა“ [103, 308], თუმცა მან კვლავ „არა ინება ნახვა თათართა“, რასაც 1297 წ. ბოლოს ვახტანგ III საყაენოში გამგზავრება, ხოლო 1298 წ. თბილისში გახელმწიფება მოჰყვა. ამ ფაქტს ჟამთააღმწერელი სპეციალურად აფიქსირებს – „ხოლო ვახტანგს დაუმტკიცეს მეფობა“ [103, 309].

1298 წ. პირველად გამეფებული ვახტანგ III სამეფო ტახტზე ფეხს ვერ იკიდებს. ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით, აღმოსავლეთ საქართველოში მაშინ ისეთი მდგომარეობა იყო, რომ მარტო მეფობის მიცემა თითქმის აღარაფერს ნიშნავდა [342, 244]. ამის დამადას-

ტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ სწორედ ამ პერიოდიდან დავით VIII „ზაფხულ მთიულეთს იყვის და ზამთარ ქართლსა... მეფემან დავით შეკრიბა ყოველი მთიული, წარვიდა და მივიდა ტფილისს, და ჰყვა კაცი ცხენოსანი და ქუეითი“ [103, 316], ან იგი „მივიდა მთიულეთს, უკუდგა ჟინვანს შეკრბა სიბა და მცველნი დაუდგინნა.“ ამდენად, მიუხედავად ვახტანგ III გამეფებისა, დავით VIII მაინც რეალური ძალაუფლებით სარგებლობს, მით უმეტეს, ილხანთა მიერ დასმული ვახტანგ მეფე იშვიათად იმყოფება სამეფო ტახტზე მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილეობის გამო. როგორც ცნობილია, 1299-1300 წწ. იგი ყაზან ყაენის დროშის ქვეშ ეგვიპტის წინააღმდეგ იბრძვის — განსაკუთრებით მწვავეა ლაშქრობები სირიაში, სადაც მათ ალეპო, დამასკო და სხვა ქალაქები დაიკავეს. 1300 წ. იერუსალიმის აღების შემდეგ, მცირე ხნით, წმინდა ქალაქი ქართველების ხელშიც კი გადავიდა, მაგრამ, საბოლოოდ, ყაზანის ლაშქრობები მარცხით დასრულდა.

ვახტანგ III ასეთი არამყარი მდგომარეობის გამო, ყაზან ყაენი დავით VIII მეორე ძმას — მომავალ გიორგი V ბრწყინვალეს უპირისპირებს: ქართლში 1299 წელს „დავითის წილ... იყო ყრმა მცირე გიორგი მეფედ ტფილისისა“. დინასტიური ბრძოლა და „ბატონიშვილობის საკითხი“ კიდევ უფრო დაიძაბა — გაჩნდა მყარი საფუძველი ბაგრატიონთა რამდენიმე შტოს წარმოშობისათვის, რომელთა ჩამომავლებს, მათი ლეგიტიმურობიდან გამომდინარე, უჩნდებათ სერიოზული პრეტენზიები „უპატიოდ ყოფნის“ გამო.

გიორგი V „ტფილისის მეფედ“ იქცა; საინტერესოა, როგორ აქვს დანახული ან რა კუთხითაა წარმოჩენილი ამ პერიოდის ბატონიშვილობის საკითხი თავად ბაგრატიონთა სახლის გვიანდელი წარმომადგენლის — დავით ბატონიშვილის მიერ — იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამს სიტყვებს, რომელიც თითქოს ყაენს გიორგი მეფისათვის უთქვამს: „Не прилично, - сказал Казан, - старшему брату быть в повиновении у младшего“ [149, 124]. აღმოსავლეთ საქართველოს მეფე ვახტანგ III იშვიათადაა სამეფოში, ამიტომ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი კანონიერ ხელისუფლად სწორედ აჯანყებულ დავით VIII მიიჩნევს. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ მათგანს ჰყავს თავისი ერთგული „მოკიდებულნი“, რომელთა საშუალებითაც, შემდეგ ხანაში, ბაგრატიონთა სახლის ამ სხვადასხვა შტოთა წარმო-

მადგენლები ეფექტურად სარგებლობენ (მაგ., დავით VIII მიმართ „დადგეს ერთგულებასა“ ჰამადა სურამელი, ამირეჯიბი აბაზას ძე ჭილა, „აზნაურნი ქართველნი და სომხითარნი“).

მონღოლებმა დავით VIII წინააღმდეგ ბრძოლაში სათანადო შედეგს ვერ მიაღწიეს, ამიტომ კვლავ ძმა – ვახტანგ III დაუპირისპირეს და 1302 წ. უკვე რეალური ძალაუფლებით ხელმეორედ გაამეფეს: „დამტკიცდა მეფობა ვახტანგისი. რამეთუ ყაზანმან ჴელთ-უდვა სამეფო, დაიპყრა ტფილისი და ყოველი სომხითი, დმანისი და სამშჳლდე“ [104, 203]. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ „ბატონიშვილობის საკითხის“ ამ კონკრეტულ მწვავე შემთხვევაში ძალზე რელიეფური და საგრძნობია მონღოლური დიპლომატიის ხელი [279] – ვახტანგ III „არა წინააღუდგებოდა ძმასა თჳსს დავითს“ და „არათუ ვახტანგ მტერი იყო ძმისა, არამედ თათართა შიშითა იძულებით შეება“, – ხაზგასმით აღნიშნავს ჟამთააღმწერელი [104, 203, 211]. ძმებს შორის გარკვეული შეთანხმების მიღწევა მაინც მოხერხდა, რასაც, ჩვენი აზრით, 1302 წ. ჰქონდა ადგილი [281, 31...; 267,33]: თუ ამ წლამდე დავით VIII „ზაფხულ მთიულეთს იყვის და ზამთარ ქართლსა“, 1302 წლიდან იგი გამოიყვანეს რა „გუელეთით“, მას სამფლობელოდ გადასცეს „ჯავახეთი და ალასტანი“ [136, 348], სადაც იგი გადავიდა კიდეც.

ამ საკითხის დადგენა და მისი დათარიღება საშუალებას გვაძლევს სრული წარმოდგენა ვიქონიოთ XIV საუკუნის დამდეგის დინასტიური ბრძოლის სურათზე, როცა იქმნება საფუძველი ბაგრატიონთა სახლში ერთ-ერთი მსხვილი შტოს – ე.წ. ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ წარმოქმნისათვის (იხ. ქვევით). დავით VIII მფლობელობის ხასიათი ჯავახეთსა და ალასტანში, მისი სამფლობელოს რაობა – სტატუსი (თ. ლომოური მას „სამეფოს“ მაგვარ „პოლიტიკურ სხეულს“ [249, 74], ხოლო ი. ჯალაღანია „პოლიტიკურ ერთეულს“ უწოდებს, რომელსაც მონეტაც ესაჭიროება [359, 73]) ამზადებს ნიადაგს მომავალში ალასტანელი ბაგრატიონების არსებობისათვის.

როგორც ირკვევა, მიუხედავად გარკვეული შეთანხმებისა, ე.წ. ბატონიშვილობის საკითხი მაინც მწვავედ დგას, რამაც დავითსა და ვახტანგს შორის კვლავ ქიშპი განაპირობა – „ძეგლი ერისთავთას“ სიტყვებით, „შჳდ წელს განგრძელდა ჰომი მათი“ [136, 347], ანუ

1304 წლამდე; ეს თარიღიც ასევე არაა შემთხვევითი: დავით VIII, მიუხედავად ჯავახეთ-ალასტანში გადასვლისა, აქტიური პოლიტიკიდან არ განმდგარა; ეს ის პერიოდია, როცა 1301-1304 წლებში ეგვიპტის სულთანი არაერთხელ ამარცხებს ყაზან-ყაენისა, და, შესაბამისად, ვახტანგ III ლაშქარს. 1303 წ. თმოგვის წარწერა[1] მეფედ დავით VIII ასახელებს; ძველ სომხურ ხელნაწერთა ერთ-ერთი ანდერძ-მინაწერი-თაც, იგი აღმოსავლეთ საქართველოს მეფეა [113, 17]. დავით VIII პოზიციები მით უმეტეს ძლიერდება ვახტანგ III გარდაცვალების შემდეგ, რაც, ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, არა 1308 წლით, არამედ 1304 წლით შეიძლება დათარიღდეს [265; 267, 39-41]. სწორედ, 1304 წელს, ვახტანგ მეფის გარდაცვალებით, დასრულდა შვიდწლიანი „ჰომი" ძმებს შორის და დაფიქსირდა ვითარება, რომელსაც ვახუშტი ასე აღნიშნავს: „ვინაითგან უმეფო იყო ქართლი, და დავით მეფე იყო თჳსად უკუ-მდგარი" [82, 253].

1304 წ. ყაზან-ყაენისა და ვახტანგ III გარდაცვალებას, შემდეგ კი ოლჯაითუს გაყაენებას კვლავ დავით მეფის შტოს წინ წამოწევა მოჰყვა; თუმცა 1299 წელს თბილისში გამეფებული გიორგი V-ც რეალური ძალაუფლებისათვის იბრძვის, რათა „აწ დაუმტკიცონ მეფობა", მაგრამ ვითარება მისთვის საპირისპიროდ წარიმართა: ოლჯაითუმ „წარმოავლინა ჩოფან ნოინი, რათა დასვას საქართველოსა შინა მეფეჲ და ჰყვა ბექას ძე დიმიტრი თავდადებულისა მეფისა გიორგი (გიორგი V, დ.ნ.), რომელი უწინარესცა მეფედ ჰყვეს. და წარმოგზავნა ნოინისა თანა, რათა დაუმტკიცონ მეფობა. ჩოფან ნოინმა წარიყვანა გიორგი ყაენისა თანა, გარნა ყაენმან არა მისცა მას მეფობა, ვინათგან დავით იყო უკუმდგარ... ხოლო მოსცა ყაენმან მეფობა მცირე გიორგის (გიორგი VI მცირე, — დ.ნ.), დავითის ძესა და უჩინა მზარდულად და მოურნედ გიორგი მეორე (გიორგი V)..." [98, 114]. ვფიქრობთ, აქ კარგად ჩანს ბატონიშვილობის საკითხის სიმწვავე და მონღოლთა როლი მრავალმე-ფიანობის ხანის დინასტიურ ბრძოლაში; საინტერესოა, გიორგი VI მცირეს „მოძღვრად და საქმისა მოურავად" [104, 218] დანიშნული გიორგი V სტატუსიც — მან, როგორც ჩანს, კიდევ უფრო განამტკიცა მომავალი გიორგი V ბრწყინვალის უფლებრივი მდგომარეობა და მეტი მოქმედების საშუალება მისცა.

[1] ცნობა მოგვაწოდა გ. გაფრინდაშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

1304 წელს განვითარებულმა მოვლენებმა ჯავახეთ-ალასტანში მყოფ დავით VIII ხელ-ფეხი გაუხსნა; მან მიაღწია ახალ ყაენთან გარკვეულ შეთანხმებას და ამის საფუძველზე, საყაენოში მეფობის მისაღებად, მისი შვილი გიორგი მცირე გაგზავნა; იგი თბილისში მეფედ მაშინ დაბრუნდა, როცა „ამას წელსა მიიცვალა მთავარი სამცხისა ბექა“ [103, 323], ანუ 1308 წელს (და არა 1306 წელს [267, 41-42]). ამ პერიოდისათვის 1303 წელს დაბადებული (268, 43) გიორგი მართლაც მცირე, სულ 5/6 წლის იქნებოდა, რის გამოც შემდგომ მოვლენებზე მან რეალური ზემოქმედების მოხდენა ვერ შეძლო (მით უმეტეს, მამამისი — დავით VIII, მალე, 1311 წ. გარდაიცვალა).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, აღარ უნდა იყოს სადავო, რომ 1304 წლიდან დავით VIII კვლავ რეალური ძალაუფლების მქონე მეფეა, რაც მას აქტიური პოლიტიკური და მათ შორის დიპლომატიური საქმიანობის საშუალებას აძლევს — სწორედ ამ პერიოდში გაუჩნდა მას შესაძლებლობა ეგვიპტესთან მოლაპარაკებებით (დ. გოჩოლეიშვილი თვლის, რომ ამ დროს „დავით მეფეს საამისო პირობები არც გააჩნდა“ [140, 39]), რათა მიზგითად ქცეული იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ქართველებისათვის დაებრუნებინა, კერძოდ, 1305 წელს [400; 279], რის შემდეგაც დავით მეფე ამ მონასტრის „მეორედ აღმშენებლად“ იწოდა. სწორედ ამ პერიოდის ერთადერთი რეალური მეფის — დავით VIII დროს, 1308 წელს, ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკე II-თან ინტენსიური კონტაქტებისა და ეგვიპტის სულთანთან წარმატებული ურთიერთობების შედეგად, შესაძლებელი გახდა ქართველთა ხელში გადმოსული ერთ-ერთი უპირველესი ქრისტიანული სიწმინდე — გოლგოთა [282]. ჩვენი აზრით, ასევე დავით VIII სახელს და ამ ეპოქას უნდა უკავშირდებოდეს სომეხ ისტორიკოს ზაქარია ქანაქერცისთან დაცული ინფორმაცია წმინდა გიორგის ზოგიერთი წმინდა ნაწილის საქართველოში ჰოვჰანავანქ-მოღნიდან გადმოსვენების შესახებ [271; 281, 79].

ვახტანგ III ტახტი ნაკლები გავლენით სარგებლობს, მან მხოლოდ „დაიპყრა ტფილისი და ყოველი სომხითი, დმანისი და სამშჯლდე“; დავითის შტოს პოზიციები ძლიერდება, ხოლო ვახტანგ მეფის სტატუსი იმდენად სუსტია, რომ იგი თავისი შთამომავლებისათვის სამეფო ტახტის შენარჩუნებასაც ვეღარ ახერხებს, რაც ბაგრატიონთა

სახლში კიდევ ერთი ახალი შტოს წარმოშობის მიზეზი ხდება. ამდენად, ალასტანელთა გვერდით ვახტანგის შთამომავალთა შტოც ყალიბდება: ვახტანგ III-ს „დარჩეს შვილნი ორნი: დიმიტრი და გიორგი. დიმიტრის დმანისი აქუნდა და გიორგის სამშჳლდე“ [103, 322]. ამდენად, ვახტანგის შტოს – მის ვაჟებს სწორედ იმ ტერიტორიაზე მოუპოვებიათ მფლობელობა, სადაც მათ მეფე-მამას უფრო ძლიერი გავლენა ჰქონდა – ჟამთააღმწერელი ხომ ვახტანგ III სამფლობელოებიდან დმანისსა და სამშვილდეს ხაზგასმით გამოყოფს. ისიც აღსანიშნავია, რომ ვახტანგ მეფე მაინცდამაინც დმანისში არის დაკრძალული, რაც ბაგრატიონთა აღნიშნული შტოს ამ ქალაქისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე ლაპარაკობს. როგორც ირკვევა, ვახტანგის შტოს წარმომადგენლებს „კნინი მეფობისათვის“ მიუმართავთ – ჩანს, რომ მათთვის 1311 წ. დავით VIII გარდაცვალება სტიმული ხდება; სწორედ ამ წლის წარწერაში, რომელიც პეტრიწონის მონასტრის ღვთისმშობლის ხატზეა დაცული, დიმიტრი „მეფის“ ტიტულით არის მოხსენიებული [281, 43-44]. ჩვენ მიერ გამოთქმულია მოსაზრება ამ დიმიტრის სხვა პოლიტიკურ მოვლენებში მონაწილეობის შესაძლებლობის თაობაზეც [279].

დავით VIII შტოსა (ალასტანელები) და ვახტანგ III ძეების (დმანის-სამშვილდის „კნინი მეფეები“) გვერდით აქტიურდება მომავალი გიორგი V ბრწყინვალე: 1314/15 წ. რუმში, ყარამანიის სულთნის მაჰმუდ ფარვანეს აჯანყების ჩასახშობად ოლჯაითუ ყაენი ჩობან ნოინთან ერთად სწორედ გიორგი V გზავნის, რომლებიც ამ მისიას წარმატებით ასრულებენ. ჩობანისა და გიორგის მეგობრობა საბოლოდ სწორედ აქ უნდა გამყარებულიყო, რაც აღმოსავლურ წყაროებში (ალ-უმარი, ალ-კალკაშანდი) აისახა კიდეც – მათთან დასახელებულ ქრისტიანთა შორის გამორჩეული ხელისუფალი და ჩობანის ერთგული მეგობარი „ბართილმა“ (ბრთლმა) სხვა არავინ შეიძლება იყო, თუ არა გიორგი ბრწყინვალე, რომლის მიერ 1316/17 და 1320 წლებში ორგანიზებული დიპლომატიური ელჩობების მიზანს „კლიტენი იერუსალიმისანი“-ს მოპოვება, ქრისტიანულ ტაძრებზე ზრუნვა და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის „ახლად შეკაზმვა“ წარმოადგენდა.

მაჰმუდ ფარვანეს აჯანყების პერიოდში, გიორგი VI მცირე, ზოგიერთ დიდებულთან ერთად, ჩობანს რუმში „არა წარჰყვნეს თანა, წარ-

ვიდეს და აიყარნეს და ტფილისს შევიდეს“ [104, 219], რასაც მისი მეორედ გამეფება მოჰყვა. გამოდის, რომ დინასტიური ბრძოლის სიმწვავის გამო გიორგი მცირეს ხელმეორედ მეფედ დამტკიცება გამხდარა საჭირო (267, 43) – ვახუშტი პირდაპირ მიგვითითებს: „ამისა შემდგომად კუალად წარმოავლინა ულჯათ-სულტანმან იგივე მცირე მეფედ“ [82, 254].

მრავალმეფიანობის ხანის სირთულიდან გამომდინარე, გიორგი მცირეს ხელმეორედ გამეფება მისი ტახტის სიმტკიცისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ბატონიშვილობის საკითხის სიმწვავის პირობებში ჩვეულებრივ მოვლენად მოჩანს ქართველ დიდებულთა ერთი ნაწილის მიერ გიორგი მცირეს ხელისუფლების არ ცნობა, რაშიც გიორგი V სათანადო როლს უნდა თამაშობდეს. გიორგი VI მცირე „მოვიდეს ჯავახეთს, მიერ კოხტისთავსა, და აწუევდეს სარგისს და ყუარყუარეს გამოსვლასა, და არა ინებეს“ [104, 219]; მისი ხელისუფლების სისუსტეს ადასტურებს „ძეგლი ერისთავთაც“, სადაც აღნიშნულია გიორგი VI ორი წარუმატებელი ლაშქრობა დვალეთში – მეფეს აქ „დიდად ევნო“ [136. 349]; მათ 1316 წელს და 1317 წლის დასაწყისში უნდა ჰქონოდა ადგილი [319, 71]. როგორც ჩანს, ამის შემდეგ გიორგი VI მცირეს ტახტი საბოლოოდ კარგავს გავლენას, ხოლო გიორგი V პოზიციები სულ უფრო ძლიერდება. ამიტომაც გახდა შესაძლებელი 1316/17 წ. გიორგი V ინიციატივით ეგვიპტის სულთნის კარზე მნიშვნელოვანი დიპლომატიური მისიის განხორციელება.

გიორგი ბრწყინვალის საბოლოო გამეფების თარიღად 1318 წელს ვუჭერთ მხარს. აქედან გამომდინარე, თითქოს გაუგებრობას იწვევს, თუ როგორღა შეძლებდა იგი აღნიშნული ელჩობის ორგანიზებას. ამიტომაც გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ძეგლი ერისთავთაში“ დაცული დესპანობის ინიციატორი გიორგი მეფე გიორგი VI მცირესთან უნდა გაიგივდეს [166, 104; 246, 64]. როგორც აღვნიშნეთ, 1316წ. და 1317წ. დასაწყისში ადგილი აქვს გიორგი მცირეს უხეირო ლაშქრობებს, რაც მის მეფობას ძალზე ასუსტებს; ამავე დროს, კერძოდ, 1316 წ. გარდაიცვალა ოლჯაითუ, ანუ პოლიტიკური ასპარეზიდან წავიდა ყაენი, რომელიც მისი სიცოცხლის ბოლომდე გიორგი V (ბრწყინვალეს) საქართველოს სამეფო ტახტზე მეფობის სანქციას არ აძლევს. 1317 წ. აპრილ-მაისში საილხანოში მცირეწლოვანი აბუ-საიდი გაყაენდა, რის

შემდეგაც, ფაქტობრივი გამგებელი გიორგი V მეგობარი ჩობან ნოინი გახდა. ასეთი ცვლილება მეფე გიორგის ხელ-ფეხს უხსნის — ამ დროს მას ყველა საშუალება აქვს პიპა ქვენიფნეველის ელჩობის მაგვარი მისიების განსახორციელებლად. აქვე გასათვალისწინებელია გიორგი V ბრწყინალის სტატუსი 1299-1318 წლებში: მართალია, მან 1299 წ. მეფედ კურთხევით თბილისში ფეხი ვერ მოიკიდა, მაგრამ თავის თავს მაინც მეფედ მიიჩნევს, ანუ მისი მეფობის ათვლას სწორედ ამ წლიდან იწყებს (და არა 1314 ან 1318 წლიდან) [267, 36]. ისიც ფაქტია, რომ 1316/17 წლებში, მრავალმეფიანობისა თუ „პროვინციის მეფეთა" ეპოქაში, გიორგი V და გიორგი VI „მეფის" ტიტულით ერთდროულად სავსებით შეეძლოთ თანაარსებობა და მოქმედება.

გიორგი VI მცირეს წარუმატებელი მეფობა, გიორგი V გააქტიურება, 1316 წ. ოლჯაითუს გარდაცვალება, 1317წ. აბუ-საიდის გაყაენება და ჩობან ნოინის რეალური მმართველობა გიორგი ბრწყინვალეს საქართველოს სამეფოს ერთპიროვნული მმართველობისაკენ უხსნის გზას — გიორგი ჩობანმა დიდი პატივით მიიღო, „განიხარა და შეიტკბო ვითარცა შვილი და მოსცა ყოველი საქართველო". 1318 წ. საილხანოდან დაბრუნებული გიორგი მეფე თბილისში მეფედ ჯდება, რაც მრავალმეფიანობის დასასრულის მომასწავებელი გახდა. მისმა გამეფებამ სხვა ზემოაღნიშნული ბაგრატიონები სამეფო გვარის გვერდით შტოებად აქცია.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ მრავალმეფიანობის ხანა XIV საუკუნის ბაგრატიონთა სახლში სხვადასხვა შტოებისა და ე.წ. „პროვინციის მეფეთა" წარმოშობის მნიშვნელოვანი საფუძველი გახდა. ალბათ, ამ პერიოდის დახასიათება შეიძლება დავასრულოთ ქართლ-კახეთის უკანასკნელი გამგებლის — დავით ბატონიშვილის თხზულებაში დაცული სიტყვებით: „... трудно было предотвротить беспорядки, которые бывают последствием разномыслия правителей народов" [149, 125].

§2. «პროვინციის მეფეები» XIV-XV საუკუნეების საქართველოში

„ჯერეთ არ იყო კურთხეული მეფედ და იწოდებოდა მეფედ“, — აღნიშნავს იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში“ შემავალ „ისტორია ქართლისაში“ [41;239, 287], რაც კარგი ლაკონიური განსაზღვრაა XIV-XV საუკუნეებში არსებული „პროვინციის მეფეების“ ინსტიტუტის დასახასიათებლად. თუ ერთიანი, ძლიერი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ხანაში უფლისწული უწყინარი „ალასტანელია“ ან აჯანყებული პრეტედენტი, XIV–XV საუკუნეებში მეფემ უკვე „ვერ სცვალნის მთავარნი და ერისთავნი“, უფლისწულ-ბატონიშვილები, სამეფო ოჯახის ნათესავები თუ გვერდითი შტოს ბაგრატიონთა ერთი ნაწილი ბატონიშვილობას აღარ სჯერდება, არ ყაბულდება თავის უფლებრივ მდგომარეობას — „უპატიოდ ყოფნას“ და „მეფობას“ მიიტაცებს. აღნიშნული ცვლილება მნიშვნელოვანი ტეხილია დინასტიური ბრძოლისა და ზოგადად, ბატონიშვილობის საკითხის ისტორიაში. შესაბამისად, მან დიდი გავლენა იქონია ქართული ფეოდალური საზოგადოების განვითარებაზეც; ამიტომაც აღნიშნავდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, რომ „ეს ფეოდალური ინსტიტუტი უნდა ცალკე მონოგრაფიული შესწავლის საგანი გახდეს“ [174, 133]. დასმული საკითხის შესრულება მიზნად დავისახეთ და კვლევის შედეგები შეძლებისდაგვარად ავსახეთ „პროვინციის მეფეთა“ ისტორიისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში [281]. აქ წარმოვადგენთ ამ ინსტიტუტის მხოლოდ ძირეულ მომენტებსა და ნიშან-თვისებებს:

„არ კურთხეული მეფეების“ აღსანიშნავად სარგის კაკაბაძემ ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოიტანა ტერმინი — „სამხარეო მეფეები“ [235,119], საურმაგ კაკაბაძემ — „ვასალური მეფეები“ [148, 13-14], ნ. ასათიანმა კი „მცირე მეფეები“ [163, 213]. ნ. ბერძენიშვილმა ასეთ „გაკელმწიფებულ“ ბაგრატიონებს „პროვინციის მეფეები“ [174, 133...] უწოდა, რაც დამკვიდრდა კიდეც ქართულ ისტორიოგრაფიაში; ამიტომ, მათ აღმნიშვნელ ტექნიკურ ტერმინად სწორედ „პროვინციის მეფეებს“ ვტოვებთ, თუმცა, ჩვენი აზრით, შეიძლება ვიხმაროთ ტერმინი — „კნინი მეფენი“, რომელიც მათ თანადროულ ისტორიულ წყაროში,

კერძოდ, ჟამთააღმწერელთან დასტურდება და აღმნიშვნელია დიდებულთა „გაკელმწიფების“ ტენდენციისა, რასაც ბაგრატიონთა სახლში „მცირე-თითქმის მეფეთა“ გაჩენა მოჰყვა. ცნობილია, რომ XIII საუკუნეში განვითარებული მოვლენების შედეგად, ეგარსლან ბაკურციხელი „ეზომ განდიდნა“, რომ მას მორჩილებდნენ „ვითარცა მეფესა“; სწორედ ეგარსლანის მიმართ ამბობს „ასწლოვანი მატიანე“, რომ მან „... კნინღადა სახელის-დებადცა მეფისა იკადრა“ [104, 94] ან „...ეგარსლან, რომელსა კნინღადა სახელიცა მეფობისა ეპყრა“ [104, 106] (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემით: „...ეგარსლან, რომელსა კნინღა-და სახელი მეფობისა ეპყრა“ [103, 225]). „კნინი“ ნიშნავს – ცოტა, მცირე, ხოლო „კნინ-ღა და“ – თითქმის [161, 200]; ამდენად, „კნინღადა“, ანუ „თითქმის“ მეფობის შემძლე „ჯერეთ არ კურთხეულ“ ბაგრატიონებს (ე.ი. უკანონო მეფეებს) შესაძლებელია „კნინი მეფენი“ (ე.ი. „მცირე-თითქმის“ მეფენი) ვუწოდოთ. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ XIV–XV საუკუნეებში ადგილი აქვს ტერმინი „მეფის“ გარკვეულ ნიველირება-დაკნინებას, თვალშისაცემია, მისი ხშირი ხმარება, ისტორიულ წყაროებში გაჩნდა მაგალითად, „ქუთაისის მეფე“ [288, 94], უცხოელთა მიერ უკვე მთავარიც (მაგ., ლიპარიტ დადიანი) „მეფედ“ იწოდება [288, 98-99] და სხვ.

XIII საუკუნიდან განვითარებული ზემოაღნიშნული მოვლენების, საშინაო და საგარეო ფაქტორების არასახარბიელოდ ურთიერთგადაჯაჭვის შედეგად, „ყოველი საქართველო“ მოშლის გზას დაადგა. მრავალმეფიანობის ხანის განხილვამაც თვალნათლივ გვიჩვენა შექმნილი ვითარების სირთულე; თანდათანობით, მისი გამოვლინებანი მთელი სიმწვავით მჟღავნდება:

სახელმწიფო მიწების ფონდი მცირდება, მეფის უზენაესი უფლებები მიწაზე სუსტდება, დიდაზნაური მკვიდრ მამულს აღარ სჯერდება და ნაწყალობევის მიუდევარ საკუთრებად ქცევას ცდილობს. სულ უფრო მწვავედ დაისმის „სარჩომის“ – „მამულის საკითხი“. სამეფო ტახტს უჭირს ძველებურად შეასრულოს თავისი ფუნქცია – ვახუშტის სიტყვებით, „შემოსავალი ჩუენისა სახლისა“, ე.ი. სამეფო სახლისა „არა ჯერ იყო საყოფლად“, ამიტომ იგი გაზრდილ მოთხოვნილებებს ველარ აკმაყოფილებს. საბოლოოდ, სამეფო ცენტრმა ძველი

მიმზიდველობის ძალა დაკარგა, წინააღმდეგობას ვეღარ უწევს „საკელმწიფოებად“ დაშლის ტენდენციას, „არღარა იცვალებოდა ერისთავნი და არც თავადნი“, ერთიანი ეკონომიკური კავშირები ირღვევა, ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნები“ სამეფო ტახტისაგან თავისთავადობას იჩემებს. საგარეო ფაქტორი ქვეყანას მდგომარეობიდან გამოსვლის საშუალებას არ აძლევს.

XIII-XIV საუკუნეების მიჯნისათვის ბატონიშვილობის საკითხი, თავისი განვითარების გზაზე, მნიშვნელოვან ტეხილს განიცდის: დიდებულებმა უკვე „არღარა ინებეს“ მეფესთან „სამარადისო ყოფა, არამედ განეშორნეს და თჳს თჳსად იყოფვოდეს“; ამ „თჳს თჳსად“ მყოფმა „მეფეთა ადგილთა მჯდომმა“ მოსაკარგავემ უკვე „კნინღადა სახელისდებადცა მეფის იკადრა“ და ამიერიდან, სამეფო კარს მხოლოდ „მოყვრობით“ ემორჩილება — ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების მიხედვით, ივანე ათაბაგი საქართველოს მეფეზე ამბობს: „ მას აქედ თუ არ მოყვრობით, თორადა მეფობით ჩვენზედ ძალი არ შესწევს“, რასთან დაკავშირებითაც თითქოს თემურ-ლენგს უპასუხია: „ვინც თავის ყმასაო ნამეტნავს პატივს დასდებსო, აგრე დაემართებისო, ნამეტნავად პატივისცემა ბატონობას მოანდომებსო“ [116, 311]. ნ. ბერძენიშვილის შენიშვნით, ამ პერიოდის ისტორიული დოკუმენტები მტკიცედ განასხვავებენ ტიტულებს — „მეფეთ მეფე“ და „მეფე“, რაც კარად ახასიათებს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ სტრუქტურას [351, 146]. როცა წარჩინებული ფეოდალი „გაკელმწიფდა“, ბუნებრივია, სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელიც აღარ დაყაბულდა „უწყინარ ალასტანელობას“ და „მეფის“ ტიტულით იწყო მოქმედება, რაც, რეალურად, „კნინ მეფობას“, ანუ „პროვინციის მეფობას“ ნიშნავს.

„პროვინციის მეფეთა“ ეპოქის წინა პერიოდში სამეფო დომენიდან საუფლისწულო გამოეყოფოდა მხოლოდ მეფის უფროს ვაჟს — ტახტის მემკვიდრეს. XIV-XV საუკუნეებში „საუფლისწულოს“ პარალელურად ჩნდება ტერმინი „საბატონიშვილო“, რომელიც მეფის ვაჟების სამფლობელოს აღნიშნავს — თუ ადრე სამეფო დომენიდან სამფლობელო მხოლოდ უფროს ვაჟს გამოეყოფოდა, ახლა უკვე მეფის დანარჩენ შვილებსაც აქვს თავისი სამფლობელო მამული [336, 29]. რაც მთავარია, მიმდინარეობს იმუნიტეტისათვის ბრძოლა და ამ სამფლობე-

ლოების სამეფო დომენიდან გამოცალკევების პროცესი. ეს კი მნიშვნელოვანი საფუძველია XIV-XV საუკუნეებში „პროვინციის მეფეების“ არსებობისათვის.

„პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტი ისეთი ფეოდალური ორგანიზმია, რომელიც პროვინციული სეპარატიზმის ბატონობის ხანაში ყალიბდება და საზოგადოებაში შესაბამის სააზროვნო სისტემას, ქცევასა და თვითშეგნებას წარმოშობს. მეფობის მსურველი ბაგრატიონები, რომლებიც მხოლოდ „პროვინციის მეფეთა“ სტატუსით მოქმედებენ, თავიანთი მიზნების მისაღწევად ფეოდალთა წრეებით საზრდოობენ, მითუმეტეს, როცა დიდებულთა აზროვნება თუ მოქმედებაც ამის შესაბამისია: დიდგვარიანნი ემხრობიან ამა თუ იმ „მეფეს“ იმის მიხედვით, თუ რას უკარნახებთ მათ საკუთარი ფეოდალური ინტერესები; ისინი სამეფო ტახტის საზიანოდ აღიარებენ მეფის წინააღმდეგ მებრძოლ ბატონიშვილთა თუ გვერდითი შტოს ბაგრატიონთა ხელისუფლობას, რათა თავად ჰქონდეთ „თავისუფლება შლილობათა ამათ შინა“ [82, 556]. „თავისუფლება“- მოპოვებულ და „თჳს თჳსად“ განმდგარ დიდებულთა გვერდით, ბატონიშვილობის საკითხის განსაკუთრებულად სიმწვავის პირობებში, სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელთა მფლობელობაც სხვა კუთხით „გადაიჭრა“ — ჩამოყალიბდა „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტი. თვალსაჩინო თვისებრივი ცვლილებაა: პროვინციაში გადასული ბატონიშვილები თუ გვერდითი შტოს ბაგრატიონები, სამეფო საგვარეულოდან ჩამომავლობის გამო, „მეფის“ ტიტულით იწყებენ მოქმედებას; ისინი „მეფეთა ნათესავნი“ არიან და თავიანთ „მეფობასაც“ ამით ამართლებენ — საქართველოში ხომ სხვა გვარიშვილს „არა ვისმე იპატრონებდიან“, რის გამოც მეფობის მდომი „ვერ იკადრებდა მეფედ წოდებად“ [82, 565]. შესაბამისად, „კნინ მეფეთა“ მაღიარებელი ფეოდალები ადგილობრივი „პროვინციის მეფეებისაგან“ უფრო დიდ წყალობას მოელიან, ვიდრე ცენტრისაგან; ამდენად, ურთიერთსასარგებლო ინტერესები მათი „წარმატების“ საწინდარი ხდება.

ჟამთაალმწერელთან ვკითხულობთ: „ხოლო დავით (მომავალი დავით VIII, — დ.ნ.) დაშთა თათართა შინა ტაჩან ნოინისთა, ჭირთა და იწროებითა შინა, და დედოფალი მათი დაშთა სკორეთს, და სხუანი ძმანი მიმოიბნიენეს“ [103, 293]. ბუნებრივია, დაისმის საკითხი, თუ

რა უფლებრივ მდგომარეობაში არიან და რით ცხოვრობენ ეს „მიმობნეული“ ბაგრატიონები. აქედან გამომდინარე, საერთოდ განხილვას საჭიროებს სამეფო საგვარეულოს წევრების – მეფის ძმების, შვილების, გვერდითი შტოს ბაგრატიონთა მფლობელობისა და არსებობისათვის აუცილებელი შემოსავლის წყაროს პრობლემა, მით უმეტეს, ურთულესი XIV-XV საუკუნეების მანძილზე. სახელმწიფო აპარატის მოშლილობისა და სამეფო მიწების ფონდის კლების პირობებში იგი განსაკუთრებული სიმწვავით დაისმის – ბაგრატიონთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკმაყოფილოა თავისი სტატუსითა თუ უფლებრივი მდგომარეობით და ეს მაშინ, როცა მეფეს სულ უფრო ნაკლებად შესწევს ძალა მათი მოთხოვნილელების ძველებურად დასაკმაყოფილებლად.

XIV-XV საუკუნეებში მეფეთა ხშირი ცვლა და ტახტის მემკვიდრეობითი ფლობის წესის არაერთხელ დარღვევა ბატონიშვილთა და ბაგრატიონთა განშტოებების მომრავლებას იწვევს. მონღოლთა პერიოდში, მეფის პერსონის საკითხი სხვაგვარად დაისვა – ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით, მათთვის „სულ ერთია, ვინ იქნება, ოღონდ კი სამეფო გვარისა (ბაგრატიონი) იყოს“ [183, 252]. აღნიშნული მომენტი ხელს უწყობს ტახტის მემკვიდრეობის წესის რღვევას, რაც ყოველ ახალ მეფეს ურთულეს პირობებში აყენებს; მას აღარ ჰყოფნის სამეფო მიწების ფონდი, უჭირს ამ მომრავლებულ ბაგრატიონთა სამფლობელოებითა თუ შესაბამისი სტატუსით დაკმაყოფილება. განსაკუთრებით უკმაყოფილებას, მემკვიდრეობითი ფლობის წესის დარღვევის შედეგად, ტახტ-დაკარგული, უკვე გვერდითი შტოს ბაგრატიონები ავლენენ და მათი ერთი ნაწილი, XIV-XV საუკუნეებში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, „პროვინციის მეფობას“ აღწევს.

ბაგრატიონთა სახლში რომელიმე დამცრობილი შტოსა თუ სამეფო საგვარეულოს სხვადასხვა ფლობადაკარგული წარმომადგენლის ასეთ მდგომარეობაში ყოფნის პერიოდს პირობით – ზოგად ტერმინად შეიძლება „ღარიბობის“ ხანა ვუწოდოთ. ნ. ბერძენიშვილის განმარტებით, „ღარიბობა“ ნიშნავს „თავისი ქვეყნიდან გადახვეწას“ [181, 111], რაც, თავისთავად, დამცრობას იწვევს; მაგალითად, ეს ტერმინი დასტურდება ზევდგინიძეთა XV საუკუნის ცნობილ საჩივრის წიგნში – კონსტანტინე I გაწყრომის გამო, მისი შვილის –

ალექსანდრე ბატონიშვილის (ალექსანდრე I დიდი) გარკვეული პერიოდით ივანე ათაბაგთან ყოფნას „ღარიბობა“ ეწოდება [171, 40]. ჩვენ შესაძლებლად გვეჩვენება, რომ „ღარიბობა“ გამოვიყენოთ დამცრობილ ბაგრატიონთა და გვერდით შტოთა გართულებული მდგომარეობის აღმნიშვნელ ტერმინად. XIV-XV საუკუნეებში ასეთ ბაგრატიონთა ერთი ნაწილი ბრძოლის სხვადასხვა ფორმებს მიმართავს, აღარ ყაბულდება „ღარიბობას“ და სამეფო ტახტის მიუწვდომლობის გამო „კნინი მეფე“ ხდება.

საქართველოს მეფეები იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ბატონიშვილთა, ოჯახის სხვა წევრთა და გვერდითი შტოს ბაგრატიონთა ინტერესებს. უკვე ალექსანდრე I დიდის ხანიდან ბოძება მხოლოდ მეფის სახელით აღარ ხდება, იგი სამეფო სიგელებში დედოფალს, ძმებსა და შვილებსაც მოიხსენიებს; ეს უკანასკნელნი ზოგჯერ „მეფეებადაც“ იწოდებიან, რაც „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის გამოძახილია [281]. ქართველ მეფეთა მოქმედებაში სულ უფრო აშკარად იგრძნობა ნათესაობის გავლენა, რის გამოც მეფის თავისუფლება შეზღუდულია [342, 430]. სამეფო ტახტი ვეღარ აკმაყოფილებს მათ გაზრდილ ამბიციებს და თუ ადრეულ პერიოდში „არა ეწოდა მათ მეფედ“, XIV-XV საუკუნეების ბაგრატიონთა ერთი ნაწილი, უკვე გადასული ქვეყნის სხვადასხვა პროვინციაში, „მეფობას“ მიიტაცებს.

ცალკე საკითხია, თუ სამეფოს რა ტერიტორიებზე ისხდნენ „პროვინციის მეფეები“ და ვისზე ვრცელდებოდა მათი ძალაუფლება; ასევე საინტერესოა, ასეთ „კნინ მეფეთა“ სამფლობელოს რაობა. ეს პრობლემები უკვე განხილულია [281, 20...] და აქ მხოლოდ ზოგიერთ მომენტზე შევაჩერებთ მოკლედ ყურადღებას. „პროვინციის მეფეთა“ მამულების უმეტესი ნაწილი, როგორც ჩანს, უკვე აღარ წარმოადგენს სამეფო დომენის შემადგენელ ნაწილს, „კნინ ბაგრატიონებს“ მათი საგანმგებლოს ცენტრისაგან გამოყოფისათვის უნდა მიეღწიათ. სახასოს დაქუცმაცება ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენი ძალების დასუსტებას იწვევს, რის შედეგადაც სამეფო ტახტი ასეთ ბაგრატიონთა ქმედებას წინ ვეღარ აღუდგა.

ყალიბდება „პროვინციის მეფეთა“ წარმოშობის რამდენიმე გზა:

უფლებრივი მდგომარეობით უკმაყოფილო ბაგრატიონთა გამრავ-

ლებული გვერდითი შტოს წარმომადგენელნი (განსაკუთრებით ისინი, რომელთა მამა-პაპათაც, თავის დროზე, საქართველოს სამეფო ტახტი ეკუთვნოდათ, მაგრამ ახლა, ტახტის მემკვიდრეობითი ფლობის წესის ხშირი რღვევის შედეგად, მეფობის შესაძლებლობა უკვე დაკარგული აქვთ) იზოლირებულ, განკერძოების მისწრაფების მქონე ისტორიულ-გეოგრაფიულ „მიკროქვეყნებში" ან ძველ საუფლისწულოში თვითნებურად გადადიან და სოციალური საყრდენის — ვასალთა ფენის გაჩენის შედეგად ტახტს-იქითა „მეფენი" ხდებიან.

კონფლიქტისა თუ სხვა მიზეზის გამო თვით სამეფო ოჯახის წევრი (მეფის ძე თუ მეფის ძმა) ქვეყნის რომელიმე პროვინციაში, მეფის ნებადაურთველად, თავისი ნებით იწყებს მფლობელობას, იჩენს არსებობა-ფუნქციონირებისათვის ადგილობრივ ფეოდალთა წრეს, უფრო მეტი უფლებების მინიჭებას ჰპირდება და „მეფის" ტიტულით მფლობელობს, თუმცა რეალურად „პროვინციის მეფეთა" სტატუსს ვერ სცილდება.

ზემოაღნიშნული ბაგრატიონები ისეთ რეგიონებში გადადიან, სადაც თავისი ხელისუფლებისათვის მომზადებული ნიადაგი ეგულებათ. მათი განზრახვანი წინასწარ კარგადაა მოფიქრებული, რადგან სხვაგვარად ისინი აქ ფეხს ვერ მოიკიდებდნენ. ბატონიშვილთა, მეფის ბიძაშვილებისა თუ გვერდითი შტოს ბაგრატიონთა ერთი ნაწილი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში „გაკელმწიფებას" პირველ რიგში იმით ახერხებს, რომ სწორედ იმ ტერიტორიებს ირჩევს, სადაც მათ მამა-პაპათ, ანუ მისი შტოს წარმომადგენელთ სამფლობელო მამულები (შეიძლება საუფლისწულოც) და მფლობელობისათვის საჭირო ნიადაგი ჰქონდათ. ასეთი ბაგრატიონები „განდგებოდიან და იწოდებოდიან მეფედ", მაგრამ ვახუშტისავე სიტყვებით, ეს ვითარება მხოლოდ „ირიცხვის ესრეთ, ვინაჲთგან არა იყო სიმტკიცე" [82, 802]. ეს კი სამეფო სახლის განმდგარ წევრთა ამ პროვინციებში გავლენასა და სოციალური საყრდენის სიძლიერეზეა დამოკიდებული. ვახუშტი, მართალია აღნიშნავს, რომ მათი „სიმტკიცე" სუსტი იყო და ეს მეფობა მხოლოდ „ირიცხვის ესრეთ", მაგრამ XIV-XV საუკუნეებში განვითარებულმა თუნდაც ზემოაღნიშნულმა მოვლენებმა, ასეთი ტახტს-იქითა „მეფეების" ფლობას გარკვეული ძალა შესძინა, რაც მნიშვნელოვან ზიანს

აყენებს ერთიანი ქართული სახელმწიფოს განვითარებას.

დიდ ფეოდალურ სენიორიათა როლი „პროვინციის მეფეთა“ გაჩენის პროცესში ძალზე რელიეფურია – იგია მათი არსებობის საშუალება და სოციალური საყრდენი. ცენტრი ებრძვის ახლადშობილ „ტახტებს“ და ამარცხებს მათ იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი ვასალური ფენა ამ „კნინი მეფენის“ „ერთგულებასა ზედა“ მტკიცედ აღარ დგას. XIV-XV საუკუნეებში კი ასეთი ერთგულნი მრავლად არსებობენ – მხედველობაში გვაქვს „აღზრდილ-შეზრდილობის“ [261, 14] ფეოდალური ინსტიტუტი: ბაგრატიონთა „აღზრდილ-შეზრდილები“ ძირითადად დიდებულ აზნაურთა შვილები არიან, მაგალითად, საუფლისწულოში ბატონიშვილის „აღზრდილ-შეზრდილებად“ უპირატესად თვით ამ ტერიტორიის მკვიდრი აზნაურების შვილები გვევლინებიან; „თანაშეზრდილები“ პატრონთა ერთგულ და უახლოეს წრეს ქმნიან. სწორედ ასეთი „გაზრდილებით“ სარგებლობენ „პროვინციის მეფეთა“ სტატუსის მქონე ბაგრატიონებიც [281, 22...]; ორივე მხარე ერთმანეთის ნება-სურვილს დიდად უწევს ანგარიშს – მაგალითად, „გაზრდილის“ ფიქრით, როცა მისი პატრონი „გაკელმწიფდება“, ერთგული სამსახურის სანუქფოდ, იგი მას დიდ წყალობას მიანიჭებს... [182, 85-86, 297].

ბაგრატიონთა „სეპარატისტულ მეცადინეობაში“ განსაკუთრებული ერთგულებით მებრძოლ ადგილობრივ ვასალთა ფენას – „აღზრდილ-შეზრდილებს“ გარკვეულწილად შეიძლება „მოკიდებულნი კაცნი“ ვუწოდოთ; ფაქტია, რომ „საქართველოში თითოეული სახლი (თავადის, თუ დიდ მოხელე-აზნაურის) ასე თუ ისე „მოკიდებული“ იყო, ამა თუ იმ დაჯგუფებაში („პარტიაში“) შედიოდა“... [177, 117]. რაღა თქმა უნდა, ასეთი „კნინი პარტიები“ ჰყავდათ „კნინ“, ანუ „პროვინციის მეფეებსაც“, რომელნიც მნიშვნელოვნად არიან დაინტერესებულნი, რომ „მოკიდებულნი კაცნი“ ბოლომდე მათი „მიმდგომნი“ დარჩნენ; სწორედ ასეთი „ნაშვილებნი სახლნი“ (სახლი, რომელიც „იყმო“) [119, 150] უზრუნველყოფს „პროვინციის მეფეთა“ არსებობა-ფუნქციონირებას. ამას უნდა დავუმატოთ სამეფო ტახტით უკმაყოფილო დიდაზნაურთა მნიშვნელოვანი ჯგუფები და ნათელი გახდება, თუ ვასალად მოსულ ფეოდალებს, საყრდენი ძალის გამრავლების მიზნით,

„პროვინციის მეფეები“ რას ჰპირდებიან — ესაა ვასალთა მიმართ დიდი პოლიტიკური და სოციალური დათმობები: „Только благодаря таким уступкам последние и предпочитают пребывать „в твердой верности“ к своим непосредственным „патронам“ (сюзеренам)“ [350, 87]. ფეოდალიზმის ცნობილი პრინციპია, რომ თუ ქვეყნის მეფე ვასალს ვერ უზრუნველყოფს, ყმა ნებიერია წავიდეს მასთან, ვინც მეტს უბოძებს.

აღნიშნული მომენტებისა და, საერთოდ, XIV-XV საუკუნეების ბაგრატიონთა სამეფო სახლში შექმნილი ვითარების დასახასიათებლად საინტერესოა „ძეგლი ერისთავთას“ ასეთი ცნობა: „ხოლო საქმე ერისთავისა იოვანესი ვითარ გაუწყო: მეფენი შემოხუეწილ სახლსა შინა მისსა მათგან ითხოვდიან მეფობასა და მისცის, რომლისაცა ენების“ [136, 356]. ძალზე რელიეფური და თვალსაჩინო ცნობაა — უკვე ისეთი ვითარებაა, რომ „შემოხუეწილი“ ბაგრატიონები ქსნის ერისთავისაგან „ითხოვდიან მეფობასა“ და ისიც თავისი ნება-სურვილის მიხედვით, ამ ტიტულს ბაგრატიონთა სახლის იმ წარმომადგენელს აძლევს („მისცის“), „რომლისაცა ენების“; რაღა ლეგიტიმურობასა და ტახტის მემკვიდრეობითი ფლობის წესზეა ლაპარაკი?! ნათელი ხდება სამეფო საგვარეულოში სხვადასხვა შტოებისა და ე.წ. „პროვინციის მეფეთა“ გაჩენის მექანიზმიც. ამავე დროს, თავად ქსნის ერისთავი, მათთვის „მეფობის“ მინიჭების აქტიდან გამომდინარე, თავისთვის განსაკუთრებით დიდ მოგებას მოელის.

„პროვინციის მეფეთა“ რაობის შესასწავლად შესანიშნავ მასალას გვაწვდის ზევდგინიძეთა XV საუკუნის საჩივრის წიგნი, რომელიც ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით, „ცოცხალი სურათია“ XV საუკუნის ფეოდალური ქართლის დასახასიათებლად (აქ მხოლოდ ერთ შტრიხზე ვამახვილებთ ყურადღებას): ახლად გამეფებულმა ვახტანგ IV თავის ძმას — დემეტრეს ქართლის გარკვეული რეგიონი გადასცა; ეს სამფლობელო, სადაც დემეტრე „პროვინციის მეფის“ სტატუსით ხელისუფლობს, იმდენად დიდი იზოლირებულობითა და ძლიერი იმუნიტეტით სარგებლობს, რომ საქართველოს მეფეს ძალა აღარ შესწავს დემეტრე „კნინი მეფის“ ყმის — თაყა ფანასკერტელ-ციციშვილის „ქელთ შეპყრობა“ მოახდინოს; ამის მიზეზი დემეტრეს მფლობელობის

ხასიათშია — ვახტანგ IV უკვე კარგად იცის, რომ ასეთი რამ საქართველოს მეფეს „ადვილად არ ჩაუვლის“ [171, 20,22].

ბუნებრივია, საქართველოს სამეფო ტახტი საპირისპირო ღონისძიებებს მიმართავს: მეფე ცენტრალიზაციის შენარჩუნების მიზნით, ურჩ მოხელეთა ადგილზე, სამეფო სახლის წევრებს ნიშნავს — ტახტისადმი ერთგულების თვალსაზრისით, ნათესაობა უფრო მტკიცე გარანტი უნდა ყოფილიყო [159, 111], ამიტომ ბატონიშვილებისა თუ ზოგიერთი ბაგრატიონისათვის ქვეყნის სხვადასხვა ნაწილების „მინებება“, მათი ცენტრისადმი შემომტკიცების მიზანს ემსახურება. როგორც ჩანს, ერთი ნაწილი თავიდან მართლაც სამეფო ტახტის სახელით იწყებს განმგებლობას, მაგრამ მათ ზოგიერთ წარმომადგენელს, XIV-XV საუკუნეებში წარმოქმნილი რეალობებიდან გამომდინარე, საკუთარ საუწყებო „ქვეყნებში“ აღარაფერი უშლის ხელს, რომ თავიანთ თავს „მეფე“ უწოდონ. ქვეყნის მმართველობითი სტრუქტურის მოშლილობამ ასეთ თითქოს უმტკივნეულო „რეფორმას“ საპირისპირო ხასიათი მიანიჭა — ცენტრალიზაციის მაგივრად, მან ერთიანი ქართული მონარქიის დაშლის პროცესს შეუწყო ხელი.

სამეფო ტახტის სისუსტე და სხვა კარგად ცნობილი არაერთი მიზეზი, XIII-XV საუკუნეების გარკვეულ მონაკვეთზე ორი სამეფო ტახტის წარმოშობას განაპირობებს: „პროვინციის მეფეთა“ არსებობა და დასავლეთ საქართველოს განყოფის ტენდენციის სიძლიერე, ლიხთ-იქითის „მეფეთა“ მთელი შტოს გაჩენის საფუძველი ხდება — საქართველოს კვლავ გაერთიანებისა და „ქუთაისის ტახტის“ ლიკვიდაციის საპირისპიროდ, „ძეთაგანი ნარინ დავითისაგან“ არსებობის გამო, ბატონიშვილობის საკითხი უკიდურესად მწვავდება. თბილისის გამაერთიანებელი პოლიტიკის შედეგად, ისინი მართალია სამეფო ტახტს კარგავენ, მაგრამ მაინც „პროვინციის მეფეთა“ ეპოქისათვის დამახასიათებელ ნაბიჯს დგამენ — უკვე ტახტს-იქითა ბაგრატიონები, ლიხთ-იმერეთში მფლობელობისათვის შესანიშნავი ნიადაგის არსებობის პირობებში, ე.წ. ლიხთ-იქითის „მეფეთა“ შტოს აყალიბებენ [281, 113...].

ლიხთ-იქითის „მეფეთა“ მფლობელობას სამეფო ტახტი ვერ ეგუება, ამიტომ ცენტრი კონტრზომებს მიმართავს — დასავლეთ საქართველოს შემომტკიცების მიზნით, საქართველოს მეფეები ამ რეგიონში,

შაშინ კი მახვილი თვალიც ვერ გაარჩევს, ვინ უფრო მწვანეა, მე თუ კიტრუნა!

— ახლა კი ვერ გადამირჩება, მივტყეპავ და ის იქნება! — დაემუქრა ოქროცერცვა.

— რისთვის? განა თქვენს ქვეყანაში ამისთვის ცემენ? ოჰ, რა [illegible] ბერეტი გახურავთ! ჩვენი პროვინციელები ჯერ კიდევ ფარფლუბიანი ქუდებით დადიან. იქნებ მომყიდოთ ეგ ბერეტი?

მეგობრებმა ერთმანეთს გადახედეს.

— სამელნეც რა უცნაური გაქვთ. წითელი მელანია, ხომ? ხელად შეატყობ, რომ უცხოურია, — ამოიოხრა ბოლოკამ. — ხომ არ გავცვალოთ?

მეგობრებს კრინტი არ დაუძრავთ, ორივე ერთდროულად სწვდა ქეჩოში სალახანას და ერთი კარგად მიბეგვეს.

— ძმებო, შემიბრალეთ! — ეხვეწებოდა მაქცია. — ნაბრძანები მაქვს, მამასახლისთან მიგიყვანოთ...

ერთხანს სამივე ჩუმად მიდიოდა. მაგრამ წმინდა გოგრის მოედანზე რომ გავიდნენ, შუბლშეჭმუხვნილი პამიდორები და კიტრუნები საზამთროს ნახევრადდანგრეულ ძეგლთან რაღაცას ცოდვილობდნენ. ბოლოკა ისევ აქაქანდა:

— ეს ჩემი წინადადებითაა! აი როგორ იქმნება ღიმილნარევი ცრემლი: ძველ კვარცხლბეკზე ახალ როფს დავდგამთ, მოცინარ საზამთროს მოვტეხავთ ფეხებს და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნება, თითქოს ამ როფში ზის. გადავღებავთ, მის მომღიმარე თვალებს წყლის მილებს შევუერთებთ და გამოვა მტირალი გოგრა.

— კი მაგრამ, სად საზამთრო და სად გოგრა? — ვერაფერს მიუხვდა ბოლოკას ოქროცერცვა.

— ისინი თითქმის ღვიძლი და-ძმანი არიან, — აუხსნა ბოლოკამ. — როცა ცრემლის მოდა მოვიდა, ზუსტად საზამთროს დღე დაადგა მასაც: დაავიწყდა თავის ბინაში მილების გაწმენდა და საკუთარ ცრემლში დაიხრჩო. ქალაქელებმა ეს ვაჟკაცი დედაკაცი ერთი ვაივაშით დაასაფლავეს თავისივე ძმის გვერდით და წმინდანად აღიარეს. ახლა კი ტირილით ამთავრებენ მის ძეგლს. ხედავთ, როგორი მოღრე-

ცილი და სევდის მომგვრელია?! ჩემი აზრით, კიდევ კარგა ხანს იქ-ვითქვითებენ.

ქალაქი რომ დაათვალიერეს, მეგობრები პირშუშხას სასახლეს-თან მივიდნენ. ამჯერად წესრიგის დამცველებმა ქვის კიბეებით აიყ-ვანეს ზევით. გვერდზე ჩაუარეს შოლტებითა და დანებით შეიარაღე-ბულ მცველებს და დიდ დარბაზში შევიდნენ. დარბაზის ბოლოს პირ-შუშხა იჯდა და თავის მეუღლე მდოგვასთან თათბირობდა. მათ თავს დაჰფუსფუსებდათ ხახვა და ნიორა. ცრემლების გამოწურვის ახალ გეგმებს იმუშავებდნენ.

— რატომ კარტოფილა არ გამოცხადდა? — აწრიპინდა პირ-შუშხა.

— იმ უდღეურმა ახლა დათვალა სარდაფის კიბე, გაიგო ცამეტი საფეხურისაგან რომ შედგება და აბა ფეხს მოაცვლევინებ იქიდან!

უცებ რკომ იგრძნო, თვალები ცრემლით ევსებოდა. ოქროცერ-ცვას კი უკვე ღვარღვარად ჩამოსდიოდა. მერე ორივემ შეთქმულები-ვით დაამთქნარა, ღრმად ამოისუნთქა და ცამეტჯერ დააცემინა ცხვირი.

— მადლობას მოგახსენებთ ჩვენი ►დათის პატივისცემისა-თვის, — ულოცა პირშუშხამ. — რას მიბრძანებთ?

— ჩვენს მეგობარ ლობუნას დავეძებთ, — აუხსნა რკომ. — ტყვედ ჩავარდა და მგონი ამ გზით გაატარეს.

— რადგან მეგობრები გყავთ, ცხადია, კეთილი ხალხი იქნე-ბით, — უპასუხა პირშუშხამ. — დღეს გოგრას ძეგლის გახსნაზე უამ-რავი ხალხი მოიყრის თავს. იქ ვიკითხოთ თქვენი ლობუნას ამბავი.

მეგობრებმა როგორღაც შეიკავეს ცხვირის ცემინებაც და ცრემ-ლებიც და წმინდა გოგრის მოედნისაკენ გაემართნენ. მხიარული სა-ზამთროს დამსხვრეულ ძეგლის ადგილას ახალი მონუმენტი წამოეჭი-მათ. მართლაც შესაბრალისი სანახავი იყო. შავ უსწორმასწორო ქვა-ზე დამსხვრეული როფი დაედგათ, ზედ წამოესკუპათ ფეხებმომტვ-რეული შეღებილი საზამთრო, თვალებიდან ცრემლთა შადრევნები გადმოსჩქეფდა. ეს შადრევნები როფის ნაპირებიდან იღვრებოდა. ხვრელში მიედინებოდა და ნაკადულებად ერთვოდა მდინარე ცრემ-ლს.

მოხელე-ერისთავების ნაცვლად, თავიანთ შვილებს — ბატონიშვილებსა თუ სამეფო სახლის უახლოეს ნათესავ-ბაგრატიონებს ნიშნავენ [281, 128...]. ისინი ცენტრის სახელით სპეციალური სტატუსით სარგებლობენ და ზოგჯერ, პროვინციული სეპარატიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, განმგებლობენ რა ლიხთ-იქითში, „პროვინციის მეფეთა" ეპოქის ხასიათიდან გამომდინარე, „მეფის" ტიტულითაც კი მოქმედებენ. ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ სუსტი გავლენის არსებობის პირობებში, საქართველოს მეფე თავის წარმომადგენელ ბაგრატიონს ლიხთ-იმერეთში, პოზიციების გასაძლიერებლად, „მეფის" ტიტულსაც კი ანიჭებს. მათი მოქმედების სიმტკიცის, სტატუსის აწევისა თუ უფლებების ხაზგასმის მიზნით ბატონიშვილთა „მეფის" რანგში მოღვაწეობა შეიძლება გავიგოთ, როგორც XIV-XV საუკუნეებში თანამოსაყდრეობის გარკვეული ნაირსახეობა. ასეთი ინსტიტუტის შემოღება უნდა გამხდარიყო საფუძველი უღალატობისა და ბატონიშვილთა ერთი ნაწილი ასეც იქცევა (მაგალითად, გიორგი VII უფლისწულობის პერიოდში); ამავე დროს, ასეთ ბატონიშვილთა თუ უახლოეს ნათესავ-ბაგრატიონთა მეორე ნაწილის მოქმედება ზოგჯერ იმ ხასიათის მოვლენად ყალიბდება, რასაც „პროვინციის მეფეთა" არსებობას ვუწოდებთ (მაგალითად, გიორგი V ბრწყინვალის მიერ ლიხთ-იქითში შორაპნის ერისთავად დანიშნული მიქელ მეფის ძე — ბაგრატი, რომელიც გარკვეული პერიოდიდან „პროვინციის მეფეა" [284; 281, 121-122], ან ბაგრატ VI მისი ხელისუფლობის პირველ ეტაპზე ქუთაისის „ქვეყანაში").

ასეთ ბატონიშვილთა მოქმედების ზოგიერთი კონკრეტული მომენტი და საერთოდ, ლიხთ-იქითის „მეფეთა" ისტორია ჩვენს მონოგრაფიაში [281, 113...] ვრცლადაა განხილული; აქ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ლიხთ-იქითის „მეფეთა" არსებობა იმავე კატეგორიის მოვლენაა, როგორიც „პროვინციის მეფეთა" ინსტიტუტი. ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური და ისტორიულ-გეოგრაფიული იზოლირებულობა, ორმეფობა XIII საუკუნეში თუ გარკვეულ პერიოდში ორი სამეფო ტახტის არსებობა, განყოფის ტენდენციის სიძლიერე და დასაყრდენი ვასალური ფენის არსებობა ქმნიან ნიადაგს ლიხთ-იქითის „მეფეთა" მთელი შტოს წარმოქმნისა და არსებობისათვის.



მეორე ასეთ მსხვილ შტოს თუ „პროვინციის მეფეთა“ მნიშვნელოვან განშტოებას ე.წ. ალასტანელი ბაგრატიონები წარმოადგენენ. იგი „პროვინციის მეფეთა“ ისტორიის გამორჩეული საკითხია, ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენ მიერ მონოგრაფიულად იქნა შესწავლილი; აქ მხოლოდ ალასტანელთა შტოს წარმოშობის საფუძველზე შევჩერდებით. მის გამომწვევ ზოგიერთ მიზეზზე ზემოთაც იყო საუბარი, ხოლო თუ ყოველივეს თავს მოვუყრით, ასეთ სურათს მივიღებთ: ლაშა-გიორგის

უფლისწულობა-ალასტანელობა, მისი „განსაკუთრებული დამოკიდებულობა“ ჯავახეთისადმი და „ჯავახთ უფლობა“, XIII საუკუნის მანძილზე უფლისწულების საქართველოს სამხრეთ რეგიონში მფლობელობა, ალასტანის „მიკროქვეყნის“ ისტორიულ-გეოგრაფიული იზოლირებულობა და მისი, ჯავახეთის სხვა მიწებისაგან განსხვავებით, მთელი XIII საუკუნის მანძილზე ძველ საუფლისწულო სტატუსში ყოფნა — ეს ყოველივე ქმნის საფუძველს XIV საუკუნეში ალასტანელ ბაგრატიონთა „პროვინციული სამეფო“ შტოს წარმოსაქმნელად. ალასტანელ „მეფეთა“ წარმოშობას ხელი შეუწყო უკვე მოხსენიებულმა ფაქტმა — 1302 წელს ვახტანგ III მიერ დავით VIII ჯავახეთისა და ალასტანის სამფლობელოდ გადაცემამ. როგორც აღინიშნა, დავით VIII საქართველოს სამხრეთ რეგიონებში მანამდეც — უფლისწულობის პერიოდშიც ჰქონდა გავლენა (1285 წლის ავანის ეკლესიის წარწერა) თუ დასაყრდენი ვასალთა ფენის სახით; დავით VIII აქ მფლობელობა საფუძველი და წინა დღეა მომავალში „შვილნი დავით მეფისანის“ [272] მფლობელობისათვის: ტახტის მემკვიდრეობითი ფლობის წესით, მეფობა დავით VIII უფროს ძეს — მელქისედეკს (პირველი ცოლიდან) ეკუთვნოდა; სინამდვილეში, მონღოლთა წყალობით, ჯერ მისი უმცროსი ძმა — გიორგი VI მცირე (მეორე ცოლიდან), შემდეგ კი გიორგი V ბრწყინვალე გამეფდა. დავით VIII უფროსი ძეები — მელქისედეკი და ანდრონიკე მამის სამფლობელო სამხრეთ რეგიონებში რჩებიან, სადაც მკვიდრად მფლობელობენ — 1311 წელს, დავით VIII გარდაცვალების შემდეგ, მელქისედეკი ამ რეგიონში პირველი ალასტანელი „პროვინციის მეფე“ ხდება. ალასტანელმა ტახტს-იქითა ბაგრატიონებმა მნიშვნელოვანი მფლობელობა მოიპოვეს, მათ შორის ისტორიული სომხეთის [268] მამულებზეც (ვრცლად ალასტანელთა ისტორია იხ. ჩვენს ნაშრომებში [281, 46...; 275]. მათთან დაკავშირებით საბოლოოდ აღვნიშნავთ, რომ ამ მსხვილმა გვერდითმა შტომ არსებობა შეწყვიტა არა XV საუკუნის 60-იან წლებში (როგორც გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში), არამედ XIV საუკუნის 80-90-იან წლებში.

ალასტანელ ბაგრატიონთა გენეალოგია



ამ პერიოდში ყალიბდება კიდევ ერთი გვერდითი შტო, რომლის ისტორია, როგორც ჩანს, მალე შეწყდა: ვახტანგ III სამეფო ტახტის სუსტმა გავლენამ და 1304 წელს ვახტანგ მეფის გარდაცვალებამ, მისი შთამომავლების „გაღარიბება“ განაპირობა — ვახტანგ III ძეები მხოლოდ „პროვინციის მეფეთა“ მდგომარეობას აღწევენ; როგორც ითქვა, სწორედ ამას გულისხმობს ასწლოვანი მატიანის სიტყვები, რომ „დიმიტრის დმანისი აქუნდა, და გიორგის სამშჯლდე“ [103, 322]. კვლავ ხაზს გავუსვამთ, რომ ეს დიმიტრია დასახელებული „მეფის“ ტიტულით პეტრიწონის მონასტრის ღვთისმშობლის ხატის 1311 წლის უკვე მოხსენიებულ წარწერაში [267, 42].

ვახტანგ III განშტოება — დმანის-სამშვილდის „კნინი მეფენი“



რაც შეეხება XIV საუკუნის II ნახევრის „პროვინციის მეფეთა“ და ბაგრატიონთა სახლის გვერდით შტოთა ისტორიას, იგი უკვე განხილულია ჩვენ სპეციალურ ნაშრომში [281, 91...; 270]. XV საუკუნის „პროვინციის მეფეთა“ პრობლემას კი ქვევით სპეციალურად შევეხებით ერთიანი ქართული სამეფოს დაშლის საკითხთან დაკავშირებით.

§3. «ორიანობა» XV საუკუნეში

XV საუკუნის საქართველოში ადგილი ჰქონდა მოვლენას, რომელიც „ორიანობის“ სახელწოდებითაა ცნობილი. იგი როგორც ერთ-ერთი ფორმა დინასტიური ბრძოლისა პარალელურად არსებობს ისეთი ინსტიტუტის გვერდით, როგორიც „პროვინციის მეფეებია.“ ტერმინი „ორიანობა“ დაცულია 1472 წ. სიგელში იოთამ მაღლანიძისადმი, რომელსაც კონსტანტინე II უმტკიცებს სოფ. ზერტს და აღნიშნავს: „არავინ დაგეცილოს არა ჟამთა გამოცუალებისათვის და არა ორიანობისათვის“ [233, 166-117].

ს. კაკაბაძე თვლის, რომ „ორიანობა“ ბაგრატ VI და კონსტანტინე II შორის არსებულ თანადროულ ორთა მეფობას აღნიშნავს. ამდენად,

„ორიანობა“ თანამეფობადაა მიჩნეული და არა ორი ბაგრატიონის ურთიერთდაპირისპირებად. „ორიანობა“ რომ თითქოს ორთა მეფობა და შეთანხმებული მართვაა, გაიზიარა ჯ. ოდიშელმა: „синхронное царствование двух и более личностей (в частности, „Орианоба“) являются ярким показателем сложности политических суде, развития страны...“ [377, 6,14; 285, 85]. ჩვენს სპეციალურ სტატიაში, ამ საკითხთან დაკავშირებით, სწორედ ასეთი შეხედულება გავიზიარეთ [273], მაგრამ როგორც შემდგომმა კვლევამ და მომდევნო პერიოდის ისტორიულ წყაროთა მონაცემების (მათ შესახებ XVI-XVIII საუკუნეების „ორიანობაში“ შევჩერდებით) გათვალისწინებამ გვიჩვენა, „ორიანობის“ ასეთი გაგება არ უნდა იყოს სწორი. ქართულ ისტორიოგრაფიაში ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომ სწორედ კონსტანტინესა და ბაგრატს შორის ბრძოლა და დაპირისპირება წარმოადგენს „ორიანობას“ [163, 214]. ამავე დროს, „ორიანობის“ გამორჩეულობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი არის არა ზოგადად ბრძოლა და ქიშპი, არამედ დაპირისპირება ერთიანი სამეფოს შიგნით ორი მეფის ტიტულით მოქმედი, რეალური ძალაუფლების მქონე ბაგრატიონისა, როცა არც ერთი მხარე „პროვინციის მეფეთა“ სტატუსს არ კადრულობს და მხოლოდ საქართველოს ტახტისათვის იბრძვის.

დინასტიურმა სიტუაციამ, XIII საუკუნეში ორმეფობისა და თანამეფობის არსებობამ, მრავალმეფიანობამ 1298-1318 წწ-ში, ლიხთიქითის „პროვინციის მეფეთა“ მოღვაწეობამ — საერთოდ, „კნინ მეფეთა“ არსებობამ და ერთიანი ქვეყნის დაშლის ტენდენციის სიძლიერემ, ყველა პირობა წარმოშვა XV საუკუნის საქართველოში „ორიანობის“ სიტუაციის შესაქმნელად.

როგორც ცნობილია, მომავალი ბაგრატ VI 1453 წლიდან ლიხთიქითში ქუთაისის მხარის „პროვინციის მეფეა“, 1463 წ. ჩიხორის ბრძოლის შედეგად კი უკვე სრულიად იმერეთის მეფედ იწოდება. ბუნებრივია, ამ პერიოდის საქართველოს მეფე გიორგი VIII და მომავალ ბაგრატ VI შორის ბრძოლა, ქიშპი და დაპირისპირებაა — პრინციპში, ბაგრატის რეალური ძალიდან გამომდინარე, ესეც „ორიანობის“ სიტუაციის მსგავსია, მაგრამ ბაგრატი აღნიშნულ პერიოდში მაინც „პროვინციის მეფეა“ [281, 173...] (ვახუშტიც ხომ გვაფრთხილებს — „იხილე, რამეთუ ბაგრატს არა იტყჳს მეფედ, ვინაჲთგან

მეგლის ირგვლივ ბოძებზე ნათურების მაგივრად ციცინათელები მიეკრათ

— ამ წუწურაქებს როგორ უნათებთ? — აღშფოთდა ოქროცერცვა.

— აბა რას იზამ, ძალით რომ დაგაბამენ? — ნაღვლიანად უპასუხა მოხუცმა ციცინათელამ. — ძალა აღმართსა ხნავს.

ოქროცერცვა ბოძზე აცოცდა და თოკები გადაჭრა. რკომაც მეგობარს მიბაძა. რამდენიმე წუთში ყველა გაათავისუფლეს და თექვსმეტი მადლიერი ციცინათელა ფრთების მხიარული ფათქუნით თავს დაფარფატებდა მეგობრებს.

— იქნებ რამე იცით ლობუნაზე? — ჰკითხეს მოგზაურებმა.

— როგორ არა, ერთმა ციცინათელამ ნახა შრომისმოყვარეთა შოედანზე.

ისევ დაიწყეს მეგობრებმა შესახვევებით დახლართულ ქუჩებში ხეტიალი. ერთ მოსახვევში შედგნენ: რაღაც ფშვინვისა და ხვრინვის ხმა შემოესმათ... ქუჩის გარდიგარდმო ჩამოკიდებული წარწერები იუწყებოდა: „ჩუმად!“ „ვფხიზლობ!“ „ყურადღება, უძილობაა!“

— ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს ეს წარწერები? — მოიღუშა ოქროცერცვა.

— ერთხელ და სამუდამოდ გაიგე, ამ ქალაქში ყველაფერი უკუღმაა. განა ვერ ხედავ, მძინარების შესახვევია! — გაეცინა რკოს და საპატიო დაფას შეხედა, რომელზეც ზაზუნა გამოეხატათ. მას იმდენი მოეხერხებინა, რომ დღეღამეში ოცდახუთი საათი დაუძინია.

რკომ ვეღარ მოითმინა, ცარცს სტაცა ხელი და ქუჩებს სახელი შეუცვალა. შრომისმოყვარეთა ქუჩაზე კი, იქ, სადაც გამოხატული იყო ერთი მუქთახორა, რომელმაც იმით გაითქვა სახელი, რომ ადგილიდან არ დაიძრა მაშინაც კი, როცა სპილომ კუდზე ფეხი დაადგა, რკომ ასეთი წარწერა მიაწერა:

მე ახლა დაგიწერთ ერთ სიბრძნეს ძველს,
რომელიც წამკითხველს შემატებს ხალისს:
თუკი ქვა მიწაზე ქვასავით ძევს,
იმ ქვის ქვეშ ვერასდროს გაატანს წყალი!

ასე ასწორებდნენ ყოველ წარწერას მანამ, სანამ ქალაქის მცველებმა ძებნა არ დაუწყეს. კვალის ასაბნევად მეგობრები ერთ მოედანზე გავიდნენ და დაინახეს, რომ მათკენ ქერი მოლასლასებდა. საწყალი ძლივს გადააფოფხდა ნაგვის გროვას, თან ცხარედ ტიროდა.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა ოქროცერცვამ.

— რაღაც ჯანდაბად ლუდი ჩამოვიტანე გასაყიდად ამ ქალაქში. აქაურმა ნაძირალებმა მთელი ლუდი შემიხვრიპეს და ფულის მაგიერ თხმელის ფოთლები მომცეს, ოქროს მონეტებიაო, მიმტკიცებდნენ. რაღა თქმა უნდა, არ დავუჯერე. მომდგენ და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მირტყეს, თან გაჰყვიროდნენ, როგორ გაბედე „დიდებულ მეს“ მოტყუებაო.

— „დიდებული მე“ კი არა, ცხვირაბზუებისა და კუდაბზიკების ქალაქია, — დააწყნარა ქერი რკომ.

— ჩუ! ასე ხმამაღლა ნუ ლაპარაკობ, თორემ უბედურებას გადაეყრები. თუმცა ცხვირაბზუები ისე დადიან, ძირს არ იხედებიან, მაგრამ სმენა ყველას კარგი აქვს. ამ კედლებსაც კი ყურები აქვს.

ორი ნაბიჯის გადადგმა ძლივს მოასწრეს, რომ შუა ქუჩაში მომავალი ჭვავის თავთავი დაინახეს. იგი მუშტებს უღერებდა ვიღაცას და აღშფოთებული ხმამაღლა გაჰყვიროდა:

— როცა ჩემს პურს ხეთქავდნენ, ასეთი პური თვით „დიდებულ ჩვენის“ — ცრუთა დედოფლის მაგიდას უნდა ამშვენებდესო, მეუბნებოდნენ, მაგრამ ფულის გადახდაზე რომ მიდგა საქმე, ერთი პეშვი ხრეში მომაჩეჩეს, აქაოდა, ნახე რა ძვირფასი ქვებით გიხდით პურის საფასურსო!

— მოიცა, მოიცა, ჩვენც გაგვაგებინე, რა მოხდა? — გამოელაპარაკა რკო.

— აი, ეგენი კი გაწყვიტა ჭირმა! ყაჩაღების ქვეყანაა! — არ ცხრებოდა თავთავი. — აბა მათთან რას გახდები. საწყალი შვრიაც დაეძებდა სიმართლეს, მაგრამ რა გამოუვიდა — ახლა მართლმსაჯულების მოედანზე თავის მოკვეთას უპირებენ.

მეგობრები საჩქაროდ გაეშურნენ მართლმსაჯულების მოედნი-

ერისთავი იყო"); ამდენად, ვითარება მხოლოდ ახლოვდება კლასიკური „ორიანობის" პირობებთან.

„ორიანობის" არსის გარკვევაში, ვფიქრობთ, ყველაზე უკეთ ბაგრატ და კონსტანტინე მეფეებს შორის განვითარებული ურთიერთობის განხილვა დაგვეხმარება:

არაერთი წყარო მიგვითითებს 1465-66 წლებიდან სამეფო ტახტზე დიმიტრი „პროვინციის მეფის", „წყალს-იქით" მამულის პატრონის ვაჟის კონსტანტინე II მეფობის შესახებ. 1465 წლის ერთ სომხურ ჰიშატაკარანში მისი სწორედ ამ წელს გამეფებაა აღნიშნული [113, 82-83]. იგი მეფედ მოიხსენიება 1466 წლის ჯავახიშვილებისადმი მიცემულ სიგელში, საიდანაც ირკვევა, რომ გიორგი VIII თავფარავანთან შეპყრობის შემდეგ, ყვარყვარე ათაბაგი კონსტანტინეს დასდევნებია, რომელიც ჯერ გორის ციხეში გაჩერებულა, შემდეგ კი ქუთაისში გამაგრებულა [107, 20-21; 122, 134-135]. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ გასაოცარია, თუ როგორ მოახერხა კონსტანტინემ ქუთაისის ციხეში შესვლა [343, 88]. კონსტანტინე მეფედ იწოდება 1467 წლის ზაზა ფანასკერტელისათვის მიცემულ წყალობის წიგნში [231, 30-31], ასევეა 1472 წლის იოთამ მაღლანიძისადმი და 1474 წლის დოლიძეთათვის გაცემულ წიგნებში [285, 85]; ვახუშტიც უდავოდ ადასტურებს ამ პერიოდში კონსტანტინე II მეფობას [82, 383]; 1471 წლის 12 აპრილით დათარიღებულ წერილში უნგრეთის მეფეს მისი დესპანი ვენეციიდან ატყობინებდა იქ საქართველოს მეფის – კონსტანტინეს ელჩების ჩასვლას [259, 63; 311, 22]. ამდენად, კონსტანტინე II ქართლში 1478 წელზე უფრო ადრეულ პერიოდში მეფობა აშკარაა და მას 1465-66 წლებიდან აქვს ადგილი.

ამ წლებშივე ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის მეფედ ისტორიული წყაროები ბაგრატ VI ასახელებენ. მის ხელმწიფობას უდავოდ ადასტურებს ზევდგინიძეთა საჩივრის მეორე საბუთი (Hd 14903[1]): „შეიპყრა ათაბაგმან გიორგი მეფე და გარდმოვიდა მეფე ბაგრატ" ქართლში [171, 43]; ასევეა ჟურულების ცნობილ სასისხლო სიგელში: „ჩვენ ღთივ გუირგუინოსანმან მეფეთ მეფემან ბაგრატ ნებითა ღვთისათა დავიპყარით მეფობა ორისავე ტახტისა, ლიხთ-იმერისა და ლიხთ-

[1] გამოცემაში საბუთის ნომრად შეცდომით Hd 14631 არის აღნიშნული.

ამერისა...“ [119, 280]. მისი მეფობაა აღნიშნული სომხურ ჰიშატაკარანებში (№98, 99, 102, 104) [113, 82-86]; „სრულიად იმერთა მეფის“ ბაგრატის თბილისის ტახტზე ჯდომა მტკიცდება 1466 წელს მიცემული სიგელით მცხეთისადმი [119, 287] და ჯვარისმტვირთველ დანიელ ელიოზისძისათვის სოფ. სასხორისა და ხეკორძულას რუს წყაროს 1467 წლის წყალობის წიგნით [12]. 1470 წლის შეწირულობით შალვა ქვენიფნეველ ერისთავისა ლარგვისისადმი ვგებულობთ, რომ ბაგრატის მეფობაში ერისთავმა სოფლები შესწირა ლარგვისის მონასტერს [122, 138-143].

ბაგრატის ხელმწიფობას ადასტურებენ ვენეციელი ელჩები ჯოსაფატ ბარბარო და ჯოვანი მარია ანჯოლელო [139, 62, 78]. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართლში გადმოსულ ბაგრატ VI თავი დამპყრობლად არ მიაჩნია — იგი ალექსანდრე I დიდის ძმისწულია, ამიტომ მის პრეტენზიებს ლიხთ იმერისა და ლიხთ ამერის ტახტზე საკუთარი ბუნებრივად თვლის და ორისავე ტახტის პატრონად იწოდება.

ორივე ბაგრატიონს რომ საკმაო ძალა გააჩნიათ, ჩანს ერთი ქრონიკული ხასიათის ცნობითაც — 1472 წ. ბაგრატმა დაიპყრო ქართლი და კონსტანტინე განდევნა [119, 289-290].

როგორც ვხედავთ, 1465-66 წლიდან საქართველოში დასტურდება როგორც ბაგრატ VI, ისე კონსტანტინე II მეფობა; თან ორივეს რეალური ძალაუფლება აქვთ, მაშ რასთან გვაქვს საქმე:

როგორც ითქვა, ივ. ჯავახიშვილი გაოცებას გამოხატავდა, თუ როგორ მოახერხა ამ პერიოდში კონსტანტინე ბატონიშვილმა ქუთაისის ციხეში შესვლა; უნდა გავითვალისწინოთ, რომ 1465 წ. იქ ბაგრატი უკვე „მეფის“ ტიტულით მოღვაწეობს. როგორც ჩანს, ამ დროს ბაგრატსა და კონსტანტინეს შორის გარკვეული კავშირი მყარდება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლოა თვითონ ბაგრატმა შეუწყო ხელი კონსტანტინეს, როგორც ათაბაგის პოტენციურ მეტოქეს და თავისთან ქუთაისის ციხეში შეიხიზნა [219, 12]. მეორე მხრივ, აღნიშნულ პერიოდში კონსტანტინეს უკვე ისედაც გააჩნია საკმაო ძალა და „მეფის“ ტიტულით რეალური ძალაუფლების მატარებელია, ამიტომ ბაგრატს ამის გაუთვალისწინებლობა არ შეეძლო.

1465 წ. ზემოაღნიშნულ სომხურ ჰიშატაკარანში აღნიშნულია: „სამეფო ტახტზე დაჯდა მისი (გიორგი VIII, — დ.ნ.) ძმისწული

კონსტანტინე. კონსტანტინეს შემდეგ, გავიდა რა ერთი წელი, დაჯდა ბაგრატი“ [113, 82-83]. ანდერძმინაწერში თითქმის რეალური ვითარებაა ასახული, მაგრამ ბაგრატის ქართლში გადმოსვლით არც კონსტანტინე II მეფობა შეწყვეტილა. ვფიქრობთ, ქუთაისში ხიზნობას ქვეყანაში არსებული ვითარებისა და დინასტიური მდგომარეობის გათვალისწინება მოჰყვა, რაც კონსტანტინე II-ბაგრატ VI შეთანხმება — თანამეფობით დაგვირგვინდა. ამდენად, 1466 წ. ბაგრატ VI ლიხთიქითიდან ქართლში გადმოდის და რეალური ძალაუფლებით მეფობას იწყებს; პარალელურად, კონსტანტინეც, ქუთაისიდან დაბრუნების შემდეგ, ასევე მეფის ტიტულით იწყებს განმგებლობას. შექმნილ ვითარებას კიდევ უფრო ნათელს ჰფენს ბაგრატ და კონსტანტინე მეფეების 1468 წ. სიგელი ჯავახიშვილებისადმი, სადაც ვკითხულობთ: „ჩვენ, ორისავე ტახტისა და სახელმწიფოსა ლიხთ იმერისა და ლიხთ ამერისა ღმრთივგვირგვინოსანმან, მეფეთ-მეფემან ბაგრატ და ძმამან ჩვენმან პატრონმან კონსტანტინე...“ [107, 39-40; 122, 137]. კონსტანტინეს რომ მეფობა დაკარგული ჰქონდეს, სიგელში ტერმინი „ჩვენ“ არ აღინიშნებოდა; კონსტანტინეს „ძმად“ და „პატრონად“ მოხსენიება მიგვითითებს, რომ ბაგრატსა და კონსტანტინეს შორის შეთანხმებათანამეფობა მყარდება, როცა ისინი. თანატოლი უფლებებით სახელმწიფო საქმეებს განაგებენ. ორი მეფის შეთანხმებული მართვა სწორედ ასეთ „ძმობაზე“ უნდა ყოფილიყო დამყარებული. როგორც ისტორიული საბუთებითაა ცნობილი, ჯავახიშვილები კონსტანტინე მეფისადმი ერთგულებით გამოირჩეოდნენ და ყოველთვის მის ხელისუფლებას სცნობდნენ. 1468 წ. აღნიშნული სიგელით, თითქოს გამოდის, რომ ჯავახიშვილები „ბაგრატის დიდად ერთგულ ქვეშევრდომებად არიან... ჩვენს წინაშეა ორი, ერთმანეთის მოქიშპე ხელმწიფის ერთნაირად „ერთგული“ ფეოდალური საგვარეულო“ [303, 93]. ვფიქრობთ, თანამეფობის არსებობა ნათელს ჰფენს ამ ვითარებას: შეთანხმებული მმართველობის გამო ამ სიგელს ბაგრატთან ერთად კონსტანტინეც ამოწმებს; სიგელი ეხება კონსტანტინე მეფის ერთგულ ჯავახიშვილებს, მაგრამ რადგან თანამეფობაა, ამ ფეოდალური სახლის თანადგომა ბაგრატის მიმართაც აღინიშნა. საერთოდ, როგორც ირკვევა, „ორიანობის“ პერიოდში ისინი კვლავ კონსტანტინე მეფის პოზიციებს იცავენ და მის მხარეზე იბრძვიან.

1468 წ. სიგელი უდავოა მეფეთა შორის შეთანხმების არსებობაზე მიგვანიშნებს, რაც კიდეც აღინიშნა ქართულ ისტორიოგრაფიაში (ჯ. ოდიშელი [285, 85], ნ. ასათიანი [163, 213]). გამოდის, რომ ბაგრატსა და კონსტანტინეს შორის თანამეფობას 1466-1468 წწ-ში ჰქონია ადგილი. ჩვენი აზრით, მის არსებობა-ჩამოყალიბებას შემდეგმა ვითარებამ შეუწყო ხელი: 1466 წელს ათაბაგისაგან გათავისუფლებულ და ქართლში მოსულ გიორგი VIII კონსტანტინემ მხარი არ დაუჭირა; გიორგი მეფის გამეფებით, არ იყო გამორიცხული, კონსტანტინეს საერთოდ დაეკარგა ძალაუფლება, ამიტომ იგი ბაგრატს მიემხრო [174, 125]. ამას მათ შორის შეთანხმება და სამეფოში თანამეფობის დამყარება მოჰყვა, რისი გამოხატულებაცაა 1468 წ. ჯავახიშვილების სიგელში კონსტანტინეს „ძმად“ და „პატრონად“ მოხსენიება. თანამეფობის რეალური განხორციელებისათვის ერთ-ერთის „ზემოჯდომა“ მაინც საჭირო იყო — ასეთად, ბაგრატ VI მოჩანს, რომლის „მეფის“ ტიტულის გვერდით კონსტანტინე „ძმად“ და „პატრონად“ იწოდება. 1466-1468 წლების თანამეფობიდან გამომდინარე კიდევ უფრო გასაგები ხდება, თუ რატომ ვერ შეძლო უკან მობრუნებულმა გიორგი VIII თბილისში ფეხის მოკიდება, რის გამოც ხელმოცარული კახეთში გადავიდა.

როგორც ჩანს, თანხმობით მეფობა დიდხანს არ გრძელდება, რაზეც მიუთითებს კონსტანტინე მეფის 1472 წ, სიგელი იოთამ მაღლანიძისადმი და 1470-1474 წლებში „მცნებაჲ სასჯულოჲს“ შექმნა [163, 214]. ვფიქრობთ, უთანხმოება უკვე 1469 წ. უნდა ჩამოვარდნილიყო, რის გამოც კონსტანტინემ, როგორც ჩანს, საჭიროდ ჩათვალა და მეფედ ხელმეორედ ეკურთხა [82, 383]. იწყება ურთიერთქიშპისა და დაპირისპირების პერიოდი, ანუ იგივე „ორიანობა“. ამდენად, არაა სწორი როცა მათ შორის თანამეფობის („პარიტეტის“) დარღვევას ბაგრატ VI გარდაცვალების ხანით ათარიღებენ [219, 12]. XV საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისის დოკუმენტებით, ბაგრატი კვლავ სამეფო ტახტზეა; ამავე დროს, ხელმეორედ გამეფებული კონსტანტინეც რეალური ხელისუფლების მქონეა; ორივე მეფე ურთიერთბრძოლაში, ერთ-ერთის უპირატესობის მიუხედავად, არ ყაბულდება მხოლოდ „პროვინციის მეფის“ მდგომარეობას და აქტიურ ბრძოლას განაგრძობს. სწორედ ეს არის ამ კუთხით ძირითადი მიზეზი XV საუკუნის

რად ჩამოსდიოდა ცრემლი, მეორე კი უბრწყინავდა და უცინოდა. თან კრიჭა შეკვროდა და ენაც მოეკვნიტა.

ეს რომ ხალხმა დაინახა, ზოგმა ტირილი მორთო, ზოგმა სიცილი, ზოგი კი შურით კბილებს აკრაჭუნებდა. ისეთი აურზაური იდგა, ყურთასმენა აღარ იყო.

ამის შემყურე რკომ ხელი ჩაიქნია, მეგობრები ცხენებს შემოახტნენ და უკანმოუხედავად გააქროლეს ცხენები. ოქროცერცვას რაღაც უნდოდა ეკითხა რკოსთვის, მაგრამ რკომ დაასწრო, ამოიოხრა და უთხრა:

— ეჰ, ძამია, სულელი ვერც სიცილით განიკურნება და ვერც ტირილით.

ცხვირაბზუათა ქალაქი

შუადღემდე შეუსვენებლად მიაგელვებდნენ ცხენებს მეგობრები. მალე ერთ მაღალ კედელს წააწყდნენ. რკომ კედლის გასწვრივ წაიყვანა ცხენი, ოქროცერცვაც უკან მიჰყვა. მალე რაღაც უცნაურ ჭიშკარს მიადგნენ. თავზე ჭიშკარს ასკილის ეკლები ეყარა. ეკლებს შუა ფიჭვის წიწვები ჩაერჭოთ, შიგადაშიგ კი ბირკავას ეკლები მოჩანდა. აბა, თუ ბიჭი ხარ, გადაახტი!

ჭიშკარს ასეთი წარწერა ეკიდა:

დიდებული მე

— ნეტავ რას ნიშნავს? — იკითხა გაკვირვებულმა ოქროცერცვამ.

— ეტყობა, ასეთი მშვენიერი სახელი ჰქვია ამ ქალაქს, — უპასუხა რკომ.

მეგობრები ბუჩქებს ამოეფარნენ და თვალს არ აცილებდნენ ჭიშკარს. ყოველ ნახევარ საათში ერთხელ საშინელი ღრჭიალით იღებოდა კარი და შეიარაღებული თაგვები შიგ ერეკებოდნენ ქერის. შვრიის, ხორბლისა და სხვა თავისუფალ მცხოვრებთა ბრბოებს.

რკო და ოქროცერცვა ჭიშკართან ახლოს მიჩოჩდნენ და შეამჩ-

ნიეს საძირკველი სულ მთლად მორყეულიყო — ქვები გამოყრილიყო და ვისაც კი მოესურვებოდა, თავისუფლად ძვრებოდა უზარმაზარ ხვრელში. მიუხედავად ამისა, ალაყაფის კარს კაჟის შაშხანებით შეიარაღებული ორი გუშაგი თაგვი იცავდა.

მეგობრები კიდევ უფრო ახლოს მივიდნენ ჭიშკართან და ყველაფერს მიხვდნენ: ორივე მცველს ცხვირი მაღლა აებზიკა და სულაც არ დაეძებდნენ, რა ხდებოდა მათ ფეხებთან.

ცხვირაბზუებს თვალები ცაში აღეპყროთ, ისე დადიოდნენ, თითქოს მიწას ფეხს არ აკარებენო და ერთმანეთში საუბრობდნენ:

— ო, მამაცო კბენია, მაშ არავის გაუბედავს კედლიდან გადმოცოცება ჩვენს ცრუთა სახელმწიფოში?

— არავის, გულადო მღრღნელო!

ცოტაოდენი მანძილი გაიარეს, მერე შემობრუნდნენ და ისევ შეხვდნენ ერთმანეთს:

— მაშ, არავინ გაპარულა ჩვენი დიდებული ქალაქიდან, სახელოვანო თრია?

— არავინ. ქინქლასაც კი არ გადაუფრენია, კეთილო ზაზუნა.

ასე მიმოდიოდნენ, ერთმანეთს ათასი ქათინაურებით ამკობდნენ და ვერც კი ამჩნევდნენ, როგორ შედიოდა და გამოდიოდა ქალაქში, ვისაც კი მოეპრიანებოდა.

მეგობრებმა იქვე ხეივანში მიმალეს ცხენები და ალაყაფის კართან დაბრუნდნენ.

— შევიდეთ, — შეაგულიანა რკომ ოქროცერცვა, რომელსაც ფეხები უკან რჩებოდა.

— სიკვდილივით მეშინია თაგვების,—გაჯიუტდა ოქროცერცვა.

— მეც მეშინია, მაგრამ ლობუნას რა ვუყოთ! რა დროს უკან დახევაა, ცრუთა ქვეყნის დედაქალაქში ვართ და ვინ იცის, რას უზამენ უსუსურ ტყვეს?!

მეგობრებს ბევრი აღარ უფიქრიათ, შეცვივდნენ ხვრელში: კაციშვილს არ დაუნახავს არც ერთი. მიდიან რკო და ოქროცერცვა ქალაქის ქუჩებში და გაკვირვებისაგან პირი დაუღიათ: ქვაფენილები გაბინძურებულია, ტროტუარები ნაგვითაა სავსე, სამაგიეროდ სახლის სახურავები სარკესავით კრიალებს. თაგუნებს თავი ამაყად აუ-

„ორიანობის“ წარმოშობა-არსებობისა. ამდენად, ბატონიშვილობის საკითხის მოგვარება ვერ ხერხდება და ქვეყნის მმართველობა „ორიანობის“ მდგომარეობაში იმყოფება.

1469-1472 წლებში თანამეფობა გამორიცხულია — ბრძოლა ხან ერთი, ხან მეორე მეფის უპირატესობით მიმდინარეობს: ბაგრატ VI ქართლისათვის ბრძოლაც კი სჭირდება: 1472 წელს „აქა ქართლი დაიჭირა ბაგრატ მეფემან და კონსტანტინე გარდააგდო“ [96, 27]; თუმცა ეს კონსტანტინეს დროებითი წარუმატებლობა ჩანს — 1472, 1474 წწ. საბუთები უდავოდ გვიდასტურებენ ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოში კონსტანტინე II სუვერენულ, რეალურ მეფობას. ამ პერიოდის სიტუაციის ცვალებადობა და „ორიანობა“ პირდაპირაა დაფიქსირებული 1472 წ. კინსტანტინე მეფის მაღლანიძისადმი გაცემულ სიგელში: „... არავინ დაგეცილოს არა ჟამისა გამოცუალებისათუის და ორიანობისათუის და არა ჩუენსა მორჭმასა და უზეშთაე ამოდ ყოფაშიგან არავინ დაგეცილოს“ [233, 116-117].

ამდენად, 1466-1468 წლების თანამეფობა 1469 წლიდან ურთიერთქიშპის, ანუ „ორიანობის“ პერიოდით იცვლება. საჭიროა შემდგომი ვითარების გარკვევა, რაშიც 1475 წ. ავშანდაძეთა სიგელი მნიშვნელოვნად გვეხმარება — იგი გამოსცეს „მეფეთ-მეფისა დემეტრესი ძემან, პატრონმან აღმაშენებელმან კოსტანტინე, და დედათა დედამან ჩემან პატრონმან გულშარ“ და „სულისა წმინდისა ჩუენ ღმრთივ გუირგუინოსანმან, ძლიერმან და უძლეველმან მეფეთ მეფემან ბაგრატ“ [107, 42]; მას ამტკიცებენ თვით ბაგრატ VI და თანამეცხედრე ელენე. გამოდის, რომ 1475 წლისათვის სამეფოში კვლავ შეთანხმებათანამეფობას აქვს ადგილი, ანუ 1469 წ. დაწყებული „ორიანობა“ 1475 წ. შეწყვეტელია. სწორედ ასეთ პერიოდზე აღნიშნავს ვახუშტი, რომ მიუხედავად ერთ ქვეყანაში მეფობისა, „განათუ მეფენი არა იბრძოდენ“ [82, 384]. სანამდე გრძელდება ამ თანამეფობის ხანა ჩანს უზუნ-ჰასანის ბოლო შემოსევის ისტორიის განხილვიდან:

1477 წელს, ვახუშტის მიხედვით, უზუნ-ჰასანი „შემოვიდა ქართლის სომხითს, მოვიდა ორბეთის ძირს და მძლედ დახუდენ მეფე კონსტანტინე ბარათიანითა ვერარაჲ შემუსრა და მოადგა ტფილისს“ [82, 385]. როგორც ირკვევა, ამ დროს მეფე ბაგრატ VI ქართლში არ იმყოფება: „... მეფე (ბაგრატ VI, — დ.ნ.) ლიხთ იქით

იყო, ქართველნი თან იახლნენ“ [76, 342]. სომხური ანდერძმინაწერიც (№106) ადასტურებს, რომ უზუნ-ჰასანის ამ შემოსევისას ბაგრატ VI ქართლში არ იყო: „ქართველთა ქვეყნის მეფე ბაგრატი წასული იყო ლაკზსტანს მათთან საომრად, ჯავრის საყრელად“ [113, 86-87]. აქედან გამომდინარეა, კონსტანტინე მეფის განსაკუთრებული აქტიურობაც; ბერი ეგნატაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს ბარათაშვილთა მოქმედებას — „დიდად კარგად დახუდეს ბარათიანნი“, რომელთაც კონსტანტინე II მეთაურობს. მისი ასეთი პოზიციები იმითაცაა შემაგრებული, რომ უზუნ-ჰასანი საქართველოს იმ რეგიონიდან შემოესია, რომელიც, „ორიანობისა“ თუ თანამეფობის ხანაში, კონსტანტინეს სამფლობელოს ან გავლენის სფეროს წარმოადგენს. ვახუშტი კიდეც აღნიშნავს კონსტანტინე მეფის მიერ სომხითისა და ლორეს ფლობას [82, 384]. ბაგრატ VI რომც ყოფილიყო ქართლში, ამ მიმართულებიდან შემოსულ ყაენს მაინც კონსტანტინე II დახვდებოდა. ბარათაშვილებიც, რომელთაც მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს უზუნ-ჰასანს, მეფე კონსტანტინეს ხელისუფლებას აღიარებენ, მას მორჩილებენ და ამიტომაც, გამორჩეულად ჩანან ბრძოლის ამ პერიოდში.

უზუნ-ჰასანმა, მოულოდნელობის ეფექტის შესანარჩუნებლად, კონსტანტინე II ბრძოლას თავი მიანება და თბილისზე წამოვიდა. იტალიური ისტორიული წყაროებით, თბილისი დაუცველი ყოფილა და მტერს იგი წინააღმდეგობის გარეშე აუღია [139, 61, 78]. ბაგრატ VI ქართლში ამ პერიოდში გამოჩნდა, რომელიც, სამცხის ათაბაგსა და შვიდ დიდებულთან ერთად, უზუნ-ჰასანთან საზავო მოლაპარაკებას იწყებს [139, 78]. შექმნილ ვითარებაში, „ორიანობისათვის“ ხელსაყრელი პირობების არსებობამ სათანადო კორექტივები შეიტანა: უზუნ-ჰასანს ზურგში მოწინააღმდეგე კონსტანტინე მეფე ჰყავს, რომელიც მოსვენებას არ აძლევს „მარბიელთა ყეენისათა“; აქედან გამომდინარე, „ყეენი ეზრახა კოსტანტინე მეფესა, რათა მივიდეს მის თანა და მიანიჭოს ყოველი ქუეყანა მისი და დაიცვას უვნებლად“ [82, 385]. სწორედ აქ უნდა მთავრდებოდეს, ჩვენი აზრით, ბაგრატ VI და კონსტანტინე II შორის არსებული თანამეფობაც, რომელიც 1475-1477 წლებზე მოდის. კონსტანტინემ ფადიშაჰისაგან მართლაც მიიღო დაპირებული ძალაუფლება, ბაგრატ VI კი წინააღმდეგობა ვეღარ

გასწია და რაჭას შეაფარა თავი: „იხილა ესე ბაგრატ, რამეთუ ვერ-ღარა წინააღუდგების, და წარვიდა რაჭას“ [82, 385]. უზუნ-ჰასანის გარდაცვალების (1478 წ.) შემდეგ ბაგრატ VI კვლავ გამოჩნდა — „დააგდეს თათართა ტფილისი და სომხითი და დაიჭირა მეფემან ბაგრატ“ [76, 342]. ამდენად, სამეფოში კვლავ ქიშპისა და ურთიერთდაპირისპირების პერიოდი დადგა, ანუ 1477-1478 წლებში ისევ „ორიანობაა“. სიმპტომატურია, რომ ბაგრატი რაჭას გარდაიცვალა და არა თბილისში [76,342], რაც კონსტანტინესა და ბაგრატს შორის არსებული ბრძოლის გამოძახილია.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ 1466-1468 წლებში ადგილი აქვს თანამეფობას, რომელიც 1469-1475 წლებში „ორიანობით“ იცვლება; 1475-1477 წლები კვლავ თანამეფობის ხანაა, რაც უზუნ-ჰასანის ბოლო შემოსევამ დაასრულა; ამ „ორიანობამ“ 1477-1478 წლებში იარსება.

„ორიანობის“ საკითხის გარკვევა გვეხმარება „მცნებაჲ სასჯულოჲს“ დათარიღების საკითხშიც: ივ. ჯავახიშვილი ბაგრატ VI 1466 წლიდან ორისავე ტახტის მპყრობელად თვლის, კონსტანტინეს მეფობას კი 1478 წლიდან ათარიღებს; აქედან გამომდინარე, ეჭვი შეაქვს 1470-1474 წლებში „მცნებაჲ სასჯულოჲს“ შექმნის შესაძლებლობაში, რადგან, თუ ქართლი ბაგრატს უჭირავს, მაშინ რაღაში დასჭირდებოდა მეფეს მცხეთის საპატრიარქო ტახტიდან აფხაზეთის საკათალიკოსოს გამოყოფა [343, 116]. მართლაც, „მცნებაჲ სასჯულოჲ“ ბაგრატ VI პოლიტიკის ნაყოფია და მისი გადაწყვეტილებითაა შექმნილი. ბაგრატ მეფე „მცნებაჲს“ საშულებით ქართლის ტახტს უპირისპირდება, კონკრეტულად კი მეფე კონსტანტინე II (ამ მომენტიდანაც კიდევ ერთხელ კარგად ჩანს, რომ კონსტანტინე მეფეს 1466 წლიდან რეალური ძალაუფლება აქვს). ეს ბაგრატ VI მეფობის ის პერიოდია, როცა იგი აღმოსავლეთ საქართველოში თავისი პოზიციების გასაძლიერებლად და შესაბამისად, მოწინააღმდეგის დასასუსტებლად იბრძვის.

ბაგრატ VI ამ გზაზე ეკლესიის ფაქტორსაც იყენებს: „მცნებაჲს“ საშუალებით, ცდილობს ერთიანი ქართული ეკლესიის გაყოფას და აფხაზეთის (იგივე დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს იურიდიულ დაკანონებას. „მცნებაჲ სასჯულოჲს“ ხასიათის ძეგლი, ბუნე-

ბრივია, თანამეფობის ხანაში ვერ შეიქმნებოდა; ამდენად, „მცნებაჲ“ იმ წლებით უნდა დათარიღდეს, როცა ორივე მეფეს ქიშპისა და ურთიერთბრძოლის — „ორიანობის“ პერიოდი აქვთ.

როგორც ირკვევა, 1470-1474 წლები სწორედ „ორიანობაზე“ მოდის; ამდენად, ეს მომენტი „მცნებაჲ სასჯულოჲს“ 1470-1474 წლებით დათარიღებას (თ. ჟორდანია, ს. კაკაბაძე) უჭერს მხარს. სწორედ 1469-1475 წწ-ის განმავლობაში, კონსტანტინე მეფის დაპირისპირების გამო, სჭირდება ბაგრატ VI „მცნებაჲს“ მსგავსი ხასიათის ძეგლის შექმნა. ეს რომ თანამეფობის ან ბაგრატის ერთმეფობის პერიოდი ყოფილიყო, მაშინ მართლაც გაუგებარი იქნებოდა „მცნებაჲს“ შექმნის საჭიროება (რაც ასე აეჭვებდა ივ. ჯავახიშვილს). თუ თანამეფობისა და „ორიანობის“ ხანათა ასეთ არსებობა-ცვალებადობას არ გავიზიარებთ, მაშინ „მცნებაჲ სასჯულოჲს“ 1470-1474 წლებში შექმნას მართლაც ვერ ავხსნით.

კ. თუმანოვი გენეალოგიებისადმი მიძღვნილ თავის სპეციალურ ნაშრომში ამ პერიოდთან დაკავშირებით ასეთ ვითარებას გვთავაზობს:



ასეთი გენეალოგიით გამოდის, რომ „ორიანობის“ ორივე მეფეს — ბაგრატ VI და კონსტანტინე II, რომელთა შორის წლოვანებით 9/10 წელია განსხვავება, ერთი დედა ჰყავთ — გულაშარი (გულშარი). იგი ჯერ თითქოს ალექსანდრე I დიდის ძმის — გიორგის მეუღლეა და, ამდენად, ბაგრატ VI მშობელია, შემდეგ კი დიმიტრი „პროვინციის მეფის“ თანამეცხედრეა, ანუ ამჯერად, უკვე კონსტანტინე II მშობელია. თუ გამართლდება, რომ ისინი მართლაც ერთი დედის შვილები არიან, მაშინ ეს მომენტი მათ შორის თანამეფობასა და „ორიანობას“ ახალ შტრიხებს შემატებს; მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კ. თუმანოვის შეხედულება, თითქოს გიორგის ცოლად ჰყავდა სწორედ ის

დედოფალი (გულაშარი), რომელიც რეალურად დიმიტრი „მეფის“ თანამეცხედრეა, ჯერჯერობით ისტორიული წყაროებით არ დასტურდება. თავად კ. თუმანოვიც ამ საკითხთან დაკავშირებით კითხვის ნიშანს სვამს [403, 127].

მიზანშეწონილად მიგვაჩნია „თანამეფობის“ მექანიზმზე შეჩერება:

„თანამეფობა“ – ორი მეფის შეთანხმებული მმართველობაა, რომელიც მიღწეულია: 1)სამეფო ძალაუფლების საკითხებში, 2)სამფლობელო ტერიტორიებსა და მათ ლოკალიზაციაზე. სწორედ ამაზე თანხმობის შემდეგ, ვახუშტის უკვე მოხსენიებული გამოთქმით, „განათუ მეფენი არა იბრძოდენ“.

თანამეფობა არსებობდა იმ შემთხვევაში, როცა ორივე მეფის არსებობა თანასწორუფლებიანობაზეა დამყარებული; თუმცა დიდი ხნით ასეთი ვითარების შენარჩუნება პრაქტიკულად ძნელი ჩანს. მმართველობის განსახორციელებლად, ანუ ქვეყნის რეალურად მართვისათვის ერთ-ერთის „ზემოჯდომა“ მაინც გარდაუვალი ხდება: მაგ.,1466-1468 წლების ბაგრატ და კონსტანტინე მეფეების პირველი თანამეფობა შესაძლოა იმიტომაც დაირღვა, რომ უკვე განხილული 1468 წ. ჯავახიშვილებისადმი სიგელით, გარკვეული პრიორიტეტული უფლებები, იგივე „ზემოჯდომა“ (ჟამთააღმწერლის ტერმინით) ბაგრატ მეფის ხელში ჩანს. ამ მომენტზე ს. კაკაბაძე სპეციალურად ამახვილებდა ყურადღებას [231, 31].

მეორე საკითხი – ორივე მეფის სამფლობელო ტერიტორიების გადანაწილება და მათი ლოკალიზაცია ჩვენ მიერ სპეციალურად იქნა განხილული [273]; როგორც ირკვევა, კონსტანტინე II ძირითადი მამულები და გავლენა აღმოსავლეთ საქართველოში მტკვრის მარჯვენა სანაპირო მამულებზე აქვს; ქართლის სამხრეთი რეგიონები კონსტანტინეს სამფლობელოში შედის, ამიტომაც უზუნ-ჰასანის წინააღმდეგ აქ ბრძოლას კონსტანტინე ხელმძღვანელობს; მის საგანმგებლო ტერიტორიებშივეა ლორეს „ქვეყანაც“ – როდესაც ბაგრატ VI „დაიპყრა ქართლი კუალადცა“, კონსტანტინე II ვითარების გამოსასწორებლად სწორედ სომხითსა და ლორეს მიმართა [82, 384]. ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ კონსტანტინეს ემორჩილებოდა ქართლის დიდი ნაწილი სომხით-ლორე ბამბაკითურთ [229,

2]. აქედან გამომდინარეა მისი მნიშვნელოვანი გავლენა ამ რეგიონებში მცხოვრებ დიდ ფეოდალებზე: კარგად ჩანს, რომ ბარათაშვილები ბოლომდე მეფის ერთგულნი რჩებიან — როგორც თანამეფობის, ისე „ორიანობის“ პერიოდში; როცა უზუნ-ჰასანმა კონსტანტინე II თავისთან მიიწვია „ყოველი ქვეყანა“-ს მისანიჭებლად, „სხუამან ვერავინ გაბედნა ქართველმან დარბაისელმან წარსვლა თათრებშიგან და ბატონის ხლება, — დიდად ერთგულად და კარგად იყვნენ ბარათას შვილნი. იგინი წარყვნეს თან და მსახურეს“ [76, 342]. 1467წ. ფანასკერტელებისადმი გაცემული სიგელით, მის მფლობელობაშია ძამის ხეობა და ხვედურეთის მხარე, ხოლო ფანასკერტელ-ციციშვილები, ბარათაშვილებისა და ჯავახიშვილების მსგავსად, მისი დასაყრდენი თავადები არიან. როგორც ცნობილია, კონსტანტინე II მამა — დიმიტრი „პროვინციის მეფე“ „წყალს იქითის“, ანუ ქართლის გაღმა მხარის მფლობელი იყო. ეს ტერიტორია სწორედ მტკვრის მარჯვენა სანაპიროა, სადაც ციციშვილთა, ჯავახიშვილთა და სხვ. სათავადოები მდებარეობდა. ბუნებრივია, კონსტანტინეს გახელმწიფების შემდეგ, „ორიანობისა“ თუ თანამეფობის პერიოდში, უპირველესი გავლენა და მფლობელობა თავისი მამის საგანმგებლოში უნდა მოეპოვებინა. როგორც ჩანს, ეს ასეც მოხდა — მხედველობაშია, 1467 წ. სიგელი ფანასკერტელ-ციციშვილებისადმი და 1477 წლის სიგელი ქვათახევისადმი [227, 21]. როგორც ჩანს, კონსტანტინე II გარკვეული გავლენა მთიულეთშიც ჰქონია [82, 387].

ბაგრატ VI ძირითადად მტკვრის ჩრდილოეთით, მის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ქართლის დასავლეთ ნაწილში მფლობელობს; ამაზე კარგად მეტყველებს, ბაგრატ VI გარდაცვალების შემდეგ, ამ რეგიონის დიდებულთა იმერეთის დინასტიის სხვადასხვა მეფისადმი მორჩილების ფაქტი [231, 28-29, 32; 119, 369]. „ორიანობის“ დროს ბაგრატ მეფის დასაყრდენ ძლიერ თავადთაგან პირველ რიგში ზევდგინიძე-ამილახვარნი უნდა დავასახელოთ. ცნობილია, რომ XV საუკუნის II ნახევრის მოღვაწე, გორის მოურავი და ამილახორი ამირინდო ზევდგინიძე ნათესაურ კავშირშია ბაგრატ VI-თან; მას ცოლად ჰყავს მეფის და — გაიანე [186, 571-577; 277]. როგორც ირკვევა, ამ პერიოდში ზევდგინიძე-ამილახვრები ბაგრატ მეფის მომხრე და მისი პოლიტიკის გამტარებელნი არიან; შესაბამისად, მათ

კონფლიქტური ურთიერთობა აქვთ გიორგი VIII სამეფო კართან: ზევდგინიძეთა დარბაზისადმი მოხსენება-საჩივრის მიხედვით, გიორგი მეფეს ზევდგინიძეთა ციხე დაუქცევია, ხოლო საჩივრის ავტორი და მისი ძმა-ამირინდო შეუპყრია [171, 13]; გიორგი მეფე ზევდგინიძეებს ეჭვის თვალით უყურებს და ამას არც თვით დიდებულები უარყოფენ; როგორც ჩანს, მათი მეფისადმი ორგულობა ყველასათვის ცნობილი ფაქტია — 1453/4 წწ-ში გიორგი VIII და ბაგრატ მეფეს შორის ომის მსვლელობისას ზევდგინიძეთა სახლის მეთაურს გიორგი მეფისათვის უორგულია, რისთვისაც იგი დაუსჯიათ და „მკვუიდრი მამული" ჩამოურთმევიათ. განსაკუთრებით ხაზგასმულია ზევდგენიძეთა მოხსენებაში აღნიშნული სამეფო ტახტის უკმაყოფილების მიზეზი: „ესე ყუელა ჩემის რძლის შერთვაზედა წაგვეკიდა" [171,44]; XV საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, ზევდგინიძეებს ბაგრატ VI მხარე უჭირავთ და ამ ურთიერთობას დანათესავებითაც ამყარებენ — ამირინდო ზევდგინიძემ ბაგრატის და — გაიანე შეირთო ცოლად; ბაგრატთან დანათესავება კი სამეფო კარის მიერ ღალატად იქნა მიჩნეული. გიორგი VIII შემდეგ კონსტანტინე II-ც ცდილობს ამილახორთა „გაღარიბებას". ამდენად, თუ ჯავახიშვილები, ბარათაშვილები და ციციშვილები კონსტანტინე II თავადები არიან, ბაგრატ VI პოლიტიკის ყველაზე აქტიურ გამტარებლად, სხვების (ამ სხვებში უნდა ვიგულისხმოთ ის 7 დიდებული, რომლებიც ბაგრატთან ერთად არიან უზუნ-ჰასანთან ზავის დადების საკითხთან დაკავშირებით [139, 78]) გვერდით, ზევდგინიძე-ამილახვრები გამოდიან. სწორედ ამით აიხსნება, რომ როცა 1466 წ. ბაგრატი, გიორგი VIII დატყვევების შემდეგ, ქართლში გადმოვიდა, ზევდგინიძე კონსტანტინე II ძმას — „ბატონ" დავითს ეუბნება: „თუ შენ ბაგრატ მეფის ყმა არ შეიქმნები, მე ჩემსა მამულსა არავინ მამცემს" [171, 43; 281, 167...]. ვფიქრობთ, სწორედ ზემოაღნიშნული ვითარების გათვალისწინება იძლევა საშუალებას სრულად გავხსნათ ამ ფაქტიდან გამომდინარე თითქოს უცნაური სიტუაცია.

ამდენად, გარკვეულად ნათელი ხდება „ორიანობა" — თანამეფობის პერიოდში ორივე მეფის მფლობელობის სურათი თუ ხასიათი; სამფლობელოების განაწილების ფაქტი შესანიშნავად ჩანს ვახუშტის ცნობით: „ვინაჲთგან კოსტანტინეს ეპყრა ტფილისი, მთიულ-

მოკევენი, სომხითი და ლორე, ხოლო ბაგრატს ქართლი და კახნი ერჩნენ ნებასა მისსა"; ვახუშტისეული „ორიანობა"-თანამეფობის (ანუ ბრძოლისაც და თანხმობისაც) ფორმულა ასეთია: „განათუ მეფენი არა იბრძოდენ, არამედ სპანი მარადის" [82, 384]. საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ფუნქციებთან ერთად მამულების გაყოფა-განაწილება მეფეთა შორის წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ხდება და თანამეფობის არსებობის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს წარმოადგენს.

ამდენად, „ორიანობა" არის ერთ-ერთი სახე დინასტიური ბრძოლისა და არსებობს ისეთი ინსტიტუტის გვერდით, როგორიც „პროვინციის მეფეებია". „ორიანობა" წარმოიშობა იმ პერიოდში, როცა მებრძოლი ბატონიშვილები არ უშვებენ ერთ-ერთი მხარის პრიორიტეტს, არ ყაბულდებიან მეორე პოზიციაზე ყოფნას ან „პროვინციის მეფის" მდგომარეობას (თუმცა მაგ.,კონსტანტინე II დიმიტრი „პროვინციის მეფის" შვილია და მოსალოდნელი იყო ისიც ასეთივე როლში გვეხილა) და ერთიანი სამეფო ტახტისაკენ მიისწრაფიან. ასეთ ვითარებაში, გამწვავებული ბატონიშვილობის საკითხი ზოგჯერ თანამეფობის ხანაში გადაიზრდება, რომლის დროსაც, დაპირისპირება-ქიშპი წყდება და მოწინააღმდეგე ბატონიშვილები, ტახტის განუყოფლად, გარკვეული შეთანხმების საფუძველზე, სამეფოს მართვას ახორციელებენ. ეს შეთანხმება — მეფეებს შორის ხელისუფლების განაწილება, კონფლიქტის მხოლოდ დროებითი „მოგვარებაა", ამიტომ იგი „ორიანობასთან" ერთად ხელს უწყობს სამეფო ტახტის დასუსტებასა და სამმართველო აპარატის დაქსაქსვას, რაც ისტორიული პროვინციების განდგომის ტენდენციის გაძლიერებას, ქვეყნის ორად გაყოფას და საბოლოოდ, ერთიანი სამეფოს დაშლის დაჩქარებას იწვევს.

თავი III

საქართველოს სამეფოს დაშლა და ბაგრატიონთა სამეფო სახლი

§1. ევროპის «ფეოდალიზმის კრიზისი» და საქართველო (XIV-XVსაუკუნეები)

XII-XIII საუკუნეების დასავლეთ ევროპაში, როგორც ცნობილია, უმნიშვნელოვანესი მოვლენები განვითარდა: პირველ რიგში, ვგულისხმობთ, ე.წ. „გლეხთა პირადი დამოკიდებულებისაგან გათავისუფლების პროცესს“ [391; 392; 352], როცა ისინი ღებულობენ პირად თავისუფლებას, საგრძნობ უფლებებს მემკვიდრეობასა და ქორწინებაზე, გარკვეულ გარანტიებს ქონების დაცვაზე, საშუალებებს მიმართონ სამეფო სასამართლოს და სხვ. XIII საუკუნეში ევროპის ეკონომიკურად დაწინაურებულ რაიონებში გამოსყიდვამ მასიური ხასიათი მიიღო. გლეხთა გათავისუფლებამ აამაღლა მათი მდგომარეობა და, საერთოდ, საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით, დიდი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები მოიტანა; მიმდინარეობს ბატონყმობის გაუქმება, რაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში თანდათან მთავრდება კიდეც. გლეხს უკვე თავის ნებაზე შეეძლო მიწის გაყიდვა-შესყიდვა, ნაკვეთებად დაყოფა... გათავისუფლების პროცესმა უზრუნველყო გლეხთა ლტოლვა-გადასვლა ქალაქში, რამაც გაზარდა მუშახელი, დააწინაურა ხელოსნობა-ვაჭრობის საქმე და სხვ. ყოველივემ ქალაქების [355, 509...] განვითარება გამოიწვია, მათი თვითმმართველობაც წარმოშვა და, საბოლოოდ, პოლიტიკურ სფეროში უმნიშვნელოვანესი ცვლილებები განაპირობა. მხედველობაშია წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოების (პარლამენტი, გენერალური შტატები...) წარმოქმნა, რაც ახალი, მნიშვნელოვანი ეტაპია საზოგადოების განვითარების ისტორიაში. მართალია, პარალელურად, ევროპისათვის ეს არის ასწლიანი ომის, შავი ჭირის, სახალხო აჯანყებების, ფეოდალური ანარქიისა და პოლიტიკური კრიზისის ხანი, რაც, მაგალითად, საფრანგეთში იწვევს მოსახლეობის შემცირებას, ქალაქების დროებით გაღატაკებას და სხვ., მაგრამ მთავარი ისაა, რომ დასავლეთ ევროპის ეს საზოგადოებები,

სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, განვითარების აღმავალ ხაზს ადგენენ, პოლიტიკური მოწყობა ეპოქის შესაბამისია, გრძელდება სხვა პროგრესული პროცესებიც (ბატონყმობის გაუქმება...); ამიტომაც, საგარეო ფაქტორმა ამ ქვეყნების განვითარების სტაგნაცია ვერ განაპირობა — მიუხედავად იმისა, რომ საგარეო ვითარება ანელებს განვითარების ტემპებს, აღნიშნული „აღმავალი ხაზი" მაინც უზრუნველყოფს პროგრესულ პროცესებს, წოდებრივ-წარმომადგენლობით ორგანოთა ფუნქციონირებას, საშუალებას იძლევა ბატონყმური კარჩაკეტილობიდან გამოსვლისათვის — მაგ., იგივე საფრანგეთმა ასწლიან ომში გარდატეხის შემდეგ თავისი პოტენციალი სწრაფად გამოავლინა, სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურები აღადგინა და კვლავ განვითარების გზას დაადგა [364, 116]. ამიტომაც არის, რომ საქართველოსაგან განსხვავებით საგარეო ფაქტორი არ გახდა დასავლეთის საზოგადოებების სტაგნაციის მიზეზი.

XIV-XV საუკუნეებში განვითარებული პროცესების შედეგად დასავლეთი ე.წ. „ფეოდალიზმის საყოველთაო კრიზისისაკენ" მიდის. მის აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინს იყენებენ. დასავლურ ისტორიოგრაფიაში ხმარებაშია — „ქრისტიანული სამყაროს კრიზისი," რომელიც ჟაკ ლე გოფთან ფიქსირდება [398; 399; 393; 382]; საქართველოსა და დასავლეთში მიმდინარე პროცესებში არსებული განსხვავების გასარკვევად ეს საკითხი მნიშვნელოვანია, ამიტომ XIV-XV საუკუნეების „კრიზისზე" შეჩერება მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

XIV საუკუნეში ქრისტიანულ სახელმწიფოთა უშუალოდ საკუთარი საზღვრები ცვალებადობას განიცდის, თუმცა ზოგადად ქრისტიანული სამყაროსათვის, როგორც ერთობლიობისათვის, ამ მხრივ სტაბილიზაცია ხდება. ქრისტიანული სამყარო, აღნიშნულ პერიოდში, საზღვრების თვალსაზრისით, მაქსიმუმს აღწევს — „შუა საუკუნეების ექსპანსია მთავრდება"; როცა პროცესი განახლდა (XIV საუკუნის ბოლო), იგი უკვე განსხვავებულ ხასიათს ატარებდა [358, 103]. ერთი მხრივ, „ქრისტიანული სამყაროს კრიზისი", საზღვრების ზრდის შეჩერების პარალელურად, ეკონომიკური განვითარების შეფერხებაში, ახალი მიწების ათვისების შეწყვეტასა და სოფლების დაცარიელებაში გამოიხატა — ჩნდება „Wüstungen", ანუ გაუდაბურებული ადგილი („ნამოსახლარი"), რაც გარკვეულად მსგავსი ჩანს ქართულ ისტორი-

ულ-გეოგრაფიაში მიღებული ტერმიისა — „ვერანა“, „ვერანაები“. სახეზეა მონეტის დევალვაცია, იტალიური ბანკები ბაკროტები ხდებიან, ადგილი აქვს დემოგრაფიულ კლებას, დიდი ტაძრების მშენებლობა აღარ მიმდინარეოს; 1248 წელს ბოვეს ტაძრის სვეტები, რომელიც 48 მეტრზე იყო აღმართული, ჩაინგრა — ჟაკ ლე გოფის ფიგურალური გამოთქმით: „Готические мечты никогда уже выше не взбирались“ [358, 104].

ყოველივე ზემოაღნიშნული, ფეოდალური ძალაუფლების საფუძვლების დასუსტებასა და მისი სტრუქტურული მსხვრევის პროცესს აჩქარებს. ამიტომ, „ფეოდალიზმის კრიზისს“ მეორე მნიშვნელოვანი მხარეც აქვს: კრიტიკული მოვლენები სხვადასხვა სფეროში არ განაპირობებენ მთელი დასავლური ეკონომიკის დაცემას და მომავალში ხელსაც უწყობენ საზოგადოებრივ წინსვლას: „Если в какой-то географической или экономической области он дал о себе знать, то рядом наблюдался новый подъем, который шел на смену и компенсировал убытки в соседней области“ (358, 105). როგორც ცნობილია, ასეთი დინამიკა საქართველოში ვერ განვითარდა და ქვევით ვნახავთ, რომ იგი არც შეიძლება არსებულიყო.

გაბატონებულ ფეოდალთა სხვადასხვა ფენა მდგომარეობის შესაცვლელად განსხვავებულ გზებს იყენებს, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთი ერგება ახალ პირობებს (მხოლოდ ნიჭიერნი და ძლიერნი ახერხებენ მოგების მიღებას); ვითარების შესამსუბუქებლად ომის საშუალებასაც მიმართეს — „... война ускорила ход событий и на мертвых телах и руинах разродилась новой экономикой и обществом...“ [358, 105]. ძველი ურთიერთობების რღვევისა და ახლის ჩამოყალიბების გზაზე, XIV-XV საუკუნეების „ფეოდალიზმის კრიზისმა“, აღორძინებისა და „ახალი ხანის“ წარმოშობა განაპირობა („для многих более счастливое, нежели удушливое Феодальное общество“ [358, 105]).

რუსული (მაშინ საბჭოთა) ისტორიოგრაფია (ე. კოსმინსკი, მ. ბარგი, ა. ჩისტოზვონოვი, ი. ბესმერტნი) [368, 349] უარყოფს „ფეოდალიზმის საერთო კრიზისის“ არსებობას, თუმცა დასახელებული ისტორიკოსები თავად აღნიშნავენ, რომ XIV-XV საუკუნეები ფეოდალიზმის განვითარების „დაღმავალი ფაზაა“ — „На этом по-

зднем этапе феодализм приближался к закату“ [382, 331]; უწოდებენ ფეოდალური წარმოების წესის კრიზისს, წყალგამყოფს მის სხვადასხვა ეტაპებს შორის. თვალშისაცემია, რომ ეპოქის დახასიათებისას, ორივე მხარე (დასავლური და რუსული) ძირითადად ერთსა და იმავე ნიშნებს ასახელებს, მოვლენებსაც ხშირად ერთნაირად აფასებს; მიზეზი კამათისა, როგორც ჩანს, თვითონ ტერმინი „კრიზისის“ სხვადასხვაგვარი გაგება გახდა — იგი არ უნდა იქნეს განხილული პირდაპირი მნიშვნელობით; „ფეოდალიზმის კრიზისში“ იგულისხმება XIV-XV საუკუნეებში ევროპის არა დაქვეითება, დეპრესია-სტაგნაცია, არამედ ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გარდამავალი საზოგადოების შიგნით ძველი სტრუქტურების მსხვრევის პროცესი, რაც თანდათანობით მომავალში ხარისხობრივ ცვლილებას განაპირობებს და „ახალ ხანას“ წარმოშობს. მართლაც, თუ XIV-XV საუკუნეები ფეოდალიზმის „დაისია“, ამდენად, იგი „ფეოდალიზმის კრიზისიცაა“ (დავის ასეთი მაგალითია ე. გუტნოვასა და რ. ჰილტონის მოსაზრებები) [357].

დაღმავლობა მხოლოდ გარკვეული პერიოდისათვის არის დამახასიათებელი, იგი შემდეგ აღმავლობის „ციკლით“ იცვლება — აღმავლობისა და დაღმავლობის ციკლთა ცვალებადობა არ ნიშნავს წრეზე მოძრაობას, მათი ყოველი ახალი ცვლილება ასუსტებს ფეოდალური სისტემის სიმტკიცეს და, საბოლოო ჯამში, კაპიტალიზმის გენეზისს უწყობს ხელს [382; 401; 402]. რადგან შედეგი ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევაა, ამდენად, XIV-XV საუკუნეებში ამ კუთხით სწორედ რომ ფეოდალური სისტემის კრიზისია — XIV-XV საუკუნეების „ქრისტიანული სამყაროს კრიზისი“ (მას „ფეოდალიზმის პირველ კრიზისსაც“ უწოდებენ) ფეოდალიზმის დაღუპვას მოასწავებდა, რომელსაც „გრძელი XVI საუკუნე“ (ფ. ბროდელი) მოჰყვა და კულმინაციას XVII საუკუნეში [354, 58] „ფეოდალიზმის საყოველთაო კრიზისის“ („général crisis“) სახით მიაღწია. ამდენად, დასავლეთი ამგვარად განვითარებული პროცესების შედეგად თავს აღწევს „ჩიხს“ და „ახალი ხანისაკენ“ იკაფავს გზას.

XII-XIII საუკუნეების მიჯნის თამარის საქართველო თავისი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარებით მომზადებულია იმ პროცესებისათვის, რაც დასავლეთ ევროპაში თანდათანობით ვითარდება. ამ პერიოდის ქართულ სახელმწიფოში საზოგადოების სრული ფეო-

დალიზაცია სახეზეა, ქვეყანა დიდი ფეოდალური სენიორიებითაა მოფენილი, სადაც ბატონყმობამ თავისი პროგრესული როლი უკვე შეასრულა. საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარება ე.წ. „გლეხთა გათავისუფლების", ქალაქების როლის დაწინაურებისა და წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის წარმოქმნის გზით უნდა წასულიყო, რაც მომავალში ბატონყმობისა და ნატურალური მეურნეობის გაუქმებას მოიტანდა. თამარის მეფობის ხანაში ასეთი პოტენციალი არსებობს და, როგორც აღვნიშნეთ, ამის შესაბამისი კუთხით ცდასაც აქვს ადგილი: ყუთლუ-არსლანის „კარავი" და მისი პროგრამა წოდებრივ-წარმომადგელობითი ორგანოს შექმნას ითვალისწინებდა; სამეფო ტახტმა „კარავი" არ დაუშვა, სამაგიეროდ, „კარავისელთა" მიმართ კომპრომისზე წავიდა და მათი გარკვეული მოთხოვნილებები დააკმაყოფილა. ამდენად, შესაბამისი კანონზომიერებანი დაირღვა და შედეგიც ასეთივე აღმოჩნდა: დიდებულთა „გაკელმწიფების" ტენდენცია ძლიერდება, სამეფო ტახტის დასაყრდენი ძალები თანდათან სუსტდება, ვაჭრობა არ ვითარდება, ფეოდალური სეპარატიზმის მძლავრობის გამო, ქალაქი ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენი ვერ ხდება, ქალაქების თვითმმართველობაც არ ყალიბდება, იგი ფეოდალებს ეთმობათ, რაც რეაქციაა და ცუდ პერსპექტივას შეიცავს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თამარის დროინდელი პოლიტიკური ბრძოლა და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება ისე შეიძლება განვითარებულიყო, რომ თავიდან აგვეცილებინა XIII-XIV საუკუნეების ურთულესი კრიზისი. როგორც ჩანს, თამარის ძის — ლაშა-გიორგის ბრძოლაც ამისაკენ იყო მიმართული. საგარეო ფაქტორის ზეშეფასებას არ ვახდენთ, მაგრამ მისი პერმანენტულობის გამო იგი ამ მწვავე ვითარების ჩამოყალიბების კატალიზატორად იქცა. ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესები ჯერ კიდევ განვითარების სტადიაში იმყოფებოდა და ამიტომაც, დაუმთავრებელი იყო. სწორედ ამ დროს გამწვავდა საგარეო ფაქტორი, რომელმაც რეაქციულ პერსპექტივას მისცა გამოვლენის შესაძლებლობა. ყოველივემ, ქართული საზოგადოება „ჩიხის" მდგომარეობამდე მიიყვანა.

ტერმინი „ჩიხი" ნ. ბერძენიშვილის შემოღებულია; მის მიერ ჩამოყალიბებულ ზოგიერთ დებულებას, „ჩიხთან" დაკავშირებით, დღევანდელი პოზიციებიდან შეიძლება ვერ დავეთანხმოთ, მაგრამ აღნიშნული

პერიოდის – XIV-XV საუკუნეების (თუნდაც ბაგრატიონთა სამეფო სახლის ისტორიის კუთხით) განხილვისას, მიზანშეწონილად გვეჩვენა „ჩიხის“, როგორც ტერმინის, გამოყენება.

ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით, „ჩიხი“ არის „შეუსაბამო ურთიერთობა“, როცა ქვეყანაში „თავადურბატონყმური სისტემა სუფევდა“ [182, 240; 179, 177]. რა თქმა უნდა, „ჩიხის“ თეორიაში მიუღებელია დასკვნა, რომ XIII საუკუნის დამდეგიდან საქართველოს განვითარება მხოლოდ ფეოდალური ურთიერთობის რღვევისა და ახალი – ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვა-წარმოქმნის გზით შეიძლებოდა წასულიყო (ბუნებრივია, იგი ჯერ კიდევ საკმაოდ ნაადრევია); რადგან ეს არ მოხდა, ნ. ბერძენიშვილის შეხედულებით, ზრდასრული (?) ქართული ფეოდალური საზოგადოება დაიჩიხა და განვითარებისათვის საჭირო პირობები მეტისმეტად შეეზღუდა – „XI-XII საუკუნის საქართველო ესაა ბატონყმობის გამარჯვების ხანა, წინაბურჟუაზიული გაერთიანებისათვის ბრძოლის ხანა, რომ XII საუკუნის საქართველო ვერ ამაღლდა წინაბურჟუაზიული გაერთიანების საბოლოო გამარჯვებამდე“ [182, 207-208].

მეორე მხრივ, „ჩიხი“ მართლაც არის „პროგრესის შეფერხება, ფეოდალური რეაქციის გამარჯვება“ [19, 283]; „ქვეყნის წინსვლა დაეხუთა ხანმოთეულ ბატონყმობას“ და ამ ყავლგასულ ბატონყმურ ურთიერთობაში მყოფ საზოგადოებას გარეშე და შინაური „მუმლი გარს ეხვეოდა“; აქედან გამომდინარე, „ქვეყანა ჩიხშია მოქცეული, მას წინსვლა არ ეტყობა, პროგრესის შემოქმედება, ახლის შენება არსადაა“...[180, 284]. „ჩიხი“ დასრულებულ სახეს XV საუკუნეში იღებს – „თითქოს რაღაც დასრულდა საქართველოს ცხოვრებაში, თითქოს რაღაც გაწყდა, ცხოვრების წინსვლა შეფერხდა და წარსული სანატრელი გახდა... ამის მოწმობაა ქვეყნის სახელმწიფო მესაჭეთა პოლიტიკური მოღვაწეობაც. „რომანტიკოსები“ არიან XIV-XV საუკუნეთა ყველაზე დიდი პოლიტიკური მოღვაწენი გიორგი ბრწყინვალე და ალექსანდრე I. მათი პოლიტიკური იდეალი „თამარის ხანის“ რესტავრაციაა“... [176, 320]. ბატონყმობის დაჩიხულობის პირობებში სათავადოთა სისტემა ყალიბდება, რამაც შერყეული ცენტრალიზაცია კიდევ უფრო შეასუსტა; გაუქმების მაგივრად ბატონყმობამ მახინჯი სახე მიიღო – გახანგრძლივდა და სწორედ ესაა ე.წ. „ჩიხი“. შემდგომი

წინსვლისათვის ქვეყანაში „ბატონყმობის კრიზისი“ [182, 188] უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ურთულესი საშინაო და საგარეო ვითარების გადაჯაჭვის გამო ქართულ საზოგადოებას ეს არ დასცალდა. „ბატონ-ყმობიდან გამოსავალი არა ჩანს: იქმნება ჩიხი“, — აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი [182, 188]; „ჩიხმა“ დაშლა განაპირობა — „და ერთიანი საქართველო მწარე მოგონების საგანი გახდა“ [182, 181;] „ჯანსაღსა და მოზარდ საზოგადოებას სარომანტიკოსო და ისიც წარსულისაკენ პირისმისაქცევი რა უნდა ჰქონოდა“ [176, 321]. ბაგრატიონთა სამეფო სახლი ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდა, „ჩიხიდან“ გამომდინარე პროცესების შეჩერება მან ვეღარ შეძლო — „დიმიტრი თავდადებული უსასო თავწაგებულია და არა გმირი შემოქმედი, სა-დუნ-სუმბატ-ეგარსლანების ჟამია, ჯიქურები იღუპებიან...“ [176, 321]. ცენტრი და სამეფო ტახტი თავის ფუნქციას ვეღარ ასრულებს, მეფეს საყრდენი ფენა აღარ ჰყავს, ახალი კი არ ჩანს — შედეგად მივიღეთ „ხალხშემოცლილი და ფუნქციაგამოლეული მეფე“ [180, 285]; „მეფე თითქოს მარტოა, ორიოდ ერთგული შერჩენია“ [183, 252] — სწორედ ესაა ე.წ. „უმიწაწყლო მეფის“ [183, 195] საკითხი, რომელიც ამ დროს განსაკუთრებით მწვავდება, უკვე „თავად მთავრების ამინდია და ასე დარჩება, ვიდრე ქვეყანა „ჩიხშია“ მოქცეული“ [180, 285]. ნ. ბერძენიშვილისეული ფიგურალური გამოთქმით, „და ვიდრე ქვეყანა ჩიხშია, გმირი კახაბერი „ორმოშია“ [180, 285]; „ჩიხში“ და „ორმო-ში“ მყოფი საზოგადოება ახალს — პროგრესულს ვეღარ შობს, ამიტ-ომაც „ახალი ხანა“ არ ჩანს.

საგარეო ფაქტორის ზეგავლენის ძალა ბევრადაა დამოკიდებული საზოგადოების შინაგანი განვითარების თავისებურებაზე, საქართველო-ში შექმნილმა ვითარებამ მას საშუალება მისცა მთელი ხარისხით გამოევლინა თავისი ზემოქმედების ძალა. სამეფო ტახტის დასუსტები-სა და სახელმწიფო აპარატის მოშლის ფაქტი აშკარაა. მეფემ „ვერ სცვალნის“ თავისი ერისთავნი, მისი სოციალური დასაყრდენი ფენა თანდათანობით ქრება, ქალაქები თავის პროგრესულ როლს ვეღარ ასრულებს, შინაგანი ერთიანი ბაზრის წარმოსაქმნელად საჭირო ეკონომიკური პირობები ვერ იქმნება, ვაჭართა ფენის დაწინაურება არ მოხერხდა (თავისუფალი ვაჭრობით დაინტერესებული ვაჭართა ფენა ხომ საფეოდალოების საზღვრების მოშლას და ქალაქების განვითარე-

ბას უწყობს ხელს. ამ პერიოდის საფრანგეთის სოფელშიც ძლიერია ნატურალური მეურნეობა, რაც ქვეყნის ცალკეულ ნაწილებს შორის სუსტ კავშირებს განაპირობებს, მაგრამ ქალაქში ფულადი მეურნეობის წინსვლა, ვაჭართა დაწინაურება-გაძლირება და მეფის ხელისუფლების ქალაქებზე დაყრდნობა, საქართველოსაგან განსხვავებით, ფრანგული საზოგადოების აღმავლობას განაპირობებს). საქართველოში გლეხთა გათავისუფლების ვერ განვითარებამ სენიორიების „მეორე გამოცემას" შეუწყო ხელი, რაც სათავადოების სახით ჩამოყალიბდა — სათავადო თავისი სამმართველო აპარატით უფრო ახერხებს მწარმოებლის უფლებრივ დამოკიდებულებაში შენარჩუნებას; გლეხის ყმობიდან გათავისუფლებისათვის მთელი სათავადოს წევრთა თანხმობა იყო საჭირო.

სახეზეა სოციალური და ეკონომიკური სფეროების რეგრესი — ბატონყმობა გახანგრძლივდა: მეურნეობის კარჩაკეტილობის შედეგად ერთიანი ეკონომიკური კავშირები დაირღვა, ნატურალური მეურნეობის პირობებში ფულად-სასაქონლო ურთიერთობა არ ჩანს, ვერ ვითარდება საფინანსო საქმე — ფინანსები კი, რიშელიეს ტერმინით, „სახელმწიფოს ნერვებს" წარმოადგენს; მიმზიდველობადაკარგული სამეფო ცენტრი წინააღმდეგობას ვეღარ უწევს სახელმწიფოებად დაშლის ტენდენციას — ყოველივეს, საქართველოს სახელმწიფოს განვითარებაში, სტაგნაცია მოჰყვა, ქვეყნის წინსვლა „ჩიხში" მოექცა, ანუ შეფერხდა და დაღმავალი გზით წარიმართა. „ჩიხი" ე.წ. ბატონყმობის „მეორე გამოცემის" მსგავსი მოვლენაა. XIV–XV საუკუნეების „ჩიხი" თავისი შინაარსით საპირისპირო ხასიათის ვითარებაა XIV–XV საუკუნეების დასავლეთ ევროპის კრიზისთან შედარებით.

„ჩიხი" გახანგრძლივებულ კარჩაკეტილ ბატონყმურ ურთიერთობაში ჩამოყალიბებული სოციალ-პოლიტიკური ვითარებაა. აკად. ნ. ბერძენიშვილის ლაკონიური განსაზღვრით, „ჩიხი" არის ქვეყნის განვითარებაში „საშინაო და საგარეო ურთიერთობათა ნიადაგზე წარმოქმნილი სტაგნაცია" [182, 181]. სამეფო ტახტი გამწვავებულ სოციალურ ურთიერთობებსა და სხვა პროცესებს კონტროლს ვეღარ უწევს; რადგან ქვეყნის განვითარებაში შეფერხება მოხდა, საბოლოოდ, იგი დაღმავალი ხაზით შეიცვალა. ბატონყმობის გაუქმებისა და გლეხთა გათავისუფლების პროცესის მაგივრად, საქართველოში ბატონყმობა გახან-

გრძლივდა და დამძიმდა — პროგრესული ძალების დამარცხების პირობებში ნატურალური მეურნეობის ბატონობა იძენს ერთგვარ უძრავ ხასიათს, თანდათან ყალიბდება ვითარება, რასაც ისტორიოგრაფიაში „ხელმეორე დაყმევება“ (ე.წ. „ბატონყმობის მეორე გამოცემა“) ეწოდა.

დასავლური ისტორიოგრაფია ევროპის ტერიტორიაზე ხელმეორე დაყმევების პროცესის განვითარებას ძირითადად XVI საუკუნით ათარიღებს, სადაც ელბის აღმოსავლეთით დიდ რეგიონზე (ბალტიიდან შავ ზღვამდე, ბალკანებზე, ნეაპოლის სამეფოში, სიცილიაზე, მოსკოვის სახელმწიფოში, ჩეხეთში, უნგრეთში, პოლონეთსა და ცენტრალურ ევროპაში იმ ხაზამდე, რომელიც გადაჭიმული იყო დაახლოებით ჰამბურგიდან ვენისა და ვენეციისაკენ) „ხელმეორე დაყმევება“ ხდება [356, 259...]. აღმოსავლეთ ევროპას ნედლეულის მწარმოებლის როლი (პურის ექსპორტი და სხვა...) „დაევალა“. ასევე მოხდა „ოსტელბის“ (ანუ აღმოსავლეთ ელბის პირა) გერმანიაში, სადაც განსაკუთრებით გლეხთა ომის შემდეგ ადგილი აქვს „ბატონყმობის მეორე გამოცემას“ [366, 76]. საერთოდ, გერმანიასთან დაკავშირებით საინტერესოდ გვეჩვენება სამეფო ხელისუფლების ევოლუციის საკითხი გერმანიაში შტაუფენების იმპერიული პოლიტიკიდან ტერიტორიალური მთავრების პოლიტიკამდე, კერძოდ, ვორმსის კონკორდატიდან (1122წ.) ტახტისათვის ბრძოლამდე (1314 წლამდე) [387]: საქმე იქამდე მივიდა, რომ სამეფო ტახტის მფლობელობის წესში მემკვიდრეობით გადაცემის პრინციპს თანდათან აძევებს არჩევითობის პრინციპი (იგი იმარჯვებს XIII საუკუნის II ნახევარსა და XIV საუკუნის დასაწყისში, რაც ხელს უწყობს გერმანიის დაქუცმაცებას); ასევე საინტერესოა, XIII საუკუნის 50-70-იანი წლების გერმანიის ვითარება, რომელიც საქართველოს „მრავალმეფიანობას“ (1298-1318 წწ.) ემსგავსება [362, 382].

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, იმავე გერმანიაში ბრძოლა სამეფო ხელისუფლებასა და მთავრებს შორის ეკონომიკური აღმავლობის, ქალაქების სოციალ-პოლიტიკური მნიშვნელობის ზრდისა და სხვა მსგავსი მოვლენების ვითარებაში მიმდინარეობს. მართალია, გერმანიის არათანაბარი განვითარების გამო, ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნა ვერ მოხერხდა, მაგრამ, სამაგიეროდ, თვითონ ცალკეულ სამთავროებში მთავართა მმართველობა გაძლიერდა, რაც მათში აბსო-

ლუტიზმის წარმოშობას უწყობს ხელს (მანამდე მთავრები შეზღუდულნი იყვნენ წოდებრივი ორგანო—ლანდტაგით, ხოლო გერმანიის იმპერატორი—რაიხსტაგით). მიუხედავად ერთიანი ძლიერი ცენტრის ვერ შექმნისა და დაქუცმაცებულობისა (საქართველოს მსგავსად), სამთავროებში განვითარების აღმავალი ხაზის გამო, გერმანია, საერთო ჯამში, ასცდა იმ ანომალიას, რასაც „ჩიხს“ ვუწოდებთ (რაც საქართველოში ვერ მოხერხდა).

საბოლოოდ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ე.წ. „ხელმეორე დაყმევება“ გადაილახა — დასავლეთ ევროპასთან მათმა უშუალო მეზობლობამ და იქიდან მომდინარე ძლიერმა იმპულსებმა, ეს საზოგადოებები კვლავ აღმავლობის გზაზე დააყენა, იმავე „ოსტელბის“ ტერიტორია ხომ ევროპის ერთიანი სისტემის [356, 264] შემადგენელი ნაწილი იყო, რომლის გარკვეულ რეგიონებში კაპიტალიზმი სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს. ამ სისტემაში არსებული ურთიერთკავშირი საბოლოოდ ერთიანი ევროპის განვითარებას განაპირობებს (ზევით უკვე მოვიყვანეთ ამ საკითხთან დაკავშირებული ჟაკ ლე გოფის საინტერესო მოსაზრება). დასავლური საზოგადოებები ახერხებენ ამ პროცესში ყველა ახალი დაღმავლობისა თუ შინაგანი კრიზისის გადალახვას — ეს იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ საზოგადოების შიგნით არსებული სტრუქტურები კანონზომიერად ვითარდება და მას საგარეო ფაქტორი ხელს არ უშლის. როცა ეს მომენტები უარყოფითი მხრიდან ერთმანეთს ეხლართება, მაშინ ასეთი საზოგადოება კრიზისიდან აღმავლობის მაგივრად „ჩიხში“ ექცევა — სწორედ ეს მოხდა საქართველოში დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით. ცნობილია, რომ ძალზე სპეციფიკური იყო იტალიის განვითარება, სადაც, გარკვეული პერიოდიდან, დასავლეთ ევროპის სხვა დაწინაურებულ სახელმწიფოებთან შედარებით, შენელება შეიმჩნევა: თუ XVI-XVII საუკუნეების ქართულ სამეფო-სამთავროებში „დაჩიხულობაა“ და, შესაბამისად, პოლიტიკური დაშლილობაც გრძელდება, XVII საუკუნის იტალიაში დაცემა-შეფერხება თავიდან იქნა აცილებული – ყველაფერი პროგრესული თუ ახალი შენარჩუნდა და გადარჩა, მათ შორის წარმოების მანუფაქტურული ორგანიზაცია, გრძელდება მსხვილი ინვესტიციები ვაჭრობაში და ა.შ. ამდენად, XVII საუკუნე იტალიისათვის არ არის წარსულისაკენ მი-

ბრუნება [370, 8], ანუ „ჩიხის“ გარღვევა აქაც მოხერხდა.

საქართველო XV საუკუნის II ნახევრიდან და განსაკუთრებით, XVI საუკუნიდან მოწყვეტილი აღმოჩნდა მსოფლიო პოლიტიკის ცენტრებსა და უმნიშვნელოვანეს სავაჭრო გზებს: XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში საქართველო იბრძვის და გარკვეულად აღწევს აღმოსავლეთ-დასავლეთსა თუ ლევანტისაკენ მიმავალ სავაჭრო-საქარავნო გზაზე კონტროლს და გარკვეულ მონაკვეთზე ბატონობას; საქართველო მსოფლიო პოლიტიკისა და ეკონომიკის ცენტრშია და მოქმედებს როგორც მისი სრულუფლებიანი წევრი. ამ დროს მსოფლიო მართლმადიდებლური ცივილიზაციის ერთ-ერთი ცენტრი — ბიზანტია და სავაჭრო გეოგრაფიულ-სოციალური ერთიანობა — ხმელთაშუაზღვისპირეთი საქართველოს მეზობლად და მის ახლოს მდებარეობს. პერმანენტული შემოსევების (მონღოლები, თემურ-ლენგი...) შემდეგ საქართველო თანდათან კარგავს გავლენასა თუ კონტროლს ამ სავაჭრო-სატრანზიტო გზებზე. იგი სულ უფრო ჩამოცილებული აღმოჩნდა მსოფლიო პილიტიკისა და ეკონომიკის ცენტრს: ბიზანტიისა ღ. ტრაპიზონის იმპერიათა დაცემას მაჰმადიანური ოსმალეთის გამეზობლება მოჰყვა; თურქეთი აღმავლობის გზაზე მდგომ დასავლეთ ევროპასა და ლევანტს შორის ჩადგა. ამ დროს მსოფლიო ეკონომიკის ცენტრს ხმელთაშუაზღვისპირეთი წარმოადგენს [394], რომლისგანაც საქართველო მოწყვეტილია, მით უმეტეს, როცა თურქებმა შავი ზღვა „ოსმალეთის ტბად“ აქციეს; სამხრეთ-აღმოსავლეთით შავბატკნიან და თეთრბატკნიან თურქმანთა ტომები ბატონდებიან. საქართველო თავის საერთაშორისო როლს ვეღარ ასრულებს — შავი ზღვის დაკარგვამ, ამერიკის აღმოჩენამ და ინდოეთისაკენ აფრიკის შემოვლით საზღვაო გზის გაჩენამ მნიშვნელობა დაუკარგა ევროპიდან ინდოეთისაკენ ამიერკავკასიაზე გამავალ გზას; შესაბამისად, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება საქართველოს ხმელთაშუაზღვისპირეთთან უკვე აღარ შეუძლია.

ეკონომიკური ცენტრი და მსოფლიო პოლიტიკის ინტერესები სულ უფრო და უფრო სცილდება საქართველოს საზღვრებს: საქართველოსთან შედარებით ახლოს მდებარე ხმელთაშუაზღვისპირეთის სამყარო დროთა განმავლობაში თავის როლს კარგავს — „Упадок Средиземноморья — это не что иное, как превращение европейской эконо-

мики из Средиземноморской в атлантическую“ [380, 249].[1] თავიდან ატლანტიკის ოკეანისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის სამყარო თანაარსებობდნენ, ხან როგორც მოკავშირეები და ხანაც მტრები; 1580 წელს ფილიპე II თავისი საგარეო პოლიტიკის პერეორიენტაცია ატლანტიკის ოკეანეზე მოახდინა, რასაც XVII საუკუნეში ხმელთაშუაზღვისპირეთის როლის დაცემა მოჰყვა – ასეთი ტეხილის პერიოდია, ფ. ბროდელის ტერმინით, „გრძელი XVI საუკუნე“: „XVI век – это последнее великое столетие Средиземноморья как центра европейской цивилизации, это столетие интенсивного процветания“. ცენტრის ოკეანეზე გადანაცვლებამ იგი კიდევ უფრო დააცილა საქართველოს – ქრიატიანული ქვეყანა მუსლიმურ გარემოცვაში აღმოჩნდა; ინგლისის სავაჭრო კომპანიის აგენტი და დიპლომატი ჯერომ გორსეი ხაზს უსვამს ადგილმდებარეობიდან გამომდინარე საქართველოს საერთაშორისო გართულებებს: თურქები „также угрожали завоеванием независимому Грузинскому княжеству по причине его местоположения: христиане, жившие там, были со всех сторон окружены магометанскими и языческими странами“ [150, 105]; პარალელურად, კავკასიის მთიანეთის ხალხებში სულ უფრო იკიდებს ფეხს ისლამი, ამან საქართველოს ჩრდილოეთიდან მთაც დაუპირისპირა. საბოლოოდ, აღმოსავლეთში საქართველო დარჩა ერთ პატარა კუნძულად დიდ მაჰმადიანურ ზღვაში – ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით, XVI საუკუნიდან „საქართველო ასეთი უმეზობლო... ასე მტრებშემოცვული არასოდეს ყოფილა“ [172, 47]. ამდენად, საქართველო ევროპის ერთიანი სისტემის წევრი ვერ გახდა, შესაბამისად, არც ის იმპულსები იშვა, რომელიც ქვეყანას „ჩიხიდან“ გამოიყვანდა.

XIV-XV საუკუნეების „ქრისტიანული სამყაროს კრიზისი“ (თუ „ფეოდალიზმის კრიზისი“) თანდათან ანგრევს ევროპის ძველ ეკონომიკურ, სოციალ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ სტრუქტურებს, იწვევს აღორძინებასა და „ახალ ხანას“; აღმავალი ციკლები, რომლებიც ამ პერიოდში არსებობენ, არა ფეოდალიზმის განვითარებას, არამედ მის „შემოდგომას“ აახლოებენ – მიმდინარეობს კანონზომიერი პროგრე-

[1] ვრცლად იხ. Ф. Бродель. Средиземное море и средиземноморский мир в эпоху Филиппа II, ч. 1, М., 2002; ч. II, М., 2003.

სული პროცესი და ამიტომ, მალე კაპიტალიზმიც ყალიბდება. ამდენად, ასეთმა „კრიზისმა“ თვისებრივად ახალი ეტაპისათვის მოამზადა ნიადაგი — ე.წ. „ფეოდალიზმის კრიზისი“ (XIV-XV საუკუნეები) „შუა საუკუნეების შემოდგომაა“ (ვსარგებლობთ ი. ჰაიზინგას [389] ტერმინით), საფუძველია პროგრესისა — „ახალი ხანისა“. „ჩიხი“ აღნიშნულის საპირისპირო მოვლენაა, ამიტომ საქართველო ასცდა განვითარების იმ გზას, რასაც დასავლეთი დაადგა.

კარჩაკეტილი „ჩიხიდან“ საქართველოს გამოსავალი მხოლოდ ხანგრძლივ მშვიდობიანობაში არსებობდა, რისი საშუალებაც ქვეყანას, მუდმივი შემოსევებისა და აღმოსავლური იმპერიების მოწოლის შედეგად, არ მიეცა, ამან ქართული სახელმწიფო კანონზომიერი განვითარების გზას ააცდინა, აღმავალი ხაზი დაღმავალმა ხაზმა შეცვალა; მოხდა რეაქციული პერსპექტივების გამოვლენა, რამაც „ჩიხიდან“ ერთადერთ გზად, XV საუკუნის ბოლოს, ერთიანი სამეფოს დაშლა აქცია. თუ XIV-XV საუკუნეების საქართველოში „ჩიხია“, დასავლეთ ევროპაში, ამავე პერიოდში, ე.წ. „ფეოდალიზმის კრიზისია“, რასაც მოჰყვა ე.წ. „ახალი ხანა“, რენესანსული აზროვნება, რეფორმაცია, ხოლო პოლიტიკურ სფეროში — აბსოლუტური მონარქია; ეს უკანასკნელი ფეოდალიზმის შლისა და კაპიტალისტურ ურთიერთობათა ზრდის პირობებში იქმნება — ფეოდალთა ფენას თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად კარდინალური ნაბიჯების გადადგმა უხდება და ძალაუფლების განმტკიცებას მეფისათვის შეუზღუდავი ხელისუფლების მინიჭების გზით ცდილობს. ყალიბდება მმართველობის ფორმა, სადაც ყველაფერს აბსოლუტური მონარქიის ფრაზა წყვეტს (იგი დოკუმენტის ბოლოს ისმებოდა): „Car tel est notre plaisir“ („ასეთია ჩვენი ნება“); მაგრამ, საპირისპიროდ, სწორედ ამ დროს აქვს ადგილი ფეოდალური საზოგადოებისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშან-თვისებების წინააღმდეგ ბრძოლას, რაც, საბოლოოდ, კაპიტალისტურ ურთიერთობათა გამარჯვებას განაპირობებს. ზემოაღნიშნულის გამო, ამ პროცესების საქართველოში განვითარებას დღე არ ეწერა. „ჩიხი“ და საქართველოს სამეფოს დაშლა „ახალი ხანის“ დასაწყისს ვერ განაპირობებს, თუმცა ქართულ ისტორიოგრაფიაში არის ცდა, რომ XV საუკუნის მიწურული ქართული სახელმწიფოებრიობისათვის შუასაუკუნეებისა და „ახალი ხანის“ მიჯნად იქნეს მიჩნეული [169,

43]. ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით, ამ პერიოდის საქართველო „ეს არაა დასავლეთ ევროპის შესატყვისი რენესანსი, რაც აღმავალმა საზოგადოებრივმა კლასმა გამოიწვია. სამწუხაროდ, ჩვენში არავითარი ახალი კლასი XVII-XVIII საუკუნეებში საზოგადოებრივ ასპარეზზე ამ ასპარეზის დაუფლების პრეტენზიით არ გამოდიოდა... ფეოდალური ურთიერთობები უცილობლად ბატონობდა და მისი მეტოქე და მესაფლავე ჯერჯერობით არ ჩანდა“ [174, 47]. ბაგრატიონებს მათი მდგომარეობის გამო არ შეეძლოთ განეცხადებინათ და სამოქმედო პროგრამად გაეხადათ ის, რაც საფრანგეთის მეფეს ანრი IV უთქვამს: „სადაც ლაპარაკობენ ესპანურად – მართოს ესპანელმა მეფემ, სადაც გერმანულად – ავსტრიის იმპერატორმა, მაგრამ იქ, სადაც ლაპარაკობენ ფრანგულად – უნდა ვმართო მე“ [386, 207-298].

XVI საუკუნიდან ქართული სახელმწიფოებრიობა წარმოადგენს სტაგნაციაში მყოფ ბატონყმობა-გახანგრძლივებულ სამეფო-სამთავროებად დაშლილ ორგანიზმს; ესაა „გვიანი“ შუა საუკუნეები, სადაც ვერ იქმნება პირობები აბსოლუტური მონარქიის ან მსგავსი პოლიტიკური ორგანიზაციის შესაქმნელად; საბოლოოდ, ველარც კაპიტალიზმი ვითარდება. საქართველოსა და დასავლეთ ევროპის განვითარების გზები მნიშვნელოვნად აცდა ერთმანეთს. „ჩიხმა“ შვა თუნდაც ის სააზროვნო სისტემა, რასაც ჩვენ „პროვინციის მეფეთა“ თვითშეგნებას ვუწოდებთ. „ჩიხის“ ზემოწარმოდგენილი დახასიათება, ვფიქრობთ, გასაგებს ხდის იმ მიზეზებს, რამაც განაპირობა აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ ხაზგასმული ვითარება: „სწორედ იმ დროს, როდესაც დასავლეთ ევროპაში რენესანსად წოდებული კულტურის მძლავრი აყვავება დაიწყო და შეუჩერებელი წარმატებით მიმდინარეობდა, საქართველოს ყოველგვარი საშუალება მოესპო, რომ ამ ნაყოფიერს შემოქმედების წყაროს გასცნობოდა და თვითონაც ამ მოძრაობის მოზიარე გამხდარიყო“ [342, 437].

§2. საქართველოს სამეფოს დაშლა და ბაგრატიონთა სახლის დამოუკიდებელი სამეფო შტოების წარმოქმნა

ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლის გლობალური პრობლემა ჩვენს ნაშრომში ბაგრატიონთა სამეფო სახლისა და, საერთოდ, ბაგრატიონთა საგვარეულოში განვითარებული პროცესების კუთხითაა განხილული; ქვეყნის დაშლისა და ამ მოვლენების ურთიერთკავშირში განხილვა ამ ურთულეს საკითხს ახალ ნიუანსებს მატებს.

საქართველოს სამეფოს დაშლა, რომელიც ნელი, თანდათანობითი პროცესია, სათავეს მონღოლთა შემოსევების პერიოდიდან იღებს და XV საუკუნის ბოლოსათვის გარდუვალი ხდება. ქართველთა ეროვნულ-კულტურული თუ პოლიტიკური ერთიანობის იდეის, „ყოველნი ქართველნი"-ს შეგნებისა და „განუხეთქელობისათჳს სამეფოსა" მცდელობის მიუხედავად, საქართველოში მაინც გაიმარჯვა „თჳს თჳსად" ყოფნამ, რამაც, საბოლოოდ ხელ-ფეხი გაუხსნა სეპარატიზმსა და ფეოდალურ ანარქიას.

საქართველოში XV საუკუნის I ნახევარი, ბაგრატიონთა სახლის გვერდით შტოთა და ბატონიშვილობის საკითხის ისტორიის თვალსაზრისით, ალექსანდრე I დიდის „რეფორმით" აღინიშნა. ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, რომ საქართველოს მეფეები ცენტრალიზაციის შენარჩუნების მიზნით მოხელე-ერისთავთა მაგივრად სამეფო სახლის წევრებს ნიშნავენ — „ნათესაობა უფრო მტკიცე გარანტია უნდა ყოფილიყო იმისა, რომ შენარჩუნებული იქნებოდა ქვეყნის ამ ნაწილების ერთგულება ცენტრალური ხელისუფლებისადმი. ამ თვალსაზრისით მეფეთა მეფის მიერ საქართველოს ცალკეული ნაწილების „მინებება" ასეთი მცირე მეფეებისადმი სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ ამით იგი საქართველოს დაშლას აკანონებდა. პირიქით, ეს ღონისძიება მიმართული იყო ადგილობრივ — ერისთავთა თუ მთავართა მიერ ხელისუფლების უზურპაციის წინააღმდეგ" [159, 111]. XV საუკუნის II ნახევრიდან სამოხელეო ინსტიტუტი — ერისთავობა თანდათანობით არსებობას წყვეტს — მათი ერთი ნაწილი სამთავროდ, რაჭა კი სათავადოდ იქცა. ქართლში, სადაც სამეფო ხელისუფლება უფრო მობილურია, ერისთავებმა მთავრობა ვერ მოიპოვეს, მაგრამ, სამაგიეროდ,

ზოგიერთი მათგანი სათავადოდ ჩამოყალიბდა (ქსნისა და არაგვის საერისთავოები), ნაწილი კი გაუქმდა.

მეფის მიერ უფლისწულების ერისთავად განწესების ტენდენცია საქართველოში ადრევე არსებობდა [336, 18...]; სწორედ ეს ძველი ტრადიციაა დაფიქსირებული ვახუშტისთან, როცა აღნიშნავს, რომ „არა იყო ჩვეულება მეფეთა და უფროსღა ბაგრატიონთა შინა, რათამცა განხეთქილება ექმნათ სამეფოსა... გარნა თუ ძეთა დასხმოდნენ არა მეფედ, არამედ ერისთავად და მორჩილად მეფეთა“ [82, 564]. XIV-XV საუკუნეების საქართველოში ასეთი ფუნქციებით უკვე არა მარტო უფლისწულები, არამედ სამეფო ოჯახის უახლოესი ბაგრატიონებიც ინიშნებიან. აქედან გამომდინარე, ჩვენ არც იმას გამოვრიცხავთ, რომ გიორგი ბრწყინვალის ხანაში, ლიხთ-იქითისა და სამცხის შემოერთების პირობებში, აქტუალურად დასმულიყო ბაგრატიონთა სახლის ალასტანელთა განშტოების საკითხი: ფრთხილი ვარაუდით, მათ როგორც უახლოეს ნათესავ ბაგრატიონებს, რომლებიც ჯავახეთსა და საერთოდ, სამხრეთ ტერიტორიებზე მფლობელობენ, გიორგი მეფის მხრიდან, ერისთავების მაგივრად ხომ არ ევალებათ სამხრეთი საზღვრების დაცვა?! გიორგი V ბრწყინვალე ამით მისი ნახევარძმის დავით VIII შვილების — ალასტანელებად წოდებულთა მფლობელობისათვის ხასიათის შეცვლას ხომ არ ცდილობს?! როგორც ცნობილია, ლიხთიმერეთის შემომტკიცების შემდეგ, გიორგი ბრწყინვალემ ერისთავად რომელიმე დიდებული კი არ დანიშნა, არამედ შორაპანში ერისთავის ფუნქციით ბაგრატიონთა სახლის წევრი — ბაგრატი დასვა. იქნებ ალასტანელ ბაგრატიონთა მიერ სამხრეთ რეგიონების დაცვა უფრო მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რაც გარკვეულად ერთგულების გარანტადაც უნდა ქცეულიყო; მაგრამ „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის არსებობისა და ამ ეპოქის ცენტრიდანული ტენდენციების გამო, ალასტანელობამ კვლავ ძველი ხასიათი მიიღო, ანუ არსებული სტატუსი — „პროვინციის მეფობა“ შენარჩუნდა.

საქართველოში ჯერ კიდევ XVI საუკუნეში არსებულა შეხედულება ალექსანდრე I დიდის მიერ შვილებისათვის ერთიანი სამეფოს დანაწილების შესახებ — ალექსანდრე II კახთა მეფე 1589 წელს ამის შესახებ რუს ელჩებს ეუბნება: „... истари Иверское государство было под одним царем и прадед наш - то царьство Иверское

разделил на три части." ეს აზრი გავრცელებულა მაჰმადიანურ სამყაროშიც — იბრაჰიმ ფეჩევი წერს: „უფროს შვილს ქუთაშის სამეფოს მისცემს. ეს ქუთაში ბაშიაჩუკის ქვეყანაა და ბაშიაჩუკის მეფეთა გვარეულობა იქიდან იწყება. შუათანა ვაჟს თბილისს მისცემს და სიმონის გვარი მანამდე აღწევს. ისინი ლუარსაბის შვილებად არიან ცნობილნი. უმცროს შვილს კახეთის პროვინციას მისცემს. ეს პროვინცია ლევან მეფის ქვეყანაა. მაგრამ, ვინაიდან უფროსი შვილის გვარი ბაშიაჩუკის მეფეებიდან იწყება, ყველა მის პატივისცემასა და დიდებაში ერთსულოვანნი არიან. მაგალითად, მისგან დაწყევლას ერიდებიან, ხმალს მას შემოარტყმევინებენ და გაჭირვების დროს რჩევა-დარიგებისათვის მას მიჰმართავენ" [90, 43-44]. როგორც ვხედავთ, თურქული წყარო ტენდენციურია და ბაგრატიონთა გვარში უფროსობას იმერეთის სახლს ანიჭებს. რუსეთში გადასახლებულ ბაგრატიონთა სამეფო სახლის საგვარეულო განშტოების — დავითიშვილთა ისტორიასთან დაკავშირებულ ისტორიულ წყაროში ვკითხულობთ: „... разделил великий царь Александр иверский детей своих, царевичей по царствам"... [155, 197]. „ქართლის ცხოვრების" გაგრძელება იცნობს და იზიარებს აზრს ალექსანდრე დიდის მიერ ქვეყნის დანაწილების თაობაზე: ალექსანდრე I დიდმა „ოდეს დასუა პირველი შვილი ვახტანგ ქართლსა და იმერეთს, მასთან დააყენა უმრწმესი ძმა მისი დიმიტრი, და დასუა კახეთს... მეფედ უმრწმესი ძმა დიმიტრისი გიორგი"; „ქართლის ცხოვრების" მაჩაბლისეული ნუსხის არშიაზე გაკეთებულ საინტერესო მინაწერში ვკითხულობთ: „ამ ალექსანდრეს ესვა ძე სამი: უხუცესი ვახტანგ, რომელსა მისცა იმერეთი; საშუალო დიმიტრი, რომელსა მისცა ქართლი; და უმრწემესსა გიორგის მისცა კახეთი. და შემდგომად თჳთ მონაზონ იქმნა. ამ გიორგის ალექსანდრეს შვილის ჩამომავლობანი არიან ეხლანდელნი ბაგრატიონნი" [76, 340].

ძალზე საინტერესოა ბაგრატიონთა სახლის წევრის — ანტონ კათალიკოზის თვალსაზრისი (მის ცნობებს საქართველოს ისტორიის შესახებ იშვიათად იყენებენ, ამიტომ აქ მათზე, კერძოდ, დაშლის პროცესთან დაკავშირებით, შედარებით ვრცლად შევჩერდებით): ალექსანდრე დიდმა „... ვახტანგს უკვე მისცა, რომელი იყო ძე მეორე, აფხაზეთი, ჯიქეთი, სვანი, ოდიში, გურია და ყოველი სამეფო იმერთა

მეფეთა და უწოდა მეფედ. დიმიტრის ქართლი, ჯავახეთი, ოსეთი, ყაბარდინა, ქისტეთი და უწოდა მეფედ და უმრწმესსა ძესა (გიორგი VIII, — დ.ნ.) მისცა კახეთი... და არა ეწოდება მეფედ, არამედ მთავრად. და მოუწოდა მთავართა სამეფოსა თვისთასა ყოველთა და ესრეთ მიათვალნა იგინი ძეთა მისთა და დასდვა მაშინ ყოველსა სოფელსა ძეთა თვისთასა სულზედ ნახევარი მარჩილისა და სხვა არა რაი" [70, 309-310]; რაც შეეხება ალექსანდრე დიდის შემდგომ ვითარებას, იქვე ვკითხულობთ: „ალექსანდრე უკვე პირველისა ძეთა ვიტყოდეთ განყოფას, ესრეთ იქმნა რა მეორე ძე ალექსანდრესი ვახტანგ მეფედ იქმნა იმერთა, აფხაზთა და სხვათა... ხოლო დიმიტრი მეფე ქართლისა, ძე მესამე ალექსანდრესი, და გიორგი მთავარი კახეთისა მონებდეს მეფეს სპარსთასა. და განიყო სამეფო ორად... ხოლო მოკვდა გიორგიცა მთავარი კახეთისა და იქმნა მის წილ მთავრად კახთა ზედა ალექსანდრე, ძე მისი და უწოდეს კახთა მაშინ მთავარსა თვისსა მეფედ" [70, 310-311]. როგორც ვხედავთ, ანტონ კათალიკოსის მსჯელობა, სხვა შეხედულებათა ფონზე, ორიგინალობით გამოირჩევა — ქვეყნის დაშლა წარმოდგენილია როგორც რთული თანდათანობითი პროცესი.

ბერი ეგნატაშვილის „სწავლულ კაცთა კომისიას" ამ საკითხისადმი თავისი დამოკიდებულება აქვს: „არღარა იცვალებოდა ერისთავნი და არცა თავადნი" ან „და ყოველნივე ძლიერ იყვნეს: მთავარნი, ერისთავნი და თავადნი", ანუ ცენტრიდანულმა ძალებმა საბოლოოდ სძლიეს ცენტრს, სამეფო ტახტი თავის ფუნქციას ვეღარ ასრულებს, ამიტომაც „ყოველნივე ჰევსა და სანახებსა და თემთა და ადგილთა მკჯდრ ქმნილიყვნენ, და, ვისცა მამულსა მისცემდა, მკჯდრად მიეცემოდა;" საბოლოოდ, აღნიშნულის გამო, „ამა ალექსანდრესა და კოსტანტინესა ჟამში განდგნენ იმერელნი, ოდიშარნი და გურიელნი, და არღარა მორჩილებდა ათაბაგი, და განდგა კახეთი" [76, 348].

ვახუშტი კატეგორიულად არ იზიარებს მოსაზრებას ალექსანდრე დიდის მიერ სამეფოს დანაწილების შესახებ; მისთვის ცნობილია, რომ კახეთში ასეთი შეხედულება გავრცელებული ყოფილა — „ვითარცა კახნი იტყჯან", თითქოს „ალექსანდრემ განჰყო ძენი თჯსნი, უხუცესსა ბაგრატს (?) მისცა ჰერეთი და კახეთი"; ბატონიშვილი უარყოფს ამ ცნობას, რადგან განხეთქილება „არა იყო ჩვეულება...ბაგრატიონთა

შინა“ და თან „არცა ესუა ამ ალექსანდრეს სამნი იგი ძენი“ [82, 564]. ვახუშტის მიხედვით, ალექსანდრე I დროს სამეფო ერთიანია: „ბრწყინვალემ გიორგიდამ, ვიდრე გიორგი ალექსანდრეს ძისამდე (გიორგი VIII, – დ.ნ.), იყო ერთმეფობა, გუჯართა, სიგელთა და ქორონიკონთა“ [82, 303]. მისი აზრით, ქართველთა სახელმწიფო „განსქდა“ გიორგი VIII და კონსტანტინე II ხანაში – „არღარა მოვიდა ათაბაგი, რამეთუ დაეპყრა სამცხე-კლარჯეთი... არცა ჰერ-კახთა ინებეს, არამედ გარდმოიყვანეს დიდოეთიდამ დავით და აკურთხეს მეფედ. და იქმნა მიერ ჟამითგან სამეფოსა განხეთქილება სამად. რამეთუ ერთი მეფე დაჯდა იმერეთს, ერთი კახეთს და ნეშტი დარჩა მეფესა ქართლისასა“...[82, 383]. ვახუშტისეულ კონცეფციაში განსაკუთრებით ხაზგასმულია მისი პოზიცია დაშლის პროცესის გამომწვევი მიზეზისადმი; იგი ეკამათება თავადურ თვალსაზრისს მეფის სურვილით სამეფოს დაშლის შესახებ. მისი კონცეფციით, დამშლელ ძალებს სწორედ დიდებულ-წარჩინებულნი წარმოადგენენ, რომელთა ნებითაც გამეფდნენ უკვე დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოთა მეფეები; მთავარ-თავადებმა თავის მხრივ მიიღეს „აღთქმული თვისი და განთავისუფლდნენ, თვინიერ ლაშქრობისა და ქუეგანწესებითა მეფისა“ [82, 806], რის საფუძველზედ დამოუკიდებელი სამთავროებიც გაჩნდნენ. ბატონიშვილი არაერთხელ იმეორებს, „გამკვიდრებულ იყვნენ მთავარნი“, „იყოფოდნენ თვის-თვისად“ და „დაეპყრათ ხევნი და ხეობანი თვისად“... [82, 420, 427, 429 ...].

საინტერესოა, რომ ალექსანდრე დიდის პოლიტიკის შედეგად სამეფოს დაშლას არ იზიარებენ XVIII ს. II ნახევრის უცნობი ავტორი შრომისა – „მოკლედ მოთხრობა ქართლისა მეფეთათჳს ბაგრატოვანთა“ და გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკი. პირველის მიხედვით, ალექსანდრე იყო „მპყრობელი სრულიად და ერთობით საქართუსლოჲსა“, ხოლო გიორგი VIII ხანაში „განიყო საქართუსლო სამ სამეფოდ“...[105, 239]; მეორე ცნობით, „до кончины Георгия вся Иверия под одним общим именем Грузии была не разделена...“ (147, 283].

იოანე ბატონიშვილი არ ეთანხმება ვახუშტის კონცეფციას და აღნიშნავს, რომ მთელი საქართველო ამბობს „ამ სამეფოს ასე სამად განყოფასა. ხოლო ვახუშტი შურითა კახთა მეფეთასა უარყოფს ზოგან და ზოგან კი დაამტკიცებს, და ამისათვის არა არს ბევრი მისგან დაწერილი სარწმუნო“...[41; 239, 287]. დავით ბაგრატიონი ერთიანი

სამეფოს დაშლას კონკრეტულად ალექსანდრე I დიდს აბრალებს: „...положил начало потрясений могущества своих преемников. Он разделил царство свое троим сынам своим...“ [149, 133].

საბოლოოდ, XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. ისტორიოგრაფიაში სწორედ ასეთი აზრი დამკვიდრდა, მაგალითად, ე. ბოლხოვიტინოვი [326], ლ. ისარლიშვილი [378, 255], ა. მარსოვი [371, 51] და სხვ..

ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით, „ეს სწორედ ის საკითხია, რომლისთვისაც ვახტანგისეული სწავლული კაცები და ბატონიშვილი ვახუშტიც თავებს იმტვრევდნენ, მაგრამ მაინც მიზანს ვერ მიაღწიეს“ [343, 39]. დიდი ისტორიკოსის დასკვნით, ერთიანი სამეფოს დაშლა ხანგრძლივი და თანდათანობითი პროცესია, ხოლო ცნობა ალექსანდრე მეფის მიერ შვილებს შორის საქართველოს გაყოფის შესახებ არ მართლდება. ქართულ ისტორიოგრაფიაშიც ამ ნაბიჯის მიზეზით ერთიანი მონარქიის დაშლის ახსნა გაზიარებული არ არის. ამავე დროს აღნიშნულია, რომ ამ ცნობასა და წყაროების დაჟინებულ მითითებაში ალექსანდრე მეფის მიერ შვილების „მეფეებად“ დასხმის შესახებ, გარკვეული ისტორიული სინამდვილის ანარეკლი უნდა დავინახოთ — ამ გადმოცემის შექმნასა და გავრცელებაში საკმაო როლი მიუძღვით თვითონ დამოუკიდებელი ქართული სამეფოების მმართველ წრეებს, რომლებიც ფაქტების ასეთი სახით წარმოდგენით თავიანთ დამოუკიდებლობას იურიდიულ გამართლებას აძლევენ [159, 110-111]. რეალურად, ალექსანდრე დიდი „გამრიგე მოხელენის“ ადგილზე თავისი შვილებისა და ნათესავების დანიშვნით ქვეყნის ცალკეული ნაწილების შემომტკიცებასა და ხელისუფლების ცენტრალიზაციის განმტკიცებას ცდილობს, მაგრამ XV საუკუნეში შექმნილმა სიტუაციამ, მათ შორის „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის არსებობამ და ამ ფონზე არახელსაყრელმა საგარეო ვითარებამ, ალექსანდრე მეფის აღნიშნულ „რეფორმას“ სულ სხვა ხასიათი მიანიჭა. როგორც ნ. ასათიანი აღნიშნავს, დაშლის „პროცესი იმდენად განუხრელად ვითარდებოდა, რომ ცენტრალური ხელისუფლების ზოგიერთ ღონისძიებას საწინააღმდეგო შედეგიც კი მოსდევდა“ [159, 111]. ასე მოხდა ალექსანდრე მეფის ღონისძიების შემთხვევაშიც: შვილებისათვის მინებებული საგანმგებლოები დროთა განმავლობაში „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელოე-

ბად გადაიქცნენ, სადაც „ჯერეთ არ კურთხეულნი“ უკვე „მეფეებად“ მოგვევლინნენ. თუ რატომ მოიტანა მეფის ჩანაფიქრმა ასეთი არასასურველი შედეგი, სხვა მომენტებს რომ თავი დავანებოთ, კარგად გვიხსნის თვითონ „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის რაობა. მიუხედავად საპირისპირო იდეისა, ალექსანდრე მეფის „რეფორმამ“, საბოლოოდ, XV საუკუნის II ნახევარში მართლაც გარკვეულად შეუწყო ხელი ერთიანი სამეფოს დაშლის პროცესის დაჩქარებას. აქედან გამომდინარეობს, რომ უკვე XVI საუკუნიდან გაჩნდა შეხედულება, რომელიც შემდეგ ისტორიულ ტრადიციად ჩამოყალიბდა ალექსანდრე I დიდის მიერ ერთიანი სამეფოს დანაწილება-დაშლის შესახებ. ისიც ფაქტია, რომ ქვეყნის პოლიტიკური დაშლის შედეგად წარმოშობილი სამეფოების ხელისუფალნი თავიანთი დამოუკიდებლობის იურიდიული საფუძვლის გასამაგრებლად ხელს უწყობენ ალექსანდრე მეფის მოქმედების ასეთ გაგებას.

აღსანიშნავია, რომ მეფეთა მსგავსმა ღონისძიებამ ძირითადად ვერც სხვა ქვეყნებში გამოიღო დადებითი შედეგი. საფრანგეთში შარლ VI (1380-1422) დროს საბატონიშვილოების ასეთი დარიგება სამეფო ტახტს დიდ საშიშროებას უქმნის; მეფე იოანეს (1350-1364) მიერ თავისი შვილებისათვის ლენების დარიგება დიდ შეცდომად არის მიჩნეული [362, 569]; საერთოდ ცნობილია, რომ საფრანგეთის მეფეები კაპეტინგების გვარიდან თავიანთ დომენს აქუცმაცებდნენ და შვილებს სამფლობელოებად გადასცემდნენ. XIII საუკუნის დანიაში მეფეების მიერ სახელმწიფო ტერიტორიის თავისი შვილებისათვის განაწილების შემდეგ თითოეული მათგანი მიღებული სამფლობელოს მემკვიდრეობით საკუთრებად გადაქცევისათვის იბრძვის. ასევე საინტერესოა ვარდების ომი, რომელიც თავისი ფორმით წარმოადგენს ედუარდ III შთამომავლებს შორის გაჩაღებულ დინასტიურ ბრძოლას — იგი მეფე ედუარდის პოლიტიკის შედეგს წარმოადგენს, რამაც, როგორც ალექსანდრე დიდის შემთხვევაში, ინგლისისათვისაც სამეფო ტახტის დასუსტება გამოიწვია [373, 128]. აღსანიშნავია, რომ ასეთ ნაბიჯებს მსგავსი შედეგები აქვს აღმოსავლეთშიც — მაგ., თემურ-ლენგის შვილმა სულთანმა შაჰრუხმა თემურიანთა სახელმწიფოში ასევე რღვევის პროცესის შესაჩერებლად შექმნა სამფლობელოები, რომელთა ნაცვლები მისი შვილები და შვილიშვილები იქნებოდნენ; მიუხედავად ამისა, გამჟღავნ-

და არაბული ანდაზის სიბრძნე — „არაა ნათესაური კავშირი მეფეთა შორის“, ანუ სულთნის ნაბიჯმა შედეგი ვერ გამოიღო და დეცენტრალისტურმა მისწრაფებებმა მაინც გაიმარჯვეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ხასიათის „რეფორმას“ ყოველთვის ასეთი უარყოფითი შედეგი არ მოჰქონდა. ამოსავალი და განმსაზღვრელი აქ ის არის, თუ განვითარების რა ეტაპზე იმყოფება ესა თუ ის საზოგადოება — მაგ., პოლონეთში ბოლესლავ III დროს (1138 წ.) საბოლოოდ გაფორმდა სისტემა, რომლის მიხედვითაც ქვეყანა მის შვილებს შორის იქნა დაყოფილი. მართალია, ამ დროს პოლონეთი დაქუცმაცებულია, მაგრამ საზოგადოების შიგნით მიმდინარე პროცესები მაინც აღმავლობას განიცდიან — სოფლის მეურნეობასა და ქალაქის ხელოსნობაში კვლავ გრძელდება საწარმოო ძალთა განვითარება, პარალელურად მიმდინარეობს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებს შორის ეკონომიკური კავშირების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების პროცესი. ასეთ შემთხვევაში, პოლონეთში აღარ ვითარდება ის პროცესი, როგორსაც XIV-XV საუკუნეების საქართველოში ჰქონდა ადგილი.

სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელთა, ბატონიშვილთა თუ „სისხლის პირველ პრინცთა“ მიერ უფლებრივი მდგომარეობის მოსაპოვებლად წარმოებული ბრძოლის შედეგად, მაგალითად, საფრანგეთში „აპანაჟები“ ჩამოყალიბდა [404]. „აპანაჟები“ პრინცთა დიდ სამფლობელოებს წარმოადგენდნენ; ისინი სამეფო დომენიდან გამოიყოფოდა, სადაც XIV-XV საუკუნეებში „სისხლის პირველი პრინცები“ თუ სამეფო სახლის ბატონიშვილები აბსოლუტური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად იბრძვიან. ძლიერი ცენტრალიზებული სამეფო ხელისუფლების პირობებში მეფეთა მიერ შვილებისათვის ასეთი მიზნით სამფლობელოების მინებება ქვეყნის ერთიანობისათვის საშიშროებას არ წარმოადგენდა, მაგრამ XIV საუკუნის საფრანგეთში ასეთი სამფლობელოების დამოუკიდებლობა იზრდება, „სისხლის პირველი პრინცები“ „აპანაჟებში“ სრული ძალაუფლების მოპოვებას ახერხებენ და როგორც სრული ხელისუფალნი ისე მოქმედებენ (ამით ისინი საქართველოში არსებულ „პროვინციის მეფეებს“ ემსგავსებიან). ამ პერიოდს ზოგჯერ „პრინცთა ფეოდალიზმს“ უწოდებენ [364, 146, 152], შემდგომ ხანაშიც ასეთი მოვლენები კვლავ გრძელდება; სხვა მონაცემებს რომ თავი დავანებოთ, საკმარისია თვით კარდინალ რიშელიეს სიტყვები მოვიყ-

ვანოთ — იგი თავის „პოლიტიკურ ანდერძში“ აღნიშნავს, რომ „პროვინციების ყველაზე უფრო ძლიერი გუბერნატორები ისე გრძნობდნენ თავს თავიანთ თანამდებობაზე, როგორც ნამდვილი ხელმწიფეები“ [323, 395-396; 363, 32], ხოლო რიშელიესავე „ჩანაწერებში“ პირდაპირ არის აღნიშნული, რომ მეფის შვილები, ძმები და „სისხლის პირველი პრინცები“ სამეფოში შინააშლილობას დაუსჯელად ეწეოდნენ... [365, 224]. მაგრამ აქვე ხაზგასასმელია ის მთავარი განსხვავება, რაზეც ზემოთ (§1) უკვე გვქონდა ვრცელი საუბარი და რამაც, დასავლეთ ევროპაში განვითარებული პროცესების შედეგად, იქ გამწვავებული საკითხი გადაჭრა, საქართველოში კი „ჩიხში“ მოაქცია:

„ფეოდალიზმის კრიზისი“, მის შიგნით განვითარებული მოვლენები და ამის შედეგად დამდგარი „ახალი ხანა“ „აპანაჟებს“, „სისხლის პირველ პრინცებს“ თუ მსგავს მოვლენებს უარყოფითი ფორმით გამოვლინების საშუალებას აღარ აძლევს; პირიქით, დასავლეთში ერთიანი ნაციონალური სახელმწიფოები ყალიბდება. თუ ფ. ბროდელის ტერმინს კვლავ გამოვიყენებთ, „ევროპის სისტემის“ ერთიანობამ და მისი სხვადასხვა მხარეებიდან მომდინარე პროგრესულმა იმპულსებმა თავისი შედეგი მოიტანა. „ჩიხმა“ და შესაბამისმა პოლიტიკურმა თუ სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ, „ახალი ხანისა“ და აბსოლუტური მონარქიის საქართველოში ჩამოუყალიბებლობამ ჩვენთვის საინტერესო გამწვავებული ბატონიშვილობის საკითხი ვერ გადაჭრა. რა თქმა უნდა, ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოთა წარმოქმნა საქართველოში მიმდინარე რეგრესულმა სოციალურ-ეკონომიკურმა პროცესებმა განაპირობა; ამავე პირობებმა, ქვეყნის დაშლის გზაზე, „პროვინციის მეფეებისა“ და ბაგრატიონთა გვერდითი შტოების არსებობა გამოიწვია, რამაც, თავის მხრივ, უარყოფითი როლი ითამაშა და „აპანაჟებისაგან“ განსხვავებით, სხვა მნიშვნელოვან მიზეზებთან ერთად, დაქუცმაცებისა და ერთიანი სამეფოს დაშლის პროცესს შეუწყო ხელი.

XIV-XV საუკუნეების საქართველოში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, როგორც აღინიშნა, სამეფო ოჯახის წევრთა თუ ბატონიშვილთა ერთი ნაწილი, ქვეყნის რომელიმე რეგიონის ხელში ჩაგდებისა და სოციალური დასაყრდენის გაჩენის შემდეგ, თავს „მეფედ“ აცხადებს. ალექსანდრე დიდის მიერ დიმიტრი, ვახტანგი და გიორგი

ბატონიშვილებისადმი მინიჭებული მფლობელობაც კი რეალურად „პროვინციის მეფობაში“ გადაიზარდა. „ბატონიშვილობის“ გამწვავებული საკითხი, ბაგრატიონთა სამეფო სახლის „მსხვილი“ თუ „მცირე“ გვერდითი შტოები (იხ. ქვევით), „პროვინციის მეფეთა“ ბრძოლა შემოსავლის წყაროსა და ვასალთა ფენის მოსაპოვებლად ასუსტებს სამეფო ხელისუფლებას, ხელს უწყობს პროვინციათა განკერძოების ტენდენციას — მის იზოლირებულობას, ისტორიულ-გეოგრაფიულ „ქვეყნებში“ სამეფო ხელისუფლების გავლენის შესუსტებასა და ფეოდალთა ცენტრისაგან ჩამოშორებას. თითოეული ასეთი სამფლობელო გარკვეულად მართლაც „საკუთარს პაწია სახელმწიფოს წარმოადგენდა (Status in statu)“ [315, 63]. „ძეგლი ერისთავთას“ კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ქვეყნის ეს პროვინციები ცენტრისგან თავის ანაბარა არიან მიტოვებული. „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტმა გაალვივა სახასოს დაქუცმაცების პროცესი, ასეთ ბაგრატიონთა სამფლობელოები უკვე გამოყოფილია სამეფო დომენიდან. როცა ცენტრალური ხელისუფლების საფუძველი — სახასოს ერთიანობა და ძლიერი სამეფო დომენი მოიშალა, ქვეყნის ერთიანობასაც მნიშვნელოვანი საყრდენი მოაკლდა. უკვე ითქვა, რომ „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის როლი საქართველოს პოლიტიკური დაშლისა და დამოუკიდებელი სამეფო შტოების გაჩენის საქმეში ძალზე რელიეფურია (ვრცლად იხილეთ სპეციალურ მონოგრაფიაში [281]). პარალელურად, სამეფო სახლსა და ბაგრატიონთა საგვარეულოს შიგნით სხვა არასასურველი პროცესებიც ვითარდება:

„ორმეფობა“, ლიხთ-იქითის „მეფენი“, მრავალმეფიანობა, „ორიანობა“, გამრავლებული „ღარიბობები“ (შემდეგში ვნახავთ, რომ „ძმათაგანა გაღარიბებული, უყმოთ გაგდებული“ გიორგი „სამცხელიდან“ მთელი საგვარეულო განშტოებაც კი ჩამოყალიდა), ე.წ. „მსხვილი“ და „მცირე“ გვერდითი შტოები, რომლებიც მწვავედ უპირისპირდებიან ჯერ კიდევ ერთიანი სამეფოს დასუსტებულ ტახტს და სხვ.

თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ ზოგიერთ მათგანს:

1.

ბაგრატ V დიდი (1360-1393) = ანა ტრაპიზონის იმპერატორ ალექსი III კომნენოსის ასული

- დავით „პროვინციის მეფე“ (1404-1425)*
  - ვახტანგ
  - დიმიტრი

2.

ალექსანდრე I დიდი (1412-1442)

- დემეტრე „პროვინციის მეფე“
  - კონსტანტინე II
  - დავით „პროვინციის მეფე“ კახეთის მხარეში

3.

ალექსანდრე I დიდი

- გიორგი VIII (1446-1466, 1466-1476)
  - ვახტანგ-ვარსიმე „პროვინციის მეფე“ არაგვის ხეობაში
    - ხოსროთანგილი
  - ალექსანდრე I კახთა მეფე (1476-1511)

---

* ოგი „პროვინციის მეფეა“ ლორე-სომხითის მხარეში (281,144...)

4. კონსტანტინე I (1407-1412)

ალექსანდრე I დიდი

გიორგი „მეფე“

ბაგრატ VI
ქუთაისის „სამოქალაქოს
ერისთავი, „პროვინციის
მეფე“, მეფე 1466-1478 წწ.

გაიანე
სამთავისის „მეორედ
აღმშენებელი“ [277]

ალექსანდრე I იმერთა
მეფე, რაჭა-არგვეთის
„მეფე“ (1478-1484).
იმერეთის მეფე (1489-1510)

ბუნებრივია, ბაგრატიონთა საგვარეულოში ასეთი შტოების არსებობა ხელს უწყობს ერთიანი სამეფო ტახტის დასუსტებას და ქმნის საფუძველს დამოუკიდებელი სამეფოების წარმოსაქმნელად. „მზე დაბნელდა და ქვეყანა ზარტეხილ იქნა“, — ასეთი სიმბოლური ფორმულითაა გადმოცემული XIV-XV საუკუნეების ძნელბედობა 1477 წლის 25 დეკემბრის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში [124, 189]. „მზე დაბნელდა“— აქ საქართველოს პოლიტიკური დაქვეითებაა ხაზგასმული; „მზე ქრისტიანობისა“ [251, 255] — ბაგრატიონთა სახლი და მათი სამეფო კარი იმდენად სუსტდება, რომ მეფემ „ვერ სცვალნის მთავარნი და ერისთავნი“, დიდებულისათვის მზე სამეფო კარზე უკვე აღარ ამოდის. „ქვეყანა ზარტეხილ იქნა“ — სახელმწიფოში ეკლესიური და სულიერი ძნელბედობის აღნიშვნაა; საპატრიარქო ტახტს უჭირს ერთიანობის იდეის საყრდენის — საქართველოს ეკლესიის მთლიანობის შენარჩუნება. ახალ პოლიტიკურ ერთეულთა ჩამოყალიბებისათვის მებრძოლნი ბაგრატიონთა დამოუკიდებელ სამე-

ფო შტოთა მფლობელობისათვის საფუძველის შექმნასა და მის ეკლესიურად უზრუნველყოფას ცდილობენ. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით, „დედაეკლესიისაგან ჩამოშორება მაშინ იმ სულიერ სარწმუნოებრივ კავშირსა სწყვეტდა, რომელიც მხოლოდ-ღა აერთებდა დანარჩენ საქართველოს ამა თუ იმ პოლიტიკურად უკვე განკერძოებულს ნაწილს“ [343, 174].

აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსის არსებობა, „მცნებაჲ სასჯულოჲ“ და ლიხთ-იქითის ბრძოლა გამოყოფისათვის, სამცხის ათაბაგთა (სამცხე-საათაბაგოს „ხანს-ინჯუს“ საკითხი კარგადაა ცნობილი, ამიტომ ბაგრატიონთა საგვარეულო განშტოებებისადმი მიძღვნილ ნაშრომში სპეციალურად აღარ ვჩერდებით) და მაწყვერლის სეპარატისტული პოლიტიკა (ვარძიის ივანე ათაბაგისეულ (1391-1444) წარწერაში საქართველოს მეფე მოხსენიებულიც კი არ არის — სამცხე მეფის უზენაესობას არ ცნობს, სამეფო ტახტს ხელი აღარ მიუწვდება ისეთ მნიშვნელოვან სალოცავზე, როგორც სამეფო მონასტერი ვარძიაა), ყვარყვარე ათაბაგი და მანუილ რიტორის „მოთხრობა“ (ათაბაგები თავიანთი ეკლესიის საჭედმპყრობლად მაწყვერელის დამტკიცებას ცდილობენ), კახეთი და ამბა ალავერდელის განყოფითი ტენდენციები [245, 113], — აი, ყოველივე რაც „ქართული ეროვნული საქმის დამღუპველი“ [343, 174] გახდა; სწორედ მათ შემოქმედთ უწოდა ნ. ბერძენიშვილმა „მთლიანი საქართველოს მესაფლავენი“ [178, 103]. მცხეთა, როგორც კულტურულ-იდეოლოგიური ერთიანობისა და მთლიანობის მატარებელი სიმბოლო, მათთვის მიუღებელი ხდება. აქედან გამომდინარე, შესაბამისი საგზრავნო სისტემა და თვითშეგნება ყალიბდება, რაც სხვა ცნობილ მოვლენებთან ერთად ხელს უწყობს დაშლის პროცესს. არსებულ გამწვავებულ ვითარებას სამეფო ტახტი კონტროლს ველარ უწევს, ვასალი „ნებიერია“ იქ წავიდეს, სადაც მეტ მოგებას მიიღებს — ამიტომაა, რომ მათთვის მზე სამეფო კარზე აღარ ამოდის.

XV საუკუნის შუა ხანებში ერთიანი სამეფოს დაშლა რეალობაა და მას მხოლოდ იურუდიული გაფორმება სჭირდება; ეს კარგად ჩანს 1459-1461 წწ-ში ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მცდელობისას — ამ პერიოდის ისტორიული დოკუმენტებით აშკარად ჩანს, რომ საქართველოს მეფე-მთავრებს ჯერ კიდევ იურიდიულად ერთ სამეფოში ერთიანი მოქმედებისათვის „შერიგება“ და „ხელშეკრულების“ დადება

სჭირდებათ, მაგალითად, გიორგი VIII თავის წერილში ბურგუნდიის ჰერცოგისადმი ხაზს უსვამს, რომ „ჩვენ ყველა ქრისტიანმა მთავრებმა, რომლებიც ამ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ურთიერთშორის ზავი, კავშირი და ერთობა დავდეთ“-ო [223, 61, 536]. ფაქტია, რომ ბაგრატიონთა დამოუკიდებელ სამეფო სახლთა ჩამოყალიბების ხანა შორს აღარაა.

საინტერესოა, როგორ იდგა ამ დამოუკიდებელ შტოთა წარმომავლობის საკითხი შუა საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიაში:

ვახტანგ VI თავის „ბაგრატოანთა ნათესაობის წიგნში“ აღნიშნავს, რომ „ხოლო იმერეთის მეფისა და კახის ბატონის ნათესაობა მრავალს ვეცადე შემეტყო რომელის ტომისაგან იყო და ვერვისაგან შევიტყევ...“ [17]. პრინციპში იმავეს იმეორებს ბერი ეგნატაშვილის სწავლულ კაცთა კომისია: „ხოლო ესე ვერა ვსცანით, თუ ბატონი იმერეთისა და კახეთისა რომლისა თესლისაგან არიან, და ანუ ვითარ უპყრიესთ ქუეყანანი იგი“ [76, 348]; ბაგრატიონთა იმერეთის შტოს შესახებ იქვე აღნიშნულია, რომ „ხოლო იმერეთისა რომელთამე თქუეს: „ოდეს მამა ალექსანდრესი ბაგრატ მეფე ჩავიდა იმერეთს, მაშინ თჳსნი მისნი დაუტევა და მიერითგან ძენი მისნი არიან“ [76, 348]. ამ ტექსტში, როგორც ჩანს, თვით ვახტანგ VI ხელით გაკეთებულია ჩამატება: „და რომელიმე იტყჳან: ძეთაგანი ნარინ დავითისნი იყვნენ“ [76, 348]. რაც შეეხება კახეთის სამეფო სახლის წარმომავლობას, ბერი ეგნატაშვილის აღნიშვნით, „ხოლო კახეთისა მებატონეთა მამა იყო დავით. და ამა დავითის მამა, არა უწყით, თუ ვინ იყო“ [76, 348]. ამ ცნობასთან დაკავშირებით „ქართლის ცხოვრების“ ჯანაშვილისეულ ნუსხაში გაკეთებულია შენიშვნა: „ეგნატაშვილს მტერობა უმგარი სიცრუე იმას რომ იმერთა და კახთა ჭუშმარიტად მეფენი არიან და ბაგრატოანნი...“ [76, 348].

ანტონ I კათალიკოსი თავის ნაშრომში — „საქართველო-იმერთა მეფეებთა შთამომავლობანი და გვართა ცვლილებანი ამის ქვემო მოხსენების“ ქართლისა და კახეთის სახლების წარმოშობის შესახებ აღნიშნავს: „მეფე ქართლისა“ დიმიტრის შემდეგ „იქმნა ძე მისი კონსტანტინე (კონსტანტინე II, — დ.ნ.) მის წილ მეფედ, ხოლო მოკვდა გიორგიცა (გიორგი VIII, — დ.ნ.) მთავარი კახეთისა და იქმნა მის წილ მთავრად კახთა ზედა ალექსანდრე, ძე მისი და უწოდეს

კახთა მაშინ მთავარსა თვისსა მეფედ“ [70, 311]. რაც შეეხება იმერეთის შტოს, ამ საინტერესო თხზულებაში ასეთ ცნობებს ვკითხულობთ: „ხოლო საუწყებელ არს ესეცა, რამეთუ ძისაგან რუსუდანისა არიან მეფენი იმერთანი და ძისაგან გიორგისა არიან დღეს რუსთ იმპერიასა შინა მყოფნი ძენი. ქართლელთა მეფისანი“ [70, 304]. ლიხთ-იქითის ბაგრატიონთა შესახებ კი კონკრეტულად ნათქვამია: „დაღათუ იცვალა შემდგომად თამარის ასულისა რუსუდან მეფისა გვარი, არამედ იმერთ მეფეთა ოდენ განისაკუთრეს შეცვალება იგი. და იგინიცა ერისა ცვალებისა არღარა აღსწყდენ, არამედ ამისვე რუსუდანისათა, არიან ძეთაგანნი“ [70, 306]; კიდევ უფრო საინტერესოა მეორე ცნობა: „არღა წყვეტილ იყვნენ ძენი რუსუდანისანი, რომელ არ მეფენი იმერეთანი. და სამეფო მათი დაიპყრეს მათვე და აფხაზეთიცა, ეგრეთვე ოდიში...“ [70, 310].

საკმაოდ ვრცელია ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები, თუმცა ზოგიერთი მათგანი დაზუსტებას საჭიროებს, ზოგი კი ვერც იქნება გაზიარებული: „ხოლო იმერთა მეფეთათჳს, რამეთუ ნარინ-დავით მეფის ძენი კოსტანტინე და მიქელ, ცხადად წერილ არს ცხოვრებასა შინა ჩუენსა... არამედ ამის გამო და წინჴსენებულთა მეფეთა სხუაობითა მივსწუდით ყოფად ნარინ დავითის ჩამომავლობად“, ან „და კუალად ალექსანდრეს ძე დიმიტრიცა ცხადად არს და ძე ამისი ბაგრატი, რომელი მჴდომ იქმნა გიორგი მეფისა...“ [82, 302-303] და ა.შ. შეიძლებოდა სხვა ისტორიულ თხზულებათა ცნობების მოტანაც, მაგრამ, ვფიქრობთ, აღნიშნულიც საკმარისია.

გადავიდეთ რეალური ვითარების განხილვაზე:

XV საუკუნის II ნახევარში იქმნება ყველა პირობა და საფუძველი ბაგრატიონთა სახლის დამოუკიდებელი სამეფო შტოების წარმოსაქმნელად; თავად პროცესი ხანგრძლივი იყო და ბევრად ადრე დაიწყო — XIII-XIV საუკუნეებში განვითარებულ მოვლენებზე უკვე ვისაუბრეთ, ამ კუთხით განხილვას საჭიროებს XV საუკუნე:

ბაგრატიონთა სახლის ვერცერთი სამეფო შტოს წარმოშობის პროცესს სრულად ვერ გავიაზრებთ, თუ მას „ბატონიშვილობის საკითხისა“ და „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტთან მიმართებაში არ განვიხილავთ. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით ალექსანდრე I დიდის ხანიდან თვალნათლივ შეიმჩნევა ბატონიშვილთა და

სამეფო ოჯახის წევრთა სამეფო საქმეებზე გავლენა, რომელთა ინტერესები სახელმწიფო პოლიტიკას მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ ალექსანდრე მეფის შვილები მამის სიცოცხლეში მთელ რიგ დოკუმენტებში „მეფის“ ტიტულით აღინიშნებიან; ზოგჯერ თვით მეფე ალექსანდრე მოიხსენიებს მათ ასეთ რანგში [227, 15, 20, 28]. ამასთან დაკავშირებით, ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „მეფის ოჯახში რაღაც ისეთი განხეთქილება მომხდარა, რომელმაც აიძულა ასე არაჩვეულებრივად მოქცეულიყო და თავისი სიცოცხლის დროსაც თავისი ვაჟიშვილი მეფედ მოეხსენებინა“ [343, 431].

ა)ქართლის ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმოშობის საფუძვლებისათვის:

საქართველოს მეფის უძეო ვახტანგ IV გარდაცვალების შემდეგ († 1446) მეფობა ტახტის მემკვიდრეობითი ფლობის წესის მიხედვით ალექსანდრე I დიდის მეორე ძეს – დემეტრეს ეკუთვნოდა; ბატონიშვილობის საკითხის გამწვავებისა თუ სხვა უცნობი მიზეზების გამო სამეფო ტახტზე გიორგი VIII ადის, რომელიც დემეტრეზე უმცროსი და თან ალექსანდრე I ვაჟი იყო მეორე ცოლისაგან. ბუნებრივია, არსებულ ვითარებაში დემეტრეს თავისი პრეტენზიები განეცხადებინა, მით უმეტეს, როცა მის მოთხოვნებს იურიდიულად კანონიერი საფუძველი გააჩნდა – იგი საერთოდ აქტიური პოლიტიკური ფიგურაა, „წყალს-იქითში“ – გაღმა მხარში „მეფის“ ტიტულით მფლობელობს, ამიტომ ძალაუფლების მოსაპოვებლად გარკვეულ ნაბიჯებს მიმართავს. „პროვინციის მეფეებთან“ დაკავშირებით უკვე აღვნიშნეთ, რომ იძულებულმა ვახტანგ IV აღიარა „პატრონი“ დემეტრეს „წყალს-იქითში“ [281, 135...] მფლობელობა, ხოლო საგანმგეოდ ქცეულმა ამ ისტორიულ-გეოგრაფიულმა „ქვეყანამ“ ისეთი იმუნიტეტი მოიპოვა, რომ საქართველოს მეფეს მასზე ხელი ნაკლებად მიუწვდება. დემეტრეს მიერ ქართლის გარკვეული ნაწილის ფლობას მისი მამის – ალექსანდრე დიდის სიცოცხლეშივე უნდა ჰქონოდა ადგილი. როგორც ჩანს, „წყალს-იქითი“ მისთვის საუფლისწულოს ფუნქციას ასრულებს თავისი „გამზრდელ-გაზრდილებით“, სადაც იგი „მეფის“ ტიტულით იწყებს მფლობელობას; ალექსანდრე I დიდის გარდაცვალების შემდეგ, მისმა ძმამ, საქართველოს მეფე ვახტანგ IV არსებული ვი-

თარება ცნო. ეს არის კლასიკური მაგალითი თავის სამფლობელოში „პროვინციის მეფის“ გამგეობისა. დემეტრე „პროვინციის მეფის“ სწორედ ასეთმა სტატუსმა შექმნა საფუძველი კონსტანტინე II მეფობისათვის, რომელიც ჯერ ზემოაღნიშნულ „ორიანობაში“ გამოიხატა, ხოლო პროცესი, სხვა მიზეზებთან ერთად, დამოუკიდებელი ქართლის სამეფოს ჩამოყალიბებით დასრულდა – დემეტრე „წყალსიქითის“ გამგებლის ვაჟი – კონსტანტინეს II დამოუკიდებელი ქართლის სამეფოს პირველ მეფედ იქცა.

ბ)კახეთის ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმოშობის საფუძვლებისათვის:

ამ შემთვევაშიც ე.წ. ბატონიშვილობის საკითხმა და „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი სიტყვა თქვა. მეფე გიორგი VIII პირველი თანამეცხედრის [281, 153...; 269], ყვარყვარე ათაბაგის ასულის – თამარის საქართველოს სამეფო ტახტზე დედოფლობა 1453 წლამდე გრძელდება; მეორე თანამეცხედრე ნესტან-დარეჯანია, რომლისგანაც მას კახეთის მომავალი მეფე ალექსანდრე I (1476-1511) ეყოლა. XV საუკუნის შუა ხანებში მწვავე შინაპოლიტიკური ბრძოლისა და ყვარყვარე ათაბაგის სეპარატისტული პოლიტიკის შედეგად სამეფო ოჯახში კონფლიქტი წარმოიშვა, რის გამოც ყვარყვარეს ასული – თამარი იძულებული გახდა თბილისი დაეტოვებინა და მამის სამფლობელოში გადასულიყო. მას თან შვილებიც გაჰყოლიან, რაც მეფე-მამასთან ურთიერთობის გაფუჭებაზე მეტყველებს. გიორგი VIII სიგელებში მათ თავის შვილებად არც იხსენიებს, ასეთად მხოლოდ ალექსანდრეა დასახელებული, რომელიც, როგორც აღინიშნა, მას მეორე ცოლისაგან ჰყავდა. უფროსმა ვაჟმა – ვახტანგმა მხოლოდ იმას მიაღწია, რომ „გერგეტის სამების სულთა მატიანეს“ მიხედვით, 1484 წელს არაგვის ხეობაში „მეფედ იქმნა.“ ამ განზრახვაში მას პაპა – ყვარყვარე ათაბაგი უდგას გვერდში. მიუხედავად გიორგი VIII მეფობაში არსებული კრიზისისა, ვახტანგის ხელისუფლება „პროვინციის მეფობაზე“ ზევით ვერ ამაღლდა და, საბოლოოდ, პოლიტიკურ სარბიელზე წარუმატებლობის შემდეგ, ბერად შედგა ვარსიმეს სახელით [281, 157-161].

დამოუკიდებელი სამეფოების წარმოშობის პროცესში გარდამტეხი XV საუკუნის 60-იანი წლები აღმოჩნდა. 1463 წ. ჩიხორის ბრძოლაში

ვასალის მიერ საქართველოს მეფის გიორგი VIII დამარცხებას ქვეყნის ერთიანობისათვის ორი უმძიმესი 1465-1466 წელი მოჰყვა: 1465 წ. ფარავნის ბრძოლაში ყვარყვარე დიდის მიერ ყოფილი სიძის — გიორგი მეფის დამარცხება ერთიანი ცენტრალიზებული სისტემის ფაქტობრივად მოშლას ნიშნავდა. ბაგრატ ბატონიშვილი ქართლში გადმოდის, რის შემდეგაც „ორიანობის" ეპოქა ყალიბდება, რაზეც უკვე იყო ლაპარაკი. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ყვარყვარე ათაბაგი გიორგი მეფეს 1466 წ. ათავისუფლებს, მაგრამ იგი თბილისში ფეხს ველარ იკიდებს და მაინცდამაინც კახეთში გადადის. ეს იმითაა გამოწვეული, რომ მას ამ რეგიონში უფლისწულობის პერიოდში მფლობელობა ჰქონდა და შესაბამისად, თავისი „გაზრდილ-შეზრდილები" ჰყავდა (მაგ., ვაჩნაძეები). გიორგი ბატონიშვილი მამის სიცოცხლეში, როგორც ჩანს, მათზე დაყრდნობით ამ რეგიონში „პროვინციის მეფე" ხდება, რაც ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის 1466 წლიდან აქ მისი ხელისუფლებისათვის; მაგრამ ყოველივეს ასე იოლად არ ჩაუვლია და ამის მიზეზი კვლავ ე.წ. ბატონიშვილობის საკითხი და „პროვინციის მეფეთა" ინსტიტუტის არსებობაა.

მხედველობაში გვაქვს კახეთში დავით „ბატონის" საკითხი:

დავითის რეალურად არსებობა ეჭვს აღარ იწვევს, სადავოა მისი წარმომავლობა — იგი ადგილობრივი ერთ-ერთი ერისთავია თუ ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრი?! ამ საინტერესო პრობლემაზე უკვე გვქონდა ვრცელი მსჯელობა [281, 163...]; აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ XV საუკუნის 60-იან წლებში განვითარებული რთული დინასტიური ბრძოლის პერიპეტიებში ჩათრეული დავითი საეჭვოა არაბაგრატიონი ყოფილიყო. სწორედ ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს ვახუშტი, რომ „ჩვეულება იყო საქართველოს ნათესავთაგან მაშინ, რამეთუ არა ვისმე იპატრონებდიან, უკეთუ ჰყავთ მემკჳდრე მეფეთა ნათესავი," ამიტომ „უკეთუ მონათესავეთაგანი მეფეთა იყოს დავით, მასვე ჟამსა ვერ იკადრებდა მეფედ წოდებად და სწორყოფად და ვერცა გუარობათა მეფეთასა" [82, 565]. დავითის ბაგრატიონობა ხაზგასმულია ზევდგინიძეთა საჩივრის წიგნში, იოანე ბატონიშვილთან, დავით ბატონიშვილთან [149, 135-136] და ნიკო დადიანთან (ამ უკანასკნელის სიტყვებით, „და დავითმა, დაიპყრა ჰერ-კახეთი და იწოდა კახთა მეფედ" [98, 124]). როგორც კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, „ბატონი

დავით“ (ასე იწოდება ზევდგინიძეთა საჩივრის ცნობილ წიგნში) არის დემეტრე „პროვინციის მეფის“ მეორე ვაჟი, ანუ კონსტანტინე II ძმა; ნ. ბერძენიშვილის აზრით, იგი თავიდან 1466 წლამდე გორისა და მისი მიდამოების „პროვინციის მეფეა“ [174, 125], ამის შემდეგ კი კახეთ-ჰერეთშია ფლობამიცემული „მეფის“ ტიტულით, „რომელსა აქუნდა საერისთოდ ანუ საუფლისწულოდ (ვითარცა ჩვეულება არს საქართველოსი) კახეთს ანუ ჰერეთსა შინა“ [82, 566]. სწორედ, ამ დავითის შესახებ აღნიშნავს, იოანე ბატონიშვილი, რომ „გარნა ჯერეთ არ იყო კურთხეული მეფედ და იწოდებოდა მეფედ, რომელსა წერილნი მისი აცხადებენ და ესრეთვე ევროპიელთა მეისტორიენი სწერენ გაყრასა კახთასა და მეფობას დავითისასა. იხილე ძველთა მატიანეთა შინ“ [239, 287]. აქვე უნდა მოვიყვანოთ „ქართლის ცხოვრების“ ჯანაშვილისეულ ხელნაწერში დაცული უკვე მოხსენიებული შენიშვნა: „ეგნატაშვილს მტერობა უმგარი სიცრუე იმას რომ იმერთა და კახთა ჭეშმარიტად მეფენი არიან და ბაგრატოანნი...“ [76, 348]. ეს პასუხია ბერი ეგნატაშვილის სიტყვებზე, რომ „ და ამა დავითის მამა, არა უწყით თუ ვინ იყო;“ ამ საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება სათავეს ვახტანგ VI იღებს, როცა აღნიშნავს: „კახის ბატონის ნათესაობა მრავალს ვეცადე შემეტყო რომელის ტომისაგან იყო და ვერავისგან შევიტყევ...“ [17].

1466 წ. ბაგრატ VI ქართლში გამაგრების შემდეგ, „იწყო პყრობად კახეთისად“, მაგრამ ჰერ-კახთა „არა ინებეს მეფედ თჳსად ბაგრატ“; ამიტომ „ამისი მხილველი განდგა დავითცა ნებითა ჰერეთ-კახთათა, რა არა დაიპყრას ბაგრატ ჰერ-კახნიცა და იწყო წოდებად მეფედ კახთა დავით“ [82, 169]. დავითის კახეთში მფლობელობის სხვა ურთულეს საკითხებზე აქ აღარ შევჩერდებით (კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია), აღვნიშნავთ, რომ მისმა „მეფობამ“ დააჩქარა, ხელი შეუწყო და ნოყიერი ნიადაგი შექმნა კახეთში დამოუკიდებელი სამეფო ტახტის ჩამოსაყალიბებლად, ოღონდ სხვა ბაგრატიონით სათავეში:

ტყეობიდან გათავისუფლებული და კახეთში გადასული გიორგი VIII შეკრებილი სპით „ათაბაგითურთ მოვიდა დავითს ზედა“, რასაც 1466-1469 წლების მწვავე დინასტიური ბრძოლა მოჰყვა (დავითის დიდოეთში გამაგრება, 1469 წ. დავითის „უმეტეს მტ-

კიცედ მეფედ კახთა“ დასმა, ბოდბეს კურთხევა და სხვ...) [281, 169-171]. 1470 წელს დავითი გარდაიცვალა, რომლის ხელისუფლება პრინციპში „პროვინციის მეფის“ სტატუსს არ გასცილებია. ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული ლევანი თუ მართლაც დავითის მემკვიდრეა, მაშინ მისი „გაღარიბების“ მთავარი მიზეზი სწორედ გიორგი მეფეა, რომელიც დამოუკიდებელი კახეთის სამეფოს პირველი ხელმწიფე ხდება.

გ)იმერეთის ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმოშობის საფუძვლებისათვის:

ასევე რთულად იდგა იმერეთის ბაგრატიონთა შტოს წარმომავლობის საკითხი. იგივე ვახტანგ VI ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გაურკვეველია თუ „რომელის ტომისაგან იყო“ იმერეთის მეფეც. უკვე ზემოთ აღნიშნული იყო, როგორ განიხილებოდა ეს პრობლემა შუა საუკუნეების ქართულ ისტორიულ წყაროებში – მათი ერთი ნაწილი იმერეთის სამეფო სახლის სათავეს დავით ნარინიდან ჩამომავლობაში (“ძეთაგანი ნარინ დავითისაგან“) დებს; მაგალითად, ანტონ I კათალიკოსი პირდაპირ აღნიშნავს: „ხოლო საუწყებელ არს ესეცა, რამეთუ ძისაგან რუსუდანისა არიან მეფენი იმერთანი და ძისაგან გიორგისა არიან დღეს რუსთა იმპერიასა შინა მყოფნი ძენი ქართლელთა მეფისანი“ [70, 304]; დავით ბატონიშვილის მიხედვით, „Баграт, имеретинский воевода, объявил себя царем в сей стране, утверждая права свои на присвоение престола тем, что он произошел из поколения царя Давида Нарина...“ [149, 134].

ბაგრატ VI წარმომავლობა ქართულ ისტორიოგრაფიაშიც იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას, მაგრამ 1466 წლის მცხეთისადმი ბოძებულმა სიგელმა და ჯვრის მონასტრის აღაპებში დაცულმა ცნობებმა საბოლოოდ გაარკვია, რომ იგი ალექსანდრე I დიდის ძმის – გიორგი ბატონიშვილის შვილია [257, 102, 107-171]. რაც შეეხება ლიხთ-იქითის „მეფეთა“ შტოს, მისი არსებობა XV საუკუნის I ნახევარში წყდება – „ჩალიანში“ [280] 1402 წელს მოკლული კონსტანტინე ლიხთ-იქითელი „მეფის“ ჩამომავალნი ხელისუფლების მოპოვება-შენარჩუნებისათვის იბრძვიან, მაგრამ საბოლოოდ, ეს ბრძოლა მარცხით მთავრდება და მათი კვალიც ქრება. ლიხთ-იქითის „მეფეთა“ შტოს არსებობამ, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ერთიანი სამეფოს დაშლის

პროცესს და ორად გაყოფის ტენდენციის გაძლიერებას. მან შესაბამისი სააზროვნო სისტემა და „პროვინციის მეფეთა“ ეპოქისათვის დამახასიათებელი თვითშეგნება ჩამოაყალიბა. ყოველივემ ხელი შეუწყო იმ ნიადაგის მომზადებას, რასაც იმერეთის დამოუკიდებელი სამეფო ტახტის წარმოშობა მოჰყვა.

იმერეთის დამოუკიდებელი სამეფოს შექმნის გზაზე მეორე მნიშვნელოვანი ეტაპი ბაგრატ VI მამის — გიორგი ბატონიშვილის სტატუსია: სამთავისის „მეორედ აღმაშენებლის“, ბაგრატ VI დის — გაიანეს წარწერაში მათი მამა-გიორგი „მეფეთ მეფედ“ იწოდება, რაც XV საუკუნის I ნახევრის საქართველოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ქვეყნის გარკვეულ რეგიონში მის „პროვინციის მეფობაზე“ ლაპარაკობს [277]. იმაში, რომ მისმა შვილმა ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI დიდი როლი ითამაშა XV საუკუნის შუა ხანის საქართველოს ცხოვრებაში და ფაქტობრივად შექმნა დამოუკიდებელი იმერეთის სამეფო, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მამის — გიორგი „მეფეთა-მეფის“ მფლობელობა-“ელმწიფობამ“. ამდენად, ალექსანდრე I დიდის ძმის — გიორგის სტატუსმა შესაბამისი როლი ითამაშა იმერეთის ბაგრატიონთა სამეფო სახლის ჩამოყალიბების პროცესში.

იმერეთის დამოუკიდებელი სამეფოს ფორმირებაში მთავარი სიტყვა ბაგრატ VI ეკუთვნის. მას თავისი პოლიტიკის გატარებაში საფუძველი თავდაპირველად მამის მფლობელობის ხასიათმა შეუქმნა; ამას თან დაერთო სამეფო ტახტის სეპარატიზმის წინააღმდეგ მიმართული ზემოაღნიშნული პოლიტიკა — იგი, როგორც სამეფო სახლის უახლესი ნათესავი, ლიხთ-იქითის შემომტკიცების მიზნით, ქუთაისის „სამოქალაქოს“ ერისთავად ინიშნება. ალექსანდრეს I დიდის ძმისწული და მეფე გიორგი VIII ბიძაშვილი, „პროვინციის მეფეთა“ არსებობისა და ცენტრის სისუსტის პირობებში, არ ყაბულდება „უპატიოდ ყოფნას“ და „მეფობისათვის“ იბრძვის. ბაგრატის პირველ ასეთ „გამეფებას“ 1453 წ. აქვს ადგილი, როცა იგი რეალურად ქუთაისის მხარის „პროვინციის მეფეა“; 1460 წ. ყვარყვარე ათაბაგის მიერ ევროპაში გაგზავნილ წერილში იგი ასეც მოიხსენიება — „ქუთაისის მეფე“. ამ პერიოდში ბაგრატის „ელმწიფობას“ ლიხთ-იმერეთის მხოლოდ ერთი ნაწილი აღიარებს [281, 174-175]; მაგრამ ქუთაისის მხარის ერისთავის ასეთ „მეფედ“ განდიდება სრულიადაც არ არის ბაგრატის საბოლოო

მიზანი. იგი აღმოსავლეთ საქართველოს ბაგრატიონთა ჩამომავალია, ამიტომ მის პოლიტიკურ გეგმებში თბილისში გამეფებაა:

1463 წელს ჩიხორის ბრძოლაში გიორგი VIII დამარცხების შემდეგ ლიხთ-იქითის მთავრებმა „მისცეს მას პირი მტკიცე და ჰყვეს მეფედ იმერთა“ [82, 285]. ამ პერიოდიდან იგი „სრულიად იმერთა მეფედ“ იწოდება, თუმცა მისი სტატუსი „პროვინციის მეფის“ უფლებრივ მდგომარეობას მაინც ვერ გასცდა. საკმარისია დავასახელოთ 1464 წლის სიგელი გიორგი VIII გელათის მონასტრისადმი, რომლის მიხედვითაც, კარგად ჩანს, რომ ლიხთ-იმერეთში გიორგი VIII ხელისუფლება ჯერ კიდევ ძლიერია. 1466 წელს ბაგრატი ლიხთ-ამერში გადადის, რასაც, როგორც აღვნიშნეთ, „ორიანობა“ მოჰყვა.

ბაგრატ VI მეფობამ მის ძეს – ალექსანდრე ბატონიშვილს შესაბამისი სტატუსი შეუქმნა. მამის გარდაცვალების შემდეგ, ალექსანდრე არ ემორჩილება კონსტანტინე II სამეფო ტახტს და ლიხთ-იმერეთში გამეფებისათვის იბრძვის – მის თვალსაწიერში, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, განსხვავებით ბაგრატ მეფისაგან, უკვე მხოლოდ დასავლეთ საქართველოა. მან „მოუწოდა დადიან-გურიელს, შარვაშიძეს და გელოვანს, მეგრამ ისინი არ მოვიდნენ“, ამიტომ ალექსანდრე რაჭა-არგვეთში (მის მამას – ბაგრატ VI ამ რეგიონში განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა) „მეფის“ ტიტულით გამაგრდა, რაც რეალურად ამ რეგიონში მის „პროვინციის მეფობას“ ნიშნავს [281, 176]. ეს „მეფობა“ 1478-1484 წლებზე მოდის. ბუნებრივია, კონსტანტინე II საპასუხო ნაბიჯს მიმართა: ამ მიზნით იგი თავის ძეს – დავით ბატონიშვილს (მომავალი დავით X) იყენებს, რომელიც მამის კონსტანტინე მეფის სიცოცხლეში „მეფის“ ტიტულით მოქმედებს. როგორც ჩანს, დავითი ლიხთ-იქითში შესაბამისი სტატუსითა და უფლებრივი მდგომარეობით ბაგრატ VI ძეს – ალექსანდრეს უპირისპირდება, რომელიც რაჭა-არგვეთის დახმარებით ქუთაისის ტახტის დაპატრონებას ცდილობს [281, 172].

პოლიტიკური მოვლენებიდან 1483 წ. არადეთის ბრძოლა ერთ-ერთი გადამწყვეტი აღმოჩნდა – კონსტანტინე მეფის დამარცხების შემდეგ, 1484 წელს ალექსანდრე ბატონიშვილმა „აღიღო ქუთათისი და ეკურთხა მეფედ იმერთა“ [82, 386]. კონსტანტინე მეფე ამას არ ურიგდება, მან მოახერხა კიდეც, რომ „კუალად დაიპყრა იმერეთი, მოვიდა და აღიღო

ქუთათისი“; მაგრამ საერთაშორისო ვითარება იცვლება – იაყუბ ყაენის შემოსევის გამო კონსტანტინემ ლიხთ-იქითი მიატოვა, ხოლო ალექსანდრე ბატონიშვილმა 1489 წელს შემოიმტკიცა „სუანნი, მოირთო რაჭა-ლეჩხუმი“, „ეზრახა დადიან-გურიელსა და დაიზავნა იგინი“, „დაიპყრა ქუთათისი“ და „ლიხს იქითი უმეტეს პირველსა“ [82, 388], რითაც დამოუკიდებელი იმერეთის სამეფოს ჩამოყალიბების პროცესიც ძირითადად დასრულდა.

როგორც ვხედავთ, „პროვინციის მეფეთა“ რაობისა და სტატუსის გარეშე, ბაგრატიონთა სამი დამოუკიდებელი სამეფო შტოს წარმოქმნის მექანიზმის სრულად წარმოდგენა შეუძლებელია.

ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული წყაროებით ჭირს პირდაპირი პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვას – შეიქმნა თუ არა ერთიანი სამეფოს დაშლის დამაკანონებელი იურიდიული აქტი?! მოვლენები ვახუშტის მიხედვით შემდეგნაირად განვითარდა: როცა 1490 წ. ყაენმა თავისი „სპანი“ შემოიყვანა, კონსტანტინე II „ეზრახა“ ათაბაგსა და კახთა ხელისუფალთ, რათა ერთიანი ძალით „თათართა ზედა“ საბრძოლველად გამოსულიყვნენ; მათ „არა ინებეს, რამეთუ ენებათ დამდაბლება მეფისა“ [82, 388]. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, კონსტანტინე II 1490 წელს (თუ მის ახლოს) „დარბაზობა“ მოიწვია, სადაც „განიზრახვიდა, თუ რაჲ ჰყონ განდგომილებისათჳს ქუეყანათა.“ დიდებულების რჩევიდან გამომდინარე – „არა განგიზრახავთ ბრძოლასა“, კონსტანტინე II შექმნილი ვითარება რეალურად შეაფასა და „აღირჩია მშჳდობა“, რის შემდეგაც იგი მხოლოდ დამუკიდებელი ქართლის სამეფოს მეფედ იქცა. საბოლოოდ, დამოუკიდებელ ქართულ სამეფოთა ხელისუფალთ შორის შეთანხმება საზღვრების საკითხზეც მომხდარა [82, 390].

„საქართველო თავად ცოტა იყო“, ამიერიდან, „მრავლად გაყოფილი“ ქართული სამეფოები „ერთმანეთისა მარბევარი და მაწყინარი“ გახდნენ; „იქით ურუმნი ურბევდეს და აქეთ ყიზილბაშნი“ და ქართველებმა მართალია, „აქეთ იქნიეს ჴმალი და იქით... მაგრამ არ იქნა და ვერ რა თავს გაუვიდნენ“ [116, 215]. საქართველო „პოლიტიკურად დაიფლითა“ და „ერთიანი საქართველო მწარე მოგონების საგანი გახდა“ [182, 239, 181]. გვიანი შუა საუკუნეების ისტორიულ თხზულებათა ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ ურთიერთქიშპით გამოწვეული შედეგებისა და ერთიანობის საჭიროების შესახებ: „და

ამით მტერმა უფრო ძალა წამოატანა და დაჩაგრა, თორემ თუ ამათ ერთი პირი ქონებოდათ, ვერცარას უზამდნენ... ამათი საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მესისხლეობით გათავებულა და წამკდარა, მაგრამ ამ საქმეს არც მოკლებიან და არც მოუშლიათ" [96,44]. სწორედ მშვიდობის დამყარების სურვილია გამოხატული იოანე ბატონიშვილის სახელმწიფოებრივი წყობილების რეფორმაში („სჯულდება"): ქართველნი უნდა „მოცლილნი იყვნენ გარეშე მტრისათვის და ურთიერთისა შორის არღა იყოს ხდომა და სიძულვილი" [89, 35].

ამდენად, უდავოა, რომ ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოში განვითარებული აღნიშნული პროცესებისა და „პროვინციის მეფეთა" რაობასტატუსის კვლევა ერთიანი ქართული სამეფოს დაშლის პრობლემატიკას ახალ ელემენტებს სძენს და ამ რთული მექანიზმის უფრო მეტი სისრულით წარმოდგენის საშუალებას გვაძლევს.

საბოლოოდ, აღვნიშნავთ, რომ ე.წ. „ჩიხის" შედეგად ქვეყანა დაიშალა; იგი ბატონყმობის არა გამარჯვების, არამედ მისი გახანგრძლივების ნაყოფი და ქართული ფეოდალური ურთიერთობების განვითარების შეფერხების, სტაგნაციის შედეგია.

თავი IV

ბაგრატიონთა სახლის საგვარეულო განშტოებათა ისტორია XVI-XVIII საუკუნეებში

1. ბატონიშვილობის საკითხი და დინასტიური ბრძოლის ზოგადი სურათი დამოუკიდებელ ქართულ სამეფოებში (XVI-XVIII საუკუნეები)

XV საუკუნის ბოლოს, საქართველოს სამეფოს დაშლის შედეგად, ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში შინაპოლიტიკური და დინასტიური ბრძოლის თვალსაზრისით ახალი ეტაპი დგება. ეს მნიშვნელოვანი ტეხილი ბატონიშვილობის საკითხშიც შესაბამის ცვლილებებს იწვევს. ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებიდან გამომდინარე ბატონიშვილობის ინსტიტუტი ახალ ხასიათს იძენს, მისი ძველი ფორმები ქრება და ახალი იბადება; მათ შორის გაქრა XIV-XV საუკუნეებში არსებული „პროვინციის მეფეთა" ინსტიტუტიც.

საქართველოს სამეფოს დაშლის შედეგად წარმოშობილ ტერიტორიულად მცირე, პატარა ქართულ სამეფო-სამთავროებში ე.წ. „ყნინ მეფეთა" არსებობისათვის აუცილებელი პირობები აღარ იქმნება. ახალ პირობებში დამოუკიდებელი ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფო ტახტები უფრო უნარიანი აღმოჩნდნენ დინასტიური ბრძოლისა და ბატონიშვილობის ინსტიტუტის ასეთი სეპარატისტული ფორმების საარსებო საფუძვლების წინააღმდეგ ბრძოლაში. დაშლისაკენ მიმავალ და „ჩიხის" მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის სამეფო ტახტს XIV-XV საუკუნეებში უჭირს მისი ტერიტორიების შესაბამისი კონტროლირება, სათანადოდ ვერ იბრძვის ცენტრიდანული ძალების წინააღმდეგ, რომელთა შორის „პროვინციის მეფეებიც" არიან. XVI საუკუნიდან ისედაც პატარა სახელმწიფოებში სამეფო ხელისუფლება ამ მხრივ თავის კუთვნილ ტერიტორიას უკეთ უწევს რეგულირებას და ასეთი „მეფეების" მფლობელობისათვის აუცილებელი პირობების არსებობის შესაძლებლობას აღარ უშვებს. ქართულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში სამეფო ტერიტორიალურ-ადმინისტრაციულმა ერთეულმა ძირითადად გადაფარა მთელი ტერიტორია. თუ XIV-XV სს-ში „პროვინციის მეფეთა"

სამფლობელო მამულებს იმუნიტეტი აქვს და იგი ძირითადად გამოყოფილია სამეფო დომენიდან, შემდგომ პერიოდში საბატონიშვილო სამეფო დომენის განუყოფელი ნაწილი ხდება.

პირველ რიგში, შევჩერდეთ ბატონიშვილობის საკითხისა და დინასტიური ბრძოლის საერთო სურათზე XVI-XVIII სს-ში:

სახასოს ფარგლებში XVI-XVIII სს-ში გამოიყოფოდა: 1) მეფის უშუალო განკარგულებაში მყოფი მიწები; 2) საუფლისწულო; 3) სადედოფლო; 4) სამეფო სახლის წევრებისათვის – ბატონიშვილებისათვის გაცემული მიწები [336, 33]. გიორგი VIII-ის მიერ კახეთში გატარებულმა რეფორმებმა ჩვენთვის საინტერესო კუთხითაც სათანადო შედეგები მოგვცა; კახეთი ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებად – სამოურავოებად დაიყო; თავიდანვე (XV ს. ბოლო) და XVI-XVIII სს-ში, სხვა სამეფოებთან შედარებით, კახეთში სამეფო დომენი უფრო ერცელი და ძლიერი იყო. ადმინისტრაციული გამგებლობის თვალსაზრისით, საფეოდალო და საეკლესიო მიწებზე სახასოს გამგებლებს – მოურავებს მიუწვდებოდათ ხელი [336, 34].

ქართლის, კახეთისა და იმერეთის ტახტის მემკვიდრისათვის – უფლისწულისათვის საუფლისწულო ყმა-მამული გამოიყოფოდა, ხოლო ბატონიშვილებს ჩვეულებრივი მამულები ჰქონდათ სამფლობელოდ. დაშლის შედეგად წარმოშობილ დამოუკიდებელ სამეფოთა, ანუ ბატონიშვილობის საკითხის ახალ ეტაპზე საუფლისწულო და სადედოფლო ერთი დედოფლიდან და უფლისწულიდან შემდეგი დედოფლისა და უფლისწულის ხელში გადადიოდა. როგორც საუფლისწულო, ისე საბატონიშვილო პირობით, სამეფო ოჯახის წევრებისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ სამფლობელოებს წარმოადგენდა.

XVI-XVIII სს-ის ქართლის სამეფოში თანდათან „საუფლისწულო“ და „საბატონიშვილო“ იდენტური ხასიათის სამფლობელოებად გადაიქცა; საუფლისწულოს სამეფო დომენიდან გამოყოფა უკვე მარტო ტახტის მემკვიდრის პრეროგატივა აღარ არის, თუმცა მთელ ამ ეპოქაში (XVI-XVIII სს.) ქართლის სამეფოში არის ისეთი მამულები, რომლებიც ტახტის ერთი მემკვიდრიდან მეორის ხელში გადადის [336, 67-68]. ბატონიშვილობის საკითხის თვალსაზრისით, ქართლის სამეფოს თავისი გარკვეული თავისებურება ახასიათებს: XVI ს-ის მიწურულიდან სიუზერენული უფლებები თავადებსა და თავადიშვილე-

ბზე ქართლის სამეფო სახლის წევრებს შორის ნაწილდება; ამ დროიდან დასტურდება ქართლში სადედოფლო სათავადო სახლების არსებობა, ისევე როგორც სამეფო და საბატონიშვილო სათავადო სახლები. სადედოფლო ქართლში უფრო მსხვილ ფეოდალურ სენიორიას წარმოადგენდა, ვიდრე კახეთში; ქართლის დედოფლის მარიამის უფლებები სცილდება ტრადიციულ ფორმებს და მეფის იურისდიქციასაც კი უტოლდება [289, 103]. როგორც საბატონიშვილო, ისე სადედოფლო ყმა-მამულის საბოლოო განმკარგულებელი მეფე იყო, ასეთი თავადები თუ აზნაურები განიხილებოდა როგორც სამეფო სახლის საერთო საკუთრება და მათი უზენაესი სენიორი მეფეა; ეს სამფლობელოები სამეფო დომენის განუყოფელი ნაწილი და დროებით სარგებლობაში გადაცემული საკუთრებაა [336, 101, 131].

ასეთია საკითხის იურიდიული მხარე თუ ნორმები, როცა ვითარება და პრობლემა მოგვარებულია, მაგრამ XVI-XVIII სს-ში, ქართული სამეფოების ურთულესი მდგომარეობის გამო, ე.წ. ბატონიშვილობის საკითხი, ბუნებრივია, სხვადასხვა მწვავე ფორმით დაისმის: ბატონიშვილთა და ბაგრატიონთა სამეფო სახლის მთავარი წარმომადგენელნი უკვე აქტიურად იბრძვიან, რათა მათთვის გადაცემული სამფლობელოების სრული გამნკარგულებელნი გახდნენ; თვითონ ცდილობენ სხვადასხვა გზით მფლობელობისა თუ უფლებრივი სტატუსის გაზრდას და აშკარა ბრძოლის ფორმასაც კი მიმართავენ. ბაგრატიონთა მეორე ნაწილში — სამეფო ოჯახის ნათესავების, ბიძაშვილებისა თუ განსაკუთრებით, სამეფო გვარის გამრავლებულ გვერდით შტოთა წევრებისათვის ბატონიშვილობის საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დაისმის. საერთო სურათის წარმოსადგენად უნდა განვიხილოთ პრობლემის ორი მხარე: ერთი მხრივ, ახალწარმოქმნილი ქართული სახელმწიფოების შიგნით გამწვავებული ბატონიშვილობის საკითხი და მისი მოგვარების გზები, ხოლო, მეორე მხრივ, დინასტიური ბრძოლა თავად დამოუკიდებელ სამეფოებსა და იქ გამეფებულ ბაგრატიონთა დინასტიის სხვადასხვა სამეფო შტოებს შორის:

1. ქართულ სამეფოებს შიგნით არსებობს გამწვავებული ბატონიშვილობის საკითხის სხვადასხვა ფორმა და მათი ზოგიერთ შემთხვევაში მოგვარების გზა: ა) ბატონიშვილთა ერთი ნაწილი, როგორც აღინიშნა, მათთვის საბატონიშვილო მამულების გადაცემით კმაყოფილდე-

ბა; ისინი გარანტირებული არიან სამფლობელო მამულით და იქედან ყოველწლიური შემოსავლის მიღებით. მათ გვერდზე არსებობენ აჯანყებული უფლისწულ-ბატონიშვილები, რომლებიც არც „პროვინციის მეფობას“ და არც „უწყინარი“ ალასტანელის მდგომარეობას აღარ სჯერდებიან, არამედ უშუალოდ სამეფო ტახტისათვის იბრძვიან. მათი ერთი ნაწილი წარმატებასაც აღწევს – მაგ., ალექსანდრე II კახთა მეფის ხელისუფლობის პერიოდში (1574/75-1605) ადგილი აქვს მისი ძის – დავითის ბატონიშვილობის საკითხის უკიდურეს გამწვავებას (მან მამა მეფე ალექსანდრე და ძმა – გიორგი „პატიმარჰყო“), რაც 1602 წ. მისი გამეფებით დასრულდა; თუმცა იგი მალე, იმავე წელს გარდაიცვალა [119, 432; 285, 120]. ბაგრატიონთა მეორე ნაწილი, ამის საპირისპიროდ, სამეფო ტახტისათვის ბრძოლაში კრახს განიცდის – მათი ბატონიშვილობის საკითხის მოგვარებაც ვერ ხერხდება. კვლავ ალექსანდრე კახთა მეფის ხანიდან მოვიყვანთ საინტერესო მაგალითს, კერძოდ, მეფე ალექსანდრეს, მისი ნახევარ-ძმებისა და ძმისწულთა დაპირისპირების ისტორიას:

ალექსანდრე ლევან კახთა მეფის შვილია პირველი თანამეცხედრისაგან – თინათინ გურიელისაგან (ასევე იესე), ხოლო „ყარა მუსალის შამხლის“ ასულისაგან მას ჰყავდა ელიმურზა (ზოგიერთი ვარიანტით – ელიმირზონი, ელმირზა ან ალმირზა), ზოგიერთი ცნობით, გიორგი, ქაიხსრო... [76, 353, 369; 73, 492, 515][1]. ასეთმა ვითარებამ ბატონიშვილობის საკითხის გამწვავება გამოიწვია: ორივე ბანაკს სერიოზული მხარდაჭერა ჰქონდა – შამხლის ქალის „ნაშობნი“ „სჯმონ მეფის მოყურობით გათამამებულნი იყვნენ და განძლიერებულნი არა უმდაბლეს ალექსანდრესა“ [76, 369]; ელიმურზა და ხოსრო-მირზა „დედითაც გამო იყვნენ მეფის სვიმონის ცოლისა, და სამშობლოდ ჰყვანდათ შამხალი, და ამ ორის გზითა და ზურგით უფროს ძმას არა თავს უდებდენ, სძულობდენ“ [73, 515]. ყოველივე გამწვავებული ბატონიშვილობის საკითხის კლასიკური მაგალითია. სიმონ I დიდის თანამეცხედრე – ნესტან-დარეჯანი ლევან მეფის ასული და ელიმურ-

[1] ისტორიული წყაროები ამ საკითხზე ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობებს გვაწვდიან, ამიტომ ლევანის ოჯახის შემადგენლობის საკითხის გარკვევა საკმაოდ ჭირს – ვრცლად იხ. ნასათიანი, კახეთის სამეფო XV-XVI საუკუნეებში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1989, გვ. 360.

ზასა და გიორგის დაა, რომლისგანაც ძმებს „ზურგი“ ჰქონიათ. სავახტანგოსთან დაკავშირებით ქვევით ვრცელი საუბარი გვექნება სიმონ მეფის ტყვეობის პერიოდში ნესტან-დარეჯანის წინააღმდეგ ელიზბარ ქსნის ერისთავისა და ბარძიმ ამილახვრის მიერ ჩადენილი ღალატის შესახებ; აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამ ფეოდალების გამოსვლა მაშინ ხდება, როცა კახეთში დედოფალ ნესტან-დარეჯანის ძმების მარცხი გაიგეს: „ოდეს დაიდასტურეს ქსნის ერისთავმან და ამილახორმან ტყუეობა მეფისა სვიმონისა და სიკუდილი ცოლის ძმებისა მისისა, კახის ბატონის შვილებისა... შეესივნეს დედოფალსა ნესტან-დარეჯანს და იავარ-ყვეს საუნჯენი მისნი“ [73, 515]. ამავე დროს, ბარძიმ ამილახვარი ალექსანდრე მეფეს დამოყვრებია, რომელსაც მისი „მოეყვანა ასული.“ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების მიხედვით, კახეთისა და ქართლის მეფეებს შორის ქიშპი ელიმურზასა და ხოსრო-მირზას დახოცვის შემდეგ ჩამოვარდნილა [73, 526].

ლევან კახთა მეფის გარდაცვალების შემდეგ „დაიპყრა კახეთი ძემან მისმან ელიმურზამ, ხოსრომ... ხოლო ალექსანდრემ შემოიკრიბნა ზემოურნი კახნი, მოვიდა და ეკურთხა ბოდბეს მეფედ“ [82, 576] (ბოდბეს მეფედ კურთხევა კახეთში არსებული რთული დინასტიური ვითარების პირობებში შემთხვევითი არაა, ასეა სხვა პერიოდებშიც, მაგ., დავით „პროვინციის მეფე“ ან ლევან კახთა მეფე). ბატონიშვილობის საკითხის გამწვავებამ ქვეყანა იქამდე მიიყვანა, რომ „განიყვნეს კახნი: რომელნიმე მიერთნენ ალექსანდრეს და რომელნიმე ელიმირზონს და ხოსრო-მირზას“ [73, 515]. ალექსანდრე მეფის „სპითა შემწედ იქნენ“: ბარძიმ ამილახვარი, ელიზბარ ქსნის ერისთავი, დაუთხანი, ხოლო მეფის ნახევარ-ძმების — შამხალი და ლევანი. ბრძოლა ამ უკანასკნელთა დაღუპვით დასრულდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ზემოაღნიშნული ვითარება ოდნავ სხვაგვარად არის წარმოდგენილი: ჯ. ოდიშელის აზრით, ალექსანდრე მეფეს ბრძოლა ძმისწულებთან და არა ძმებთან მოუხდა [285, 103]. ეს მოსაზრება ემყარება „პარიზის ქრონიკისა“ [135, 45] და ერთი ქართული ქრონიკის [383, 5-6, 16] ცნობას, სადაც მეფე ალექსანდრესა და მის ძმისწულებს შორის ჭიაურს ბრძოლაზეა ლაპარაკი; ასევეა ალექსანდრე მეფის ერთ-ერთ სიგელშიც [78, 359]. თითქოს ადგილი აქვს შეუსაბამობას — ძმეები თუ ძმისწულნი, მაგრამ „ახალი ქართლის

ცხოვრების“ მესამე ტექსტი XVI ს. II ნახ-ის ბატონიშვილობის საკითხის ამ ერთ-ერთ საინტერესო ეპიზოდს ნათელს ჰფენს: მეფე ალექსანდრეს წინააღმდეგ ორივე, როგორც ნახევარ-ძმები, ისე ძმისწულნიც გამოსულან: მეფემ მოკლა „ომსა მას შინა ორნივე ძმანი ელიმირზონ და ხოსრო-მირზა, და ძმისწულნი, და დაიპყრა სრულად კახეთი ალექსანდრემ“ [73, 515].

თუ კარგად ჩავუკვირდებით ისტორიულ ცნობებს, მათში დაცული ზოგიერთი ნიუანსი ჩვეოის საინტერესო ბატონიშვილობის საკითხს კიდევ უფრო ნათლად ახასითებს: ლევანის ძე იესე ბატონიშვილი სპარსეთში იქნა მძევლად გაგზავნილი, ამდენად, ტახტის რეალური პრეტენდენტი ალექსანდრე ხდება. ამავე დროს, კახთ ბატონი პირველ მეუღლეს[1] – თინათინს მწვავე კონფლიქტის შემდეგ გაშორდა, ხოლო მეორე ცოლისაგან, როგორც აღვნიშნეთ, მას ასევე ვაჟები შეეძინა. აქედან გამომდინარე, იბადება კითხვა: ლევან მეფემ სიცოცხლეშივე ხომ არ გადაწყვიტა კახეთის ტახტზე შამხლის ასულისაგან შეძენილი პირმშოს აყვანა? როგორც ჩანს, ეს ასეც უნდა იყოს – ვახუშტი აღნიშნავს, რომ „...კახეთიცა ენება მისგან (შამხლის ასულისაგან, – დ.ნ.) შობილისათჳს და არა განტევებულის ძის ალექსანდრესათჳს“ [82, 575]; დედოფალთან კონფლიქტის შემდეგ მეფეს თავისი და თინათინის ძეები ტახტისათვის ჩამოუშორებია: „მრისხანემან ამისათჳს ლევან წარატანა ძენიცა თინათინს“ [82, 572]. ტახტის მემკვიდრედ შამხლის ასულისაგან ნაშობი პირმშო ცხადდება, რაც, ბუნებრივია, ბატონიშვილობის საკითხს ძალზე ამწვავებს.

წინა ეტაპზე, ალექსანდრესა და იესეს როლში მყოფი ბატონიშვილები თუ სხვა გზას ვერ იპოვიდნენ, „პროვინციის მეფობისათვის“ მაინც იბრძოლებდნენ. როგორ მოიქცა ალექსანდრე: ჯ. ოდიშელის აზრით, იგი მამამისის – ლევანის მეფობაში „მეფობას ეჭიდება“, მეფის ტიტულს ისაკუთრებს და რეალური ძალაც გააჩნია; ან მეორე ახსნა – რადგან მემკვიდრეობის წესით, მეფობა იესეს ეკუთვნის, ტახტი კი ალექსანდრე ბატონიშვილმა ჩაიგდო, გამარჯვებულმა შესა-

[1] ლევან მეფეს თინათინთან ერთად შამხალის ასული ცოლად (ნ. ასათიანი), ან ხარჭად (ოჯავახიშვილი) ჰყავდა და მისგან შეეძინა გიორგი.

ძლებელია თარიღების ფალსიფიცირება მოახდინა [285, 103]. ვფიქრობთ, ზემოაღწერილი ვითარება პირველ მოსაზრებას უჭერს მხარს: ალექსანდრე ბატონიშვილს, როგორც ჩანს, თავიდანვე დაუწყია ზრუნვა სამეფო ტახტზე მფლობელობისათვის აუცილებელი ნიადაგის მოსამზადებლად. ამის დამადასტურებელია ის ისტორიული წყაროები, რომლებიც მის მეფობას 1574 წლამდეც აღნიშნავენ [4; 321, 6] (აქვე აღვნიშნავთ, რომ ლევან მეფის გარდაცვალებას 1574 წ. უნდა ჰქონოდა ადგილი, შემდეგ ბატონიშვილებს შორის ბრძოლა მიმდინარეობს; 1575 წ. კახეთის სამეფო ტახტზე უკვე რეალური ძალაუფლებით ალექსანდრე ბატონიშვილი ადის).

ბ) მწვავე დინასტიური ბრძოლისა და ბატონიშვილობის საკითხის მოუგვარებლობის გამო ტახტის მემკვიდრეობის წესი ხშირად ირღვევა. ბუნებრივია, უფლისწულთა ერთი ნაწილი თავისი ლეგიტიმური უფლებების აღდგენას მოითხოვს და ამისათვის აშკარა ბრძოლის ფორმას მიმართავს. ერთ-ერთ ასეთ ფაქტად შეიძლება ალექსანდრე II კახთა მეფის უფროსი ძმის, ტახტის მემკვიდრის იესეს მაგალითი მოვიყვანოთ, რომელიც 1580 წელს სრულუფლებიანი მეფის სტატუსით მოქმედებს — ამ წლის სიგელში იგი იწოდება, როგორც „მეფე პატრონი იესეხანი...“ [34]. კონკრეტულ პერიპეტიებზე ცნობების უქონლობის გამო მსჯელობა ჭირს; ერთი მხრივ, შეიძლება დავუშვათ, რომ გარკვეულ პერიოდში იესე ბატონიშვილმა მცირე ხნით კახეთის სამეფო ტახტზე მეფობას მიაღწია, რომელიც კვლავ ალექსანდრე II დაიბრუნა; მეორე მხრივ, შესაძლებელია, იესემ ასეთი მფლობელობა კახეთის სამეფოს მხოლოდ გარკვეულ რეგიონში მოიპოვა, სადაც ალექსანდრეს ტახტის იურისდიქცია ვერ ვრცელდება.

ხშირად არის საპირისპირო ვითარებაც, როცა განმდგარი ბატონიშვილი არა თუ სამართლიანობის აღსადგენად, არამედ ტახტის მემკვიდრეობითი ფლობის წესის ყოველგვარი დარღვევით მეფობისათვის იბრძვის. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ გიორგი IX (1525-1527) ისტორია: დავით X შემონაზვნების შემდეგ ტახტის მემკვიდრეობის დადგენილი წესი ირღვევა, რადგან ლეგიტიმურად სამეფო ტახტი მეფე დავითის ძეს — ლუარსაბს ეკუთვნოდა. ბერი ეგნატაშვილის სიტყვებით, დავით მეფემ „მისცა მეფობა ძმასა თჳსსა უმრწმესსა გიორგის“ [76, 353]. „მისცა მეფობა“ — ასეთივე ტერმინია ვახუშ-

ტისთანაც. რა იგულისხმება ამ სიტყვებში: ცნობილია, რომ გიორგი IX ქართლის ტახტზე არამყარი მდგომარეობა აქვს, მალე მან ტახტიც დაკარგა [285, 86, 88] და ბერად შედგა გერასიმეს სახელით. 1540 წ. მის მერ მცხეთისადმი შეწირულ სიგელში აღნიშნულია: „გიორგი ბაგრატიონიანმან, ძემან მეფეთ-მეფისა კონსტანტინესმან, ნებითა ღვთისა ყოვლისა საქართველოს თვითმპყრობელთა შარავანდედთა ნათესავმან...“ [226, 37-39]. გიორგი მხოლოდ ბაგრატიონად და მეფეთა ნათესავად მოიხსენიება. XVI ს. „მეფის“ ტიტულისადმი ასეთი დამოკიდებულება რადიკალურად განსხვავდება „პროვინციის მეფეთა“ ეპოქასთან შედარებით, რაც კარგად ლაპარაკობს ბატონიშვილობის საკითხის ისტორიაში სხვადასხვა ეტაპების ცვალებადობაზე.

რამ განაპირობა მისი ხელისუფლების სისუსტე?! ჩვენი აზრით, ისტორიულ თხზულებათა მითითება, რომ დავით X თავის ძმას „მისცა მეფობა“, ძალის გამოყენების გარეშე არ უნდა მომხდარიყო. როგორც ჩანს, გიორგი IX მხრიდან ადგილი აქვს ქართლის ტახტის უზურპაციას (გიორგი IX ხელისუფლების შესახებ საუბარი გვექნება გოჩაშვილებთან დაკავშირებითაც). ჯ. ოდიშელის აზრით, ამ დროს ადგილი ჰქონია საკათალიკოსო ტახტის ძალით დაკავებასაც — კათალიკოს ბასილის მაგივრად მეფე გიორგიმ ძმა — მელქისედეკ ბაგრატიონი გააკათალიკოსა: „ამან დაჰსვა კათალიკოსად ძმა თჳსი მელქისედეკ“ [105, 240]. ამდენად, ადგილი ჰქონია კარგად მომზადებულ შეთქმულებას, რასაც ქართლის სამეფო ტახტზე გადატრიალება მოჰყვა. დავით X ძმათა (გიორგი IX, მელქისედეკ კათალიკოსი) ოპოზიცია „დაემეგობრა“ კახთ ბატონს ლევანს [82, 400], რაც არსებული დინასტიური ბრძოლის პირობებში არ არის მოულოდნელი. როგორც ჩანს, არც დავით მეფის ძე — ლუარსაბ ბატონიშვილი შეგუებია შექმნილ მდგომარეობას და იგი მოკავშირეებს ეძებს — ასეთია, ბაგრატ III იმერთა მეფე, რომლის შესახებ „პარიზის ქრონიკა“ აღნიშნავს, რომ „მისცეს ბაგრატს ქართლი არადეთის წყალს გამოღმა: ალი, სურამი და ახალდაბა“ [135, 41]. ამ საინტერესო ფაქტს 1526 წ. ჰქონდა ადგილი, იმავე წელსვე მიიცვალა ბერად შემდგარი დავით X. ლუარსაბ-ბაგრატ III პოლიტიკური კავშირი იმითაც განმტკიცდა, რომ 1526 წ. ლუარსაბ ბატონიშვილმა „შეირთო ცოლად მეფის ბაგრატის ასული თამარი“; სწორედ სიმამრის დახმარებით მოახერხა მან ტახტზე

ასვლა — „მეფობდა ლუარსაბ ძალითა და შეწევნითა ბაგრატისათა“ [76, 493]. ამდენად, ერთ მხარეს გიორგი IX და ლევან კახთა მეფეა, ხოლო მეორე ბანაკში ლუარსაბ I და ბაგრატ III იმერთა მეფე.

დინასტიური ბრძოლისა და ბატონიშვილობის საკითხის ამ მაგალითის განხილვა კიდევ ერთი პრობლემის გახსნაში გვეხმარება: ქართული ისტორიული წყაროებით ნათლად არ ჩანს, თუ ვინ განახორციელა ბაგრატ მეფისათვის არადეთის გამოღმა მხარის — ალის, სურამისა და ახალდაბის გადაცემა. განხილვის შედეგად გამოდის, რომ ეს ფაქტი ლუარსაბის სახელს უკავშირდება; ცნობილი ხდება ასეთი ნაბიჯის გამომწვევი მიზეზებიც და სხვა შესაბამისი პერიპეტიებიც.

გიორგი IX 1527 წ. „დაუტევა მეფობა“, ხოლო შემდგომ პერიოდში ბერად შედგომისას, როგორც ვარაუდობენ, უზურპაციის კვალის მოსპობის მიზნით, მეფედ-ყოფილობის გამხელა აღარ მოახდინა [285, 88]. ვითარების ასეთმა ცვლილებამ უარყოფითად იმოქმედა მელქისედეკ კათალიკოსის მდგომარეობაზეც: საკათალიკოსო ტახტი კვლავ ბასილმა დაიბრუნა, „ხოლო კათალიკოზი მელქისედეკ პირველვე განძებულ იყო და იდგა მონასტერსა არმაზისასა“ [76, 494].

მსგავსი ვითარებაა იმერეთის სამეფოშიც. „უწყინარ“ (ნ. ბერძენიშვილის ტერმინით) ბატონიშვილთა გვერდით არსებობენ სამეფო ოჯახის ისეთი წევრები თუ უახლოესი ნათესავები, რომლებიც უშუალოდ სამეფო ტახტზე აცხადებენ პრეტენზიას. ზოგიერთი მათგანი „პროვინციის მეფეთა“ ეპოქისათვის დამახასიათებელ ძველ ხერხსაც კი მიმართავს და ცენტრისაგან იზოლირებულ ზოგიერთ ისტორიულ პროვინციას იყენებს დასაყრდენად, თუმცა „პროვინციის მეფობას“ აღარ ცდილობს: მაგ., იმერეთის მეფის გიორგი II (1465-1586) ძმა — კონსტანტინე ასეთი ბატონიშვილია; იგი განუდგა ტახტზე ასულ 12 წლის ლევანს და არგვეთის დაპყრობის შედეგად სკანდისა და კაცხის ხელში ჩაგდება მოახერხა. თუმცა კონსტანტინე ბატონიშვილმა მეფის „სახელის დება“ „ვერღა-რა თავს იდვა“ და ლევანმა აღნიშნული ტერიტორიები უკან დაიბრუნა [82, 820]. ბატონიშვილობის საკითხი იმით მოგვარდა, რომ კონსტანტინეს სამფლობელოდ გარკვეული საუფლისწულო მამულები გადაეცა.

გ) ბატონიშვილთა და სამეფო სახლის უახლოეს ნათესავთა მეორე ნაწილი მაღალ სახელმწიფო თანამდებობებს ღებულობს, რაც უზრუნ-

ველყოფს მათ უფლებრივ მდგომარეობას, ბაგრატიონისათვის შესაფერის სტატუსს სძენს და სამეფო კარს საშუალებას აძლევს ამ გზით მათი ე.წ. ბატონიშვილობის საკითხი მოაგვაროს: მაგ.,გოჩაშვილთა განშტოების მამამთავარი – გოჩა ბატონიშვილი მეწინავე ლაშქრის სარდალია; ასევე საბარათიანოს სარდალია რამაზ ბატონიშვილის ძე – ბაგრატ ბატონიშვილი [51; 57] და სხვ. როგორც ქვევით დავინახავთ, ბაგრატიონთა სამეფო სახლის გათავადებულ განშტოებათა წარმომადგენლებსაც, ამ მხრივ, სახელმწიფოში სათანადო ადგილი უკავიათ.

აქვე უნდა შევეხოთ ერთგულ ბატონიშვილთა ერთ ჯგუფს, რომლებიც თავიანთ კუთვნილ უფლებრივ მდგომარეობას სჯერდებიან, მაგრამ სამეფო ტახტისათვის დინასტიური ვითარების არასასიკეთოდ განვითარების პირობებში, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ერევიან და შესაბამის სტატუსს იძენენ: მაგ., სიმონ I დიდის ხანა – სამეფო ტახტის შეჭირვებისა და მეფე-ძმის ტყვეობის პერიოდში ბატონიშვილები (სიმონ დიდის ძმები) დიდ ერთგულებას იჩენენ და სხვა პრეტენდენტთა საპირისპიროდ დატყვევებული მეფის სახელით ქვეყანას მართავენ; ასეთ ბატონიშვილთა რიგშია სიმონ I დიდის ძმა – ალექსანდრე „ბეგი“ ან მეორე ძმა – სავახტანგოს პატრონი ვახტანგ ბატონიშვილი და სხვ. (მათ შესახებ ცალკე ვისაუბრებთ). აღსანიშნავია, რომ ასეთ ბატონიშვილთა შთამომავლები ზოგჯერ ბაგრატიონთა გვარის ძლიერ გვერდით შტოებსაც ქმნიან.

დ) დინასტიური ბრძოლისა და ბატონიშვილობის საკითხის სიმწვავე (საგარეო ფაქტორთან ერთად) განაპირობებს „გამგის“ ინსტიტუტის გაჩენას. ზოგიერთი ბაგრატიონი ქვეყნის „განმგებლობას“ აღწევს, თუმცა „მეფის“ ტიტულამდე ამაღლებას ვერ ახერხებს: სიმონ I დიდის ხანაში ვახტანგ მუხრანბატონი არ ყაბულდება „მუხრანის ბატონობას“ და თუ XIV-XV სს-ში იგი „მეფობას“ დაიჩემებდა, ახლა „გამგის“ სტატუსით მოქმედებს: „არამედ მუხრანის ბატონი ვახტანგ იყო უფლისწულობით, ვითარცა გამგე ქართლისა და მორჩილებდნენ ყოველნი“ [82, 410]. ისიც ცნობილია, თუ როგორ სასტიკად გაუსწორდა ქართლის „გამგეს“ – ვახტანგ მუხრანბატონს ტყვეობიდან მობრუნებული სიმონ I დიდი. ამ კუთხით საინტერესოა მარტყოფის ბრძოლის შემდეგ გიორგი საკაძისა და ზურაბ ერისთავის მიერ ქართლში ქაიხოსრო მუხრანბატონის გაბატონება: „ხოლო მაშინ განმგეთ ქართლისა

დაადგინეს დავით მეფის ძის შვილიშვილი ქაიხოსრო მუხრანის ბატონი", თუმცა, მიუხედავად ამისა, მას „არ გამგეობით ემორჩილებოდნენ" [76, 407].

ე) XVI-XVIII სს-ის მფლობელობა-მმართველობის სხვადასხვა ფორმებს შორის საინტერესოა ზოგიერთი ბატონიშვილის „ნაიბის" (არაბ. მოადგილე, ნაცვალი) ტიტულით მოქმედება: XIV-XV სს-ის ეტაპზე, როცა 1386 წ. მამის – ბაგრატ V ტყვეობის პერიოდში გიორგი ბატონიშვილი მეფის ტიტულით განაგებს სამეფო კარს, იოანე ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ იგი „ნაიბობის სახით" მართავდა; ასეთი სტატუსი ამ პერიოდში „პროვინციის მეფეთა" მდგომარეობას ჰგავდა. ახალ ეტაპზე სხვა ვითარებაა: 1735 წ. დავით II ვაჟი ალექსანდრე ნადირ-შაჰმა ქართლის მეფედ დანიშნა, კახეთში კი იგი „ნაიბის" ტიტულით მოქმედებს; 1801 წ. ქართლ-კახეთის მმართველმა – დავით XII ქართლის „ნაიბად" თავისი უმცროსი ძმა თეიმურაზ ბატონიშვილი დანიშნა; იმერეთში სოლომონ I გარდაცვალების შემდეგ „დასვეს იმერთა ბიძაშვილი მისი დავით არა მეფედ, არამედ ნაიბად, ვიდრე აღზრდადმდე არჩილის ძისა დავითისა, რომელს ეწოდა შემდგომად სოლომანცა" [75, 59].

ვ) ბატონიშვილთა ერთი ნაწილი უფლებრივი მდგომარეობისა თუ მეფობის მოსაპოვებლად უცხო ძალას მიმართავს და წარმატებასაც აღწევს: ზოგიერთი მათგანი სრული ძალაუფლების მოპოვებას აღწევს, მეორენი კი მხოლოდ ქვეყნის გარკვეულ რეგიონზე ახერხებენ თავისი გავლენის მოპოვებას – მაგ.,ე.წ. „სომხით-საბარათიანოს მეფეები" (იხ. ქვევით). ამდენად, ეს ბაგრატიონები ასეთი გზით „აწესრიგებენ" ე.წ. ბატონიშვილობის საკითხს.

2. ბატონიშვილობის საკითხის მეორე მხარეს ქართულ სახელმწიფოებში დამოუკიდებელი დინასტიების წარმოშობა და მათ შორის ურთიერთბრძოლა წარმოადგენს; ეს იგივე დინასტიური ბრძოლაა XV ს. ბოლოდან წარმოშობილ „საქართველოებს"[1] შორის.

ქართლისა და კახეთის დამოუკიდებელი სამეფოების დინასტიურ ბრძოლაში რამდენიმე ეტაპი გამოიყოფა [291]:

პირველი ეტაპია XVI ს. I მეოთხედი – ავ-გიორგისა და დავით X

---

[1] ტერმინი – „საქართველოები" დაცულია გვიანი შუა საუკუნეების ისტორიულ დოკუმენტებში [122, 509, 516, 522].

ურთიერთდაპირისპირება (ვრცლად იხ. სამუხრანბატონოსა და დავითიშვილთა განშტოების წარმოშობასთან დაკავშირებით), როცა დინასტიური ბრძოლა ქართლის ბაგრატიონთა შტოს ჰეგემონობით მიმდინარეობს.

მეორე ეტაპია XVII ს-ის I მესამედი, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება თეიმურაზ I-ის კახეთი და ქართლის სამეფო. ამ დროს ქართლ-კახეთი კახეთის ბაგრატიონთა სამეფო სახლის ხელისუფლების ქვეშ ერთიანდება; თუმცა შემდგომი პერიოდის (XVII ს. 30-70-იანი წწ.) დინასტიური ბრძოლა კვლავ ქართლის ბაგრატიონთა შტოს უპირატესობით მიმდინარეობს — ერთი მხრივ, ესაა ბრძოლა როსტომსა და თეიმურაზს შორის (XVII ს. II მესამედი) და მეორე მხრივ, ვახტანგ V — არჩილისა და ერეკლე I დაპირისპირება (XVII ს. 60-70-იანი წლები). შემდგომი ახალი ეტაპი 1688-1703 და 1703-1723 წლებზე მოდის, რომელიც ბაგრატიონთა შორის „ფარული და აშკარა მეტოქეობა-ბრძოლის" მწვავე პერიოდია [291, 35]. დინასტიური ბრძოლისა და ბატონიშვილობის საკითხის ბოლო დამოუკიდებელ ეტაპს კი თეიმურაზ II — ერეკლე II ხანა წარმოადგენს.

2. ბაგრატიონთა სამეფო სახლის საგვარეულო განშტოებათა წარმოშობა

თეიმურაზ II მიერ კონსტანტინე მუხრანბატონისათვის 1745 წ. ნაბოძებ მუხრანბატონთა ვერცხლის მრგვალი დროშის წარწერაში აღნიშნულია, რომ მეფე თეიმურაზმა გადასცა „დროშა ესე დიდად ჩინებულსა და ერთგულად ნამსახურსა ნატომსა მეფეთასა მუხრანის ბატონს კონსტანტინეს..." [385, 117]. ყურადღებას იქცევს ტერმინი — „ნატომთა მეფეთა", რომელიც მუხრანბატონთა მიმართ იხმარება და აღნიშვნაა, რომ ისინი ამ დროს მხოლოდ ბაგრატიონთა სამეფო გვარის „ნატომი" არიან. რა პროცესი იგულისხმება ამ ტერმინის ქვეშ:

როგორც აღინიშნა, საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ, წინა ეტაპთან შედარებით, „პროვინციის მეფეთა" და ე.წ. „ჩიხის" ეპოქის საპირისპირო ვითარება გვაქვს: სახასოს დაქუცმაცებას ადგილი ნაკლებად აქვს, XVI-XVIII სს. საბატონიშვილოები ძირითადად დროებით სარგებლობაში გადაცემული საკუთრებაა და ბატონიშვი-

ლის გარდაცვალების შემთხვევაში, სამეფო დომენიდან მისთვის გადაცემული მიწები, კვლავ ტახტის განკარგულებაში ბრუნდება; ბატონიშვილები (დედოფლებიც) მსგავსი სამფლობელო მამულებიდან ღებულობენ წლიურ შემოსავალს და სამეფო სახლის უახლოეს წევრთა პრობლემაც ამ კუთხით რეგულირდება; ბაგრატიონთა მეორე ნაწილი სხვადასხვა მაღალი სახელმწიფო თანამდებობების მოპოვების საშუალებით შესაბამის უფლებრივ სტატუსს იძენს, მაგრამ მათგან დარჩენილი დიდი უმეტესობისათვის ე.წ. ბატონიშვილობის საკითხის მოგვარება მაინც ვერ ხერხდება. იგი კვლავ მწვავედ დგას და ახალ ნიშან-თვისებებს იძენს.

მთავარი მიზეზი, რომელიც ბაგრატიონთა სამეფო სახლში, ამ მხრივ, ვითარებას ამწვავებს და შესაბამის პრობლემებს წარმოშობს, XVI-XVIII სს-ის ქართულ სამეფოებში შექმნილი ურთულესი საშინაო ვითარებაა – „დაღმავალი“ ფეოდალიზმი, გახანგრძლივებული ბატონყმობის ხანა, მასთან „შეთავსებული“ სათავადოების სისტემა და სხვ. ამ ვითარებას საგარეო ფაქტორის უაღრესად გართულება ეჯაჭვება და ყოველივე ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებაში სტაგნაციას იწვევს. მსგავს რთულ პირობებში სამეფო ოჯახის ნათესავ-ბაგრატიონები თუ განსაკუთრებით, ბაგრატიონთა საგვარეულოს გამრავლებული გვერდითი შტოების წარმომადგენლები, თავიანთი ბაგრატიონობიდან გამომდინარე, ტახტისაგან შესაბამისი სტატუსისა და იურიდიული უფლებების მინიჭებას მოითხოვენ. მათ ზოგიერთ წარმომადგენელს გარკვეული ლეგიტიმური უფლებებიც უჩნდება, რისი გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი XIX ს. დასაწყისში რუსეთის მთავარსარდლობას კარგად აქვს შენიშნული: „Персидский государь имел власть выбирать в грузинские цари по произволу своему кого-либо из Багратионов...“ [141, 126]. ის მომენტი, რომ ირანი და ოსმალეთი ხშირად ყურადღებას არ აქცევს ლეგიტიმურობას და „საქართველოების“ ტახტზე, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, სასურველ ბაგრატიონს ამეფებს, თავის მხრივ, ტახტის მემკვიდრეობითი ფლობის წესის ხშირ რღვევასა და მოუგვარებლობას იწვევს, რასაც ქართულ სამეფოებში მათ გარეშეც ჰქონდა ადგილი. ეს განაპირობებდა ბაგრატიონთა ისედაც გამრავლებული შტოების გვერდით ახალ განშტოებათა წარმოშობას, რომელთაც თავიანთი პოლი-

ტიკურ-ეკონომიკური პრეტენზიები უჩნდებათ. მათი ერთი ნაწილი გარკვეული სამართლიანობის — ლეგიტიმურობის აღდგენას მოითხოვს და სამეფო ტახტის მოსაპოვებლად იბრძვის. ასეთი კუთხით გართულებული პრობლემა ერთმანეთს უპირისპირებს ბაგრატიონთა სამეფო სახლის გამრავლებულ სხვადასხვა შტოებს, რაც, ბუნებრივია, ბატონიშვილობის საკითხს კიდევ უფრო ამწვავებს. მეორე ნაწილი შეიძლება ტახტისათვის არც იბრძვის, მაგრამ მათთვის ბაგრატიონობის შესაბამისი სტატუსის მინიჭებას მოითხოვს. უმთავრესი კი ის არის, რომ ამას პოლიტიკურად და სოციალურ-ეკონომიკურად დაუძლურებულსა და დასუსტებულ სახელმწიფოებში აქვს ადგილი. სამეფო ტახტს თავისი ძველი ფუნქციის შესრულება უკვე აღარ შეუძლია, ანუ უჭირს ამ გამწვავებული პრობლემების მოგვარება.

ვახუშტის სიტყვებით, „ჩვეულება იყო საქართველოს ნათესავთაგან მაშინ, რამეთუ არა ვისმე იპატრონებდიან, უკეთუ ჰყავთ მემკუდრე მეფეთა ნათესავი“ და თუ მეფობის მდომი „მეფეთა მონათესავეთაგანი“ არ იყო, მაშინ იგი „ვერ იკადრებდა მეფედ წოდებად და სწორყოფად და ვერცა გუარობასა მეფეთასა“ [82, 565]; მაგრამ, თავის მხრივ, თავად „მეფეთა მონათესავეთაგან“-თა, ანუ ბაგრატიონთა საგვარეულოს შიგნითაც არსებობდა არაერთი მოსაწესრიგებელი საკითხი. XVI ს-დან ზოგიერთ ბაგრატიონს, მით უმეტეს, ბატონიშვილს შეეძლო და მათმა მცირე ნაწილმა კიდეც მიაღწია მეფობას, მაგრამ სამეფო საგვარეულოს გამრავლებულ წარმომადგენელთა მეორე ფრთა უკვე ვეღარც „გუარობასა მეფეთასა“ ინარჩუნებს, რაც „ნატომი მეფეთა“ წარმოშობას განაპირობებს. ამდენად, ერთიანი ქვეყნის დაშლას ქართლის, კახეთისა და იმერეთის ბაგრატიონთა ძირითადი სამეფო შტოების გვერდით სამეფო სახლის არაერთი განშტოების წარმოშობა მოჰყვა — მომწიფდა ნიადაგი ბაგრატიონთა გვარის გათავადებული შტოების წარმოსაქმნელად:

თუ XIV-XV სს-ის ეტაპზე გვერდითი შტოს ბაგრატიონთა ნაწილი, ფრანგული „აპანაჟების“ მსგავსად, გარკვეულ სამფლობელოებში ბატონობას აღწევს („პროვინციის მეფე“), XVI-XVIII სს-თვის დამახასიათებელ ზემოაღნიშნულ ახალ პირობებში საკითხი კიდევ უფრო მწვავდება, მით უმეტეს, გვერდითი შტოებისათვის. ამ ეტაპზე, ბაგრატიონთა შტოების განსაკუთრებით გამრავლების ვითარებაში,

ბატონიშვილობის საკითხის სიმწვავე უპირველესად მათ უფლებრივ მდგომარეობასა და სტატუსზე იყო დამოკიდებული. XVI-XVIII სს-ის ძნელბედობის ხანაში ბაგრატიონებისათვისაც აქტუალურად დაისმის კითხვა, რომელსაც „პარიზის ქრონიკა“ ასე აყალიბებს: „ჩვენ რაღა პატივი დაგვედების?“ [135, 119]. ბუნებრივიცაა, რომ პირველ რიგში „პატივზე“ პრეტენზია სამეფო სახლის წარმომადგენლებს უჩნდებათ, სიტუაცია კი კრიზისულია: ბაგრატიონობის მიუხედავად არც შესაბამისი „პატივი“ და აღარც „კნინი მეფობა“; უმეტესი მათგანის ვერც სახელმწიფო თანამდებობებით დაკმაყოფილება ხერხდება; „ჩიხის“ სიტუაციაში არსებული რესურსებიც XVI-XVIII სს-ში უკვე აღარ არსებობს. ამის შედეგად, ეს საკითხი ახალ ფორმებსა და ნიშან-თვისებებს იძენს:

ბაგრატიონთა გვარის ერთი ნაწილი, მიუხედავად მცდელობისა, კარგავს ტახტზე ასვლის ყოველგვარ უფლება-საშუალებას, წყვეტს მისთვის ბრძოლას და ყალიბდება როგორც სამეფო საგვარეულოს გვერდითი განშტოება — ადგილი აქვს პრინციპულ განსხვავებას: თუ XIV-XV სს. ეტაპზე ბაგრატიონთა სახლის გვერდითი შტოები უკლებლივ ბაგრატიონებად რჩებიან (მაგ., ალასტანელი ბაგრატიონები), XVI ს-დან, სათავადოების არსებობისათვის ხელსაყრელ პირობებში, ზოგიერთი მათგანი ბაგრატიონობას, ანუ „ვერცა გუარობასა მეფეთასა“ ვეღარ ინარჩუნებს; ყალიბდება ბაგრატიონთა საგვარეულოს გვერდითი განშტოებები — იგივე ბაგრატიონთ-ყოფილთა ახალი თავადური სახლები, რაც ახალ გვართა, ანუ ბაგრატიონთა სახლის გათავადებული შტოების წარმოშობის საფუძველი ხდება [274]. სწორედ, „ვერცა გუარობასა მეფეთასა“ ვეღარ კადრულობა განაპირობებს XVI-XVIII სს-ში „ნატომი მეფეთა“ გაჩენას — მაგ., მუხრანბატონები, რომელთა მფლობელობა მუხრანში, მისი ხასიათიდან გამომდინარე, სათავადოს ჩამოყალიბებაში გადაიზარდა; რაც შეეხება გოჩაშვილებს, მათ გათავადებას ბიძგი სამეფო ტახტის წინააღმდეგ შეთქმულებებში მონაწილეობამ და მათში განცდილმა მარცხმა მისცა.

ბატონიშვილობის საკითხის სიმწვავისა და მისი მოუწესრიგებლობის გამო ბატონიშვილთა ზოგიერთი წარმომადგენელი იძულებულია თავისი სამეფო მიატოვოს და მეორე ქართულ სახელმწიფოში გადავიდეს, რაც მძიმე, იძულებით ნაბიჯს წარმოადგენს. ცნობილია,

რომ ერთი ქართული სამეფოდან მეორეში გადასვლის გამო თავადი სოციალური კატეგორიის კიბეზე ერთი საფეხურით დაბლა იწევდა — მაგ., აბაშიძეები თუ ჯაფარიძეები იმერეთიდან ქართლის სამეფოში გადასვლის შემდეგ მეორე კატეგორიის თავადებად გამოცხადდნენ [336, 120]. შესაძლებელია, ზოგჯერ ასევე ყოფილიყო ბაგრატიონთა შემთხვევაში: მათი ერთ-ერთი შტოს რომელიმე წარმომადგენლის ბაგრატიონთა მეორე სახლის საგანმგებლოში იძულებითი გაქცევა-გადასვლის გამო, როგორც ჩანს, მისი ლეგიტიმური უფლებებიც ირიცხება. ასეთ ბაგრატიონთა შთამომავლებისათვის სამეფო ტახტზე ასასვლელად საჭირო იურიდიული თუ რეალური პირობები აღარ არსებობენ. ამ შემთხვევაში, მიუხედავად ბაგრატიონობისა, ისინი რანგით დაბლა უნდა იწევდნენ, რაც შემდგომში, საბოლოოდ, მათ გათავადებას იწვევს. ასეთ მაგალითად დავითიშვილები შეიძლება მოვიყვანოთ, რომელთა მამამთავარი იძულებული ხდება კახეთიდან ქართლის სამეფოში გადავიდეს.

ბაგრატიონთა სახლის ზოგიერთი გათავადებული განშტოების წარმოშობის პროცესის აღმნიშვნელ ტერმინად „გაგვარება" შეიძლება ვიხმაროთ. ამ გამოთქმას ვხვდებით იოანე ბატონიშვილთან: „...გაიგვარა მამისა თვისისა" სახელის მიხედვით [86, 2] ან „გარნა გაუგვარდათ სახელისა გამო" [87, 29, 41]. ამდენად, საქართველოს სამეფოს დაშლა ბაგრატიონთა სამეფო სახლის ისტორიაში თვისებრივი ტეხილით აღინიშნა, რასაც „გაგვარების" პროცესის, ანუ ბაგრატიონთა საგვარეულოს ზოგიერთი შტოს „ჩამოქვეითების" — „გაღარიბების" შედეგად ახალი სახლების — მუხრანბატონების, დავითიშვილების, რამაზიშვილების, გოჩაშვილების წარმოშობა მოჰყვა.

§1. სამუხრანბატონო[1] და მუხრანბატონთა განშტოება

იოანე ბატონიშვილი თავის ნაშრომში — „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა" აღნიშნავს: „ხოლო მდაბალნი რომელთაც არა ხვდათ მეფობით შთა-

[1] იხ. მონოგრაფია — დ. ნინიძე, მუხრანბატონები, თბ., 1997.

მომავლობა, იხსენებოდენ ტიტლოთი განათლებულესათ, ბრწყინვალე თავადად, ვითარცა არს აწ მუხრანის თავადი, მუხრანის ბატონად წოდებული“ (86, 3). აქ სწორედ ის მომენტია აღნიშნული, როცა XVI ს-დან „მდაბალნი“, ანუ გვერდითი შტოს ბაგრატიონთა ერთი ნაწილის (რადგან „არა ხვდათ მეფობით შთამომავლობა“) თანდათან გათავადება ხდება. ბაგრატიონთა „მდაბალი ნათესაობის“ (ვახტანგ VI-ის ტერმინია) (202, 341) რამდენიმე სახლს შორის, რომლებიც დროთა განმავლობაში სამეფო გვარიდან გამოყოფილ საგვარეულო გათავადებულ განშტოებებად ჩამოყალიბდნენ (მაგალითად, გოჩაშვილები, დავითიშვილები, რამაზიშვილები), განსაკუთრებულ და გამორჩეულ ადგილს მუხრანბატონთა შტო იკავებს. მათ შესახებ იოანე ბატონიშვილი ლაკონიურ დახასიათებს გვთავაზობს: მუხრანბატონები არიან „მეორისა ხარისხით ბაგრატოანად წოდებულნი და პირველნი თავადნი“ (86, 3), ხოლო თეიმურაზ II მიერ კონსტანტინე მუხრანბატონისათვის 1745 წ. ნაბოძებ ვერცხლის დროშის წარწერაში, როგორც აღვნიშნეთ, მათ „ნატომი მეფეთა“ ეწოდებათ; პაპუნა ორბელიანი მუხრანბატონს მოიხსენიებს, როგორც „მეფეთა სახლშვილობითა ხსენებულსა, გვარდიდებულსა და მაღალხარისხობით ჩინებულსა (101, 115), ყანჩაეთის ჟამნგულანში კი ვკითხულობთ: „...ყოველთა ადამიანთაგან უწარჩინესმან, ძირ-მოდგმით იესიანმან და ტომობით აწ პანკრატიონად წოდებულმან“ მუხრაბატონის ძემ ბატონიშვილმა მამუკამ... (96, 44); ხაზგასასმელია იოანე ბატონიშვილის მიერ მუხრანბატონთა მოხსენიების ფორმაც — „მუხრანის თავადი“, ხოლო ვახუშტის მიხედვით, ისინი არიან „მპყრობელი მუხრანისა“ (82, 402); ვახუშტისავე აღნიშვნით, მუხრანბატონები „აწ მთავარნი, არამედ გუარი მეფეთა ბაგრატიონთა არიან“ (82, 34).

პირველ რიგში, შევჩერდეთ ბაგრატიონთა სამეფო სახლის მუხრანბატონთა განშტოების წარმოშობაზე:

XVI ს-ის ქართლში დავით X (1505-1525 წწ.) მეფობისას „არა დასცხრა“ ავ-გიორგი, მან კახეთში ფეხი მოიკიდა და „ნებავდა ქართლიცა“; 1512 წ. მეფეს მისმა ძმამ — ბაგრატმა „გამოსთხოვა მუხრანი საუფლისწულოდ და არაგუსა და კსნის ჟევნი მთიულ-მოჟევითურთ თჯსსა მორჩილებასა ქუეშე“, რათა მტრად აღუდგეს ავ-გიორგის (82, 393), „მაშინ იძულებულმან მეფემან ნება სცა ბაგრატს“, რომელმაც

მუხრანში „ციხე მტკურისა აღაშენა“, „სპითა თჳსითა მზირ-ეყო ქევსა შინა ძალისისასა“, 1513 წ. „შეიპყრა ავგიორგი და პატიმარ-ჰყო მტკურის ციხესა შინა“, სადაც „მოაშთვეს“ კიდეც (82, 394). ამის შემდეგ, ბაგრატმა მუხრანში „ძველი ტახტი განაახლა“ და საცხოვრებლად გადავიდა, რასაც ქართლის შუაგულში ახალი სათავადოს — სამუხრანბატონოს წარმოშობა მოჰყვა, „რომელი არს მიერითგან ერთ სასპასპეტოდ ანუ სადროშოდ, კუალად იტყჳან მიერ ჟამითგან იქმნა ქართლი ოთხ სადროშოდ“.

ბუნებრივია, ეს მნიშვნელოვანი მოვლენა ასე ადვილად ვერ განხორციელდებოდა და მას თავისი გამომწვევი მიზეზები და წინაპირობები ჰქონდა. დ. გვრიტიშვილი აღნიშნავს: „ყოველი სათავადო გარკვეულ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში წარმოიქმნება; ამ მხრივ, რა თქმა უნდა, არც სამუხრანბატონო წარმოადგენს გამონაკლისს. განსხვავება აქ ისაა, რომ სამუხრანბატონო უშუალოდ სამეფო მამულის — სახასო ქონების გამონაყოფს წარმოადგენს, მაშინ, როდესაც ესა თუ ის საამილახორო თუ საერისთავო თავის დროზე საქვეყნოდგამრიგე მოხელის სამოხელეო სარგო იყო და შემდეგში, თანდათან, გადაიქცა ამ მოხელის სამკვიდრო მამულად“ (203, 102). აქ მთავარი და გამორჩეულობა, უპირველეს ყოვლისა, ისაა, რომ წარმოშობილი სათავადოს პატრონნი არა რომელიმე სხვა ფეოდალური გვარის, არამედ თავად სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელნი არიან, რაც ასევე მსჯელობას მოითხოვს. ისიც ხაზგასასმელია, რომ სამუხრანბატონოს წარმოშობა ძირითადად ახსნილია ავ-გიორგის ლაშქრობების ეპიზოდიდან გამომდინარე, სადაც მომავალი პირველი მუხრანბატონი — ბაგრატი ერთ-ერთ პირველ და აქტიურ როლს თამაშობს. უნდა აღინიშნოს, რომ ავ-გიორგის შემოსევებმა მხოლოდ დააჩქარა ეს პროცესი, ხოლო მისი გამოყოფა-წარმოშობის მთავარი მიზეზები იმ პერიოდის საერთო დამახასიათებელ მოვლენებშია საძიებელი.

სამუხრანბატონოს წარმოშობის არსისა და ბაგრატიონთა ამ უმნიშვნელოვანესი გაშტოების ჩამოყალიბების სრული სურათის შესაქმნელად პასუხი უნდა გაეცეს რამდენიმე საკითხს:

1) რატომ დათანხმდა ან რამ გახადა იძულებული დავით X გადაედგა ზემოაღნიშნული ნაბიჯი — გადაეცა ბაგრატ ბატონიშვილისათვის მუხრანის „ქვეყანა“, რასაც სამუხრანბატონოსა და ბაგრატიონთა სამე-

ფო სახლის მუხრანბატონთა განშტოების წარმოშობა მოჰყვა; ეს ხომ სახასო მამულიდან ამ ტერიტორის გამოყოფას ნიშნავდა, რაც ცენტრალური ხელისუფლების კიდევ ერთ მარცხად უნდა შეფასდეს.

2) მართალია, ავ-გიორგის მარცხით „განიხარა სიხარულითა დიდითა" მეფე დავით X, მაგრამ რატომ მაინცდამაინც მუხრანის „ქვეყანა"?! იგი ხომ სტრატეგიულად თუ სოციალურ-ეკონომიკურად უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა, მით უმეტეს, სამეფო ტახტისათვის; თუნდაც ვახუშტის სიტყვები გავიხსენოთ, რომ ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყანა" მუხრანი „პირველ იყო მეფეთა სადგური".

თავიდანვე თვალნათელია, რომ ამ პროცესის განვითარებას ხელი შეუწყო ცენტრის — სამეფო ტახტის სისუსტემ, დავით მეფისადმი საკუთარი ძმების დამოკიდებულების ხასიათმა და ავ-გიორგის პოლიტიკამ — მისმა შემოსევებმა, რომლებიც აჩქარებენ ამ პროცესს: ქართლის ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ალექსანდრე იმერთა მეფის შემოსევა და მის მიერ გორის აღება... ავ-გიორგის შემოსევებსაც დავით X ქმედით წინააღმდეგობას ვერ უწევს — მაგალითად, „...მოუკდა ავ-გიორგი ატენს მეფესა დავითს, ხოლო დავით, უსპობით ვერღარა მბრძოლი, შევიდა ციხესა შინა ატენისასა", ან „და აღდგა ავ-გიორგი დავითზედა და ვერღარა აღუდგა დავით", ამიტომაც გიორგი მეფემ, მიუხედავად მამის — ალექსანდრე I კახთა მეფისა და ძმის — დიმიტრი ბატონიშვილის წინააღმდეგობისა (მათი პოზიციაა: „რამეთუ ძმანი არიან და არა ჯერ არს შენგან ცილობა და დაპყრობა ქართლისა, კმა არს შენთვის კახეთიცა" [82, 393]), „იწყო კირთება, რბევა და ოკრება ქართლისა, რამეთუ ჟამითი-ჟამად მოვიდის·და აოხრებდის". ასეთ ვითარებაში დავით X ძმები დაუპირისპირდნენ მეფის მიერ წარმოებულ პოლიტიკას: „მაშინ რქუეს ძმათა დავით მეფესა ესრეთ ვითარმედ: „მამათა ჩუენთა კახეთი მიუღეს და აწ ქართლისაცა ჰნებავს მიღება, აწ ჩუენცა აღვდგეთ მის ზედა და ვბრძოდეთ მათ". ხოლო მეფემან დავით არა ინება" (76, 350). ვახუშტისთან დავით X კონკრეტული პასუხიცაა დაცული: „...ეტყოდნენ ძმანი მეფესა დავითს წინააღმდეგობასა გიორგისასა; ხოლო იგი მიუგებდა: „სიბოროტისა თჳსისა ნაცვალი მიეგების, რად ვყოთ ჩუენ შფოთი" (82, 393). ძმების პოზიციამ გაიმარჯვა, რომელთა შორის განსაკუთრე-

ბით ბაგრატი აქტიურობს — იგი ამბობს: „მიგვიხუნა კახეთი და აწ ნებავს ქართლისაცა"; სწორედ ამას მოჰყვა ბაგრატის მიერ მუხრანის „საუფლისწულოდ" გამოთხოვა, რაზეც ვახუშტის ხაზგასმით დავით X იძულებით მიდის.

ამდენად, ქართლის სამეფო ტახტის სისუსტე, დავით მეფის ძმების პოზიცია, ბაგრატ ბატონიშვილის აქტიურობა, მუხრანის „ქვეყნის" მისთვის იძულებით გადაცემა და, რა თქმა უნდა, ავ-გიორგის შემოსევები აჩქარებენ სამუხრანბატონოს წარმოშობას, მაგრამ ისიც აშკარად ჩანს, რომ ამ მომენტებთან ერთად არსებობენ სხვა ფაქტორები, რომელთაც განაპირობეს ქართლის მეფის დავით X ასეთი ნაბიჯი და შესაბამისად, სამუხრანბატონოს ანუ მუხრანბატონთა განშტოების წარმოშობა.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ სამუხრანბატონოს წარმოშობის საფუძველია საქართველოში სათავადოების სისტემის ჩამოყალიბება და მისი ფუნქციონირება. მსგავსი პროცესის განვითარებისათვის არსებული ხელსაყრელი ვითარების პირობებში, ბატონიშვილის მამული გადაიქცა პირველი კატეგორიის სათავადოდ, ანუ დიდებული თავადის მამულად (საუფლისწულო დომენი წინა ეტაპზეც არსებობდა საქართველოში, მაგრამ იმ დროს, ის სათავადოდ ვერ გადაიქცეოდა, რადგან სათავადოები მაშინ საერთოდ არ არსებობდა).

მეორე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია თვით პირველი მუხრანბატონის — ბაგრატ ბატონიშვილის თავდაპირველი სტატუსი, რომელიც მას გამუხრანბატონებამდე ჰქონდა. ყურადღებას იქცევს ამ პერიოდში მისი „მეფის" ტიტულით მფლობელობა: ასეა იგი მოხსენიებული გ. წერეთლის მიერ კაცხის მონასტერში მოძიებული ჯვრის ვერცხლის ბუდის კარების წარწერაში: „მე ღვთივ გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფის კონსტანტინეს შვილის შვილმან, მეფის ბაგრატის ასულმან და ათაბაგთ სახლის რძალმან დედის — იმედმან"... (390, 85). ვალეს ეკლესიის წარწერაში ვკითხულობთ: „წ. ნებითა ღმრთისათა მე ღმრთივ გვირგვინოსნის იესიან, დავითიან, სოლომონიან ბაგრატოვანისა ქართველთ მეფეთ-მეფის კოსტანტინეს შვილისშვილმან, მეფის ბაგრატის ასულმან, ათაბაგ-ამირსპასალარის სახლის რძალმან, დედისიმედმან"... (256, 30). ბაგრატი მეფის რანგშია რუსი ელჩების ტატიშჩევისა და ივანოვის ელჩობის (1604-1605 წწ.) აღწერაში: „А Вахтанг деи был

Панкратьев сын; и тот Панкратсй сидел на царстве в Карталинской земле... И после деи Панкрата сел на царстве брат его..." იქვე ასევე ვკითხულობთ: „А Панкратьев сын Вахтан (ვახტანგ მუხრანბატონი, დ.ნ.) пошол на удел" (153, 503). უდავოა, რომ აქ ბაგრატ მუხრანბატონზეა ლაპარაკი, რომელიც რუსი ელჩების მიერ მეფის ტიტულით არის მოხსენიებული. „მესხური ფსალმუნის ქრონიკაში", ანუ „მესხურ მატიანეში" პირდაპირ არის აღნიშნული: „მეფისა მკნისა და ბრძოლასა შინა მიუდრეკელისა, ღვთის მოყვრისა ბატონის ბაგრატ-ყოფილისა ბარნაბასი საუკუნომცა არს საკსენებელი და კურთხევაჲ მისი" (94, 38); იქვე ასევე მინიშნებულია: „ღვთივ გვირგუნოსნისა ქართველთა მეფეთ-მეფისა დიდის კონსტანტინეს შვილის-შვილისა მეფის ბატონის ბაგრატის შვილი ბატონი არჩილ წარმართებულყაენ ღმერთმან სიგრძესა შინა წელთასა, ამინ" (94, 39).

როგორც დასტურდება, ბაგრატ ბატონიშვილს გარკვეული პერიოდი „მეფის" ტიტულითაც ჰქონია მფლობელობა, რაც, ჩვენი აზრით, „პროვინციის მეფეთა" ინსტიტუტის არსებობიდან გამომდინარე, გამუხრანბატონებამდე მის „პროვინციის მეფობაზე" უნდა მიგვითითებდეს. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა „როსტომიანის" ის ნაწილი, რომელიც სერაპიონ სოგრატის ძე საბაშვილის მიერ არის გალექსილი (მისი გალექსვა ბაგრატ მუხრანბატონის დავალებითაა განხორციელებული). აქ ბაგრატი „ელმწიფედ" იწოდება — სერაპიონ საბაშვილი თავის შესახებ ამბობს:

„გრემელთ თავი, ქევის ბერი, ელმწიფეთა თანა ზრდილი".

რომელ ხელმწიფეთა თანაზრდილია სერაპიონი თვით „როსტომიანიდან" ჩანს:

„კონსტანტინე გაყმაწვილდა, მათმან გვარმან გაიხარნა,
მისიმც თავი მორჭმული მყავს, მტერზედ გული ვინც მაფხანა,
ილათი და ჭკვა-გონება ზაალისა მოიკმარნა,
აწე ბაგრატ მოიცალოს, სხუასაცა იქმს შორით ყალნა" (133, 411).

ლაპარაკია ამ პერიოდში მოღვაწე ხელმწიფეებზე — კონსტანტინესა და ბაგრატზე; როგორც ქვევითაც გვექნება საუბარი, ეს მეფეები, რომელთა თანაზრდილია სერაპიონ საბაშვილი, კონსტანტინე II და

მისი შვილი — მომავალი პირველი მუხრანბატონი ბაგრატი არიან. ბაგრატის „ელმწიფედ“ მოხსენიება, ზემოაღნიშნულ ისტორიულ წყაროთა მონაცემებთან ერთად, გარკვეულ პერიოდში მის „კნინ მეფედ“ ყოფნაზე მიგვითითებს. ამ მხრივ, „როსტომიანში“ განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგი სტროფი:

„ბაგრატ ენახე, მარანას ჯდა, მუხრანს შექმნა ნადიმობა,
ელყო საყდართ აშენება, დაიჭირა ბატონობა;
ძველი ტახტი განაახლა, ჰპოა ღვთითა მორჭმულობა,
ნაძლევი ვარ რუსთველისა, თუ მეტი ქნა ჩემოდნობა!“ (117, 90).

ბაგრატმა „მუხრანს შექმნა ნადიმობა“, განაახლა „ძველი ტახტი“, აღაშენა „საყდარნი“ და „დაიჭირა ბატონობა“, — ყოველივე მისი მოღვაწეობის იმ პერიოდს უნდა ეხებოდეს, როცა ბაგრატმა თავის ძმას — დავით მეფეს „გამოსთხოვა მუხრანი საუფლისწულოდ“, რასაც ახალი სათავადოს — სამუხრანბატონოს წარმოქმნა მოჰყვა. რას უნდა ნიშნავდეს მუხრანში „ძველი ტახტის“ განახლება?! ვახუშტის სიტყვებით, მუხრანი „პირველი იყო მეფეთა სადგური“ და ბაგრატმა სწორედ ეს ძველი „მეფეთა სადგური“ განაახლა, ანუ როგორც ბაგრატიონთა გვარისშვილმა აქ მფლობელობა დაიწყო, რასაც მისი მუხრანბატონობა და ბაგრატიონთა სამეფო სახლის ერთ-ერთი განშტოების წარმოშობა მოჰყვა. მანამდე კი ბაგრატი გარკვეული პერიოდის განმავლობაში „პროვინციის მეფეა“, რაც „როსტომიანიდანაც“ ჩანს: მუხრანში ძველი ტახტის განახლებასა და ბატონობის დაჭერამდე მინიშნებულია, რომ „ბაგრატ ენახე, მარანას ჯდა“; ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, „მარანას ჯდა“ შიდა ქართლში მისი „პროვინციის მეფობის“ პერიოდში მფლობელობაზე უნდა ლაპარაკობდეს — მარანა შიდა ქართლში მდებარე ცნობილი ისტორიულ-გეოგრაფიული პუნქტია[1].

---

[1] დ. მეგრელაძე თავის ნაშრომში — დავით აღმაშენებლის მიერ მღვიმის მონასტრისადმი ბოძებულ ანდერძის ტექსტიდან ერთი მონაკვეთის შესახებ („ანამკი“, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 2002), მსჯელობს „ციხე მარანისა“ თუ ღვინის სანახი მარანის შესახებ და ფიქრობს, რომ „მარანის“ ციხის სახელად წაკითხვა გაუმართლებელია (გვ. 154-157). ეფიქრობთ, მარანა-მარანის საკითხს ბაგრატ მუხრანბატონთან დაკავშირებული მომენტების გათვალისწინებითაც უნდა შევხედოთ; მით უმეტეს, „ციხე მარანასა“ ჯერ კიდევ „მატიანე ქართლისაჲში“ იხსენიება, ხოლო შიდა ქართლის სოფ. მარანში სათანადო საფორტიფიკაციო ნაგებობის ნაწილიც (მარანას კოშკი) არის შემორჩენილი (იხ. დ. ნინიძე, მუხრანბატონები, თბ., 1997, გვ. 74).

როგორც აღვნიშნეთ, XV ს. ბოლოს, საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ, „პროვინციის მეფეთა“ საარსებო პირობები გაქრა და შესაბამისად, ბაგრატის „მარანას ჯდომა“-ც დასრულდა. XVI ს. დამდეგს, ახლა უკვე ქართლის სამეფოში, კვლავ მწვავედ დადგა ბატონიშვილობის საკითხი — ბაგრატი „მეფის“ ტიტულისა და „პროვინციის მეფის“ სტატუსის სანაცვლოდ, მისი აქტიურობის შედეგად, მუხრანის „ქვეყნის“ სამფლობელო მამულად ქცევას აღწევს. მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატს „არაგჯსა და კსნის ქევნი მთიულ-მოქეეითურთ თჯსსა მორჩილებასა ქუეშე“ ჰყავს, იგი „მეფობას“ ველარ ინარჩუნებს და შესაბამის უფლებრივ მდგომარეობასაც კარგავს; სამაგიეროდ, იგი იწყებს ბრძოლას მისთვის შესაფერისი მფლობელობის მოსაპოვებლად. ბატონიშვილობის საკითხის სიმწვავე მოითხოვს მისი რაიმე გზით მოგვარებას — დავით X შექმნილ ვითარებაში პრობლემის გადაწყვეტის სხვა საშუალება აღარ რჩება და იძულებით ნაბიჯზე მიდის, თანხმდება პრობლემის ასეთი კუთხით გადაწყვეტას — მისთვის მუხრანის საუფლისწულოდ გადაცემის შედეგად, ბაგრატმა „როსტომიანის“ სიტყვებით, იქ „დაიჭირა ბატონობა“, რასაც მისი მამულის არა „პროვინციის მეფის“ სამფლობელოდ, არამედ ახალ სათავადოდ — სამუხრანბატონოდ ჩამოყალიბება მოჰყვა. ბაგრატი „მუხრანბატონად“ იწოდა, ხოლო გამუხრანბატონება ახალ ეტაპზე (დაშლის შემდეგ) გამწვავებული ბატონიშვილობის საკითხის „მოგვარების“ გარკვეულ ხერხად იქცა, რამაც ქვეყნის ცენტრალიზაციის საქმეში უარყოფითი როლი ითამაშა. კარგად ჩანს, რომ მუხრანის საუფლისწულოდ მიღებასა და მის სათავადოდ ქცევაში ბაგრატის როგორც „პროვინციის მეფის“ სტატუსმა სათანადო როლი ითამაშა — ხელი შეუწყო მისი ჩანაფიქრის აღსრულებას. ამიტომაც, მუხრანბატონობის ერთ-ერთ მიზეზად „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის არსებობაც უნდა მივიჩნიოთ — ბაგრატის „პროვინციის მეფის“ სტატუსის გაუთვალისწინებლად ამ პროცესის სრულ სურათს ვერ შევქმნით. ფაქტია, რომ ამ ინსტიტუტის არსებობის გარეშე „ ჯერეთ არ კურთხეული“ ბაგრატის „მეფედ“ მოხსენიება ძნელი ასახსნელი იქნებოდა. ამდენად, „პროვინციის მეფეთა“ ბოლო წარმომადგენელი — ბაგრატი პირველი მუხრანბატონი და ბაგრატიონთა სამეფო სახლის ამ უმსხვილესი განშტოების მამამთავარი ხდება.

„პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის არსებობა და ბაგრატის გამუხრანბატონებამდე აქტიურობა — „მეფის“ ტიტულით (ანუ „პროვინციის მეფის“ სტატუსით) მოღვაწეობის გაუთვალისწინებლობა გარკვეულ გაუგებრობას იწვევდა — ამ „მეფე“ ბაგრატს ეძებდნენ სხვადასხვა ეპოქაში და ბაგრატიონთა გვარის სხვა წარმომადგენელთან ახდენდნენ მის იდენტიფიკაციას; მაგალითად, „როსტომიანის“ დათარიღების საკითხი, როცა მასში ბაგრატ „მეფის“ მოხსენიების გამო, „როსტომიანის“ გალექსვის ფაქტი XVI ს-დან XIV ს. გადააქვთ.

ჯ. აფციაური ყურადღებას ამახვილებს „როსტომიანის“ ზემოაღნიშნულ სტროფში მოხსენიებული ხელმწიფეების — კონსტანტინესა და ბაგრატის იდენტიფიკაციის პრობლემაზე; უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ბაგრატის ბაგრატ მუხრანბატონთან გაიგივების უარყოფის ცდას წინა პერიოდშიც ჰქონდა ადგილი: ს. კაკაბაძემ იგი ბაგრატ V დიდად (230, 162), ხოლო სერაპიონ საბაშვილი ამ ბაგრატ მეფის თანამედროვედ მიიჩნია (232, 147). მანამდე ბაგრატის მუხრანბატონობასთან დაკავშირებით ეჭვს გამოთქვამდა ა. ხახანაშვილი: „...мы считаем невозможным видеть в нем Баграта Мухранского“ (388, 231).

ჯ. აფციაურის მიერ განსაკუთრებული მნიშვნელობა მინიჭებულია „როსტომიანის“ ერთ-ერთი ჩანართის სათაურის შინაარსზე — „აქა ბაგრატ იენგი ყალა წაუღო მტერთა“. მკვლევრის მსჯელობით, ხოტბის ობიექტი ბაგრატია, იგია მთავარი გმირი, წარმოჩენილია მისი დამსახურება ქვეყნისა და გვარის წინაშე. რაც მთავარია, ხაზგასმულია მის მიერ „იენგი ყალას“[1] აღება, — ამ მონაცემებიდან გამომდინარე, მკვლევარს ეჭვი შეაქვს ბაგრატის მუხრანბატონად მიჩნევაში, რადგან ისტორიული წყაროები არაფერს გვეუბნებიან ამ სახელის მატარებელი პუნქტის ან რომელიმე ციხის აღების შესახებ — მართალია, ბაგრატი „მუხრანს მონადიმედ“ გვევლინება, „მაგრამ ეს მისი მუხრანბატონობის ურყევ არგუმენტად არ გამოდგება, რადგან აღნიშნულ ადგილას რომელიმე სხვა ბაგრატსაც შეეძლო ნადიმი. „ბატონობის დაჭერაც“ შეიძლება როგორც მუხრანის ფლობად, ასევე სამეფო ტახტის პყრობადაც მივიჩნიოთ. ეს უკანასკნელი ვერსია, უფრო დამა-

[1] რაც შეეხება „იენგი ყალას“, ამ საკითხზე ქვეით ზევდგინიძეთა საგვარეულოსთან დაკავშირებით შევჩერდებით.

ჯერებელია, რამდენადაც, ბაგრატი „ძველ ტახტს განაახლებს“. მუხრანბატონობა კი მეფობის სტატუსისაგან შორს იდგა და სცილდებოდა „ძველი ტახტის განახლების“ შინაარსს“ (168, 79).

იმ მომენიდან გამომდინარე, რომ არ არის გათვალისწინებული ბაგრატის „პროვინციის მეფობა“, მკვლევარი შემდეგ დასკვნას აკეთებს: ბაგრატ მუხრანბატონი სამოღვაწეო ასპარეზზე მისი მამის მეფე კონსტანტინე II გარდაცვალებიდან საკმაო ხნის შემდეგ გამოდის, „მამის სიცოცხლეში მას მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებია, მით უმეტეს ისეთი, სახოტბო ხასიათის „ჩანართის“ შინაარსს რომ ესადაგებოდეს. მხოლოდ მუხრანბატონობის მიღების შემდეგ იწყება მისი აქტიური პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეობა“... (168, 79-80). ამ საკითხს აქვე უნდა ვუპასუხოთ: „როსტომიანის“ ერთი ნაწილი სერაპიონ საბაშვილს გალექსილი აქვს კონსტანტინე მეფის სიცოცხლეში (ე.ი. 1505 წლამდე), ხოლო მეორე – ამ მეფის გარდაცვალების შემდეგ; ამდენად, ეს სწორედ ბაგრატის მუხრანბატონობის პერიოდში უნდა მომხდარიყო – აღსანიშნავია, რომ მეორე ჩანართში მხოლოდ ბაგრატი მოიხსენიება (კონსტანტინეს გარეშე); „მუხრანს ძველი ტახტი განაახლა“ – ესეც კონსტანტინე მეფის სიკვდილის შემდეგ ხდება. ამიტომაც, ვერავითარ შეუსაბამობას თუ წინააღმდეგობას აქ ჩვენ ვერ ვხედავთ. აქედან გამომდინარე, და ზემოთ წარმოდგენილი მასალის საფუძველზე, პასუხი ეცემა ასეთ კითხვასაც: როგორ შეეძლო მის სასახელო მოღვაწეობას, რომელსაც მხოლოდ კონსტანტინე მეფის გარდაცვალების შემდეგ ჰქონდა ადგილი, „გაეყმაწვილებინა“ კარგა ხნის აღსრულებული მეფე? „წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა მოვიძიოთ მასალა, რომელიც ნათელყოფს, რომ ბაგრატ მუხრანბატონი ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში გამხდარა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე. ასეთი მასალა კი ჯერჯერობით არ ჩანს“, – აღნიშნავს ჯ. აფციაური. ვფიქრობთ, ზემოაღნიშნულის გამო პასუხი გარკვეულია; ასევე ნათელია, თუ „რატომ უნდა გამოერჩია პოეტს მეფის ხუთი ვაჟიშვილიდან მაინცდამაინც ბაგრატი“ (168, 80).

თუ ჩავთვლით, რომ „როსტომიანის“ ჩანართში ლაპარაკია ბაგრატ V დიდსა (1360-1393 წწ.) და მის მეორე შვილზე – კონსტანტინე I (1407-1412 წწ.), მაშინ ყოველივე ირღვევა: აღნიშნული სტროფებით, ჯერ კონსტანტინეზეა საუბარი, ხოლო შემდეგ ბაგრატზე, ანუ პირვე-

ლი ჩანართის მიხედვით, ბაგრატი კონსტანტინეს მონაცვლეა; ასევე გაუგებარი იქნებოდა გიორგი VII (1393-1407 წწ.) მოუხსენიებლობა, რომელიც ბაგრატ V დიდსა და კონსტანტინე I შორის მეფობს. ამავე დროს, რა არგუმენტები არსებობს, რომ „იენგი ყალას" აღების ფაქტი მაინცდამაინც ბაგრატ V და თემურ ლენგის ხანას უკავშირდება?! ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით ამის დამადასტურებელი არაფერი ჩანს. ისევ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ „როსტომიანის" ამ სტროფში აშკარაა სხვა მიმდინარეობა — ჯერ კონსტანტინე და მერე ბაგრატი და არა პირიქით; განა გამოთქმა, რომ კონსტანტინე მეფის გვარის „გაიხარნას" შემდეგ „აწე ბაგრატ მოიცალოს, სხვასაცა იქმს შორით ყალნა", ამაზე არ ლაპარაკობს?! ამავე დროს, ბაგრატV დიდის პერიოდში კონსტანტინე ბატონიშვილი პოლიტიკურ ასპარეზზე ნამდვილად არ ჩანს, განსხვავებით უფროსი ძმის — გიორგი უფლისწულისაგან (გიორგი VII).

აღსანიშნავია, რომ ჩვენთვის ამ საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ზემოაღნიშნულ ავტორს დაშვებული აქვს ფაქტობრივი უზუსტობა: ბაგრატს კონსტანტინე ბატონიშვილი თითქოს მეორე ცოლისაგან — ანასგან შესძენია, ხოლო პირველი თანამეცხედრე ელენე დედოფლისგან — გიორგი და დავითი (168, 81). დღეს საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ბაგრატ დიდის ძეები — გიორგი VII და კონსტანტინე I ელენესგან, პირველი მეუღლისგან (+1366 წ.) ჰყავს, ხოლო მეორე — დავით ბატონიშვილი ტრაპიზონის კეისრის ასულ ანასაგან.

დაბოლოს, ვიმსჯელოთ ბაგრატ მუხრანბატონის მიერ „მეფის" ტიტულის ფლობაზე: „...თუ სერაპიონი სათავადოს პატრონს — ბაგრატ მუხრანბატონს მაინც „მეფეს" უწოდებს, მაშინ ჩვენ შემონახული გვქონია, სათავადოთა ისტორიის თვალსაზრისით, ძვირფასი ცნობა, მაჩვენებელი თავადთა სახლის ისეთი გაძლიერებისა, რომ მისი მესვეურის მეფის ტიტულით მოხსენიებაც კი შეიძლებოდა" (168, 85). ვფიქრობ, ზემოთ უკვე ვუჩვენეთ, რომ ბაგრატის „მეფის" ტიტულით მოღვაწეობას სწორედ მის გათავადებამდე აქვს ადგილი, ხოლო ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ, კერძოდ, XVI ს-დან, როცა ასეთი „კნინი მეფეების" საარსებო პირობები გაქრა, მათი „პატივის" საკითხი სხვადასხვა გზით „მოგვარდა" — ბაგრატის „მეფის" ტიტულით მოღვაწეობა განაპირობებს მის შესაბამის პოლიტიკურ ძლიერებასა და

გავლენას, რაც XVI ს. 10-20-იან წლებში ქმნის საფუძველს, გართულებული შიდაპოლიტიკური და დინასტიური ბრძოლის პირობებში, ქართლის შუაგულში სათავადო-სამუხრანბატონოს ჩამოსაყალიბებლად. ასე რომ, ჩვენ ამ შემთხვევაშიც არ გვაქვს ისეთი ცნობა, რომელიც დაადასტურებდა სათავადო სახლის „მესვეურის მეფის ტიტულით მოხსენიებას“.

რაც შეეხება კონსტანტინე — ბაგრატთან დაკავშირებით, რომ „მათმან გვარმან გაიხარნა“: ეს უნდა ნიშნავდეს, რომ ბაგრატიონთა ეს შტო გარკვეულ პერიოდში დამცრობილ — „გაღარიბებული“ იყო, თუნდაც ბაგრატ VI და გიორგი VIII შტოების ბატონობის პერიოდში; მისი მამა — დიმიტრი მხოლოდ „პროვინციის მეფეა“, ამიტომ ეს მომენტიც განაპირობებს ბატონიშვილობის საკითხში, საწყის ეტაპზე, მათ გარკვეულ სისუსტეს; მაგრამ შემდეგ კონსტანტინე ბატონიშვილმა მეფობა მოიპოვა, ბაგრატიც თავისი საქმიანობის გამო საგრძნობლად გაძლიერდა, რის შედეგადაც, ბაგრატიონთა სახლის ამ განშტოებამ, ანუ „მათმან გვარმან გაიხარნა“.

ამდენად, „როსტომიანში“ „ხელმწიფეთა თანაზრდილობასთან“ დაკავშირებით ლაპარაკია კონსტანტინე II და ბაგრატ მუხრანბატონზე; ბაგრატი რომ მუხრანბატონია, საფუძვლიანად უჩვენეს ზ. ჭიჭინაძემ, ე. თაყაიშვილმა, კ. კეკელიძემ, ა. ბარამიძემ. ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული მასალა ბაგრატის „პროვინციის მეფობის“ სტატუსისა და მისი მფლობელობის ხასიათის შესახებ ყოველივეს არკვევს, თავის ადგილზე ალაგებს და საბოლოოდ ამაგრებს აღნიშნულ მოსაზრებას. აქედან გამომდინარე, „როსტომიანის“ გალექსვის ხანას XIV ს-ით ვერ განვსაზღვრავთ და XVI ს-ის წინა პერიოდში ვერ გადავიტანთ.

დავუბრუნდეთ სამუხრანბატონოს წარმოშობის კონკრეტულ საკითხებს: როგორც აღვნიშნეთ, პირველი მომენტი, რომელიც ამ ახალი სათავადოს წარმოშობის საფუძველს ქმნის, არის საქართველოში სათავადოების სისტემის ჩამოყალიბება და მისი არსებობა.

მეორე ხელშემწყობი საკითხია, ბაგრატ ბატონიშვილის ადრეული, გამუხრანბატონებამდელი სტატუსი — მისი „პროვინციის მეფობა“.

მესამე — სათავადოდ რატომ მაინცდამაინც მუხრანი იქცა და არა რომელიმე სხვა ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყანა“?! ამ პრობლემებზე ვრცლად შევჩერდებით:

უდიდესი სტრატეგიული და სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის მუხრანი სამეფო დომენი იყო და ბატონიშვილს (ამ შემთხვევაში ბაგრატს) საუფლისწულო მამული სწორედ სამეფო დომენიდან შეეძლო მიეღო (და არა ვთქვათ, ქსნის საერისთავოდან, საამილახვროდან, საციციანოდან...), მაგრამ ეს საკითხის ერთი მხარეა; ხაზგასასმელია, მეორე მომენტიც: სამეფო ხელისუფლების დასუსტებისა და „ზარტეხილობის" პერიოდში დავით X ტახტის წინაშე აშკარად დადგა ამ უძველესი სამეფო დომენისა და ხელისუფლების სიძლიერისათვის ძალზე მნიშვნელოვანი რეგიონის (მისი გამაგრება ხომ ქვეყნის თავდაცვის საერთო ინტერესებს შეესაბამებოდა) დაკარგვის საშიშროება. ქართლის სამეფო ტახტს უნდა გადაეწყვიტა მისი გადარჩენისა და შენარჩუნების საკითხი. საშიშროება აშკარა იყო:

1) მუხრანის მომიჯნავე ორი ძლიერი სათავადო — ქსნისა და არაგვის საერისთავო სამფლობელოების გაფართოებისათვის იბრძვის. ინტერესი მუხრანის მიმართ მათი მხრიდან ძალზე იზრდება — ადგილი აქვს მუხრანის „ქვეყანაზე" მათ შემოტევას. ასეთ ვითარებაში, დასუსტებული ქართლის ტახტის მიერ სამეფო დომენის ამ ტერიტორიის დაკარგვა ადვილი იყო.

2) ქსნისა და არაგვის საერთისავოების გვერდით მუხრანის მიმართ აქტიურდებიან მესამე სათავადოს წარმომადგენლები — ზევდგინიძეები: XVს. II ნახევარში ზევდგინიძეთა საგვარეულოში არსებული შინადაპირისპირების პირობებში კონსტანტინე II, მისი ერთპიროვნული მეფობის ხანაში (1478-1505 წწ.), ზევდგინიძეთა ერთი შტო ქართლიდან გააძევა, ხოლო მეორეს (ავთანდილ ზევდგინიძის შვილებს) გორის მოურაობა და საამილახვრო დაუმკვიდრა. მამისა ზევდგინიძე თავის შთამომავლებთან ერთად კახთ-ბატონს შეეხიზნა (236, 112). მათ კახეთში ალექსანდრე I კახთა მეფემ (1476-1511 წწ.) უბოძა „ქვეყანა" ხერკისა — ზედაზნიდან არაგვის გაყოლებით ავჭალამდე. ამ ტერიტორიას გუარამ ზევდგინიძის შთამომავალთა — გუარამიანთა მფლობელობის გამო საგურამო ეწოდა — „... უწოდებენ საგურამოს ხერკითურთ გუარამიანთ გამო", — აღნიშნავს ვახუშტი (82, 537). ავგიორგის ქართლში ლაშქრობებისას ზევდგინიძეთა განდევნილი შტო (მამისა ზევდგინიძის შვილები), ბუნებრივია, განსაკუთრებით აქტიურობს. გუარამ ზევდგინიძის მოძმენი, პირველ რიგში, საამილახვრო-

თი არიან დაინტერესებულნი, ედავებიან რა მასზე ავთანდილ — თაყა ზევდგინიძის შტოს, თუმცა სამუხრანოს გარკვეული მამულებისთვისაც იბრძვიან (236, 112). თაყა ზევდგინიძეს უჭირს მათი მოგერიება, ამდენად, სამეფო ტახტისათვის საშიშროება სამუხრანოს დაკარგვის მხრივ კიდევ უფრო იზრდება.

ამ საკითხთან დაკავშირებით, აქვე უნდა შევჩერდეთ „იენგი ყალას“ პრობლემაზე, ანუ რა იგულისხმება „როსტომიანის“ ჩანართის აღნიშნულ სიტყვებში — „აქა ბაგრატ იენგი ყალა წაუღო მტერთა“;

„იენგი“ ნიშნავს „ახალს“, „ყალა“ კი — „ციხეს“, შესაბამისად მივიღეთ — „ახალციხე“. ამის გამო, ბუნებრივია, ამოტივტივდა ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოქვეყნებულ ზევდგინიძეთა ცნობილ საჩივრის წიგნში დაცული საინტერესო ინფორმაცია, სადაც აღწერილია, თუ როგორ შეიქმნა ზევდგინიძეთა (მომავალ ამილახორთა) საგვარეულო „მამული“: ჯერ სხვილოსის „შოვნაა“ დაფიქსრებული, შემდეგ კი საგვარეულოს მიერ სამკვიდროდ ჩვენთვის საინტერესო მიწების მიღება — „ახალციხე სამოცი კუამლი“ კაცით და „მღუიმე მისითა შესავალითა სასაფლაოდ“ (171, 3-5). ეს წყალობა გიორგი VII წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების შემდეგ, ე. ი. 1386-1387 წწ-ის (270) ახლო ხანებში ხორციელდება. აქედან გამომდინარე, გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს:

როგორც ვხედავთ, ქართლში სოფ. ახალციხე არის ზევდგინიძეთა სამკვიდრო პირველი მამული, ხოლო ამ მამულში მფლობელობის გამო, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგვარეულოს განაყოფებს შორის XV ს. 80-იან წლებში დავაა ატეხილი. XVს. 60-იან წლებში ეს სამკვიდრო მიწები, მათ შორის ახალციხე ზევდგინიძეთა იმ შტოს ეჭირა, რომელსაც, კონსტანტინე II მეფობის დროს, „გაღარიბების“ გამო, კახეთში გადასვლა მოუხდა. როგორც ითქვა, ავ-გიორგის შემოსევებისას მამისა-გუარამ ზევდგინიძის განშტოება გარკვეულ ტერიტორიებს იკავებს. ბუნებრივია, მათ განსაკუთრებული ინტერესი ზევდგინიძეთა უძველესი, მთავარი მამულისადმი — ახალციხისადმი („იენგო ყალა“) ექნებოდათ. ავ-გიორგისა და ზევდგინიძეთა ამ შტოს წინააღმდეგ აქტიურად და წარმატებით იბრძვის კონსტანტინე მეორის ძე — ბაგრატი, მომავალი პირველი მუხრანბატონი, რომელსაც ავ-გიორგის პარალელურად ზევდგინიძეთა ეს განშტოებაც უნდა დაე-

მარცხებინა, რასაც ახალციხის დაბრუნება – მათთვის წართმევაც მოჰყვა. ხომ არ აისახა ეს მომენტი სიტყვებში: „აქა ბაგრატ იენგი ყალა წაუღო მტერთა“?! ასევე ხაზგასასმელია ის მომენტი, რომ სოფ. ახალციხე შემდგომ პერიოდში მუხრანბატონთა კუთვნილება ხდება: იოანე ბატონიშვილი თავის „ქართლ-კახეთის აღწერაში“ ჩამოთვლის სოფლებს, რომლებიც „აწ სამუხრანოზედ ითვლება“ – „თვით მუხრანიანთ ბატონებისა საკუთარი ადგილნი არიან შემდგომნი ესე“ და პირველს სწორედ ახალციხეს ასახელებს (91, 33).

3) მუხრანის დაკარგვის საშიშროება განსაკუთრებით გაიზარდა ავ-გიორგის დროს, მისი ლაშქრობების ხანაში...

ზემოჩამოთვლილი მომენტებიდან გამომდინარე, დავით X რაიმე ღონისძიებებისათვის უნდა მიემართა: იგი სამეფო ტახტის სისუსტისა და მუხრანის რეგიონის მნიშვნელობიდან გამომდინარე იძულებულია აღნიშნული სამეფო დომენის სტატუსი შეცვალოს – „ამ უძველესი დომენის ტრანსფორმაცია ხდება სენიორია-სათავადოდ (სამუხრანბატონო), ოღონდ სამეფო დინასტიის ერთი შტოს მიერ“ (210, 102). ქართლის მეფე დავით X თანახმაა აღნიშნულ ცვლილებებზე, ოღონდაც მუხრანი ბაგრატიონთა ერთ-ერთი შტოს ხელში მაინც დარჩეს და ასეთი ფორმით შენარჩუნდეს მისი ყოფნა სამეფო ხელისუფლების გავლენის სფეროში. ამ ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნის“ ბაგრატიონთა სამეფო გვარის ერთ-ერთი შტოს სამფლობელოდ ჩამოყალიბება, ქართლის ტახტის მხრიდან, მდგომარეობის გამოსწორების გარკვეულ მცდელობად, ღონისძიებად მოჩანს. ქართლის სამეფო ტახტმა ამ სამეფო დომენის „შენარჩუნების“ საშუალებად ბაგრატისათვის მისი საუფლისწულოდ გადაცემა ჩათვალა (მით უმეტეს ბაგრატ ბატონიშვილის სტატუსი მოსაგვარებელი იყო), რასაც ჯ. გვასალია „აუცილებელ რეაქციას“ უწოდებს: სამეფო ხელისუფლება ფიქრობდა, რომ აქ ბაგრატიონთა ერთი შტოს მფლობელობით და ადგილზე ხელისუფლების გაძლიერებით (სამფლობელო ტერიტორიის უშუალოდ ციხეებით დაცვა) შეძლებდა სამეფო დომენის როგორმე გადარჩენას, თუნდაც სათავადოს სახით (210, 102).

დავით X ფიქრით, ასეთი გადაწყვეტილებითა და აღნიშნული გარკვეული ფორმით, იქნებ მოხერხებულიყო სამეფო დომენის ამ ტერიტორიის დაცვა, მით უმეტეს, როცა მეფე ხედავს, რომ შექმნილი ვითარებიდან

გამომდინარე, სამეფო დომენის გადაქცევა სათავადოდ მისი სურვილის დამოუკიდებლადაც მოხდება; ამიტომ მიდის ასეთ ნაბიჯზე, ოღონდ იგი სამეფო დინასტიის ერთი შტოს ხელში მაინც დარჩეს.

ასეთი იყო სამეფო ტახტის პოზიცია, მაგრამ შექმნილი რეალობა ამ ჩანაფიქრს სრულიად სხვაგვარ განხორციელებას უქადდა: ბაგრატ ბატონიშვილის (გარკვეულ პერიოდში „პროვინციის მეფის") საუფლისწულოდ გადაცემული მამული სათავადოდ, ანუ დიდებული თავადის სამფლობელოდ გადაიქცა. სწორედ XV ს. II ნახევარსა და XVI ს. I ნახევარში არსებული სიტუაციის გამო აღნიშნავს ბერი ეგნატაშვილი: „აქა არღარა იცვალებოდა ერისთავნი და არცა თავადნი, ყოველნივე კევსა და სანახებსა და თემთა და ადგილთა მკჳდრ ქმნილიყვნენ, და ვისცა მამულს მისცემდა, მკჳდრად მიეცემოდა"... (76, 348). სწორედ ასეთ მამულად იქცა ბაგრატისათვის მუხრანის „ქვეყანა". არსებულ ვითარებაში ბუნებრივიც ჩანს, რომ ბაგრატ ბატონიშვილს საკუთარი ინტერესები ყველაფერზე მაღლა დაეყენებინა და თავისი „საუფლისწულოს" სამემკვიდრეოდ შემომტკიცებისათვის ეზრუნა (203, 367).

სამუხრანბატონო სათავადოს შექმნა მას ისეთივე ურთიერთობაში აქცევდა სამეფო ხელისუფლებასთან, როგორც ნებისმიერ სხვა სათავადოს; ამიტომაც, ცენტრი ასეთი საშუალებით ამ ტერიტორიას ვერ აკონტროლებს და შესაბამისად, ველარც ინარჩუნებს — იგი სამეფო ხელისუფლებამ კი არა, არამედ სამეფო დინასტიის ერთ-ერთმა განშტოებამ მოიპოვა სამკვიდროდ. ამიერიდან, იგი უკვე „პირველი თავადის" სამფლობელოა და ამ კუთხით მას ტახტთან საერთო ნაკლებად აქვს. ამდენად, ქართლის მეფემ თავისი დომენის აღნიშნული ტერიტორია ველარ შეინარჩუნა — სამეფოში ასეთი ახალი საფეოდალოს გაჩენა კიდევ უფრო ასუსტებს ქართლის ტახტს და ხელს უწყობს სეპარატისტულ ტენდენციებს.

როგორ უნდა შეფასდეს ბაგრატის მოქმედება და მისი მოღვაწეობის შედეგი: გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართლის სამეფოში არსებული „ძნელბედობის ჟამს", რომელიც „მნიშვნელოვანწილად დავითის უნიათობით იყო განპირობებული", ამ ბაგრატმა „თავად იკისრა თაოსნობა და ქვეყნის ბრძოლისუნარიანობის ამაღლების მიზნით საკმაოდ მძლავრი პლაცდარმი შექმნა. 1512 წელს მან სამეფო მამულებისაგან საუფლისწულოდ მიიღო მუხრანი და შექმნა მუხრანის სათა-

ვადო, საბატონო“... (218, 241). ამავე დროს, ბაგრატი დახასიათებულია, როგორც „ენერგიული, ძლიერი, მებრძოლი ხასიათის პიროვნება“, რომელიც „მსგავსად მამამისისა, შეუპოვრად იღვწის ქართლის სამეფოს თავდაცვის განმტკიცებისა და დაქუცმაცებულის შემოერთება-გაერთიანებისათვის“ (218-239). განა შეიძლება ამ მოღვაწეობის შედეგი — ქართლის შუაგულში ახალი ძლიერი სათავადოს გაჩენა ასე შეფასდეს?! ამას ავტორიც გრძნობს და ამიტომაც აღნიშნავს: „ბაგრატის მიზანდასახულობა და ზრუნვა, განემტკიცებინა თავისი საბატონო და ქართლში ავ-გიორგის თარეში აღეკვეცა, ასე თუ ისე, ნაყოფიერი გამოდგა, მაგრამ საბოლოო ანგარიშით ამ საფეოდალოს შექმნა, ისე როგორც ყოველგვარი რღვევა, საქართველოს სამეფოებად და სამთავროებად ადრინდელი დანაწილება, ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლებისა და, ამდენად, სრულიად საქართველოს დასუსტებას, ხოლო შინაურ გამთიშველ ძალთა და გარეშე მტერთა გაძლიერებას იწვევდა“ (218, 242). ვფიქრობთ, ამ საკითხთან დაკავშირებით ორი აზრი არ უნდა არსებობდეს, განა სადავოა, რომ სათავადო-სამუხრანბატონოს წარმოშობა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დაძაბუნების შედეგია?! იგი ხომ ქართლის სამეფოს ცენტრალური ხელისუფლების მარცხზე ლაპარაკობს. ხომ აშკარაა, რომელი უფრო განაპირობებს ქვეყნის ტახტის სიძლიერეს — მუხრანში ცენტრის სახელით მისი მოხელეთა, „მუხრანის მგეთა“ განმგებლობა, თუ სათავადო-სამუხრანბატონოში „პირველი თავადის“ მფლობელობა?!

ქვეყანაში შექმნილი ზემოაღნიშნული ვითარების გადაჯაჭვამ ბაგრატ ბატონიშვილის „პროვინციის მეფობასთან“ და XVI ს. დამდეგს მისი სტატუსის მოუგვარებლობამ ხელი შეუწყო საუფლისწულოდ მიცემული ტერიტორიის სათავადოდ ქცევას, ანუ სამუხრანბატონოდ ჩამოყალიბებას, რამაც ბაგრატიონთა სამეფო სახლში ერთ-ერთი პირველი საგვარეულო განშტოების — მუხრანბატონთა წარმოშობა განაპირობა. ვფიქრობთ, „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტი ბაგრატიონთა ამ გათავებული შტოს გაჩენის ისტორიას ახალ ნიუანსებს მატებს.

მუხრანბატონთა განშტოების წევრები სათავადო მამულის მფლობელნი გახდნენ, მათი ფლობის ხასიათიდან გამომდინარე, ისინი თავადებად ჩამოყალიბდნენ — თავადები კი ბაგრატიონობას ვეღარ ინარჩუნებენ. სამუხრანბატონოს „პირველი თავადი“ უპირველესი ოჯახის

უფროსია, რომლის მეთაურს „მუხრანის ბატონი“ (მუხრანბატონი), ხოლო უმცროსებს „მუხრან-ბატონიშვილი“ (მუხრანბატონიშვილი) ეწოდათ. ბაგრატიონთა ამ განშტოების „სხუანი“ (ი. ბატონიშვილის ტერმინით), ანუ უმცროსი მუხრანელი ბაგრატიონები „მეორისა“ და „მესამისა“ თავადობის „ხარისხისანი“ ხდებიან. იოანე ბატონიშვილი „მეორისა ხარისხით ბაგრატოანად წოდებულნი და პირველნი თავადნი“ — მუხრანბატონების განშტოების განაყოფებსაც ასახელებს: 1) კონსტანტინეს შვილები; 2) ბაგრატის შვილები; 3) სვიმონის შვილები; 4) ივანეს შვილები.

„მუხრანის ბატონთა“ გენეალოგია[1]

შევჩერდეთ ბაგრატიონთა სამეფო სახლის — მუხრანბატონთა განშტოების გენეალოგიის საკითხზე (აქ მხოლოდ „მუხრანბატონებზეა“ ლაპარაკი):

ახლად წარმოქმნილი სამუხრანბატონოს პირველი მფლობელი — ბაგრატ მუხრანბატონი აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგალითად, მისი მოქმედება კახეთის შემოსაერთებლად ავ-გიორგის სიკვდილის შემდეგ; როგორც ცნობილია, ეს ცდა წარუმატებლად დასრულდა. დ. გვრიტიშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს, რომელიც კარგად წარმოაჩენს თავად სამუხრანბატონოს ხასიათს: კახეთის მეფის ამოვარდნა არ უნდა ყოფილიყო ბაგრატის ინტერესებში, „თუ კახეთის სამეფო, როგორც დამოუკიდებელი ერთეული „უკანონო“ იყო, ასევე „უკანონოდ“ მიიჩნევდნენ სამუხრანბატონოსაც და გააუქმებდნენ. ამდენად, დასაშვებად გვეჩვენება, რომ ბაგრატის მისია კახეთში იმიტომ ჩაიშალა, რომ თვით ბაგრატსა და მის მხლებლებს — ამილახორსა და ქსნის ერისთავებს, საკუთარი ინტერესებისათვის ასე ერჩიათ“ (203, 367).

1539წ. (82, 402) ბაგრატი, რომელიც „უფლებდა მუხრანს“, „იგიცა მონაზონ იქმნა“ და ეწოდა ბარნაბე.

შევეცადოთ „მუხრანის ბატონთა“ რიგის დადგენას:

მუხრანბატონთა გენეალოგიის ჩამოყალიბებული სახით წარმოდგენის პირველი ცდა ვახტანგ VI (202, 331...) ეკუთვნის მის მიერ

---

[1] იხ. ჩვენი სტატია სამუხრანბატონოს ისტორიის შესახებ მუხრანბატონთა სრული გენეალოგიით — დ.ნინიძე, სამუხრანბატონოსა და მუხრანბატონთა წარმოშობისათვის, „არტანუჯი“, 5, თბ., 1996.

შედგენილ ბაგრატიონთა გვარის გენეალოგიურ ხეში[1] (ამ გენეალოგიური შტოდან მხოლოდ იმ პირებს მოვიყვანთ, რომელნიც კონკრეტულად „მუხრანის ბატონთა“ რიგის დადგენაში დაგვეხმარება) (333, დამატება №1):



ნუმერაციით აღნიშნული განშტოების წარმომადგენლები სწორედ „მუხრანის ბატონები“ არიან. ვახტანგ VI მიერ მოყვანილი ასეთი ინფორმაცია გვეხმარება ზოგიერთი სადავო საკითხის გადაწყვეტაში, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ბაგრატიონთა სამეფო სახლის ამ განშტოებაში „მუხრანის ბა-

[1] უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაშრომი ბაგრატიონთა სახლის განშტოებათა წარმოჩენის ერთ-ერთ პირველ ცდას წარმოადგენს.

ტონთა“ რიგის დასადგენად მნიშვნელოვანია ბერი ეგნატაშვილის ერთი ცნობა: „ესე ვახტანგ (ვახტანგ V — შაჰნავაზი, — დ.ნ.) იყო თესლი კოსტანტინე მეფისა: თჳთ კოსტანტინედამ თავი მეოთხე, რამეთუ კოსტანტინემ შვა დავით მეფე, გიორგი, მეფე (?) ალექსანდრე, ბაგრატ და მელქისედეკ კათალიკოზი. ამან მეფემან დავით მისცა მუხრანი ძმასა თჳსსა ბაგრატს. და ამან ბაგრატ შეიპყრა ავ-გიორგი, და ამან ბაგრატ შვა ვახტანგ, აშოთან... არჩილ და ერეკლე. ხოლო სამნი ესე ძმანი უძეო ეგნენ, და ვახტანგ შვა თეიმურაზ და ქაიხოსრო, გამგებელი ქართლისა, ხოლო თეიმურაზ შვა ვახტანგ, რომელსა სპარსთა უწოდეს შანავაზ, და კოსტანტინე“ (76, 433):



მუხრანისა და მუხრანბატონთა განშტოების შესახებ მოკლედ მსჯელობს ანტონ I კათალიკოსიც თავის ისტორიულ წერილში — „საქართველო — იმერთა მეფეებთა შთამომავლობანი და გვართა ცვლილებანი ამისა ქვემო მოხსენების“; იგი ლაპარაკობს ვახტანგ V — ბახუტას ქართლის სამეფო ტახტზე ასვლისა და მისი შტოს წარმომავლობის შესახებ: მის დავითისაცა (დავით X, — დ.ნ.) ძმაი მოგვიხსენებიეს სახელით ბაგრატ, ამას ბაგრატს მისცა მეფემან დავით სამთავრო, რომლისა სახელი არს მუხრანი. ხოლო ამის ბაგრატის

ძე იყო ირაკლი და ძე (უნდა იყოს ძმა, — დ.ნ.) ირაკლისი არჩილი, ძე (ძმა, — დ.ნ.) არჩილისა — ვახტანგ, ძე ვახტანგისა — თეიმურაზ, და ძე თეიმურაზისა — ვახტანგ მესამე" (70, 314):



მუხრანბატონთა განშტოების ცალკე გენეალოგიური ხე არ შეუდგენიათ, მაგრამ უძვირფასეს ცნობებს გვაწვდის და მუხრანბატონთა რიგის დადგენაში განსაკუთრებულ დახმარებას გვიწევს გვიანი შუასაუკუნეების ისეთი ისტორიული წყაროები, როგორიცაა „მესხური მატიანე", „პარიზის ქრონიკა", „ქართლის ცხოვრების" გაგრძელებები, ფარსადან გორგიჯანიძე, სეხნია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი, სხვადასხვა ქრონიკული ცნობა...; ზოგიერთი უცხოენოვანი წყაროც და ა. შ. ინფორმაციის სიუხვითა და სიზუსტით გამოირჩევა ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი, რომელიც, ბუნებრივია, როგორც ვახტანგ VI, მუხრანბატონთა სახლის ნათესავია და ამიტომაც, ისტორიული ცნობების შედარებითი ანალიზისას, უფრო მეტად დაეჯერება.

მუხრანბატონთა გენეალოგიის დასადგენად ასევე ინტერესს იწვევს XVIII ს. ბოლოს შექმნილი — „მოკლედ მოთხრობა ქართლისა მეფეთათჳს ბაგრატოვანთა, თუ რომელნი იყუნენ და ანუ ვითარნი რა საქმენი ჰქმნნეს თჳნიერ სხუათა ვრცელთა ამბავთა მათთა მოვიკსენებთ აქა", სადაც ვკითხულობთ: „ხოლო მეფობასა ამა ლუარსაბისსა მონაზონ იქმნა ბიძა მისი ბაგრატცა, პირუსლი ბატონი და მპყრობელი მუხრანისა, და ამანცა დაუტევნა ძენი ესეოდენნი: ვახტანგ, არჩილ, აშოთან... და ირაკლი, და ესე პირველი ძე ბაგრატისა ვახტანგ იქმნა მუხრანის ბატონად" (105, 240). ამ ისტორიულ დოკუმენტს ცალკე

თაბახზე თან ახლავს გენეალოგიური ტაბულა (105, 243-244), რომელიც სწორედ მუხრანბატონთა ისტორიისათვისაა მნიშვნელოვანი (დავასახელებთ მხოლოდ მუხრანბატონებსა და ბაგრატ მუხრანბატონის შვილებს):



ამ გენეალოგიასაც „მუხრანის ბატონთა“ ზოგიერთი წარმომადგენელი აკლია, მაგალითად, ქაიხოსროს ხაზი, მაგრამ იგი მაინც გვეხმარება გარკვეული პრობლემების გადაჭრაში — იგივე პირველ მუხრანბატონთა რიგის დასადგენად თუ სხვ.

მუხრანბატონთა გენეალოგიის შედგენის შემდეგ ცდებს უკვე XIX ს-დან ჰქონდა ადგილი: საინტერესოა, თავად კონსტანტინე ივანეს ძე მუხრანბატონის მიერ 1817 წ. ახლოს შედგენილი და თ. ჟორდანიასათვის გაგზავნილი მუხრანბატონთა შტოს გენეალოგია, რომელიც ამ უკანასკნელმა გამოაქვეყნა კიდეც (119, 530); როგორც ცნობილია, XIX ს. თბილისის სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულოში მიმდინარეობდა ქართველ თავადთა და აზნაურთა გვარების წარმომავლობის დადგენა და მათი შესაბამის ხარისხში აღიარება — ამ დროს საკრებულოში ასეთ გვართა წარმომადგენლები საკუთარ წინაპართა გენეალოგიასაც წარადგენდნენ ხოლმე, რაც გვეხმარება ბაგრატიონთა სახლის განშტოებათა ისტორიის შესწავლის საქმეში (68); მუხრანბატონთა შტო თავადთა ხარისხში თბილისის სათავადაზნაურო საკრებულოს მიერ აღიარებულ იქნა 1820 წ. 20 ნოემბერსა და 1857 წ. 27 ნოემბერს მისი შეტანით ამ გუბერნიის საგვარეულო წიგნის („Родословная книга“) V ნაწილში. მუხრანბატონთა გენეალოგიის შესასწავლად ასევე საინტერესოა „Российская Родословная книга“ (156), რომელშიც დაცულია ინფორმაცია სხვა შტოთა შესახებაც (მაგალითად, დავითიშვილები). „მუხრანის ბატონთა“ რიგის დასადგენად საჭირო ინფორმაცია შემოგვინახა ა. ნატროშვილმა (375) და სხვ.

ბაგრატიონთა სამეფო სახლის მუხრანბატონთა გენეალოგიური ტაბულის შედგენაში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით მ. ბროსესა (395) და თ. ჟორდანიას (119); კონკრეტულად „მუხრანის ბატონთა“ მონაცვლეობის რიგის დადგენაში დიდი წვლილი შეიტანა დ. გვრიტიშვილმა (203). მუხრანბატონთა გენიალოგიური ხის შედგენის ცდას ადგილი ჰქონდა უცხოეთშიც — კ. თუმანოვი (403), ჟ. ფერანდი (397). ბოლო პერიოდში, ქართულ ისტორიოგრაფიაში, ასეთი გენეალოგია მოცემულია ნიკო ბურის მოგონებების დანართში (99), პირთა ანოტირებულ ლექსიკონში (102), მ. სურგულაძისა და მ. ქავთარიას მიერ შედგენილ ტაბულებში (309). ჩამოთვლილ ისტორიულ წყაროებსა

და გამოკვლევებში დაცულ მონაცემებსა თუ შეხედულებებს კონკრეტულ პრობლემებთან დაკავშირებით ქვევით დაწვრილებით შევეხებით.

პირველი პრობლემა „მუხრანის ბატონთა“ რიგის დადგენის საკითხში ბაგრატ მუხრანბატონის ძეების თანამიმდევრობაა, კერძოდ, რომელია ბაგრატის შემდეგ პირველი მუხრანბატონი. საქმე იმაშია, რომ სხვადასხვა წყაროში მათი ჩამოთვლის მიმდინარეობა სხვადასხვაა, ამიტომაც ჭირს ძმებს შორის უფროსის დადგენა, რომელსაც სწორედ „მუხრანის ბატონობა“ უნდა მიეღო. გიორგი IX სიგელსა (226, 38) და „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტში (73, 494) რიგი ასეთია: ერეკლე, არჩილი, აშოთანი და ვახტანგი; ამის საპირისპიროდ, ბერი ეგნატაშვილი პირველ ადგილზე ორჯერ აყენებს ვახტანგს — პირველ შემთხვევაში: ვახტანგი, ერეკლე, არჩილი, აშოთანი და მეორე — ვახტანგი, აშოთან, არჩილი და ერეკლე (76, 355, 433). ვახუშტი, რომელიც ყველაზე ვრცლად მსჯელობს მუხრანბატონთა განშტოების შესახებ, ვახტანგის უფროსობას უჭერს მხარს: ვახტანგი, არჩილი, აშოთანი და ერეკლე (82, 402).

როგორ დგას ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში: ბერი ეგნატაშვილი აშოთანს მოიხსენიებს როგორც „მუხრანის ბატონს“, თუმცა არ აღნიშნავს, რომ მან მუხრანბატონობა მამის — ბაგრატ მუხრანბატონის შემდეგ მიიღო. ეს მოხსენიება საკმარისი აღმოჩნდა, რომ აშოთანი მეორე მუხრანბატონად გამოცხადებულიყო. სწორედ ასეთად თვლის მას დ. გვრიტიშვილი: „რადგან აშოთანი მამის გარდაცვალების შემდეგ კი არ გახდა მუხრანბატონად, არამედ მამის ბერად აღკვეცის შემდეგ, შესაძლებელია, რომ თვით ბაგრატმავე გადასცა აშოთანს თავისი სახელო“ (203, 368); მისი მუხრანბატონობის პერიოდად 1539-1561 წლებია ჩათვლილი, ხოლო 1561 წ. ფხოველებთან ბრძოლაში აშოთანის დამარცხების შემდეგ, თითქოს მუხრანბატონი ხდება მეორე ძმა — ვახტანგი, ე. ი. 1561-1580 წწ. ასეთივე აზრია გატარებული კ. თუმანოვის მიერ შედგენილ გენეალოგიაშიც (403, 142), შესაბამისად ასევეა ჟ. ფერანდისთან, რადგან იგი კ. თუმანოვს ეყრდნობა. თ. ჟორდანია ამის საპირისპიროდ აშოთანს საერთოდ არ მიიჩნევს მუხრანბატონად და ასეთად, ვახტანგ მუხრანბატონის გარდა, სხვა ძმას — ერეკლეს ასახელებს (119, 527), რაც ისტორიული ცნობებით არ დასტურდება.

დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია, რომ ბაგრატ მუხრანბატონის შემდეგ სახლის უფროსი და შიდა ქართლის სადროშოს სარდალი აშოთანია და თითქოს ვახტანგი მხოლოდ მერე ხდება მუხრანბატონი (1561-1580 წწ.). სწორედ ეს აზრია გატარებული ქართულ ენციკლოპედიაში (345, 346).

მივმართოთ ჩვენს ხელთ არსებულ ცნობებს:

ვახუშტი აშოთანზე ვრცლად არ ჩერდება, თუმცა მას დადებითად ახასიათებს, მაგრამ არსად „მუხრანის ბატონად" არ იხსენიებს:

იყო აშოთან სანდო და გამზრახი სვიმონისა (სიმონ I დიდი, — დ.ნ.). ამან აშოთან ზავ-ჰყო და დაიზავნენ სუმონ და ალექსანდრე"... (82, 579). კვლავ ხაზს ვუსვამთ, რომ სწორედ ვახუშტი, რომელიც თავად მუხრანბატონთა ჩამომავალია, აშოთანს ამ წოდების გარეშე მოიხსენიებს — მაგალითად, მისი დაღუპვის ეპიზოდი: „ხოლო აშოთან ძემან ბაგრატ მუხრანბატონისამან ბრძოლა უყო და მოსწყუდნა იგინი და აოტნა (ფხოველნი, — დ. ნ.). გარნა მოიკლა იგიცა მათ მიერ" (82, 407). როგორც ვხედავთ, აღნიშნულია მხოლოდ — „ძემან". სხვა წყაროებშიც (ბერ ეგნატაშვილთან მხოლოდ ერთგან) აშოთანი „მუხრანის ბატონად" არ იწოდება.

ჩვენი აზრით, ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობებით კარგად ჩანს, რომ მეორე მუხრანბატონი ვახტანგია. ვახუშტი ამას პირდაპირ მიგვითითებს (ამის საპირისპირო ასეთი ნათელი ცნობა ჩვენ არ გაგვაჩნია) — „მპყრობელი მუხრანისა" ბაგრატის შვილებია: „ძენი ვახტანგ, არჩილ, აშოთან და ერეკლე. ხოლო ვახტანგ იქმნა მუხრანის ბატონი" (82, 402); 1556 წ. ამბების მოთხრობისას ვახუშტის მიერ აღნიშნულია შაჰ-თამაზის შემოსევის შესახებ: „არამედ შასთამაზ შემუსრნა ციხენი სამცხისანი, მოსრნა და განასხნა ოსმალნი... და მოსცა ქუეყანა ქაიხოსრო ათაბაგსა. მერმე აქეთგან უკუნქცეულმან ტყუე-ჰყო დედა (283) ლუარსაბ მეფისა და წარვიდა თჳსად. მაშინ მოვიდნენ ხიზნად აწყუერს ძმანი დედისიმედისანი: ვახტანგ, არჩილ და აშოთან და განერნენ აქა" (82, 717). ვახტანგი ძმებში კვლავ პირველია დასახელებული და ამას ვახუშტი შემთხვევით არ აკეთებს, მან იცის, რომ სწორედ იგია ძმებში უფროსი და „მუხრანის ბატონიც". ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს „წიგნი ქორონიკონი ძველისა და ახლისა", სადაც შაჰ-თამაზის აღნიშნულ შემოსევასთან დაკავშირებით ვკითხუ-

ლობთ: „მეფე ლუარსაბ იმერეთს მორჩა, მუხრანის ბატონი, აშოთან და არჩილ აწყვერს მორჩნენ“ (115, 340-341). ვახუშტის, „პარიზის ქრონიკისა“ და ზემოაღნიშნული ქრონიკის ჩამონათვალი გვიჩვენებს, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით ყველგან ლაპარაკია სამ ძმაზე — ვახტანგზე, არჩილსა და აშოთანზე; აღნიშნული ქრონიკით, ესენია „მუხრანის ბატონი“, არჩილი და აშოთანი. ამდენად, ეჭვს გარეშეა, რომ აქ ვახტანგ „მუხრანის ბატონი“ იგულისხმება — იგი სახელით არ არის მოხსენიებული, მაგრამ სამაგიეროდ მისი წოდებაა ხაზგასმული.

ზემოაღნიშნული მოსაზრებების დასამტკიცებლად არსებობს სხვა არგუმენტებიც: ბერი ეგნატაშვილიც თავის ერთ-ერთ ჩამონათვალში აშოთანს სულ ბოლოს ასახელებს, მასთან იგი არც ერთ შემთხვევაში პირველ ძედ და უფროსად არ არის დასახელებული — ასეთი ყოველთვის ვახტანგია. გიორგი IX უკვე აღნიშნულ სიგელსა და „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტშიც აშოთანი მხოლოდ მესამეა. ვახტანგის მეორე „მუხრანის ბატონად“ დასახელების საკითხში ვახუშტი რომ სწორი უნდა იყოს, გვიჩვენებს ვახტანგ VI მიერ შესრულებული გენეალოგიური ხე და XVIIIს. ბოლოს დაწერილი „მოკლე მოთხრობა ქართლისა მეფეთათჳს ბაგრატოვანთა“... ეს უკანასკნელი ჩამოთვლისას პირველ ადგილზე ვახტანგს ასახელებს და ხაზგასმით აღნიშნავს: „და ესე პირველი ძე ბაგრატისა ვახტანგ იქმნა მუხრანის ბატონად“ (105, 240). რაც შეეხება ანტონ I კათალიკოსს თავის „საქართველო-იმერთა მეფეებთა შთამომავლობანში“ აშოთანს იგი საერთოდ არ აღნიშნავს. ვახტანგ მუხრანბატონის უფროსობა და ვახუშტის ჩამონათვალი რომ სწორია, ჩანს ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ნუსხითაც (43). 1835 წ. პეტრე ტაბლიაშვილის მიერ გადაწერილ ლექსთა კრებულის ერთ მინაწერში აღნიშნულია: „ჩამამავლობა მუხრანის ბატონისა: პირველი ბაგრატ მუხრანბატონი იყო ძე მეფის ბრძენის კოსტანტინესი, ბაგრატის ძე — ვახტანგი, ვახტანგის ძე — თეიმურაზ, თეიმურაზის ძე — შანაოზ და კოსტანტინე. კოსტანტინეს შვილები — მუხრანის ბატონიშვილები, შანაოზისა — შანაოზიანი“ (112, 256). შემდგომი პერიოდის ისტორიკოსებიდან უნდა აღვნიშნოთ, რომ თ. ჟორდანია, რომელიც მუხრანბატონთა გენეალოგიის საკითხში ხშირ შემთხვევაში სწორია, ბაგრატის შემდეგ მუხრანბატონად სწორედ

ვახტანგს ასახელებს(119, 527). ამ საკითხის ასეთი კუთხით გადაჭრას ადასტურებს ტატიშჩევსა და ივანოვთან დაცული ცნობაც: „А Вахтанг деи был Панкратьев сын... А Панкратьев (ბაგრატ მუხრანბატონი, — დ. ნ.) сын Вахтан (ვახტანგ მუხრანბატონი, — დ. ნ.) пошол на удел“... (153, 503). აშოთანზე აქ ლაპარაკიც არ არის. ამდენად, ჩვენი აზრით, მეორე მუხრანბატონი 1539-1580 წწ. არის ბაგრატ მუხრანბატონის უფროსი ძე — ვახტანგი. ზოგიერთი მომენტი მისი მოღვაწეობიდან:

როცა 1578 წელს ლალა-ფაშა ქართლში მოვიდა, „არამედ მუხრანის ბატონი იყო უფლისწულობით, ვითარცა განმგე ქართლისა და მორჩილებდნენ ყოველნი“, იგი ბარძიმ ამილახვართან და ელიზბარ ქსნის ერისთავთან ერთად ლალა-ფაშასთან მივიდა, რის შედეგადაც „დაიკსნა ამან ქართლი და თემი მოწყეულისაგან“ (82, 410; 153, 51; 94, 49). თუ რა ვითარება იყო სიმონ დიდის ტყვეობის პერიოდში (1569-1578 წწ.), ამაზე დაწვრილებით სავახტანგოსთან დაკავშირებით გვაქვს აღნიშნული (276); აქ მხოლოდ იმაზე მივუთითებთ, რომ „განმგე“ ქართლისა ვახტანგ მუხრანბატონი, ელიზბარ ქსნის ერისთავი და ბარძიმ ამილახვარი სწორედ ის ჯგუფია, რომელთაც განსაკუთრებით უორგულეს სიმონის ტახტს. ირანის მიერ დასმულ დაუთ-ხანს, სიმონის ოჯახის გარდა, ქართლის ფეოდალთა ეს მეორე ბანაკიც დაუპირისპირდა; როგორც ჩანს, ადგილი ჰქონდა ვახტანგის მდგომარეობის გამოყენებას — იგი „განმგეს“ სტატუსით მოქმედებს — „დავითის წინააღმდეგ მუხრანბატონი უფლებრივად შეეძლოთ გამოეყენებინათ, ისიც ხომ ბაგრატიონი იყო“, — აღნიშნავს დ. გვრიტიშვილი (203, 369). ამითაა გამოწვეული, რომ 1578 წ. ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, „მუხრანის ბატონის ბაგრატის შვილი მუხრანის ბატონი ვახტანგ ტაძრათმიყვანება დღეს ჯელთ დაიჭირა პატრონმა სიმონ მეფემან და კეხვის ციხეში ტყვედ ჩააგდო“ (135, 53). ამით მისი ქართლის განმგეობაც დასრულდა (ე. ი. „გამგეა“ 1569-1578 წწ.). ქართლის დედოფალმა მოღალატენი შეიბრალა, რის შემდეგაც, სხვებთან ერთად, „შემდგომად ამისა განუტევა ვახტანგცა“, თუმცა მალე, უკვე 1580 წელს „მოკუდა ვახტანგ ბატონი მუხრანისა“(82, 413). ამდენად, ვახტანგი მუხრანბატონია 1539-1580 წწ., ქართლის გამგე კი 1569-1578 წლებში.

რაც შეეხება აშოთანის „მუხრანის ბატონად“ მოხსენიებას, ჩანს, რომ როგორც თავად ბაგრატიონთა სამეფო სახლის შიგნით, ისე მის საგვარეულო გათავადებულ განშტოებებში ძალზე მწვავედ დგას მფლობელობისა და სტატუსის საკითხი — რასაც ალბათ პირობითად, ნ. ბერძენიშვილის ტერმინიდან გამომდინარე, „ბატონიშვილობის საკითხი“ შეიძლება ვუწოდოთ. შესაძლებელია, გარკვეულ პერიოდში ამ კუთხით დაპირისპირება არსებობდა ვახტანგ მუხრანბატონსა და აშოთანს შორის, რისი გამოძახილიცაა მისი „მუხრანის ბატონად“ მოხსენიება. თუ გავითვალისწინებთ აშოთანის გაელენასა და მდგომარეობას — „იყო აშოთან სანდო და გამზრახი სჯმონისა“, რომ მანვე „ზავ-ჰყო“ მეფეები და აშოთანისავე ასული ცოლად მოიყვანა დავით I კახთა მეფემ, მაშინ არ გამოვრიცხავთ აშოთანს გარკვეულ პერიოდში ამ სტატუსისათვის მიეღწია, რაც ასეთი ფორმით აისახა ისტორიულ წყაროებში. ამდენად, იგი მაინც შეგვაქვს „მუხრანის ბატონთა“ გენეალოგიაში, ოღონდ პირობითად, კითხვის ნიშნის ქვეშ. ბუნებრივია, ვახტანგ მუხრანბატონი ასეთ ვითარებას ადვილად არ დაუშვებდა, თან აშოთანს ვაჟი არ ჰყავდა (უძეობას ხაზს უსვამდა ბერი ეგნატაშვილი), რამაც „მუხრან ბატონობის“ საკითხში მისი პოზიციები შეასუსტა და ვახტანგის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

ტრადიციულად მიღებულია, რომ „მუხრანის ბატონთა“ რიგი ვახტანგ მუხრანბატონის ხაზით გაგრძელდა: ერთი ვაჟი — ბაგრატი 1573 წელსაა დაბადებული, რომელიც ადრეთვე გარდაცვლილა. თ. ჟორდანია მას მუხრანბატონად მიიჩნევს (119, 527), თუმცა ისტორიულ წყაროებში ეს არსად ჩანს. კ. თუმანოვი და მისი გავლენით ჟ. ფერანდი ამ ბაგრატსა და მეორე ძმას — თეიმურაზს (მართლაც მუხრანბატონს) ერთმანეთთან აიგივებენ (403, 142), რაც ასევე არ შეესაბამება სინამდვილეს. ვახტანგ VI „ბაგრატოანთ ნათესაობის წიგნით“, ბერი ეგნატაშვილისა და XVIIIს. ბოლოს შედგენილი ზემოაღნიშნული ბაგრატიონთა „ტაბულით“, შემდეგი მუხრანბატონი ვახტანგის ძე თეიმურაზია. ასევეა გაზიარებული ქართულ ისტორიოგრაფიაშიც: დ. გვრიტიშვილი სწორედ ამ მოსაზრებას უჭერს მხარს და მუხრანბატონობის წლებად 1580-1625 წწ. ასახელებს, ე. ი. მისი მამის ვახტანგ მუხრანბატონის გარდაცვალებიდან თეიმურაზის მარაბდის ბრძოლაში დაღუპვამდე.

აღნიშნულში თითქოს სადავო არაფერი ჩანს, მაგრამ ჩვენს ეჭვს იწვევდა ასეთი ხანგრძლივი პერიოდის (1580-1625 წწ.) მიუხედავად, თეიმურაზ მუხრანბატონის იშვიათი გამოჩენა ისტორიულ წყაროებში სხვადასხვა მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით; მაგალითად, ვახუშტი, რომელიც ამ განშტოებას სათანადო ყურადღებას აქცევს, მის მხოლოდ მარაბდის ბრძოლაში დაღუპვას აღნიშნავს (82, 432, 446). XVII ს. I ნახევარში თეიმურაზის მუხრანბატონობა სადავოც არაა, მაგრამ 1580 წელს იგი ხომ ძალზე მცირეწლოვანი იქნებოდა?! ბაგრატი დაბადებულია 1573 წელს, უმცროსი ძმა – ქაიხოსრო კი დაახლოებით 1580 წელს; მათ შორის პერიოდში 1580 წლამდეა დაბადებული თეიმურაზიც, რომელიც ვახტანგის გარდაცვალებისას 1580 წელს „მუხრანის ბატონობისათვის" მცირეწლოვანი იქნებოდა.

ამის საპირისპიროდ, XVI ს. ბოლო მეოთხედსა და XVII ს. დამდეგისათვის ყურადღებას იქცევს მუხრანბატონთა განშტოების წარმომადგენლის – ერეკლეს აქტიური მოღვაწეობა და მონაწილეობა მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებში. იგი პირველი მუხრანბატონის ბაგრატის ძის – არჩილის შვილია. „მესხური მატიანეს" მიხედვით, იგი 1559 წელს დაიბადა (94, 36) და XVII ს. 80-იანი წლებისათვის ზრდასრულია, მით უმეტეს, უკვე 1578 წელს ცნობილია მისი გმირული ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ (მანამდე იგი აქტიურობს ათაბაგ ყვარყვარესა და მისი ძმის – მანუჩარის გვერდით); მუსტაფა ლალა-ფაშას ლაშქრის შემოსევისას, სიმონ I დიდის ტყვეობიდან დაბრუნებამდე, დაუთ-ხანისა და „განმგე ქართლისა" ვახტანგ მუხრანბატონის მმართველობის ხანაში, ერეკლე იმ პატრიოტთა ბანაკშია, რომელთაც სიმონ მეფის ტახტს განსაკუთრებით უერთგულეს (იხ. სავახტანგო): იგი მიდის სურამს, სადაც „დედოფალი ღარიბათ იყო: მასთან სამყოფად ჩავიდა" (135, 50); დამპყრობლებს „... დახუდნენ მთასა ზედა ლიხისასა იმერნი. ომსა ამასა დაესწრა ძე არჩილისა ერეკლე, მოსწყუდნეს მრავალნი ოსმალნი და აოტნეს. ხოლო ერეკლეს ათერთმეტი ჯრმალი და ორმოცი ისარი მოუკდა" (82, 410-411); საბოლოოდ, „მესხური მატიანეს" მიხედვით, ერეკლეს „გაემარჯვა" (94, 51). 1578 წელს იგი უკვე 19 წლისა იყო. ბუნებრივია, სიმონ I დიდის დაბრუნების შემდეგ, მით უმეტეს, ვახტანგ მუხრანბატონის

ღალატის ფონზე, არჩილისა და ერეკლეს სტატუსი, მდგომარეობა და გავლენა გაიზრდებოდა.

ვფიქრობთ, აქედან გამომდინარეა, რომ დ. გვრიტიშვილი მიუხედავად იმისა, რომ მუხრანბატონთა სათავადოზე თავის მთავარ გამოკვლევაში — „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან", 1580-1625 წლებში მუხრანბატონად მხოლოდ თეიმურაზს ხედავს, ხოლო ერეკლეზე ამ კუთხით არც ლაპარაკობს, შემდგომი პერიოდის ნაშრომში უკვე მკვლევარი ერეკლეს, 1578 წელს ლალაფაშას წინააღმდეგ ბრძოლისას, მუხრანბატონად მიიჩნევს (206, 229). ჩვენთვის აგრეთვე საინტერესოა, რომ კ. თუმანოვიც (არ ვიცით რა არგუმენტებით, რადგან იგი მხოლოდ გენეალოგიურ ტაბულებს გვთავაზობს) არჩილის (+1581 წ.) შვილს ერეკლეს ასევე მუხრანბატონად თვლის (403, 142).

ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს სწორი 1578 წელს ერეკლეს მუხრანბატონად გამოცხადება (როგორც თვლის დ. გვრიტიშვილი); გასარკვევია, რა ხდება 1580 წელს ვახტანგ მუხრანბატონის გარდაცვალების შემდეგ, რაზეც ქვევით შევჩერდებით. ამჯერად, ვისაუბრებთ ზოგიერთ ისტორიულ ცნობაზე, რომელიც უნდა ლაპარაკობდეს ერეკლეს შესაძლო მუხრანბატონობის შესახებ — მხედველობაშია უკვე მოხსენიებული ტატიშჩევისა და ივანოვის ელჩობა, რომელსაც ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, კერძოდ, 1604-1605 წლებში ჰქონდა ადგილი: „А Панкратьев сын Вахтан (Вахтанг — ვახტანგ მუხრანბატონი, — დ. ნ.) пошол на удел,- и ныне на том уделе (ე.ი. სამუხრანბატონო, — დ. ნ.) живут царевичи Ираклий, да Теимураз и Хосрой (хосро) Вахтанговичи. А Ираклий им брат двоюродный: отцы их были родные братья"... (153, 503).

ეს ერეკლე უდავოა ბაგრატ მუხრანბატონის ძის — არჩილის შვილია, რომელიც, თეიმურაზისა და ქაიხოსროს მსგავსად, იხსენიება როგორც „Царевич". ისიც საინტერესოა, რომ მოხსენიების დროს ჯერ ერეკლეა დასახელებული, მერე კი თეიმურაზი და ქაიხოსრო. რაც მთავარია, როცა სამუხრანბატონოს ფლობაზეა ლაპარაკი, პირველყოვლისა, აღნიშნულია, რომ იქ („на том уделе") ცხოვრობენ ჯერ ერეკლე, მერე — თეიმურაზი და ქაიხოსრო. როცა ელჩები მეფესთან მიიწვიეს, აღნიშნულია: „Да сам царь (გიორგი X, — დ. ნ.) сел и

послом велел сести - Михаилу подле себя с левую руку... А у Вахтана царевича велел царь сести дьяку Ондрею, а от него сидели в другой ряду удельной Ираклий царевич"... (153, 497). აშკარად ჩანს, რომ ერეკლე, რომელიც წლოვანებით უფროსია თეიმურაზ-ქაიხოსროზე, ამ დროს უფრო მაღალი რანგისა და სტატუსის ფიგურაა, ვიდრე დანარჩენი. რაც მთავარია, თვით ტიტული — „Удельной Ираклий" ხომ არ ლაპარაკობს სწორედ მისი „მუხრანის ბატონობის" შესახებ?! რუსი ელჩები თვითმხილველნი არიან ქართლის სამეფოში შექმნილი ვითარებისა, ამიტომ აღწერენ იქ რეალურად არსებულ სურათს.

ერეკლეს გარკვეული პერიოდი მუხრანბატონთა განშტოებაში გამორჩეული მდომარეობა უნდა მოეპოვებინა: როგორც აღვნიშნეთ, მეორე მუხრანბატონის — ვახტანგის შვილი — ბაგრატი ადრე გარდაიცვალა (ამიტომაც არ არის მოხსენიებული ტატიშჩევისა და ივანოვის ელჩობის დროს), თეიმურაზი და ქაიხოსრო მამის გარდაცვალებისას მცირეწლოვანი (ქაიხოსროს დაბადების თარიღზე ქვევით ვისაუბრებთ) და ამით „მუხრანის ბატონობისათვის" შეუფერებელი არიან. ამის საპირისპიროდ, XVI ს. ბოლო მეოთხედში, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, აქტიურად მონაწილეობს მათი ბიძაშვილი, არჩილის ძე — ერეკლე (გავიხსენოთ — ვახუშტი, „მესხური მატიანე", „პარიზის ქრონიკა"), რომელიც სამუხრანოში მნიშვნელოვანი მფლობელია. ყოველივე ხომ არ იძლევა იმის საფუძველს, რომ თეიმურაზის მცირეწლოვანების პერიოდში, XVI ს. ბოლო მეოთხედისა და XVII ს. დამდეგის „მუხრანის ბატონად" ბაგრატ მუხრანბატონის ძის — არჩილის შვილი — ერეკლე მივიჩნიოთ?! ტატიშჩევ-ივანოვის ცნობებიც ამ კუთხით ხომ არ უნდა ავხსნათ?!

ვფიქრობთ, არსებობს კიდევ ერთი მომენტი, რომელიც შექმნილ ვითარებაში ერეკლეს პოზიციებს ამაგრებს: მხედველობაში გვაქვს მისი მამის — არჩილის გამორჩეული მდგომარეობა ბაგრატ მუხრანბატონის მრავალრიცხოვან ოჯახში, რომელიც აქტიურად მოღვაწეობს და მონაწილეობს ქვეყნის მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებში; ამ მხრივ, თუნდაც „მესხური მატიანე" კმარა, სადაც მისი როლი და გავლენა კარგად ჩანს. რაც შეეხება ვახუშტის, იგი არჩილის შესახებ ვრცლად მსჯელობს, აღწერს 1560 წელს საფურცლეში სპარსელებ-

ის მიერ მისი დატყვევების ამბავს, პატიმრობის ზოგიერთ დეტალს, 1578 წელს სიმონ დიდთან ერთად არჩილის უკან დაბრუნებას (82, 407, 409, 410-411, 723) და სხვ. „პარიზის ქრონიკა“ (იგი ძირითადად იცავს პრინციპს და განასხვავებს „მუხრანის ბატონს“ და „მუხრანის ბატონიშვილს“) მას საერთოდ „მუხრანის ბატონის“ ტიტულით მოიხსენიებს: 1576 წელს „ათაბაგი პატრონი ყუარყუარე, და ძმა მათი პატრონი მანუჩარ და ბიძაშვილი მათი მუხრანის ბატონის არჩილის შვილი, პატრონი ერეკლე მგელციხეს წავიდეს ყაენთან ელჩის გასაგზავნელად“ (135, 46) ან „...წარვიდა მუხრანის ბატონის არჩილის შვილი ერეკლე სურამს“... (135, 50). „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტიც (იგი „პარიზის ქრონიკას“ იმეორებს) არჩილს „მუხრანის ბატონს“ უწოდებს (73, 518, 519, 520). თუმცა უნდა ითქვას, რომ მაგალითად, ვახუშტი მას ასეთი ტიტულით არსად არ მოიხსენიებს.

ყოველივე, ვფიქრობთ, ადასტურებს არჩილის საკმაოდ დიდ გავლენას ქართლის სამეფოში. მით უმეტეს, ასე იქნებოდა 1580 წელს ვახტანგ მუხრანბატონის გარდაცვალების შემდეგ, თეიმურაზისა და ქაიხოსროს მცირეწლოვანების დროს, როცა იგი მართლაც გამორჩეულ ადგილს იჭერს; მაგრამ მალე 1581 წელს (ვახუშტის მიხედვით 1582 წ.) იგი გარდაიცვალა, რის შემდეგაც არჩილის შვილს — ერეკლეს, თუნდაც მამის მფლობელობიდან გამომდინარე, კარგი საფუძველი აქვს და შესაბამისი ნიადაგიც „მუხრანის ბატონობის“ მოსაპოვებლად.

ამდენად, ჩვენი აზრით, ერეკლე არჩილის ძე 1581 წლიდან მუხრანბატონია და ასე უნდა გრძელდებოდეს XVII ს. I ათწლეულის გარკვეულ პერიოდამდე; ყოველ შემთხვევაში, 1604-1605 წლებში ტატიშჩევ-ივანოვის ელჩობის დროს, იგი ასეთ რანგში ჩანს. ერეკლეს შემდეგ, როგორც ირკვევა, „მუხრანის ბატონობა“ მის მფლობელ შტოს უბრუნდება, ანუ მეორე მუხრანბატონის ვახტანგის უკვე წამოზრდილ შვილს — თეიმურაზს. ამ პერიოდიდან მისი მუხრანის ბატონობა, სადავო აღარ არის; მაგალითად, ბაგრატ VII (1616-1619 წწ.) განჩინება თეიმურაზ მუხრანბატონისა და ნუგზარ არაგვის ერისთავის მამულის საქმეზე (125, 54). მუხრანბატონობის დასაწყისად ჩვენ პირობითად ტატიშჩევ-ივანოვის ელჩობის ბოლო წელი ავიღეთ (1605 წ., ან მისი შემდგომი ხანა).

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან ასეთი ქრონოლოგია მივიღეთ: ერეკლე

მუხრანბატონი (1581 – დაახლ. 1605 წწ.) და თეიმურაზ მუხრანბატონი (დაახლ. 1605-1625 წწ.).

აქვე უნდა შევჩერდეთ მუხრანბატონთა განშტოების ისტორიიდან ერთ საინტერესო ეპიზოდზე: რუსეთის ელჩებს – ტატიშჩევსა და ივანოვს საგანგებო დავალება ჰქონდათ ბორის გოდუნოვის ძისათვის საცოლის, ხოლო მეფის ასულისათვის საქართველოში სიძის შერჩევა (172, 102...): „И сказывами послом про царевича Вахтангова сына меньшого Хозроя (Хосро); что он добре добр и разумен и леты молод“ (153, 503). ამდენად, ბორის გოდუნოვის ასულის ქსენიას საქმროდ ვახტანგ მუხრანბატონის ძე – ქაიხოსრო მუხრანბატონიშვილი შეურჩევიათ. ქაიხოსროსა და თვით მუხრანბატონთა განშტოებისადმი ქართლის მეფის დამოკიდებულების დასახასიათებლად საინტერესოა გიორგი მეფის სიტყვები მიმართული ელჩებისადმი: „...А оприч тех есть у меня царевичи - два брата Теймурас да Хоздрой Вахтанови дети, в родстве мне от деда моего“. როცა გიორგი X რუსი ელჩები თავისთან მიიწვია, მეფემ ქაიხოსროს შესახებ მიუთითა: „Вото дей царевич Хоздрой, про которого яз к вам приказивал, а мне он сродыч не в далске, а вскормила его мать-моя (ე.ი. ნესტანდარეჯანი, სიმონ I დიდის თანამეცხედრე, – დ.ნ.), и лич с ним росли вместе и мне он что родной брат“ (153, 507).

კვლავ აღვნიშნავთ, რომ ეს სიტყვები მრავლისმთქმელია ქართლის ბაგრატიონთა სამეფო სახლის შტოსა და მუხრანბატონთა განშტოებას შორის ურთიერთდამოკიდებულების მხრივ; ასევე, იგი კარგად მეტყველებს თვით მუხრანბატონთა სახლის რანგსა და მდგომარეობაზე XVI-XVII სს. მიჯნის ქართლის სამეფოში.

ამავე ელჩობით ირკვევა ქაიხოსროს დაბადების თარიღიც; წლოვანების განსაზღვრა, როგორც დავინახეთ, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა „მუხრანის ბატონთა“ რიგის დადგენის საკითხში: „И посли царевича рассматривали. И царевич ростом не мал, в стану прям... а лет ему 23 года. И того дня посли у царя ели; а сидел у него царевич Хоздрой с правую сторону подле сина царева Лев-Варсапа“ (153, 507). ამდენად, ქაიხოსროს დაბადების თარიღად დაახლოებით 1581 წელი გამოდის.

ბორის გოდუნოვის სასიძო — ქაიხოსრო მუხრანბატონიშვილი არაგვის საერისთავოში ელოდებოდა გადაწყვეტილების მიღებას. როგორც ჩანს, იგი მას არც გასცილებია: 1604-1606 წლებში რუსეთსა და ირანს შორის ელჩების მიმოსვლა დროებით შეწყდა, ჩვენთვის ცნობილ რუს ელჩებსაც გადაადგილება გაუჭირდათ, მუხრანბატონიშვილის უსაფრთხოების გარანტიებიც არ არსებობდა. 1605 წლის 13 აპრილს ბორის გოდუნოვი გარდაიცვალა, მალე ცრუდიმიტრიც გამოჩნდა და, ბუნებრივია, ჩანაფიქრიც ვერ განხორციელდა.

თეიმურაზ მუხრანბატონის მარაბდის ბრძოლაში დაღუპვის შემდეგ მუხრანბატონი მისი ძმა — ზემოაღნიშნული ქაიხოსრო გახდა. ეს მომენტი, რომ „მუხრანის ბატონობა" ძმაზე და არა შვილზე გადადის, მომავლისათვის ქმნის შესაძლებლობას, რომ იგი ამ შტოებს შორის მონაცვლეობის საგნად იქცეს.

აღნიშნულ პერიოდში, გიორგი სააკაძე ქართლის რეალური ბატონ-პატრონია, რაც თეიმურაზ მეფის მხრიდან წინააღმდეგობას იწვევს. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ქართლის ტახტის პრეტენდენტად, დიდმა მოურავმა ქაიხოსრო მუხრანბატონი წამოსწია; კახეთის ბაგრატიონთა სახლის ჩამომავალი თეიმურაზ მეფე ქართლში ისედაც „დამპყრობლად" მიაჩნდათ. ჯერ კიდევ მარაბდის ბრძოლამდე „მაშინ დაადგინეს განმგებლად ქართლისად ქაიხოსრო ძე მუხრანის ბატონის ვახტანგისა" (82, 431), მაგრამ „არც განმგეობითა ემორჩილებოდენ მათ, არამედ თჳს-თჳსად უფლობდენ ქართლის თავადნი" (76, 407); მარაბდის ბრძოლაში თეიმურაზ მუხრანბატონის დაღუპვის შემდეგ, „კუალად შეკრეს მოურავმან და ზურაბ ერისთავმან პირი, მოიყვანეს და დასუეს ქაიხოსროვე გამგედ ქართლისად" (82, 434), რის შემდეგაც გიორგი სააკაძე და ზურაბ არაგვის ერისთავი — „იგინივე პატრონობდნენ და უფროსობდნენ ქართლსა" (76, 411). სწორედ ასეთი ფაქტები და, რაც მთავარია, მუხრანბატონთა ნათესაური სიახლოვე ქართლის სამეფო ტახტთან (სხვა განშტოებებთან შედარებით) არის მათი გამორჩეული სტატუსისა და უფლებრივი მდგომარეობის გამომწვევ-უზრუნველმყოფელი.

შემდგომ პერიოდში ადგილი აქვს ცნობილ კონფლიქტს გიორგი სააკაძესა და ზურაბ ერისთავს შორის, რაც ორი დიდი ფეოდალური დაჯგუფების წარმოშობას განაპირობებს: „ზურაბ ბატონს თეიმურაზს

მიუდგა, და მოურავი ქაიხოსროს, გამგებელსა ქართლისასა, და ქართლი სულად შემოუყარა ქაიხოსროს მოურავმან“... (76, 411). ყოველივე 1626 წელს ბაზალეთის ტრაგედიით დასრულდა, რის შედეგადაც „თჳთ მოურავი და ქაიხოსრო გამგებელი ხონთქართან წარვიდენ“, სადაც 1629 წელს დაიღუპნენ კიდეც.

როგორ განვითარდა სამუხრანბატონოსა და მუხრანბატონთა განშტოების ისტორია: ბაზალეთის ბრძოლის შედეგის გამო, „არამედ ცოლ-შვილი ქაიხოსროსი და ძმისწული მისნი (ე. ი. თეიმურაზ მუხრანბატონის შვილები, — დ. ნ.) წარვიდნენ იმერეთს“ (82, 435). ზურაბ არაგვის ერისთავის დახმარებით თეიმურაზი ქართლ-კახეთში მეფობს და სამუხრანბატონოსაც იკავებს — ზურაბის გეგმებით, ქაიხოსრო მუხრანბატონის ჩამოცილების შემდეგ, სამუხრანო მას უნდა გადასცემოდა (203, 373), მაგრამ „ბატონს თეიმურაზს მუკრანი თავისის შვილის დათუნასათვის მიეცა“ (116, 236). რა ნაბიჯს დგამენ მუხრანის ბატონთა შვილები?! ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, „ხოლო ძენი მუხრანის ბატონის თეიმურაზისანი და ქაიხოსროსანი წარმოვიდნენ იმერეთიდამე და მოვიდნენ მუხრანს. რა სცნა ბატონმან თეიმურაზ ამათი მოსვლა მუხრანს დაუწყო მტერობა და არა დაანებეს მუხრანი, და იყვნენ ერთის გლახაკის კაცისას ღარიბად და გლახაკობითა“ (76, 413). თეიმურაზ მეფე „მტერობდა“ რა „ძეთა და ძმისწულთა ქაიხოსროსთა და არა უტევებდა მუხრანს, არამედ მისცა ძე თჳსსა, დათუნას“, რასაც ზურაბ არაგვის ერისთავისა და თეიმურაზ მეფის დაპირისპირება მოჰყვა. ვახუშტის მიხედვით, გიორგი სააკაძე — ქაიხოსრო მუხრანბატონის ოსმალეთში დაღუპვისა და შაჰ-აბასის გარდაცვალების პერიოდში, „ხოლო შემდგომად შთავარდა შური ბატონს თეიმურაზსა და ზურაბ ერისთავს შორის. გამოიყვანა ზურაბ სჳმონ მეფე ტფილისიდამ და დაიპყრა სჳმონ სრულიადი ქართლი“ (82, 436). სამუხრანბატონოს გამო ატეხილი დავა იმით დასრულდა, რომ სიმონ II „მუხრანი მას (ზურაბ ერისთავს, — დ. ნ.) მისცა“ და თან სამფლობელოდ „ზოგზოგი საკახტანგო სოფლებიც“ გადასცა (116, 236). ვახუშტის სიტყვებით, ასეთ ვითარებაში — „ჟამთა ამათ ჩამოვიდნენ მუხრანს ძენი და ძმისწულნი ქაიხოსროსნი და დაიპყრნეს თჳსნი ყოველნი“ (82, 436-437). ყურადღებას იქცევს ტერმინი — „დაიპყრნეს“; როგორც ჩანს, მუხრანბატონთა ჩამომავლებს „თჳსნი“ მამულის „დაპყ-

რობა“ დასჭირებიათ. ისტორიული წყაროებით, ამას 1629 წლის გარშემო აქვს ადგილი, მაგრამ, ამავე დროს, მუხრანი ხომ ზურაბ არაგვის ერისთავმა მიიღო?! ჩვენი აზრით, ზურაბ არაგვის ერისთავი ასე მწვავე ბრძოლის შედეგად მოპოვებულ მუხრანს ადვილად არ დათმობდა, ამიტომ სავარაუდოა დაპირისპირება მასსა და მუხრანბატონთა ჩამომავლებს შორის. ვახუშტის განცხადება, რომ ამ განშტოების წევრებმა „დაიპყრეს თჳსნი ყოველნი“, ლაპარაკობს 1629 წელს მათ მიერ სამუხრანოში გარკვეული ფორმით მაინც მფლობელობის მოპოვებაზე, რაც სამუხრანბატონოს აღდგენის პირველი ეტაპი ჩანს. ამ წლიდანვე მუხრანბატონთა სახლის სათავეში თეიმურაზ მუხრანბატონის ძე — ბახუტა (მომავალი ვახტანგ V) უნდა იდგეს. ბუნებრივია, ზურაბ ერისთავის არსებობის გამო სამუხრანბატონოს ეს აღდგენა მტკიცე ვერ იქნებოდა, თან მალე (1631/1632 წწ.) ამ დაუდგრომელმა ფეოდალმა სიმონ მეფეც მოკლა და კვლავ მეფე თეიმურაზი „უფალ-ყო ქართლსა და კახეთსა ზედა“ (76, 414), რომელიც, როგორც აღინიშნა, მუხრანბატონთა შვილების მიმართ მწვავედ იყო დაპირისპირებული. საბოლოოდ, ზურაბ არაგვის ერისთავის ცხოვრება ტრაგიკულად დასრულდა, თავად თეიმურაზ მეფემ იგი მოაკვლევინა და თავი ირანის შაჰს გაუგზავნა — „ეს ყაენს იამა და ქართლიცა და კახეთიც ბატონს თეიმურაზს მოსცეს და ხალათი და რაყამი გამოუგზავნეს“ (116, 238). თეიმურაზის ასეთი ბატონობის ხანაში მუხრანბატონთა სახლს გაუჭირდებოდა და არც არის გამორიცხული ამ დროს მუხრანში მათი პოზიციების შესუსტება. ამდენად, ჩვენი აზრით, სამუხრაბატონოს აღდგენის პროცესში არსებობს მეორე ეტაპიც, რომელიც როსტომის სახელს უკავშირდება: როცა 1633 წელს ყიზილბაშები როსტომს ამეფებენ, თეიმურაზი ცდილობს წინააღმდეგობის გაწევას — „...შემოიყარა სპანი თჳსნი, მოვიდა და დადგა საფურცლეს. და მოუწოდა ბარათიანთა ცოლშვილიანად და მოასხა მუხრანს და იყვნენ მუნ“ (76, 417). ასეთ ვითარებაში, „ვახტანგ, ძე თეიმურაზისა, მუხრანის ბატონი, პირველვე მიეგება როსტომს ნათესაობისათჳს“... (82, 438). კახეთის ბაგრატიონთა სახლის წევრის — მეფე თეიმურაზის წინააღმდეგ როსტომის (ქართლის ბაგრატიონთა სახლიდან) ბრძოლაში, ამ „ნათესაობისათჳს“ ვახტანგ მუხრანბატონს განსაკუთრებით გამოუჩენია თავი; ასეთი ერთგული ფეოდალის მიმართ როსტომიც შესაბამის ნაბიჯებს

დგამს: როსტომის გამეფებით პოზიციებშესუსტებული „ვერღარა დადგა ბატონი თეიმურაზ მუხრანსა და არცაღა ძალ-ედვა წინააღდგომა როსტომ მეფისა. მაშინ წარვიდა ცოლშვილით იმერეთს და თან წარყვნენ რომელნიმე კახნი“ (76, 417). ამას სამუხრანბატონოს სრული აღდგენა და მუხრანბატონთა მფლობელობის განმტკიცება მოჰყვა — ბერი ეგნატაშვილი კიდეც აღნიშნავს: „და, რა ესენი (თეიმურაზ მეფე თავისი სახლეულით, დ.ნ.) წარვიდენ, მაშინ ეპყრა მუხრანი ვახტანგს, ძესა თეიმურაზისასა“... (76, 417). ამდენად, ბახუტას (ვახტანგის) გამუხრანბატონებასაც ორი ეტაპი აქვს: პირველი — 1629 წელი და მეორე — 1633 წელი.

ვახტანგ მუხრანბატონის ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებისა და გამეფების პერიპეტიებზე ვრცლად სავახტანგოსთან დაკავშირებით შევჩერდით. ფაქტია, რომ 1658 წელს „...მუხრან-ბატონის შვილი, კვალად ბაგრატიონი, სახელად ვახტანგ“ (98, 136) ქართლის სამეფო ტახტზე აღმოჩნდა; დ. გვრიტიშვილი სვამს საკითხს: ვახტანგ V შემდეგ სამუხრანბატონო სახასოდ იქცა თუ როგორც სათავადო განაგრძობს არსებობას?! ვახტანგ V ძმის — კონსტანტინეს ამ პერიოდში მუხრანბატონობა პრობლემას ადვილად არკვევს — „მუხრანის ბატონთა“ რიგი ვახტანგის შემდეგ შენარჩუნებულ სამუხრანბატონოში კონსტანტინეს გაუგრძელებია, რომლის შესახებ სვეტიცხოველში საფლავის ქვის წარწერაში აღნიშნულია“ „... სამარხსა ამას დავემკვიდრე ჩვენ მაღალის და აღმტებულის ხელმწიფის, მეფეთ-მეფის შანავაზის ძმა, ბატონის შვილი მუხრანის ბატონი კოსტანტინე, ქრისტეს აქეთ ჩქნიზ დასაბამიდგან კროე, ქკს-ტნვ“ (375, 321); თუ ამას შევუჯერებთ 1667 წლის საბუთს, რომელშიც აღნიშნულია, „მუხრან-ბატონმა სახლთუხუცესმა თეიმურაზ და ძმათა ჩუენთა: აშოთან, სუმონ, პაპუამ, დათუნამ, ერეკლემ, ქაიხოსრომ, იესემ და ძეთა ჩვენთა... კონსტანტინემ, ოტია, ადარნასემ და ლევან“... (119, 487), მაშინ 1667 წელს მუხრანბატონი უკვე კონსტანტინეს ძე — თეიმურაზია. იგი მნიშვნელოვანი ფიგურაა, რის შესახებაც მეტყველებს მის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ვახუშტის სიტყვები: „გარნა მომკუდარ იყო ბიძისძე მეფისა მუხრანის ბატონი თეიმურაზ, რომელი იყო კაცი დიდ-შემძლე საქმისა, ერთგული მეფისა და რიდობდნენ ყოველნი“ (82, 461-462). ვახუშტით, მისი სიკვდილის თარიღად 1687/1688 წლები უნდა მივიჩნიოთ.

დ. გვრიტიშვილის აზრით, თეიმურაზ მუხრანბატონის გარდაცვალების შემდეგ „მუხრანის ბატონთა“ რიგს აგრძელებს მისი ძმა – აშოთანი (203, 377), რომელიც „ორიანობის“ პერიოდში (გიორგი XI – ერეკლე I დაპირისპირების ხანა) გიორგი XI ბანაკშია. თეიმურაზ მუხრანბატონს მართლაც ჰყავს ძმა აშოთანი, მაგალითად, ზემოაღნიშნული 1667 წლის სიგელით, მაგრამ როგორც მუხრანბატონთა საბუთებზე დაკვირვება გვიჩვენებს, ამ განშტოების წარმომადგენელნი ჩამოთვლისას, როცა აღნიშნავენ „ძმათა“ და „ძეთა“ შესახებ, მოიხსენიებენ მათი სახლის სხვა უახლოეს ნათესავებსაც, რომლებიც სისხლით პირდაპირი ძმა თუ შვილები არ არიან, მაგალითად, ბიძაშვილები და სხვ. ასევეა 1667 წლის სიგელშიც. ჩვენს ხელთ არსებული საბუთებით, 1688 წლიდან მუხრანბატონი არის ამ სახლის მეორე – ქაიხოსროს შტოს ჩამომავალი, კერძოდ, მისი შვილი აშოთანი. ეს პირთა ანოტირებული ლექსიკონის ავტორების მიერ აღნიშნულია კიდეც (102, 230-231, 769). ამდენად, მუხრანის ბატონობა მეორე შტოში გადადის.

რადგან „მუხრანის ბატონთა“ რიგი თეიმურაზიდან არა შვილზე, არამედ ძმაზე – ქაიხოსროზე გადავიდა, ბუნებრივია, მის ჩამომავლებსაც გაუჩნდათ ბაგრატიონთა საგვარეულო განშტოების – მუხრანბატონთა სახლის მეთაურის სტატუსის მოპოვების შესაძლებლობა, რასაც მართლაც ჰქონდა ადგილი.

გიორგი XI და ერეკლე I „ორიანობის“ (ურთიერთდაპირისპირების) პირობებში, აშოთან მუხრანბატონი გიორგი მეფის ერთგულია, ამიტომაც ერეკლე I წარმატებისა თუ უპირატესობის ხანაში იგი დამცრობილთა – „გაღარიბებულთა“ შორისაა: „კუალად ამათ თჳსთა განმზრახთაგან ამცირებდა ერთგულთა მეფის გიორგისათა და განადიდებდა კახთა, და ვინამეთა ქართველთაცა. არამედ უმეტეს დაამდაბლა სპასპეტი თამაზ და... აშოთან მუხრანის ბატონი“ (82, 465); იქვე ვახუშტი აღნიშნავს, რომ „არამედ ვინაჲთგან უპატიო იყვნენ ქართველნი ერეკლე მეფისაგან, ამისთჳს ეზრახოდენ მეფე გიორგის, რათა მოვიდეს ქართლს... კუალად უვლინებდნენ მრავალსა საგანძურსა აშოთან მუხრან-ბატონი, გივი ამილახორი და ნიკოლაოზ მაღალაშვილი, რათა მით დაუყოს პირი მეფემან ოსმალთა ანგაართა“ (82, 466).

1691-1695 წლების „ორიანობის“ მწვავე პერიოდის პერიპეტიებში

მუხრანბატონად უკვე კვლავ თეიმურაზის შტოს წარმომადგენელი, მისი ძმა — პაპუა იხსენიება. დ. გვრიტიშვილის აზრით, მისი მუხრანბატონობა 1691 წლიდან იწყება, მაგრამ 1692 წლის 15 მარტის განჩინებაში ერეკლე I ამილახვართა ერთსახლობის საქმეზე მუხრანის ბატონი ჯერ კიდევ აშოთანია (125, 157); ამდენად, აშოთანი მუხრანბატონი 1688-1692 წლებში ყოფილა, ხოლო 1692 წელი პაპუას მუხრანბატონობის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ.

პაპუა მუხრანბატონიც გიორგი XI თანამებრძოლთა ბანაკშია: „ამ ჟამთა ეზრახა აბაზ-ყულიხანს ნაზარ-ალიხან (ერეკლე I, — დ. ნ.), რათა დაიპყრას ერწო-თიანეთი. შეკრიბეს ამათ სპანი და მოგზავნეს თიანეთს. ამათ ზედა წარმოავლინა მეფემან (გიორგი XI, — დ.ნ.) პაპუა მუხრანბატონი, და ერისთავი გიორგი სპითურთ“... (82, 469). როგორც ვხედავთ, 1691-1695 წლების ერეკლე I და გიორგი XI „ორიანობაში“ მუხრანბატონ პაპუას — მუხრანბატონთა განშტოების მეთაურს ამ შემთხვევაშიც ქართლის მეფეთა ჩამომავლისათვის დაუჭერია მხარი. „ორიანობა“ ერეკლე I წარმატებით დასრულდა, რასაც გიორგი XI ერთგულთა დამდაბლება მოჰყვა: ერეკლე I და ქალბალიხანი „ჩავიდნენ ქალაქსა ტფილისს, შემოირიგეს ერისთავი ქსნის დავით, მუხრანის ბატონი პაპუნა, სარდალი თამაზ: რა ესენი ხელში ჩაიყარეს სამნივ ისპაანს გაგზავნეს“... (109, 8). ყოველივე 1696 წელს დასრულდა. ამდენად, პაპუას მუხრანის ბატონობის ხანა 1692-1696 წლებზე მოდის.

ერეკლე I გადაწყვეტილებით, მუხრანის ბატონი თეიმურაზ მუხრანბატონის ძე — კონსტანტინე გახდა: „ერეკლემ დაიპყრა სრულიად ქართლი, განაყენა კუალად კათალიკოზიბიდამ ნიკოლაოზ და დასუა იოანეევ... კუალად დასუა არაგჯს ერისთავად ბაინდურ... მუხრანის ბატონად კოსტანტინე“ (82, 475). მისი მუხრანის ბატონობა 1700 წლის ჩათვლითაა სავარაუდებელი:

ირანში მყოფმა გიორგი XI მდგომარეობა გამოასწორა და სპარსელებთან შეთანხმების (109, 9-10) შემდეგ მისი ერთგული ფეოდალები საქართველოში გამოგზავნა: „შემდგომად კუალად მოკსენებითა მეფისათა გამოუტევნა ყეენმან გიორგი ერისთავი, პაპუა მუხრანბატონი და სრულიად ქართველნი“... (82, 480). უკან მობრუნებული პაპუა „მუხრანის ბატონობის“ საგვარეულოს პირველ შტოში ფლობი-

სათვის მებრძოლი იქნებოდა, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ 1700 წლის 3 თებერვლის საბუთით, მუხრანბატონად აშოთან მუხრანბატონის ძე — იესეა დასახელებული (47), ანუ მუხრანბატონთა მეორე შტოს წარმომადგენელი. დ. გვრიტიშვილი მას სწორედ ამ პერიოდის მუხრანის ბატონად მიიჩნევს (203, 378). თუ იესე მართლაც იყო მუხრანბატონი, ასეთი ვითარება („მუხრანის ბატონობა" მეორე შტოში) დიდხანს ვერ შენარჩუნდებოდა პაპუასა და მისი მეორე ძმის — ერეკლეს არსებობის პირობებში:

გიორგი XI მოწინააღმდეგე ფეოდალთა შორის დასახელებულია „ძე მუხრანის ბატონისა ერეკლე, რომელსა ზრდიდა მეფე, ვითარცა ძესა", მაგრამ ღალატის გამო „ერეკლე და მაჩაბელნი შეიპყრნა და პატიმარჰყო მეფემან" (82, 460). აღნიშნულ ფაქტს ვახუშტის მიხედვით, 1687 წელს ჰქონდა ადგილი; შემდგომ პერიოდში — ერეკლე I ხანაში, ბუნებრივია, ამოტივტივებულიყო ერეკლე მუხრანის ბატონიშვილის კანდიდატურაც, რომელიც 1701 წლისათვის უკვე „მუხრანის ბატონად" იწოდება: მხედველობაშია, 1701 წლის 16 მაისის სითარხნის წიგნი ნიკიფორე წილკნელისა როსტომაშვილებისადმი (იწოდება, როგორც „ბატონი მუხრანისა") (124, 629) და განჩინება ერეკლე I ციციშვილების ყმა-მამულის საქმეზე (1701-1703 წწ.) (125, 206); ასევე მუხრანბატონია ვახტანგ VI გამგეობის ხანაში — განჩინება ვახტანგ VI ციციშვილებისა და ჯავახიშვილების მამულის საქმეზე (1703-1711 წწ.) (125, 238) ან ვახტანგისავე განჩინება ავალიშვილების ყმა-მამულის საქმეზე (1703-1711წწ.) (125, 239); ხაზგასმულია მისი გვერდზე დგომა: „ჩვენ საქართველოს ჯანიშინმან ბატონიშვილმან, პატრონმან ვახტანგ... გვერთ ვიახელით მუხრანის ბატონი ერეკლე"... (107, 249). ერეკლე მუხრანბატონად იწოდება ზაზა მახვილაძის 1704 წლის ნასყიდობის წიგნშიც (107, 199).

ამდენად, კონსტანტინე მუხრანბატონის შემდეგ, XVII ს. დამდეგიდან (კერძოდ, 1701 წელს ეს ფაქტი უკვე დასტურდება) მუხრანბატონი კონსტანტინე მუხრანბატონის მესამე ვაჟი ერეკლეა. ვახუშტის მიხედვით, 1701 წელს პაპუა მუხრანბატონი სხვა ფეოდალებთან ერთად საქართველოში ბრუნდება, მაგრამ ქართლში, ერეკლე I (1688-1703 წწ.) ხანაში, გიორგი XI განსაკუთრებული ერთგულებით გამორჩეულ პაპუა მუხრანბატონთან შედარებით, ბუნებრივია, პრიორიტეტი მის

ძმას – ერეკლე მუხრანბატონს ენიჭება. ამის დამადასტურებელი ჩანს 1703 წლის გუჯარი: „...მუხრანის ბატონმა და პატრონმან ბატონიშვილმან ბატონმან ერეკლემ, ძმამა ჩვენმა ბატონმა პაპუამა, ძმისწულმან ჩვენმან კოსტანტინემ, ბაგრატ, ოტიამ, ლევან, ძეთა ჩვენთა დავით“... (123, 10). ვფიქრობთ, აღნიშნული საბუთი ბაგრატიონთა სამეფო სახლის მუხრანბატონთა განშტოებაში ამ დროს შექმნილ ვითარებას თვალნათლივ ახასიათებს.

ასეთ პირობებში, აშოთანის ძე – იესე მუხრანბატონობას ვეღარ შეძლებდა. ჩვენ არ გამოვრიცხავთ მის მუხრანის ბატონობას კონსტანტინე მუხრანბატონსა და ერეკლე მუხრანბატონს შორის, კერძოდ, 1700 წელს. ამდენად, კონსტანტინეს მუხრანბატონობა მოდის 1696-1700 წწ., იესეს – 1700 წელს(?) და ერეკლეს – 1701 წლიდან.

საინტერესოა პაპუას სტატუსი:

1692-1696 წლებში მუხრანის ბატონად მყოფი პაპუა ირანიდან მობრუნებული „მუხრანის ბატონის“ ტიტულს კვლავ ატარებს და შესაძლებელია, იგი ასე იწოდება სიკვდილამდე – 1717 წელს „აქა მუხრანის ბატონი პაპუა მიიცვალა“ (96, 52). იესეც ცოტათი ადრე კვდება (96, 52). პაპუას ასეთი რანგით მოღვაწეობა 1709 წელს გიორგი XI დაღუპვისა და ქაიხოსრო ლევანის ძის გამეფების პერიოდთანაა დაკავშირებული: ამ დროს „დაებარებინა ხოსროხანს ქართველნი ჯარი და შეყარა ბატონიშვილმა ვახტან ჯარი, უთავა მუხრანის ბატონი პაპუა, და თითო სახლის დარბაისლის შვილები“... (109, 27). მაგრამ პრიორიტეტი XVII ს. II ათწლეულში მაინც ერეკლე მუხრანბატონის მხარეზე ჩანს; ამის დამადასტურებელია 1715 წლის განჩინება ელიზბარ დავითიშვილისა და გიორგი რამაზიშვილის მამულის საქმეზე ან განჩინება ბაგრატ და ნოდარ ციციშვილების სასისხლო საქმეზე (125, 271, 260).

ერეკლე მუხრანბატონის ცხოვრება ტრაგიკულად დასრულდა:

1716 წელს ვახტანგ VI შაჰმა „მისცა ქართლი და სპასალარობა ერანისა... და მოსცეს განმგეობა ქართლისა ბაქარს, ძესა მისსა“... (82, 495). ამ წელს ბაქარი ქართლის „ნაიბია“, ხოლო 1717-1719 წლებში ქართლის „ჯანიშინი“ შაჰნაოზ III სახელწოდებით. იგი ერეკლე მუხრან-

ბატონთან მტრულ დამოკიდებულებაში ჩანს, რისი შედეგიცაა, რომ მან „კუალად შეიპყრა მუხრანის ბატონი ერეკლე და აღმოკადნა თუალნი და მისცა მუხრანი ლევანს, ძესა პაპუასასა“ (82, 495). ვახუშტისთან ეს მომენტი ისეა მოთხრობილი, რომ იგი შეიძლება როგორც 1716, ისე 1717 წლითაც დათარიღდეს. ჩვენი აზრით, ამას 1717 წელს აქვს ადგილი: ა) ბაქარის ქმედება ერეკლეს მიმართ მისი დამოუკიდებელი მმართველობის პერიოდში ჩანს, რომელიც 1717 წელს იწყება; ბ) მუხრანბატონობა მიიღო პაპუას ძემ ლევანმა, რაც მამამისის — პაპუას სიკვდილის შემდეგ უფრო რეალურია. იგი კი, როგორც აღინიშნა, 1717 წელს გარდაიცვალა, ამიტომ 1716 წელს ლევანის მიერ მუხრანბატონობის მიღება ნაკლებადაა მოსალოდნელი; გ) რაც მთავარია, 1717 წელს ერეკლე ჯერ კიდევ მუხრანბატონია — ამაზე მეტყველებს ამ წლის განჩინება ციციშვილების სასისხლო საქმეზე (125, 260). ამდენად, ერეკლეს მუხრანბატონობის პერიოდი 1701-1717 წლებზე მოდის.

1717 წლიდან „მუხრანის ბატონია“ პაპუა მუხრანბატონის შვილი — ლევანი; სწორედ ბაქარ მეფის (1717-1719 წწ.) განჩინებაში გივი თუმანიშვილისა და მისი ბიძაშვილის გაყრის საქმეზე აღნიშნულია, რომ „...გვერთ ვიახელით მუხრანის ბატონი ლევან“ (125, 282). ეს საბუთიც ადასტურებს ბაქარის მმართველობაში ლევანის და არა ერეკლეს მუხრანის ბატონობას. ვახტანგ VI განჩინების წიგნშიც (125, 308), ელისბარ და კონსტანტინე დავითიშვილების გაყრის საქმეზე, მუხრანის ბატონი ლევანია; ქრონიკულ ცნობებშიც ასეა, მაგალითად, 1719 წელს „მუხრანის ბატონის ლევანის შვილი პაპუკა დაიბადა“ (96, 52). 1720 წ. ვახტანგ VI მიერ განწესებული სამუხრანოს სახლიკაცობის რიგი (127, 689-693) ამასვე ადასტურებს. 1719 წელს ქართლში დაბრუნებულ ვახტანგ VI და მუხრანბატონთა სახლს შორის ურთიერთობა ფუჭდება, რის შემდეგაც მეფემ მუხრანი თავის ძმას — იესეს გადასცა, კერძოდ, 1721 წელს. ამდენად, ლევანის მუხრანბატონობის პერიოდი 1717-1721 წლებზე მოდის.

1721-1723 წლებში სამუხრანოში იესე „მუხრანბატონობს“, რისი დამადასტურებელი საბუთიც არსებობს მისი მეორე სახელით — მუსტაფა: ამ პერიოდის განჩინების წიგნით დვალიშვილებისა და ქავთარაძეების ყმის საქმეზე ცნობილი ხდება, რომ მათი საჩივარი გაარჩია

„მუხრანის ბატონმა“ მუსტაფა-ბეგმა (125, 395); 1724-1727 წლებში, ქართლში მისი მეფობის პერიოდში, სამუხრანო, როგორც ჩანს, სახასოდ ჩამოყალიბდა და იქ მუხრანბატონთა განშტოების მფლობელობა არ აღდგენილა; მაგალითად, 1725 წლისათვის ყანჩაეთის ჟამნგულანით 1723 წ. გარდაცვლილი ერეკლე მუხრანბატონის ძე მოხსენიებულია როგორც მხოლოდ „მუხრანის ბატონიშვილი მამუკა“ (96, 43).

იესეს შემდეგ „მუხრანის ბატონთა“ რიგის საკითხი ბნელითაა მოცული; ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ 1734 წლამდე „მუხრანის ბატონად“ საბუთებში არავინ იხსენიება და თითქოს 1724-1734 წლებში სამუხრანოში რა ხდება, არ ჩანს; ამიტომ, მის ისტორიას 1734 წლიდან — მამუკას მუხრანბატონობიდან იწყებენ (203, 379). ჩვენი აზრით, ზოგი მომენტის გარკვევა მაინც ხერხდება.

როგორც აღვნიშნეთ, 1721 წელს სამუხრანო იესეს გადაეცა, იესეს ხანაში (1724-1727 წწ.) იგი სახასოა; ყოველ შემთხვევაში, „მუხრანის ბატონთაგან“ იქ არავინ ჩანს. ამას ემატება XVIII ს. I ნახევარში ამ რეგიონის უმძიმესი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება (ვრცლად ვისაუბრებთ სამუხრანბატონოს ცენტრისა და მუხრანბატონთა რეზიდენციის საკითხთან დაკავშირებით), რის გამოც ბაგრატიონთა სამეფო სახლის მუხრანბატონთა განშტოების წარმომადგენლები თავის „ქვეყანაში“ ვერ ახერხებენ (დროებით) მფლობელობის აღდგენას; მაგრამ მიუხედავად ამისა, 1734 წლამდე მუხრანის ბატონთა მფლობელობის აღდგენის გადადება არ უნდა იყოს სწორი: 1730 წელს ერეკლე მუხრანბატონის შვილი მამუკა უკვე მუხრანბატონია[1] — როსებ ქავთარაძისა და დათუნა მახნიაშვილის მამულის საქმეზე 1730 წლის განჩინების წიგნით „სამართალი“ „მუხრანის ბატონმა მამუკამ“ გაარჩია (125, 323); 1733 წელს დასრულებული ციხე-გალავნის აგებას იგი უკვე როგორც მუხრანის ბატონი უნდა ხელმძღვანელობდეს. 1734-1735 წლების პოლიტიკურ ამბებში მისი აქტიური მონაწილეობა კარგადაა ცნობილი: მამუკა მუხრანბატონი გივი ამილახვართან ერთად გორში ურუმებს ებრძვის... 1735 წელს სხვა თავადებთან ერთად იგი შაჰმა დააპატიმრა, მაგრამ გაიპარნენ

---

[1] ვახუშტის აღნიშვნა, რომ 1727 წ. როცა იესე გარდაიცვალა, „მაშინ ისაყ ფაშამ განპყო ქართლი“ და „მუხრანი და საერისთონი მათთვე მთავართა“ გადასცა (82, 510), ხომ არ ნიშნავს მამუკას მიერ სამუხრანოს მიღებას?! მაშინ არა 1730, არამედ 1727 წ. გამოვა.

სომხითიდამ ამილახვარი გივი, მუხრანბატონი (მამუკა, — დ. ნ.), ავალისშვილი ქაიხოსრო, მივიდნენ თავ-თავისათ. ამილახვარი წავიდა იმერეთს, მუხრანის ბატონი რუსეთს"... (109, 48). ამდენად, ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებული მამუკას მუხრანბატონობის წლები (1734-1735 წწ.) უფრო ფართოვდება — 1730 (1727?)-1735 წლები.

ასევე აღიარებული თვალსაზრისია, რომ მამუკას შემდეგ მუხრანბატონი კონსტანტინეა (203, 379); ყურადღებას იქცევს ის მომენტი, რომ XVIII ს. I ნახევარში, ასე გამრავლებული მუხრანბატონებიდან, ამ დროს ჯერ კიდევ ცოცხალია ლევან მუხრანბატონი, რომელიც 1717-1721 წლებში უკვე იყო განშტოების მეთაური. როგორც ჩანს, მას მამუკას შემდეგ თავისი სტატუსი აღუდგენია, ანუ „მუხრანის ბატონობა" დაუბრუნებია: 1736 წლის ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნს მიცემულს იესე სოლაღასშვილის მიერ ქაიხოსრო ორბელიშვილისადმი სხვებთან ერთად ისიც ამოწმებს: „ქ. ჩვენ, მუხრანისბატონი ლევან ამისი მოწამე ვართ" (78, 253); ამ პერიოდში მის მუხრანბატონობაზე უდავოდ მეტყველებს იმავე 1736 წლის მიბარების ბარათი, მიცემული ქალბალი-ხანის მიერ ლევან მუხრანბატონისადმი (131, 48); 1737 წელს სეფი ხანის ბრძანებაში აღნიშნულია: „... ჩვენი ბრძანება არის, რაც მუხრანის ბატონისა, ან აზნაური, ან გლეხი კაცი და ციხეებია მთასა თუ ბარს, შანშეს ძალით ეჭირა ოსები, ისევ სულ მუხრანბატონის ლევანისათჯს წყალობა გჯქნია და ამისათვის გჯბოძებიხართ, ყველანი მიუდექით და მასა მსახურეთ და ამისის სიტყვის მორჩილი იყავით" (108, 445); 1739 წელს გარდაცვალებისას იგი კვლავ ამ ტიტულით მოიხსენიება — „მუხრანის ბატონი ლევანი მიიცვალა მაისს"... (123, 158; 96, 52). ამდენად, მისი მუხრანბატონობა 1736-1739 წლებზე მოდის.

ლევან მუხრანბატონის გარდაცვალების შემდეგ, კერძოდ, 1739 წლიდან მუხრანბატონი უნდა ხდებოდეს მათ განშტოებაში უკვე მესამე კონსტანტინე; კონსტანტინეების ასეთი სიმრავლე ზოგჯერ გარკვეულ გაუგებრობას იწვევდა — მაგალითად, კ. თურმანოვთან (403, 144), მაგრამ დღეს დავას აღარ იწვევს, რომ იგი მუხრანის ბატონის თეიმურაზის (1667-1688 წწ.) შვილიშვილი და მუხრანის ბატონის — კონსტანტინეს (1696-1700 წწ.) შვილია. ეს კარგად ჩანს თუნდაც უკვე განხილულ „მოკლედ მოთხრობა ქართლისა მეფე-

თათ'ს ბაგრატოვანთა"-ში: თეიმურაზი — კონსტანტინე — კონსტანტინე — იოანე (105, 243-244). „მეფეთა სახლშვილობითა ხსენებულსა, გვარდიდებულსა და მაღალხარისხოვნობით ჩინებულსა მუხრანის ბატონს კონსტანტინეს" (101, 115) შესახებ მოკლედ ვისაუბრებთ, რადგან იმ პერიოდში მისი აქტიური მოღვაწეობის მომენტები კარგადაა ცნობილი და სათანადოდაა კიდეც შესწავლილი. როგორც ცნობილია, იგი იყო სახლთხუცესი, მემარცხენე სადროშოს სარდალი და „განმგე" ქართლისა — 1749 წლის განჩინებას ჯავახიშვილების გამოსაღები ხარჯის საქმეზე უზის ბეჭედი: „განმგედ მიწოდა მეფემა, სახლთხუცად მისმა სეფამა, მუხრანთ ბატონი კოსტანტინე"; აბდულა-ბეგის საწინააღმდეგოდ თაბორის ციხის იერიშის ხელმძღვანელი კონსტანტინე მუხრანბატონი თბილისის მოურაობასაც ღებულობს. აღნიშვნას საჭიროებს ბაგრატიონთა სამეფოს შტოს — ერეკლეს ტახტისა და მუხრანბატონთა განშტოების დანათესავების ფაქტი: „...ამით უფრო გულდაჯერებული იყვნეს ერთგულობასა სახლთხუცისასა, რომ მეფე ერეკლე ემძახლა და ასული კოსტანტინესი (ქეთევან, — დ. ნ.) ძისა (ვახტანგ, — დ.ნ.) თვისისათვის მოიწოდა" (101, 116; 75, 51, 101). ცნობილია მისი აღმშენებლობითი საქმიანობა, სწორედ მის დროს იქცა შიოსუბანი საბოლოოდ მუხრანბატონთა რეზიდენციად. კონსტანტინე 1756 წელს მცხეთასთან ახლოს, ღართისკარს ლეკებმა „მოკლეს მუხთლად" (101, 243). ამდენად, კონსტანტინეს მუხრანბატონობა 1739-1756 წლებზე მოდის.

1756 წელს „მუხრანის ბატონობა უბოძეს სვიმონს, ძესა ლევანისასა" (101, 244), რომელიც ნასახჩიბაშიც იყო. მას „მუხრანის ნაიბსაც" უწოდებდნენ (115, 111). ამდენად, „მუხრანის ბატონობა" თეიმურაზ მუხრანბატონის (1667-1688 წწ.) ხაზიდან პაპუას (1692-1696 წწ.) შთამომავლებზე გადადის, რასაც უფროსი ძმის (ანუ პირველი შტოს) მემკვიდრეები ადვილად ვერ შეეგუებოდნენ. ჩვენი აზრით, ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობებით, სვიმონ ნასახჩიბაშის მუხრანბატონობა XVIII ს. 70-იან წლებამდე უნდა გრძელდებოდეს: 1770 წელს ასპინძის ბრძოლაში ერეკლეს გვერდზე მებრძოლი სვიმონი თეიმურაზ ბაგრატიონთან მოხსენიებულია, როგორც „სვიმონ მუხრანბატონისშვილი ნასაღჩიბაში" (85, 53); 1778 წლის მორიგების წიგნით, „ამ წიგნის მოწამე" „მუხრანის ბატონი" იოანეა (105, 420).

ამ დროს მის მუხრანბატონობას უდავოდ ადასტურებს 1778 წლისავე სპეციალური სიგელი, რომლითაც ერეკლე მეფემ როგორც „მუხრანბატონს იოანეს“ მადნების შემოსავლიდან ჯამაგირი გაუჩინა (22). ისიც საინტერესოა, რომ უკვე 1763 წლის მეფის სახაზინო ნუსხაში იოანე მუხრანბატონადაა მოხსენიებული (93, 179). ამდენად, XVIII ს. 70-იან წლებში მაინც თეიმურაზ-კონსტანტინეს უფროსი შტო იბრუნებს „მუხრანის ბატონობას“ და ასეთად, ანუ სახლის მეთაურად იოანე მუხრანბატონი ჩანს. ამას, ალბათ, ისიც ადასტურებს, რომ სვიმონი 1785 წელს გარდაიცვალა, ხოლო 1783 წელს, გეორგიევსკის ტრაქტატის დროს, ერეკლე მეფის წარმომადგენელთა შორის, იოანე უკვე მუხრანის ბატონია. აღნიშნულ თვალსაზრისს, ვფიქრობთ, ამაგრებს გარდაცვალებისას სვიმონის მხოლოდ „მუხრანის ბატონიშვილად“ მოხსენიება: „მუხრანის ბატონისშვილი სვიმონ ნასახჩიბაში მიიცვალა“ (119, 391, 392; 96, 54). ჩანს, XVIII ს. 70-იან წლებში იგი მუხრანის ბატონობას იოანეს „უთმობს“ და ნასახჩიბაშად რჩება. ზუსტი თარიღი იოანეს გამუხრანბატონებისა უცნობია, ამდენად, XVIII ს. 70-იანი წლებიდან პირობითად 1778 წელს ავიღებთ, ამ წლით დათარიღებული ზემოაღნიშნული სიგელებიდან გამომდინარე. შესაბამისად, სვიმონ ნასახჩიბაში მუხრანბატონია 1756-1778 წლებში.

იოანე მუხრანბატონი ბაგრატიონთა სამეფო სახლის ამ განშტოების ცნობილი წარმომადგენელია, 1784 წლიდან ერეკლესა და გიორგი XII სახლთუხუცესი და „სარდალ-სახლთუხუცესია“ (132, 508, 528, 601...); ამავე დროს, ერევნის სახანოს მოურავი — „ღუბერნატორია“. როგორც მემარცხენე სადროშოს სარდალი იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს საომარ ოპერაციებშიც. მოვიყვანთ ერთ ნაწყვეტს იოანე მუხრანბატონის ეპიტაფიიდან, რომელიც საინტერესოა საერთოდ მუხრანბატონთა განშტოების რანგისა და სტატუსის დასახასიათებლად: „ჰი, საგონებელნი სულთქმანი! მოგეთხროსთ ტომობა ჩემი: ბაგრატიონთა სირათა შთამონასქესი, ძე მუხრანის ბატონისა, სარდალ სალთ-უხუცესისა კონსტანტინესი, მუხრან-ბატონი სარდალ-სალთ-უხუცესი და ერევნის ღუბერნატორი იოანე მოვაკლდი თქვენთანა ყოფასა“... (375, 330). იგი 1801 წელს გარდაიცვალა, ამდენად, არაა სწორი, როცა მის მუხრანბატონობას 1785-1801 წლებით ათარიღებენ (403, 144). ჩვენი აზრით, იოანე მუხრანბატონია XVIII ს. 70-იანი წლებიდან (პირობითად 1778

წ.) 1801 წლის ჩათვლით. მისი ვაჟი კონსტანტინეც მუხრანბატონად იწოდება (79, 135, 235), იგი 1842 წელს გარდაიცვალა.

სათავადოს „გაყრა“ ცნობილი და ჩვეულებრივი ფაქტია — ესაა წინააღმდეგობა ფეოდალურ სახლში, როცა დაპირისპირება უკიდურეს წერტილს აღწევს და მათ ერთად ცხოვრებას შეუძლებელს ხდის. ერთი „სახლი“ მრავალ „სახლად“ იყოფა, მაგრამ ხშირად ახლად წარმოქმნილთა შორის ბრძოლა კიდევ უფრო მწვავე ხასიათს იღებს. „გაყრა-გაყოფა“, ბუნებრივია, მამულების დანაწილებასა და სახლების „ღარიბობას“ იწვევს. ბაგრატიონთა სამეფო სახლის საგვარეულო გაშტოებათა თვალსაზრისითაც მსგავსი ვითარებაა, ამიტომაც აღნიშნავდა ვახუშტი „გვარის გაუყრელობის“ დიდი მნიშვნელობის შესახებ. რაღა თქმა უნდა, ასეთი საკითხი მუხრანბატონთა სახლშიც დადგა; პირველ რიგში, საინტერესოა, ვახტანგ VI მიერ 1720 წელს განწესებული სამუხრანოს სახლიკაცობის რიგი — „...მუხრანის ბატონის ლევანისა, ერეკლესი, კოსტანდილეს შვილისა და სვიმონის შვილის სახლიკაცობის რიგი და წესი ასრე გაუჩინეთ და ამრიგად იქცეოდნენ“: დარეგულირებულია სახლიკაცებს შორის ურთიერთობის ყველა ნიუანსი, მაგალითად, „მუხრანის ბატონად ლევან არის და იყოს. მამულისა და სახლის გარიგებას კარგად ეცადოს. რომლიც მამულის შემოსავლელი საქმე იყოს, სახლიკაცთაც დაეკითხებოდეს“ ან „ბატონისაგან თუ სახელო, თუ ჯამაგირი იშოვნონ, თავ-თავისთვის ქონდეს“ ან „პური ამდენი მოიყუანოს, რომე სახლიკაცს არ დააკლდეს“ და ა. შ. (127, 689, 690...).

მიუხედავად აღნიშნულისა, მუხრანბატონთა სახლი „გაყრას“ ვერ ასცდა. მაგალითად, 1758 წელს, როცა სვიმონ ნასახჩიბაში „მუხრანის ნაიბია“, თეიმურაზ II მუხრანის ბატონიშვილებს „სახლიკაცობის წესი და რიგი“ გაუჩინა, სადაც აღნიშნულია: „...მუხრანის ბატონის ნაიბი სვიმონ და კოსტანტინეს ობოლი იოვანე და ბაგრატის შვილი სვიმონ გაიყარნენ, საუფროსო რომელიც მართებული იყოს, მუხრანის ბატონის ნაიბამან სვიმონ და კოსტანტინეს ობოლმან აიღოს; და სხვა მამული, ნასყიდს გარდა, ნახევარი მუხრანის ბატონის ნაიბმან სვიმონ და კოსტანტინეს შვილმან იოვანემ აიღოს; და ნახევარი მამული ბაგრატის შვილმან სვიმონ და იმისმან ძმამ გოგიამ აიღოს“; აქვე აღნიშნულია, თუ „პურის მოსავალს სულადს ერთობაში“ როგორ

გაიყოფდნენ და „სხვა რაც მუხრანის საეროს ყმის და მამულის შემოსავალი იქნებოდეს და მოუვიდოდესთ, იმასაც ამავე რიგით გაიყოფდნენ ხოლმე“(127, 711-712).

მუხრანბატონთა დიდი სახლის სხვადასხვა შტოს შორის, განსხვავებულ მიზეზთა გამო, ბუნებრივია, ადგილი ჰქონდა არაერთ დავასა და ქიშპს. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ერთი განჩინება მუხრანბატონის შვილების სასახლის საქმეზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ „მუხრანის ბატონის შვილები ლევანის შვილი გოგია და ნიკოლოზ და ბაგრატის შვილი ბაგრატ მუხრანს სასახლეზედ ჩიოდნენ“ (126, 653); სასახლესთან დაკავშირებული ორივე მხარის არგუმენტების განხილვის შემდეგ, საქმე ერთ-ერთი შტოს, კერძოდ, ლევანის შვილების სასარგებლოდ გადაწყდა (მუხრანის ბატონთა გენეალოგია, იხ. დანართი №1).

სამუხრანბატონოს ცენტრისა და მუხრანბატონთა რეზიდენციის საკითხი

როგორც ცნობილია, მუხრანი ისტორიულ-გეოგრაფიულ „ქვეყანას“ წარმოადგენდა. აღმოსავლეთიდან არაგვი ესაზღვრებოდა, სამხრეთიდან — მტკვარი, ჩრდილოეთიდან კი — ციხევდავის ქედი. ვახუშტის მიხედვით, მუხრანში 56 სოფელი შედიოდა. ყანჩაეთის „ჟამნგულანში“ პირდაპირაა დაცული ამ ვითარების შინაარსის გამომხატველი ტერმინი — „მუხრანის ქვეყანა“ (384,21). ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებით, ადრეულ პერიოდში მუხრანი ერთ რაიმე გეოგრაფიულ პუნქტს არ აღნიშნავს, ანუ იგი ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყანაა; XVIII ს. 70-იანი წლებიდან მუხნარი — მუხრანი უკვე კონკრეტულ დასახლებას, კერძოდ, ძველ სოფელს შიოსუბანს ეწოდა (210,106). იბადება კითხვა: „როსტომიანის“ ჩანართის აღნიშვნა, რომ ბაგრატმა „ძველი ტახტი განაახლა“ და „ჯელყო საყდართ აშენება“, ყოველივე ეს მუხრანის „ქვეყანაში“ სად ხდება?! საერთოდ, რომელია ამ სათავადოს ცენტრი?! ან როცა გიორგი V ბრწყინვალის „ძეგლის დადებაშია“ აღნიშნული, რომ „მოვედით მუხრანს, საზამთროსა ჩვენსა დავდეგით“ (137,35-36), მუხრანის „ქვეყნის“ რა ტერიტორია იგულისხმება — სად „დადგა“ კონკრეტულად?! წყალობის წიგნში

ბასილ კათალიკოზისა მცხეთის საყდრის შვილებისადმი (1516-1536 წწ.) აღნიშნულია: „აწე ჩუენ... ამოგიკუეთეთ ღალა, რასაცა ანუ მუხრანს ჰკნევდე და ანუ ნაქულბაქევთა, მისი ღალა არა გეთხოვებოდეს“...(124,257). რას ნიშნავს „მუხრანს ჰკნევდე“ – მთელი მუხრანის „ქვეყანა“?! ასევე, საინტერესოა, რომელი ადგილი იგულისხმება, როცა ადრეული პერიოდის შესახებ ისტორიულ წყაროებში ვკითხულობთ, რომ მუხრანში სამეფო სასახლე არსებობს, დემეტრე მეფე „აშენებს“ მუხრანს და სხვ. ამდენად, უნდა დაკონკრეტდეს, თუ ასეთ შემთხვევაში ამ „ქვეყნის“ რა დასახელებული გეოგრაფიული პუნქტი იგულისხმება. აქედან გამომდინარე, ასევე უნდა დადგინდეს რომელი იყო სათავადო-სამუხრანბატონოს ცენტრი და მუხრანბატონთა განშტოების რეზიდენცია.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ისტორიულ წყაროებში მუხრანთან დაკავშირებით ძნელიც კია გავარჩიოთ ლაპარაკია სოფელზე თუ ისტორიულ-გეოგრაფიულ „ქვეყანაზე“: 1392 წ. საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში იგი როგორც „სოფელი“ მოიხსენიება: „...სოფელი ყურისუბანი, სოფელი გოგილანი, სოფელი ჩიქუნური, სოფელი მუხანი, სოფელი წყალშატროვანი“... (124,179); 1447 წლის ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარშიც იგი თითქოს უფრო სოფლადაა აღნიშნული (124, 190); ასევეა 1559 წლის ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში: „...სოფელი მუხანი მისითა მზღურითა, წყალშატროანა ნასოფლარი მისითა მზღურითა“... (124,265-266). ამავე საბუთში ყურადღებას იქცევს შემდეგი ცნობა: „შუა მუხნარი რაცა ძუელითგან გაჩენილი არის, მისითა წყლითა“ (124, 266). „შუა მუხნარი“ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეს „ქვეყანა“ რამდენიმე დიდ რეგიონადაა დაყოფილი; შესაძლებელია, სოფ. შიოსუბანი ამ დაყოფაში ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილია, სადაც სამუხნაროს სათავადოს პერიოდში, როგორც ჩანს, თავადთა რეზიდენცია მდებარეობდა. ამდენად, ის არის სათავადოს ცენტრიც.

იოანე ბატონიშვილი თავის „ქართლ-კახეთის აღწერაში“ „მუხრანიანთ ბატონების“ მამულებთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ქ. შიოსუბანი და თჳთ მუხრანი, მოსახლენი“ (91, 34). ვფიქრობთ, ასეთი ცალ-ცალკე აღნიშვნა და შიოსუბნის გამოყოფა ლაპარაკობს იმაზე, რომ

„თჯთ მუხრანი“ ისტორიულ-გეოგრაფიულ „ქვეყანას“ ნიშნავს, ხოლო სოფ. შიოსუბანი სათავადო-სამუხრანბატონოს ცენტრია, სადაც მუხრანბატონთა რეზიდენცია იმყოფება. ამ მხრივ, ინტერესს იწვევს ვახუშტის ცნობა: აღწერს რა მუხრანს როგორც „ქვეყანას“, ცალკე მიუთითებს, რომ „არამედ შიოს-უბანს არს შენობა დიდი სასახლეთა“. სწორედ აქ უნდა იყოს სათავადოს ცენტრი, ხოლო „შენობა დიდი სასახლეთა“ კი მუხრანბატონთა რეზიდენციის აღმნიშვნელად მოჩანს. ამდენად, მუხრანის სათავადოს ცენტრი დღევანდელი სოფელი მუხრანია, რომელსაც, როგორც აღნიშნავენ, XVIII ს. 70-იან წლებამდე შიოსუბანი ერქვა; მაგრამ აღნიშნული საკითხი მოითხოვს ზოგიერთი ქრონოლოგიური მომენტის დაზუსტებას, ამიტომ უნდა შევჩერდეთ რეზიდენციის პრობლემის ზოგიერთ ნიუანსზე:

ამ საკითხთან დაკავშირებით, ისტორიულ წყაროებში ინფორმაციის ნაკლებობის გამო, პ. ზაქარაია აღნიშნავს, რომ მუხრანბატონთა რეზიდენციის საკითხი ნაწილობრივ ღიად რჩება – „По летописям можно установить, что резиденция Мухранбатони первоначально находилась в Мтквриссцихе (в Ксанском крепости). Не установлено, когда перешли Мухран-Батони в другое место. С большей или меньшей уверенностью можно сказать, что в первой половине XVIII в. они жили в Мухрани (Шиосубани)“ (361,40). ქსნის ციხე (იგივე მტკვრის ციხე, მტვერის ციხე, კონსტანტილაბათი), როგორც ჩანს, მუხრანბატონთა პირველი რეზიდენცია უნდა ყოფილიყო; იგი, „რომელ არს მუხრანს“ (ბერი ეგრატაშვილი), სამუხრანბატონოს მთავარი ციხეა და თან რეზიდენციის ფუნქციასაც ასრულებს. შემთხვევითი არაა, რომ ქსნის ციხის ციტადელში გვხვდება საცხოვრებელი კოშკები, სხვა დანიშნულების შენობათა ნაშთები, ეკლესია და ა.შ.

სამუხრანბატონოს მთავარი ციხესიმაგრის მშენებლობის I ფენა ავგიორგის შემოსევებს უკავშირდება. დ. გვრიტიშვილს ეეჭვებოდა, რომ ასე მოკლე დროში შესაძლებელი იყო ამ ციხის აგება (204,359-360), მაგრამ როგორც დღესაა აღნიშნული, პირველი ეტაპის (1511-1514 წწ.) ციხესიმაგრე ასეთი გრანდიოზული არ იყო; ისიც ხომ ცნობილია, რომ იმავე მუხრანბატონთა განშტოების წარმომადგენელმა კონსტანტინემ ერთ წელში (1746 წ.) თითქმის თავიდან ააშენა და საგრძნობლად

გაზარდა იგივე ქსნის ციხე და ააგო მჭადიჯვრის ციხესიმაგრე, რომელიც 3-4-ჯერ დიდია აღნიშნულ ქსნის ციხეზე (361, 41). პ.ზაქარაია აგების თარიღად უფრო 1512 წელს უჭერს მხარს.

აღსანიშნავია, რომ როცა ქსნის ციხის დათარიღებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ის საამშენებლო ფენები, რომლებიც დღეს დასტურდება. თუ გავითვალისწინებთ ამ ციხის მდებარეობასა და მის სტრატეგიულ მნიშვნელობას, ყურადღება უნდა მივაქციოთ მოსაზრებას, რომ ქსნისა და მტკვრის შესართავთან, ასეთ მნიშვნელოვან ადგილზე მუხრანს შეუძლებელია უფრო ადრეც არ ჰქონოდა ციხე. ამ თვალსაზრისით, 1512 წელს მოხდა ციხის არა თავიდან შენება, არამედ გადაკეთება-გაძლიერება (210, 101-102). დ. გვრიტიშვილი თვლიდა, რომ ეს ციხესიმაგრე გაცილებით ძველია და სიტყვა „აშენება" განახლებას უნდა ნიშნავდეს და არა ახლად აშენებას (204,359-360). ამ მოსაზრებას თითქოს მხარს უჭერს „ახალი ქართლის ცხოვრების" მესამე ტექსტის ცნობა, სადაც ციხესიმაგრის მშენებლობაზე ლაპარაკი არ არის: ბაგრატი „ესრეთ წარმოემართა და მოვიდა მუხრანს ციხე მტუერისა, რომელ არს ციხის-ძირის თავსა, და დადგა მუნ"(73,488). თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი გვიანდელი წყაროა და ეხება ადრინდელ ვითარებას, ამიტომ შესაძლებელია ავტორი უკვე მის პერიოდზე საკმაო ხნის წინათ ჩამოყალიბებულ სიტუაციას აფიქსირებს და უკვე არსებულ ციხეზე ლაპარაკობს, ამიტომ ციხის მშენებლობის ფაქტს აღარ აღნიშნავს.

საკითხს აქვს მეორე მხარეც: საქმე იმაშია, რომ თუ დღეს არსებული ნაგებობით ვიმსჯელებთ, ციხესიმაგრის პირველი სამშენებლო ფენა სწორედ ბაგრატისა და ავ-გიორგის ხანას განეკუთვნება, ხოლო უფრო ძველი კი არ ჩანს. არათუ უფრო ძველი, არამედ XVI ს. დასაწყისის ფენიდანაც მხოლოდ ცოტა რამ თუ შემორჩა. ასეთი ვითარება იმითაა გამოწვეული, რომ ციხემ არაერთი შემოსევა განიცადა, რის გამოც კონსტანტინე მუხრანბატონს 1746 წელს მისი თითქმის ხელმეორედ აგება მოუხდა. სწორედ ამ დროს ციხეს მნიშვნელოვნად შეეცვალა პირვანდელი სახე და ეწოდა „კონსტანტილაბადი" (361,41-43).

ქსნის ციხე, როგორც აღვნიშნეთ, ბაგრატიონთა სამეფო სახლის მუხრანბატონთა განშტოების სამფლობელოს მთავარი ციხეს-

იმაგრე უნდა ყოფილიყო, რომელიც თავდაპირველად შესაძლებელია რეზიდენციის ფუნქციასაც ასრულებდა. პასუხი უნდა გაეცეს საკითხს: რეზიდენცია როდის იქნა გადატანილი სხვაგან და სად მდებარეობდა იგი?!

ქსნის ციხიდან მუხრანბატონთა მთავარი რეზიდენცია უნდა გადატანილიყო სოფ. შიოსუბანში, რომელიც ძველ დროშივე არსებობდა და იხსენიება 1170 წელს მამულის მფლობელობისა და შეუვალობის განახლების სიგელში გიორგი III შიომღვიმისადმი (122,21). შიოსუბანი რომ ამ სათავადოს ცენტრია, უნდა მიუთითებდეს იოანე ბატონიშვილის ზემოთ განხილული ცნობაც (91,34). სოფ. მუხრანის ციხესიმაგრის გრანდიოზულობაც ამ ფაქტს ადასტურებს — იგი ერთ-ერთი უდიდესია შუასაუკუნეების საქართველოში (მას 2,5 ჰექტარზე მეტი ტერიტორია ეკავა).

რა პერიოდიდან არიან მუხრანბატონები შიოსუბანში?!

ჩვენი აზრით, XVII ს. მეორე ნახევრიდან მაინც; არ არის გამორიცხული, რომ შიოსუბანი სამუხრანბატონოს ცენტრად და „მუხრანის ბატონთა“ რეზიდენციად ამ სახლის მეორე უმცროსი შტოს — კონსტანტინეს გამუხრანბატონების (ანუ კონსტანტინეს მუხრანის ბატონობიდან — 1658 წ.) პერიოდიდან იქცა. ასევე უნდა იყოს მუხრანბატონების პაპუასა (1692-1696 წწ.) და კონსტანტინეს (1696-1700 წწ.) ხანაში, რაზეც ქვემოთ განხილული კონსტანტინე მუხრანბატონის 1756 წლის წარწერაც მეტყველებს. 1721 წლიდან, ლევან მუხრანბატონის დროს, მუხრანბატონები სამუხრანოს კარგავენ, შესაბამისად, შიოსუბანიც რეზიდენციის ფუნქციას ვეღარ ასრულებს. ამას ემატება ამ რეგიონის მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება.

როგორც ცნობილია, სამუხრანბატონო ვარგისი მიწების სიუხვით გამოირჩეოდა, მუხრანბატონებს თავიანთ სათავადოში საშუალება ჰქონდათ დიდი რაოდენობით მიეღოთ მათთან მისული გლეხები — „ქართლის სათავადოებს შორის არც ერთი თავადის გლეხს იმდენი საბატონო მიწა არ ეჭირა, რამდენიც მუხრანბატონის ყმას“(203,192). ამ სათავადოს სიძლიერე-შესაძლებლობების მიუხედავად, XVIII ს. ვითარებიდან გამომდინარე, სამუხრანოში მდგომარეობა რთულდება, მით უმეტეს რომ სამუხრანბატონო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მთის ძირს წარმოადგენდა, სადაც სალაშქროდ შემოსეული მტერი ხშირად ბა-

ნაკლებობა, რაც „მუხრანის ქვეყნის“ განვითარებაზე ძალზე უარყოფითად მოქმედებდა. XVIII ს. ლეკთა გამუდმებული თარეში სამუხრანოს სულ უფრო და უფრო ავერანებს, ისინი, შიდა ქართლის სხვადასხვა რაიონში სათარეშოდ მიმავალნი, მუხრანს ვერ ასცდებოდნენ, „ამიტომ ეს მხარე სხვა მხარეებთან შედარებით უფრო მეტად ზარალდებოდა და ირბეოდა“, — აღნიშნავს დ. გვრიტიშვილი (203,191). ასეთი მძიმე სურათი აისახა კიდეც მუხრაბატონ კონსტანტინეს (1739-1756 წწ.) მიერ შიოსუბნისა („...მტერნი უსჯულნი მძლავრებდენ ქვეყანასა ქართლისასა ადგილითი-ადგილად მოკრებულ იყო სოფელნი და დაბანი და ესეცა შიოსუბანი მკვიდრთაგან თვისითა ცარიელ იყო და მიმოდაბნეულ იყვნენ მოსახლენი ამისნი“...(203,380)) და მჭადიჯვრის („...მოოხრებულიყო ქვეყანა ქართლისა ლეკთაგან, რომელ არიან კავკასსა და თვინიერ ციხეთა არსადა ეგებოდა გება კაცთა არცა თუ ერთსა სოფელსა და დაბაცა ესე ოხერქმნილ იყო, რომელ არარასა ცნობილ იყო თუცაღა სოფელსა ამას პირველ შენობა ყოფილიყო“... (221,160) ციხეებზე გაკეთებულ წარწერებში. ვახტანგ VI მეფობის ბოლო პერიოდში, სამუხრანბატონოს გაუქმების (1721 წ.) პარალელურად, თვალშისაცემია მუხრანში მტრის ხშირი დგომა: მაგალითად, ვახუშტი აღნიშნავს, რომ „დადგა მეფე ოკამს და ოსმალნი დგნენ შიოსუბანს“(82,505) ან ლეკების თარეშისას „უკუნიქცა მეფე და დადგა ქსოვრისს, კუალად მოვიდნენ სხუანი ლეკნი და მოსტყუევნეს საამილახორო და უკუნქცეულნი შევიდნენ შიოსუბანს“ (82,506). მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება.

1727 წელს იესე მეფის გარდაცვალების შემდეგ, „მაშინ ისაყ ფაშამ განჰყო ქართლი, სომხით-საბარათიანო მისცა ერასტი ყაფლანიშვილს, მცხეთას ზეითი ბაგრატ ციციშვილს, ზემო ქართლი გივს ამილახორს, მუხრანი და საერისთონი მათთავე მთავართა“ (82,510). კვლავ აქტიურდებიან ლეკნი, რის გამოც უსუფ-ფაშა „წარმოვიდა სპითა ოსმალ-ქართველთათა და ეკუეთა მუხრანს ლეკთა, მოსრნა იგინი და ნეშტნი შევიდნენ შიოსუბანს, მოადგა გარს“... (82,511). კარგად ჩანს, რომ მუხრანბატონებს მუხრანი დატოვებული აქვთ, XVIII ს. 20-30-იანი წლების ამ მწვავე ბრძოლებში ქართლის ყველა დიდი თავადი ჩანს, მუხრანბატონები კი ნაკლებად ან საერთოდ არ გვხვდებიან. მეორე მხრივ, შიოსუბნის მოვლენების ასე ცენტრში ყოფ-

ნა თავისთავად ლაპარაკობს როგორც მის დიდ მნიშვნელობაზე, ასევე იმაზეც, რომ მანამდე, XVII საუკუნეში, იგი უკვე ასრულებდა ცენტრის ფუნქციას — იყო მუხრანბატონთა რეზიდენცია; XVIII ს. 20-იან წლებში მუხრაბატონები იქ აღარ არიან და შესაბამისად, შიოსუბანშიც ფიქსირდება მტრის ხშირი დგომა. ცენტრის-რეზიდენციის მომენტის გამომხატველია, ალბათ ისიც, რომ აღინიშნება არა მუხრანი, არამედ კონკრეტულად შიოსუბანი.

XVIII ს. 30-იანი წლებიდან, მამუკას მუხრანბატონობაში, შიოსუბანში გამოცოცხლებაა: ვახუშტის პერიოდში, „შიოს-უბანს არს შენობა დიდი სასახლეთა"; მისივე ცნობით, „ხოლო ოსმალთა აღაშენეს ციხე ქრისტესა ჩ̃ღლ (1730 წ.). აწ არს სახიზრად" (82,352). დადგენილია, რომ 1733 წელს „ააშენა ციხე მუხრანისა ისაყ ფაშამ" (109,45), რომელსაც დაპყრობილ ქვეყანაში, თურქთა მმართველის (ისაყ ფაშას) ბრძანებით, რეალურად მამუკა მუხრანბატონი აგებს (26). ჩვენი აზრით, XVIII ს. 30-იან წლებში შიოსუბანი კვლავ სამუხრანბატონოს ცენტრია — ადგილი აქვს ბაგრატიონთა სამეფო სახლის მუხრანბატონთა განშტოების რეზიდენციის აღდგენას. მუხრანის ციხის აგებასთან დაკავშირებით აღნიშნული დოკუმენტიდან გამომდინარე ფიქრობენ, რომ „Шиосубани село, а Мухрани название местности, где находится резиденция феодала Мухран-Батони" (261,48). ჩვენი აზრით, დავას არ უნდა იწვევდეს, რომ ამ დროს მუხრანბატონთა რეზიდენცია სწორედ შიოსუბანია — მისი აღდგენა ამ ფუნქციით XVIII ს. 30-იან წლებში ხდება. სამუხრანბატონოს ცენტრის ფორმირებას წერტილი კონსტანტინე მუხრანბატონმა (1739-1756 წწ.) დაუსვა თავისი სააღმშენებლო საქმიანობით. მან 1733 წ. აშენებული სიმაგრე 1756 წელს აგებულ კომპლექსში ჩართო. რეზიდენციის შიოსუბანში გადატანის პერიოდის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაძლევს თვით კონსტანტინე მუხრანბატონის უკვე მოხსენიებული 1756 წლის შიოსუბნის ციხესიმაგრის წარწერა: „ქ. შეევედრებითა ღვთისითა ჩვენ მუხრანის ბატონ და სახლთუხუცესმან პატრონმან კონსტანტინემ აღვაშენე გალავანი ესე და ბურჯი შიოს უბანი წარსაგებელითა და საფასითა ჩემითა... მე შემოვკრიბენ და მოვზღუდენ ქვითკირითა ვინადგან სამკვიდრებელი იყო პაპის პაპათა ჩემთა და

მე ვიყავ მკვიდრი მათი“... (203,380). ამდენად, XVIII ს. შუა ხანებში თვით მუხრანბატონის მიერაა აღნიშნული — შიოსუბანი „სამკვიდრებელი იყო პაპის პაპათა ჩემთა“ (ანუ კონსტანტინე მუხრანბატონის), რაც იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ იგი სათავადოს ცენტრია არა მხოლოდ XVIII ს. I ნახევრიდან (30-იანი წლები), არამედ უფრო ადრეული პერიოდიდანაც კი (კერძოდ, XVII ს.). მივიღეთ შემდეგი ვითარება: ქსნის ციხესიმაგრის შემდეგ (იგი სამუხრანბატონოს მთავარ ციხედ რჩება), მუხრანბატონთა რეზიდენცია სოფ. შიოსუბანშია, რომელსაც XVIII ს. 70-იან წლებში, როგორც რეზიდენციასა და სათავადოს ცენტრს, ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყანა“ — მუხრანი ეწოდა.

მოკლედ სახელწოდება „შიოსუბნის“ შესახებ:

ალბათ, შეიძლება მხოლოდ ფრთხილი ვარაუდი გამოვთქვათ; ისტორიული წყაროებით კარგად ჩანს შიოსუბან-მუხრანის მჭიდრო კავშირი შიომღვიმის მონასტერთან. ცნობილი ფაქტია, თუ როგორ ცდილობს „ძაგანის სახლი“ მუხრან-ხერკის „ქვეყნისა“ და მცხეთა-წილკან-შიომღვიმის საეკლესიო მამულების მიტაცებას, რასაც დავით აღმაშენებლის შესაბამისი პასუხი მოჰყვა — მეფემ მათთვის შიომღვიმის წართმევით მუხრანი სამეფო დომენად აქცია. აკად. ნ. ბერძენიშვილი მიუთითებდა, რომ აფხაზი მეფეებიც მუხრანს შიომღვიმით სულ მუდამ ეძებდნენ — ამ მონასტერს ხომ დიდი საქონელი ჰქონდა მუხრანში (184,339). ასეთივე დამოკიდებულება ჩანს „შიოის-უბანისა“ და „შიოის-უბელთა“ შიომღვიმისადმი გიორგი III ზემოაღნიშნული 1170 წლის სიგელით: „...ეგრეთვე იყოს, ვითა თუით პაპისა ჩუენისა ანდერძსა სწერია“ და ჩამოთვლაა, მათ შორის — „შიოის-უბანი ყოველი-მოსყიდული თუით მონაზონთა მეუდაბნოეთაგან“ (130,56,57). შორს რომ არ წავიდეთ, შიომღვიმისა და მუხრანის კავშირი კარგად ჩანს თავად 1123/24 წწ. ანდერძით დავით მეფისა მღვიმისადმი (130,58); მასში ერთგან ვკითხულობთ: „...არცა ქართლისა კათალიკოზისა საქმე არს მღუმესა ზედა, არცა ვის სხჳსა ეპისკოპოსისა, არცა ზვერი, არცა მეფეთა, არცა მუხრანის მგეთა“ (130,58). როგორც ვხედავთ, შიომღვიმესთან მიმართებაში მეფეთა, კათალიკოსისა თუ ეპისკოპოსთა, ანუ უმაღლესი რანგის ხელისუფალთა გვერდით „მუხრანის მგენი“ — მისი გამგენი — მმართველნი არიან დასახელებულნი; ამიტომ, ფრთხილი ვარაუდით,

ხომ არ არის მუხრანის „ქვეყანაში“ ერთი კონკრეტული დასახელებული პუნქტის, სოფლის სახელწოდების — „შიოსუბნის“ წარმოშობა დაკავშირებული შიომღვიმესა და წმ. მამა შიოს სახელთან?!

მუხრანბატონთა ისტორიას 1801 წელს ვწყვეტთ — რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ბაგრატიონთა სახლი ჩამოსცილდა სამეფო ტახტს; მათი საგვარეულო განშტოებათა ისტორიაც, ბუნებრივია, სხვაგვარად წარიმართა, რის შესახებაც სპეციალურ ნაშრომში (199) უკვე იყო საუბარი.

§2. ბაგრატიონ - დავითიშვილები

იოანე ბატონიშვილის მიერ 1799 წელს შედგენილ ქართველ თავადთა და აზნაურთა გვარების აღწერაში აღნიშნულია, რომ თავადი დავითიშვილნი „არიან გვარით ბაგრატოანნი“ და მოსახლეობენ „ქრცხინვალის კერძოდ ნულის ხეობასა შინა“ [11; 87, 18]. ვახუშტის სიტყვებით, „რამაზიშვილი და დავითისშვილი არიან ავგიორგის ძმის დიმიტრისაგან, რომელი არჩინა მეფემან, და არიან მიერითგან აქა (ქართლში, დ.ნ.)“ [82, 34; 98, 65].

ვინ არიან „გვარით ბაგრატოანნი“ დავითიშვილნი[1]:

ალექსანდრე I კახთა მეფეს (1476-1511) „ესუა ძენი ორნი, უხუცესსა ეწოდა გიორგი და უმრწმესსა ეწოდა დიმიტრი“ [73, 487]. ალექსანდრე მეფესა და მის თანამოაზრე უმცროს ძეს — დიმიტრის კახთა ფეოდალთა ძლიერი ოპოზიცია უპირისპირდება უფროსი შვილის — გიორგი ბატონიშვილის მეთაურობით. მეფე ალექსანდრე დიმიტრისთან ერთად ქართლის სამეფოს მიმართ მშვიდობიანი პოლიტიკის მომხრეა, ხოლო გიორგი კი საპირისპირო გზას ადგას: იგი „ეტყოდა მამასა კირთებასა ქართლისასა და გარემოსთა თჳსთა. ხოლო ალექსანდრე არცაღათუ ისმენდა და ასწავებდა ძესა სიმშჳდესა და უშფოთველობასა“ [82, 569]. ალექსანდრე მეფე და დიმიტრი ბატონიშვილი ეევედრებოდნენ გიორგის, რომ „რამეთუ ძმანი არიან და არა ჯერ არს შენგან ცილობა და დაპყრობა ქართლისა, კმა არს შენთჳს კახეთიცა“

[1] იხ. მონოგრაფია — დ. ნინიძე, „აქა ანბავი თვალდამწერიანთა“ (ბაგრატიონ-დავითიშვილები), თბ., 1999.

[73, 487]. რადგან გიორგიმ სამეფო კარზე მისათვის სასურველი პოლიტიკის წარმართვას ვერ მიაღწია, მან თავად „დაიწყო ბრძოლა ქართლსა ზედა, რამეთუ დაპყრობა უნდოდა ქართლისა“ [73, 487]; აღდგა ქართლის მეფის დავით X წინააღმდეგ და „საზღვრამდის იმერეთისამდე მოარბევდეს ქართლსა მრავალგზის“ [76, 350]. ალექსანდრე კახთა მეფე და დიმიტრი ბატონიშვილი გიორგის მიერ ქართლის წინააღმეგ მიმართული სამხედრო გეგმის განხორციელებას წინ აღუდგნენ და „გარდაუდგნენ წინა საფურცლეს“. ამას ისიც ემატება, რომ ალექსანდრე მეფე, სამეფო პოლიტიკის წარმოებისას, უმეტესად უმცროს ძეს — დიმიტრი ბატონიშვილს ეყრდნობა და, როგორც ჩანს, სხვადასხვა დავალებებსაც აძლევს: მან შირვანს შაჰ-ისმაილთან წარგზავნა „ძე თჳსი დიმიტრი ძღუენითა დიდითა“, ელჩობა წარმატებით დასრულებულა — „შაჰისმაილ პატივით შეიწყნარა და წარმოუვლინა დიმიტრი ნიჭითა და ზავითა მშჳდობისათა“ [82, 569]. ამან გიორგი ბატონიშვილთან ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბა და მისი დიდი უკმაყოფილება გამოიწვია; ვახუშტის სიტყვებით, მას „აქუნდა შური მიერ ჟამითგან, რაჟამს წარავლინა მამამან თჳსმან წინაშე ყეენისა“ დიმიტრი [82, 569]. იგი, როგორც ჩანს, მამას მისი უმცროსი ძმისადმი მიკერძოებაში ადანაშაულებს. ამ მომენტს ხაზს უსვამს „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტის ავტორიც: „ამას ზედა აღივსო შურითა გიორგი...“ [73, 488]. კონფლიქტი იმით დასრულდა, რომ „უხუცესი“ გიორგი ბატონიშვილი „არა მსმენელი ეშურვა მეფობასა მამისასა, რათა ჰყოს წადიერება თჳსი“ [82, 569], „უღალატა მამასა თჳსსა ალექსანდრეს ჭალასა შინა საფურცლისასა და მოკლა მამა თჳსი, და ძმასა თუალები დასწვა, და ამიერითგან უწოდეს ავ-გიორგი, და იქმნა პატრონი კახეთისა“ [76, 350]. ყოველივე 1511 წელს მოხდა.

გამეფებულმა ავ-გიორგიმ (1511-1513) თვალდათხრილი ძმა კახეთში არ დააყენა და „ცოლითა და შვილითა გამოაგდო დიმიტრი და მოვიდა მცხეთას და სვეტს-ცხოველს შემოეხუეწა. და იყო რაოდენიმე ხანი“ [73, 488]. ხელ-ფეხგახსნილი ავ-გიორგი, რომელიც თავისი მოქმედებისა გამო მცხეთის შეწირულების 1511 წლის სიგელში ამბობს, რომ „ცოდვისა საქმეს შევესწარ“, თავს „ლიხთ იმერისა და ლიხთ ამერისა ორისავე ტახტისა და სამეფოს“ გამაერთიანებლად და „აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“ მეფეთა მეფედ აცხადებს [227, 44-45].

ავ-გიორგის მოქმედებასა და მის მიერ წარმოებულ პოლიტიკას მუხრანბატონთა შტოს გარდა ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოში მეორე განშტოების — დავითიშვილთა წარმოშობა მოჰყვა. ვახუშტის ტერმინოლოგიით, ავ-გიორგიმ დიმიტრის „აღმოკადნა თუალნი", ხოლო ბერი ეგნატაშვილის სიტყვებით, „ძმასა თუალები დასწვა". ქართლში გადმოსვლის შემდეგ, დიმიტრი ბატონიშვილის ჩამომავლებისაგან სამეფო საგვარეულოს განშტოება ყალიბდება, რომელთაც „თვალდამწვრიანები" ეწოდათ. ფარსადან გორგიჯანიძე, რომელიც ამ განშტოებაზე სპეციალურად ჩერდება, მისი თხზულების ამ ნაწილს არქმევს — „აქა ანბავი თვალდამწვრიანთა" [116, 299-300], სადაც დიმიტრის „თვალდამწვარს" უწოდებს, ხოლო ჩამომავლები „თვალდამწვრიანებად" იხსენიება. ბაგრატიონთა ამ შტოს ქართლში გადასვლის შემდეგ, ისინი „არჩინა მეფემან და არიან მიერითგან" ქართლში, რასაც მათი „გაგვარება" მოჰყვა — დიმიტრის ჩამომავალ დავით თვალდამწვრიანიდან ისინი დავითიშვილებად იწოდნენ, ანუ „გაუგვარდათ ამა სახელისა გამო" [88,113]; ამიტომ ბაგრატიონთა საგვარეულოს ამ განშტოებას ორივე სახელწოდებით ვხვდებით: „თვალდამწვრიანები" და „დავითიშვილები" — ისინი სინონიმებს წარმოადგენენ. მოსე ჯანაშვილი, რომელიც სპეციალურად შეჩერდა ამ განშტოებაზე, თავის მცირე მოცულობის სტატიაში მათ თვალდამწვრიშვილებს უწოდებს [339]. მიუხედავად ამისა, რატომღაც ზოგჯერ მათ ორ სხვადასხვა გვარად მიიჩნევენ. მ. ქიქოძე ზემო ქართლის სადროშოში შემავალი სათავადოების ჩამოთვლისას დავითიშვილებსა და თვალდამწვრიანებს ცალ-ცალკე აღნიშნავს [317, 110], ხოლო ჯ. გვასალია XVII ს. ერთ-ერთ საბუთზე დაყრდნობით, სადაც ქართლის სათავადოებია ჩამოთვლილი, მათ ორ სხვადასხვა სათავადოდ მიიჩნევს, აღნიშნავს „დავითიშვილების სათავადოს" და „თვალდამწვრიანთ სამფლობელოს" [210, 27]. ალექსანდრე ამილახვარი ქართლის სადროშოს სათავადოებს შორის დავითიშვილებს ასახელებს [71, 128], ხოლო თვალდამწვრიანებს არც იხსენიებს; იგი ერთი და იგივე გვარია და, ამდენად, ორივეს აღნიშვნის აუცილებლობა აღარ არსებობს. ვფიქრობთ, ეს საკითხი დავას არ უნდა იწვევდეს, რაშიც ქვემოთ მოტანილი მასალაც დაგვარწმუნებს. აქ შევჩერდეთ თავად ზემოაღნიშნულ XVII ს. საბუთზე, რომლის ორიგინალში გაცნობამ ცხადყო, რომ მისი ავტორი მათ ერთმანეთისა-

გან არ ასხვავებს, ჩამოთვლაში მხოლოდ „თვალდამწვრიანია“ მითითებული, დავითიშვილი კი, ბუნებრივია, აღარ გვხვდება: „ქ. არის ბატონის ამილახორის დროშაზედა: ბატონიშვილი გიორგი, ერთობილნი ზევდგინიანი, ფაელენიანი, მაჩაბლიანი, თუმანიანი, ბატონი მრუელი, ავალიშვილი ქაიხოსრო, ბატონი ურბნელი, ხერხაულიანი, ფალავანდიანი, ბატონი მთავარ ეფისკოპოზი, რაც გორს ზეით ან სადედოფლო არს ან სუეტის ცხოვლისა და იელუსარემისა ერთობილნი ამირეჯიბიანნი, თვალდამწვრიანი, დიასამიძე ელისბარ, როსტომ ქავთარაძე, შალვა თუხარელი, ამუან თაქთაქიძე, თაქთარ ტატიანი და წერეთლის მამული, აბაშიძის მამულები, იტრიის წინამძღვარი, აბაზაძე, დამღაწაშვილი, ავალიშვილი გულბათ, ფაფინა იაღუზაშვილი“ [21]; ხელნაწერის მეორე უკანა მხარეს აღნიშნულია — „როსტომ“, იქვე აგრეთვე ვკითხულობთ — „არის სასარდლოს წიგნი დიდის მეფის თეიმურაზის“, ხოლო განსხვავებული ხელით — „გადაწერილია 1630-1640 წწ“. დავითიშვილნი და თვალდამწვრიანნი ერთი და იგივე გვარია, ამიტომ მათი ერთ საბუთში ცალ-ცალკე მოხსენიება ვერ მოხდებოდა.

მართალია, კახეთის სამეფო კარზე კონფლიქტი თითქოს ქართლის სამეფოსადმი დამოკიდებულების საკითხში უთანხმოებას მოჰყვა, მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც გამწვავებული ბატონიშვილობის საკითხია: გიორგის, როგორც უფროსს სამეფო ოჯახში, ბუნებრივია, სამეფო ტახტზე ასვლის სურვილი ამოძრავებს და ამ გზაზე მის ძმაში — დიმიტრიში მთავარ საშიშროებას ხედავს. იმასაც გრძნობს, რომ მეფე-მამა ალექსანდრე I აქცენტი დიმიტრი ბატონიშვილზე აქვს აღებული. აქვე ყურადღებას იქცევს ფარსადან გორგიჯანიძის ცნობა, რომ მეფის უფროსი ძე — დავითი (უნდა იყოს დიმიტრი — რაც მთავარია, იგი არის უფროსი ბატონიშვილი) და მეორე — გიორგი არ არიან ღვიძლი ძმები: „უმცროსი ძმა ათაბაგის ქალის შვილი ყოფილა, დავით (დიმიტრი, — დ.ნ.) ჩერქეზის ქალსთან ჰყოლებია“, — აღნიშნავს ფარსადან გორგიჯანიძე [116, 299]. აქვე იბადება ფრთხილი ვარაუდი, ავ-გიორგისა და დიმიტრის დაპირისპირება იმანაც ხომ არ გამოიწვია, რომ ისინი სხვადასხვა თანამეცხედრეებისაგან ჰყავდა ალექსანდრე I კახთა მეფეს?! ამ აზრის იყო მაგალითად, მ. ჯანაშვილი [339]. ისტორიული წყაროებით მართლაც ირკვევა, რომ ალექსანდრე I კახთა მეფეს ორი მეუღლე

ჰყავდა, პირველი — ანა და მეორე — თინათინ. სამწუხაროდ, სიგელები არ განასხვავებენ ბატონიშვილთა დედის ვინაობას: მაგ., მცხეთის ერთ სიგელში აღნიშნულია: „ქ. ჩუენ პატრონმა მეფეთ მეფემან ალექსანდრე და ძეთა ჩვენთა გიორგი და დიმიტრი და პატრონმა დედამან ჩვენმან დედოფალთა დედოფალმან ნესტან-დარეჯან და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალმან ანნა ესე გასათავებელი წიგნი მოგაკსენეთ...“ [119, 319]. სხვა სიგელში უკვე თინათინია დასახელებული იმავე ბატონიშვილების გვერდზე: „...ბაგრატიონმა მეფემან ალექსანდრე და ძეთა ჩუშნთა გიორგი და დიმიტრი და პატრონმან დედამან ჩუშნმან, დედოფალმან ნესტანდარეჯან და თანამეცხედრემან ჩუშნმან დედოფალმან თინათინ...“[119. 323]. როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში დასახელებილია გიორგი და დიმიტრი ბატონიშვილები, მაგრამ ერთ შემთხვევაში თანამეცხედრე ანაა, მეორე შემთხვევაში — თინათინი. თუ ამ მოსაზრებას დავუშვებთ, ბატონიშვილობის საკითხის გამწვავების მიზეზი კიდევ უფრო თვალნათლივი გახდება, მით უმეტეს, ფარსადან გორგიჯანიძის ცნობა სწორედ ამას უჭერს მხარს (თუმცა, ეს მხოლოდ ვარაუდია, რადგან ალექსანდრე I კახთა მეფეს მეორე მეუღლე — თინათინი მისი სიცოცხლის ბოლო პერიოდში უნდა მოეყვანა, ხოლო 1511 წელს გიორგიც და დიმიტრიც სრულწლოვანი ბატონიშვილები ჩანან; ამდენად, გარკვეული ქრონოლოგიური შეუსაბამობა არსებობს).

უფრო ვრცლად ბაგრატიონ-დავითიშვილთა განშტოების წარმოშობის შესახებ:

ამ მხრივ, უპირველესი ისტორიული წყარო ფარსადან გორგიჯანიძეა, კერძოდ, მისი თხზულების ის ნაწილი, რომელსაც „აქა ანბავი თვალდამწვრიანთა“ ეწოდება. უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომს ახასიათებს ქრონოლოგიურ-ფაქტობრივი შეცდომები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი მნიშვნელობა ბაგრატიონთა სამეფო სახლის ამ განშტოების წარმოშობის შესწავლის საქმეში განუზომელია.

ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით, კახეთის მეფეს უმცროსი ძმა — გიორგი (სინამდვილეში იგი უფროსი ძმაა) „გაუზრდია და კარგი ცოლი შეურთავს და ბატონათ დაუსვამს“; დიმიტრი ბატონიშვილს (ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით — დავითი) „ასრე მოუხსენებია უმცროსის ძმისათვის (გიორგისათვის, — დ.ნ.), რომ ერთს ქვეყანაში

ორი ქემწიფე არ იქნებისო, რაც გემეტებოდეს, მამული მამეცო. კახეთის მეხუთედამდისინ მამული მიუცია, საყვარელი ძმანი ყოფილან“ [116, 299]. ამის შემდეგ, ადგილი აქვს ძმებს შორის დაპირისპირებაქიშპს და ბატონიშვილობის საკითხის უკიდურეს გამწვავებას: დიმიტრი ბატონიშვილი „მამაცობაში ნაქები ყოფილა, უხვი და უშურველი და მსმეველ მჭმეველი და კაცთ მოყვარული და ყველას გამწყო კაცი ყოფილა და კახნი ბატონისშვილობისთვის ემსახურებოდეს“ [116, 299]. როგორც ჩანს, კახელთაგან დიმიტრისადმი „ბატონიშვილობისათვის“ სამსახური გიორგისათვის სასურველ საზღვრებს გადასცდენია; ძმებს შორის ურთიერთობის დაძაბვაში მთავარი სიტყვა ჩოლოყაშვილებს უთქვამთ: „ეს ჩოლოყაშვილებმა ბატონს გიორგის მოახსენეს: კახნი შენს ძმას ემსახურებიანო, არ ვიციოთ, თუ რა სწადიანო. სჯობსო თვალები დასწვათო“ [116, 299]. საინტერესო პასუხია ეპოქის დახასიათების თვალსაზრისით, გიორგი ამბობს: „ამაში ღმერთი რას კარგს მიზამსო, გამზარდა, დამაქორწილაო და უფროსი ძმა იყო და თავისი ქელმწიფობა მე დამანება, რის გზით გამოვიმეტებო“ [116, 299]. შეცდომაა იმის აღნიშვნა, რომ დიმიტრი „უფროსი ძმა“ იყო, მაგრამ საინტერესოა გიორგის ჭოჭმანის ხაზგასმის მომენტი. მიუხედავად ამისა, ბატონიშვილობის საკითხი მაინც უკიდურესად გამწვავდა, თავისი სიტყვა დიმიტრი ბატონიშვილის საპირისპიროდ მოქმედ ბანაკს უთქვამს, რომელთაც ჩოლოყაშვილები უნდა ხელმძღვანელობდნენ. ფარსადან გორგიჯანიძე აღნიშნავს, რომ გიორგის „არ დაესხნეს, სინამდისინ თვალები არ დააწვეინეს“ დიმიტრის; იმის გამო, რომ ამ აქტის შემდეგ მას გარკვეული „სინათლე შერჩომოდა“, დიმიტრისათვის „თვალის სინათლე მეორეთ წაუხდენიათ“ [116, 299]. ფარსადან გორგიჯანიძე დიმიტრი ბატონიშვილს უკვე იხსენიებს ტერმინით — „თვალდამწვარი“. იგი თავის შვილებთან ერთად შაჰ-თამაზთან მიდის; ამის შემდეგ, იქვე აღწერილია თავალდამწვარის შაჰის კარზე ყოფნის ვითარება — შაჰ-თამაზმა თვალდამწვრიანებს „კახეთი საჯილდოთ უბოძა და ფარი ფლურით აუვსო“ [116, 299]. მიუხედავად შაჰის მხარდაჭერისა, თვალდამწვრიანებს კახეთში დაბრუნებისათვის ძალა არ შესწევთ — შაჰის სიტყვებია, რომ „სინამდისინ კახეთი დაიჭიროო, ქართლს იყავო“ [116, 299]. დიმიტრი „თვალდამწვარმა“ მიღებული ფული „ქართლს წაიღო და იმით სოფლები იყიდა“ —

კერძოდ, სოფ. დირბი, ბრეთი და ბებნისი; როგორც ვახუშტი აღნიშნავს, ისინი ქართლის მეფემ „არჩინა“. ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვითაც, თვალდამწვრიანებს „თავადები მოხმარებიან“ და დირბს „მაგარი“ ციხე აუგიათ. დირბი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო, მის მონასტერში, ვახუშტის სიტყვებით, „ზის არქიმანდრიტი იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა“, რომელიც „მოსავალს გზავნის ვერცხლად იერუსალემს“ [82, 374]. იერუსალიმიდან არქიმანდრიტი თავისი ამალით ექვსი წლით ჩამოდიოდა და თბილისში ცხოვრობდა, დირბში მისი მოურავი იჯდა [255, 51].

შემდეგ ფარსადან გორგიჯანიძესთან მეორე პერიოდზეა საუბარი, როცა ქართლის მეფეა უკვე ლუარსაბ I (1527-1556). კახეთის მეფე უკმაყოფილოა თვალდამწვრიანთა ქართლში მფლობელობით, მათში იგი პოტენციურ ტახტის პრეტენდენტთ ხედავს — „კახს ბატონს უთქვამს: თუ ის ქართლს არისო, არ მოგვასვენებსო, კახეთს წამართვამსო. ადგა და მეფეს ლვარსაბს მოციქულები და მრავალი ფეშქაში და აბრეშუმი გაუგზავნა და ასრე შესთვალა:ყოვლს ახალ წელიწადს ამდენს საპალნეს აბრეშუმს მოგართმევო, დავითს ჩემ ძმას დირბის ციხე დაუქციეთო და თქვენს მამულში ნუ დააყენებთო და მისი მამული მისს ძმას რამაზს მიეცითო“ [116, 300]. აქ ფარსადან გორგიჯანიძეს ზოგიერთი შეცდომა აქვს დაშვებული და ისინი დაზუსტებას საჭიროებს:

ქართლში ლუარსაბ I (1527-1556) მეფობის პერიოდში „კახთ ბატონი“ ავ-გიორგი ვეღარ იქნებოდა, რომელიც 1513 წელს იქნა მოკლული. კახეთის მეფეში უნდა იგულისხმებოდეს ავ-გიორგის ძე ლევანი (1518-1574), რომელიც ასევე შეშფოთებული ჩანს დიმიტრი ბატონიშვილისა და მისი შთამომავლების ქართლში მფლობელობით — ლუარსაბ I ქართლის მეფესთან ურთიერთობა „კახთა ბატონებიდან“ მხოლოდ ლევან კახთა მეფეს შეეძლო. ბუნებრივია, თვალდამწვრიანებში იგი საშიშ პრეტენდენტებს ხედავს, ითვალისწინებს რა მისი მამის — ავ-გიორგისა და დიმიტრი „თვალდამწვარის“ ურთულეს ურთიერთობებს. რაც შეეხება ფარსადან გორგიჯანიძესთან მოხსენიებულ დავითს, აქ იგულისხმება არა ავ-გიორგის ძმა, არამედ დიმიტრი ბატონიშვილის შვილი დავითი; ასევე რამაზიც დავითის შვილია და არა მისი ძმა. ამდენად, გენეალოგია ასეთია: დიმიტრი თვალდამწვრიანი —> დავით თვალდამწვრიანი —> რამაზ დავითიშვილი.

ვითარება შემდეგნაირად განვითარდა: ქართლის სამეფო კარის გადაწყვეტილებით, დირბის ციხე დაუქცევიათ; მისი პირველი სამშენებლო ფენა სწორედ ამ პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს [255, 49]. დიმიტრი ბატონიშვილის – „თვალდამწვარის" შვილი დავითი იმერეთის მეფესთან აფარებს თავს, სადაც უკვე ბაგრატ III (1510-1565) მეფობს. მას დავითისათვის გადაუცია: „ზემო ქართლში ნული, თორმანეული, ღვერთეთი, ფლევი, ქანბადი, ცხეთას ჯვარი, მოხის რუისის გლეხები და საღდარი სასაფლავოთ აზნაურნი და ქერკაულიძენი და ტატიშვილები" [116, 300]. ეს არის მნიშვნელოვანი ცნობა თვალდამწვრიანთა სამფლობელოს წარმოშობის შესახებ; მას საფუძველი ჩაუყარა დიმიტრი ბატონიშვილის შვილის – დავითის მფლობელობამ, სწორედ იგი გვევლინება გვარის ფუძემდებლადაც, ამიტომ ბაგრატიონთა სამეფო სახლის ამ განშტოების გათავადების შედეგად ჩამოყალიბებულ სათავადოს სადავითიშვილო[1] ეწოდა. ზემოჩამოთვლილი სოფლები დავითიშვილთა მთავარი, ცენტრალური მამულებია, რაშიც ქვევით არაერთხელ დავრწმუნდებით; იოანე ბატონიშვილის მიხედვითაც, ხომ ისინი „ნულის ხეობასა შინა" მოსახლეობენ. ამდენად, ქართლის მამულებში კახეთის ბაგრატიონთა ამ განშტოების გადმოსვლას, ზემოაღწერილი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობების ფონზე, მათი გათავადება მოჰყვა, ანუ იგი ახალ ფეოდალურ სახლად ჩამოყალიბდა. მსგავს ვითარებაში, როგორც ირკვევა, ბაგრატიონთა სამეფო სახლის ასეთი განშტოებები ბაგრატიონობას კარგავენ და რადგან „გარნა გაუგვარდათ სახელი" მათი მამამთავრისა, ამ ახალი გვარით იწყებენ მფლობელობას.

რა უფლებები ჰქონდა იმერეთის მეფეს ქართლის ამ რეგიონში, რომ მსგავსი მფლობელობა მიენიჭებინა კახეთიდან გადმოსული ბაგრატიონთა საგვარეულოს ერთ-ერთი განშტოებისათვის?! უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჯერ კიდევ ის პერიოდია, როცა იმერეთის სამეფოს ხელი მიუწვდება შიდა ქართლის დასავლეთი რეგიონის გარკვეულ მამულებზე; სწორედ ამ ხანაში იმერეთის მეფე ბაგრატ III ქართლის მეფე ლუარსაბისაგან დახმარების სანაცვლოდ ქართლში არადეთის წყალს გამოღმა – ალს, სურამსა და ახალდაბას ღებულობს. ბაგრატ

[1] ერთმანეთში არ უნდა აკურიოთ დავითიშვილები და დავითაშვილები, რასაც ადგილი აქვს ზოგიერთ გამოკვლევაში [170, 316; 306, 21].

III იმერთა მეფეს რომ ხელი მიუწვდება ქართლის გარკვეულ მამულებზე, კარგად ჩანს 1511 წ. სიგელიდან, სადაც აღნიშნულია, რომ მან ზაქარია ფანასკერტელ-ციციშვილს უწყალობა რუისში „თვალიაშვილი მკვიდრი... ტინისხიდში თავაქალაშვილისეული მამული...“ [20]. ამ მხრივ, საინტერესოა სხვა ინფორმაციაც: XVII ს. I ნახევარში გიორგი III იმერთა მეფემ დავით დავითიშვილსა და მის შვილებს პირობა მისცა და დაჰპირდა, რომ ქართლის დაპატრონების შემთხვევაში, თუ „ღმერთმან ხელად შემოგვიგდოს“, თქვენს მამულს, ციხესა და აზნაურებს დაგიბრუნებთო, ხოლო საპირისპირო შემთხვევაში თქვენ ჩემთან, ანუ იმერეთში პატივით შეგინახავთო (1614 წ.) [36]. როგორც ჩანს, მათ მიაღწიეს საწადელს: გიორგი იმერთა მეფემ დავით ბოქაულთუხუცესს დაუმტკიცა მისი მკვიდრი მამულის ფლობა: სტკოცას რიკაძეები, აბანო, წაბლუანა, ბრეთი, გორს — ორი ვაჭარი: მერაბაი და უნანაი; ალს — ერთი ვაჭარი (1614-1619) [37]. ამდენად, იმერეთის მეფეების მფლობელობა თუ გავლენა შიდა ქართლის გარკვეულ ტერიტორიებზე რეალობაა; ამიტომაც, ფარსადან გორგიჯანიძის ზემოაღწერილ ცნობაში, იმერთა მეფისა და დავით თვალდამწვრიანის ურთიერთობის შესახებ, არაფერია მოულოდნელი (ასეთი მფლობელობის შესახებ გარკვეულწილად „ორიანობაშიც“ გვქონდა საუბარი).

ფარსადან გორგიჯანიძესთან დაცულია ცნობა დავითიშვილთა მფლობელობის მეორე ეტაპის, ანუ მათი ქართლში მდგომარეობის განმტკიცების შესახებ; ამ ინფორმაციას რატომღაც ყურადღება არ ექცევა. იგი დაკავშირებულია დავით თვალდამწვრიანის შვილის — რამაზის სახელთან: „რამაზ ბაგრატ მეფეს მოსწონებია“, ზემოთ ჩამოთვლილი სოფლები „შაჰტამაზ ყაენის ნაბოძების ოქრო ვერცხლით უყიდიათ და შაჰტამაზ ყაენი მამკვდარა და ესენი ქართლს დარჩომილან...“ [116, 300], ე.ი. რამაზს განუმტკიცებია მათი განშტოების მფლობელობა („უყიდია“ სოფლები) და „დარჩომილან“ ქართლში; ტერმინში — „დარჩომილან“ ის იგულისხმება, რომ კახეთიდან გადმოსული თვალდამწვრიანების მდგომარეობა ჯერ კიდევ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ ყოფილა; ეს საკითხი რამაზის დროს უნდა მოგვარებულიყო, ოღონდ ისინი უკვე როგორც თავადები („გაგვარებული“ ბაგრატიონები), ისე მფლობელობენ. რამაზივე ჩანს ის პირველი წარმომადგენელი ამ განშტოებიდან, რომელიც „დავითიშვილად“ იწოდა. ვფიქრობთ,

ასეთია ძირითადი მომენტები, რამაც განაპირობა ბაგრატიონთა სამეფო სახლის ამ განშტოების წარმოშობა, ხოლო მის წევრებს „გაგვარების“ შემდეგ თავადი დავითიშვილები ეწოდათ.

კახეთის სამეფო კარი ქართლში ბაგრატიონთა კახეთის შტოს ჩამომავალთა დამკვიდრებას არ ეგუება; ლევან კახთა მეფეს აშკარა აგრესიისათვისაც კი მიუმართავს: „კახი ბატონი შვიდის ათასის კაცით ნასყიდს მამულში მიუხდა“ რამაზს, დავითიშვილებს „მუხრანის ბატონი მოსდგომიან და იმათ შვიდასი კაცი შეეყარათ და შვიდს ათას კაცს შემოჰბმოდენ“ [116, 300]; ბრძოლა კახეთის მეფის მარცხით დამთავრდა, რამაც რამაზ დავითიშვილისათვის პოზიციები საბოლოოდ განამტკიცა. ბრძოლას დაახლოებით იმ პერიოდში უნდა ჰქონოდა ადგილი, როცა მუხრანბატონთა ჩვენეული გენეალოგიით, „მუხრანის ბატონი“ ბაგრატ პირველი მუხრანბატონის შვილი ვახტანგია.

რამაზ დავითიშვილს ყველაზე აქტიურად იმერეთის მეფე ბაგრატ III უჭერს მხარს, „იმერელმან მეფემ რამაზს ქალი მოსცა და ქართლსა და იმერეთში იმის (რამაზის, – დ.ნ.) უკეთესი კაცი არ იყო“ [116, 300]. ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით, რამაზს მისგან შესძენია შვიდი ვაჟი – კონსტანტინე (გორგიჯანიძეთი – „კოსტანტიელა“), ელიზბარ, სიაოშ ყლიჯყორჩი, გიორგი, დავით ბოქაულთუხუცესი (ეს ისტორიული წყარო მხოლოდ ხუთ ძმას ასახელებს).

პრობლემატურად დგას რამაზ დავითიშვილის მეუღლის ვინაობის საკითხი: ფარსადან გორგიჯანიძე ერთ ადგილზე აღნიშნავს, რომ იმერეთის მეფემ „ქალი მოსცა“ რამაზს, მაგრამ არ აზუსტებს ვის გულისხმობს; მეორე ადგილზე, მას „მეფის დას“ უწოდებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ლაპარაკია იმერეთის მეფის ბაგრატ III ასულზე, ანუ მეფე გიორგი II (1565-1585) დაზე; მაგრამ აქვე ვკითხულობთ მეორე საინტერესო ცნობასაც: როცა დავითიშვილებმა უმცროსი ძმა – გიორგი გააგდეს, „გაღარიბებული“ სახლიკაცი დედასთან წავიდა, რომელიც „შაშვეთის ბატონის ქალი ყოფილა, მეფის ქალის შვილი იყო“ და იგი „სამცხეს შამშობლოსას იყო“ [116, 300]. როგორც ვხედავთ, ერთ შემთხვევაში, რამაზ დავითიშვილის მეუღლე იმერეთის მეფის დაა, ხოლო მეორე ცნობით, რამაზს მისი შვილი – გიორგი იმ ქალისაგან შესძენია, რომლისთვისაც სამცხე სამშობლოს წარმოადგენს; წარმომავლობით იგი შავშეთის ბატონის ქალია, ხოლო მისი

დედა კი მეფის (რომელ მეფეზეა ლაპარაკი არ ჩანს) ასულია (შავშეთის ბატონს ცოლად ჰყოლია ბაგრატიონთა სამეფო სახლის ჩამომავალი). ჩვენი აზრით, აქ ლაპარაკია რამაზ დავითიშვილის მეორე ცოლზე და უმცროსი ძმის — გიორგის დედაზე.

ამდენად, რამაზ დავითიშვილს კონსტანტინე, ელიზბარ, სიაოშ და დავითი პირველი მეუღლისაგან — იმერეთის მეფის დისაგან, ხოლო უმცროსი გიორგი შავშეთის ბატონის ქალისაგან ჰყოლია:



ზემოაღნიშნულ ვითარებას ადასტურებს ძალზე საინტერესო რუსული წყარო: „Роспись поколенная князей грузинские земли князя Хохоны да князя элизбара Романовичев Давыдовых". აქ აღწერილია 1666 წელს ერეკლე I ერთად რუსეთში გადასულ ხოხონა რამაზის ძისა და მისი ძმის ელიზბარ (ილია) დავითიშვილის წინაპართა ისტორია (ეს წყარო „В книгах". გამოქვეყნებულია პროფ. გ. პაიჭაძის მიერ). რუსეთში ჯერ იქმნებოდა „Столбцы" და იქიდან გადაიწერებოდა „В книгах". ჩვენ ვნახეთ პირველი ხელნაწერი[1], შინაარსი უმნიშვნელო ნიუანსების გარდა ერთნაირია: „...На Грузинском царстве был царем после прапрародителей своих царей и прадеда, и деда, и отца своего царя Давыда(?) царь Александр Давыдович(?), а у него были два сына:

[1] ხელნაწერი მოგვაწოდა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ნანა გეგელიშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

царевич Георгий Александрович, царевич Димитрий Александрович. И царевич Георгий Александрович по жестосердию своему отца своего, царя Александра Давыдовича (?), убил досмерти, а у меньшего брата своего царевича Димитрия Александровича, выжег очи и дал ему удельныя городы, а сам сталь царствовать на грузинском царстве и царевич Димитрий Александрович еще опасаясь его на себя всякого зла, оставя удел свой, отъехал к сроднику своему, к карталинскому царю. И карталинский царь дал ему удел же..." [155, 197]. როგორც ვხედავთ, ეს ძვირფასი ისტორიული წყარო იმ ცნობებს ადასტურებს, რაზეც უკვე გვქონდა საუბარი. ყურადღებას იქცევს დავითის „მეფობით" აღნიშვნა და ალექსანდრე I კახთა მეფის ამ დავითის შვილად გამოცხადება (როგორც ცნობილი, სინამდვილეში იგი გიორგი VIII ძეა). აქედან უნდა ჰქონდეს აღებული ცნობა ალექსანდრე ლაკიერსაც, როცა ამ განშტოებას დავით მეფით იწყებს, ოღონდ მეფე ალექსანდრეს მის შვილიშვილად მიიჩნევს (у него (დავით „მეფე", — დ.ნ.) был внук царь Александр...) [381, 328]. ჩვენი აზრით, დავითში უნდა იგულისხმებოდეს XV ს. II ნახევრის კახეთში მოღვაწე „პროვინციის მეფე" დავითი,[1] რომლის ასეთი მფლობელობა („მეფობა") დავითიშვილთა ამ საინტერესო ცნობაშიც აისახა.

ამავე დოკუმენტში დაცულია ინფორმაცია დავითიშვილთა პირველ წარმომადგენელთა შესახებ: „А у меньшего царевича царева Дмитрия Александровича, у которого брат ево, царь Георгий, выжег очи, сын князь Давид Дмитриевич, а у князя Давида Дмитреевича-сын, князь Роман (რამაზი, — დ.ნ.) Давыдович, а у князя Рамана (რამაზი, — დ.ნ.) Давыдовича-дети: князь Константин, да князь элизбар, да князь Давид Романович" [155, 198].

კონსტანტინე დავითიშვილი სიმონ I დიდის ხანის ქართლის სამეფოს მნიშვნელოვანი ფიგურაა. იგი ზემო ქართლის სარდალი („воевода и полководец") ყოფილა; სიმონ I ბრძოლაში იმერეთის მეფის როსტომისა და ოდიშის მთავარ მანუჩარ I დადიანის წინააღმ-

[1] მის შესახებ ვრცლად იხ. „პროვინციის მეფეებისადმი" მიძღვნილ ჩვენს დასახელებულ მონოგრაფიაში.

დეგ, დასავლეთ საქართველოში თავისი გავლენის განსამტკიცებლად, თავადი კონსტანტინე დავითიშვილიც აქტიურად მონაწილეობს. დასავლეთ საქართველოში გადასულმა სიმონ მეფემ სკანდის, კვარის, კაცხისა და სვერის ციხეები დაიკავა, შემდეგ ქუთაისი აიღო და ოდიშისაკენ საბრძოლველად მოემზადა; დავითიშვილთა ზემოაღნიშნული რუსული ცნობით, „и как царь Симеон пошел воевать Одишскую землю, и на той войне Константин убит в урочище Опискучи“ [155, 198]. „Опискучи“ უდავოდ ოფშკვითია. მართლაც, დაპირისპირებულ მხარეებს შორის მთავარი შეტაკება ოფშკვითთან მოხდა: იმერეთის მეფე როსტომი ოდიშის მთავარ მანუჩარ I დადიანთან გაიქცა; სიმონ მეფე, რომელსაც იმერეთის შემოერთება ჰქონდა გადაწყვეტილი, როსტომის მისთვის გადაცემას მოითხოვს. სიმონს მხარს უჭერს იმერელ თავადთა ერთი ჯგუფი, მაგრამ როსტომი და მანუჩარ დადიანი ახერხებენ მათ გადაბირებას. მთავარი შეტაკება ოფშკვითთან 1590 წელს[1] მოხდა. სწორედ ამ ბრძოლაში დაღუპულა ზემო ქართლის სარდალი კონსტანტინე დავითიშვილი. მის მფლობელობაზე ცნობას გვაწვდის 1581 წ. შეწირულობის წიგნი მიცემული სიმონ მეფის მიერ მცხეთის სარდლისადმი, რომლითაც ირკვევა, რომ მეფეს სვეტიცხოვლისათვის შეუწირია „ზემო ქართლის“ სოფელი მოხისი, ოღონდ მხოლოდ „რამაზის შვილის კონსტანტინეს გლეხებს გარეთ რაც სახასო ყოფილა“ [121, 11]. როგორც აღნიშნული იყო, მოხისში დავითიშვილებს მართლაც ჰქონდათ მამულები. სწორედ ამ კონსტანტინეს შვილის რამაზის ჩამომავალნი — ხოხონა და ელიზბარი მიდიან რუსეთში მეფე ერეკლე I ერთად.

მეორე ძმა — თავადი ელიზბარ დავითიშვილიც სამხედრო მოქმედებების აქტიური მონაწილეა, იგი თბილისს შემოდგომია, რომელიც იმ დროს თურქთა ხელშია: „Под городом Типлизом залил мост нефтью и зажог, и на том приступе убили его ис пушки“ [155, 198]. დავითიშვილთა გენეალოგიის თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ ელიზბარს შთამომავლობა არ ჰყოლია. მესამე ძმისათვის — სიაოშისათვის „სვიმონ მეფეს ყლიჯყორჩობა მიეცა“ [116, 300]. ყველაზე დიდი მფლობელობა და უფლებრივი მდგომარე-

[1] ისტორიულ წყაროებში ეს ბრძოლა სხვადასხვა წლებით თარიღდება: — 1589წ., 1590წ., 1591 და 1593წწ.

ობა ძმებში დავით დავითიშვილმა მოიპოვა, რომელსაც ბოქაულთუხუცესის თანამდებობა ეკავა. ბაგრატიონთა სამეფო სახლის ამ განშტოების — თავად დავითიშვილთა საგვარეულო მთავარი შტო სწორედ მისი შთამომავლობის ხაზით გაგრძელდა. დავითი განშტოების მეთაურად კონსტანტინესა († 1590) და ელიზბარის დაღუპვის მერე უნდა ხდებოდეს.

სიმონ I დიდის 1596 წ. გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ დავითიშვილებს ხერხეულიძეები ეცილებოდნენ ამ განშტოების ისეთ ცენტრალურ სამფლობელოს, როგორიც ნულია: „ქ. მეფე მეფეთა სუიმეონ გიბოძეთ ესე გარდაწყუეტილობისა ფარვანა... დავითიშუილთა დავითსა მას ჟამსა, ოდეს თქუენ და ჴერჴაულიძე ნულზედა შეიცილენითა, და ვქენით მოკითხული და სამკუიდროდაცა თქუენი ყოფილიყო და სიგელიც თქუენ ქონდა. ნული ისრევე თქუენვე გიბოძეთ“ [107, 227; 125, 50]. ამასვე ამტკიცებს ორენოვანი (ქართულ-სპარსული) 1596 წ. მამულის წყალობის წიგნი, მიცემული სიმონ I მიერ რამაზ და დავით დავითიშვილისადმი. რამაზი ოფშკვითის ბრძოლაში (1590 წ.) დაღუპული კონსტანტინე დავითიშვილის ვაჟია. წყალობის სიგელით ვგებულობთ, რომ გარკვეული პერიოდი დავითიშვილებს ნული დაუკარგავთ კიდეც: წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, დავითიშვილთა რამაზს და დავითს ასრე, რომ ნული ხერხაულიძეს შიოშს უბოძეთ და ფარვანაც მივეცით. აწე ისრევე თქუენ გიბოძეთ და ამ ფარვანამა ის ფარვანა გააცუდოს...“ [121, 49]. სპარსული ტექსტიც ამასვე ადასტურებს: „...გამოირკვა, რომ კონსტანტინე-ბეგის და დავით-ბეგის მამა-პაპათ ხელთ ჰქონიათ ჩვენგან და ჩვენი წინაპრების მაღალი კარიდან მიღებული ფიცის წიგნები, რომ მათი იყო ეს მამული“ (ნული) და სიავუშ-ბეგის „წინაპართ კი არ აქვთ. ამის საფუძველზე მიცემული იქნა ეს ჰოქმი...“ [121, 51].

დავით დავითიშვილს 1608 წ. ლუარსაბ მეფემ ზემო ქართლის სოფელი — აბანო უწყალობა [52]. ლუარსაბ II 1610 წლის წყალობის წიგნში, დავით ბოქაულთუხუცესთან ერთად მისი ძეებიცაა დასახელებული — კონსტანტინე, ელიზბარი და შიოშ: „შეგიწყალეთ და გიბოძეთ გორს ერთიერაშვილი სოლაღა და ავრანაშვილი მათის სამართლიანის მამულითა...“ [107, 158]. 1614 წ. ლუარსაბ II კვლავ

უმტკიცებს მათ მამულებს, რისიც „მქონებელი დავით ყოფილა“ [107, 227-228]. საინტერესოა, რომ ამავე წელს დავით დავითიშვილს გიორგი III იმერთა მეფესთან ვხედავთ შეაჯებულს; როგორც აღვნიშნეთ, გიორგი III იმერთა მეფე მას პირობის წიგნსაც აძლევს, რომ მის ყმა-მამულს დაუბრუნებს, თუ ქართლს დაეპატრონება — წარუმატებლობის შემთხვევაში მას იმერეთში ჰპირდება შენახვას [36]. როგორც ცნობილია, გიორგი იმერთა მეფეს შეუსრულებია დანაპირები და განუახლებია წყალობა მისი მკვიდრი მამულებისა: სტკოცას რიკაძეები, აბანო, წაბლუანა, ბრეთი, გორს ორი ვაჭარი, ალს — ერთი [37]. სხვა წყაროებით დასტურდება, რომ ეს მამულები სადავითიშვილოს მთავარ-ცენტრალურ სამფლობელოს წარმოადგენს. ერთ-ერთი ასეთი სოფელია აბანო, რომლის წყალობას დავით დავითიშვილისადმი 1615 წ. სიგელით ლუარსაბ II სპეციალურად გამოყოფს: დაუმტკიცეს მამულები „ძუელად ნაქონი“ და „არას შენის გუარის კაცს შენს მამულზედ ჴელი არა ჰქონდეს; და აბანო, რა რიგაცა უწინ ჰქონებოდეს, ისრევე თქვენთვის გუიბოძებია“ [107, 228]; ამაზე ყაენის „ფარვანაც“ ჰქონიათ.

დავითიშვილთა შესახებ შემდგომი ცნობები XVII ს. 30-იან წლებთან დაკავშირებითაა დაცული: როდესაც როსტომმა ქართლის მეფობა მიიღო (1633 წ.), „რომელიც თავადი და აზნაურშვილი იყო, ყაენს სთხოვა, უბოძა. და თან წამოასხა თავად ბეჟან ამილახვარი, ზაალ, ქსნის ერისთავი, თვალდამწრიშვილი დავით თავისის შვილებითა, ფავლენიშვილი ბახუტა, მისი განაყოფი როინ, მაჩაბელი თამაზ, ციცისშვილი პაპუნა...“ [135, 92]. როგორც ვხედავთ, დავით ბოქაულთუხუცესი დავითიშვილი ქართლის პირველი რანგის თავადთა შორის ერთ სიბრტყეზეა დასახელებული. ასევე, აღსანიშნავია, მისი მოხსენიება „თვალდამწრიშვილის“ ფორმით. ჩვენამდე მოაღწია როსტომ მეფის წყალობის წიგნებმა ბოქაულთუხუცეს დავით დავითიშვილისადმი — 1633 წ. ერთი სიგელით, მეფემ დავითსა და მის შვილებს — კონსტანტინესა და ელიზბარს (შიოში აღარ იხსენიება) დადებითად გადაუწყვიტა მათი „აჯა“ და უბოძა „სამკუიდრო და ნაწყალობევი მამული“ [121, 88]; სპარსულ ტექსტში დავითი იწოდება, როგორც „დავით-ბეგ, ეშიკ-აღასიბაში“. ამავე 1633 წლის როსტომ მეფის წყალობის წიგნში აღნიშნულია, რომ „ბრეთი ავალიშვილს ქაიხოს-

როს მიეეცით. და სადამდი ამ ქუეყანას იყოს, მისთვის გუიბოძებია, და რა ის თავის ალაგს წავიდეს და აქ აღარ იყოს, თქუენთუის გუიბოძებია“ [107, 159]. ავალიშვილები მართლაც არ არიან ამ რეგიონის ფეოდალები, ისინი XVII ს. I ნახევარში შექმნილი მძიმე ვითარების გამო სამხრეთიდან ბრეთში არიან გადმოსულნი; ბრეთი ზემოაღნიშნული სიგელებით სადავითიშვილო სოფელია. ვითარების შეცვლის შემთხვევაში ქაიხოსრო ავალიშვილი „თავის ალაგს“ უნდა დაუბრუნდეს, დავითიშვილები კი გარანტირებულნი არიან, რომ ამის შემდეგ ბრეთი კვლავ მათ გადაეცემათ. სწორედ ამ პერიოდის ისტორიულ საბუთებში ჩნდება პირველი ცნობები კიდევ ერთი განაყოფის — რამაზიშვილების შესახებ. ამდენად, უნდა შეეჩერდეთ მისი წარმოშობის პრობლემაზე.

რამაზიშვილთა განშტოების წარმოშობა:

XVI-XVIII საუკუნეების ისტორიული წყაროების მიხედვით, არაერთხელ და არაერთი მეფე არჩევს დავას ბაგრატიონთა სამეფო სახლის ორ გათავადებულ განშტოებას — დავითიშვილებსა და რამაზიშვილებს შორის წარმოშობილი უთანხმოების გამო. რამაზიშვილები თავიანთ განაყოფს მამულებს ედავებიან, ხოლო დავითიშვილები მათ „სახლიკაცობას“ არ იზიარებენ და ხაზს უსვამენ: დავითიშვილების „მამულში მათთვის წილი არავის დაუდვია.“ მწვავე დავათა ერთი ნაწილი დავითიშვილების, ხოლო მეორე — რამაზიშვილების სასარგებლოდ წყდება ხოლმე, რაზეც ქვემოთ ვრცლად გვეწერება საუბარი. თავადი დავითიშვილები ყოველმხრივ ცდილობენ მათთან რაიმე კავშირის კვალი მოსპონ ან გაწყვიტონ. დავითიშვილთა განშტოების ისტორიის ამსახველ დოკუმენტებსა თუ ცნობებში, რომლებიც გენეალოგიურ ინფორმაციასაც შეიცავენ, რამაზიშვილების შესახებ ბევრს ვერაფერს ვხვდებით. ასევეა დავითიშვილთა უძველ გენეალოგიურ რუსულ ცნობაშიც.

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, 1634 წლის ხელით ჩაწერილ ცნობილი ხდება, რომ როსტომის მეფობის ხანაში ადგილი აქვს დავა-დაპირისპირებას დავით ბოქაულთუხუცესსა და მის ძმისწულ — *რამაზს შორის: როსტომმა უბოძა მამულები თავადებსა ნინაბურისა ყმისა, დავითისშუილს, ბოქაულთუხუცესს დავითს და შვილთა თქუენთა კოსტანტინეს და ელიზბარს და შეილთა და ჩამო-*

მაუალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა, თქუენსა და თქუენისა ძმისწულის რამაზის გარდაწყვეტილების წიგნს გუიაჯენით“ [107, 231]; სიგელში ხაზგასმულია, რომ „მამულებზედ თქუენ (დავითი, — დ.ნ.) და რამაზ ისარჩლებოდით“-ო. გამწვავებული საკითხის განხილვის შემდეგ „გამოიფიცა დავით და გამოიტანა ფიცითა თავისი ნაშოვნი ქელმწიფეთაგან აზნაურიშუილები ერთობით ტატიანი (ტატიშვილები, — დ.ნ.) მათის მამულითა, სოფელი ბროწლეთი, მათი კერძი, სოფელი ნული ციხით და სასახლითა, სოფ. აბანო, სოფელი სატივე, ამირეჯიბიანთაგან ნასყიდი, სოფელი წაბლოვანა, სოფელი სტკოცა და რიკაძეები მათის მამულითა“ [107, 231; 14]. ყურადღებას იქცევს სოფ. სატივეს ამირეჯიბებისაგან ყიდვის ფაქტი და სოფ. ნულის დასახელება „ციხით და სასახლითა“ — როგორც ირკვევა, ეს სოფელი დავითიშვილთა სათავადოს ერთ-ერთ ცენტრსა და რეზიდენციას წარმოადგენს.

უნდა გაირკვეს ვისი ჩამომავალია დავით დავითიშვილის ძმისწული რამაზი, ანუ რომელი ძმის შვილია: ამ მხრივ, ძალზე მნიშვნელოვანი ცნობაა დაცული ამავე პერიოდის „ნიქოზელზე ფიცის განწესებაში“: „დავითიშვილო დავით და ელიზბარ, თიკრევი შენის ძმის გიორგისაგან მიყიდია... წიგნიც იმისის ქელით მოგუცემოდეს, და ქელიც იმისი ერთოს, და არც ჩვენგან ძალი დამართებოდეს, და არც თქვენს ძმისწულს რამაზს ჩვენთვის დაეშალოს, თუ ნუ იყიდითო. აწე თუ დაიფიცოს ამ რიგად და ფიცმან ამართლოს, დავით არას ემართლებოდეს და მამული ნამორაძებს დარჩეს; და თუ ვერ დაიფიცოს, მამული დავითისაა...“ [107, 453; 125, 188-189]. საბუთი დათარიღებული არ არის, მაგრამ, ვფიქრობთ, არსებობს ქრონოლოგიური საყრდენი: ჩვენამდე მოღწეულ როსტომის 1634 წლის წყალობის წიგნში დავით, ელიზბარ და კონსტანტინე დავითიშვილებისადმი აღნიშნულია, რომ „ამას წინათ თქუენს ნარძლევს დაეგირავებინა თქუენი მკვიდრი მამული თიკრევი და ნამორაძისათვის მიეცა, და ჩუენცა მოკითხული ვქენით და დედაკაცს მამულის გასყიდვა არ ეხელყოდა... თქვენი სოფელი თიკრევი ისრევ თქუენ გიბოძეთ... მამული სამკუიდრო დავითისა (დავითიშვილი, — დ.ნ.) იყო... ნამორაძის წიგნი ამით გაგუიცუდებია...“ [107, 180]. ამდენად, ირკვევა: 1) 1634 წელს თიკრევი ნამორაძეებისაა და სწორედ ამ წელს უბრუნდება დავითიშვილებს, ამიტომ

„ნიქოზელზე ფიცის განწესება“ 1634 წლის წინა, მაგრამ ახლო პერიოდში უნდა იყოს შექმნილი. 2) მიუხედავად გიორგის „ღარიბობისა“, როგორც ჩანს, მის ოჯახს შიდა ქართლის გარკვეულ მამულებზე მაინც მიუწვდება ხელი — კერძოდ, მის მეუღლეს თიკრევი ნამორაძეებისათვის მიუცია, თუმცა, როგორც აღნიშნულია, ამის იურიდიული უფლება მას არ ჰქონდა, რამდენადაც „დედაკაცს მამულის გასყიდვა არ ეხელყოდა“, ხოლო გიორგის შტო დავითიშვილთა მფლობელობას უკვე მოწყვეტილია; გიორგის მეუღლის — „სამცხელი ქალის“ მისწრაფება, შიდა ქართლის გარკვეულ მამულებზე მოეპოვებინა მფლობელობა, ბუნებრივი ჩანს, მაგრამ ცდა წარუმატებლად მთავრდება. 3) გიორგის მეუღლე მოხსენიებულია როგორც „ნარძლევი“, თიკრევის ბოძებისას გიორგის შესახებ ასევე არ არის ლაპარაკი, მითითებულია მხოლოდ მისი „დედაკაცი“; ჩვენი აზრით, ყოველივე იმაზე ლაპარაკობს, რომ გიორგი 1634 წ. ახლო პერიოდში, მის წინა ხანაშია გარდაცვლილი.

როგორც ვხედავთ, დავით ბოქაულთუხუცესის ძმისწულის — რამაზის მამა დავითიშვილთა უმცროსი ძმა — გიორგი გამოდის. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ე. თაყაიშვილის ფონდში ინახება დიდი მეცნიერის მიერ გუჯრების მიხედვით შედგენილი ბაგრატიონ-დავითიშვილთა გენეალოგია [44]; მისი მოსაზრებითაც, ძმისწული რამაზი არის დავით ბოქაულთუხუცეს დავითიშვილის ძმის — გიორგის შვილი. ამდენად, დავით დავითიშვილის ძმისწულის რამაზის მამა გიორგია, რომლის შესახებ მოგვითხრობს ფარსადან გორგიჯანიძის „აქა ანბავი თვალდამწვრიანთა“; უკვე აღნიშნული იყო, რომ დავით დავითიშვილს კონსტანტინეს, ელიზბარის, დავითისა და სიაოშის გარდა უმცროსი ძმა — გიორგიც ჰყავს, რომელიც ამ ისტორიული თხზულებითა და ჩვენი ზემოთ მოტანილი შესაბამისი მსჯელობით, მათი ნახევარძმა გამოდის; იგი რამაზ დავითიშვილის შვილია მეორე მეუღლისაგან, კერძოდ, შავშეთის ბატონის ქალისაგან. მ. ჯანაშვილიც აღნიშნავს, რომ გიორგი რამაზ დავითიშვილს, სხვა შვილებისაგან განსხვავებით, მეორე ცოლისაგან უნდა შესძენოდა [339].

როგორც ჩანს, ამ მომენტს ძმებს შორის ურთიერთობის გამწვავება გამოუწვევია, ანუ ერთ დროს ბაგრატიონთა, ახლა უკვე გათავადებულ ძმათა მამულების ფლობის პრობლემასთან დაკავშირე-

ბით კვლავ დაისვა ბატონიშვილობის საკითხი: ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვებით, თვალდამწვრიანებს „გიორგი იმათი უმცროსი ძმა გაეგდოთ და ერთი მსახურიც არ მისცეს“ — იგი „ნამეტნავად უყმობას შეწყენილიყო“; სადაც სიმონ I დიდი „წავიდის, თან გაჰყვის. ვინც ნახევდა, იკითხევდა, თუ ვინ არისო. მეფე ბრძანებდა: რამაზის უმცროსი შვილიო. ყველანი მრავალს მისცემდნენ“ [116, 300]. უმცროსი გიორგი და თანაც ნახევარ-ძმა ქართლში „გაღარიბდა“, ბაგრატიონ-ყოფილი და ახლა უკვე „უყმო“, იძულებული გახდა სამცხეში დედასთან გადასულიყო, სადაც დედამისის სამშობლოა; აქ გიორგი საერო ცხოვრებიდან განმდგარიც კი ჩანს — იგი „ბერათ შეეყენებინათ“. გიორგი მალე ბერობას ტოვებს და მამიდამისთან მიდის, სადაც ცოლიც მოჰყავს, რომელსაც დიდი „მამული“, „სოფლები“ და „საქონელი“ ჰქონია — „შენ გეყოფისო და ასი ყმაც შეინახო, მაინც კმარაო“. გიორგი სამცხეს დარჩა სიმამრის 'მამულზედ მორჭმული და მოვლენილი. ძმათაგან გაღარიბებული, უყმოთ გაგდებული, ღმერთმან ხელი მოუმართა და აღარვის ამარას არ გახადა“ [116, 300]. ამდენად, გიორგი დავითიშვილი — რამაზის შვილი მეორე მეუღლისაგან და უმცროსი ნახევარ-ძმა უფროსი დავითიშვილებისა, ისე „გაღარიბდა“, მოწყდა ქართლში მფლობელობას, საერთოდ, დავითიშვილთა მამულებს და გადავიდა სამცხეში, რომ „ერთი მსახურიც არ მოსცეს“. იგი დაშორდა ძირითად გვარს, ამიტომ უფროსი შტო გიორგის თავის განაყოფად და „სახლიკაცად“ აღარ მიიჩნევს; ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, ძალადობასაც უნდა ჰქონოდა ადგილი, რადგან ისტორიკოსი გიორგის „უყმოდ გაგდებულს“ უწოდებს. ბუნებრივია, გიორგის ჩამომავალთა შტო ველარ ხვდება დავითიშვილთა ოფიციალურ გენეალოგიაში; ამიტომაც არ არის მათზე ლაპარაკი დავითიშვილთა ზემოაღნიშნულ რუსულ ისტორიულ წყაროშიც. ამან გიორგის ჩამომავალთა უკმაყოფილება და დავითიშვილებთან არაერთი დავა გამოიწვია.

დავითიშვილებს მოწყვეტილმა და შიდა ქართლიდან განდევნილმა გიორგიმ „ღარიბობას“ სამცხეში დააღწია თავი, დიდი მამული მიიღო და „სამცხეს დარჩა“. ამან ახალი განშტოების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი და ფაქტობრივად, მისი გამომწვევი მთავარი მიზეზი გახდა. უკვე განხილულ 1634 წლის ახლო პერიოდის „ნიქოზელზე ფიცის

განწესების“ სიგელის ხელნაწერს (ე. თაყაიშვილის გამოცემაში ეს არაა აღნიშნული) აწერია: „რამაზიანთ არა აქვთ წილი“ [15], რომელიც შესაძლებელია მოგვიანებით იყოს გაკეთებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პირდაპირი მინიშნებაა, რომ აქ რამაზიშვილთა განაყოფზეა ლაპარაკი. გიორგის შვილს – რამაზს 1634 წლისათვის დავა აქვს დავით ბოქაულთუხუცეს დავითიშვილთან, სადაც მარცხდება. რადგან მათი განაყოფის პირველი წარმომადგენელი სამცხეში გადავიდა და ამით დაშორდა დავითიშვილებს, ამ მომენტს უფროსი ნახევარძმები სპეციალურად უსვამენ ხაზს: დავითიშვილებზე „უკან ეგენი (რამაზიშვილები, – დ.ნ.) გარდმოსულან და ჩემს მამულში მაგათთვის წილი არავის დაუდვია“, ამიტომ „ჩემი (დავითიშვილების, – დ.ნ.) სახლის კაცი (რამაზიშვილი, – დ.ნ.) არ არის“ (ამ დავის პერიპეტიებს ქვევით ცალკე განვიხილავთ). 1634 წლის 23 ოქტომბრის როსტომ მეფის გადაწყვეტილების წიგნით, რამაზი როგორც დავითიშვილი ისე დაობს თავის „სახლიკაცთან“ – დავით დავითიშვილთან. დავითის სასარგებლოდ როსტომ მეფის დასკვნის გამოტანამ რამაზის „გაღარიბება“ გამოწვია, რის შემდეგაც მის ჩამომავლებს რამაზიშვილნი ეწოდათ – არ არის გამორიცხული, რომ ამით მათ დიდი რამაზ დავითიშვილიდან მომდინარეობისთვისაც გაესვათ ხაზი. ჩვენი აზრით, ასე უნდა ჩამოყალიბებულიყო ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოში კიდევ ერთი – რამაზიშვილთა განშტოება.

დავითიშვილთა სახლი XVII-XVIII საუკუნეებში:

XVII საუკუნის I მესამედში დავითიშვილთა სახლს სათავეში დავით ბოქაულთუხუცეს დავითიშვილი ედგა, რომელიც აქტიურ როლს თამაშობს ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1634 წლის როსტომ მეფის ერთ-ერთი საინტერესო სიგელით, „ბოქაულთუხუცესად“ უკვე ელიზბარ დავითიშვილია დასახელებული, ხოლო დავითის მიმართ აღნიშნულია: „როდეს მოგვიდექით კარსა და ზემო ახალდაბის მოურჰობას დაგვეაჯენით... გიბოძეთ ახალდაბის მოურჰობა...“ [107, 230]. ამდენად, 1634 წლისათვის დავით დავითიშვილი ზემო ახალდაბის მოურავი ხდება, ხოლო ბოქაულთუხუცესის სახელი ელიზბარ დავითიშვილს გადაეცა.

1635 წლის როსტომ მეფის წყალობის წიგნში აღნიშნულია: „ოდეს მოგვიდეგით (დავით დავითიშვილი, – დ.ნ.) კარსა და დირბის მოურაობას

გვიაჯენით და ჩვენცა ვისმინეთ აჯაი და მოხსენება თქვენი და შეგიწყალეთ და გიბოძეთ დირბის მოურაობა...“ [107, 232-233]. ამდენად, 1634 წ. დავით დავითიშვილი ზემო ახალდაბის, ხოლო 1635 წ. დირბის მოურავია. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ დირბი კახეთიდან გადმოსულ ბაგრატიონთა ამ შტოს პირველი სამფლობელოა. აღსანიშნავია, რომ თბილელ ეპისკოპოს ელისეს, მღვდელმონაზონ ნიკოლოზს და ზებედეს დავით დავითიშვილისათვის როსტომ მეფის მიერ ქრისტეს საფლავისათვის შეწირული სოფელი დირბი მიუბარებიათ – დირბელებს მის სასარგებლოდ ერთი დღის ხვნა და ლეწვა ევალებათ [40]. 1656 წ. სიგელში დავით დავითიშვილის შვილის – ელიზბარ ბოქაულთუხუცეს დავითიშვილის დედად დასახელებულია ანა-ხანუმ [8; 107, 238-239]; ამდენად, ცნობილი ხდება დავით დავითიშვილის მეუღლის სახელიც. საინტერესოა, რომ ფეოდალური ხანის ქართულ ბეჭდებს შორის ჩვენამდე დავითის ბეჭედმაც მოაღწია [192, 54].

XVII ს. 30-იანი წლების სხვა საბუთებით, საგვარეულო განშტოების მეთაური უკვე დავითის შვილი ელიზბარ ბოქაულთუხუცეს დავითიშვილია. იგი როსტომ მეფის წინააღმდეგ 1637 წ. აჯანყებისას, მეფის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერია: ნოდარ ციციშვილს გვერდს უმაგრებდნენ „ჩხეიძენი და სხვა იმერეთის საბატიოს კაცის შვილები“; როსტომ მეფემ ლაშქრის შეკრება ბრძანა და საბრძოლველად გაემართა, ხოლო ელიზბარ ბოქაულთუხუცესს (დავითიშვილს) უბრძანა: „ლაშქარს უკან ჩაუდექო და ვისაც ცხენით შეძლება ჰქონდესო, ჩქარათ წამოასხიო, რომ მღ თისა შეწევნითო დილას ნოდარსთან გავითენებო“ [116, 248]. ხოვლესთან ბრძოლაში აჯანყებულები დამარცხდნენ და „ზოგნი ბარათიანთ დაირჩინეს, ზოგნი ელიზბარ ბოქაულთუხუცის ყმებმან დაირჩინეს“; „ჩხეიძენი დაჭრილნი და დარჩენილნი მეფეს წინ მოასხეს“, რის შემდეგაც მეფემ ჩხეიძეები „ბოქაულთუხუცის ელიზბარის ხელით ყაენთან გაგზავნა“ [116, 248] და „არზა“ მისწერა ლუარსაბ ბატონიშვილის მეფის შვილად ბოძების თაობაზე (ამის შესახებ ვრცლად იხ. სავახტანგოსთან დაკავშირებულ ნაწილში). ასეთი ხასიათის საკითხზე როსტომის მიერ ირანში ელიზბარ დავითიშვილის გაგზავნა ლაპარაკობს ამ პიროვნების მაღალ რანგსა და საერთოდ, დავითიშვილების სახლის მნიშვნელობაზე XVII ს-ის ქართლის სამეფოში.

აჯანყებულთა წინააღმდეგ როსტომ მეფემ სათანადო ზომები მიიღო: მაგ., „ქაიხოსროვ ბარათასშვილი, დედოფლის სახლთუხუცესი, დაიჭირეს და ციხეში აიყვანეს და ღამით კოშკიდამენ გარდმოაგდეს და თქვეს – დამთვრალა და თვითან გარდმოვარდნილაო...“ [116, 248]. აქვე საინტერესო ფაქტია დაცული ბაგრატიონთა სახლის განშტოებათა ისტორიასთან დაკავშირებით: ქაიხოსროს „სიძე ბახუტა ჰუსეინ ბეგისშვილი ბაგრატიონი იყო და ბატონობაც უნდოდა, ის გარდიხვეწა და კახეთს მივიდა...“ [116, 248]. ამდენად, ამ ფაქტს 1637 წ. ჰქონია ადგილი.

რაც შეეხება ელიზბარ ბოქაულთუხუცეს დავითიშვილს, მან მეფის დავალება წარმატებით შეასრულა, ელიზბარი[1] „ყაენიდამ მოვიდა და ხალათი და ბატონიშვილი ლვარსაბ მოიყვანა“ [116, 250]. სწორედ ამ ფაქტის გამო აღნიშნავს ფარსადან გორგიჯანიძე, რომ „ეს ანბავი გოჩაშვილს გიორგის ეწყინა“ (ამის შესახებ იხ. ქვევით).

1637 წ. როსტომ მეფემ წყალობის წიგნით ელიზბარ ბოქაულთუხუცეს დავითიშვილს დაუმტკიცა – „დღეს რისაც მამულის მქონებელი და ანუ საკელოსი იყუნეთ, იმისგან არ დაგამციროთ და არცა რა მოგიშალოთ“ [107, 233-234]. 1634 წ. სიგელში დავით დავითიშვილისა და რამაზის დავის თაობაზე აღნიშნულა, რომ დავითიშვილების მამულში შედის სოფ. სატივე „ამირეჯიბიანთაგან ნასყიდი“. როგორც ჩანს, დავითიშვილებსა და ამირეჯიბებს მამულის თაობაზე არაერთხელ ჰქონიათ ქიშპი თუ გარკვეული გარიგება. 1642 წ. ელიზბარ და კონსტანტინე დავითიშვილებისადმი წყალობის წიგნით, „ოდეს გიორგიმ ამირეჯიბმან ტყუილად გაგვასინჯვინა, რომე რაც ელიზბარს სტკოცს და წაბლოანს მამული აქუსო, ჩემი სამკუიდრო არისო. ცოტას ხანს გაუსინჯავად გამოგართვით და იმას (ამირეჯიბს, – დ.ნ.) უბოძეთ...“ [107, 234]. 1642 წ. ეს საკითხი სპეციალურად განუხილავთ, სადაც დამტკიცდა, რომ სტკოცა და წაბლოანა დავითიშვილთა „სამკუიდრო ყოფილიყო“. ამდენად, მათ დაკარგვას და ამირეჯიბთა მიერ აქ დროებით მფლობელობას 1642 წ. წინა პერიოდში უნდა ჰქონოდა ადგილი. 1644 წ. როსტომ მეფის სიგელში საუბარია თავადი „დავითიშვილის

[1] ფარსადან გორგიჯანიძესთან აშკარად ჩანს, რომ ელიზბარ ბოქაულთუხუცესი და ელიზბარ დავითიშვილი ერთი და იგივე პირია, მაგრამ რატომღაც ამ ისტორიული თხზულების რუსული ტექსტის გამოცემაში იგი ერთ პიროვნებად იდენტიფიცირებული არ არის [154, 174].

ელიზბარის აზნაურიშვილს რიკაძე"-ზე; როგორც სხვა საბუთებითაც არის ცნობილი, მხედველობაშია სტკოცას რიკაძეები. როსტომ მეფე „ოდეს კახეთს სარგებლად" წასულა, აზნაურ რიკაძეთ უერთგულიათ, რის საფუძველზეც ისინი მეფეს „ოთხმეოც კომლის კაცის კოდის პურის ამოკვეთას" ეაჯნენ და პასუხიც დადებითი მიიღეს [107, 235]. თავისთავად იგი საინტერესო საბუთია სადავითიშვილოს აზნაურთა მდგომარეობისა და სტატუსის შესასწავლად.

1648 წ. ადგილი ჰქონდა როსტომისა და თეიმურაზ მეფის გადამწყვეტ შეტაკებას, სადაც თეიმურაზი დამარცხდა, ხოლო მისი შვილი დათუნა ბატონიშვილი სიკვდილსაც კი ვერ ასცდა: „ბატონი თეიმურაზ დარჩა იმერეთს და მეფემ როსტომ ბატონისშვილის დათუნასი და მასთან დახოცილის თავად აზნაურთ თავები და ბახუტა სუფრაჩი და ბატონის თეიმურაზის დროშა ელიზბარ ბოქაულთ უხუცის ჯელით ყაენს გაუგზავნა", რის შემდეგაც შაჰმა „კახეთი როსტომ მეფეს მისცა და სამი სოფელი განჯაში ელიზბარს უბოძა და ხუთასი ჯალათი ქართველთ გაუგზავნეს" [116, 259]. ელიზბარ დავითიშვილისათვის განჯაში სამი სოფლის გადაცემას აღნიშნავს „პარიზის ქრონიკაც" [135, 100]. რაც შეეხება ბახუტას, იგი 1637 წ. აჯანყების დროს ქართლიდან კახეთში გადახვეწილი ბახუტა ჰუსეინ ბეგისშვილი-ბაგრატიონია (ამის შესახებ ვრცლად ქვევით გვექნება საუბარი).

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ელიზბარ დავითიშვილი შაჰის კართან დაახლოებული პირი და მასთან ურთიერთობების ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა. სავარაუდოა, რომ იგი დაახლოებულია შაჰის გარემოცვის გარკვეულ წრეებთან და იქ სათანადო პატივითაც სარგებლობს; ამიტომაც, არ უნდა იყოს შემთხვევითი როსტომ მეფის მიერ მისი ასეთი მნიშვნელობის მისიის ხელმძღვანელად დანიშვნა. ძალზე რელიეფური ფაქტია ელიზბარისათვის შაჰის მიერ განჯაში სამი სოფლის გადაცემაც. ვფიქრობთ, ელიზბარ ბოქაულთუხუცესის მფლობელობა განჯაში მნიშვნელოვანი ფაქტია ბაგრატიონთა საგვარეულო განშტოების — დავითიშვილთა ისტორიის შესასწავლად.

ამავე პერიოდში, დავითიშვილებს კიდევ უფრო გაუფართოებიათ სამფლობელოები: 1645წ. როსტომის წყალობის წიგნით, ელიზბარ ბოქაულთუხუცესი სამეფო კარს „მამულის წყალობას" ეაჯა: „...ვისმინეთ,

ვიგულისმოდგინეთ აჯა და მოხსენება თქვენი (დავითიშვილების, — დ.ნ.), შეგიწყალეთ და გიბოძეთ სომხითს სოფელი... მისის მაზრით, სამართლიანის საქმითა...“ [107, 236; 7]. სოფლის სახელი სიგელის ხელნაწერში მოხეულია. შემდგომ საბუთებში მივაკვლიეთ ამ სოფლის სახელსაც: მხედველობაშია, 1781 წ. არზა ზაალ დავითიშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით — ზაალის სიტყვებით, „ერთი პატარა სოფელი მაქვს გოგასა სომხითში, ოფრეთზე ახლოს“ [129, 507]; იგი ოფრეთელებისაგან ამ სოფლის „სამზღვარის“ გარჩევას ითხოვს. 1797 წ. ზაალ დავითიშვილის დარეჯან დედოფლისათვის ნასყიდობის წიგნში აღნიშნულია: „...მოგყიდეთ ჩემი სამკვიდრო გოგის სოფელი“ [1]. 1783 წელს დავითიშვილთა განაყოფები — ელიზბარი და ზაალი დაობენ ამ სოფლის გამო: „დავითიშვილი ალიზბარ ჩიოდა, გოგი სოფელი ჩემი და ჩემის სახლიკაცის ზაალისა არისო და საკუთრად ზაალს უჭირავსო და მე წილს არ მიდებსო“ [126, 217]. იგივე დასტურდება სხვა სიგელებითაც. ამდენად, დავითიშვილებს შიდა ქართლის გარდა მფლობელობა სომხითშიაც ჰქონიათ.

ბაგრატიონთა სამეფო სახლის განაყოფთა და განშტოებათა ისტორიის თვალსაზრისით საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის „პარიზის ქრონიკა“: 1652 წელს, როცა როსტომ მეფემ მისი ნაშვილები ლუარსაბ ბატონიშვილის ნადირობისას მარცხი გაიგო, „ფიცხლავ ელისბარ ბოქაულთუხუცესი, ამავ ბატონიშვილის დედის ძმა, ჩაფრათ გაისტუმრა და ჯარი თან გაატანა და თვითანც ცხენს შეჯდა და წაბძანდა, ცოცხალს მიუსწრა“ [135, 103; 116, 263]. როგორც სავახტანგოსთან დაკავშირებით დაწვრილებით გვექნება საუბარი, ლუარსაბ ბატონიშვილი სიმონ I დიდის ძმის — ვახტანგის ძის — თეიმურაზის ვაჟია; „პარიზის ქრონიკის“ მიხედვით, როსტომ მეფის შვილობილის — ლუარსაბის მამის თეიმურაზ ბატონიშვილის თანამეცხედრე დავითიშვილთა განშტოების წარმომადგენელი ყოფილა, კერძოდ, ყოფილი ბაგრატიონის — ელიზბარ დავითიშვილის და. ვფიქრობთ, საინტერესო ფაქტია ბაგრატიონთა განშტოებებს შორის ურთიერთობების თვალსაზრისით. ელიზბარის შვილის — დავით დავითიშვილის დედად დასახელებულია თინათინ ბატონიშვილი [31], ამდენად, იგი ყოფილა ელიზბარ დავითიშვილის მეუღლე. აქვე აღვნიშნავთ, რომ ელიზბარ დავითიშვილის ქალი ცოლად ჰყოლია ციცი

ციციშვილის ძმას — ქაიხოსროს [78, 41]. კ. თუმანოვი დავით ბოქაულთუხუცესის ასულს, ანუ ელიზბარ ბოქაულთუხუცეს დავითიშვილის დას სიმონ I დიდის ვაჟის — ვახტანგ ბატონიშვილის ცოლად მიიჩნევს [403, 164-166], რაც აშკარა შეცდომაა (საერთოდ, კ. თუმანოვის მიერ სხვა არაერთი შეცდომა-უზუსტობაცაა დაშვებული — შეადარეთ მისი და ჩვენეული დავითიშვილთა გენეალოგიური ტაბულები). ეს გამოწვეულია ავტორის მიერ „პარიზის ქრონიკის" ზემოგანხილული ცნობის არამართებული გაგებით და როსტომ მეფის შვილობილის — ლუარსაბ ბატონიშვილის ჩამომავლობის შესახებ არასწორი შეხედულებით. ლუარსაბის განაყოფის შესახებ ვრცლად სავახტანგოსა და ვახტანგ ბატონიშვილთან დაკავშირებით ვისაუბრებთ. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ელიზბარ დავითიშვილის დას სიმონ I ვაჟთან — ვახტანგ ბატონიშვილთან არაფერი ჰქონდა ამ კუთხით საერთო. იგი სავახტანგოს პატრონის — ვახტანგ ბატონიშვილის ძის თეიმურაზ-მირზა ბატონიშვილის ცოლი იყო.

1656 წ. პაპუნა მახვილაძის წიგნის მიხედვით, ბოქაულთუხუცესმა „ბატონმა" ელიზბარ დავითიშვილმა ვეშაპიძისაგან იყიდა დედის — ანა-ხანუმის ნამზითვი საქონლით ქვემო ნიქოზს სასახლის ადგილი, ხოლო ყამაზაშვილისაგან — ვენახი, სადაც დაასახლა თავისი „მემკუიდრე ყმა" მახვილაძე და „დავსდევდით ამ ჩვენს ყმას ჩვენს ნასყიდს მამულზედა აღაპი ჩვენის საყუარლისა და სასურველის ბატონის ანახანუმისათვის (ელიზბარის დედა, — დ.ნ.), ასრე რომე ოცს იანვარს, მისის მიცვალების დღეს, მივიდოდეს ეს ჩვენი მღდელი რუის და კურთხეულის ბატონის ანახანუმის საფლავზედ ჟამს სწირავდეს" [107, 238-239]. ეს ცნობა იმითაც არის საყურადღებო, რომ იგი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის დავითიშვილთა საძვალესთან (რუისი) დაკავშირებით, რაზეც ქვევით სპეციალურად შევჩერდებით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენამდე მოაღწია არაერთმა ისტორიულმა საბუთმა, რომლის მიხედვითაც, ელიზბარ დავითიშვილი, შესაბამის პრობლემათა გამო, სხვადასხვა გამოძიების, გარიგებისა თუ შუამავლობის მოწმე-მონაწილე და ხელმძღვანელია [24; 25; 9; 38; 29].

XVII ს. შუა ხანებში მიმდინარე მწვავე პოლიტიკური მოვლენები დავითიშვილთა მეორე შტოს მტკივნეულად შეეხო; კერძოდ, ოფშკვითის ბრძოლაში დაღუპული კონსტანტინე დავითიშვილის შვილის —

რამაზის ჩამომავლებს: ხოხონასა და სხვ. თეიმურაზ მეფის სიგელით, „пожаловали сию жалованную Грамоту верному нашему князю Хохоне Давыдову и детем твоим на вотчину, на село Шилду, что была наша дворцовая вотчина...“ [115, 199]. როგორც ვხედავთ, ბაგრატიონთა კახეთის შტოს ერთი განშტოება უბრუნდება კახეთს, თუმცა ეს დროებითი მოვლენაა. რამ გამოწვია ეს გადასვლა: „...как Ростом хан был в Картлинской земле ханом и с нами бился, и в то время ты от него отъехал для сродства нашие и покинул дом свой и поместья свой... и приехал к нам...“ [155, 199]. ამ ფაქტს XVII ს. შუა ხანებში უნდა ჰქონოდა ადგილი. ეს სწორედ დავითიშვილთა ის შტოა, რომელიც 1666 წ. რუსეთში გადადის. რუსეთში გადასულნი — „...сначалу от пророческого колена и вслед того грузинскими царевичи называютца. И хотят тот род свой записать в родословных книгах“, რაზედაც უარი ეთქვათ [155, 200].

XVII ს. 80-იანი წლების საბუთებით, დავითიშვილთა სახლის მეთაური დავით დავითიშვილია, რომელსაც ჰყავს ძმა — ხოსია დავითიშვილი [107, 294-295]. ამავე პერიოდის (1680 წ.) გიორგი XI განაჩენით ირკვევა, რომ ნულის საკითხზე დავით დავითიშვილსა და სეხნია სამაღანიშვილს დავა ჰქონიათ, სადაც დასახელებულნი არიან „ტატისშვილი ნულელეთითა“ [107, 427-428]. 1688 წ. საფიცრის წიგნით ერეკლე I დავით დავითიშვილსა და მის შვილს ელიზბარს უბოძა „პაპის და მამის თქვენის (დავითიშვილების, — დ.ნ.) სამკვიდრო მამული და სახელო“ [107, 239].

XVIII ს. I ნახევარში დავითიშვილთა განშტოებას აგრძელებენ დავით დავითიშვილის შვილები — ელიზბარი და კონსტანტინე. დავითსავე ჰყავს შვილი თამარი, რომელიც მეფე გიორგი XI ცოლი ხდება — სეხნია ჩხეიძესთან ვკითხულობთ: „...იბატონა მეფემ გიორგიმ და დედოფალმა თამარ: ესე იყო ასული დავით დავით (უნდა იყოს დავითის, — დ.ნ.) ელისბარის შვილისა“[109, 4; 157, 10]. ვახუშტის სიტყვებით, „...ხოლო გიორგის (მომავალი გიორგი XI, — დ.ნ.) ძისა თჳსისათჳს მეფესა (ვახტანგ V, — დ.ნ.) პირველვე მოეყვანა ცოლი ელიზბარის შვილის ასული თამარი...“ [82, 454]. თუ ცნობებს შევაჯერებთ, გამოდის, რომ გიორგიმ ელიზბარ დავითიშვილის შვილის —

დავითის ასული თამარი მოიყვანა ცოლად. ძალზე საინტერესოა ვახუშტის მეორე აღნიშვნა: „...მოკუდა დედოფალი თამარი, ცოლი მეფისა, რომელი იყო კახთ ბატონთა ტომის...“ [82, 459]. აქ დავითიშვილთა კახეთის ბაგრატიონთა სამეფო სახლიდან მომდინარეობაა ხაზგასმული, როგორც ვხედავთ, დავითიშვილთა მიუხედავად უკვე გათავადებისა, ვახუშტი მათ მოიხსენიებს როგორც „კახთ ბატონთა ტომის“ ჩამომავლებს. თამარ დედოფლის ეპიტაფიით სვეტიცხოველში, იგი 1684 წ. გარდაცვლილა [375, 320].

ელიზბარ და კონსტანტინე დავითიშვილების დროს სადავითიშვილოში პირველი დიდი გაყრა დასტურდება – ზაალ დავითიშვილის სიტყვებით (იგი მისი ანდერძის წიგნშია (XIX ს. I ათეული) დაცული), „პაპა ჩემი ელიზბარ და თავისი ძმა კონსტანტინე რომ გაიყარნენ მეფის ვახტანგის (ვახტანგ VI, – დ.ნ.) დროს, მაშინდელი ანუსხვილი ყმასა და მამულის დავთარი და განაყოფის ბარათები ნახეთ...“ [316, 166]. 1787 წ. ელიზბარ დავითიშვილის არზაშიც აღნიშნულია, რომ „ბატონის ვახტანგ ნეფის (ვახტანგ VI, – დ.ნ.) დროს დავითისშვილები ელისბარ და კოსტანტილე რომ გაყრილან...“ [107, 497]. ჩვენამდე მოაღწია ორმა განჩინებამ ელიზბარ და კონსტანტინე დავითიშვილების გაყრის საქმეზე, თარიღდება ვახტანგ VI მეფობის წლებით – 1716-1724 წწ. პირველი განჩინებით, აბანოს სასახლე კონსტანტინეს დაუმტკიცდა, ხოლო „იმისი ზომა სასახლის ადგილათ ელისბარ ზოგი იქივ აბანოს ნაკოშკარი და ცოტა რამ ადგილი მოიზომა; და სხვა თიხრევს ზარდიაშვილის ნასახლარი და ნაფუზარი მოიზომა;“ ასევე გაიყვეს ნულის სასახლეც, კოშკი ორივე ძმის „საწილოთ“ დარჩა, „საყდარი ორთავესი საძმო არის“, „აბანოს ზვარი და ქინძთის ზვარი ელისბარს დარჩა და ნულის ზვარი – კოსტანტილესა“ [125, 306]. შემდეგ ჩამოთვლილი და დაზუსტებულია რომელ ძმას რა ერგო... მეორე განჩინებაში აღნიშნულია, რომ „მათი სახლიკაცობა და ერთობა აღარ მოკდა და გაყრა მოინდომეს. რომელიც საქართველოს გაყრის წესი და რიგი იყო იმგვარად გავყარეთ და დავაშორეთ“, „საუფროსო“ ელიზბარს ერგო, „საუნცროსო“ კონსტანტინეს, აბანოს სასახლე კონსტანტინეს დაუმტკიცდა, ხოლო ნულის სასახლე შუაზე გაიყვეს [125, 308].

ამ გაყრასთანაა დაკავშირებული საყვარელიძეთა საინტერესო ისტო-

რია, რომელიც კარგად ახასიათებს შექმნილ ვითარებას: 1776 წლის არზით, შიოშ საყვარელიძისა ყმის თაობაზე, ერეკლე II ოქმში აღნიშნულია, რომ მისი პაპა „მკუიდრი იმერელი ყოფილა; იმერეთიდან გარდმოსულა, დიდ ციცის (ციციშვილი, — დ.ნ.) მისვლია, ყმა და მამული იმას უბოძებია", შემდეგ ელიზბარ დავითიშვილთან დამდგარა; დავითიშვილთა გაყრისას — „ელიზბარს რომ თავისი ძმა გაჰყრია მამაჩემიც წილში უგდიათ"; საყვარელიძე იბრძვის, რათა მათი სრული ყმა არ გახდეს — ვახტანგ VI შესაბამისი თხოვნით მიმართავს და დადებით პასუხსაც ღებულობს. დავითიშვილები ამით უკმაყოფილონი დარჩნენ, რადგან საყვარელიძეებს თავიანთ ყმებად თვლიდნენ. ვახტანგ VI რუსეთში წასვლის შემდეგ დავითიშვილებს, ამ მხრივ, თავისუფალი მოქმედების საშუალება მიეცათ; შიოშ საყვარელიძის სიტყვებით, მათ „მარტო ცარიელი თავი გამოუტანია იმათგან (დავითიშვილებისაგან, — დ.ნ.)," ამიტომ უსახსროდ დარჩენილნი იმერეთში დაბრუნებულან; 15 წლის შემდეგ, თეიმურაზ II — ერეკლე II ხანაში, ისინი კელავ გადმოვიდნენ ქართლში, დიმიტრი ამილახორისშვილს მიუვიდნენ და მისი ყმები გახდნენ. დიმიტრიმ საყვარელიძეებს ვალები „გარდაგვიხადა და ყმა და მამული მოგვცა და ვიყავით იმასთან" [129, 354]. საყვარელიძეებს ყმა-მამული მიუღიათ ცხინვალის შემოგარენში — თამარაშენში, ტბეთში, ნიქოზში [54]. დიმიტრი ამილახორისშვილის ცხოვრება არასახარბიელოდ წარიმართა, „როდეს დიმიტრი სამართლად დაისაჯა და წახდა", მას შემდეგ, „ზაალ დავითისშვილი და ელიზბარ მედავებიან: პაპის ჩვენის ნაახლები ხარ, ჩვენი ყმა ხარო"; შიოშ საყვარელიძის არგუმენტია: „დავითისშვილის მემკუიდრე ყმაც რომ ვიყო, აზნაურშვილი ვარ, იმის ყმა და მამული გამიშვია, ჩემთან რაღა ქელი აქუს". ერეკლეს ბრძანებაში აღნიშნულია: „შენ ჩვენი ყმა ხარ და ჩვენს ყმათ უნდა იყო. შენთან თავადიშვილს ქელი არავისა აქვს, არც დავითიშვილს და არც სხვას და არცავის მიგცემთ" [129, 354].

ბაქარ მეფის ოქმით (1717-1725 წწ.), ელიზბარ დავითიშვილი დირბის მოურავია, რომელსაც ევალება, „რაც დირბის გამოსაღები და რაც რა ნივთისა მოსავალი გამოვიდოდეს, ყველას გაჰყოფდე..." [78, 176]. 1736 წ. ისაყ-ბეგის ბრძანებით, ქსნის ხეობის ახალდაბის მამასახლისისა და ახალდაბელთა მიმართ, იგი ახალდაბის მოურაობას ღებულობს: „მერმე თქვენი მოურაობა ძველადგან მკვიდრად დავ-

ითისშვილს ყოფილიყო. ბატონმა ჩვენმა ძმამაც თქვენის სოფლის მოურაობა ელიზბარს დავითისშვილს წყალობა უყო და ჩვენც მგისთვის გვიბოძებია“ [107, 478]. ამავე წლის ზაზა ერისთავის წყალობის წიგნში აღნიშნულია: „როგორადაც ძველადგან გარიგებული ყოფილიყოს, იმავე წესით მოურაობა ელისბარისათვის გვიბოძებია“ [107, 478]. როგორც აღნიშნული გვაქვს, ეს მოურაობა მართლაც „ძველადგან“ დავითიშვილებს ჰქონდათ, კერძოდ, დავით დავითიშვილს (XVII ს. I ნახ.). 1712-1722 წწ. თავდებობის წიგნი ელიზბარისადმი ცხადყოფს დავითიშვილთა მფლობელობას დვანში [78, 155], 1738 წ. ოთარ როჭიკაშვილის წიგნი – ფცაში [78, 282-283], 1712 წ. ვახტანგ VI ბრძანებით – „რუის კვიჟინაძის გიორგის ნაქონი მამული“ [107, 452]; 1705-1728 წწ. საჩუქრის წიგნით ავთანდილ არაგვის ერისთავისშვილისა ელისბარისადმი ვგებულობთ, რომ საერისთავოს „...ურიები მომივიდნენ, არაგვის პირს მესახლნენ, თქუენ მობრძანდით აქ თქუენი დის სანახავადა და თქუენ იმ ურიებს დაგვენუკვენით“ [78, 129], რის შემდეგაც ეს ურიები ელიზბარს აჩუქეს: „ჩვენც სხვა საჩუქრის მაგიერად გაჩუქეთ...“ ამდენად, ირკვევა, რომ ავთანდილ არაგვის ერისთვისშვილი ელიზბარ დავითიშვილის სიძე, მისი დის ქმარი ყოფილა.

ხელნაწერთა ინსტიტუტის თურქული კოლექციის ფონდებში არსებულ დოკუმენტთა ერთ ნაწილში, რომელიც ჯერჯერობით გამოუქვეყნებელია (ისინი თარგმნილი და შესწავლილია ს. ჯიქიას და ც. აბულაძის მიერ), დაცულია საინტერესო ცნობები დავითიშვილთა სახლის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით: ლეკთა თარეში XVIII ს. I ნახევარში ისე ძლიერი ყოფილა, რომ ოსმალო მოხელენი იძულებულნი არიან მათ წინააღმდეგ გარკვეულ ღონისძიებებს მიმართონ. 1731-1732 წწ. თურქულ ენაზე შედგენილ ელიზბარ დავითიშვილის წერილში ლაპარაკია იმ სოფლების შესახებ, რომლებიც მის მფლობელობაში არიან და სადაც ლეკთა გამო ყველაფერი აოხრდა – მასში დაცულია თხოვნა ხელისუფლების მიმართ, რათა ამ სოფლების გასათავისუფლებლად სათანადო ზომებს მიმართონ [325, 221, 223]. სამწუხაროდ, კონკრეტულად სოფლები დასახელებული[1] არ არის, მა-

---

[1] აღნიშნული ცნობების მოწოდებისა და კონსულტაციისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ ც. აბულაძესა და ნ. შენგელიას.

გრამ უდავოა ისინი სადავითიშვილოში შემავალ სამფლობელოებს განეკუთვნებოდნენ.

მოკლედ შევჩერდეთ ელიზბარის განაყოფის კონსტანტინე დავითიშვილის შესახებ: 1724 წ. მისი მამულის შეწირულობით, კონსტანტინეს ჰყოლია შვილი — იესე „... ჩვენი პირმშო და სასურველი იესესა სადღეგრძელოთ საშვილიეროთ შევსწირეთ მცხოველსა-მყოფელსა ჯვარცმას ლიპაშვილის მამული...“ [107, 334-335]. XVIII ს. ერთ-ერთი სასაქმო წიგნით ვახუშტი აბაშიძისა გიორგი დავითიშვილისადმი, მის ბიძას კონსტანტინე ბატონიშვილსაც ჰქონია მამულები სოფ. ფცაში [78, 142]. კონსტანტინე დავითიშვილის შესახებ ჩვენამდე მოღწეული საბუთები ამ განაყოფის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე ლაპარაკობენ — მხედველობაშია ვალების აღება [107, 338-339; 316, 31, 32] და ა.შ. საერთოდ, თვალშისაცემია XVIII ს. დამდეგიდან ერთ დროს ბაგრატიონთა, ახლა უკვე გათავადებული საგვარეულო განშტოების მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა — ის ფაქტი, რომ ასეთი ჩამომავლობის თავადი კონსტანტინე დავითიშვილი ვალს იღებს ბეჟან აბაზაძის მდივნისაგან — რევაზისა და ზურაბისაგან, ვფიქრობთ, მრავლისმეტყველია. საინტერესოა, რომ ჩვენამდე კონსტანტინე დავითიშვილის ბეჭედმაც მოაღწია [197, 38].

დავითიშვილთა განშტოების ისტორიაში მნიშვნელოვანი ეტაპია ელიზბარისა და კონსტანტინე დავითიშვილების შთამომავალთა ხანა: ელიზბარს რამდენიმე შვილი ჰყოლია, რომელთა შორის ადგილი ჰქონდა გაყოფას, სადაც თითოეულმა თავისი „წილი“ მიიღო. ამას მათთვის ეკონომიკური მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესება მოჰყვა. 1722 წლის ვახტანგ VI სიგელით, ელიზბარის უფროსი ძეებია — გიორგი და დავითი [107, 333-334], 1750 წლის განჩინების წიგნით, „უფროსი ძმა“ — გიორგია, ასევეა დასახელებული დავითიშვილი ივანე, დავითი და ედიშერი [107, 478-479]; 1771 წ. არზით დავითიშვილების ყმის თაობაზე ერეკლე II ოქმში, პირდაპირ არის მითითებული, რომ გიორგი „ხუთის ძმის უნფროსი გახლდათ, მერე ეს დავითი გახლდა“, ხოლო ოთხნი უმცროსნი იყვნენ [129, 180-181]. ამდენად, უფროსი ძმებია გიორგი და დავითი, მაგრამ პრობლემატურად დგას ძმების რაოდენობის საკითხი: 1750 წელს უკვე აღნიშნულ განჩინების წიგნში 4 ძმაა: გიორგი, ივანე, დავითი და ედიშერი; ამავე წლის დავითიშვილთა განყოფის

წიგნშიც ასევეა; თოთოეულს თავისი „წილი“ ერგო: ედიშერსა და დავითს „ერთ წილად ერგო“ ტატიშვილები, ასევე „ერთ წილათ ნულს ამოწყვეტილის დემეტრასშვილის მამული...“ [107, 481]; რადგან ისინი „ერთ წილში“ იყვნენ, ამიტომ ერთადაც მოქმედებენ, მაგ., სებისკვერაძეთა მიმართ (1752 წ. საბუთი): ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, დავითისშვილმა ედიშერ და ძმამან ჩემა დავით შენ, სებისკვერაძეს “ [107, 484]; „ერთ წილად დვრეთეთს თამაზა მესხიშვილი, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყო, ერგო ელიზბარს“ — იგი უნდა იყოს მესამე ძმის — ივანეს შვილი ელიზბარ დავითიშვილი, რომელიც ცნობილი პირია XVIII ს. II ნახ. ქართლში; მასთან ერთად მის „წილში“ დასახელებულია როსტომი [107, 482]; აღნიშნულია, უფროსი ძმის „წილი“: „ერთ წილათ ნულს ხატის კაცს თამაზას ბეითალმალი მამული, დღეს რისაც მქონებელია, ერგო გიორგის“ [107, 481-482]. 1750 წ. დავითიშვილთა საგვარეულოს მეორე პირობის წიგნში ვკითხულობთ: „...მტკიცე და შეუცვალებელი წიგნი მოგეც მე, შენმან ძმამ ედიშერ და დავით შენ, ჩემს ძმას იოვანეს (იგივე ივანე, — დ.ნ.) და შიოს, შენსა... (სიტყვა გადალეულია, უნდა იყოს „ძეებს“, — დ.ნ.) ელიზბარს და როსტომს, ასე და ამა პირსა ზედა: ჩვენ ოთხი ძმანი გიორგი... (არ იკითხება, უნდა იყოს „ივანე“, — დ.ნ.). დავით და ედიშერ ერთად ვეღარ მოვთავსდით და გაყრა მოგვიხდა, მამული სულ გავყავით ბარათით, აზნაურიშვილი და გლეხი“ — აქვეა ლაპარაკი აბანოს, ნულისა და სხვ. გაყოფილ მამულებზე; გაყრის თობაზე დავითიშვილნი თავიანთ ურთიერთთანხმობას ასე ადასტურებენ: „ამ საქმეზედ ერთმანეთის ნებით და რაშით გავრიგებულვართ, ამ საქმეზედ ერთმანეთთან სადავო და სალაპარაკო არა გვაქვს რა, ძმობისა და კარკაცობის მეტი“ [107, 483].

სხვა საბუთებშიც ხაზი ესმება, რომ თითქოს დავითიშვილები ოთხი ძმა ყოფილან და სწორედ ისინი გაყრილან: მაგ., 1783 წ. განჩინების წიგნი: „დავითისშვილები ოთხნი ძმანი ყოფილან: გიორგი რომ დღეს იმის შვილი ზაალ არის, ივანე რომ ივანეს შვილი ელისბარ არის დღეს, დავითი და ედიშერ, ამათი არავინ არის დღეს“ [107, 490; 126, 217]. XIX ს. დამდეგის ზაალ დავითიშვილის ანდერძითაც ირკვევა, რომ დავითისა და ედიშერის განაყოფები — „ისინი ამოსწყდენ“ [18; 316, 166-167]. 1807 წ. მედიატორეთა გან-

ჩინებაც დავითიშვილთა ყმა-მამულის საქმეზე ცხადყოფს, რომ „დავით უშვილოდ ამოვარდნილიყო“ [127, 385]. ამდენად, ამ ცნობებით ლაპარაკია ოთხი დავითიშვილის შესახებ, რომლებიც იყრებიან „ძმობისა და კარკაცობის მეტის“ პირობით; ესენია: გიორგი, დავითი, ივანე და ედიშერი – ამავე პერიოდის სხვა საბუთებში პირდაპირ არის მინიშნებული, რომ ძმები დავითიშვილები ექვსნი იყვნენ: 1775 წლის არზაში ზაალ დავითიშვილი მამულის თაობაზე ერეკლე II მიმართ ამბობს: „მამაჩემი ექვსი ძმის უფროსი იყო“ [129, 273-274]; 1771 წლის ზემომოყვანილ არზაში, დავითიშვილების ყმის თაობაზე, ზაალი ამბობს: „მამაჩემი გიორგი ხუთი ძმის უნფროსი გახლდათ, მერე ეს დავით გახლდა, ოთხნი უნცროსნი სხვანი იყვნენ“ [129, 180-181], ე.ი. აქაც ექვსი ძმაა. ამდენად, საკვლევია, ვინ იგულისხმება დანარჩენ ძმებში და რა მიზეზითაა, რომ ზოგიერთი ისტორიული წყარო მხოლოდ ოთხ ძმას მოიხსენიებს?!

1750 წლის ზემოგანხილული გაყოფის წიგნში, სადაც ჩამოთვლილია ძმების „წილში“ შემავალი მამულები, ოთხი ძმის გარდა საუბარია ბერი დავითიშვილის შესახებ, რომელიც განსაკუთრებით დიდ „წილს“ ღებულობს: თიხრევს, ნულს, თორმანეულს... [107, 481-482]. ირკვევა, რომ დავითიშვილთა საძიებელი მეხუთე ძმა ბერი დავითიშვილი ყოფილა. ამას ადასტურებს 1750 წ. ყმის გირავნობის წიგნი მიცემული გიორგი დავითიშვილის მიერ ბერი ლასურისშვილისადმი, იგი ასე იწყება: „ქ. ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, დავითიშვილმა გიორგიმ, ჩემმა ძმა ბერმა...“ ან იქვე – „ჩვენ ბერსა და გიორგის იმ სამი თუმნის თავნისა და სარგებლისაგან ორი თუმანი და ნახევარი ორთავ შემოგვხვდა“ [78, 351-352]. ეფიქრობთ, ცნობილი ხდება მესამე ძმის ვინაობაც: ზემომოყვანილ 1750 წ. დავითიშვილთა საგვარეულოს მეორე პირობის წიგნში, სხვა ძმების გვერდზე, როგორც ძმა, მოხსენიებულია შიოშ დავითიშვილი [107, 483]. ამდენად, ცნობილი ხდება დავითიშვილთა მეექვსე ძმის ვინაობა.

ამ პერიოდის საბუთებში მათივე ძმები ჩანან სოლომონი და ქაიხოსრო: მაგ., 1736 წ. თამასუქში, რომელიც მიცემულია გიორგი დავითიშვილისა და მისი ძმების მიერ ბეჟან წერეთლისადმი, ვკითხულობთ: „ქ. ავიღეთ მე, გიორგი დავითიშვილმა, ჩემმა ძმამ ბერმა, სოლომონ, ედიშერ; დავით, ქაიხოსრომ, სოლომონ თქვენ, ბატონის

წერეთლის ბეჟანისაგან, ორას ორმოცი მარჩილი მაისის ერთსა“ [92, 38]. ქაიხოსრო სხვა სიგელებშიც მოიხსენიება — 1750 წ. ყმის გირავნობის წიგნში, მიცემული გიორგი დავითიშვილის მიერ ბერი ლასურის-შვილისადმი: „ქ. ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, დავითიშვილმა გიორგიმ, ჩემმა ძმამ ბერმა; — ასე რომე ჩემი ძმა ქაიხოსრო ნოქრად წავიდა და იმისის გულისთვინ სამი თუმანი ვალად აეღო ჩემ ძმას ედიშერს შენ, ლასურის-შვილის ბერისაგან...“ [78, 351-352]. საინტერესოა, ქაიხოსრო დავითიშვილის „ნოქრად“, ანუ დაქირავებულ მოლაშქრედ წასვლის ფაქტის აღნიშვნაც. სხვა ისტორიულ დოკუმენტებში მათ შესახებ ვერაფერს ვხვდებით. ამდენად, დავითიშვილთა ამ პერიოდის გენეალოგიას ასეთი სახე აქვს:



რით არის გამოწვეული, რომ დავითიშვილთა ამ საბუთებში ძირითადად ოთხი ძმის შესახებაა საუბარი? როგორც აღვნიშნეთ, 1750 წ. დავითიშვილთა განყოფის წიგნში ბერი დავითიშვილის მნიშვნელოვან „წილზეა“ ლაპარაკი, მაგრამ ამავე წლის სხვა საბუთებსა და მომდევნო პერიოდის დოკუმენტებში იგი უკვე აღარ გვხვდება. 1750 წ. დავითიშვილების პირობის წიგნში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ „ჩვენ ოთხი ძმანი... ერთად ვეღარ მოვთასვსდით და გაყრა მოგვიხდა“; როგორც ვხედავთ, სხვები აღარ იხსენიება, მით უმეტეს 1783 წ. განჩინების წიგნში ელიზბარ და ზაალ დავითიშვილების დავის შესახებ, სადაც კვლავ აღნიშნულია, რომ „დავითისშვილები ოთხნი ძმანი ყოფილან“ [107, 490]. ის მომენტი, რომ იმავე პერიოდის დოკუმენტებში ქრება ინფორმაცია ბერისა და შიოშის შესახებ, ვფიქრობთ, მათ გარდაცვალებაზე უნდა ლაპარაკობდეს. თუ ასეა, მაშინ გასაგები ხდება შესაბამისი „წილის“ აღნიშვნისას, მათი აღარ

მოხსენიება. ამას ადასტურებს 1753 წლის ერეკლე II ბრძანება, სადაც ბერი დავითიშვილის „ქვრივი და ობოლია“ დასახელებული, რაც ბერის მიცვალებას ადასტურებს: ბერის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ჩანს, „ამათი მამული“ მისი ძმისათვის ედიშერისათვის გადაუციათ; მაგრამ ერეკლე მეფის ამ ბრძანებით, იგი „ახლა ისევ გამოვაბარეთ, ეს ქვრივი და ობოლი თავისთვინ იყვნენ, საქმე ნურავის აქვს.“ მიუხედავად ამისა, ბერის „ქვრივი და ობოლი“ ადვილად ვერ აღწევენ კუთვნილ მფლობელობას, ამიტომაც აქტიურობენ „სახლიკაცთა“ წინააღმდეგ; 1763 წ. არზა ბერი დავითიშვილის ქვრივის მიმართ და მასზე მიწერილი ბრძანება მათ უწოდებს — „საბრალო დავითისშვილის ბერის ქვრივსა და ობოლს“, რომლებიც მათი „წილისათვის“ იბრძვიან. როგორც ზემოთ ითქვა, მათი „მამული“ გარკვეული პერიოდით ბერის ძმის — ედიშერის ხელში გადადის; ამავე არზით ირკვევა, რომ მათთვის მეორე ძმას „დავითს უჩივლია... ამთენი უსამართლო მჭირს და ეგეცა მიჩივის, ამისი სამართალი მაღირსოს ბედნიერმა ჯელმწიფემა...“ [107, 488-489]. 1750 წ. გაყრის წიგნში აღნიშნული იყო, რომ „კლდის წყაროს, შიო პეტრიასშვილი რისაც მამულის მქონებელი არის, იმ მამულით ერგო ბერს“, მაგრამ შემგომში სხვა ხელით უკვე გაკეთებულია შენიშვნა: „ამ ბარათის კაცი დარჩა იოანე (ივანე, — დ.ნ.) დავითისშვილს. თ. როსტომ ბაგრატოვანი“ [107, 481], ე.ი. ბერის მამულის ნაწილი მესამე ძმის — ივანეს ხელში გადასულა; ამ მხრივ, საინტერესოა, 1804 წ. წყალობის წიგნი ზაალ დავითიშვილისა, რომელიც „წიგნს“ უწერს მის „ყმას ოსაძეს დათუას“: „... ოდეს მამა ჩემი და ბიძა ჩემები რომ გაიყარნენ, შენ ბიძა ჩემს ბერს ერგევ“. ამ დროს ოსაძე უმამულოდ ყოფილა და ფცას „ამოწყვეტილის ნანაშვილის მამულზე“ დააყენეს — „იმ მამულით ერგევ ბიძა ჩემს ბერს სამკვიდროდ. ის ბიძა ჩემი გარდაიცვალა. იმისი შვილი ელიზბარიც გარდაიცვალა“ [316, 166-117]. ამდენად, ამ განაყოფის დამცრობის — „გაღარიბების“ მიზეზი მათი ადრეული გარდაცვალებაა — ბერის „წილი“ ანუ მამული დავითიშვილთა სხვა ძმებში განაწილებულა. ასევე უნდა ყოფილიყო შიოშის შემთხვევაშიც. ამდენად, რეალურად გაყოფის შემდეგ ოთხი ძმის მფლობელობა ჩამოყალიბდა. ამასვე უნდა გამოეწვია საბუთებში ხან ოთხის, ხანაც მეტი ძმის მოხსენიება.

შეწყდა ასევე დავით და ედიშერ დავითიშვილების შტოებიც (გიორგის შვილი — ზაალი ამბობს, რომ მათი მამული „მე ვიშოვნე“-ო): 1783წ. (ე. თაყაიშვილი ქორონიკონს კითხულობს როგორც „უჲა“ (1773), ი.დოლიძე — „უოა“ (1783). განჩინების წიგნი 1783 წ. უნდა დათარიღდეს) განჩინების წიგნის შექმნის დროს ხაზგასმულია, რომ „ამათი არავინ არის დღეს“ [126, 217], ამდენად, ზაალ დავითიშვილის ანდერძის აღნიშვნა — „ისინი ამოსწყდენ“ XVIII ს. 70-80-იანი წლების დასაწყისზე მოდის. საინტერესოა, რომ ჩვენამდე მოაღწია დავითისა და ედიშერის ბეჭედმაც [197, 25, 28]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძმების გაყოფით თეიმურაზ II უკმაყოფილო დარჩენილა; 1781 წ. ელიზბარ დავითიშვილის არზით, „ბიძები და მამა ჩემი უბატონოდ გაყრილან... ნეტარად ხსენებულს დიდს ბატონს სწყენია (უნდა იგულისხმებოდეს თეიმურაზ II, — დ.ნ.), რომ უჩემოდ რად გაიყარენითო“ [107, 494].

დავითიშვილთა განშტოების ისტორიას გიორგისა და ივანეს ჩამომავლები აგრძელებენ, კერძოდ, გიორგის ვაჟი — ზაალ და ივანეს ძე — ელიზბარ დავითიშვილი. იოანე ბატონიშვილთან ვკითხულობთ, რომ დავითიშვილები, რომლებიც „არიან გვარად ბაგრატოანნი“ „აწ მოსახლობენ... ნულის ხეობასა შინა და არიან ორ სახლად“: 1) „ზაალის შვილებად“ და 2) „ელიზბარის შვილებად“ [87, 18]. დაახლოებით XVIII ს. 70-იანი წლებიდან უნდა იწყებოდეს მწვავე დავა სადავითიშვილოს მამულების გამო, რასაც მათი „სახლების“ ჩამოყალიბება მოჰყვა: იმ პერიოდის საბუთებში არაერთხელ არის აღნიშნული, რომ „მე (ელიზბარი, — დ.ნ.) და ჩემი ბიძაშვილი ზაალ მამულებზედ ვლაპარაკობთ, არას მანებებს...“ [107, 487, 493]. 1780 წ. ერეკლე II სიგელში მეფის მხრიდან უკვე აღნიშნულია, რომ „...თქვენს (ზაალი, — დ.ნ.) გასამყრელოში ტატიშვილი ავიღევით და ჩვენს სახასოთ დავდევით“, ახლა კი „გიბოძეთ თქვენგან გასამყრელოთ აღებული ტატიშვილის ბაღათარის შვილი...“ [107, 492-493]. გარეგნულად, ეტიკეტის თვალსაზრისით, ზაალსა და ელიზბარს სათანადო ურთიერთდამოკიდებულება აქვთ, რაც 1786 წ. ზაალ დავითიშვილის წერილით ელიზბარისადმი კარგად ჩანს — „ქ. მათს ბრწყინვალებას დავითიშვილს ელიზბარს თავდაბლად სიამეს მოვახსენებ თქვენი ბიძაშვილი, დავითიშვილი ზაალ...“ [107, 496]; მაგრამ რეალურად, განაყოფდა დავა საკმაოდ მწვავე და არასასიამოვნო ხასიათს ატარებს;

„სახლის-კაცებს“ შორის ურთიერთობის იურიდიული ნორმები თითქოს დარეგულირებულია, მაგ., „უფროს კაცის შვილი (გიორგი, — დ.ნ.) რომ ზაალი არის, უნდა საუკეთესო აიღო, ვენახის ალაგს ვენახი და სახნავს მიწაში მიწა...“ [126, 217], მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენამდე მოაღწია ბიძაშვილებს შორის დავის ამსახველმა მრავალრიცხოვანმა საბუთებმა, რომელთა განხილვა შორს წაგვიყვანს (ამის გაკეთება ცალკე შეიძლება XVIII ს. II ნახევრის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესასწავლად). აქ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვანთ — 1784 წ. არზა ზაალ დავითიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II ოქმით: „ჩემს ბიძაშვილს ელიზბარს მუდამ შფოთში ვყავარ. თქვენის დოვლათით საცა შენობას მოვეკიდე, იმან (ელიზბარმა, — დ.ნ.) ქცევა დაუწყო... მუდამ სიკვდილს და ჩხუბს მექადის... ნულს დავასახლე ხუთიოდ კომლი იმერელი...ახლა მოუხდება, სცემს, ავათ ეპყრობა, მუდამ შფოთსა და ჩხუბს მაძლევს...“ იგი ითხოვს „იმისის შფოთიდან დახსნას“ [129, 629]. ასეთი ურთიერთდამოკიდებულების შედეგად მეორე სახლი ყალიბდება თავისი რეზიდენციით — ასეთად, ისტორიული წყაროებით, სოფ. ფცა ჩანს, თვით ელიზბარიც ხშირად აღნიშნავს: „ფცას გახლავართ“-ო [107, 493; 129, 490...].

საინტერესოა ზაალ დავითიშვილის უფროს სახლთან მესამე შტოს დამოკიდებულების საკითხიც: როგორც აღნიშნული იყო, 1804 წ. ზაალ დავითიშვილის წყალობის წიგნში ლაპარაკია ბერი დავითიშვილის ჩამომავლებზე: „...ბიძა (ბერი, — დ.ნ.) ჩემი გარდაიცვალა. იმისი შვილი ელიზბარიც გარდაიცვალა... ახლა ამ ელიზბარის შვილი ჩემთან არის, ერთათ ვართა“ [107, 507]. არსებობს ამ შტოს შემდგომი ვითარების ამსახველი ცნობებიც, საიდანაც დასტურდება ფაქტი — „ერთათ ვართა“: 1798 წ. თამასუქის მიხედვით, რომელიც მიცემულია ზაალ დავითისშვილის მიერ მროველი ეპისკოპოსისადმი, ელიზბარ დავითიშვილის შვილია — ნინია; იგი ზაალის ოჯახთან ერთად მოქმედებს: „ქ. ავიღე მე, ზაალ დავითიშვილმა, ჩემმა შვილმა როსტომ და გიორგიმ, ჩემმა ბიძაშვილმა ელისბარისშვილმა ნინიამ, თქვენ, ბატონის მროველი ეფისკოპოზის იუსტინესაგან თორმეტი თუმანი თეთრი...“ [316, 121]. მასზე ზაალი ანდერძის წიგნში სპეციალურად ჩერდება: „ქ. ნინია ხომ თქვენი ბიძაშვილია, სადავითიშვილოს მეოთხედი იმისია, საუნფროსო და მეოთხედი მამული ჩემი არის...“ იგი მოუ-

წოდებს როსტომსა და გიორგის: „ქ. შვილებო, ნინიას ნუ მოიშორებთ, ასე გასაშორებელი არ არის... ორნი თქვენ ხართ, მესამე ძმა ეს არის. თუ ერთმანეთის მასიამებელი იქნებით, ღმერთი შეგეწევათ, კარგათაც იცხოვრებთ; და თუ, ვინ იცის, ნინიამ თქვენთან დგომა არ მოინდომოს, რაც ვალი არის... სულ ნინიას საწილო არის...“ [316, 166-167].

ზაალ და ელიზბარ დავითიშვილების უშუალო დავა 1794 წლამდე უნდა გრძელდებოდეს. 1793 წ. ელიზბარი ჯერ კიდევ იბრძვის თავისი მამულებისათვის, ხოლო 1794 წ. ერეკლე II ბრძანებაში უკვე „დავითისშვილს ელიზბარის ობლები“ არიან დასახელებულნი [107, 502]. ამდენად, ელიზბარ დავითიშვილი სწორედ ამ პერიოდში გარდაცვლილა.

ვინ არიან ზაალ და ელიზბარ დავითიშვილთა შვილები, რომელნიც „ორ სახლად“ ჩამოყალიბდნენ: უდავოა, რომ ზაალს ორი ძე ჰყავს — როსტომი და გიორგი [107, 491-492, 492-493, 504, 507...; 79, 161]. ჩვენამდე მოაღწია ზაალის შვილის როსტომ დავითიშვილის ბეჭედმაც [197, 48]. საკვლევია ელიზბარის შთამომავლობა, რომლებიც „ელიზბარის შვილების“ სახლს ქმნიან: 1807 წ. მედიატორეთა განჩინებაში დავითიშვილების ყმა-მამულის საქმეზე აღნიშნულია, რომ „შექმნეს სარჩელი ძმობასა ზედა“ ზაალის ძემ — გიორგიმ და მისმა ბიძაშვილმა — იოანე (ივანე) დავითიშვილმა; ეს უკანასკნელი არაერთხელ იხსენიება, როგორც „დავითიშვილის ელიზბარის შვილი იოანე“ [127, 384-387]. იოანე იგულიხმება 1804 წ. ზაალის წყალობის წიგნში მოხსენიებულ ივანეში [107, 507]. ამდენად, „ელიზბარის შვილების“ სახლს სწორედ იოანე (ივანე) დავითიშვილის ოჯახი ქმნის.

XIX საუკუნის შესაბამისი ისტორიული დოკუმენტაციით — „Протоколы Грузино-Имеретинского Депутатского Собрания 1840 года (О дворянском и княжеском достоинстве)“ ნათელი ხდება, თუ რა ინფორმაციაა ცნობილი ბაგრატიონთა სამეფო სახლის ამ საგვარეულო განშტოების წარსულის შესახებ, კერძოდ, XIX ს-ში დავითიშვილების გენეალოგიის შესახებ ასეთი წარმოდგენა [68, ბ] ჰქონდათ:



როგორც ვხედავთ, ეს გენეალოგია ნაკლულია. ჩვენ ხელთ არსებული დოკუმენტებით, დავითიშვილთა გენეალოგიას გაცილებით ვრცელი და განსხვავებული სახე აქვს (იხ. დანართი №2).

ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებების — დავითიშვილთა და რამაზიშვილთა სამამულო დავის ისტორია:

ეს საკითხი, გარდა საგვარეულო განშტოებების ბუნება-ხასიათის გარკვევისა, დაგვეხმარება შეძლებისდაგვარად აღვადგინოთ რამაზიშვილთა გენეალოგიაც; ასევე, შესაძლებელი ხდება მათი მფლობელობის სურათის წარმოჩენაც.

დავითიშვილ-რამაზიშვილთა დაპირისპირება საკმაოდ მწვავე ხასიათს ატარებს; 1798 წ. განჩინებაში ზაალ დავითიშვილისა და შანშე

რამაზიშვილის დავის გამო, ზაალი ხაზს უსვამს, რომ შანშე რამაზიშვილს დავითიშვილებთან „წილი არა აქვს, ჩემი სახლის კაცი არ არისო"; ამას იმით ადასტურებს, რომ ჯერ „მე (დავითიშვილი, — დ.ნ.) გარდავსულვარ ქართველ ბატონთან და ჩემთვის მამული უბოძებიაო. მას უკან ეგენი (რამაზიშვილები, — დ.ნ.) გარდმოსულან და ჩემს მამულში მაგათთვის წილი არავის დაუდვიაო" [108, 180]. ვფიქრობთ, ზაალ დავითიშვილის ეს სიტყვები კარგად ახასიათებს ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებების და, კერძოდ, დავითიშვილ-რამაზიშვილთა წარმოშობის მიზეზებს.

პირველი დავა, 1634 წლის ზემოაღნიშნული სიგელით, როსტომის ხანაში დასტურდება, კერძოდ, დავით ბოქაულთუხუცესსა და მის ძმისწულს რამაზს შორის: დავითიშვილმა „გამოიფიცა" და მამულებიც „იმას დარჩა" [107, 232]. იესე მეფის (1714-1716) 1715 წლის განჩინებითაც დასტურდება, რომ როსტომის მეფობაში „რამაზიშვილები აგრე ამრიგად ბუქაულთ უხუცესს დავითს მამულს წამოსცილებოდნენ" [16; 125, 260-263]; დავითს „ყოველი მისი მამული, სასაფლაო, სოფლები და აზნაურშვილები გამოეფიცა და ისრე დარჩომოდა".

მეორე დავას ერეკლე I (1688-1703) ხანაში ჰქონია ადგილი, რომლის შესახებ ინფორმაციას უკვე აღნიშნული 1715 წ. იესე მეფის სიგელი და 1798 წ. განჩინება გვაწვდიან: იესეს სიგელით, მათ „ამ საქმეზედ... ერეკლე მეფესთანაც ელაპარაკნათ და წამოსდავებოდენ"; ელიზბარ დავითიშვილს თავისი „წიგნები" და „განაჩენები" „აქ არა ჰქონებოდა, მამას იმისს (დავითს, — დ.ნ.) ისპაანს ბედნიერის ყეენის მისართმეველად თურმე წაეღო", ამიტომ დავითიშვილებისათვის „მოსამართლეთ სამართალი დაეკლოთ და ზოგიერთი მამულები დავითიშვილისათვინ წაერთმევინათ და რამაზიშვილებისათვის მიეცათ" [16]. 1798 წლის განჩინებითაც, ერეკლე I წიგნი „რამაზიშვილებს უწერს დავითიშვილების სახლიკაცობას", რომელშიაც აღნიშნულია, რომ ელიზბარ რამაზიშვილმა ერეკლე I დროს „ყეენის რაყამი მოიტანა" და „თავისის სამკვიდროს მამულის წილი გაიტანა", შემდეგ „ეს განაყოფებიც გაიყარნენ და ის დავითიშვილებიდამ გამოტანილი მამული გაიყვესო. ლევანს (რამაზიშვილს, — დ.ნ.) იმ რაყამის გამოტანაში ყეენის კარზედ თეთრი

დაეხარჯაო, ამის სამუქფოდ და საჭირნახულოდ, ლევანს (რამაზიშვილი, — დ.ნ.) მივეცით რიკაძე... აბანოს ქვათარაშვილი...“ [108, 180]. ამ მხრივ საინტერესოა ფეშანგის „შაჰნავაზიანის“ ერთი ცნობა: როგორც ცნობილია, პოემაში აღწერილია 1658-1664 წწ. ამბები, კერძოდ, ლაპარაკია იმ მომენტზე, როცა ქართლის თავადთა ერთი ნაწილი ვახტანგ V (1658-1676) განუდგა და ერეკლე ბატონიშვილთან (ერეკლე I) გააბა კავშირი; „შაჰნავაზიანის“ ამ ნაწილს ჰქვია — „აქა იმა მუხანათმა და ხაინმა ყურჩიბაშმა ბარამ შარიერის ორგულობა მოინდომა და ერეკლეს საბირებელი და საეშმაკო წიგნები მისწერა და ესე შეუთუალა: ორნი მეფენი ულაშქროდ აქა დგანან, თუშნი შეიყარე და თავსა დაევსხათ უცილოდ“ [125, 261]. ვახტანგ V-საგან განმდგართა შორისაა „რამაზიშუილი“, რომელიც, ჩვენი აზრით, ერეკლე I ხანის დავაში მონაწილე ელიზბარ რამაზიშვილი უნდა იყოს (გიორგი „სამცხელის“ შვილის — რამაზის ვაჟი). როგორც ჩანს, ელიზბარი თავიდანვე ერეკლე I აქტიური მხარდამჭერია, რამაც, მისი გამეფების შემდეგ, სათანადო გავლენა იქონია გადაწყვეტილების მიღებაში. ალბათ, ერეკლე I დაუფასა ელიზბარ რამაზიშვილს მისდამი ერთგულება და სადავო საკითხი დავითიშვილთა საზიანოდ და რამაზიშვილთა სასიკეთოდ გაარჩია.

სამამულო დავის გარდა, ეს სიგელები რამაზიშვილთა გენეალოგიის თვალსაზრისით საინტერესო ინფორმაციას იძლევიან: 1798 წ. განჩინებით, „ყეენის რაყამი“ ერეკლე I მეფობაში (1688-1703) ელიზბარს მოუტანია, ხოლო ლევან რამაზიშვილს მის გამოტანაში „ყეენის კარზედ თეთრი დაეხარჯა“. 1798 წ. საბუთით და 1715 წ. იესეს სიგელით ელიზბარი ლევან რამაზიშვილის ბიძა გამოდის, ხოლო თუ რა გაყოფაზეა საუბარი, ჩანს იმავე იესეს საბუთით — გაყოფილან გიორგი და მისი შვილის კონსტანტინესა და ლევან-ხოხონა რამაზიშვილების სახლები [118, 179]. ამ გაყრით მათ ზემოაღნიშნული დავითიშვილებიდან „გამოტანილი მამული გაიყვეს.“ ამდენად, რამაზიშვილთა გენეალოგია ამ პერიოდისათვის, ჩვენი ვარაუდით, ასეთ სახეს უნდა ატარებდეს:



როგორც აღვნიშნეთ, ერეკლე I ხანაში (1688-1703) დავა რამაზიშვილთა სასარგებლოდ გადაწყდა. შემდგომ ეტაპზე, იესეს სიგელით, „როდესაც სულბრწყინვალე ერანის მდივანბეგი მამა ჩვენი პატრონი შაჰყულიხან (იგივე ლევანი, — დ.ნ.) თავის სამკვიდროს საქართველოში პატრონად მობრძანდა“, ე.ი. 1703/4 წწ-ში „მოკითხულ იქნა, ეს უსამართლოდ გარიგებული და წანართმევი მამულები... ისევ დავითიშვილს ელიზბარს და კოსტანტინეს უბოძა“ [16]. ამდენად, მათი სამამულო დავის მესამე ეტაპზე საკითხი დავითიშვილთა სასარგებლოდ გადაწყდა.

მეოთხედ ეს პრობლემა 1710 წლის ახლოს დაისვა; იესე აღნიშნავს, რომ „ჩვენც ბედნიერს ქელმწიფეს ვიახელით თოფჩი ბაშათ ვიყვენით. მერმე ჩვენი ძმა ბატონი შვილი ვახტანგიც (მომავალი ვახტანგ VI, — დ.ნ.) იქ ქელმწიფეს იახლა, იქ რამაზიშვილებს მოყვრით და კერძის კაცის შუამავლობით ის უწინდელი დავითიშვილებისაგან მამულები რომ წაერთმევინა და ცოტა ხანს ჰქონოდა, იმისი წიგნი ჩვენის ძმის ბატონიშვილის ვახტანგისაგანაც აეღო“ [16]. ვახტანგ ბატონიშვილის (ვახტანგ VI) გადაწყვეტილებით, რამაზიშვილებს დაუბრუნებიათ წინა პერიოდში „ცოტა ხანს“ მათ მფლობელობაში მყოფი დავითიშვილებისათვის „წართმეული“ მამულები; „ცოტა ხანში“ იგულისხმება ერეკლე I მეფობის გარკვეული პერიოდი, როცა

მართლაც დავა რამაზიშვილთა სასარგებლოდ გადაწყდა. როგორც ვახტანგ ბატონიშვილს, იესესაც სადავო მამულები რამაზიშვილთა განშტოებისათვის გადაუცია, როცა იგი „თოფჩ ბაშათ“ იყო — „მოიტანეს და ის წიგნი ჩვენც (იესე, — დ.ნ.) დაუბეჭდეთ“ [16].

1714-1716 წწ-ში „აწ როდესაც იპრიანა ღმერთმან და ბედნიერმა ქელმწიფემ ჩვენის (იესე, — დ.ნ.) სამკვიდროს ქართლის ბატონობა წყალობა გვიყო“, რამაზიშვილებმა „კიდევ ლაპარაკი შექმნეს და დავითიშვილებს მამულების ცილება დაუწყეს“ [16]. ეს სწორედ ის დავაა, როცა ერთმანეთს ეცილებიან ძმები ელიზბარ და კონსტანტინე დავითიშვილები, ხოლო, მეორე მხრივ, რამაზიშვილები: გიორგი — მისი ძე კონსტანტინე და მათი განაყოფი ლევანი და ხოხონა. იესე მეფის 1715 წლის სიგელით, „რამაზიშვილები დავითიშვილებს ელიზბარსა და კოსტანტილეს მამულებს ეცილებოდენ და ელაპარაკებოდენ, და ამას ეუბნებოდენ ესე და ეს მამულები ერთობაში ნაშოვნი არისო და ჩვენ წილი არ გვიძევსო. დავითიშვილნი ამას უპასუხებდენ: რაც დღეს მამულები მიჭირავსო, ჩემთვის სათავისთოდ მიშოვნიაო და ფიცითაც გამომიტანიაო“ [16]. როგორც ვხედავთ, ისინი კვლავ დავითიშვილებთან „ერთობასა“ და „სახლიკაცობას“ უსვამენ ხაზს. იესემ „დიდი ბჭობა და სწორე სამართლის ქნა“ გადაწყვიტა: დავითიშვილებმა იესეს როსტომ მეფის მიერ უკვე ზემოგანხილული „წიგნი“ წარუდგინეს, რომლის მიხედვითაც, დავით ბოქაულთუხუცესს „ყოველი მისი მამული სასაფლაო და სოფლები და აზნაურიშვილები გამოეფიცა და ისრე დარჩომოდა“. ამ „განჩინების წიგნიდან“ გამომდინარე იესე აღნიშნავს:

რა ეს როსტომ მეფის განაჩენი ამრიგად ვნახეთ ამ საქმემ ასრე დაგვაჯერა“, რომ „ტატიშვილები ერთობით თავისის მამულითა, სოფელი ბროწლეთი, სოფელი თიხრევი, სოფელი ღვერთეთი, სოფელი თორმანეული, სოფელი ნული ციხითა და სასახლითა, სოფელი აბანო, სოფელი ქინძათი, გოშპარიშვილები თავისის მამულითა, სოფელი სატივე, ამირეჯიბისაგან ნასისხლი სოფელი წაბლოვანა, სოფელი სტკოცა და რიკაძე მათის მამულითა, სოფელი კლდის წყარო, რუისს სასაფლაო და რაზმიაშვილები, ესენი ყველა დავითისშვილს დარჩა, და რამაზიშვილები ვეღარას შეუვდნენ ელიზბარსა და მის ძმასა კოსტანტილეს და მის მამულებთან ქელი აღარა აქუთ რა“ [16]. იესე ხსნის მიზეზებს და მოჰყავს არგუმენტები, რატომაც შეიცვალა გადაწყვეტილება: „თუ ერეკლე (ერეკლე I, — დ.ნ.) მეფის ჟამში ის

განაჩენი ელიზბარს (დავითიშვილი, — დ.ნ.) აქ ჰქონებოდა და ბატონს და მოსამართლეთ ენახათ არცარას ისინი გამოართმევდენ და არც ჩვენი ძმა ბატონიშვილი ვახტანგ წიგნს რამაზი შვილებს უბოძებდა, არც ჩვენ დაუბეჭდავდით", რაც შეეხება რამაზიშვილთა განშტოების დოკუმენტებს, „რაცა რამაზი შვილებს წიგნები ჰქონდა ან ერეკლე მეფისა და ან ჩვენის ძმის ტყუილის მოხსენებით რომ აეღო ყველა ძველი და ახალი იმ როსტომ მეფის წიგნმან გააცუდა, და მართალი ეს არის, რომ დაგვიწერია და ჩვენც ამ წიგნით გაგვიცუდებია" [16]. ამდენად, XVIII ს. I ნახევარში სამამულო დავა დავითიშვილთა სასარგებლოდ ჩანს გადაწყვეტილი.

ვახუშტი დავითიშვილების გვერდზე რამაზიშვილებსაც ასახელებს და ერთ სიბრტყეზე განიხილავს: „რამაზიშვილები და დავითისშვილები არიან ავგიორგის ძის დიმიტრისაგან..." [82, 34]. პრინციპში ვახუშტი მათ ბაგრატიონთა საგვარეულოს ორ ცალკე განშტოებად მიიჩნევს, რომელთაც ერთი მამამთავარი ჰყავთ.

რაც შეეხება XVIIIს. შუა პერიოდის რამაზიშვილთა გენეალოგიას: სამწუხაროდ, ისტორიული წყაროები ამ მხრივ ძალზე მწირ ინფორმაციას შეიცავენ: 1750 წლის განჩინების წიგნით, რიკაძეებს (სადავითიშვილოს აზნაურებია) „სარჩელი" ჰქონიათ, რის გამოც „ჩვენის უმფროსის ძმის (გიორგი, — დ.ნ.) სიტყვით მოვედით ჩვენ, დავითიშვილი ივანე, დავითი და ედიშერ, თანა დავისწარით რამაზიშვილი ბეჟან და ვახტანგ..." [107, 478-479; 125, 385]. 1750 წლის დავითიშვილთა საგვარეულოს მეორე პირობის წიგნში, რომლის მიხედვით მათი გაყოფა მოხდა „ძმობისა და კარკაცობის" პირობით, მოწმეთა შორის მოხსენიებულია ვახტანგ რამაზიშვილი. 1744-1760 წწ. პირობის წიგნშიც ამირეჯიბისა და კენჭაძისა აბანოელებისადმი (სადავითიშვილოს ერთ-ერთი მთავარი სოფელი) კვლავ აღნიშნულია: „...არის ამისი მოწამე რამაზიშვილი ვახტანგ, იმისი ძმა ბეჟან" [107, 485]. მათი წარმომავლობა ისტორიულ წყაროებით არ ჩანს. მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ და დავუშვათ, რომ ვახტანგი და ბეჟანი შესაძლებელია რამაზიშვილთა განშტოების ლევანისა და ხოხონას (ერთ-ერთის) ჩამომავალნი არიან.

ახალი ეტაპია XVIII ს. ბოლო მეოთხედი, როცა შანშე მილახვარი მოღვაწეობს — უკვე 1786 წ. ერეკლე II ბრძანებით, აშკარა დაპირისპირება ჩანს: „ქ. ჩვენი ბრძანება არის, დავითიშვილო ელიზბარ! მერე შანშე მილახვარი გიჩივისთ შენ და შენს ბიძაშვილს ზაალს!" ეს (ზაალი, —

დ.ნ.) უშენოთ სამართალში არ ელაპარაკა...“ ერეკლე II ელიზბარს უბრძანებს: „აქ ჩვენ სამართალში ჩამოხვიდე“ [107, 496]. 1797 წლის 6 ივნისის განჩინებით, შანშე მილახვრისა და ზაალ დავითიშვილის დავის გამო, ირკვევა სამამულო დაპირისპირების კონკრეტული მიზეზები: „მილახვარი შანშე უჩიოდა თავის განაყოფს დავითიშვილს ზაალს“, რომელსაც თავის „ბიძაშვილს“ უწოდებს; უთანხმოებაა სოფ. ფცაში რამინ ამირეჯიბისაგან ნასყიდი მამულის გამო, სადაც მილახვარმა შანშე რამაზიშვილმა ციხე ააგო. „ამათს სასამართლოდ“ ფცაში ბატონიშვილი იულონი მივიდა. ამ განჩინების წიგნში, რომელიც შესანიშნავი ძეგლია XVIIIს. II ნახევრის სოციალურ-ეკონომიკური ვითარებისა და ეპოქის ფსიქოლოგიის დასახასიათებლად, დაცულია ის ძირითადი ნიუანსები, რომლითაც რამაზიშვილ-დავითიშვილთა ეს მწვავე დავა ხასიათდება [108, 174-175]. სხვა სადავო მამულებიც და „ეს ციხე დარჩა სამართლით შანშე მილახვარსა, რომ ამ ციხის საქმეზე ზაალ შანშეს ვეღარას მოედავება...“ [108, 175]. იულონ ბატონიშვილის ბრძანებით, გიორგი სახლთუხუცესი აბაშიძე სოფ. ფცაში მივიდა და „რაგვარადაც ეს განჩინება აცხადებდა, ისე გავშინჯეთ და მიჯნები ჩავყარეთ იქ“ — ამას ესწრებოდნენ შანშე მილახვარი მისი შვილებით და ზაალის შვილი როსტომ დავითიშვილი. ზაალი, როგორც ჩანს, სპეციალურად არ დაესწრო ამ განჩინების აღსრულებას; ამავე წლის (1797 წ.) 18 დეკემბრის ხელახალი განჩინებით, შანშე მილახვარისა და ზაალ დავითიშვილის მამულის საქმეზე ირკვევა, რომ „მისულიყო ზაალ თავისი კაცებით და ის სამართლით ჩაყრილი მიჯნები ამოეყარა“... აქვე მოცემულია ამ ნაბიჯის შეფასებაც: „ეს დიდათ უჯერი და კადნიერი საქმე უქმნია, რომ მეფის შვილის გასამართლებული და მისის ბრძანებით ჩაყრილი მიჯნები ამოუყრია...“ [127, 45]. ამავე დოკუმენტით, ზაალი საქციელის გამო — „სამართლის წიგნის ძალითა რომ ღირსია მარჯვენის მოჭრისა“, ამიტომ „რაც ზაალ დავითისშვილის მარჯვენის სისხლია, უნდა გამოერთოს“ და იულონ ბატონიშვილს „მიერთოს“. ახალი განჩინებითაც უნდა „შანშე მილახვარს დანებდეს ის მამული“. ზაალი მაინც არ ურიგდება შექმნილ მდგომარეობას და საკითხს კვლავ სამართალში აყენებს.

მწვავედ დგას დავითიშვილ-რამაზიშვილთა დამოკიდებულების საკითხი 1798 წელსაც; ზაალი წინააღმდეგია რამაზიშვილებმა — შანშე მილახვარმა და მისმა შვილებმა დავითიშვილებისაგან „წილი“ აიღონ, მას თავისი არგუმენტაციაც აქვს: „შანშეს ჩემთან (ზაალი, — დ.ნ.)

წილი არა აქვს, ჩემი სახლის კაცი არ არისო. მე გარდავსულვარ ქართველ ბატონთან და ჩემთვის მამული უბოძებიაო. მას უკან ეგენი გარდმოსულან და ჩემს მამულში მაგათთვის წილი არავის დაუდვიაო“ [108, 180]. 1798წ. 18 სექტემბრის განჩინებით გადაწყდა, რომ „რამაზიშვილები დავითიშვილებისა სწორედ სახლის-კაცები ყოფილან“ და საბოლოოდ, ასე განსაჯეს: „რადგან თვალ-დამწვარი დავით გარდასულა და მამულის შოვნისა პირველად მიზეზი ის შექმნილა, ამისთვის სამი წილი სადავითიშვილოს მამულისა, თვალ-დამწვარის შვილებს“ — ზაალსა და ელიზბარის შვილებს დაუმტკიცდათ, მაგრამ რამაზიშვილებმა მაინც მიიღეს „წილები“: „მეოთხედი ამ სადავითიშვილოს მამულისა რამაზიშვილებს მილახვარს შანშეს, ამის შვილს როსტომს და სოლომონს დაანებონ“ [108, 181].

1799 წლის 10 მარტის ყმა-მამულის გაყოფის განჩინებით დავით ბატონიშვილის გადაწყვეტილება მხარს უჭერს რამაზიშვილებს: „როგორც მის უმაღლესობას ბატონს მამაჩვენს (გიორგი XII, — დ.ნ.) უბრძანებია და განაჩენი აქვს როსტომს (შანშე მილახვრის შვილი, — დ.ნ.), ისე სადავითისშვილოს მეოთხედი ახლავ მოაბარეთო“ [127, 96]. სოფ. ავნევს მოხდა საკითხის გარჩევა, სადაც ზაალი ამბობს: „მე არც მამულს გაუყოფ და არც ერთის დღის მიწას უსიკვდილოდ დავანებებო“ [127, 96]. ყველა მოწოდებას, რომ „ბატონის ბრძანებას წინ ნუ აღუდგება“, ზაალმა უარით უპასუხა. შეთანხმება ვერც მის შვილთან — გიორგისთან მოხერხდა; ამიტომაც, რამაზიშვილებს ბრძანებით „მეოთხე წილი“ მიეცათ.

სამამულო დავა 1800 წელსაც გაგრძელდა, ზაალს ევალება რამაზიშვილებს შეჰფიცოს — „თუ შევფიცე ხომ კარგია, თუ არადა, როგორც ბრძანებაა, ისრე აღსრულდეს...“ [132, 610, 626]. ამავე წლის 13 ივნისის განჩინებით, ზაალ დავითიშვილისა და შანშე რამაზიშვილის მამულის საქმეზე გადაწყდა, რომ „სადაო მამული ზაალ დავითიშვილს დანებდეს“ [127, 203]. ახლა უკვე შანშე რამაზიშვილი და მისი ძეები — როსტომი და სოლომონი გამოთქვამენ უკმაყოფილებას; 1801 წლის განჩინების მიხედვით, „რამაზიშვილებმა ატოცს მიიპატიჟეს საფიცრათ დავითიშვილები. დავითიშვილი ზაალ თავისის მოფიცრებით მიჰყვა და რამაზიშვილებმა აღარ დააფიცეს. ამაზე კიდევ ბევრი ლაპარაკი შეექმნათ“ [127, 288]. იოანე ბატონიშვილის გადაწყვეტილებით, რაც „დიდ განაჩენში სწერია ფიცი“, დავითიშვილებმა

ისე უნდა დაიფიცონ; თუ „ისე შეჰფიცეს“ დავითიშვილები გამართლდებიან, ხოლო „თუ დავითიშვილებმა ვერ იფიცეს და როგორც უწინდელს ჩვენს განაჩენში სწერია, დავითიშვილმა ზაალმა შანშე რამაზიშვილს ყმაშიცა და მამულშიაც ისე წილი უნდა მისცეს“ (127, 288) (1804 წლის საბუთებით უდავოა, რომ დავითიშვილთა სახლის მეთაური ზაალ დავითიშვილია, რადგან იგი იწოდება „თავეთის ბატონად“ [107, 505], რაც ნიშნავს მთავარი თავადის მამულის უფროსობა-პატრონობას). დავა შემდეგაც გაგრძელებულა: 1807 წლის მედიატორეთა განჩინებაში დავითიშვილების ყმა-მამულის საქმეზე აღნიშნულია, რომ ზაალის შვილი გიორგი დავითიშვილი ჩივის შანშე მილახვარის გამო, რომლის მფლობელობის საწინააღმდეგოდ მას დიდი ხარჯი და შრომა დასჭირდა [127. 386].

ყურადღებას იქცევს და ახსნას საჭიროებს თანადროულ წყაროებში შანშე მილახვარის ზოგჯერ რამაზიშვილად, ხანაც დავითიშვილად მოხსენიება: 1782 წ. არზაში შანშე მილახვარი დავითიშვილია [129, 540-541], 1797 წლის ორივე განხილულ განჩინებაში იგი მოიხსენიება როგორც მხოლოდ „შანშე მილახვარი“, ასევეა 1799 წ. განჩინებაში [127, 96]; 1800 წ. ზაალ დავითიშვილის არზით, ზოგადად რამაზიშვილებზეა ლაპარაკი, ხოლო 1800 და 1801 წლის ზემომოტანილი განჩინებებით, იგი და მისი შვილები — როსტომი და სოლომონი რამაზიშვილები არიან; ბაგრატ ბატონიშვილის თხზულებაში — „ახალი მოთხრობა“ ვკითხულობთ: „წელსა 1804 შეიპყრეს რუსთა ტფილის ქართველნი თავადნი, აზნაურნი და გლეხნი რიცხვით 30 რომლისამე მიზეზითა და ჰყვათ პყრობილად ტფილისის ციხესა შინა, რომელსა ნარიყალად უხმობენ, ფრიად მაგარსა და შეუვალსა. ხოლო ამა პყრობილთა შორის იყო დავითის შვილი თავადი სოლომონ, შანშე მილახვრის ძე. ამან ხელთ იგდო ლურსმანი ერთი დიდი, რომელსა ყადაღად უხმობენ. ამან ღამესა ერთსა განათხარა კედელი იგი ქალაქის მხარესა და გამოაპარა ყოველნივე...“ [75, 88]. ამ კუთხით, ძალზე საინტერესოა თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობა: „...მოუხდათ ბრძოლაჲ მეფის ძეთა მხედრობასა და განჯელთა; და მარადის იძლიენეს განჯელნი და მოიკლა მელიქ მაჯნუმ... ცნობილიცა იყო იგი აღა-მაჰმადხანისა და პატივცემულ მის მიერ... ესე დაიკოდა ბრძოლასა შინა თოფითა, მახლობელ ადგილსა მას, სადა იგი ბრძოდა მეფის ძე დავით. და ეგრე ჰგონებდეს მახლობელ მისსა მყოფნი, რომელ მოხვდა მას

(მელიქ მაჯნუმ, — დ.ნ.) თოფი მეფის ძის დავითის მილახვრის როსტომისა, რომელიცა იყო ერთი თავადი შთამომავლობათაგანი დავითისშჯლი, ძე შანშესი, მეფის ძის მილახვრისა“ [84,56]. თეიმურაზ ბაგრატიონი აუცილებლობად თვლის გააკეთოს ხაზგასმა, რომ შანშე მილახვრის შვილი — როსტომი არის „შთამომავლობათაგანი დავითისშჯლი“, რადგან შანშე და როსტომი რამაზიშვილთა განშტოების წარმომადგენელნი არიან და გარკვეული პერიოდი ამ გვარით მოღვაწეობენ. ამავე დროს, შანშე რამაზიშვილთა სახლის მეთაურიცაა.

რით აიხსნება აღნიშნული ვითარება:

XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დამდეგს ასეთ თავადურ გვართა ერთი ნაწილი ძველ — ძირითად გვარს იბრუნებს. ასევე მომხდარა დავითიშვილთა განშტოების შემთხვევაშიც — 1783 წლის ქართლ-კახეთის თავადებსა და აზნაურების ნუსხაში ეს საგვარეულო აღნიშნულია როგორც — „თავადი დავითისშვილი-ბაგრატოვანი“ [122, 484]. ბუნებრივია, ამისათვის რამაზიშვილებიც იბრძოლებდნენ; ისინი როგორც დავითიშვილთა განშტოება, ძველ გვარს — დავითიშვილობას და, შესაბამისად, ბაგრატიონობასაც იბრუნებენ. ამ მხრივ საინტერესოა, პ. იოსელიანის ცნობა: 1797 წ. თბილისში გაჩენილ ჭირთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს, რომ ევთიმე მოძღვრის დავით გარეჯში ნათლისმცემლის მონასტერში წინამძღვრობის „შემდგომა ევთიმისა იქმნა წინამძღვრად დომენტი შანშეს-შვილი გვარით დავითისშვილი-ბაგრატიონი, იყო არხიდიაკონად კათალიკოსისა, ოდეს მეფემან გიორგი მიიღო სამეფო რეგალია“ [134, 119]. ამდენად, შანშე მილახვარმა, მამულების გამო მწვავე დავის პარალელურად, ძველი გვარის დასაბრუნებლადაც იზრუნა — მისი ცდა წარმატებით დასრულდა; ამითაა გამოწვეული შანშეს მოხსენიება ზოგჯერ რამაზიშვილად, ხანაც დავითიშვილად. ამავე მომენტით აიხსნება, რომ XIX საუკუნეში, კერძოდ, თეიმურაზ ბაგრატიონთან და ბაგრატ ბატონიშვილთან შანშე და მისი შტო მხოლოდ დავითიშვილებად იხსენიება — ამ პერიოდისათვის რამაზიშვილების მიერ „დავითიშვილობის“ დაბრუნება მომხდარი ფაქტია. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე წარმოშობილი საერთო ტენდენციის გარდა, აღნიშნულ საკითხში შანშეს სახლისათვის 1798 წ. განჩინების დასკვნასაც უნდა შეეწყო ხელი: „რამაზიშვილები დავითიშვილებისა სწორედ სახლის-კაცები ყოფილან“ — აღსანიშნავია, რომ ამ დასკვნას ამტკიცებენ: მეფე გიორგი XII, დედოფალი

მარიამ, „მემკვიდრე“ დავით, იოანე ბატონიშვილი...

ამდენად, შეიძლება თავი მოვუყაროთ განხილულ ცნობებს, რომელიც ბაგრატიონთა სამეფო სახლის გათავადებული განშტოების – დავითიშვილების განაყოფთა ჩამოყალიბებას ეხება: ამ პროცესის შედეგად „სრულ სადავითიშვილოში“ (ტერმინი 1672 წ. სიგელშია [23] დაცული) პირველი მწვავე დავა დავით ბოქაულთუხუცეს დავითიშვილსა და მისი ნახევარძმის გიორგის შვილს – რამაზს შორის წარმოშობილა, რის საფუძველზეც, საბოლოოდ, რამაზიშვილთა განშტოება ჩამოყალიბდა. გაყრას ადგილი ჰქონდა ვახტანგ VI დროს, კერძოდ, ძმებს – ელიზბარ და კონსტანტინე დავითიშვილების სახლებს შორის. შემდეგი დიდი გაყრა XVIII საუკუნის შუა ხანებში ელიზბარ დავითიშვილის მრავალრიცხოვან ოჯახში მოხდა, სადაც გიორგისა და ივანეს განაყოფები დაწინაურდნენ – მათი ჩამომავლები ზაალი და ელიზბარი ორ „სახლს“ აყალიბებენ, რომელთა დაკავშირებითაც იოანე ბატონიშვილი ამბობს, რომ დავითიშვილები „აწ“ „არიან ორ სახლად“. იქვე იოანე ბატონიშვილი თავადი დავითიშვილების შესახებ აღნიშნავს: „...ხოლო სხვანი მდაბალნი ამათისა გვარისანი არიან ფცას მოსახლენი: შანშე შვილები და სხვანი კვალად ლეონის შვილები“ [87, 18-19]. „შანშე შვილები“ სწორედ შანშე მილახვრის განაყოფია, რომელთაც XVIII საუკუნის ბოლო პერიოდისათვის „დავითიშვილობა“ დაიბრუნეს – აღნიშნულია კიდეც, რომ ისინი „ამათისა (დავითიშვილთა, – დ.ნ.) გვარისანი“ არიან. ამითვე აიხსნება იოანე ბატონიშვილთან რამაზიშვილთა განშტოების მოუხსენებლობაც. „შანშე შვილები“ – ძირითადი შტოს ეს განაყოფი დავითიშვილთა „მდაბალნი ამათისა გვარისანი“ არიან და, ამდენად, უფრო დაბალი რანგის თავადებად მიიჩნევიან.

საკვლევია, თუ საიდან მოდიან „ლეონის შვილები“: ასეთი ლეონი (ალბათ, იგივე ლევანი – ასევეა იოანე-ივანეს შემთხვევაში) შეიძლება 1715 წ. იესეს სიგელში და 1798 წ. დავის განჩინების წიგნში დასახელებული რამაზიშვილთა განაყოფი – ლევანი (ჰყავს ძმა ხოხონა) იყოს. ორივე საბუთი აღნიშნავს მათ განაყოფობას – დავითიშვილებიდან გამოტანილი მამული გაიყვესო. 1798 წ. სიგელით, იგი საკმაოდ აქტიური პირი ჩანს, სწორედ ამ ლევან რამაზიშვილს „დაეხარჯა თეთრი“ ყაენის კარზე რაყამის გამოტანაში [16; 108, 180]. შესაძლებელია, ამ ლევან რამაზიშვილზე იყოს ლაპარაკი ავთანდილ ბეგთაბეგიშვილის

1796 წ. ანდერძის წიგნში, რომელშიც სხვადასხვა მამულებია ჩამოთვლილი, მათ შორის: „რამაზიანთაგან მოსყიდული გუგულის ქედზედ საირმე ხოდაბუნი“ და „მოხისს რამაზას შვილის ლევანისაგან მოსყიდული ქლიბაძის მამული“ [132, 932]. ჩვენი ვარაუდით, ამ ლეონ-ლევანისაგან უნდა მოდიოდნენ „ლეონის შვილები“. ამდენად, ცნობილი ხდება იოანე ბატონიშვილთან დასახელებული ოთხივე „სახლის“ წარმომავლობა: 1) „ზაალის შვილები“ — გიორგი დავითიშვილის ძის ზაალისაგან; 2) „ელიზბარის შვილები“ — იოანე (ივანე) დავითიშვილის ძის ელიზბარისაგან; 3) „შანშე შვილები“ — შანშე რამაზიშვილისაგან; 4) „ლეონის შვილები“ — რამაზიშვილთა განაყოფის ლეონ-ლევან რამაზიშვილისაგან.



დავითიშვილთა რეზიდენციის საკითხი:

დავითიშვილთა სახლის მთავარი შტო ნულში მოსახლეობს. ამ განშტოების მამამთავრის დავით დიმიტრის ძე თვალდამწვრიანის პირველ სოფლად სწორედ ნულია დასახელებული [116, 300; 5; 6]. დავითიშვილთა მეორე განაყოფი – „შანშე შვილები" კი ფცაში მფლობელობენ. 1799 წ. განჩინებაში მითითებულია, რომ რამაზიშვილი „როსტომც იქ (ფცაში, – დ.ნ.) არის", მოდავენი სოფ. ფცაში შევიკრიბოთ და აქ „გავიყოთო" [127, 96]. იოანე ბატონიშვილი სპეციალურად აცალკევებს და აღნიშნავს, რომ მთავარი შტო, რომელიც ორ „სახლადაა" წარმოდგენილი („ზაალის შვილები" და „ელიზბარის შვილები"), ცხოვრობს „ნულის ხეობასა შინა", ხოლო „მდაბალნი" დავითიშვილნი, კერძოდ, „შანშე შვილები" და „ლეონის შვილები" არიან ფცას მოსახლენი. ამდენად, ერთი უმთავრესი რეზიდენცია ფრონეს ხეობაში, დვანისხევის სოფ. ნულშია (უნდა აღვნიშნოთ, რომ დირბიც დვანისხევში მდებარეობს), ხოლო მეორე ასეთი ცენტრი იმავე ფრონეს ხეობაში – ფცისხევის სოფ. ფცაში. მესამე რეზიდენცია და დავითიშვილთა ასევე ერთ-ერთი ძირითადი სამფლობელო ფცისხევში სოფ. ფცას ზევით მდებარე სოფ. აბანოში მდებარეობს [125, 306, 308].

ვახუშტი ასახელებს „ნულის-კევს" და „ნულის ციხეს" [82, 375], ზემოთ განხილულ 1658-1676 წწ. ელიზბარ და კონსტანტინე დავითიშვილების საბუთში აღნიშნულია – „ნულის სასახლე", „კოშკი და საყდარი", 1634 წ. საბუთსა და იესეს 1715 წ. სიგელში – „ნული ციხით და სასახლითა" [107, 231; 16]. ნულს დავითიშვილებს ხერხეულიძეები ედავებიან და ერთი პერიოდი იგი მათთვისაცაა ნაწყალობევი [6], მაგრამ, საბოლოოდ, სიმონ მეფემ იგი დავითიშვილებს უბოძა [5]. ნულის ციხესიმაგრე მრავალფენიანია: პირველად იქ ოთხკუთხა ციხე ააგეს, ამავე პერიოდისაა მასთან ახლოს მდგარი პატარა ეკლესიაც; შემდგომ, მას ახალი გალავანი შემოუყოლეს, ხოლო უფრო მოგვიანებით ციხესიმაგრედ აქციეს, შუაში კი სასახლე ააშენეს. ამ პერიოდშივე, ციხე-დარბაზი შესამჩნევად ფართოვდება; აღმოსავლეთიდან მიშენდა კიდევ ერთი გალავანი, რომლის შიგნით სხვადასხვა ხასიათის არაერთი შენობა დგას. აშკარაა, რომ ნულში გვიან შუასაუკუნეებში ცხოვრება არ შეწყვეტილა [222, 111-115; 212, 12]. აღარ უნდა იყოს სადავო, რომ ეს აღმშენებლობა ბაგრატიონთა სამეფო სახლის

განშტოების — დავითიშვილთა სახელს უკავშირდება. საბოლოო სახით ჩამოყალიბებული ნულის ციხე-დარბაზი თავისი სასახლით ამ საგვარეულოს რეზიდენციად სავსებით გამოდგებოდა [360, 98-106]. სასახლესთან დაკავშრებით, რომელიც დავითიშვილებს უნდა ეკუთვნოდეს, აღნიშნულია: „Дворцовое сооружение небольших размеров, но то первоклассный архитектурный памятник позднефеодальной эпохи“ [360, 100]. იგი XVII საუკუნის II ნახევრით თარიღდება. XIX საუკუნის დასაწყისში, კერძოდ, 1804 წლისათვის ნულში 18 კომლი გლეხი ცხოვრობს, რომელნიც ბაგრატიონ-დავითიშვილებს ეკუთვნოდნენ [48].

ასეთივე რეზიდენციაა სოფ. ფცა — ფცის წყლის სოფლებია: ფცა, აბანო, მოხისი, სტკოცი, ოქონა და სხვ. სოფ. ფცის მამულების მნიშვნელოვანი ნაწილი ბაგრატიონ-დავითიშვილებს ეკუთვნოდათ, თუმცა იგი, სხვა მიწებთან შედარებით, მათ სამფლობელოდ შედარებით მოგვიანებით გახდა. იოანე ბატონიშვილის მიხედვით, აქ დავითიშვილთა განაყოფი — შანშე შვილები მოსახლეობენ; 1797 წლის ერთ-ერთი საბუთით, დირბის ციხეში ზურაბ ფალავანდიშვილის ყოფნის პერიოდში, მასთან მისულ შანშე მილახვარს მისთვის ფცაში შანშეს მიერ დაწყებული კოშკის მშენებლობაში მონაწილეობის მიღება შეუთავაზებია — როცა ზურაბ ფალავანდიშვილი ფცაში მივიდა, მას მხოლოდ კოშკის ფუნდამენტი დახვდა [28]. პ. ზაქარაია კოშკის მშენებლობას XVIII საუკუნის შუა ხანებით ათარიღებს. აღსანიშნავია, რომ 1885 წ. ბაგრატიონ-დავითიშვილთა სახლის გარდაცვლილი წინამძღოლი ალექსანდრე ოჯახით ფცაში ცხოვრობდა. ფცასთან ერთად კვლავ აღსანიშნავია სოფ. აბანოც — ფცა და აბანო ამირეჯიბებს ეკუთვნოდათ, ხოლო სადავითიშვილოს წარმოშობის შემდეგ ისინი ამ განშტოების მამულებად იქცა. ამითვეა გამოწვეული ამირეჯიბებსა და დავითიშვილებს შორის არაერთი დავის არსებობა.

დავითიშვილებს მფლობელობა ჰქონდათ ალის წყლის სოფლებშიც, თვითონ ალში და განსაკუთრებით, სოფ. სატივეში — აქ მდებარე სამების ეკლესია, ჩრდ. კედელში ჩატანებული წარწერით, XIX საუკუნის შუა ხანებშია აგებული თავად ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონ-დავითიშვილის მიერ [212, 23]. 1798 წელს ზაალ დავითიშვილი არზაში ხაზს უსვამს — „სატივე ჩემი სამკვიდრო მამული არის...“ [132,

481]. თუ თავს მოვუყრით დავითიშვილთა მფლობელობის შესახებ არსებულ ცნობებს, მათ ძირითადი მამულები ჰქონიათ: ნულში, აბანოს, სტკოცას, ბროწლეთს თიკრევს, რუისს, წაბლოვანას, თორმანეულს, ღვერთეთს, სატივეში, ფცაში, სუნისში, ძვილეთში, კლდის წყაროს... გარკვეული მამულები მოხისში, ბრეთში, ალში, დვანში და სხვ.

ბაგრატიონ-დავითიშვილთა საძვალის შესახებ:

დ. ბაქრაძესთან დაცული ცნობებით, მათ ძირითად საძვალედ რუისი უნდა მივიჩნიოთ. იგი აღნიშნავს, რომ ტაძარში მრავალი საფლავია, მაგრამ უკვე წარწერების გარეშე. დიდი ისტორიკოსი ასეთ დასკვნას იმის საფუძველზე აკეთებს, რომ ადრე დავითიშვილებს რუისში მფლობელობა ჰქონდათ, ხოლო დ. ბაქრაძის მოღვაწეობის პერიოდშიც, ამ ტაძრის სიახლოვეს, მათ კვლავ აქვთ მამულები [348, 1071-1072]. რუისში დავითიშვილთა მფლობელობა არაერთი ისტორიული დოკუმენტით დასტურდება; ისიც აღსანიშნავია, რომ ამ განშტოების წარმომადგენლები აქტიურად იბრძვიან ამ მამულების მოსაპოვებლად: 1772 წ. ერეკლე II ოქმში, იასაულ ავთანდილ ხერხეულიძისადმი, აღნიშნულია დავით დავითიშვილის რუისში მფლობელობა [79, 80], ამაზევეა ლაპარაკი 1780 წელს ზაალ დავითიშვილის მოღვაწეობის პერიოდში [78, 65], „ერთი ბეითალმანი მამული“ აქვს რუისს ელიზბარ დავითიშვილს [107, 486] და სხვ. ჩვენი აზრით, ისტორიულ წყაროებში შესაძლებელია ამ მოსაზრების დამადასტურებელი მინიშნებებიც ვიპოვოთ: ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით, დიმიტრი თვალდამწვრიანის შვილს დავითს სხვა მამულებთან ერთად მიუღია „რუისის გლეხები და საღდარი სასაფლავოთ“ [116, 300]; ასევე საინტერესოა 1715 წ. იესე მეფის სიგელი, სადაც კვლავ აღნიშნულია „რუის სასაფლაო“ [16]. ამდენად, რუისის ტაძარი ბაგრატიონ-დავითიშვილთა განშტოების მთავარი საძვალე უნდა ყოფილიყო.

აზნაური დავითიშვილნი?!

ბაგრატიონთა ზოგიერთი გვერდითი შტოს გათავადების შემდეგ, მათ წინაშე ისეთივე პრობლემები დაისვა, როგორიც სხვა სათავადოებში. ერთ-ერთი უპირველესი ფეოდალურ სახლებში გაყრის შედეგად წარმოშობილ განაყოფთა უფლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მოგვარება იყო. ისინი თავისი სიძლიერით სხვადასხვა სიბრტყეზე იდგნენ —

ზოგიერთი მათგანი სამეფო კართან დაახლოვებას ახერხებს და შესაბამისად, მაღალ „საკელოებსაც“ ისაკუთრებს; მეორე ნაწილი, არაერთი ხელშემშლელი მიზეზის გამო, ამას ვეღარ ახერხებს, რაც „სხვანი მდაბალნი ამათისა გვარისანის“ წარმოშობას იწვევს. ასეთი განაყოფები დროთა განმავლობაში კნინდება, ზოგიერთი კი ქრება კიდეც.

როგორც აღვნიშნეთ, ბაგრატიონთა გათავადებულ განშტოებებში ადგილი ჰქონდა განაყოფთა წარმოშობის პროცესს. ამ საკმაოდ მტკივნეული მოვლენის შედეგად, ზოგიერთი მათგანი კრახს განიცდის, ვერ ახერხებს შესაბამისი მდგომარეობის მოპოვებას. ერთი მხრივ, ამის მიზეზი „სახლიკაცებს“ შორის მწვავე ურთიერთდაპირისპირებაა, რასაც უკიდურესი ეკონომიკური გაჭირვება ეჯაჭვება. თავადი დავითიშვილები ხშირად უჩივიან თავიანთ მძიმე სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობას: ჩვენთვის კარგად ცნობილი ზაალის შვილების „სახლის“ მთავარი წარმომადგენელი — ზაალ დავითიშვილი არზით არაერთხელ მიმართავს ერეკლე II და ასეთი სიხშირის გამო თვითონ გრძნობს არსებულ უხერხულობას: „ეს ოცი წელიწადია მუდამ თავს გაწყენ“ ან „ჩემო ხელმწიფევ, მრავალჯერ მიწყენია... და კიდევ უნდა გაწყინო თავი“ [132, 167, 178]; ერთ-ერთ საბუთში იგი აღნიშნავს — „...ჩემი სიღარიბე და სიმწუხარე მრავალჯერ მომიხსენებია და თავი მიწყენია... არც ერთი შაურის შოვნა და არც ერთი ლიტრა პურის მოგვრა შემიძლია“, ხოლო თავისს „ღარიბობას“ უმამულობით ხსნის — „უმამულობითა მჭირს“ [129, 273]. ხშირია შემთხვევები, როცა ყოფილი ბაგრატიონები იძულებული არიან თავისი მამულის ნაწილი გაყიდონ, რათა მიღებული ფულით ვალი გადაიხადონ — ჩვენამდე ამ ვალების სიებმაც კი მოაღწია (ხშირად დავითიშვილებს მათზე დაბალი წარმომავლობის პირთა ვალიც კი აქვთ — შერმაზანასშვილები, უმეკაშვილები...). ასეთი ვითარება, განსაკუთრებით, XVIII ს. შუა ხანებსა და მეორე ნახევარშია თვალშისაცემი. არ გამოვრიცხავთ, რომ დავითიშვილთა განშტოების შემთხვევაში მდგომარეობის გართულებას ხელი შეუწყო 1750 წლის გარშემო, ელიზბარ დავითიშვილის მრავალრიცხოვან შვილებს შორის, გაყოფის მწვავე პროცესის განვითარებამ. საბოლოოდ, დავითიშვილთა მდგომარეობა უკიდურეს გართულებამდე მივიდა: „ახლა ასე დასაწყლებული ვართ, რომ სულს იქით ილაჯი აღარ გვაძს, ცარიელი თავები აგვიშვერია და დავდივართ... ერთის სახლი

არსადა გვაქვს, რომ თავი შევაფაროთ... გვიშველე რამე, მოწყალების კარი გაგვიღე...“ [129, 181]. ადვილი წარმოსადგენია, თუ დავითიშვილთა „სახლის“ უპირველესი წარმომადგენელნი ასეთ ვითარებას არიან, რა მდგომარეობა აქვთ უმცროს („მდაბალ“) განაყოფებს. ვფიქრობთ, ასეთი ისტორიული მასალა თვალნათლივ ახასიათებს გათავადებული ბაგრატიონების – დავითიშვილებისა და, საერთოდ, სხვა საგვარეულო განშტოებათა მდგომარეობას.

იოანე ბატონიშვილის სიტყვებით, ქართლში მცხოვრები აზნაური დავითიშვილები – „ამათნი შთამომავლობანი არიან თავადის დავითისშვილის მონათესავენი და მისვე დროსანი აზნაურად მიღებულნი მეფეთაგან, რომელიც დავსწერეთ დავითის შვილისთვის და არიან მეფეთაგანცა მიღებულ და ტრაკტატსა შინაცა მოხსენებულ“ [86, 5; 11]. 1783 წ. ტრაქტატს დართულ თავადთა და აზნაურთა ნუსხაში აღნიშნულია: „სახასო აზნაურნი ამას ქუშით დაიწერებიან“, მათ შორისაა „აზნაურნი დავითისშვილი“ [122, 485]. უნდა ითქვას, რომ იოანე ბატონიშვილის ეს მოსაზრება ბაგრატიონ-დავითიშვილთა და აზნაურ დავითიშვილების ნათესაობის შესახებ მხოლოდ სახელწოდებათა დამთხვევას ემყარება. სინამდვილეში არავითარი ისტორიული ცნობა, რომ ისინი ერთმანეთის „მონათესავენი“ არიან, ჩვენს ხელთ არსებულ დოკუმენტაციაში არ დასტურდება. ამ პერიოდის, კერძოდ, XVIII საუკუნის საბუთებში არაერთი დავითიშვილი გვხვდება, რომელნიც სწორედ აზნაური დავითიშვილნი უნდა იყვნენ: ასეთებად შეიძლება მივიჩნიოთ ბერი და ლევანიკა დავითიშვილი [132, 507, 582] ან მათი მთელი შტო – 1728 წ. ნასყიდობის წიგნში მოხსენიებული „ბატონი“ დავით და მისი შვილები: იოთამი, იასე და ქრისტეფორე [107, 348]; 1800 წ. არზით, „დავითიშვილს ჩელტია იასეს“ ჰყავს შვილი გლახა [132, 633], რომელიც სხვა საბუთებშიც იხსენიება [132, 356, 369]. მათი შტო ასეთ სახეს იღებს:



ამდენად, ისინი აზნაური დავითიშვილები არიან და მათ თავად ბაგრატიონ-დავითიშვილებთან არაფერი აქვთ საერთო.

§3. გოჩაშვილთა ისტორია

ერთიანი ქართული მონარქიის დაშლისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის უკიდურესად დამძიმების გამო, ტახტს-იქითა ბაგრატიონებისათვის ძველი მდგომარეობის შესანარჩუნებლად აუცილებელი პირობები კიდევ უფრო გართულდა, ხოლო ის რამდენიმე გზა-საშუალება, რომლითაც ამ პერიოდში შესაძლებელია სამეფო საგვარეულოს წევრის მიერ შესაბამისი უფლებების მოპოვება, მათთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ეს კიდევ უფრო აძლიერებს შინაპოლიტიკურ ბრძოლასა თუ ბაგრატიონთა შორის ურთიერთქიშპსა და დაპირისპირებას. ახალი თავადური გვარების, განაყოფებისა და საგვარეულო განშტოებათა წარმოშობის რთული პროცესის (274) ძირითადი მომენტები ვახუშტი ბატონიშვილმა სპეციალურად განიხილა, კერძოდ, თავისი თხზულების იმ ნაწილში, რომელსაც ჰქვია — „აწინდელთა მთავართა გუართათჳს“ (82, 33-34). აქვე შენიშნულია ტენდენცია, რომ საგვარეულო განშტოებათა სახელწოდებანი ძირითადად მათი რომელიმე სახელოვანი წინაპრისაგან მომდინარეობს — უმეტესად, ამ პიროვნების სახელიდან. იოანე ბატონიშვილიც ახალ გვართა წარმოშობასთან დაკავშირებით ხაზს უსვამს: „... გარნა გაუგვარდათ სახელისა გამო“ ან „...გაიგვარა მამისა თვისისა“ სახელის მიხედვით (86, 2; 87, 29, 42]. ასე იყო, მაგალითად, იგივე დავითიშვილებისა და რამაზიშვილების შემთხვევაში. ვახუშტი „აწინდელთა მთავართა გუართათჳს“-ში გოჩაშვილთა შესახებ მიუთითებს, რომ ისინი გვარით „მეფეთა ბაგრატიონთა არიან“; ასევე ინტერესს იწვევს ამ განშტოების წარმომადგენელთა ლტოლვა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ან ბრძოლა თვით სამეფო ტახტის მოსაპოვებლად, რაც თავის მხრივ, კარგად ახასიათებს შექმნილ ვითარებას, ბატონიშვილობის საკითხის სიმწვავესა და არსებულ პროცესს როგორც ბაგრატიონთა საგვარეულოში, ისე ზოგადად დინასტიური ბრძოლის ისტორიაში. უპირველესად ჩვენთვის ის არის საინტერესო, რომ ბაგრატიონთა ეს გვერდითი შტოც გათავადებულია, რასაც ვახუშტი ხაზს უსვამს: „აწ მთავარი,

არამედ გუარი მეფეთა ბაგრატიონთა არის“ (82,34). ნიკო დადიანის მიხედვით, „გოჩაშვილნი არიან გვარნი ბაგრატიონთანი და აწ თავადნი“ (98, 65).

გოჩაშვილთა განშტოების წარმოშობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მათ წარმომავლობაში უნდა ვეძებოთ: ვახუშტის ცნობით, „მაშინ მოკლეს პაპის ძმისწული მეფისა, სპასპეტი მეწინავისა გოჩა რამეთუ იყო ესე გოჩა ძე გიორგისა, გიორგი ძე კოსტანტინესი, კოსტანტინე ძე ალექსანდრესი, ალექსანდრე ძე კოსტანტინე მეფისა და ამ გოჩათი ეწოდათ ამათ ძეთა გოჩაშვილად“ (82, 417). ამ ცნობის მიხედვით, გენეალოგიურ შტოს ასეთი სახე აქვს:



გოჩა მეწინავის სპასპეტი და ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეა, თუმცა მისი წარმომავლობა კვლევას საჭიროებს: თავიდან ჩვენ ვთვლიდით, რომ იგი ქართლის მეფის გიორგი IX (1525-1527) შვილია (263); ქართულ ისტორიოგრაფიაშიც იგი გიორგი IX შთამომავლადაა მიჩნეული (291, 6; 309, 32, 52-53]. ვახუშტის ტექსტში, გიორგი IX გადადგომასა და დავით X ძის გამეფებასთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს გვიანდელი გადამწერის მიერ ქვედა არშიაზე (d-ხელნაწერი №794, საქ.ცენტრარქივი, 1813 წ.) გაკეთებული აღნიშვნა: „მწერალს შეცდომით მოსლვია, თუ არა ამ გიორგი მეფის (გიორგი IX, – დ.ნ.) ძე იყო გოჩა, რომლისა გამო ეწოდათ ძეთა მისთა დღეისამდე გოჩაშვილად“ (82, 401, სქ.2). ამდენად, არსებობდა აზრი,

რომ გოჩა ბატონიშვილი, მეწინავის სპასპეტი და გოჩაშვილთა მამამთავარი, გიორგი IX შვილია. აქვე აღსანიშნავია ვახუშტის მითითება, რომ ამ გიორგი მეფეს შვილი არ ჰყავდა: „ამანცა (გიორგი IX, — დ.ნ.) დაუტევა მეფობა და არა დაუტევა ძე და მისცა მეფობა ძმისწულსა თჳსსა ლუარსაბს“ (82, 401). გიორგი IX-ისაგან გოჩას ჩამომავლობას გამორიცხავს ვახუშტის ზემოაღნიშნული გენეალოგიური ცნობაც და გიორგი „მეფის“ ტიტულის გარეშე მოხსენიება — აქ ამ რანგით მხოლოდ კონსტანტინე II არის აღნიშნული. საკითხის გასარკვევად ძალზე მნიშვნელოვანია ვახტანგ VI მიერ შედგენილი ბაგრატიონთა „ნათესაობის წიგნის“ ცნობები, რომლის მიხედვითაც, გოჩაშვილთა საგვარეულო განშტოებას ასეთი სახე აქვს:



ვახტანგ VI (17; 333) მიხედვითაც, გოჩას წარმომავლობა, ისევე როგორც ვახუშტისთან, სათავეს კონსტანტინე II-ისაგან იღებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ვახტანგ მეფესთან გოჩას პაპად კონსტანტინე

II ძე – ალექსანდრე და არა კონსტანტინეა დასახელებული. რომელ ცნობას უნდა დავუჭიროთ მხარი:

ბერი ეგნატაშვილთან აღნიშნულია: „ბატონიშვილი გოჩა, რომელი იყო პაპის ძმისწულის შვილი მეფისა სუმონისა...“ (76, 379). იგი პირდაპირ უჭერს მხარს ვახტანგ VI ცნობას, რომლითაც გოჩა სპასპეტი კონსტანტინე II შვილის და დავით X ძმის – ალექსანდრეს შვილიშვილი და ამ ალექსანდრეს ძმის – გიორგის შვილი გამოდის. ბერი ეგნატაშვილს სწორედ ასეთ შემთხვევაში შეეძლო ეთქვა, რომ იგი არის სიმონ I დიდის პაპის (დავით X) ძმისწულის შვილი. „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტში ვკითხულობთ: „რამეთუ მუნ მოკლეს ბატონიშვილი გოჩა, რომელი იყო პაპის ძმისწული მეფისა სუმონისა“ (73, 535). ეს ცნობაც, უფრო ვახტანგ VI შეხედულებას ამაგრებს. ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით, გოჩა არის სიმონ მეფის „ბიძას შვილი“, რაც ასევე ვახტანგ VI უჭერს მხარს. სხვა მხრივ, ვახტანგ VI და ვახუშტის ცნობები ერთმანეთს ემთხვევა, განსხვავება არის ერთ საკითხში – ზედმეტია კონსტანტინე, ხოლო გიორგი არის არა კონსტანტინეს ძე (როგორც ვახუშტისთან), არამედ ალექსანდრეს შვილი.

ვახუშტი	ვახტანგ VI
კონსტანტინე II	კონსტანტინე II
|	|
ალექსანდრე	ალექსანდრე
|	|
კონსტანტინე ?	გიორგი
|	|
გიორგი	გოჩა
|	
გოჩა	

ვახუშტის მეფე კონსტანტინე II-ის შვილიშვილი-კონსტანტინე გოჩაშვილთა უშუალო წინაპართა გენიალოგიაში შეცდომით შემოჰყავს და ძმებს — კონსტანტინესა და გიორგის ერთმანეთის მამაშვილად თვლის. ვახუშტიზე დაყრდნობით, იგივეს იმეორებენ მ.ბროსე (395, 626) და კ.თუმანოვი (403, 128-129). ჩვენი ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, გოჩაშვილთა გენიალოგიასთან დაკავშირებით, მხარი ვახტანგ VI ცნობებს უნდა დავუჭიროთ. ასევე ნათელი ხდება, რომ გოჩა თავისი წარმომავლობით, მართალია, ჯერ კიდევ „ბატონის შვილად" იწოდება, მაგრამ იგი უკვე მაინც ბაგრატიონთა გვერდით, ანუ ტახტს-იქითა შტოს წევრია.

როგორც ირკვევა, გოჩა ბატონიშვილი კონსტანტინე II საკმაოდ მრავალრიცხოვანი შვილებიდან ალექსანდრეს ჩამომავალია; ბაგრატიონთა სამეფო სახლის საგვარეულო განშტოების წარმოშობასთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს ამ ალექსანდრე ბატონიშვილის მფლობელობის საკითხი და მისი უფლებრივი მდგომარეობა. ბერი ეგნატაშვილი აღნიშნავს: რამეთუ კონსტანტინემ შვა დავით მეფე (დავით X), გიორგი, მეფე ალექსანდრე, ბაგრატ და მელქისედეკ კათალიკოზი" (76, 433). ბუნებრივია, ყურადღებას იქცევს ალექსანდრეს სტატუსი, რომელიც აქ „მეფის" ტიტულით მოიხსენიება (გავიხსენოთ მისი ძმის — ბაგრატის გამუხრანბატონებამდე ასევე „მეფის" ტიტულით მფლობელობა); ჩვენი აზრით, ეს ცნობა ალექსანდრე ბატონიშვილის მნიშვნელოვან მფლობელობასა და უფლებრივ მდგომარეობაზე ლაპარაკობს. ასევე ცნობილია, რომ იგი სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტაში აქტიურად მონაწილეობს: ლუარსაბ მეფესთან ერთად გაარიგა კათალიკოსსა და წილკნელს შორის სამამულო დავა (58); მისივე ნებართვით, გიორგი-ყოფილმა გერასიმემ (გიორგი IX) 1540 წ. სიგელით სვეტიცხოველს სოფ. ზერტები შესწირა (56). მის ასეთ სტატუსს ხელი უნდა შეეწყო და მოემზადებინა ნიადაგი ბაგრატიონთა ისეთი შტოს შესაქმნელად, რომლისგანაც შემდეგ გოჩაშვილთა განშტოება ჩამოყალიბდა.

გოჩა სიმონ I დიდის ერთგული ბატონიშვილი და მისი ბანაკის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია. მისი ხშირი მოხსენიება, განსაკუთრებით საბრძოლო ეპიზოდებთან დაკავშირებით, არაა შემთხვევითი — გოჩა ბატონიშვილს ქართლის სამეფოში ერთ-ერთი უმაღლე-

სი სამხედრო თანამდებობა ეკავა, კერძოდ, იყო „სპასპეტი მეწინავისა“. XVI საუკუნიდან „მეწინავე დროშის“ სარდლები ძირითადად ბარათაშვილები იყვნენ; სასარდლოს ტერიტორია მოიცავდა: ალგეთს, ქციას, მაშავერს, სომხითს, ტაშირს, ლორეს, ყაიყულს და თრიალეთის ნაწილს; მართალია, სასარდლო ბევრად უფრო მეტ ტერიტორიას შეიცავდა, ვიდრე საბარათიანოს სათავადო, მაგრამ მაინც „მეწინავე დროშის“ ძირითად ტერიტორიას საბარათიანო წარმოადგენდა, ამიტომ „მეწინავე“ სასარდლო „სომხით-საბარათიანოს“ სახელით იყო ცნობილი. ხშირად ისტორიულ წყაროებში „საბარათიანო“ და „მეწინავე დროშა“ გაიგივებულია (341, 21).

საბარათიანოს ჩვენთვის ცნობილი პირველი სარდალი საჩინო ბარათაშვილია (341, 21-22). შემდეგ პერიოდში, „მეწინავე დროშის“ სარდლობა ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენელთა ხელში გადადის: მაგ., ლუარსაბ I ძმის – რამაზის შვილი ბაგრატი (228, 21), რომელიც დაუთ-ხანმა გადააყენა (სიმონის მიმართ გამოჩენილი ერთგულების გამო) და თავისი ბიძაშვილი ბაგრატ რამაზის ძე დანიშნა (341, 23). ვფიქრობთ, ეს ეპიზოდიც კარგად ახასიათებს იმ პერიოდში არსებულ ვითარებას, რომელიც გამწვავებული ბატონიშვილობის საკითხის გარშემო შეიქმნა. ბაგრატის შემდეგ „მეწინავის“ სარდალია სიმონ I დიდის „პაპის ძმისწულის შვილი“ და „ბიძას შვილი“ – გოჩა ბატონიშვილი. თავისთავად, „მეწინავის“ სპასპეტობა სახელმწიფოში დიდი პატივი იყო – სარდალს მეფე ირჩევდა, თუ მეფეს შაჰი ამტკიცებდა, მაშინ მასაც იგი ნიშნავდა, ხშირად ისინი ირანისაგან ჯამაგირსაც იღებდნენ: „ის ფაქტი, რომ სომხით-საბარათიანოს სარდალს უპირატესობა ჰქონდა მეფის კურთხევის ცერემონიალში (ხმლის შემორტყმა) და აგრეთვე მისი მოხსენიება ამირ-სპასალარად, უთუოდ იმას ნიშნავს, რომ ქართლის ოთხ სარდალს შორის უფროსი იყო სომხით-საბარათიანოს სარდალი; მეფის შემდეგ, რომელიც ითვლებოდა უმაღლეს მთავარსარდლად, სომხით-საბარათიანოს სარდალი უნდა მდგარიყო“ (341, 147). გოჩა ბატონიშვილის შემდეგ სარდლობას ბარათაშვილები იბრუნებენ, საბოლოოდ, იგი ბარათაშვილ-ყაფლანიშვილთა სამემკვიდრეო „საკელოდ“ იქცა.

ისტორიული წყაროებით კარგად ჩანს, რომ გოჩა ბატონიშვილს ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მართლაც თვალსაჩინო ადგილი ეკავა: ქართლში შემოსულ ლალა-ფაშას სიმონ მეფემ დიდი

წინააღმდეგობა გაუწია, დამპყრობლებს სხვა ქალაქებსა და ციხეებთან ერთად ხელში გორის ციხეც ჰქონდათ — „ხუთასი ურუმი გორის ციხიდამ გამოვიდნეს, გვერდის ძირის სოფლები დარბიეს და ნუზლი იშოვეს და საჭმლით ხურჯინები გაიტენეს და მრავალი ძროხა და ცხვარი იშოვეს და წინ წამოიყარეს რომ გორის ციხეში შეასხან"; მათ წინააღმდეგობა გოჩა ბატონიშვილმა გაუწია, 500 რჩეული კაცით დახვდა და ძლიერი ბრძოლა გაუმართა, რის შემდეგაც „გოჩა გამარჯვებული მეფე სვიმონსთან მივიდა" (116, 220). ფარსადან გორგიჯანიძესთან დაცულია მეორე საინტერესო ცნობაც: „მეფემ სვიმონ გარდასდვა თავი, ჯონთქრის გასაჯავრებლად და ყაენის საამებლად იქნია ჯმალი და მრავალი ურუმი დახოცა და თავს საქართველოს ლაშქარს უთავა თავისი ბიძას შვილი გოჩა და მისის შიშით ურუმი ვერ გამოვიდის..."(116, 221-222). ხაზგასასმელია გოჩას მოხსენიება „საქართველოს ლაშქრის" მეთაურად.

გოჩა ბატონიშვილის სახელთანაა დაკავშირებული ცნობილი ეპიზოდი სიმონ I ცხოვრებიდან: 1599 წ. გორის ალყის დროს სიმონ I „შთანთქა თრიაქი", „სუა ღუნო" და „მოინება მწუანილი"; ამ დროს იგი გორიჯვარს იდგა. „სპანი განვიდნენ გორს, რათა მოიღონ მწუანილი", ციხიდან მათ ოსმალნი შეეწინააღმდეგნენ, რის შედეგადაც მრავალნი ამოწყდნენ: „მაშინ მოკლეს პაპის ძმისწული მეფისა, სპასპეტი მეწინავისა გოჩა" (82, 417; 76, 379].

გოჩა ბატონიშვილის ჩამომავლებისაგან ბაგრატიონთა გვერდითი შტო ყალიბდება; ისინი გოჩადან მომდინარეობის გამო გოჩაშვილად იწოდნენ, „ჩამოქვეითდნენ", რასაც, ბუნებრივია, „ბაგრატიონობის" დაკარგვაც მოჰყვა. პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: რა ხდება ისეთი, რომ ეს გვერდითი შტოს ბაგრატიონები, სამეფო საგვარეულოს წევრები და გოჩა ბატონიშვილის ჩამომავალნი არა თუ ბატონიშვილობას, არამედ ბაგრატიონობასაც ველარ ინარჩუნებენ?! გოჩა სპასპეტის მემკვიდრეებს ცხარე ბრძოლა უნდა მოსწეოდათ უფლებრივი მდგომარეობის მოსაპოვებლად თუ მის შესანარჩუნებლად. ისტორიული წყაროებით კიდეც დასტურდება, რომ ისინი არსებულ მდგომარეობას არ ურიგდებიან, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მათი ბრძოლის ფორმები და ამბიციები დაშვებულ ზღვარს გადასცდა:

როსტომ მეფეს, უშვილობის გამო, არაერთი უსიამოვნება შეხვდა

(ვრცლად იხ. სავახტანგოში), ბატონიშვილობის საკითხი მუდმივად მწვავდება, სხვადასხვა დაჯგუფებები სარგებლობენ ამ ვითარებით და ტახტისათვის იბრძვიან. როსტომმა თავისი პოზიციების გასამაგრებლად სავახტანგოს პატრონის — ვახტანგ ბატონიშვილის შვილიშვილი ლუარსაბ თეიმურაზის ძე იშვილა და ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა; შაჰს უბრძანებია: როსტომის „უკან ქართლის მეფობა მაგისათვის მიგვიცემიაო", რასაც გოჩა ბატონიშვილისა შვილის — გიორგი გოჩაშვილის მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა: „ეს ამბავი გოჩაშვილს გიორგის ეწყინა, ამისთვის რომ ბატონობას თვითონ მოელოდა და ლვარსაბის მოყვანისთვის გავგულდა" (116, 250). გიორგი გოჩაშვილის პოზიციით ისარგებლეს როსტომის მოწინააღმდეგეებმა — „კახმან ბატონმან ცალკე და ერისთავმან ცალკე დაუწყეს გოჩაშვილს ლაპარაკი, რომ შენ გაგაბატონებთო" (116, 250). ასე თანდათანობით მზადდება როსტომის წინააღმდეგ მიმართული ცნობილი შეთქმულება, რომლის ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორი გიორგი გოჩაშვილიცაა. გიორგი გოჩაშვილის გამოსვლა ბატონიშვილობის საკითხის კლასიკური მაგალითია. მის გადაბირებაში განსაკუთრებული მონდომება კათალიკოს ევდემონ დიასამიძეს, რევაზ ბარათაშვილსა და სომხითის მელიქს გამოუჩენიათ, „ეს სამნი საქმობდნენ", — აღნიშნავს ფარსადან გორგიჯანიძე (116, 250). ვახუშტიც, შეთქმულთა შორის, ზაალ ერისთავის, იოთამ ამილახვარის, ნოდარ ციციშვილისა და კათალიკოს ევდემონ დიასამიძის გარდა გიორგი გოჩაშვილსაც ასახელებს (82, 441); სინამდვილეში შეთქმულები გიორგის — „გოჩაშვილს ატყუებდნენ" (116, 250) და ქართლის ტახტზე რეალურად თეიმურაზ კახთა მეფის აყვანა ჰქონდათ გადაწყვეტილი. სომხეთის მელიქის საშუალებით როსტომ მეფისათვის შეთქმულთა განზრახვა გამჟღავნდა, რის შემდეგაც სამეფო კარი სხვებთან ერთდ გოჩაშვილსაც გაუსწორდა: გიორგის თვალები დათხარეს და „მოკლეს გორს" (82, 441). თანდათან, თეიმურაზისაგან მოსალოდნელი იმედიც ქრება და ქართლის თავადები როსტომთან უკვე შერიგებას ცდილობენ, მათი თხოვნაა — „შეგვირიგე და გვიმსახურეო".

გიორგი ბატონიშვილს (გოჩაშვილს) სამეფო კარისაგან შესაბამისი უფლებები და პატივი ჰქონია ბოძებული; როსტომ მეფის 1642 წ. მამულის წყალობის წიგნით გერმანოზ ბარათაშვილისა და მისი შვილები-

სადმი, ცნობილი ხდება, რომ მათი „სამკვიდრო სოფელი ცოვრეთი გამოგართვით და ბატონიშვილს გიორგის უბოძეთ, ვითაცა ბატონიშვილს რომ უბოძეთ, მას უკან იმ სოფელის, ცოვრეთის, გამორთმევა აღარ იქნებოდა"; ბარათაშვილები ითხოვენ „ცოვრეთის სანაცულოსა წყალობას", რის საპასუხოდაც როსტომმა „ცოვრეთის სანუქფოთ და სანაცულოდ ჩვენი სახასო სოფელი სომხითს: დიდი წერაქუი" უბოძა (62; 131, 20-21]. 1643 წ. როსტომ მეფის წყალობის წიგნში კვლავ გერმანოზ ბარათაშვილისადმი აღნიშნულია: „... მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და თქუენის მამის და პაპის სამკუიდროს საბარათაშვილოში სოფელს დაგუეაჯენით, ჩუენცა ვისმინეთ აჯა", რის შემდეგაც ბარათაშვილებს სოფ. ცოვრეთი და გუდარეხის მონასტერი დაუმკვიდრდათ; დაზუსტებულიცაა, თუ რის შემდეგ მოხდა ეს ფაქტი: „და ვითარცა ნოდარზედი გავიმარჯვეთ და ცორვეთი გამოგართუით და ბატონისშუილსა გიორგის მივეცით თქუენი სამკუიდრო, მასუკან გიორგი ჩუენს სიკუდილსა და ღალატში გაერივა, იმას ყაზბი უყავით და თქუენის მამისა და პაპის სამკუიდრო ცორვეთი ისრევე თქუენ დაგიმკვიდრეთ" (63; 20,23).

ამდენად, გიორგი გოჩაშვილისათვის გადაცემული სოფ. ცოვრეთი 1643 წ. სიგელით როსტომ მეფეს ძველი მეპატრონეებისათვის — ბარათაშვილებისათვის დაუბრუნებია. ამ მხრივ, ძალზე საინტერესოა 1643 წლისავე წყალობის წიგნი, მიცემული როსტომის მიერ მოლარეთუხუცეს შიოშ ხმალაძისადმი — ირკვევა, რომ „მას ჟამსა, ოდეს მუხრანის ბატონისა და ბატონისშვილის გიორგის სოფელი ამას წინათ თქუენ წყალობად გიბოძეთ და, ვითაც იმათი სამკუიდრო იყო, მამხუტი გამოგართვით და იმათ უბოძეთ და, კიდევ ამას გარდაისად, ქალაქს თქუენი აშენებული სასახლე ჩუენთუის დავიჭირეთ და ბატონიშვილს ლუარსაბს მივეცით", რის სანაცვლოდაც იგი სხვა მამულებს ღებულობს (19; 121, 180]. ამდენად, 1643 წ. წინა პერიოდში მამხუტი როსტომ მეფეს შიოშ ხმალაძისადმი უბოძებია, მაგრამ შემდეგ გამოურთმევია და ძველი მფლობელებისათვის დაუბრუნებია. თითქოს აქ გაუგებრობას არაფერი არ უნდა იწვევდეს, მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიაში რატომღაც გიორგი ბატონიშვილი გაიგივებულია არა გიორგი გოჩაშვილთან, არამედ ვინმე გიორგი მუხრანის ბატონიშვილთან, ასეა ზ.ხიდურელთან (336, 69), ასევე თვლიან „პირთა

ანოტირებული ლექსიკონის“ ავტორებიც (მიიჩნევენ „მუხრანის ბატონიშვილად“) (102, 253); ზ. ალექსიძისა და შ. ბურჯანაძის მიერ შედგენილი – „მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკის“ მიხედვით, „მუხრანის ბატონისა“ და „გიორგი ბატონიშვილის“ სამკვიდრო სოფელი როსტომმა შიოშ ხმალაძეს უბოძა (95, 136].

ვფიქრობ, თავად 1643 წ. სიგელში დაცული ცნობები ამ საკითხს სადავოს არ უნდა ხდიდეს; აქ მართალია აღნიშნულია, რომ გიორგი ბატონიშვილს ბარათაშვილთა სამკვიდრო მამული – ცოვრეთი გადაეცა, მაგრამ როსტომის სიტყვებით, როცა „ნოდარზედი გავიმარჯვეთ“ და ეს გიორგი მეფის „სიკუდილსა და ღალატში გაერივა“, ბატონიშვილს იგი ჩამოერთვა და ბარათაშვილებს დაუბრუნდათ. აქ პირდაპირ მითითებულია როსტომ მეფის წინააღმდეგ მოწყობილი ცნობილი შეთქმულების შესახებ. მისი დამარცხების შემდეგ, მასში მონაწილე გიორგი გოჩაშვილი, რომელიც „ბატონობას თვითონ მოელოდა“, სხვა თავადებთან ერთად „გაღარიბებულ“ იქნა; მითითებული საბუთით, კონკრეტულად მას სოფ. ცოვრეთი ჩამოერთვა.

როგორც ირკვევა, გიორგის მუხრანის ბატონიშვილად მიჩნევა არ უნდა იყოს სწორი – ასეთი არც „მუხრანის ბატონი“ და არც „მუხრანის ბატონის ბატონიშვილი“ მუხრანბატონთა გენეალოგიაში ცნობილი არ არის. ამ პერიოდის მუხრანბატონი ვახტანგია, შემდეგში ვახტანგ V (შაჰნავაზი); გაუგებრობა იმას შეიძლება გამოეწვია, რომ 1634 წ. როსტომ მეფის შიოშ ხმალაძისადმი წყალობის წიგნში, სოფ. მახმუტთან დაკავშირებით აღნიშნულია – „მუხრანის ბატონი და ბატონიშვილი გიორგი“. მათ ერთ პიროვნებად მიჩნევას ვერ გავიზიარებთ: როგორც აღინიშნა, ამ დროს მუხრანბატონი ვახტანგია და არა გიორგი. ეს უკანასკნელი იგივე გიორგი გოჩაშვილია, რომელიც, როგორც გოჩა ბატონიშვილის ჩამომავალი, ჯერ კიდევ ბატონიშვილად იწოდება. რაც მთავარია, მათ თვითონ 1643 წ. წყალობის წიგნივე განასხვავებს, როცა სოფ. მახმუტის მიმართ აღნიშნულია – „იმათი სამკუიდრო იყო“ ან მახმუტი „იმათ უბოძეთ“.

როსტომის განხილულ საბუთში ერთი მნიშვნელოვანი ცნობაცაა დაცული: გიორგი აქ ბატონიშვილად იწოდება, მაშინ როცა ფარსადან გორგიჯანიძე და ვახუშტი მას მხოლოდ როგორც გოჩაშვილს მოიხ-

სენიებენ. როგორც ჩანს, გიორგის — გოჩა ბატონიშვილისა და სიმონ მეფის ბიძაშვილის ჩამომავალს „ბატონიშვილობა“ ჯერჯერობით შენარჩუნებული აქვს, მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი არაკუთვნილი სამეფო ტახტის დასაკუთრებას შეეცადა, შეთქმულებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო და პოლიტიკური კრახი განიცადა, ეს პატივიც დაკარგა — როგორც აღვნიშნეთ, ბოლოს მას თვალები დასთხარეს და გორს მოკლეს. უფრო მოგვიანო ისტორიული წყაროები მას მხოლოდ გოჩაშვილად მოიხსენიებენ. სწორედ გიორგი ხდება მიზეზი ბაგრატიონთა ამ შტოს დამცრობისა, ანუ „გაღარიბებისა“, რასაც მათი გათავადება — იოანე ბატონიშვილის ტერმინით, „გაგვარება“ მოჰყვა. ბაგრატიონთა სამეფო სახლის ამ განშტოებას გოჩა ბატონიშვილიდან ჩამომავლობის გამო გოჩაშვილნი ეწოდათ; როგორც ვახუშტი ამბობს, „ამ გოჩათი ეწოდათ ამათ ძეთა გოჩაშვილად“ (82, 417).

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, გიორგი გოჩაშვილს ჰყავს შვილი — იორამ გოჩაშვილი, რომელიც ვახტანგ V შაჰნავაზის (1658-1676) დროს მნიშვნელოვნად აქტიურდება: ირანი უკმაყოფილოა ვახტანგ V ცენტრალიზაციისაკენ მიმართული პოლიტიკით, ასეთი ქართლის მეფე მათ არ აწყობთ. ვახუშტისავე მიხედვით, „სთნდა ყეენსა, ვინაადთგან ვახტანგ განდიდნა ფრიად, ჰგონა ამათი დაკნინება მეფისა“... (82, 452). როგორც სხვა შემთხვევებში, ახლაც ირანი თავისი მიზნების მისაღწევად ადგილობრივ ფეოდალებს იყენებს: „...ოთარ არაგ̣ს ერისთავი და ძმანი მისნი ეზრახვიან გამეფებად ერეკლეს“ (ლაპარაკია ერეკლე I), ირანის შაჰმა „მოუწოდა ოთარს თ̣ს წინაშე“; ამ ვითარებით ისარგებლა გიორგი ბატონიშვილის ჩამომავალმა, „კუალად გოჩაშვილმან იორამ ნებითავე მათითა ინება, რათა იქმნეს მეფედ ყეენის გამო“ (82, 452-453). ამდენად, გოჩა სპასპეტის შვილიშვილიც თავისი ბატონიშვილობის საკითხის გადაწყვეტის ერთ-ერთ გზად სამეფო ტახტისათვის ბრძოლას მიიჩნევს და ყაენის მხარდაჭერის იმედიც აქვს. როგორც ჩანს, გოჩაშვილნი, როგორც გოჩა ბატონიშვილის ჩამომავალნი, თავისი პოზიციიდან გამომდინარე, როსტომსა და ვახტანგ V ქართლის სამეფო ტახტზე ლეგიტიმურ მეფეებად არ მიიჩნევენ — როსტომი, მათი არგუმენტაციით, უცხო ძალის საშუალებით გამეფებული და უზურპატორი დაუთ-ხანის უკანონო შვილია, ხოლო ვახტანგი, მართალია, მეფის მიერ ნაშვილები, მაგრამ მაინც გვერდით

შტოს — მუხრანელი ბაგრატიონების ჩამომავალია. ამას ისიც ემატება, რომ ტახტის ერთ-ერთი პრეტენდენტი — ერეკლე I რუსეთში იმყოფება, რითაც ისარგებლა და ასპარეზზე ბაგრატიონთა ჩამომავალი იორამ გოჩაშვილი გამოვიდა.

გოჩაშვილთა მისწრაფებას რეალური საფუძველი არ გააჩნდა, იორამის შემთხვევაშიც, იგი „შეიპყრა მეფემან (ვახტანგ V, — დ.ნ.) და აღმოჴადნა თუალნი და წარუხუნა მამულნი“ (82, 453). ამდენად, იორამ გოჩაშვილის ცდაც „იქმნეს მეფედ“ კრახით დამთავრდა, რასაც მათი მამულის „გაღარიბება“ მოჰყვა; მას შემდეგ, რაც გოჩა ბატონიშვილის ამ ჩამომავლებს „წარუხუნეს მამული“, ადგილი აქვს აღნიშნული განშტოების საბოლოო გათავადებას. ნიკო დადიანის სიტყვებითაც, ხომ ერთ დროს ბაგრატიონთა გვარის ჩამომავალი გოჩაშვილები „აწ თავადნი“ არიან — როგორც იკვეთება, მათ გათავადებაში გამორჩეული როლი გოჩა ბატონიშვილის მემკვიდრეთა სამეფო ტახტის წინააღმდეგ შეთქმულებებში მონაწილეობამ და მათში განცდილმა მარცხმა ითამაშა. იორამ გოჩაშვილის ისტორიას XVII საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებში ჰქონდა ადგილი.

ერეკლე I ქართლში მეფობის პერიოდის ერთ-ერთ სიგელში კვლავ იხსენიება „გოჩაშვილი“, ოღონდ სახელის გარეშე: 1688 წ. ერეკლე მეფემ სეხნია გურამიშვილს უწყალობა ექვსი კომლი კაცი იმ პირობით, რომ თუ გოჩაშვილი წარმოადგენდა ნასყიდობის წიგნს, მეფე ამ წყალობას შეუცვლიდა (64). სიგელში დასახელებული გოჩაშვილი იორამის შვილი უნდა იყოს — ვახტანგ VI მიერ შედგენილი გენეალოგიური ხის მიხედვით, ასეთია გორგასალ გოჩაშვილი, ხოლო ვახუშტი ბატონიშვილის გენეალოგიური ტაბულით გორგასალს ჰყავს ძმა — გიორგიც.

XVIII საუკუნის 20-30-იან წლებში ასევე იხსენიება გარსევან გოჩაშვილი, მაგრამ რა კავშირი აქვს მას გოჩაშვილთა განშტოებასთან დაზუსტება ჭირს: 1723 წ. სააკაძის წიგნში ნასყიდობასთან დაკავშირებით აღნიშნულნი „არიან ამისნი მოწამენი და შუა დამხდურნი: გოჩაშვილი გარსევან, მოლარეთ-უხუცესი დოქიძე პაპონა...“ (107, 363-364). 1736 წ. ნასყიდობის წიგნში გოგიბაშვილებისა კვლავ აღნიშნულია, რომ „არის ამისი მოწამე თავად ღმერთი მამა, ძე და სული წმინდა, კაცთაგან: გოჩაშვილი გარსევან“... (108, 420). საერთოდ,

განშტოებათა შესწავლისას, იდენტიფიკაციის დროს, განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რამდენადაც, როგორც სხვათა შემთხვევაში, აქაც არსებობენ ყმა გოჩაშვილნი, რომელთაც ჩვენთვის საინტერესო ბაგრატიონთა განშტოებებთან არაფერი აქვთ საერთო (126, 38-39; 78, 126,156,249].

ვახტანგ VI მიერ შედგენილი ბაგრატიონთა გენეალოგიით, იორამ გოჩაშვილს გორგასალის გარდა ჰყავს მეორე შვილი; ასევე გორგასალსაც ჰყოლია შთამომავალი, მაგრამ ორივე შემთხვევაში მათი სახელები აღნიშნული არ არის (17; 333). ვახუშტის მიხედვით, როგორც აღვნიშნეთ, იორამის მეორე ძე გიორგის სახელითაა მოხსენიებული.

გოჩაშვილებს ძირითადი მფლობელობა შიდა ქართლში ჰქონდათ, კერძოდ, არც ისე შორს იმ რეგიონიდან, სადაც მეორე განშტოების — დავითიშვილთა მამულებია. როგორც ირკვევა, გოჩაშვილებს სამფლობელოები ქვემო ქართლშიც ჰქონდათ, კერძოდ, გიორგი გოჩაშვილის ამ რეგიონში მფლობელობა უდავოა: სოფ. ცოვრეთი, სოფ. მახმუტი ქვემო ქართლშია; ისიც ცნობილია, რომ ცოვრეთი საგერმანოზიშვილოში შედიოდა. საყურადღებოა, რომ გოჩა ბატონიშვილი მეწინავის — სომხითსაბარათიანოს სარდალია, ამიტომ შესაძლებელია მისი გარკვეული მამულები ქვემო ქართლშიც ყოფილიყო.

ეპისკოპოს კირიონსს თავის ნაშრომში საინტერესო ინფორმაცია აქვს დაცული XIX საუკუნეში ჩატარებული ძველი ეკლესიების აღდგენისა თუ ახალთა მშენებლობის საკითხებზე, იგი სპეციალურად ჩერდება მთავარ ძეგლებზე — სამთავისი, ანანური, იკორთა, ურბნისი..., მათ შორის ასახელებს: „Кулбитская церковь царевича Гоча“ (367, 312). ცხინვალის რეგიონში, სოფ. კულბითში მართლაც მდებარეობს საინტერესო გუმბათოვანი ეკლესია, რომლის მშენებელი — „...при решении декора своего здания, исходил из форм древнегрузинской архитектуры пытаясь при этом добавить и несколько новых мотивов: ряд мелких арочек, орнаменты на карнизе и др., что и придало зданию отпечаток своего времени...“ (374, 140). თვით სოფ. კულბითიც ძველი ისტორიული სოფელია, შუაფეოდალურ ხანაში მისი გარკვეული ნაწილი მცხეთის საკათალიკოსო მამულების შემადგენლობაშია, დასახელებულია 1447

წ. ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მიწების სითარხნის გუჯარში (124, 191) და ა.შ. ყურადღებას იქცევს ეპისკოპოსს კირიონის ცნობა, რომ კულბითის ეკლესია გოჩა ბატონიშვილს ეკუთვნოდა[1].

ალ. ხახანაშვილისა და ზ.ჭიჭინაძის აზრით, XVI საუკუნის II ნახევარში ცხოვრობდა გოჩა ბატონიშვილი, რომელსაც ეკუთვნის პოემა „გოჩიანი" (334, 352; 388, 84-85; 332, 25-26). ნაწარმოების სიუჟეტი ხალხის ცხოვრებიდან ყოფილა აღებული და ენის სიმარტივის გამო საქართველოში პოპულარობით სარგებლობდა, განსაკუთრებით, იმერეთში. ასეთი პოემა — „გოჩიანი" მართლაც არსებობს, მაგრამ მას არაფერი აქვს საერთო ჩვენთვის ამჯერად საინტერესო გოჩა ბატონიშვილთან. ტრ. რუხაძემ, შემდეგ კი ლ. რუხაძემ უარყვეს ალ.ხახანაშვილისა და ზ.ჭიჭინაძის მოსაზრება და უჩვენეს, რომ „გოჩიანი" ანუ „გოჩასა და სოფლის გაბაასება" XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში შექმნილი ნაწარმოებია და იგი გოჩა დადიანს ეკუთვნის (294, 173-175).

ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ გოჩას ჩამომავალთ „დღემდე" (ე.ი. ვახუშტის პერიოდში — XVIII საუკუნის I ნახ.) ეწოდებათ გოჩაშვილნი. საინტერესოა, რა უფლებრივ სტატუსს ინარჩუნებენ ბატონიშვილობასა და ბაგრატიონობა-დაკარგული გოჩაშვილები: ბაგრატიონთა ამ შტოს დამცრობისა და შესაბამისი უფლებრივი მდგომარეობის დაკარგვის შემდეგ, ისინი თავადის რანგში იკავებენ კუთვნილ ადგილს ფეოდალურ იერარქიაში. გოჩაშვილებს რომ ქართლში სოლიდური მდგომარეობა აქვთ ნათლად ჩანს ვახუშტისავე თხზულებიდან, სადაც მუხრანბატონები და გოჩაშვილნი ერთმანეთის გვერდზე, ერთ სიბრტყეზე არიან განხილულნი: „ხოლო მუხრანის ბატონი და გოჩაშვილი, აწ მთავარნი, არამედ გუარი მეფეთა ბაგრატიონთა არიან" (82, 34). აღნიშვნა, რომ ვახუშტის დროს გოჩაშვილნი „აწ მთავარნი" არიან, ლაპარაკობს შემდეგზე: გოჩა ბატონიშვილის დაღუპვის შემდეგ, მისი ჩამომავალნი ამჟღავნებენ პრეტენზიას სამეფო ტახტზე, მონაწილეობენ შეთქმულებაში, მარცხდებიან ამ ბრძოლაში და ბატონიშვილობასაც კარგავენ; მას შემდეგ, რაც იორამს „წარუხუნეს

---

[1] კულბითის ეკლესიისა და იქ გოჩა ბატონიშვილის დაკრძალვის ადგილის შესახებ ზოგიერთი დამატებითი ცნობა იხ. ჩვენს ნაშრომში — დ. ნინიძე, „გუარი მეფეთა ბაგრატიონთა" — გოჩაშვილნი, თბ., 1998, გვ. 24-25.

მამული", ამას ბაგრატიონთა ამ შტოს საბოლოო „გაგვარება", ანუ გათავადება მოჰყვა. ასეთი გზით ჩამოყალიბებული სამეფო სახლის საგვარეულო განშტოების — გოჩაშვილთა წარმომადგენელნი ქართლის სამეფო კარიდან გარკვეულ ყმა-მამულს ღებულობენ, რომელიც მათ სამკვიდრო სამფლობელოდ ყალიბდება; გვიანი შუასაუკუნეების ამ პერიოდის მრავალ სათავადოთა გვერდით, ეს ტახტს-იქითა დაკნინებული ბაგრატიონები, უკვე თავადთა რანგში, თავიანთი ახალი გვარით, ქართლის ერთ-ერთ საფეოდალოს — გოჩაშვილთა სათავადოს ბატონ-პატრონები ხდებიან.

გოჩაშვილთა გენეალოგია



§4. «ნათესავობით ბაგრატოვანთა» და სამეფო საგვარეულოს ზოგიერთი განშტოების ისტორიიდან

ბაგრატიონთა სამეფო სახლის გვერდითი შტოებისა და საგვარეულო განშტოებათა წარმოქმნამ „ნათესავობით ბაგრატოვანთა“ („პარიზის ქრონიკის“ ტერმინია) და „მეფეთა ნათესავთა“ თუ „მეფეთა მონათესავედ წოდვილთა“ (ვახუშტის ტერმინით) წარმოშობა განაპირობა. XIV-XV სს-ში, როგორც აღინიშნა, ბაგრატიონთა სამეფო სახლის ზოგიერთი წარმომადგენელი „გარნა თუ განდგებოდიან და იწოდებიან მეფედ“, ანუ „პროვინციის მეფედ“, XVI საუკუნიდან, არსებობს რა ურყეევი ტრადიცია (ვახუშტი უწოდებს „ჩვეულებას“), რომ ქართველნი „არა ვისმე იპატრონებდიან“ თუ „არა იყო ნათესავი მეფეთა“ [82, 565; 104, 100], ბაგრატიონთა ამ გამრავლებულ შტოთა ერთი ნაწილი ველარც „კნინ მეფობას“ კადრულობს და, ბატონიშვილობის საკითხის განსაკუთრებით გამწვავების ვითარებში“, „ნატომი მეფეთა“ ხდება – ისინი უკვე „ვინმე მეფეთა მონათესავეთა“ (ნიკო დადიანის ტერმინით) და „მეფეთ თქმულთა“ (ფარსადან გორგიჯანიძის ტერმინით) რანგში გვევლინებიან.

XVI საუკუნიდან, დაშლილობის, ურთულესი პირობებისა და სამეფო გვარის გამრავლებულ შტოთა არსებობის ვითარებაში, მათ შესახებ, ვინც „ვერ იკადრეს“ მეფობა და „გაღარიბდნენ“, ისტორიულ წყაროებში მხოლოდ მინიშნებებსა თუ მოკლე ხასიათის ცნობებს ვპოულობთ. ამის პარალელურად, არსებობენ ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს ისეთი წარმომადგენელნიც, რომელთაც, სულხან-საბა ორბელიანის გამოთქმით, ველარ იკადრეს „მეფედ სახელის-დება“ [111, 232], მაგრამ მაინც გარკვეული როლი ითამაშეს (ზოგჯერ დადებითი, ზოგჯერაც უარყოფითი) სათანადო საინტერესო პროცესების განვითარების საქმეში. შევჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე:

ალექსანდრე ბატონიშვილი:

ს. კაკაბაძემ პირველმა მიაქცია ყურადღება 1570 წ. სიგელს, რომელიც ბოძებულია ალექსანდრე და სიმონ „პანკრატოვანთა“ მიერ სვეტიცხოვლისადმი (შესწირეს ანეშის საყდარი და დაბა, რაც ტაძრის ყოფილა და მოშლილა). ეს საინტერესო დოკუმენტი ასე იწყება: „ქ. ჩუენ... ალექსანდრემ და სჯმონ პანკრატოვანმა ნებითა ღთისათა ქართველთა

მეფემან და თანამეცხედრემან ჩუენმა დედოფალმან პატრონმან ნესტან-დარეჯან და ძეთა ჩუენთა პატრონმან გიორგი, პატრონმან ვახტანგი, ლუარსაბ და ალექსანდრე...“ [105, 246]. ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ ამ დროს ქართლის სამეფო სახლში არც ერთი პირი ალექსანდრეს სახელის მატარებელი არ ჩანს და ამიტომ ალექსანდრე იგივე სიმონ I დიდი უნდა იყოს: „ერთი და იმავე პირისთვის ორი სახელის მიკუთვნება საკმაოდ ხშირი მოვლენა იყო და არის ქართველ ხალხში“ [234, 118]. ჯ. ოდიშელი ამ მოსაზრებას არ იზიარებს [285, 94] — მართლაც, სიგელის დასაწყისში გარკვევით წერია: „ალექსანდრე და სუმონ“, რაც აშკარად მათი გაიგივების საშუალებას არ გვაძლევს.

სიგელში დასახელებული პირებიდან, სიმონი ქართლის მეფე სიმონ I დიდია, ნესტან-დარეჯანი მისი მეუღლე, გიორგი, ვახტანგი და ლუარსაბი კი მათი შვილები. იქვე დასახელებული ორი ალექსანდრედან მეორე სიმონ მეფის ვაჟია, მაგრამ ვინ უნდა იყოს სიმონ მეფის წინ დასახელებული პირველი ალექსანდრე?!

ხაზია გასასმელი იმ მომენტზე, რომ 1570 წლისათვის სიმონ I დიდი უკვე ტყვეობაშია, ამდენად, იგი სიგელს ვერ გამოსცემდა. გამოდის სიგელის გამომცემელი სხვა პიროვნებაა, რომელიც თავისი სახელის გვერდით დატყვევებულ სიმონ მეფესა და მის ოჯახსაც ასახელებს. ჯ. ოდიშელი ფიქრობს, რომ იგი არის კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574-1604), რომელიც ამ დროს ჯერ კიდევ კახი უფლისწულია; მისი აზრით, საბუთში აღნიშნული ყმა-მამული ალექსანდრეს საუფლისწულო დომენში შედიოდა და იგი სწორედ ამიტომ ფიგურირებს 1570 წ. დოკუმენტში სიმონის გვერდზე როგორც გამომცემელი [285, 94, 101]. ჩვენი აზრით, სიგელის შინაარსის მიხედვით, ძნელია ითქვას, რომ მასში ალექსანდრე კახეთის უფლისწული იგულისხმება: ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ მომენტზე, რომ ალექსანდრეს გვერდზე დასახელებულია არა კახეთის, არამედ ქართლის მეფის ოჯახი — თვითონ მეფე, მისი თანამეცხედრე და შვილები. თუ ალექსანდრე კახეთის ბაგრატიონთა სახლის შვილია, მაშინ ასეთი ვითარება ნაკლებადაა შესაძლებელი — ჩვეულებრივ, სიგელის გამომცემელი თავისი სახელის გვერდით სხვა ქვეყნის მეფის თანამეცხედრესა და შვილებს არ იხსენიებს. თვით ალექსანდრეც სხვა შემთხვევებში არასოდეს ასე არ იქცევა. ისიც უნდა გავიხსენოთ, თუ როგორ

კონფლიქტურ დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთის მიმართ ალექსანდრე და ნესტან-დარეჯანი როგორც მეფობის, ისე უფლისწულობის პერიოდში. გამოდის, რომ სიგელს ვერც სიმონ მეფე გამოსცემდა (იგი დატყვევებულია) და ვერც ალექსანდრე II. მაშ, ვინ შეიძლება იყოს აღნიშნული ალექსანდრე? ერთი კი ფაქტია, ის ისეთი პიროვნებაა, რომელიც კარგ დამოკიდებულებაშია სიმონ მეფესთან, მისი პატიმრობის პერიოდში, ქართლში გარკვეულ საკითხებს წარმართავს, აღიარებს დედოფლად ნესტან-დარეჯანს, სიგელში იხსენიებს მის შვილებს და, რაც მთავარია, სიგელს დაპატიმრებული მეფის სახელით გამოსცემს — იშვიათი შემთხვევაა: სიგელით სვეტიცხოველს მამულებს სწირავს და ამას თავისი სახელის გვერდით დატყვევებული მეფის სახელითაც აკეთებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ალექსანდრე სიმონ დიდის სამეფო ოჯახიდან უნდა იყოს. ცნობილია სიმონ მეფის ძმა ალექსანდრე [119, 387], რომლის შესახებ აღნიშნულია, რომ თავისი სატახტო ქალაქისაკენ მიმავალ ოსმალებს საპალნეებით თან მიჰქონდათ ომში დახოცილი ქართველ მეომართა თავები, მათ შორის მეფის ძმის — ალექსანდრეს თავიც [207, 149]. 1570 წ. სიგელში დასახელებული ალექსანდრე სწორედ სიმონ მეფის ძმა უნდა იყოს [262]. ვფიქრობთ, ალექსანდრე ბატონიშვილის პიროვნება საგანგებო ყურადღებას იმსახურებს, რადგან მიუხედავად დიდი დამსახურებისა და სიმონ I დიდის გვერდზე დგომისა, მისი ღვაწლი ნაკლებად აისახა ისტორიულ წყაროებში და თითქმის უცნობია ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

სიმონ I დატყვევებას (1569 წ.) ქვეყანაში დიდი არეულობა მოჰყვა: ამ დროს იწყებს გამგებლობას ვახტანგ მუხრანბატონი, ამავე პერიოდში (1562 წ.) ქართლის უმაღლეს ხელისუფლად დაუთ-ხანი ინიშნება; არც ერთი გამგებელი სიმონ მეფესა და მის ოჯახს არ ცნობს. ვახუშტი ვახტანგ მუხრანბატონთან დაკავშირებით საგანგებოდ აღნიშნავს: „არა რაჲს პატივსა უყოფდა დედოფალსა, ცოლსა სჯმონ მეფისასა“ [82, 409]. სწორედ, ალექსანდრე უნდა ყოფილიყო ის პიროვნება, რომელიც სიმონის ძმა — ვახტანგ ბატონიშვილთან ერთად იცავს სიმონ მეფის ხელისუფლებასა და დედოფალს — თანამეცხედრე ნესტან-დარეჯანს; იგი კანონიერი, მაგრამ დატყვევებული მეფის პოლიტიკას ატარებს, სიმონის სახელით მოქმედებს, მეფის ოჯახსაც პატრონობს, ამიტომ დიდი გავლენის მქონე პიროვნება და

ერთ-ერთი აქტიური პოლიტიკური ფიგურა ჩანს. ეს იმითაც მტკიცდება, რომ სიმონის ძმა ალექსანდრეს ისტორიული წყაროები ხან „ხანს", ზოგჯერ კი „ბეგს" უწოდებენ; ეს კი თავისთავად ლაპარაკობს ალექსანდრეს პიროვნების მნიშვნელობაზე.

მუსტაფა ნაიმასთან ვკითხულობთ: „თავრიზისა და ვანის ბეგლარ-ბეგმა გულადმა ვეზირმა ჯაფარ ფაშამ ღვთის შემწეობით სიმონი დაატყვევა. გარდა ამისა, საქართველოს ბეგს — ალექსანდრე ხანს — თავი მოჰკვეთა, მისი შვილები დაიჭირა და ზემოხსენებულ სიმონთან ერთად იმავე წლის რები ულ-ეეველის თვეში ხონთქრის სასახლეში წარგზავნა" [97, 83]. ეს არის 1599-1600 წლები. ამ ისტორიული თხზულების გამომცემელი ნ. შენგელია სავსებით მართებულად ალექსანდრეს სიმონ მეფის ძმასთან აიგივებს (97, 20, 246). მსგავსი ცნობა 1599-1600 წლებისათვის გვხვდება ქათიბ ჩელებთანაც: „ამაზე ადრე თებრიზის მცველმა, გაბედულმა მსახურმა, ვეზირმა ჯაფარ-ფაშამ საქართველოს დიდებულთაგან ალექსანდრე-ხანი დაიმორჩილა, მისი შვილები და სიმონი დაატყვევა" [128, 175]. მისი გამომცემელი გიული ალასანია ალექსანდრე ხანში ალექსანდრე II კახთა მეფეს ხედავს [128, 274]. ვფიქრობთ, ამ ისტორიულ წყაროში დასახელებული ალექსანდრე ხანისა და ალექსანდრე II კახთა მეფის გაიგივება არ უნდა იყოს მართებული, რამდენადაც კახთა მეფე 1605 წ. მოკლეს, ხოლო აქ დასახელებული ალექსანდრე ბატონიშვილი უკვე 1599/1600 წწ-ში ჩანს დაღუპული. ჩვენი აზრით, დავას აღარ უნდა იწვევდეს, რომ ამ ისტორიულ წყაროებში და კერძოდ, 1570 წ. სიგელშიც სიმონ დიდის ძმაზე — ალექსანდრეზეა ლაპარაკი. აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება თუ ვინ არის ამ ეპოქის ზოგიერთ დოკუმენტთა გამომცემელ-მამტკიცებელი ალექსანდრე — მაგ., 1567 წ. სიმონ მეფის სიგელში ქვათახევისადმი, რომელსაც ამტკიცებენ მეფე სიმონ, ნესტან-დარეჯანი და ვახტანგი, იქვე ვკითხულობთ: „ალექსანდრეს ვამტკიცებ" [119, 409] (თუ იგი არ არის სიმონ დიდის ვაჟი); იგივე ალექსანდრე უნდა ვიგულისხმოთ 1562 წ. ბასილ კათალიკოსისადმი ბოძებულ სიგელში [226, 38]. მეფის ტყვეობაში სიმონის სახელით ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ 1570 წელს სიგელის გამოცემა არ ჩანს ერთეულ შემთხვევად, ამას გარკვეულად ადასტურებს სიმონ I დიდის 1573 წ. წყალობის წიგნიც გედეონ ელიოზისძისადმი, სადაც იგი მეორე ძმის

— ვახტანგ ბატონიშვილის გვერდით არის მოხსენიებული [122, 194].

როგორც ვხედავთ, ალექსანდრე ბატონიშვილი მნიშვნელოვანი ფიგურა და სამეფო საქმეთა ერთ-ერთი გამგებელია; სიმონ დიდის არყოფნაში სწორედ იგი, დატყვევებული მეფის ოჯახის სხვა წევრებთან ერთად, წარმართავს სახელმწიფო პოლიტიკას და სიმონ I ერთგულთა დასში შედის. ამდენად, მისი მოხსენიება ისტორიულ დოკუმენტებში „ხანად" თუ „ბეგად" შემთხვევითი არ არის.

ბახუტა ჰუსეინ ბეგისშვილი ბაგრატიონი:

დავითიშვილთა სახლის ისტორიაში, ელიზბარ დავითიშვილზე მსჯელობისას, ამოტივტივდა როსტომ მეფის მოწინააღმდეგის — ბახუტა ჰუსეინ ბეგისშვილის პიროვნება, რომელიც „ბაგრატოანი იყო და ბატონობაც უნდოდა" [116, 248]; 1637 წ. აჯანყების წარუმატებლობის შემდეგ „ის გარდიხვეწა და კახეთს მივიდა". 1648 წ. როსტომის მიერ თეიმურაზ მეფეზე გარდამწყვეტი გამარჯვებისა და დათუნა ბატონიშვილის მოკვლის შემდეგ, მეფე როსტომმა „ბატონიშვილის დათუნასი და მასთან დახოცილის თავად აზნაურთ თავები და ბახუტა სუფრაჩი და ბატონის თეიმურაზის დროშა ელიზბარ ბოქაულთ უხუცის ,ელით ყაენს გაუგზავნა" [116, 259]. „პარიზის ქრონიკაში" ეს მომენტი ასეა გადმოცემული: „ყაენს ბატონიშვილის დავითის და სხვა კახთ დარბაისელთ თავი და ბატონის თეიმურაზის დროშა ბახუტა, ჰუსეინ-ბეგის შვილის, ელისბარ-ბეგ დავითის შვილის ,ელით გაუგზავნა" [135, 100]. თუ შევაჯერებთ ფარსადან გორგიჯანიძისა და „პარიზის ქრონიკის" ცნობებს, ბახუტა სუფრაჯი იგივე ბახუტა ჰუსეინ ბეგისშვილი ბაგრატიონი გამოდის. ამ შეჯერებას სხვა მნიშვნელობაც აქვს: „პარიზის ქრონიკის" კონტექსტში გაუგებარია ბახუტას როლი — იგი დაპატიმრებულია თუ ელიზბარ დავითიშვილთან ერთად სწორედ მისი ხელით გადასცა როსტომმა ყაენს თეიმურაზის დროშა, კახთ დარბაისელთა და დათუნა ბატონიშვილის თავი. აქედან გამომდინარეა, რომ რუსულ თარგმანში ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების ეს ადგილი, ჩვენი აზრით, არასწორად ითარგმნა: ყოველივე ზემოაღნიშნული თითქოს როსტომ მეფემ გააგზავნა — „отправил через стольника Бахуту и элизбара бокаултухуцеса к шаху..." [154, 113].

ვფიქრობთ, ფარსადან გორგიჯანიძესთან რეალურად დაცული ინფორ-

მაცია ყველაფერს თავის ადგილზე ალაგებს: მასთან აშკარად ჩანს, რომ ბახუტა სუფრაჯი — იგივე ბახუტა ჰუსეინ ბეგისშვილი როსტომ მეფის არა დავალების შემსრულებელი, არამედ ირანში ელიზბარ ბოქაულთუხუცესის („პარიზის ქრონიკა“ ხაზს უსვამს, რომ იგი იგივე ელიზბარ დავითიშვილია) ხელით გაგზავნილი ერთ-ერთი ტყვეა. ასეა ეს ადგილი როგორც ს. კაკაბაძესთან, ისე ზ. ჭიჭინაძისეულ გამოცემაში: „... მეფემ როსტომ ბატონის-შვილის დათუნასი და მას-თან დახოცილის თავადაზნაურთ თავები და ბახუტა სუფრაჩი და ბატონის თეიმურაზის დროშა ელიზბარ ბოქაულ-უხუცის ხელით ყაენს გაუგზავნა“ [109, 317].

როგორც ჩანს, ბახუტას ძველ დანაშაულს უკვალოდ არ ჩაუვლია. დავითიშვილების სახლის ისტორიაში როსტომ მეფის წინააღმდეგ მოწყობილ 1637 წ. ავჯანყებაზე ვრცლად ვისაუბრეთ, სადაც აღინიშნა მისი ერთ-ერთი აქტიური მონაწილის ქაიხოსრო ბარათაშვილის ბედის შესახებ — „...ღამით კოშკიდამენ გარდმოაგდეს და თქვეს — დამთვრალა და თვითან გარდმოვარდნილაო“; სწორედ მისი სიძე იყო ბახუტა ჰუსეინ ბეგისშვილი, რომელსაც თავისი ბაგრატიონობის — „ნათესავობით ბაგრატოვანთა“ ჩამომავლობის გამო „ბატონობაც უნდოდა“. 1637 წ. ავჯანყების დამარცხების შემდეგ იგი იძულებული გახდა კახეთისათვის შეეფარებინა თავი. 1648 წელს როსტომის თეიმურაზზე გამარჯვების შემდეგ, მეფეს კახეთის თავად-აზნაურებთან ერთად ბახუტა სუფრაჯიც შეუპყრია და სხვა „საჩუქრებთან“ ერთად ირანში გაუგზავნია. ასეთი პოლიტიკური ვითარება და ჩვენთვის ცნობილი ძალთა განლაგება გვიჩვენებს, რომ ბახუტა ჰუსეინ ბეგისშვილი, თავისი ბაგრატიონობიდან გამომდინარე, როსტომის ტახტის აშკარა მოწინააღმდეგეა. ასევე ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ მომენტს, რომ თეიმურაზ მეფესთან დაპირისპირების პერიპეტიებში როსტომის გვერდით არა ბახუტა სუფრაჯი, არამედ ბიძინა სუფრაჯი იბრძვის; სხვაგვარად არც იყო შესაძლებელი, რადგან ბახუტა როსტომ მეფის დაპირისპირებულთა ბანაკშია. საჭიროა მესამე მომენტსაც მივაქციოთ ყურადღება: როგორც აღვნიშნეთ, ირანში როსტომის დავალებით შესრულებული მისიის შემდეგ, ელიზბარ დავითიშვილს განჯაში სამი სოფელი გადაეცა; თუ როსტომის დავალება ელიზბართან ერთად ბახუტამაც შეასრულა და მას ისეთივე წვლილი მიუძღვის, როგორც პირველს, მაშინ ირანის შაჰისაგან ბახუტაც რატომ არ დაჯილდოვდა?!

აქედან გამომდინარე, როსტომის მოწინააღმდეგე — ბახუტა ჰუსეინ ბეგისშვილი და მეფის ერთ-ერთი აქტიური და აშკარა მხარდამჭერი — ელიზბარ დავითიშვილი ვერ იქნებოდნენ ერთნაირი დავალების შემსრულებლები; ეს დაპირისპირებული პირები როსტომის მიერ ვერ გაიგზავნებოდნენ ერთი და იმავე მისიით შაჰთან ზემოაღნიშნული „საჩუქრების" გადასაცემად. იმ დროს არსებული ვითარება გამორიცხავს მათ ერთ ბანაკში ურთიერთთანამშრომლობას და ლოგიკურს ხდის ბახუტას ტყვეთა შორის ყოფნას. ამდენად, სწორია ფარსადან გორგიჯანიძისეული აღნიშვნა, რომ „საჩუქრებთან" ერთად როსტომმა ირანში მის წინააღმდეგ აჯანყებული სუფრაჯი — ბახუტა „ბაგრატიონი"-ც გაგზავნა, რომელსაც, თურმე, თავისი გვარიშვილობის გამო, „ბატონობაც უნდოდა".

კიდევ ერთი განშტოება — ბაბადიშები?!

ბუნებრივი მოვლენაა, რომ საგვარეულო განშტოებები თავისი სიძლიერით არ იდგნენ ერთ სიბრტყეზე; მსხვილი განშტოებები სამეფო კარს იყვნენ დაახლოებულნი და, ამდენად, მაღალი „საკელოები" ეკავათ, წვრილნი კი დროთა განმავლობაში კიდევ უფრო კნინდებოდნენ — ისინი მეორე და მესამე „ხარისხის" თავადებად ყალიბდებოდნენ. იოანე ბატონიშვილი თავის „შემოკლებით აღწერაში საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა" ბაბადიშების — თავად ბაბადიმიშვილების შესახებ აღნიშნავს: „ამათი წინაპარი არის ბაგრატიონთა შთამამავლობისა იმამ ყულისაგან და არიან თავადნი მესამისა ხარისხისანი" [11; 87, 43]; იოანე ბატონიშვილი მუხრანბატონთა დაკავშირებითაც ხომ აღნიშნავდა, რომ მათ გვარში „პირველნი თავადნი"-ს გარდა არიან „სხვანი მეორისა და მესამე ხარისხის" თავადნი [86, 3].

1783 წ. ტრაქტატს დართულ ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურთა ნუსხაში კახეთის თავადთა შორის დასახელებულია — „თავადი ბაბადიშისშვილი", მეორე ნუსხაში — „ბაბადისშვილი" [122, 484]. არავითარი მათი კავშირი ბაგრატიონებთან აქ აღნიშნული არ არის.

იოანე ბატონიშვილის მიხედვით, დავით II, იმავე იმამ-ყული-ხანს (1703-1722) ჰყოლია კიდევ ერთი ძე — ბაბადიში, რომლისგანაც, მისი აზრით, ჩამოყალიბდა სამეფო სახლის „გაგვარებული" კიდევ ერთი განშტოება — თავადი ბაბადიშები:



იმამ-ყული-ხანის ამ ქალის შესახებ აღნიშნულია: „Царевна Кетеван-Ханум, за персидским вязирем Киасом“ [156, 16]. რაც შეეხება იოანე ბატონიშვილის ცნობას ბაბადიშების ბაგრატიონთაგან ჩამომავლობის შესახებ, მასთან თანხვდომაშია ამ თავადური სახლის – ბაბადიშების გერბიც, რომელიც ახლოა ბაგრატიონთა სამეფო გერბთან – მასზე გამოსახულია: 1) კვერთხი და სფერო; 2) დავით წინასწარმეტყველის ქნარი და შურდული; 3) ზარბაზანი და 4) კრავი – პირველი ორი გამოსახულება ბაგრატიონთა გერბიდანაა.

როგორც ცნობილია, XIX ს. I ნახ-ში ქართული თავად-აზნაურობის წარმომადგენლები „სათავადაზნაურო საკრებულოში“ (Тифлисское Дворянское Депутатское Собрание) სხვადასხვა დოკუმენტებს წარადგენდნენ იმპერიის წინაშე მათი გვარის წარჩინებული წარმომავლობის დასამტკიცებლად. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია „Дело Тифлисского Дворянского Депутатского Собрания о княжеском происхождении Захария Григориевича Бабадышева“ [46]; საქმის განხილვა 1839 წ. 30 ოქტომბერს დაწყებულა. ამ დოკუმენტით ირკვევა, რომ თხოვნა ზაქარია ბაბადიშს 1820 წ. 11 დეკემბერს შეუტანია; იგი თელავის მაზრის თავადია, რომელსაც გარკვეული საბუთები წარუდგენია მისი თავადური წარმომავლობის დასამტკიცებლად, მათ შორის გვარის გენეალოგიაც – „поколенная роспись“, აქ ხაზგასმულია, რომ მათი

გვარი მოხსენიებულია 1783 წ. ტრაქტატზე დართულ თავად-აზნაურთა ნუსხაში. საქმეში დაცულია ინფორმაცია, რომელიც გვიხსნის ამ გვარის შესახებ არსებული ცნობების სიმცირის მიზეზებს: მათთვის საჭირო საბუთები ერეკლე II ხანაში, სხვა საგვარეულო საკუთრებასთან ერთად, ხანძარს გაუნადგურებია.

საკითხის განხილვის შემდეგ, გაცემულ იქნა დამადასტურებელი ცნობა – „Свидетельство", სადაც აღნიშნულია – „...они действительно происходят из той княжеской Бабадышиевой фамилии, которая показана в Трактате Российским Императорским Двором с покойным Грузинским царем Ираклием 1789-го года июня 24-го дня утвержденном..." მართალია, მათ თავადობა დაუმტკიცეს, მაგრამ ამ ცნობებში არსად არ არის ლაპარაკი ბაბადიშების ბაგრატიონებიდან მომდინარეობის შესახებ; აქვე დაცულია ბაბადიშების მიერ წარდგენილი გენეალოგია – „Поколенная роспись Бабадышевых", რომელსაც ასეთი სახე აქვს:



საინტერესოა 1850 წ. შედგენილი „Списокъ князьямъ и дворянамъ Грузии“ (На подлинномъ собственного его Императорскаго величества рукою написано: „Утверждаю“. С-Петербургъ, 6-го декабря 1850г.), რომელშიც ისინი მოხსენიებულნი არიან როგორც თავადნი — „Бабадышевы“. ამ შემთხვევაშიც მათი კავშირი ბაგრატიონთა საგვარეულოსთან აღნიშნული არ არის[1]. ამდენად, ამ მოსაზრების დასამტკიცებლად დამატებითი არგუმენტებია საჭირო.

„ნათესაობით ბაგრატოვანი“ — კახბრის შვილი გორჯასპი:

„პარიზის ქრონიკაში“ აღნიშნულია: „კახელის ჯანიშინობა კახბერს გორჯასპის უბოძეს და რუსეთით ჟელმწიფის ელჩი, რომ ბატონიშვილის დედას თან მოჰყოლოდენ კახეთის მიცემის შუამავლობისათვის, ისინი გაისტუმრეს და რუსეთს ჟელმწიფეს მისწერეს, ამხელათ კახეთის ჯანიშინობა ბატონისშვილის ერეკლეს ყმასა და ნათესავობით ბაგრატოვანს კახბერს გორჯასპის მივეცითო და ბატონისშვილი ერეკლე დიდის პატივით კარზედ შევინახეთო, რომ ჩვენი ზნე და საქციელი ისწავლოსო და მას უკან კახეთის ბატონობას უბოძებთო“ [135, 119]. როგორც ირკვევა, ერეკლეს ბატონიშვილობის ხანაში კიდევ ერთ „ნათესავობით ბაგრატოვანს“ მოუპოვებია გარკვეული ძალაუფლება — „ჯანიშინობა“, რასაც ფარსადან გორგიჯანიძეც ადასტურებს — თხზულებაში იგი მოხსენიებულია როგორც „კახბრის შვილი გორჯასპი“ [116, 277]. მისი სიტყვებით, „კახთ თავიან წესი გაახლეს, ზოგთ გორჯასპი უნდოდა. და ზოგთ არ უნდოდა აიშალნეს...“ [116, 277]. მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: „ასე ადვილათ გორჯასპისაგან კახეთის დაჭირვა და ზავთის ქნა სარდარსა და განჯის ხანსა და ნაპირის ბატონებს ეჯავრა“; კვლავ დაისვა მფლობელობასთან დაკავშირებული ყველაზე მწვავე საკითხი — მათ უთქვიათ: „ჩვენ რაღა პატივი დაგვედებისო?“ [135, 119]. გორჯასპის „თოფი

[1] ამ ბოლო პერიოდში საკმაოდ აქტუალურად დაისვა ზოგიერთი გვარის ბაგრატიონებთან დაკავშირებისა და სამეფო საგვარეულოს გვერდით შტოდ გამოცხადების საკითხი. იგი გარკვეულ ტენდენციადაც კი ყალიბდება, რაც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. წიგნში „ბაგრატოვანნი“, თბ., 2000 (ავტორთა ჯგუფი: ს. ბიჭიკაშვილი, დ. ნინიძე, ა. მხეიძე), ავტორთა ერთმა ნაწილმა ბაბადიშები უდავოდ ბაგრატიონებად მიიჩნია და გენეალოგიური შტოც წარმოადგინა. საკითხი საკვლევია, ამიტომ, როგორც ნაშრომის ერთ-ერთი ავტორი, სხვა დამადასტურებელი ისტორიული ცნობების გარეშე, ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ (იხ. დ. ნინიძე, „ნათესავობით ბაგრატოვანთა“ შესახებ (იბეჭდება).

ჰკრეს", თუმცა ვერ მოკლეს, მაგრამ იგი მაინც არ იბატონეს და კახეთი განჯის ხანს მისცეს.

გორჯასპის პოლიტიკური კარიერა ასე წარიმართა: „... კახეთი აბაზ-ყული-ხანს მისცეს და გორჯასპის ხალათი და ქისიყის მოურაობა უბოძეს. მაგრა განჯის ხანმან არ მისცა და სხვარიგათ გაასინჯვინა" [135, 120]. გორჯასპი შემდგომ პოლიტიკურ პერიპეტიებში იშვიათად გვხვდება – მაგ., ფარსადან გორგიჯანიძესთან ვკითხულობთ: „... ერეკლეს დედას მეჰმანდარბაში უსუფბეგ და კახაბერი გორჯასპი შირვანს წინ მიაგებეს და დიდის პატივით ისპაჰანს მობრძანდა ქ[ა]ს ტნიე (1677 წ.) და ოთხს წელიწადს ამას უკან მარიამ დედოფალი მიიცვალა..." [116, 278]. როგორც ვხედავთ, „ნათესავობით ბაგრატოვანიც" – კახაბრის შვილი – გორჯასპი აქტიურ როლს ასრულებს აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში[1].

ვახტანგ ჭუჭუნაშვილი, რომელსაც „ბაგრატიონად იტყოდნენ":

„მეფეთა მონათესავედ წოდვილთა" (ვახუშტის ტერმინით) შორის საინტერესოა ვახტანგ ჭუჭუნაშვილის ისტორია, რომელსაც იმერეთის სამეფო კარზე ჰქონდა ადგილი. პირველ რიგში, გვარის ფორმის შესახებ: ბერი ეგნატაშვილთან და „პარიზის ქრონიკაში" იგი იხსენიება როგორც ჭუჭუნაშვილი-ჭუჭუნასშვილი, ვახუშტისთან – ჭუჭუნიას შვილი, ფარსადან გორგიჯანიძესთან – ჭუჭუნეის შვილი. იგი ბაგრატიონთა გარე შტოს ჩამომავალი და ტახტს-იქითა ნათესავია, თუმცა სამეფო კარზე გარკვეული გავლენითა და მდგომარეობით სარგებლობს. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მწვავე დინასტიური ბრძოლის ვითარებაში იმერეთის პატივმოყვარე დარეჯან დედოფალმა სწორედ ვახტანგ ჭუჭუნასშვილი აირჩია თავის გვერდზე მდგომ პიროვნებად.

1660 წ. გარდაიცვალა იმერეთის მეფე ალექსანდე III (1639-1660) და სამეფო ტახტზე მისი ძე ბაგრატ V (1660-1681 წწ. ინტერვალებით) ავიდა. ბაგრატ მეფის დედინაცვალი დარეჯანი „თვითან მეფეც იყო და დედოფალცა. ბაგრატს არაფერი ეკითხებოდა", – აღნიშნავს ფარსადან გორგიჯანიძე [116, 270]. დედოფალმა თავისი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად ბაგრატი „შესართავად მოინდომა", უარის შემდეგ „დასწვა თუალები" და შეირთო ვახტანგ

[1] ვრცლად იხ. დ. ნინიძე, „ნათესავობით ბაგრატოვანთა" შესახებ.

ჭუჭუნაშვილი, რომელსაც „პარიზის ქრონიკის“ ტერმინოლოგიით, „ბაგრატიონად იტყოდენ“ [135, 111]; ვახუშტი მას „მეფეთა მონათესავედ წოდვილს“ უწოდებს; ფეშანგის სიტყვებით, დარეჯან დედოფალმა ვახტანგი „ამეფა ბაგრატოანთა გუარისა“ [118, 90], ხოლო ნიკო დადიანის მიხედვით, დედოფალმა „მოიყვანა ვინმე მეფეთა მონათესავე, რომელსა ჭუჭუნიას-შვილობით უხმობდენ“ [98, 162]. ამ ცნობებით კარგად ჩანს, რომ ვახტანგის წარმომავლობა და მისი ბაგრატიონობა თითქმის მივიწყებულია და მას ჭუჭუნაშვილად იცნობენ.

შეიძლება თუ არა მისი წარმომავლობის დადგენა: ბერი ეგნატაშვილის ცნობით, დარეჯან დედოფალმა „მოიყვანა შორეული ტომი ბატონის ალექსანდრესი ვახტანგ“ [76, 437], ე.ი. ჭუჭუნაშვილი იმერთა მეფის ალექსანდრე III შორეული ნათესავი და ტახტს-იქითა კნინი ბაგრატიონი ყოფილა, რომელიც უკვე სამეფო საგვარეულოს ჩამომავლად ნაკლებად მიიჩნევა. ბუნებრივია, ასეთი წარმომავლობით გამეფებულ ვახტანგს მფლობელობის შენარჩუნება გაუჭირდა, მით უმეტეს, როცა იმერელთ „არჩინეს ვახტანგის დიდი მტერობა“ და „აღარ ინდომეს სამსახური და ფერობა“ დედოფლისადმი [118, 92]. მომდევნო პერიპეტიები ვრცლადაა მოთხრობილი ქართულ ისტორიულ წყაროებში (ვახუშტი, „პარიზის ქრონიკა“, ფარსადან გორგიჯანიძე, ფეშანგი) და კარგადაც ცნობილია ქართულ ისტორიოგრაფიაში, ამიტომ მასზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით. შემდგომ ხანაში იმერეთში მეფობის მოპოვებას სხვადასხვა პერიოდით ახერხებენ: ქართლის მეფის ვახტანგ V ძე – არჩილი, თვითონ ვახტანგ ჭუჭუნაშვილი, ბაგრატ V, ვამეყ დადიანი და დემეტრე გურიელი; საბოლოოდ, 1668 წ. იმერეთში კვლავ „დასუეს დარეჯან და ვახტანგ მეფე“, მაგრამ ტახტს-იქითა ბაგრატიონის მმართველობა დიდხანს ვერ გაგრძელდა; მალე დარეჯან დედოფალი და „იმერთა ასპარეზსა ზედა მიმომთხვევლი ვახტანგცა მოკლეს“ [82, 839]. ასე მარცხით დასრულდა მეფეთა „შორეული ტომი“-ს ჩამომავლის, მათ „მონათესავედ წოდვილის“ ვახტანგ ჭუჭუნაშვილის ისტორია. აღნიშნული ამბიციების მქონე „კნინი“ ბაგრატიონის მოღვაწეობის ასეთი შედეგი ლოგიკური და გარდუვალიც ჩანს. იმერელნი ხომ პირდაპირ ამბობენ: „ჩვენ ჭუჭუნას-შვილის ყმობას და დედოფლის ყმობას რა გვრჯისო? მემკვიდრე ბატონიშვილი გვყაო“ [135, 116].

იმერეთის ბაგრატიონთა სამეფო სახლის ისტორიაში ამ კუთხით ყურადღებას იქცევს გიორგი IV „გოჩიას“ (1696-1698) მოღვაწეობის ფაქტიც: ალექსანდრე IV მოკვლის შემდეგ, მცირე ხნით იმერეთში არჩილი გამეფდა, მაგრამ თავად გიორგი აბაშიძესთან საერთო ენა ვერ გამონახა და იძულებული გახდა ტახტზე უარი ეთქვა. გიორგი აბაშიძემ და სამეგრელოს გამგებელმა 1696 წ. „მოიპოვეს მონათესავე მეფეთა ვინმე ოდიშს“ გიორგი, რომელსაც „უწოდეს მეფედ“ (98, 167-168). მას იმერეთში „გოჩია“-დ უხმობდნენ. მის ბაგრატიონთა დინასტიის გვერდითი შტოდან მომდინარეობას ისიც დაემატა, რომ „ესე გიორგი იყო ყოვლითურთ უმსგავსო და შეუგვანებელი მეფობისა“ (98, 168), რის გამოც, 1698 წ. „გოჩიად“ წოდებული მეფე ტახტიდან იქნა გადაყენებული.

საბოლოოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ „ნათესავობით ბაგრატოვანთა“ შესახებ მოყვანილი მაგალითები ნათელს ჰფენენ არსებულ ვითარებას და ბატონიშვილობის საკითხის სიმწვავეს ამ კუთხით.

§5. გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო მმართველობა და ბაგრატიონთა საგვარეულო განშტოებანი

ბაგრატიონთა სამეფო სახლის საგვარეულო განშტოებათა დასახასიათებლად და ბატონიშვილობის საკითხის სრული სურათის შესაქმნელად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ თანამდებობების — „საკელოების“ განხილვას, რომელიც ყოფილმა ბაგრატიონებმა — ახლა გათავადებული სახლის წევრებმა დაიკავეს უკვე დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოებში. ასევე, მნიშვნელოვანია მათი ადგილისა და სტატუსის დადგენა საქართველოს საგანმგეო-სამოხელეო სისტემაში:

ერთიანი საქართველოს დაშლამ ქართულ სახელმწიფო მმართველობაში სათანადო ცვლილებები შეიტანა. ისე, როგორც ბატონიშვილობის საკითხში, დაშლა ამ კუთხითაც ახალი ეტაპია, რომელსაც „საქართველოების“ სახელმწიფოებრივ წესწყობილებასა და მართვა-გამგეობის სისტემაში შესაბამისი ნიშნები შეაქვს.

ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლას „თან გადაჰყვა“ მის დროს არსებული შესაბამისი სახელმწიფო წყობილება, რომლის იუ-

რიდიულ გამოხატულებას „ქელმწიფის კარის გარიგება“ წარმოადგენდა; დაშლამდე ეტაპის თითოეული ხელისუფალი მრავალმხრივი „ქელის“ მატარებელია — საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის პარალელურად ამ რთული ნიშან-თვისების მქონე „საქელოების“ თანდათანობითი დამცრობა, გადაგვარება და გაქრობა ხდება. XVI ს-დან ყალიბდება მმართველობის ახალი ფორმა, რომელიც პოლიტიკურად და ტერიტორიულად შემცირებული დამოუკიდებელი სამეფოების ჩარჩოებში სხვაგვარ სამოხელეო ორგანიზაციას ქმნის [200, 204]. გვიანი შუასაუკუნეების ქართული სამეფოები თავისი მმართველობით განსხვავდებოდნენ გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილებისაგან, მაგრამ, ამავე დროს, ისტორიულად მისი მონაცვლენიც იყვნენ.

XVIს-დან წარმოშობილმა რეალიებმა და ურთულესმა საგარეო ვითარებამ სამეფო ხელისუფლება უკიდურეს დაკნინებამდე მიიყვანა. დაშლის შედეგად წარმოშობილი „საქართველოების“ — დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების სიუზერენები, სამეფო ხელისუფლების გაძლიერების მიზნით, სხვადასხვა და ზოგჯერ რადიკალურ რეფორმებს მიმართავენ, მაგრამ ყოველივე ცალკეული სამეფო-სამთავროების ფარგლებში მიმდინარეობს და ამიტომაც, სათანადო შედეგები არ მოაქვს. ფეოდალები, თავის მხრივ, ყველაფერს აკეთებენ, რათა სამეფო ტახტმა ძველი მიმზიდველობა ვერ აღიდგინოს; ბუნებრივია, მათი დიდი ნაწილი, მეფის გაძლიერების შიშით, „საქართველოების“ გაერთიანების წინააღმდეგიცაა.

თითოეულ სამეფო-სამთავროს თავისი სახელმწიფოებრივი ფორმა და შესაბამისი მმართველობის ორგანოები ჰქონდა. ზოგიერთი ინსტიტუტი ერთ სამეფოში არსებობდა, მეორეში კი არა — ისინი თავთავიანთ სამეფოებში ინდივიდუალური თავისებურებების მატარებელნი იყვნენ. ასეთი განსხვავებების არსებობის გამო, გვიანი შუასაუკუნეების ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების განხილვა თითოეულ სამეფო-სამთავროში შექმნილი ვითარების ცალ-ცალკე შესწავლას საჭიროებს, რაც ამჯერად (მით უმეტეს განშტოებებთან დაკავშირებით) სცილდება ჩვენს წინაშე დასმულ ამოცანებს.

მეორე მხრივ, მიუხედავად არსებული სხვაობისა, ქართული სამეფო-სამთავროების მმართველობის სისტემებს მრავალი ნიშან-

თვისება აქვთ საერთო. მათ გარკვეულ ერთგვაროვნებას ქართულ სამეფო-სამთავროებში არსებული ძირითადად ერთმანეთის მსგავსი სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები განსაზღვრავდა. ის, რომ თითოეულ მათგანს მაინც ჰქონდა თავისებურებანი და ინდივიდუალური ნიშნები, ეს ბუნებრივიცაა, რადგან წინა ეტაპზეც — საქართველოს ერთიანობის პირობებშიც, ეს მომენტი უცხო არ იყო. როგორც ივ. სურგულაძე აღნიშნავს, ახალი ეტაპის მმართველობითი ორგანოები და პოლიტიკური ინსტიტუტები ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შედეგად წარმოიშვნენ, ისინი წინა საუკუნეების განმავლობაში ერთ სახელმწიფოში შედიოდნენ, ერთ ხალხს ეკუთვნოდნენ, ერთი ენა და ერთიანი კულტურა ჰქონდათ, ერთ სარწმუნოებას აღიარებდნენ, რაც საფუძველს ქმნის დაშლის შედეგად წარმოქმნილ სამეფო-სამთავროებში ერთგვარი სახელმწიფოებრივი წყობილების ჩამოყალიბებისათვის [298, 112].

XVI-XVIII სს-ის სახელმწიფო წყობილებასა და მმართველობის სისტემას საგარეო ფაქტორმა თავისი კვალი დაამჩნია. „ოსმალობა", „ყიზილბაშობა", „ურუმობა", „თათრობა" „ქართველობას"[1] დაუპირისპირდა; მაგ., ირანის კომპრომისული პოლიტიკის დამკვიდრებამ მმართველობით აპარატში ყიზილბაშურ გავლენას გაუხსნა გზა, სამოხელეო ნომენკლატურაში ზოგიერთი თანამდებობის ქართული დასახელება სპარსულით შეიცვალა [290, 49]. „დასტურლამალში" დადასტურებული „საკელოების" უმრავლესობაც საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდგომ ჩანს შექმნილი, როცა ქვეყნის სახელმწიფო სამართლის საფუძვლები მნიშვნელოვნად შეირყა. ირანი და ოსმალეთი ცდილობს მათთვის დამახასიათებელი წესწყობილების შემოღებას, მაგ., ირანი ქართლში ზოგიერთი ყიზილბაშური თანამდებობის შემოტანას ახერხებეს, კონტროლის თვალსაზრისით, აყალიბებს სამეთვალყურეო აპარატს — ვეზირი, მუსტოფი და მუნში; კომპრომისულ პოლიტიკას სხვა მხარეებიც აქვს — მეფის მაჰმადიანობის აუცილებლობა, ვალის ინსტიტუტის არსებობა და სხვ.

ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ უცხოური გავლენის აღ-

---

[1] „ქართველობა" — ტერმინია, რომელიც გვიანი შუა საუკუნეების ქართულ საბუთებში სამამულო ურთიერთობასთან დაკავშირებით ძალზე ხშირად იხმარება.

სანიშნავად ვახუშტი ბატონიშვილი იყენებს სპეციალურ ტერმინს — „შერეული წესი“ [82, 30-31], რაშიც ის ახალი იგულისხმება, რაც ქართულ პოლიტიკურ ერთეულებში, ნაციონალური ინსტიტუტების გვერდით, გარეგანი გავლენის შედეგად გაჩნდა. „ყიზილბაშური რიგის“ ფეხის მოკიდებამ „შერეული წესის“ არსებობა განაპირობა [204, 4].

დაშლის შემდეგ სახელმწიფო მმართველობაში განხორციელებულ ცვლილებებზე ვახუშტი სპეციალურად შეჩერდა და თავისი თხზულების ამ ნაწილს წაუმძღვარა სათაური — „აწინდელთა ქელისუფალთა შეცვლილთა სახელთათჳს“: „ხოლო როსტომ ქელისუფალთა უწოდა: მსახურთუხუცესსა — ყორჩიბაში, მონათუხუცესსა — ყულარაღასი, სპასპეტსა — სარდარი, მეჭურჭლეთუხუცესსა — მოლარეთუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი არღარა, არცა იგი წინათი მოლარეთხუცესი; ჩუნჩერახსა — სუფაჩი, ჩაჩნაგირს — სუფრაქეში, მანდატურთუხუცესსა — ეშიყაღასი, მანდატურსა — სოჰბათიასაული, ბოქაულსა — ელიაღაჯი, მსაჯულთუხეცესსა — მდივანბეგი, ეზოს მოძღუარსა — ნაზირი, მესტუმრეთუხუცესსა — მეჰმანდარი, მწერალსა — მუშრიბი, ხუროთმოძღუარსა — სარაიდარი, და ეჯიბი არღარა, არამედ მსგავსი მისი მეითარი. ხოლო სხუანი ქელისუფალნი იყენენ ეგრეთვე. არამედ კუალად ყიზილბაშთა რიგის შესძინა ვეზირი, მუსტოფი და მუნში. კუალად მეკარესა-ყაფიჩი და ასისთავსა — უზბაში. და კახთაცა განაწესეს ეგრეთ; ხოლო იმერეთს მეფის ალექსანდრეს გიორგის ძისადმი იყენენ წესნი ეგრეთვე და შემდგომად მისსა არღარა, არამედ მთავარნი თჳსთჳსითა სპითა შეკრბიან, და არღაცა ქელისუფალნი მეფისანი არიანღა“ [82, 32-33].

როგორც ვხედავთ, ვახუშტი ბატონიშვილი როსტომის დროინდელ სახელმწიფო ინსტიტუტების უმეტესობას ადრეული ეტაპის ქართულ მმართველობას უკავშირებს, მათ შორის მსგავსებას ხედავს და ანალოგებსაც ავლებს. ვ. გაბაშვილის სიტყვებით, ბატონიშვილი, მართალია, ყოველთვის ზუსტი არ არის, მაგრამ „ყიზილბაშური რიგისა“ და „ოსმალური რიგის“ საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილებაზე გავლენის მნიშვნელობა კარგად ესმის [200, 202]; ვახუშტი აღნიშნავს იმ ცვლილებებს, რომელნიც ამა თუ იმ „ქელს“ დროთა განმავლობაში განუცდია და თავის შეხედულებებს გვთავაზობს.

როსტომ მეფის რეფორმების შედეგად, ერთი მხრივ, გზა გაეხსნა

„ყიზილბაშურ რიგს“, მაგრამ ამით ქართულ „საკელოთა“ ბუნება ძირითადად არ შეცვლილა. უცხოური „წესის“ ძლიერი გავლენა ეტყობა სამეფო კარს, მეჯლისობის წესს, სასახლის ხელშინაურ მოხელეობას, ზოგიერთ სხვა ორგანიზაციას, მაგრამ ასეთ ვითარებაშიც ქართული სახელმწიფო აპარატი და მმართველობის სტრუქტურა იგივე დარჩა, ანუ „სხვანი ხელისუფალნი იყვნენ ეგრეთვე“. ვახუშტი ხაზს უსვამს, რომ „ხოლო აწინდელთა ჟამთა აქუნდათ წესნი იგინივე და შერეულნი ყიზილბაშთა ესენი“ [82, 31]; როსტომ ხანის პოლიტიკის ღრმა შინაარსი, შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესაბამისად, ის იყო, რომ მან მართალია „დაადგინა ორნივე“ („ყიზილბაშობა“ და „ქართველობა“), მაგრამ „არცა მოშალნა ქართულნი“.

რა შინაარსია ჩადებული სიტყვებში — „არცა მოშალნა ქართულნი“:

როსტომის პოლიტიკის შედეგად ფეოდალური საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური წყობა (ეს ეხება როგორც ქართლს, ისე კახეთსა და იმერეთს) ძირითადად შენარჩუნდა — ირანის პოლიტიკური ბატონობის პირობებში ქართული ფეოდალური საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, აგრარული სისტემა და სახელმწიფო წყობილება არსებობას განაგრძობს [204, 366]. მართალია, „საქართველოებში“ შემოდის სპარსულ-თურქული წარმოშობის სახელმწიფო სამართლის ინსტიტუტები, მაგრამ ქართული წესწყობილების ფონზე მათ უკვე სხვა მნიშვნელობები ენიჭებათ, ვიდრე იგი თავად ირან-ოსმალეთში ჰქონდათ. ვახტანგ VI „დასტურლამალიც“ აშკარად სპარსული ტერმინოლოგიის ძლიერ გავლენას განიცდის, მაგრამ ეს უცხოური ტერმინები თუ პოლიტიკური ინსტიტუტები ქართულ ნიადაგზე თავისებურებად ვითარდებიან.

როსტომ ხანის სამოხელეო რეფორმას, მანამდე ან მომდევნო პერიოდის ცვლილებებს, რამაც „აწინდელი წესი“ წარმოშვა, საქართველოს სახელმწიფო წყობილებასა და მმართველობაზე, მის პოლიტიკურ ორგანიზაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოუხდენია; მაგ., ქართლში ამ მხრივ ძირითადი შედეგი ქართული სამოხელეო სახელების სპარსულ-ყიზილბაშურ ყაიდაზე გადასახელება იყო. ირანულ-ოსმალური ინსტიტუტების მოწოლამ „ქართველობა“, რაშიც ჩვენ ქართულ სოციალ-პოლიტიკურ სისტემას ვგულისხმობთ, ვერ მოშალა და ვერც „ქართველი მოკელე“ მოსპო; სამეფო კარის, ქალაქებისა და

სოფლების გამგებლობაში არსებითი ცვლილებები არ ხდება, ჩნდება მინბაში, მელიქი, ტარუღა, მაგრამ სამოხელეო იერარქია ძველებური რჩება, სამხედრო საქმეს, ფინანსებს, სასამართლოს, სამდივანმწიგნობროს, ქალაქებსა და სოფლებს ქართველი მოხელეები განაგებენ: სახლთუხუცესები, სარდლები, მდივანბეგები, მოურავები, მამასახლისები და სხვ. [204, 38, 368, 371-372, 374]. ასეთ ვითარებაში, საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილება უცვლელი რჩება, თუმცა კანონზომიერი წინსვლისათვის აუცილებელი ძალებიც აღარ არსებობს, რაც XVI-XVIII სს-ის „სტაგნაციას" განაპირობებს; „სტაგნაციის" ხანა XIV-XV სს-ის „ჩიხის" სამწუხარო მემკვიდრე გახდა.

ამდენად, ახალი „საკელოები" რეალურად ქართული ფეოდალური სინამდვილიდან ამოდიოდა, ასახავდა არსებულ ვითარებას, ირანული წესები უფრო სასახლის ეტიკეტს ეტყობა, ხოლო სპარსული სამოხელეო სახელები ქართული და ირანული სახელმწიფო მმართველობის მხოლოდ გარაგნულ მსგავსებაზე ლაპარაკობენ. თურქული წარმოშობის პოლიტიკური ინსტიტუტებიც ქართულ სოციალურ-ეკონომიკური წყობილებისათვის დამახასიათებელ თვისებებს იძენენ ან ახალი სამოხელეო სახელის ქვეშ დამცრობილი ძველი „საკელოების" მთავარ თვისებებს ინარჩუნებენ [200, 205]. „ქართველობა" მუდმივად იმის ცდაშია, რომ „რომელნიმე შეშლილნი ქართულნი წესნი" გაასწოროს, რასაც თავისი შედეგი მოჰყვა: „ყიზილბაშური რიგის" (ასევე „ოსმალურიც") გავრცელებამ „ქართული წესის" მოშლა ვერ გამოიწვია. სწორედ ეს იგულისხმება როსტომ-ხანის „არცა მოშალნა ქართულნი"-ში.

ქართული ფეოდალიზმის სოციალური საფუძვლებისა და ნაციონალური სახელმწიფო ინსტიტუტების დასავლურ-ევროპულმა ხასიათმა, რომლისთვისაც მიუღებელი იყო „აღმოსავლური ფეოდალიზმისათვის" დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, XVI-XVIII სს-ის ქართულ და ირან-ოსმალურ წესწყობილებათა მკვეთრმა განსხვავებულობამ, მათმა შეუთავსებლობამ, აღმოსავლური ფეოდალური მიწათმფლობელობის საპირისპიროდ ქართული მემკვიდრეობითი ფეოდალური მიწისმფლობელობის შენარჩუნებამ, ირანული „თიულისა" და ქართული „მამულის" ურთიერთგამომრიცხველობამ, შედარებით პროგრესული ნაციონალური სოციალურ-ეკონომიკური სისტემის გადარჩენამ, სახელმწიფო ინსტიტუტებში ნაციონალური კანონების მოქმედებამ, ქართულ სამეფოებში

აშკარა-დაპირისპირებული ბრძოლის ფორმის ე.წ. „კომპრომისული“ პოლიტიკით ცვალებადობამ (როსტომ მეფის რეფორმებმა, როცა მან „დაადგინა ორნიეე“ — „ყიზილბაშური“ წესიც, მაგრამ „არცა მოშალნა ქართულნი“), ქართული საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების შინაარსის შენარჩუნებამ, დამპყრობელთა მიერ ინკორპორაციის ცდების მიუხედავად „საქართველოების“ პოლიტიკურმა არსებობა — ფუნქციონირებამ, სახანო-საფაშოებად ქცევის საკითხში ირან-ოსმალეთის კრახმა, „ელის საკითხისა“ და მსგავსი პრობლემების ქართული სამეფო ტახტების მიერ გარკვეული ფორმით მოგვარებამ, როსტომის დროს დამკვიდრებული „აწინდელი წესის“ (რომელიც XVIII ს. II მეოთხედამდე არსებობდა), „ოსმალობისა“ და „ყიზილბაშობის“ კვლავ „ქართველობით“ შეცვლამ, — ყველაფერმა ამან, ირან-ოსმალეთის ფაქტორის მიუხედავად, დასავლეთ-ევროპული ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი ძირეული ნიშან-თვისებების მქონე ქართული საზოგადოება გადაარჩინა; შენარჩუნდა ნაციონალური კულტურა და იდეოლოგია (ქრისტიანობის როლი ამ ბრძოლაში ცალკე მსჯელობის საგანია), რამაც ქართული ეროვნული თვითშეგნების არსებობისათვის აუცილებელი პირობები შექმნა.

„ქართველობა“ შენარჩუნდა, „საქართველოები“ გადარჩა, მაგრამ ზემოაღნიშნულმა წინააღმდეგობებმა ქართული საზოგადოების განვითარების სტაგნაცია და დაქვეითება გამოიწვია, რამაც ბატონყმობის გახანგრძლივება განაპირობა. ამდენად, XIV-XV სს-ის „ჩიხის“ ხანას დააშენდა XVI-XVIII სს-ის, „სტაგნაციის“ ხანა, რის შედეგადაც „ქართული ფეოდალიზმის“ განვითარების „ნორმალურ“ გზაზე დაბრუნების საშუალება მოისპო. მიუხედავად ამისა, „ქართველობა“ შენარჩუნდა, რაც, თავის მხრივ, XVI-XVIII სს-ში შესაბამისი ხასიათის თავადურ-ბატონყმური ნაციონალურ-ქართული სახელმწიფოს არსებობას განაპირობებს.

მოხელეობა ორ მთავარ ჯგუფად იყოფოდა: „დარბაზის რიგის მოხელეებად“ — იგივე „კარის გამრიგენი“ (პირობითად ცენტრალური აპარატის მოხელენი“ და „საქვეყნოდ გამრიგენი“ (ადგილობრივი მმართველობის მოხელენი) [200, 161]. ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა სხვადასხვა წარმომადგენლებს მმართველობის ორივე სფეროში ვხედავთ. უმაღლესი „საკელოების“ მოპოვების საკითხში

გადამწყვეტი მნიშვნელობა წოდებრივ მდგომარეობასა და გვარის „შეძლებულება-გაუყრელობას“ ენიჭება. დიდი ფეოდალისათვის „სახლი“ და „საკელო“ ერთმანეთისაგან განუყოფელია; მან კარგად იცის, რომ მისი ძლიერება მაღალი „საკელოს“ ქონაზეა დამოკიდებული. ამიტომ, XVI-XVIII სს-ში, „საკელოების“ საკითხი მუდმივად გამწვავებულია, ხშირია ბრძოლა და ურთიერთდაპირისპირება. უმაღლესი და შემოსავლიანი „საკელოები“ დიდებულ თავადებს შორის ნაწილდება, ხოლო საშუალო ფეოდალები შესაფერის თანამდებობებს იკავებენ და ა.შ.

ერთ დროს ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლები, ხოლო ახლა უკვე გათავადებულ განშტოებათა წევრები, ბუნებრივია, „დარბაზის რიგის“ მაღალი თანამდებობებისათვის იბრძვიან. როგორც ფეოდალური „სახლის“ უფროსები, თავიანთი აღზევების ერთ-ერთ უპირველეს გარანტად „საკელოს“ ქონას მიიჩნევენ. „სახლის“ უფროსობა და „კელის“ მფლობელობა ფეოდალის წარმატებისათვის უმნიშვნელოვანესი პირობა იყო. ყოფილი ბაგრატიონები — გათავადებული „სახლების“ წევრები სათანადო „საკელოების“ მოპოვების შემდეგ, სამეფო კარზე და, საერთოდ, სახელმწიფოში შესაბამის ადგილს იკავებენ, რის შედეგადაც გარკვეულად აგვარებენ მათი სტატუსის გარშემო არსებულ გამწვავებულ საკითხებს. ბაგრატიონთა საგვარეულოდან მომდინარეობის გამო მოსალოდნელია, რომ ამ საგვარეულო განშტოებების წარმომადგენელნი სხვადასხვა ადმინისტრაციული და სასამართლო პრეროგატივებით სარგებლობდნენ; ამავე დროს, უფლებათა დიდი ნაწილი მათ სამეფო ხელისუფლებასთან ხანგრძლივი ბრძოლის შედეგადაც უნდა მოეპოვებინათ.

„დარბაზის რიგის მოხელეთა“ შორის უპირველესი ადგილი მეფის სახლთუხუცესს („საქართველოს (ქართლის) სახლთუხუცესად“-აც იწოდებოდა) ეკავა. იგი სამეურნეო-საფინანსო საქმეების ხელმძღვანელი, სამეფო სახლის გაჰგე და სასახლის დაწესებულებათა მთავარი გამგებელი იყო. მის კომპეტენციაში ადმინისტრაციული, საკონტროლო და სამდივნო ფუნქციებიც შედიოდა. სახლთუხუცესი შემოსავალ-გასავლის მეთვალყურე, მეჯლისის დროს განმკარგულებელი და მთავარი მოხელეა; აქვს ინსპექციის უფლება-მოვალეობა, მასვე ეკითხება „თთბირობა სამეფოსი“ და სხვ. [298; 200; 322]. ვ. გაბაშვილი ასეთ საკითხსაც კი სვამს, რომ სახლთუხუცესის „საკელო“ ხომ არ მოდის

თანდათან გადაგვარებული, დაბოლოს, გაუქმებული მწიგნობართუხუცესის თანამდებობიდან; ხომ არ მოჩანს ერთიანი ფეოდალური მონარქიის პირველი ვეზირის „ქელის“ ანარეკლის კვალი მოგვიანო ხანის სახლთუხუცესის სახელისუფლოში?! [200, 168-169]. ეფიქრობთ, ყოველივე კარგად ლაპარაკობს ამ „საქელოს“ მაღალ სტატუსსა და უფლებრივ მდგომარეობაზე XVI-XVIII სს-ის ქართულ სახელმწიფოებში.

ამდენად, XVI-XVIII სს-ში უპირველესი ვეზირის ადგილი სახლთუხუცესს უკავია; განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დედოფლისა და კათალიკოსის სახლთუხუცესსაც. სათავადოშიც იგი უმაღლესი მოხელის მდგომარეობით სარგებლობს. მეფის მამულების მმართველობის აპარატშიც სახლთუხუცესს ცენტრალური ადგილი უკავია და სამეფო დომენში მეფის მამულების, მისი. მეურნეობის მთავარი გამგეა [160, 43]. აქედან გამომდინარე, ამ „საქელოს“ ხელში ჩაგდებას ცდილობს ყველა თავადური სახლი და ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ბაგრატიონთა საგვარეულო განშტოების სხვადასხვა წარმომადგენელი. რადგან სამეფო სახლთუხუცესის „საქელო“ უპირველესია, ამიტომ მისი ფლობა პირველი რანგის თავადთა წრიდანაა მოსალოდნელი. ქართლის სამეფოში, ბუნებრივია, ასეთნი ბაგრატიონთა სამეფო სახლის უპირველესი და უძლიერესი მუხრანბატონთა გათავადებული განშტოებიდან იქნებოდნენ: სახლთუხუცესია თეიმურაზ მუხრანბატონი (1668-1688), პაპუა მუხრანბატონი (1691-1696), კონსტანტინე მუხრანბატონი (+1716), კონსტანტინე მუხრანბატონი (1735-1756) და იოანე მუხრანბატონი (+1800). მუხრანბატონთა მიერ აღნიშნული „საქელოს“ ასეთი ფლობა რელიეფურად ლაპარაკობს ამ განშტოების სტატუსსა და უფლებრივ მდგომარეობაზე გვიანი შუასაუკუნეების ქართლის სამეფოში.

სამეფო ხელისუფლების მცდელობის მიუხედავად, გარკვეული „საქელოები“ მაინც მემკვიდრეობითი საკუთრება ხდება. მსხვილი ფეოდალები და მათ შორის ბაგრატიონთა გათავადებულ განშტოებათა წევრები სულ უფრო და უფრო ცდილობენ ასეთი თანამდებობები თავიანთ „სახლებს“ მუდმივად დაუკავშირონ; მით უმეტეს, ასე ჩანს მუხრანბატონთა შემთხვევაში; ვფიქრობთ, შეიძლება ლაპარაკი აღნიშნული „საქელოს“ გარკვეულ მემკვიდრეობითობაზე ამ საგვარეულო განშტოებაში.

სახლთუხუცესობის გარდა მუხრანბატონები სხვა მაღალ თანამდებობებსაც ფლობენ: მაგ., სიმონ მუხრანბატონი ნასაღჩიბაშის „საქელოს“ მატარებელია, რომლის მოვალეობას დამნაშავეთა დასჯა და განაჩენის სისრულეში მოყვანაში შეადგენს — იგი წესრიგის დაცვის მიზნით დევნიდა დანაშაულებრივ ქმედებას და მსჯავრდებულთ სჯიდა კიდეც [298, 360]. ერთი სიტყვით, მის მოვალეობას წესრიგის დაცვა წარმოადგენდა.

მუხრანბატონთა სხვა თანამდებობებიდან აღსანიშნავია მათი ბოქაულთუხუცესობა, ქალაქის მოურაობა, დიღმის მოურაობა და სხვ. მათ შესახებ ქვევით შევჩერდებით ბაგრატიონთა სხვა განშტოებათა წარმომადგენლებზე მსჯელობისას.

ამ განშტოების ისტორიაში ინტერესს იწვევს მათ მიერ სახელმწიფო გადასახადის ქოდავის მკრეფლის თანამდებობის ფლობა, რის შესახებაც მოგვითხრობს 1703 წლის შაჰყულიხანის მიერ „მუხრანის ბატონიშვილის“ კონსტანტინესადმი (+1716) ჩობანბეგობის წყალობის წიგნი; ჯანიშინი აღნიშნავს, რომ „...შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენს ბიძაშვილს, მუხრანის ბატონიშვილის თეიმურაზის შვილს კოსტანდილეს მაშინ, ოდეს ქოდავის მკრეფლობის წყალობას გვიაჯენით... აწ ჩვენც შეგვიწყალეთ და გიბოძეთ ჰამასალად (ყოველ წლიურად, — დ.ნ.) ჩვენის ელის ჩობანბეგობა...“ [121, 406]. საბუთის სპარსულ ტექსში კი ვკითხულობთ, რომ კონსტანტინეს უწყალობეს „მისი უმაღლესის ხაზინის (სარქრის) კუთვნილი ელის ჩობანბეგობის ფულის მკრეფელობა... ელის მეჯოგეებმა... ცხვრის პატრონებმა ხსენებული კონსტანტინე იცნონ აღნიშნული ფულის მკრეფელად, წარუდგინონ მას თავის ცხვრების რიცხვი და რაოდენობა და არაფერი დამალონ და დაფარონ...“ [121, 407-408].

ქართულ ტერიტორიაზე „ელის“ გაჩენა კარგად ცნობილი მოვლენაა. მომთაბარეთა კომპაქტური მასის დასახლების შედეგად, თანდათან ყალიბდება „ელის“ თავისებური სოციალური ორგანიზაცია. მისი მფლობელი ქართველი მაჰმადიანი მეფეა და იგი მეფის მოხელეების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება — სწორედ მათ მიერ ხორციელდება „ელის“ გადასახადების რეგულირება (ცნობილია, რომ ქოდავი (ჩობან ბეგი) წვრილფეხა საქონელზე, კერძოდ, ცხვარზე დაწესებულ გადასახადს წარმოადგენდა). როგორც ირკვევა, ამ ფუნქციას გარკვეულ

პერიოდში მუხრანბატონთა განშტოების წარმომადგენელი – კონსტანტინე მუხრანბატონიც ასრულებდა.

მუხრანბატონებთან შედარებით მუხრანის ბატონთა ბატონიშვილები უფრო დაბალ „საკელოებს“ ფლობდნენ: მუხრანელ ბაგრატიონთა სახლის წევრი, კონსტანტინე I (1658-1668) მუხრანბატონის ძე – დავით მუხრანბატონისშვილი ყორჩიბაშის ფუნქციას ასრულებს. სეფიანთა ირანის სახელმწიფო წყობილებიდან აღებული ეს სამოხელეო ინსტიტუტი როსტომის მიერ იქნა შემოტანილი და მან ძველი მსახურთუხუცესის გარკვეული ფუნქციები შეითვისა [200, 200...].

საქართველოს სახელმწიფო მმართველობაში ადგილი ჰქონდა ერთი ხელისუფლის ხელში რამდენიმე „საკელოს“ გაერთიანების ფაქტს: მაგ., მუხრანბატონ სახლთუხუცესს ერთსა და იმავე დროს ეკავა სარდალთუხუცესისა და ქალაქის მოურავის თანამდებობა – ერეკლემ ქალაქის მოურაობა სახლთუხუცეს კონსტანტინე მუხრანბატონს უბოძა, სახლთუხუცესი იოანე მუხრანბატონი სარდალთუხუცესი, მსაჯულთუხუცესი და ერევნის გუბერნატორიც იყო.

ბახუტა ჰუსეინ ბეგისშვილ-ბაგრატიონზე მსჯელობისას აღვნიშნეთ, რომ იგი სუფრაჩია, ანუ სახლთუხუცესს დაქვემდებარებული სამეურნეო ხასიათის თანამდებობის მფლობელია. მისი მოვალეობა საჭმლის გარიგება-მირთმევაში მდგომარეობს, გარკვეულწილად მზარეულთუხუცესის ფუნქციას ასრულებს და მას „დასტურლამალით“ მეჯლისის მომსახურე მოხელეებს შორის სახლთუხუცესისა და ნაზირის შემდეგ პირველი ადგილი უჭირავს. სუფრაჩი მეფესთან დაახლოებული პირია და საპატიო თანამდებობად ითვლება. იგი როგორც სასახლის პირადი სამსახურის გამგე იმ მოხელეებსაც მეთაურობს, რომლებიც მეფის პირად მომსახურებას ეწევიან [298, 198-199]. არსებობს შემთხვევა, როცა სუფრაჩი სახლთუხუცესსაც კი უპირისპირდება, რაც მის მაღალ მდგომარეობაზე მიგვითითებს. ისიც ცნობილია, რომ სახლთუხუცესთან ერთად, ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს, სუფრაჩიც ქართული ჯარის სათავეში იდგა; ერეკლე მეფის ძე – ვახტანგ ბატონიშვილი ამ „საკელოს“ მფლობელს ასე უწოდებს: „მის ბრწყინვალებას სუფრაჩს...“ [108, 314-315]. სუფრაჩი მეფესთან დაახლოებული, გავლენიანი პირია, ითვლება საპატიო თანამდებობად და, ამდენად, ბახუტა ბაგრატიონის მიერ მისი ფლობა მოულოდნელი აღარ მოჩანს.

ბაგრატიონთა სახლის განშტოებების — მუხრანბატონებისა და დავითიშვილების გვარში ყურადღებას იქცევს მათი წარმომადგენლების მიერ ბოქაულთუხუცესის საპატიო მოვალეობის შესრულება. ბოქაულთუხუცესი მმართველობის ცენტრალურ ორგანოებში უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის — საპოლიციო აპარატის მეთაურია, რომელიც საქართველოს სამეფოს დაშლის შემდგომ ხანაში ჩნდება და როსტომის „სამოხელეო რეფორმების" შედეგად ხელჯოხიანთა უფროსობას ეშიკაღასბაშს უთმობს. ეშიკაღასბაშის შემდეგ ბოქაულთუხუცესს პირველი ადგილი უჭირავს, ასრულებს აღმასრულებელი და ადმინისტრაციული ხასიათის სამუშაოს, სისრულეში მოჰყავს განაჩენი თუ სხვადასხვა ბრძანებები და ა.შ.

ბოქაულთუხუცესის საპატიო და შემოსავლიან „საკელოს" ფლობდნენ როგორც მუხრანბატონები, ისე განსაკუთრებით, დავითიშვილთა განშტოების წევრები: ქაიხოსრო მუხრანბატონი იმ პერიოდშია ბოქაულთუხუცესი, როცა ეშიკაღასბაშობა ჯერ კიდევ შემოღებული არ არის, ანუ იგი საპოლიციო აპარატის მეთაური — ხელჯოხიანთა უფროსია. ასევე ბოქაულთუხუცესია იესე მუხრანბატონი (+1716) — ამ დროს ეს „საკელო" უკვე ეშიკაღასბაშის თანაშემწეა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბოქაულთუხუცესებად კვლავ დავითიშვილთა სახლის წევრები ჩანან; ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში აღნიშნული თანამდებობის ფლობის ერთგვარ მემკვიდრეობითობაზეც შეიძლება ლაპარაკი. პირველი დავით დავითიშვილი სწორედ ბოქაულთუხუცესია და ქართულ წყაროებში ასეც მოიხსენიება. რაც შეეხება როსტომ მეფის 1633 წ. ორენოვან საბუთს, მის სპარსულ ნაწილში იგი იწოდება როგორც „დავით-ბეგ ეშიკ-აღასიბაში" [121, 90]. ბოქაულთუხუცესები არიან დავითის ძე — ელიზბარ დავითიშვილი და ელიზბარის შვილი — დავით დავითიშვილი. ამ ბოქაულთუხუცესობის რანგი, იმავე როსტომის ხანაში, კვლავ მაღალია — როსტომ მეფის 1634-1658 წწ. განჩინების წიგნში ეს საკელო „კელმწიფის", „ეპისკოპოზნის", „სახლის უხუცესის" შემდეგ და „მდივანბეგის" წინ მოიხსენიება [107,122].

ვფიქრობთ, ამ ფაქტებითაც კარგად ჩანს, თუ როგორ წყდება XVI-XVIII სს-ში ბაგრატიონთა სამეფო სახლის საგვარეულო განშტოებათა არსებობიდან გამომდინარე სხვადასხვა საკითხი. ერთ-ერთი უპირველესი ასეთი გზა მათ მიერ სახელმწიფო თანამდებობის დაკავება

ჩანს, ხოლო მოპოვებული „საკელოს“ რანგი განსაზღვრავს ამ ბაგრატიონთ-ყოფილთა უფლებრივ მდგომარეობასა და სტატუსს სახელმწიფოში.

მმართველობის ცენტრალურ აპარატში, კერძოდ, XVIII ს. II ნახევრის სამეურნეო-საფინანსო და სასახლის სამსახურში რამდენიმე ახალი „საკელო“ იქმნება. ერთ-ერთი ასეთია მილახვრის თანამდებობა, რომლის მოვალეობა სამეურნეო-საფინანსო ხასიათს ატარებს, სასახლესთან დაახლოებული პირია და სამეფო მმართველობის სხვა საქმეებშიც აქტიურ მონაწილეობას იღებს [298, 223-227]. მილახვარი საპატიო და გავლენიანი თანამდებობაა – სწორედ აქედან გამომდინარეა რამაზიშვილთა განშტოების ერთ-ერთი წარმომადგენლის მილახვარი შანშე რამაზიშვილის ზემოაღწერილი საკმაოდ მაღალი მდგომარეობა.

დავითიშვილთა სახლში ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი თანამდებობის – ყლიჯყორჩის „საკელოს“ არსებობა: როგორც ცნობილია, ყორჩები სასახლისა და მეფის მცველები იყვნენ, მაგრამ ისინი სასახლის ხელშინაურ მსახურთა მოვალეობასაც ასრულებდნენ. ასეთები ჩანან, მაგ., ყალიონ-ყორჩი ანუ ყალიონის მნე, ბაშმა-ყორჩი ანუ ფეხსაცმლის მნე, ოხია-ყორჩი ანუ ცხენის მნე; რაც შეეხება ყლიჯ-ყორჩს იგი იგივე მეხმლეა – მისი მოვალეობა ხმალთანაა დაკავშირებული და ამ სფეროს ხელმძღვანელობს [200, 202]. ფარსადან გორგიჯანიძესთან დაცული უკვე განხილული ცნობებით, დავითიშვილთა სახლის სამი ძმიდან უფროსი დავითი ბოქაულთუხუცესი ხდება, მეორე – კონსტანტინე ზემო ქართლის სარდალი, ხოლო უმცროსი სიაოში, როგორც ჩანს, მხოლოდ ყლიჯყორჩობას დასჯერდა. მას როგორც უმცროსს, უფროს ძმებთან შედარებით უფრო დაბალი თანამდებობისათვის მიუღწევია.

დავითიშვილთა განშტოების XVIII ს. II ნახ-ის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი – ზაალ დავითიშვილი იასაულის „საკელოს“ მატარებელია. იასაულობა ადმინისტრაციულ, სასამართლო და სხვა ხასიათის საქმეთა, ბრძანებათა თუ განაჩენთა აღმსრულებლობას ნიშნავს, ანუ მისი მოვალეობა აღმასრულებელ-საპოლიციო ხასიათს ატარებს. იასაულები სახელმწიფო მმართველობის ყველა დარგში არსებობდნენ და მის მრავალ უწყებას ემსახურებოდნენ. მეფესა და დედოფალს საკუთარი იასაულები ჰყავდათ, ასე მაგ.,ისტორიულ წყაროებში დაც-

ულია ტერმინი „მეფის იასაული“; საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ იასაული ადმინისტრაციულ აპარატში ყველაზე დაბალი და გავრცელებული მოხელეა, თუმცა მნიშვნელოვანი საქმეების შესასრულებლად ამ თანამდებობაზე მსხვილ ფეოდალებსაც ნიშნავდნენ — მაგ., იასაულად ამილახორიც ყოფილა [298, 253, 283-285]; ხოლო თუ მათ „სხუას ქუშყანას“ გზავნიან გარკვეული დავალების შესასრულებლად, დებულების თანახმად, მოქმედების სრული თავისუფლებით სარგებლობენ. ამ დროს მათზე ეშიკაღასბაშსა თუ ბოქაულთუხუცესს ხელი აღარ მიუწვდებათ [200, 193]. იასაულთა შორის გამორჩეული ადგილი „მეფის იასაულს“ უნდა სჭეროდა. საპატიო წარმომავლობის იასაული უფრო მეტს იღებს და გაზრდილი უფლებებით სარგებლობს, ვიდრე აზნაურიშვილი იასაული თუ მსახური. ასეთი მაღალი რანგის იასაულთა რიგებს უნდა მიეკუთვნებოდეს ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი ზაალ დავითიშვილი. 1776 წ. ოქტომბრის არზით წისქვილის თაობაზე მდივანბეგთა წერილითა და ერეკლე II ოქმით საქმის გარჩევა ზაალ იასაულს ევალება [129, 356], ხოლო 1768 წ. არზის ზურაბ კობალაძის ყმის თაობაზე მდივანბეგთა განჩინებაში ვკითხულობთ: „იასაულო დავითისშვილო ზაალ! როგორც ამ განაჩენში ეწეროს, ასე უნდა გაარიგო“ [125, 567]. მიუხედავად ამისა, იასაული მაინც პოლიტიკური აპარატის დაბალ თანამდებობად ითვლება და ის მომენტი, რომ დავითიშვილები ზაალის დროს ბოქაულთუხუცესობიდან იასაულობამდე დავიდნენ, კარგად ახასიათებს ბაგრატიონთა სახლის ამ განშტოებაში დამცრობა-გაღარიბების პროცესს, რომლის შესახებაც XVIII ს. შუახანებთან დაკავშირებით უკვე გვქონდა საუბარი.

როგორც ცნობილია, გვიანი შუასაუკუნეების საქართველოში სამხედრო ორგანიზაცია სადროშოების პრინციპზე მოეწყო. ჩვენ ამ შემთხვევაში ქართლი გვაინტერესებს: თითოეულის სათავეში სარდალი იდგა, რომელიც ამ ტერიტორიაზე ცენტრალური ხელისუფლების მოხელეა, მაგრამ, ამავე დროს, სამხედრო მოვალეობის გარდა, იგი ადგილობრივად ადმინისტრაციულ და სასამართლო ხასიათის ფუნქციასაც ასრულებს. სარდლის მოვალეობანი ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგადაა ცნობილი, ამიტომ მასზე ვრცლად აღარ შევჩერდებით. დროშის სარდლობა ამა თუ იმ დიდებული თავადის სახლს ეკუთვნოდა და იგი სასარდლოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მემამულე იყო.

ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორიიდან გამომდინარე, ჩვენთვის განსაკუთრებით „მეწინავესა“ და ზემო ქართლის სასარდლოებია საინტერესო:

„მეწინავე დროშა“ ისტორიულ წყაროებში ხშირად „სომხით-საბარათიანოს“ სახელით მოიხსენიება, თუმცა იგი ბევრად უფრო მეტ ტერიტორიას მოიცავს, ვიდრე საბარათიანოს სათავადო. ამ სადროშოს სარდლობა ბარათაშვილთა და მათი სახლის განშტოებათა სამემკვიდრეო „საქელოდ“ იქცა. სომხით-საბარათიანოს სარდალს დიდი უპირატესობა ჰქონდა მეფის კურთხევის ცერემონიალში (ხმლის შემორტყმის უფლება) და „ამირსპასალარადაც“ იწოდება, რაც აშკარად იმაზე ლაპარაკობს, რომ ქართლის ოთხ სარდალს შორის იგია უფროსი და მეფის შემდეგ, სამეფოს უმაღლეს მთავარსარდლად, სწორედ „მეწინავეს“ სარდალი ითვლება [341, 21..., 143...].

საბარათიანოს ჩვენთვის ცნობილი პირველი სარდალი საჩინო ბარათაშვილია. შემდგომ პერიოდში „მეწინავე დროშის“ სარდლებად ბაგრატიონთა სახლის წევრებს ვხედავთ: კერძოდ, ლუარსაბ I ძმის — რამაზ ბატონიშვილის შვილს ბაგრატს, რომელიც დაუთ-ხანს ამ თანამდებობაზე საჩინო ბარათაშვილის გადაყენების შემდეგ უნდა დაენიშნა. ამის შემდეგ, „მეწინავეს“ სარდალია მეორე ბაგრატიონი, გოჩაშვილთა განშტოების მამამთავარი გოჩა ბატონიშვილი, რომელსაც ვახუშტი ასე მოიხსენიებს: „სპასპეტი მეწინავისა გოჩა“. სომხით-საბარათიანოს სადროშოს ზემოაღნიშნული მაღალი რანგი კარგად ახასიათებს გოჩაშვილთა ფუძემდებლის სტატუსსა და უფლებრივ მდგომარეობას ქართლის სამეფოში.

დავითიშვილთა განშტოების ისტორიიდან გამომდინარე, ინტერესს იწვევს ზემო ქართლის სადროშოც [201, 53...; 317, 110]. ჩვეულებრივ, ზემო ქართლის სარდლები თავადი ამილახვრები იყვნენ, მაგრამ როგორც დავითიშვილთა ისტორიის განხილვამ გვიჩვენა, მისი მედროშე, გარკვეულ პერიოდში, კონსტანტინე დავითიშვილიც ყოფილა (იხ. ზევით). ეს ფაქტი ასევე კარგად ლაპარაკობს ქვეყანაში დავითიშვილთა სახლის წარმომადგენელთა მაღალ უფლებრივ მდგომარეობაზე; კონსტანტინე დავითიშვილს, ზემო ქართლის სარდლობიდან გამომდინარე, ევალებო-

---

[1] მოურავის „საქელოს“ შესახებ ვრცლად იხ. ივ. სურგულაძის ნაშრომი [298, 394...].

და ამ რეგიონის ციხესიმაგრეების დაცვა-პატრონობა, ჯარის ორგანიზაცია, სადროშოში შემავალ თავადთა შორის ურთიერთობების მოწესრიგება და ა.შ.

ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებებიდან, კერძოდ, მუხრან-ბატონთა და დავითიშვილთა სახლის წევრთა მიერ არაიშვიათია მოურავის ფუნქციის შესრულებაც. მოურავი სამეურნე ხასიათის მოვალეობებთან ერთად ადგილზე ადმინისტრაციულ და სასამართლო საქმიანობასაც ეწევა; იგი, ერთი მხრივ, მეურნეობის გამგე, მეორე მხრივ, ადგილობრივი ადმინისტრაციის მოხელეა. მოურავი ამა თუ იმ სოფლისათვის ინიშნება, ანუ მას გარკვეული ტერიტორიული ერთეული აქვს სამოურაოდ გადაცემული. როგორც ადგილობრივი ადმინისტრაციის მოხელე, მოურავი ადგილზე მეფის განკარგულებებს ასრულებს, უძღვება მეურნეობას, კრეფს გადასახადებს, საჭიროების შემთხვევაში ჯარს შესაბამის ადგილზე აგზავნის და ა.შ., ანუ მის მოვალეობაში ამ სამოხელეო ტერიტორიაზე სიუზერენის ყველა დავალების შესრულება შედის. ჩვეულებრივ, ისტორიულ წყაროებში მის „კელთან" ის ტერიტორიაცაა აღნიშნული, სადაც ამ მოურავის ხელისუფლება ვრცელდება, მაგ., დირბის მოურავი, მარტყოფის მოურავი და სხვ. მოურავის „საკელო" მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს, ამიტომაც, ფეოდალები ამ თანამდებობის ხელში ჩაგდებას აქტიურად ცდილობენ. ისიც კარგად ჩანს, რომ მეფე მოურავს წარჩინებულ თავადთა და აზნაურთა რიგებიდან ნიშნავს, მაგ., XVII ს. ბოლო პერიოდში დიღმის მოურავია იესე მუხრანბატონი; ადგილობრივი ადმინისტრაციის მოხელეები, ანუ სამეფო მოურავები ჩანან დავითიშვილთა განშტოების წარმომადგენლებიც, კერძოდ, დირბისა და ახალდაბის მოურავებად მოიხსენიებიან დავით და ელიზბარ დავითიშვილები; დავითიშვილთა სახლისათვის დირბის მოურავობა სავსებით ლოგიკურია — ისინი ამ რეგიონში მოსახლეობენ და „აქა ანბავი თვალდამწვრიანთა"-ს მიხედვით, კახეთიდან ქართლში გადმოსულთა მათ პირველ სამფლობელოსაც სწორედ დირბი წარმოადგენს. მოვიყვანოთ ერთ-ერთი მაგალითი: დირბის მოურავ ელიზბარ დავითიშვილისადმი ბაქარ მეფის მიერ გაგზავნილ წიგნში აღნიშნულია: „ეს ჩვენი ბრძანება არის დირბის მოურავო დავითიშვილო ელიზბარ, მერმე რაც დირბის გამოსაღები და რაც ნივთისა გამოსაღები გამოვ-

იდოდეს ყველას გაჰყოფდე, ორს წილს პაპა სერგოს მისცემდე, რომე მონასტერში გაგზავნიდეს და მოახმარდეს და ერთს წილს ჯვრის მამას მისცემდე. იმას დასჯერდეს თავისთვის მოიხმაროს, გლეხის დარბევას დაეხსნას, რაც სამართლიანი გამოსაღები იყოს, იმას გამოართმევდეს" [78, 176].

მოურავი ქალაქთა მთავარი მოხელეც იყო; თბილისში მოურავის „საკელო" XVII ს. I ნახევრიდან საბოლოოდ იმარჯვებს. მსხვილი ქალაქების მოურაობა დიდ თანამდებობას წარმოადგენს, ამიტომ ამ თანამდებობებზე შესაბამისად წარჩინებული ფეოდალები ინიშნებიან. მისი ბრძანებების შესრულება ქალაქის ყველა მცხოვრების ვალდებულებად ითვლება. თბილისის მოურავს დარბაზის სხდომაზე დასწრების უფლებაც ჰქონდა. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივი ჩანს მუხრანბატონთა მიერ ამ „საკელოს" ფლობა — ქაიხოსრო მუხრანბატონი ქალაქის მოურავად იწოდება, თბილისის მოურავია კონსტანტინე II მუხრანბატონიც.

XVIII ს. II ნახევრის დავითიშვილთა საგვარეულო განშტოების ისტორიის კვლევისას ხშირად გვხვდება ივანე დავითიშვილის პიროვნება. ამჯერად, ჩვენს ყურადღებას იქცევს ისტორიულ წყაროებში მისი „ნაცვალის" თანამდებობის მქონე მოხელედ მოხსენიება — 1754 წ. 9 იანვრის თამასუქში, რომელიც მიცემულია სოლომონ აბაზაძის მიერ ავთანდილ ფავლენისშვილისადმი, იგი მოწმედ გამოდის და იწოდება როგორც „სურამის ნაცვალი": „არის ამის მოწამე სურამის ნაცვალი დავითისშვილი ივანე..." [92, 38]. ნაცვალი ადგილობრივი ადმინისტრაციის მოხელე იყო, მის უფროსს მოურავი წარმოადგენდა (მოურავის მოადგილედ ითვლებოდა).

ბაგრატიონთა სამეფო სახლის საგვარეულო განშტოებათა წევრებს უკავიათ რა მაღალი სახელმწიფო თანამდებობები, თავად ჰყავთ საკუთარი მოხელენი: სახლთუხუცესები, მდივან-მწიგნობრები, მოურავები, მამასახლისები... მაგ., დავითიშვილებს, რომლებიც თვითონ არიან ბოქაულთუხუცესნი თუ მოურავები, თავიანთ სათავადოს შესაბამისი აპარატით მართავენ: მაგ., სახლთუხუცესი ოთარ რიკაძე, სახლთუხუცესი ლევან რიკაძე... [107, 296, 338-339]. შესაძლებელია, რომ გარკვეულ პერიოდში სადავითიშვილოს სახლთუხუცესობა რიკაძეთა გვარის მემკვიდრეობით „საკელოსაც" კი წარმოადგენს.

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნულ „საკელოთა“ რანგი და მათი ფლობა კარგად ახასიათებს ბაგრატიონთა სამეფო სახლის სხვადასხვა განშტოების წარმომადგენელთა სტატუსსა და უფლებრივ მდგომარეობას XVI-XVIII სს-ის ქართულ სამეფოებში.

3. ბატონიშვილობის საკითხი და ქვეყანა სავახტანგო

სავახტანგოს წარმოშობა უშუალოდაა დაკავშირებული ბატონიშვილობის საკითხისა და სამეფო საგვარეულოში ბაგრატიონობა-შენარჩუნებული ერთ-ერთი გვერდითი შტოს არსებობის ფაქტთან. მისი ისტორია ცალკე კვლევის საგანი არასოდეს გამხდარა. ნ. ბერძენიშვილი სავახტანგოს „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელოთა შორის ასახელებს, მაგრამ როდის არის იგი წარმოშობილი, რა პირობებში და რომელი ვახტანგის სახელს უკავშირდება, ამაზე დიდი ისტორიკოსი საგანგებოდ არ ჩერდება. მხოლოდ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნ. ბერძენიშვილი სავახტანგოს წარმოშობას ალექსანდრე I დიდის შვილის – ვახტანგ IV სახელს უკავშირებს, რომელიც, მისი აზრით, XV ს-ის გარკვეულ პერიოდში „პროვინციის მეფე“ უნდა ყოფილიყო [350, 86].

ლიახვის ხეობის სიძველეთა განხილვისას ი. მეგრელიძე ფიქრობს, რომ რუსეთს მიმავალი ვახტანგ VI თავისი ამალითურთ ამ მხარეში შეჩერდა, რის გამოც ხეობის ერთ ნაწილს სავახტანგო ეწოდა [260, 69]. ვ. ცინცაძეს გარკვეული ეჭვი შეაქვს იმის შესაძლებლობაში, რომ რუსეთს გამგზავრებისას ვახტანგ VI აქ, კერძოდ, საბაწმინდისათვის შეეფარებინა თავი, მაგრამ თუ ამას მაინც ჰქონდა ადგილი, მაშინ მიუთითებს კოშკზეც, რომელიც მეფის დროებით სადგომად შეიძლება გამოყენებულიყო [330, 233-234]. თირში კანკელის წინ მდებარე საფლავის ეპიტაფიის შინაარსით ვგებულობთ, რომ ვახტანგ VI „რაოდენთამე წელთა“ ყოფილა „სამკვიდროსა მამულსა“ თირში, აქ გარდაცვლია შვილი ბატონიშვილი როსტომი, რომელიც მონასტერშივე დაუსაფლავებია [164, 46]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ რადგან ვახტანგ VI ამ რეგიონში სამკვიდრო-სახასო მამულები ჰქონდა და რამდენიმე წელი თვითონვე უცხოვრია, ამიტომ აღნიშნულ რეგიონს სავახტანგო ეწოდა [209, 48]; ასევე თვლის კ. ხარაძეც [337, 138].

ვფიქრობთ, სავახტანგოს ვახტანგ VI დაკავშირება არ უნდა იყოს

სწორი: პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიული წყაროებით სავახტანგოს არსებობა წინ უსწრებს ვახტანგ VI მეფობის ხანას. მასზე ცნობებს უკვე 1626-1629 წწ. ამბებთან დაკავშირებით ვხვდებით, როცა ზურაბ ერისთავმა სიმონ მეფეს „ზოგზოგი სავახტანგო სოფლები“ მისცა [116, 236], ან XVII ს-ის 50-იანი წლები – როცა როსტომ მეფემ ვახტანგ V იშვილა, მას საუფლისწულოდ „ზოგი სავახტანგო“ უბოძა [135, 106]. ამდენად, ასეთი ცნობები გამორიცხავენ სავახტანგოს ვახტანგ VI სახელთან დაკავშირებას. ამავე დროს, ვახუშტის ნაშრომში დაცული სოფლების სიის მიხედვით, სავახტანგოში შედის: შინდისი, ტირძნისი, ვანათი, მარალეთი, ინაური, ყლარცვი, მეფარეთი, გერი [81, 201] – თუ ამ რეგიონს ვახტანგ VI გამო იმიტომ ეწოდა ეს სახელი, რომ თირი მისი სამკვიდრო მამულია, მაშინ რატომ არ შედის იგი სავახტანგოს სოფელთა სიაში [276]?! ეჭვს ისიც აღვივებს, რომ ვახტანგ VI შვილი – ვახუშტი ბატონიშვილი არსად ერთხელაც კი არ აღნიშნავს თავისი მამის სავახტანგოსთან კავშირს. მხედველობაში ისიცაა მისაღები, რომ ამ მხარეში ვახტანგ VI დროებითი შეჩერება ვერ გახდებოდა ისეთი რეგიონის წარმოქმნის მიზეზი, როგორიც სავახტანგოა.

დგება საკითხი – როდის, რა დროს უნდა წარმოქმნილიყო და ვის სახელს უკავშირდება მისი ჩამოყალიბება:

ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგადაა ცნობილი, რომ სიმონ I დიდის ალამუთის ციხეში ტყვეობის პერიოდში ქართლის დედოფალსა და გიორგი ბატონიშვილს, ვახტანგ მუხრანბატონთან ერთად, განსაკუთრებით ბარძიმ ამილახვარმა და ელიზბარ ქსნის ერისთავმა უღალატეს და „წარუხუნეს სრულიად ქონებანი“ [82, 409; 76, 369]. ბერი ეგნატაშვილთან და ქართულ ისტორიოგრაფიაშიც ხაზგასმულია, რომ მოწინააღმდეგეებმა სიმონ მეფის ტყვეობა „რა ნახეს“, აჯანყებისათვის „დრო იცეს“; მაგრამ ნაკლები ყურადღება ექცევა მეორე მომენტს: როგორც ჩვენ მიერ იყო აღნიშნული, სიმონ მეფის თანამეცხედრის – ნესტან-დარეჯანის ძმები, რომელიც ლევან მეფეს შეეძინა შამხლის ასულისაგან, აქტიურ ბრძოლას აწარმოებენ მათი ნახევარძმის – ალექსანდრე II კახთა მეფის წინააღმდეგ. სიმონ დიდის ტყვეობის მიუხედავად, დედოფალ ნესტან-დარეჯანს, მისი ძმების მხარდაჭერის წყალობით, საკმაოდ ძლიერი პოზიციები ჰქონდა. მოწი-

ნააღმდეგეთა ბანაკი, ბუნებრივია, საპირისპირო ნაბიჯს დგამს, მაგ., მათი ერთ-ერთი ხელმძღვანელი თვით ალექსანდრე კახთა მეფეს უმოყვრდება — ვახუშტით, კახთ ბატონს „მოეყვანა ასული ბარძიმ ამილახორისა ცოლად". მეფე ალექსანდრემ ტახტისათვის ბრძოლაში მოკლა „ორნივე ძმანი ელიმირზონ და ხოსრო-მირზა, და ძმისწულნი", რის გამოც ქართლისა და კახეთის ტახტებს შორის განსაკუთრებული „შური" ჩამოვარდა [73, 526]. სწორედ ამ მომენტით ისარგებლეს ქსნის ერისთავმა და ამილახორმა და „ოდეს დაიდასტურეს" მეფის „ტყეობა" და „სიკუდილი ცოლის ძმებისა მისისა", იავარ-ჰყვეს დედოფალ ნესტან-დარეჯანის საუნჯენი [73, 515]. ძმების დაღუპვა და ალექსანდრე კახთა მეფის გამეფება 1574/75 წწ. ხდება, ამიტომ ნესტან-დარეჯანისა და სიმონ დიდის ტახტის წინააღმდეგ შეთქმულებას ამ დროსვე აქვს ადგილი და არა სიმონ მეფის პირველად დატყვევების წელს, კერძოდ, 1569 წ.

ტყვეობიდან დაბრუნებული (1578 წ.) სიმონ I დიდი პირველ რიგში მოღალატეებს გაუსწორდა — „ზოგნი მეფეს დავითს თან გაჰყუნენ ურუმში და ზოგნი იმერეთს და კახეთს გარდაიხვეწეს" [135, 53; 73, 524]; ამილახორი და ქსნის ერისთავიც „ქართლში ვეღარ დადგნენ, ჯალაბობით გაეცალნეს და კახს ბატონს შეეხვეწნეს და მეფემ სვიმონ იმათი ალაგი და სოფლები საუფატიოთ ბატონს დედოფალს მიართვა და ზოგი თავის ძმას ბატონიშვილს ვახტანგს მისცა" [116, 219-220] (თუ გავითვალისწინებთ ზემოაღწერილ სიტუაციას და ბარძიმ ამილახვრის კახთა მეფესთან ნათესაობას, მაშინ ნათელი ხდება, რომ მათი კახეთში გადასვლა შემთხვევითი არ არის). ბერი ეგნატაშვილთან მათთვის ჩამორთმეული ზოგიერთი მამული — „სრულიად მინატაცი და სხუანიცა მრავალნი" კონკრეტულადაც არის აღნიშნული: ქსნის ერისთავისაგან — მეჯუდისხევი და ახალგორი, ხოლო ამილახორისაგან კარბი და კასპი [76, 372].

ჩვენს ყურადღებას იქცევს სიმონ დიდის ძმის — ვახტანგ ბატონიშვილისათვის ამილახორისა და ქსნის ერისთავების მამულებიდან „ალაგისა და სოფლების" ერთი ნაწილის გადაცემა. ასევე საყურადღებოა, რომ ვახუშტის დროინდელი მოგვიანო ხანის დამცრობილი სავახტანგო მაინცდამაინც ქსნის საერისთავოსა და საამილახვროს მამულების ნაწილს მოიცავს; ამიტომ, ხომ არ უნდა დავინახოთ

ფარსადან გორგიჯანიძის ცნობაში — ვახტანგ ბატონიშვილისათვის ამ მამულებიდან ერთი ნაწილის გადაცემაში სავახტანგოს წარმოშობის ფაქტი?! ბუნებრივია, დაისვას საკითხი: რა ვიცით ამ ვახტანგის შესახებ და რამდენად შესაძლებელია იგი სავახტანგოს პირველი პატრონი იყოს:

ლურასაბ I ძის — ვახტანგ ბატონიშვილის შესახებ მოგვითხრობს როგორც „ქართლის ცხოვრება" და ვახუშტი, ისე იმ ეპოქის სიგელ-გუჯრები, საიდანაც იგი ძლიერი და საკმაოდ გავლენის მქონე პოლიტიკური ფიგურა ჩანს; ჩვენამდე მოაღწია რამდენიმე დოკუმენტმა, რომელიც თავად ვახტანგ ბატონიშვილის მიერაა დამტკიცებული — 1567 წ. სიგელი სიმონ მეფისა ქვათახევისადმი [119, 408-409] და 1573 წ. წყალობის წიგნი გედეონ ელიოზისძისადმი [122, 194-195]. ისტორიული ცნობებით, ვახტანგი სიმონ დიდის ტახტის ძლიერებისათვის მებრძოლი და მეფის გვერდზე მდგომი ერთგული ბატონიშვილია. როგორც ირკვევა, იგი ასეთი პოლიტიკის გამტარებლად სიმონ მეფის ტყვეობის პერიოდშიც რჩება. ცნობილია, რომ ამ დროს ქართლის „გამგებელი" ვახტანგ მუხრანბატონი გახდა. რ. ბურჭულაძის აზრით, რადგან ქართლის „გამგებელი" სიმონის უფრო შორეული ნათესავი — მუხრანბატონია და არა მეფის ძმა — ვახტანგ ბატონიშვილი, ამიტომ იგი დატყვევებულად და სიმონთან ერთად ირანში ტყვეობაში მყოფად უნდა მივიჩნიოთ [191, 140].

ვითვალისწინებთ რა XVI ს. 60-70-იანი წლების ქართლის სამეფოში შექმნილ ვითარებას, ვფიქრობთ, არაა აუცილებელი ვახტანგი ალამუთის ტყვეობაში მყოფად მივიჩნიოთ: მაგ., 1574 წ. წყალობის წიგნი ნიკოლოზ კათალიკოსისა პატრონ ვახტანგისადმი [124, 277-278], სადაც ლაპარაკია კათალიკოსის მიერ მისთვის ყურისუბნის სანაცვლოდ საკმაოდ ვრცელი მამულების გადაცემის თაობაზე. ამ წელს სიმონ მეფე ტყვეობაშია, ვახტანგ ბატონიშვილი კი, როგორც ვხედავთ, ქართლშია და საკმაო გავლენითაც სარგებლობს. ვახტანგ მუხრანბატონმა ქართლის „გამგეობა" ძალით იგდო ხელში — ტახტისა და სამეფო ოჯახისათვის მას ანგარიში არ გაუწევია. ვახტანგმა „მეფის" ტიტული ვეღარ დაიჩემა (განსხვავებით „პროვინციის მეფეებისაგან") და იყო „უფლისწულობით, ვითარცა-ცა განმგე ქართლისა"; ახალ „გამგებელს" გვერდით სწორედ ბარძიმ ამილახვარი და ელიზბარ

ქსნის ერისთავი ედგნენ [82, 410]. ვახტანგ მუხრანბატონს ძალაუფლება ძალით ჩაუგდია, ამიტომ როგორღა შეძლებდა ვახტანგ ბატონიშვილი ქართლის „გამგე“ გამხდარიყო?!

ვახტანგ მუხრანბატონის, ელიზბარ ქსნის ერისთავისა და ბარძიმ ამილახვარის ბანაკს ძლიერი ოპოზიცია უპირისპირდება — ნესტან-დარეჯანსა და გიორგი ბატონიშვილს გვერდში უდგანან სიმონის ტახტის პოლიტიკის გამტარებელი მისი ძმები — ბატონიშვილები ვახტანგი და ალექსანდრე (მასზე ზევით უკვე ვრცლად გვქონდა საუბარი). მათი საჭიროება 1574 წ. ელიმირზონისა და ხოსრო-მირზას დახოცვის შემდეგ განსაკუთრებით იზრდება. ამ პერიოდის საბუთებიდან ჩანს, რომ ალექსანდრე და ვახტანგ ბატონიშვილები ბოლომდე ერთგულნი დარჩნენ დედოფლისა და სიმონ მეფის ძის — გიორგი უფლისწულის; მათ ერთიანი ძალებით უწარმოებიათ სიმონ დიდისათვის ხელშემწყობი პოლიტიკა. ისინი ჯერ კიდევ სიმონის ტყვეობამდე ჩანან მის გვერდზე, მასთან ერთად ამტკიცებენ სამეფო სიგელებს, მაგრამ რაც ბატონიშვილობის საკითხის მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა, ძმები სიმონ დიდის ტყვეობის შემდეგაც აგრძელებენ სიმონის პოლიტიკას — მიმართავენ სხვადასხვა ღონისძიებებს და მათთვის იურიდიული სტატუსის მისაცემად, სამეფო დოკუმენტებს დატყვევებული სიმონ მეფის სახელით გამოსცემენ: მაგ., 1573 წ. წყალობის წიგნი გედეონ ელიოზისძისადმი [122, 194-195]: ამ წელს სიმონ მეფე ალამუთშია, თუმცა მიუხედავად ამისა, სიგელი მისი სახელით არის გაცემული, რასაც ვახტანგ და ალექსანდრე ბატონიშვილები აკეთებენ. ასევეა ნიკოლიზ კათალიკოსის პატრონ ვახტანგისადმი ზემოაღნიშნულ წყალობის წიგნში, რომელში დაცული აქტიც სიმონ მეფისა და დედოფალ ნესტან-დარეჯანის „კითხვითა, მოწმობითა და ბრძანებით“ ფორმდება [124, 277-278]. მსგავსი ვითარებაა 1570 წ. სიგელის შემთხვევაშიც [262, 37-43].

აქედან გამომდინარე, არ მართლდება აღნიშვნა, რომ 1582 წ. 7/12 მარტის გორის ციხისა და ოქონის ხატის დეკანოზობისა და სადეკანოზოს განახლების წიგნის სიმონ მეფესთან ერთად გამცემი მეფის ძმა — ვახტანგი თითქოს სხვა სიგელებში არ ფიგურირებს. პირიქით, ვახტანგ ბატონიშვილი სიგელთა გამცემად და მათ მამტკიცებლადაა აღნიშნული როგორც მოხსენიებულ საბუთებში, ისე 1582 წ. სიგელის

შემთხვევაშიც [217, 23]. ვფიქრობთ, მათში სიმონ დიდის გვერდზე ვახტანგის მოხსენიება და ერთად განახლების წიგნის გაცემა არა თუ მოულოდნელი, არამედ კანონზომიერიცაა.

ვახტანგ ბატონიშვილი რომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურაა, ჩანს სხვა საინტერესო ცნობებითაც: 1588 წ. სიმონ მეფის მოქნილი პოლიტიკის შედეგად, ოსმალეთი იძულებული გახდა ქართლის სამეფოსთან ზავი დაედო. მან საზავო პირობების ფერჰად ფაშასთან შეთანხმების შემდეგ, რატიფიკაციის მიზნით ელჩები სტამბოლში გაგზავნა. სწორედ ამ დიპლომატიური მისიის მეთაურია სიმონ დიდის ძმა – ვახტანგ ბატონიშვილი, რომელსაც თან გიორგი სააკაძის მამა სიაუშ სააკაძე ახლდა. ვახტანგი და მისი თანმხლებნი სტამბოლში დიდი პატივით მიუღიათ; როგორც ჩანს, მათ მეფის იმედები გაუმართლებიათ, რადგან ელჩობა წარმატებით დასრულდა. მის აქტიურ მოღვაწეობას ადასტურებს ფარსადან გორგიჯანიძის ცნობებიც: 1599 წ. სიმონ მეფის მიერ გორის ციხის აღების შემდეგ, მესხნი და „ურუმნი“ მეფეს „უვნებლობას შემოეხვეწნეს“ – „მეფემ შეიხვეწია და თავის ძმის ვახტანგის ბატონის შვილის ხელით შანა გაუგზავნეს და ფიცი და პირი მისცეს“ [116, 221]. ვახტანგის პიროვნების დასახასიათებლად საინტერესოა იქვე მეორე ცნობაც: სიმონმა „რაც ციხეში იყო, ზოგი ლაშქართ დაუყო და რაც ხონთქრისა იყო ციხეში, მეფემან თავის ძმას ვახტანგს უბრძანა რომ სამეფოდ წაიღოს“.

ქართლის სამეფოში ვახტანგ ბატონიშვილის სტატუსზე კარგად მეტყველებს ნიკოლოზ კათალიკოსის 1574 წ. წყალობის წიგნით მისდამი ბოძებული მამულების საკმაოდ დიდი მოცულობა ან დომენტი კათალიკოსის ვახტანგის პიროვნებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება, რომელიც 1595 წ. წყალობის წიგნში კარგად ვლინდება [124, 348]; კათალიკოსს მის სახელზე სვეტიცხოველში აღაპიც კი განუწესებია.

ვფიქრობთ, სავახტანგოს წარმოშობა სწორედ სიმონ I დიდის ძმის ვახტანგ ბატონიშვილის სახელს უკავშირდება, რაც ამ პერიოდის ბატონიშვილობის საკითხს საინტერესო კუთხით წარმოაჩენს.

რა ვიცით ვახტანგ ბატონიშვილის ოჯახისა და მის შთამომავალთა შესახებ: 1595 წ. საბუთით ცნობილია, რომ მისი თან-

ამეცხედრეა თინათინი [59]; რ. ჯუმბურიძემ ყურადღება მიაქცია ინგლისელთა 1627 წ. ელჩობის მონაწილე თომას ჰერბერტის ცნობას, რომელშიც ფარსის ბეგლარბეგის იმამყული-ხანის მიერ შირაზში ინგლისელთა საპატივცემულოდ გამართულ დიდ ელჩობაში დამსწრეთა შორის დასახელებულია Threbis-carn-ი, საქართველოს უფლისწული, ბრწყინვალე და ქრისტიანობისადმი ერთგული პიროვნება. მკვლევარმა დამაჯერებლად უარყო მისი კახეთის მეფე თეიმურაზთან გაიგივება (ასე ფიქრობდა ზ. ავალიშვილი) და იგი სიმონ დიდის ძმის ვახტანგის შვილად — თეიმურაზ ბატონიშვილად მიიჩნია [191, 136]. ამავე პრობლემასთან, ანუ თეიმურაზის წარმომავლობასთანაა დაკავშირებული როსტომ მეფის შვილობილის — ლუარსაბის საკითხი, რომელიც ასევე საინტერესოა ბატონიშვილობისა და ტახტის მემკვიდრეობითობის თვალსაზრით:

როსტომ მეფე უშვილობის გამო ამბობდა: „ქართველნი ჩემის უშვილობისათვის და უნათესაობისათვის ურჩობენ და ავკაცობენ, რომ ჩემს საბოლოს ვერა ჴედვენო“ [116, 249]; ქართლის თავადები მართლაც ეუბნებიან როსტომს: „ამისთვის საქართველო არ წყნარდებისო, რომ შვილი, ძმა და ახლო ნათესავნი არა გყვანანო და თქვენს საბოლოს ვერა ჴედვენო. ამისათვის მალე აიშლებიან და სხვას ბატონს ეძებენო“ [116, 246]. აქ თვალნათლივ ჩანს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ასეთ ვითარებაში ე.წ. ბატონიშვილობის საკითხს. როსტომმა გიორგი იმერთა მეფის ვაჟის — მამუკას შვილება გადაწყვიტა, რაც თავადთა შეთქმულების გამომჟღავნებამ ჩაშალა (მათ მეფის მოკვლა და მამუკას გამეფება უნდოდათ). სწორედ ამის შემდეგ განიზრახა როსტომმა ლუარსაბის თავის მემკვიდრედ გამოცხადება.

ლუარსაბის ტახტის მემკვიდრეობის საკითხთან დაკავშირებით ისტორიულ წყაროებში ჩვენთვის საინტერესო თეიმურაზ ბატონიშვილის სახელიც ამოტივტივდა. ამ ცნობათა ერთი ნაწილი ბაგრატიონთა სახლის აღნიშნული გვერდითი შტოს გენეალოგიის შესახებ არასწორ ინფორმაციას შეიცავს, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში მცდარი შეხედულების შემუშავების მიზეზი გახდა:

ვახუშტის ცნობით, როსტომ მეფეს „გარნა არა ესუა შვილი და შვილად თჳსად მოიყვანა ისპაანიდამ სჳმონ მეფის ძის ვახტანგის ძე ლუარსაბ და ესე ჰყო ძედ თჳსად“ [82, 444], რაც სწორი არაა;

რომც არ ვიცოდეთ ამ ლუარსაბის წარმომავლობა, ისედაც სიმონ მეფის ძის — ვახტანგის შვილი ლუარსაბი ისტორიული წყაროებით არ დასტურდება. ასევე მცდარი ინფორმაციაა დაცული დოკუმენტში — „მოკლედ მოთხრობა ქართლისა მეფეთათჳს ბაგრატოვანთა...", სადაც აღნიშნულია: „ხოლო მეფესა როსტომს არა ესვა შვილი, ამისათვის მოიყვანა შვილად თჳსად ისპაანიდამ მეფის სიმეონ მეორის ძმისწულის ვახტანგის ძე ლუარსაბ" [105, 242]. „პირთა ანოტირებული ლექსიკონით", როსტომის ნაშვილები ლუარსაბის წარმავლობა საერთოდ არ ჩანს [102, 768-770]; მ. ქავთარიას აზრით, ისპაჰანიდან როსტომმა შვილობილად მოიყვანა სიმონ მეფის ძის ვახტანგის ძე ლუარსაბი, რაც ასევე არასწორია [318, 198].

ასეთ ცნობათა საპირისპიროდ, ბერი ეგნატაშვილთან ვკითხულობთ: როსტომმა „წარავლინა კაცი ისპაანს და მოიყვანეს სპარსეთით ძისა ვახტანგის თეიმურაზის ძე ლუარსაბ, რომელი დაშთა სპარსთა შინა" [76, 427-428]. სწორია, რომ ლუარსაბი არის ვახტანგის ძის — თეიმურაზის შვილი, მაგრამ არაა დაზუსტებული თავად ვახტანგის წარმომავლობა. საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცული 1808 წლით დათარიღებული ხელნაწერით (№104), მისი უცნობი ავტორი ასევე არ ეთანხმება ვახუშტის და აღნიშნავს, რომ ლუარსაბი არა სიმონ მეფის შვილის, არამედ მეფის ძმის ჩამომავალია [82, 446, სქ.1].

ამ საკითხს საბოლოოდ ფარსადან გორგიჯანიძე და ვახტანგ VI არკვევენ:

ფარსადან გორგიჯანიძესთან დაცულ შაჰისადმი როსტომის თხოვნაში ლუარსაბი მისი „ბიძაშვილის" თეიმურაზ-მირზას ძედაა მოხსენიებული [116, 249]. თეიმურაზი კი მხოლოდ როსტომის ბიძის ვახტანგის (სიმონ დიდის ძმის) შვილი შეიძლება იყო (ბიძად შეიძლებოდა სიმონ მეფის აღნიშვნაც, მაგრამ მას შვილი — თეიმურაზი არ ჰყავს); სხვა ადგილას ასევე აღნიშნულია, რომ ლუარსაბი „ვახტანგის შვილის თეიმურაზ მირზას შვილი იყო" [116, 260]; ფარსადან გორგიჯანიძე იქვე ხაზგასმით მიუთითებს, რომ ლუარსაბის პაპა ვახტანგია [116, 262].

ამ აზრს საბოლოოდ ადასტურებს ვახტანგ VI მიერ შედგენილი ბაგრატიონთა ზემოაღნიშნული გენეალოგიური ხე:



ამდენად, როსტომ მეფეს ამ თეიმურაზ-მირზას ვაჟის თავის მემკვიდრედ გამოცხადება გადაუწყვეტია — მას კი სამი შვილი ჰყავდა: „ჩემს ბიძაშვილს თეიმურაზ მირზას სამნი შვილნი ჰყვანანო და რომელსაც პაპის ჩემის ლვარსაბი საკელი ჰქვიანო, ის შვილად გვიბოძეთო, რომ ჩვენს უკან ქართველთ საბატონოთ ეგულვებოდეს", — ითხოვს შაჰისაგან როსტომ მეფე; პასუხში აღნიშნულია: „შენის ბიძაშვილის თეიმურაზ მირზას შვილი ლვარსაბ შენთვის შვილად გეთხოვნათ, გამოგვიგზავნიაო და ქართველთათვის გვიბრძანებიაო, რომ უფლისწულად და თქვენად შვილად მიაჩნდესო და თქვენს უკან ქართლის მეფობა მაგისათვის მიგვიცემიაო" [116, 249, 250]. აქ კარგად იკვეთება ბატონიშვილობის საკითხის სიმწვავე და მისი მნიშვნელობა.

ამდენად, თომას ჰერბერტთან დასახელებული თეიმურაზ უფლისწული სავახტანგოს საფუძვლის ჩამყრელის — ვახტანგ ბატონიშვილის ვაჟია; საინტერესოა, მისი თანამეცხედრის საკითხი: „პარიზის ქრონიკაში" დაცულია ქართული ისტორიოგრაფიისათვის ნაკლებად ცნობილი ფაქტი, რომელიც ბაგრატიონთა სამეფო სახლის საგვარეულო განშტოებათა ისტორიის თვალსაზრისითაა განსაკუთრებით საინტერესო — სიმონ დიდის ძმის ვახტანგისა და მისი შვილის თეიმურაზ-მირზას ეს გვერდითი შტო სამეფო საგვარეულოს ერთ-ერთ განშტოებას — დავ-

ითიშვილებს დანათესავებია: როცა 1652 წ. როსტომ მეფემ ნადირობისას შვილობილი ლუარსაბის მარცხი გაიგო, „მეფემ ფიცხლავ ელისბარ ბოქაულთუხუცესი, ამავ ბატონიშვილის დედის ძმა, ჩაფრათ გაისტუმრა და ჯარი თან გაატანა და თვითანაც ცხენს შეჯდა და წაბრძანდა, ცოცხალს მიუსწრა“ [135, 103]; იმავეს აღნიშნავს ფარსადან გორგიჯანიძეც, რომ ელიზბარ დავითიშვილი იყო „იმავე ბატონიშვილის (ლუარსაბი, — დ.ნ.) დედის ძმა“ [116, 263]. ამდენად, თეიმურაზ-მირზას თანამეცხედრე და როსტომის ნაშვილები ლუარსაბის დედა ერთ დროს ბაგრატიონთა, ახლა უკვე დავითიშვილების, კერძოდ, ცნობილი პირის — ელიზბარ ბოქაულთუხუცესი დავითიშვილის და ყოფილა.

1642 წ. ლუარსაბი „ისუა ძედ თჳსად მეფემან როსტომ“ და „ადამ სულთნის ქალს თამარსთან გასაკვირველი და საკელოანი ქორწილი უყო“ [116, 260]; ამ ფაქტს ბევრი უკმაყოფილებით შეხვდა, როგორც თავადთა, ისე ბაგრატიონთა გვერდითი შტოსა თუ საგვარეულო განშტოების წარმომადგენელთა შორის, მაგ., ზემოაღნიშნული გიორგი გოჩაშვილი, რაც კარგად ავლენს ბატონიშვილობის საკითხის სიმწვავეს. თავადთა შიშში საინტერესო ინფორმაცია აისახა სავახტანგოსთან დაკავშირებითაც — ქართლის თავადები ჩივიან: „ჩვენი მეფე ბერი და უშვილო არისო და ლვარსაბ ბატონიშვილიო თავისთვის შვილად და ჩვენად საბატონოთ მოიყვანაო და საქართველოს თავადებსაო ყველას მაგისის პაპის ვახტანგის მამული გვიჭირავსო და რა გაბატონდებაო, ყველას წაგვართვამსო და თვის შვილს საუფლისწუნოთ მისცემსო“ [116, 262]. საინტერესოა ლუარსაბის მფლობელობის საკითხიც: ხაზგასასმელია, რომ იგი 1652 წ. სიგელში „მეფედაც“ კი იწოდება [65]; მოღწეულია არაერთი საბუთი, რომლის მიხედვითაც, მან სხვადასხვა მამულების წყალობა თუ დამტკიცება გააკეთა, იგი მონაწილეობს და არჩევს დავის საკითხებს [55; 39; 60]; ჩანს მისი გარკვეულ პოლიტიკურ საკითხებში აქტიურობაც — მაგ., როსტომ მეფეს ლუარსაბის მეთაურობით ლაშქარი გაუგზავნია იმერეთში [35]. ვფიქრობთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი გარკვეულ პერიოდში „მეფის“ ტიტულით მოღვაწეობს. სავარაუდოა, შექმნილი დინასტიური ვითარების გამო, როსტომს ეს წოდება შვილობილისათვის თავად მიენიჭებინა, რათა მის შემდეგ ლუარსაბისათვის ტახტზე ასასვლელად ნიადაგი მოემზადებინა; შესაძლებელია, თანამოსაყდრეობის მაგ-

ვარ მოვლენასთანაც გვქონდეს საქმე, რაც გამწვავებული ბატონიშვილობის საკითხისა და ტახტის მემკვიდრეობის მხრივ შექმნილი გართულებული მდგომარეობის გარკვეული გამოძახილია. როგორც ჩანს, ამას ისიც ემატება, რომ როსტომის „ძედ მისა წოდებული“ ლუარსაბ ბატონიშვილი თავისი პირადი თვისებებით ბოლომდე ვერ აკმაყოფილებს ტახტის მემკვიდრისათვის აუცილებელ თვისებებს: „ხოლო იყო სულელ და ხელ და აღტაცებულ გონებითა, რომელი არა შუენის ძეთა მეფისა საქართველოსათა, და ზრდიდენ და სწურთნიდენ კეთილად...“ [76, 428]. 1652 წ. ზემოაღნიშნული სიგელითვე ცნობილი ხდება, რომ ლუარსაბს ჰყოლია თანამეცხედრე თამარი და შვილი გიორგი; ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების თანახმად, თამარი ადამ-სულთან ანდრონიკაშვილის ქალია [116, 260].

ქართლის თავადების ჩივილის მიხედვით, ლუარსაბის პაპას — ვახტანგს ისეთი სიდიდის მფლობელობა ჰქონია, რომ როსტომის ეპოქაში ქართლის დიდ ფეოდალთა ნაწილი სწორედ ამ მამულების პატრონია, ამიტომაც ეშინიათ („საქართველოს თავადებსაო ყველას მაგისის პაპის ვახტანგის მამული გვიჭირავსო და რა გაბატონდებაო, ყველას წაგვართვამსო...“). გამოდის, რომ თავდაპირველ სავახტანგოს სწორედ ეს — „ვახტანგის მამული“ წარმოადგენს.

1652 წ. ლუარსაბ ბატონიშვილი ნადირობისას გაურკვეველ ვითარებას დაიღუპა; არსებობდა ეჭვი, რომ იგი შეთქმულებმა სპეციალურად მოკლეს[1], როგორც ჩანს, ტახტის მემკვიდრეობითობისა და ბატონიშვილობის საკითხის სიმწვავის გამო (ზოგიერთი პირი დაპატიმრებულიც კი ყოფილა). ამის შემდეგ, როსტომმა ლუარსაბის ძმის — ვახტანგის შვილება გადაწყვიტა, რისი თვითმხილველიც თავად ფარსადან გორგიჯანიძე ყოფილა: როსტომმა ირანს „ვახტანგ თავისის ბიძის ვახტანგის შვილის თეიმურაზ მირზის შვილი ვახტანგ შვილად სთხოვა“, რომელიც „ყაზმინს მოვრავად იჯდა“; ამაზე ლუარსაბისა და ვახტანგის დედამ — თეიმურაზ-მირზას მეუღლემ უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა (როგორც გავარკვიეთ, იგი ელიზბარ ბოქაულთუხუცეს დავითიშვილის დაა), მას უთქვამს: როსტომმა „უფროსი შვილი წამგვარაო და მამიკლესო, ახლა შენც (ვახტანგი, — დ.ნ.) წაგიყვანოსო, მე შენის მეტი არსად არა გამაჩნია რაო, მე შენ არსად გაგიშვებო...“ მან თვითონ გადაწყვიტა

[1] იხ., ვახუშტის ტექსტში 1808 წ. ნუსხის შენიშვნა [82, 444-445].

ყაენთან წასვლა, რათა „ან როსტომ მეფის სიცოცხლეში საქართველო შენ მოგცესო და ან საქართველოს სიახლოესაო ერთი საბატო მოგცესო, რომ როსტომ მეფის ქელის შემქედავი არ იყოთო...“ [116, 265] („პარიზის ქრონიკაში“ დაცულია ერთი ნიუანსი — ვახტანგის შვილებასთან დაკავშირებით როსტომს უთქვამს: „... თავის ძმის (ლუარსაბის, — დ.ნ.) ცოლს მივსცემო“ [135, 104-105], ანუ ლაპარაკია თამარ ანდრონიკაშვილზე). როსტომ მეფეს მოხსენდა, რომ მას ლუარსაბის მოკვლას აბრალებდნენ და „მესისხლეს“ ეძახდნენ, რის გამოც ის „გაავგულდა“: „შვილად მინდოდაო, თუ ღმერთს ჩემთვის შვილი სდომებიაო, ის მამცემდაო. ახლა სიდამდისინ ცოცხალი ვარო, თვითან ვიბატონებო, ჩემს უკან ვისაც უნდა, მისცენო“. ამ სიტყვებში კვლავ რელიეფურად ჩანს, რა მნიშვნელობისაა ტახტის მემკვიდრეობისა და ბატონიშვილობის საკითხის მოგვარება. ფარსადან გორგიჯანიძეს პირადად უნახავს ვახტანგ ბატონიშვილი, შემდეგ მიმოწერა ჰქონია როსტომთან, რასაც მეფის გადაწყვეტილება მოჰყვა: იგივე „...ბატონიშვილი ვახტანგ საუფლისწულოთ გვითხოვნიაო“ [116, 266]. როსტომმა ვახტანგ ბატონიშვილის ჩამოსაყვანად ისპაჰანში ბახუტა მუხრანბატონი (მომავალი ვახტანგ V) გაგზავნა, რომელთაც ირანში ჩასულს იგი უკვე გარდაცვლილი დახვდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ამის შემდეგ როსტომმა ბახუტა მუხრანბატონის კანდიდატურა წამოაყენა, რაც არ არის სწორი. როგორც ირკვევა, იგი კვლავ ლუარსაბის შტოზე ფიქრობს; ლუარსაბს თამარისაგან გიორგი ჰყავდა შვილად — ბერი ეგნატაშვილის ცნობით, „და ამა როსტომ მეფესა, ლუარსაბის შვილი (ანუ გიორგი, — დ.ნ.) რომ მოუკუდა, მას უკან მუხრანის ბატონის ვახტანგისათჳს მოეკიდნა ქელი და ეშვილებინა, და უყუარდა როსტომ მეფეს დიდად“ [76, 433]; ამდენად, ბახუტას (ვახტანგ V) შვილებამდე ტახტზე კანდიდატი გიორგი ლუარსაბის ძე, ანუ სავახტანგოს ფუძემდებელი ვახტანგ ბატონიშვილის ჩამომავალი ყოფილა; მისი გარდაცვალება 1653 წ. გარშემო უნდა ხდებოდეს, რის შემდეგაც, 1654 წ. ირანში ბახუტა (ვახტანგ) მუხრანბატონი გაიგზავნა, რათა ტახტის მემკვიდრედ დაემტკიცებინათ. ვახტანგ VI მიერ შედგენილი გენეალოგიით გიორგი ბატონიშვილს ჰყავდა ძე ხოსრო.

ირანში ბახუტა მუხრანბატონს ჯანიშინის რაყამი უბოძეს, წელი-

წადზე მეტი ხნის შემდეგ იგი შაჰნავაზის სახელით „მრავლის წყალობით ქართლს მობრძანდა"; როსტომ მეფემ მას „ზოგზოგი სავახტანგო სოფელი" უბოძა [116, 266; 135, 106], მალე „მუხრან ბატონს ბახუტა-ბეგს ბატონიშვილი დაუძახეს, სახელი გამოუცვალეს, ვახტანგ დაუწყეს ძახილი" [135, 108]. აქ ფრთხილი ვარაუდის სახით უნდა აღვნიშნოთ: რადგან როსტომ მეფის შვილობილისათვის საუფლისწულოდ „ზოგ ზოგი სავახტანგოს" მამულები უბოძებიათ, ამიტომ ბახუტა-ბეგს (იგივე შაჰნავაზს) უწოდეს რა ბატონიშვილი (ე.ი. გახდა რა როსტომის მემკვიდრე) და მისთვის სახელის გამოცვლა განიზრახეს, სწორედ სავახტანგოს ნაწილის სამფლობელოდ მიცემის გამო ხომ არ უწოდეს მაინცდამაინც ვახტანგი (როგორც წყარო ამბობს — „დაუწყეს ძახილი"-ო)?! ვფიქრობთ, ეს მონაცემებიც საინტერესო კუთხით წარმოაჩენს XVI-XVIII სს. ბატონიშვილობის საკითხს.

სიმონ მეფის ძმის — ვახტანგ ბატონიშვილის შთამომავალთა შესახებ ჩვენ კიდევ ერთ ცნობას ვპოულობთ: როცა ნოდარ ციციშვილი და იასე ქსნის ერისთავი ერთმანეთს წაეკიდნენ, ციციშვილს ზაალ არაგვის ერისთავი, ხოლო ქსნის ერისთავს იოთამ ამილახვარი მიემხრო. როსტომი კონფლიქტში ჩაერია, განდგომილი იასე ქსნის ერისთავი და იოთამ ამილახვარი იძულებული გახდნენ კახეთში გადასულიყვნენ. ყურადღებას იქცევს ფარსადან გორგიჯანიძისა და „პარიზის ქრონიკის" ცნობა, რომ „იოთამ ამილახორის დედა მეფის ბიძის ვახტანგის ქალი და იმერეთში ჩიჯავაძეს ედგა, იქიდამენ კარგის ფეშქაშით მეფეს (როსტომს, — დ.ნ.) იახლა და შვილის შემორიგებას შემოეხვეწა" [116, 245; 135, 96]. მეფემ „უწინდელი ჯავრი" მას მართლაც აპატია. ვფიქრობთ, როსტომისათვის მირთმეული „ფეშქაში" არაფერ შუაშია, აქ მეღავნდება როსტომის განსაკუთრებული დამოკიდებულება თამარის მამის — ვახტანგ ბატონიშვილისადმი; რადგან თხოვნა მისი ასულისაგან მოდის, როგორც ჩანს, მეფემ ამას ანგარიში გაუწია.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საინტერესოა, 1634 წელს როსტომის პასუხი იოთამ ამილახვრისა და ბეჟანის თხოვნაზე მამულის წყალობასთან დაკავშირებით: „ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და შეგიწყალეთ და გიბოძეთ ბიძის ჩუენის, ბატონის-შვილის ვახტანგის ნაყმევი და კერძი აზნაურიშვილი უგანაძე პაატა და მისი შუილები" [121, 117]. აქ უდავოდ სავახტანგოს გარკვეული მამულის ამილახ-

ვრებისათვის ბოძებაზეა ლაპარაკი. ამავე დროს, როგორც გაირკვა, იოთამი სავახტანგოს პატრონის – ვახტანგ ბატონიშვილის შვილიშვილია ქალის მხრიდან. ასეთ ვითარებაში, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ როსტომმა ამილახვარ იოთამს და ბეჟანს სწორედ მათი პაპის – ლუარსაბის ძის ვახტანგის „ნაყმევი და კერძი აზნაურიშუილი“ უბოძა. ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების დახმარებით ცნობილი ხდება ვახტანგ ბატონიშვილის ასულის სახელიც: როსტომმა ამილახვრის დედას „ბატონიშვილს თამარს აპატია და საამილახოროც მისცა“ [116, 245]; თამარ ბატონიშვილის მეუღლეა პაპუნა იოთამის ძე ამილახვარი (ცნობილი მოღვაწე, გიორგი საakაძის ერთგული და მარტყოფის აჯანყების მონაწილე, თავი გამოიჩინა მარაბდის ბრძოლაში, მოკლეს 1625 წელსვე); ქართულ ისტორიოგრაფიაში მართებულადაა აღნიშნული, რომ მისი ცოლი თამარია, მაგრამ რატომღაც მას სიმონ I დიდის ასულად მიიჩნევენ [310, 392]; სინამდვილეში იგი სიმონ მეფის ძმის – ვახტანგის ასულია.

საბოლოოდ, ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით, სავახტანგოს ფუძემდებლის – ვახტანგ ბატონიშვილიდან მომდინარე ბაგრატიონთა სახლის ეს გვერდითი შტო ასეთ სახეს ატარებს:



შეიძლება თუ არა დაახლოებით დადგინდეს, რომელი მამულების მფლობელია ლუარსაბ მეფის ძე — ვახტანგი, რას წარმოადგენს თავდაპირველი სავახტანგო, რომელ ისტორიულ-გეოგრაფიულ საზღვრებშია იგი მოქცეული და დროთა განმავლობაში რა ცვლილებებს განიცდის?![1]

სიმონ დიდმა თავის ძმას — ვახტანგ ბატონიშვილს მუხრანის „ქვეყანაში" სოფ. ყურისუბანი უბოძა [10; 59; 124, 348], რომელიც ნიკოლოზ კათალიკოსმა 1574 წ. წყალობის წიგნით სვეტიცხოველისათვის გამოართვა და სანაცვლოდ გადასცა: სოფ. ვირშა „რარიგადაც სუეტსცხოველს შემოსწირვია", მამულები წიასწყალს, ერეთს, „ზაკუი და სათიჯარი მზღურითა", სამფლობელოები ქორდს, ტირძნისს, „ცოტა" მელურეკისს, ახალდაბას, ყელქცეულს [124, 277-278]. ვახტანგის „მამული" მნიშვნელოვან ზრდას 1578 წ. განიცდის — სიმონ მეფის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, როცა მას მოღალატე ქსნის ერისთავისა და ამილახვრის სათავადოდან გარკვეული ტერიტორიები გადაეცა. ვფიქრობთ, სწორედ 1578 წ. მიღებული სამფლობელოებიდან შერჩა ერთ გარკვეულ რეგიონს სავახტანგოს სახელი. ვახტანგ ბატონიშვილის სამფლობელო, მთავარი მამულების გვერდით (ისინი ძირითადად ერთმანეთთან ახლოს მდებარეობენ და გარკვეულ ისტორიულ-გეოგრაფიულ საზღვრებში არიან მოქცეულნი), მოიცავს ისეთ მიწებსაც, რომელნიც მისი ცენტრიდან საკმაო დაშორებით მდებარეობენ.

ამდენად, 1578 წ. ქსნის საერისთავოსა და საამილახვროს მიწებიდან მიღებულ მამულებს მცხეთის საკათალიკოსოსაგან ყურისუბნის სანაცვლოდ გადაცემული სამფლობელოები ემატება და ეს ქმნის ვახტანგის სამფლობელოს, რომელსაც სავახტანგო ეწოდა. იგი დროთა განმავლობაში სახეს იცვლის, მცირდება თუ ფართოვდება და ა.შ. ამაზე მეტყველებს 1595 წ. წიგნი დომენტი კათალიკოსისა ვახტანგ ბატონიშვილისადმი სოფ. ქორდის სვეტიცხოველისადმი დანებების შესახებ: „თქუენი ყურისუბანი თქუენვე დაგიდევით და საყდრისა მამული საყდარსავე დაანებეთ", — აღნიშნულია საბუთში [124, 348]. 1595 წ. სავახტანგოს მამულებს ჩამოშორებია „ზემო ქართლს ქორდი და რაცა სხუა მის გარშემო საყდარის მამული იყო" და დაბრუნებია სოფ. ყურისუბანი. დომენტი კათალიკოსი ვახტანგ ბატონიშვილისადმი

[1] ეს საკითხი ვრცლად განხილული გვაქვს ჩვენს სპეციალურ ნაშრომში [276, 74...].

აღნიშნავს, რომ ეს მიწები არ უნდა „მოგკდომოდა კარგადო“, რის გამოც ამ მამულებს გვიან სავახტანგოს სახელი ვეღარ შერჩა. 1574 წ. მიღებული სამფლობელოებიდან, რომელიც 1595 წ. კვლავ საკათალიკოსოს დაუბრუნდა, გვიან სავახტანგოში სოფ. ტირძნისი გვხვდება.

ისტორიული საბუთებით ცნობილი ხდება, რომ ვახტანგ ბატონიშვილის სამფლობელოს წარმოადგენდა სოფლები: მისაქციელი და თეკენა [13], კრკონი, ქვეშისხევი; ლუარსაბ II მისი ნაქონი კრკონი ქაიხოსრო ბარათაშვილს გადასცა [61], ხოლო ვახტანგისავე სოფ. ნაბახტევი გიორგი სააკაძეს უწყალობა [33]. სავახტანგოს მამულებში ჩანს სოფ. ფლავიც: როსტომ მეფემ ამ სოფელში მისი კერძი ყმამამული ქალაქის მოურავსა და მანუჩარ მერიქიფეთუხუცესს უწყალობა [66]. ამდენად, იხაზება სავახტანგოს მამულების ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვრები და ირკვევა, რომ „ვახტანგის მამული“ მართლაც მნიშვნელოვანი მოცულობის ყოფილა; ეს გასაგებს ხდის როსტომის ხანაში ქართლის თავადების ზემოაღნიშნულ შეშფოთებას, რომელიც ვახტანგ ბატონიშვილის შთამომავალის სამეფო ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებისას გამოიხატა.

1599 წ. ვახტანგ ბატონიშვილი აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის სახელმწიფო საქმეებში, თავის როლს თამაშობს გორის ციხის აღებაში, ამიტომ ამ ხანისათვის სავახტანგო კვლავ ძველ საზღვრებში უნდა წარმოვიდგინოთ. ამის შემდეგ, თითქოს, ვახტანგ ბატონიშვილის კვალი იკარგება; 1599 წ. შემოდგომაზე [301, 113] სიმონ მეფე დატყვევებულ იქნა, რომელიც 1600 წ. სტამბოლში ჩაიყვანეს. ასეთივე ბედი ეწიათ მისი ბანაკის სხვა აქტიურ წარმომადგენლებსაც, მაგ., სიმონ დიდის ძმა ალექსანდრე ბატონიშვილს („ბეგს“), რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, თავის შვილებთან ერთად ჯაფარ ფაშამ დაატყვევა და თავი მოკვეთა. ჩვენ ადრე ვფიქრობდით, რომ ასევე უნდა ყოფილიყო ვახტანგ ბატონიშვილის შემთხვევაში [276], მაგრამ 1604-1605 წწ. ტატიშჩევისა და ივანოვის ელჩობის ცნობებზე დაკვირვება ამ საკითხს ახალ ინფორმაციას მატებს: „Да послани с ними... грамоты к удельным Иверские земли к Симонову (სიმონ I, – დ.ნ.) цареву сину к Юрью (გიორგი X, – დ.ნ.) царевич., да к Симо-новим братьям к Вахтану (სავახტანგოს პატრონი ვახტანგ ბატონიშვილი, – დ.ნ.)...“ [153, 433]. კიდევ უფრო საინტერესოა მეორე ცნობა: „Да

сам царь (გიორგი X, — დ.ნ.) сел и послом велел сести Михайлу подле себя с левую Руку, а у него посадил дядю своего Вахтана царевича... А у Вахтана царевича велел царь сести дьяку Ондрею...“ [153, 497]. აღსანიშნავია სხვა ადგილიც: „...Встретил послов царь на своем дворе перед шатром. А с ним дядя его Вахтан царевич...“ [153, 507]. ამდენად, ვახტანგ ბატონიშვილი 1604-1605 წწ-ში, ტატიშჩევისა და ივანოვის დროს, ცოცხალია და აქტიურად მონაწილეობს ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი გარდაცვალების პერიოდად XVII ს-ის პირველი ათეული უნდა მივიჩნიოთ.

როგორც ისტორიული წყაროების განხილვამ გვიჩვენა, ვახტანგ ბატონიშვილის ჩამომავალნი თავიანთ სამკვიდრო მამულებს მოწყვეტილი აღმოჩნდნენ და სპარსეთში შაჰის ტახტზე იმყოფებიან — ასეა როგორც თეიმურაზ-მირზა, ისე მისი შვილებიც; მათ რომ ქართლში სამფლობელოები დაკარგული აქვთ, კარგად ჩანს თეიმურაზ-მირზას თანამეცხედრის — დავითიშვილთა ქალის სიტყვებში, როცა იგი თავისი ძის — ვახტანგის როსტომ მეფის მიერ შვილების წინააღმდეგია: იგი „საბატონოს“ ითხოვს, რომ მისი ვაჟი როსტომ მეფის „კელის შემკედავი“ არ იყოს. ვახტანგ ბატონიშვილის სტატუსი და სავახტანგოს როლი ისე მნიშვნელოვანია, რომ მისი შტოს წარმომადგენლებს სამეფო ტახტზეც კი აქვთ პრეტენზია; ზემოაღნიშნული ელიზბარ დავითიშვილის და „ყაენის“ წინაშე საკითხის დაყენებას აპირებს, რომ „როსტომ მეფის სიცოცხლეში საქართველო შენ (ლუარსაბ ბატონიშვილს, — დ.ნ.) მოგცესო...“ [116, 265].

ვახტანგ ბატონიშვილის პოლიტიკური სარბიელიდან წასვლისა და მისი მემკვიდრეების საქართველოდან მოწყვეტის შემდეგ, სავახტანგოსათვის ახალი ეტაპი იწყება, კერძოდ, მისი მამულების დანაწილება. ამ პერიოდიდან, აღნიშნულ სამფლობელოებს ქართლის თავადები ინაწილებენ. განსაკუთრებულ აქტიურობას ამ საკითხში, ბუნებრივია, ქსნის ერისთავი და ამილახვარი გამოიჩენდნენ, სავახტანგოს ძირითადი მამულები ხომ მათ ყოფილ სამფლობელო ტერიტორიებზე მოდიოდა. როგორც ჩანს, გვერდზე არც სხვები რჩებიან: ბაზალეთის ომში გიორგი სააკაძისა და ქართლის გამგის ქაიხოსრო მუხრანბატონის მარცხს ზურაბ არაგვის ერისთავის გაძლიერება მოჰყვა; იგი თეიმუ-

რაზ მეფეს დაუპირისპირდა და სამუხრანოს გამო ატეხილი მტრობის დროს, სიმონ-ხანი (1619-1632) თავის მოკავშირედ გამოიყენა, „გააბატონა და მოუყენა ქართლი... მაშინ სვიმონ მეფე მამას ეძახდა ზურაბს და იყო მისი მორჩილი და არას იქმოდა მის გარდაუვალსა“ [76, 163]. სიმონ მეფემ ზურაბ არაგვის ერისთავს არა მარტო მუხრანი, არამედ „ზოგზოგი სავახტანგო სოფლებიც მას მისცა“ [116, 236]. ამდენად, ირკვევა, რომ ამ პერიოდში სავახტანგოს ერთი ნაწილი არაგვის ერისთავის ხელშია.

როგორც ცნობილია, შეთქმულების შედეგად ზურაბ ერისთავი მოკლულ იქნა, რასაც არაგვის საერისთავოს მიერ სავახტანგოს მამულების დაკარგვა უნდა მოჰყოლოდა.

სავახტანგოს შემდგომი პერიოდი როსტომის სახელთანაა დაკავშირებული: როგორც აღინიშნა, 1634 წ. მისი ერთი ნაწილი — „ბატონის-შუილის ვახტანგის ნაყმევი“ ამილახვრებს მიუღიათ [121, 117]. ეს წყალობა იმით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ იოთამ ამილახვარი ქალის მხრიდან ამ ვახტანგის შთამომავალია — მისი შვილიშვილია, ამიტომ სავახტანგოს გარკვეული მამულის მისთვის გადაცემა შემთხვევითი ნაბიჯი არ არის. ჩვენი ვარაუდით, როცა როსტომ მეფემ „ისუა ძედ“ სავახტანგოს პატრონის — ვახტანგ ბატონიშვილის შვილიშვილი ლუარსაბი, მას საუფლისწულოდ სწორედ სავახტანგოდან ხომ არ გადასცა მამულები?! ამაზე ისიც მიგვანიშნებს, რომ ლუარსაბი ვახტანგ ბატონიშვილის პირდაპირი ჩამომავალია; ამავე დროს, ლუარსაბის სიკვდილის შემდეგ, როსტომმა იშვილა რა ბახუტა-ბეგი (მომავალი ვახტანგ V), სამფლობელოდ მას სწორედ „ზოგზოგი სავახტანგო“ უბოძა. რადგან მუხრანბატონთა შთამომავლისათვის საუფლისწულოდ სავახტანგოს მამულების გადაცემა ხდება, რაღა მოულოდნელობას უნდა წარმოადგენდეს, რომ მეფე როსტომს იგივე გაეკეთებინა ამ მიწების მფლობელის — ვახტანგ ბატონიშვილის შვილიშვილის ლუარსაბის მიმართაც?!

XVII ს-ში სავახტანგოს გარკვეული მამულები დიდ ფეოდალთა ხელშია, ხოლო მეორე ნაწილი უფლისწულის საგანმგებლოშია მოქცეული. XVII ს-ის დავითიშვილ-თვალდამწვრიანთა დაკავშირებით მოხსენიებულ საბუთში [21] ზემო ქართლის სადროშოში შემავალი სათავადოებისა და სამფლობელოების ჩამოთვლისას აღნიშნულია, რომ

ამავე რეგიონში მფლობელობა აქვს ბატონიშვილსაც, რაც აქ საუფლისწულოს არსებობას ნიშნავს. ალექსანდრე ამილახვარიც თავის „გეორგიანულ ისტორიაში“ ამ რეგიონში მეფის მემკვიდრის საბატონოს ფუნქციონირებას ადასტურებს [71, 128]. ჩვენი აზრით, მასში სავახტანგოს ან როგორც ისტორიულ წყაროებშია აღნიშნული — „ზოგზოგი სავახტანგოს“ მამულები უნდა იგულისხმებოდეს; XVII-XVIIIსს-ში სავახტანგო საუფლისწულო მამულად გამოიყენება და იგი სამფლობელოდ ქართლის უფლისწულთა გარკვეულ ნაწილს გადაეცემა. როგორც აღვნიშნეთ, გვიან შუასაუკუნეებში აქვეა ბაგრატიონთა სამეფო სახლის სხვა საგვარეულო განშტოებათა მამულებიც — იგულისხმებიან დავითიშვილები და გოჩაშვილნი.

სავახტანგომ დროთა განმავლობაში ცვალებადობა-დანაწილების გამო სახე იცვალა, მამულები ერთმანეთს მოწყდა, რასაც დამცრობა და მისი საზღვრების დაპატარავება მოჰყვა. როგორც ჩანს, სახელი „სავახტანგო“ ვახტანგ ბატონიშვილის ყოფილი მამულების ერთ რეგიონს შერჩა, კერძოდ, მისი სამფლობელოს მთავარ, ცენტრალურ რაიონს, რომელიც ერთმანეთთან თავისი კომპაქტური მდებარეობისა და გარკვეული ისტორიულ-გეოგრაფიული თუ ბუნებრივი ფაქტორების გამო, ერთ მიკროქვეყნად, ისტორიულ-გეოგრაფიულ „ქვეყნად“ ჩამოყალიბდა. მას დარჩა სავახტანგოს სახელი და საუფლისწულო მამულად სწორედ იგი გამოიყენება. ვახუშტისთან სავახტანგო იმ სოფლებითაა წარმოდგენილი, რომელიც ამ მამულის ცენტრალურ რეგიონს წარმოადგენს და რომელსაც, დროთა ცვალებადობის შემდეგ, XVIII ს. I ნახევრისათვის სავახტანგოს სახელი შერჩა.

იოანე ბატონიშვილი, ისევე როგორც ვახუშტი, სავახტანგოში იმავე 9 სოფელს ასახელებს და იგი ძირითადად მდ. პატარა ლიახვის ხეობაში არსებულ ერთ ისტორიულ-გეოგრაფიულ „ქვეყანას“ წარმოადგენს; სავახტანგოს სახელი საბოლოოდ ადრეფეოდალური ხანის საცხუმეთის, გვიან უკვე პატარა ლიახვის ხეობაში მდებარე მის ერთ შემადგენელ, ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვრებით გამოყოფილ გერისხევს ეწოდა, ანუ გვიანდელ სავახტანგოს სწორედ ეს ხევი წარმოადგენს [276]. იგი „ზოგზოგი სავახტანგოს“ სახით უფლისწულ-ბატონიშვილთა სამფლობელოდ გამოიყენება.

სავახტანგოს სოფლები — მარალეთი, შურიული, ინაური, ყლარცვი,

მეფარეთი, გერი მართლაც ერთმანეთის გვერდზე მდებარე გეოგრაფიული პუნქტებია, მაგრამ ვახუშტის მიხედვით, სავახტანგოში ისეთნიცაა, რომლებიც გერისხევში არც მდებარეობენ; ბატონიშვილი თავიდან და თან ცალკე ჩამოთვლის სოფლებს: შინდისს, ტირძნისსა და ვანათს — პირველი ორი სოფელი გერისხევის გარეთაა, ხოლო „ვანათს ერთვის დასავლიდამ ლიახვს ჰევი გერისა. გამოსდის მშხლების მთას და დის სამჯრით... უწოდებენ ვანათითურთ სავახტანგოს“ [82, 362]. რაც შეეხება დანარჩენ სოფლებს, მათ ათვლას, ნუმერაციის თვალსაზრისით, ვახუშტი ახლიდან იწყებს. ტირძნისისა და შინდისის სავახტანგოში მოხსენიება მისი ძველი, პირვანდელი მამულების სიმრავლის გამოძახილია, ხაზგასმაა, რომ ერთ დროს ეს საზღვრები გაცილებით დიდი იყო. ტირძნისი არაგვის ერისთავის „საპურე სოფელი“ ყოფილა, იგი ერეკლე II მათ ჩამოართვა და სხვას გადასცა...

ამდენად, საბოლოოდ შეიძლება აღინიშნოს, რომ XVII-XVIII სს-ში ვახტანგ ბატონიშვილის „მამულის“ დანაწილების პროცესის შედეგად მისი ერთი ნაწილი სხვადასხვა დიდ ფეოდალთა მფლობელობაში გადადის, მაგ., არაგვის ერისთავები, ამილახვრები ან ქსნის ერისთავები და ა.შ. ერთი რეგიონი ამ დაქუცმაცების პერიოდში ბატონიშვილთა სამფლობელოდ გამოიყენება და გვიანდელი სავახტანგოც მას ეწოდება. მისი განსხვავებული სტატუსით — საუფლისწულოდ არსებობა მას სხვა ფეოდალური მამულებიდან გამოყოფს და ერთ კომპაქტურ ისტორიულ-გეოგრაფიულ „ქვეყნად“ აყალიბებს. რადგან XVI ს-ში იგი ბაგრატიონის — ვახტანგ ბატონიშვილის სამფლობელოს წარმოადგენს, მომდევნო პერიოდში მისი ბატონიშვილთა საგანმგებლოდ გამოყენება ადვილად ხერხდება. განხილული საკითხების შედეგად, ნათელი ხდება ზემო ქართლის სადროშოში არსებული საუფლისწულოსა და იქ ქართლის ბატონიშვილთა მფლობელობის წარმოშობის მიზეზები და პირობები; როგორც აღმოჩნდა, იგი ძალზე საინტერესოა ზოგადად ე.წ. ბატონიშვილობის საკითხის თვალსაზრისითაც.

4. „ორიანობა“ XVI-XVIII საუკუნეებში

გვიანი შუასაუკუნეების ისტორიული დოკუმენტების განხილვა უდავოდ გვარწმუნებს, რომ „ორიანობა“ არა თანხმობა-თანამეფობა, არამედ ორი მებრძოლი ბატონიშვილის ურთიერთდაპირისპირებაა, როცა არც ერთი მხარე არ ცნობს რომელიმეს პრიორიტეტს და სამეფო ტახტისათვის იბრძვის. მისი არსებობა მით უმეტეს შესაძლებელია XVI-XVIII სს-ის მწვავე დინასტიური ბრძოლისა და ბაგრატიონთა სამეფო სახლებს შორის მუდმივი დაპირისპირების პირობებში. ამ საკითხზე ვახტანგ VI სპეციალური შეჩერება საჭიროდ ჩაუთვლია, ამიტომ „სამართლის წიგნში“ ცალკეა განხილული „ორბატონობასა და ორიანობაში მიკდომა“ — მუხლი 176-ე: „ორბატონობასა და ორიანობაში ერთის მეორისაგან მიკდომა, მოკვლა, აკლება, წართმევა და მოტაცება დალაშქრევა არ იკსენების, არც გამოიკიდების, — მტერნი ყოფილან და გაყოფილნი, და რაც კელით გამოსვლიათ, ორთავ ქუეყანა ურბევიათ. და ბოლოს რომელსაც ბატონს დარჩეს, ნუღარ ათქმევს“. „ორიანობა“ რომ დაპირისპირების, ქიშპისა და მტრობის ხანაა აშკარად ჩანს ნიკოლოზ ალავერდელის 1743 წ. წყალობის წიგნით იასე ბაკურაძისადმი: „რადგან აზნაურიშვილი ყოფილიყავ, ყმა უნდა გვებოძებინა, მაგრამ ავის დროსა და ორიანობისაგან კი ვეღარ გიბოძეთ და აზადობის წყალობა გიყავით“ [124, 774].

გვიანი შუასაუკუნეების „ორიანობის“ შესახებ გ. ჯამბურია აღნიშნავს, რომ „ორიანობაა“ როცა სამეფოში ორი მეფეა, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში ფეოდალური დაჯგუფებების გაძლიერებას — „ორიანობის“ დროს არა მარტო მეფეები იყენებენ ფეოდალთა სხვადასხვა წრეებს თავიანთი ინტერესებისათვის, არამედ თვით ფეოდალებიც კარგად სარგებლობენ „ორიანობით“ შექმნილი მდგომარეობით და ამა თუ იმ პრეტენდენტის ირგვლივ თავიანთი ინტერესებისათვის იბრძვიან [341, 37].

როგორც ცნობილია, ბაგრატიონთა ერთი ნაწილი თავისი უფლებრივი სტატუსის მოსაპოვებლად უცხო ძალას მიმართავს და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს. ბატონიშვილობის საკითხის სიმწვავისა და საგარეო ფაქტორის ურთიერთგადაჯაჭვამ წარმოშვა მოვლენა, რომელსაც „სომხით-საბარათიანოს მეფეებს“ ვუწოდებთ. პირველი ასეთი ქართველი მაჰმადიანი მეფე სიმონ I დიდის ძმა — დავით ბატონიშვილი იგივე დაუთ-ხანია, რომელიც 1562 წ. [138, 64] ქართლში ბრუნდება. ფარ-

სადან გორგიჯანიძის მიხედვით, ეს იყო „ქალაქი (თბილისის) და სომხით საბარათიანოს მეფობა“ [116, 218]; აბდულ აზიზ ყარა ჩელებიზადე [165, 104] და ჰასან რუმლუ [138, 37] მას „თბილისის გამგებელს“ უწოდებენ; ტომაზო მინადოის სიტყვებით, დაუთ-ხანმა „თათრული ხალათი ჩაიცვა, და შაჰ-თამაზის ბრძანებისამებრ მეფე ან მთავარი კი აღარ იყო, არამედ თბილისის ხანი“ [204, 338]. გამაჰმადიანებულმა ქართველმა ბატონიშვილებმა „მეფის“ ტიტულით ქვეყნის იმ ნაწილში შეძლეს ბატონობა, სადაც ირანის ძალაუფლება განსაკუთრებით ძლიერია, კერძოდ, ქვემო ქართლში. ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, დაუთ-ხანს ქართველნი „არა ჰყუარობდნენ“ [76, 372], ამიტომ „ვიეთნიმე თავადნი განდგნენ და არა მორჩილდებიან“ [82, 409].

1562-1569 წწ-ის ქართლში სიმონ I და დაუთ-ხანს შორის „ორიანობა“ ყალიბდება. ირანის შაჰის გადაწყვეტილებით, თუ დავითი უარს იტყვის თავის სარწმუნოებაზე და მათი ქვეშევრდომი გახდება, მაშინ მას დარჩება ხელისუფლების მემკვიდრეობა და მიეცემა უპირატესობა სიმონთან შედარებით. ამას, ბუნებრივია, მათი ურთიერთდაპირისპირება ანუ „ორიანობა“ მოჰყვა, რის შედეგადაც ქართლში მამულებიც გაიყო და ფეოდალური დაჯგუფებებიც ჩამოყალიბდა. სწორედ სიმონ I და დაუთ-ხანის „ორიანობითაა“ გამოწვეული, რომ ბარათაშვილთა ერთი ნაწილი სიმონის მხარესაა, მეორე კი დაუთ-ხანის გვერდით იბრძვის.

დაუთ-ხანის შვილმა – ბაგრატ VII (1616-1619) „დამცრობილი მეფობა“ [285, 106] მოიპოვა და „ეძახდნენ საბარათაშვილოს ბატონსა“ [76, 402]. მისი ხელისუფლობა შვილმა – სიმონ II გააგრძელა. 1625 წ. მარაბდაში ქართველთა აჯანყების დამარცხების შემდეგ, შაჰ-აბასმა ქართლის ტახტი სიმონ II დაუბრუნა. ამით ორხელისუფლებიანობა, ანუ თავისებური „ორიანობა“ მყარდება: თბილისი და ქვემო ქართლი მაჰმადიან სიმონ II ემორჩილება, დანარჩენი კი მეფე თეიმურაზ I. თვითონ შაჰიც, სვამს რა თბილისში მაჰმადიან ხანს, ამავე დროს, თეიმურაზს ქართლ-კახეთის ქრისტიან მეფედ ცნობს [204, 361]. დაპირისპირებული ფეოდალები სიმონ II და თეიმურაზ I გარშემო დაირაზმნენ, რაც „ორიანობის“ არსებობის ერთ-ერთი განმაპირობებელი მომენტია. 1632 წ. ზურაბ არაგვის ერისთავის მიერ სიმონ II მოკვლით ეს „ორიანობაც“ დასრულდა.

აღნიშნული „ორიანობა“ უნდა იგულისხმებოდეს თეიმურაზ I გან-

ჩინებაში შანშე ერისთავისა და იოთამ ამილახორის ყმა-მამულის საქმეზე (1606-1632 წწ.) — ერთ-ერთი სადავო საკითხი ასეთია: „კიდევე ამილახორი ამას ჩიოდა, რომე: ჩემის სახლის საქონელი ორიანობაში სულა ჩუენს გამდელსა ჰქონდა და ბოლს ხიზნად იყო. მერმე იმ ქურდებს ჩვენის სახლის საქონელი სულა თვითან გამოართვაო", რასაც შანშე ერისთავი უარყოფს [125, 67].

კლასიკურ „ორიანობას" ჰქონდა ადგილი XVII ს. ბოლო პერიოდის ქართლში — ისტორიულ საბუთებში მისი არსებობა დადასტურებულია: 1696 წ. გირაოს დახსნის წიგნში თუმანიშვილებისა ხითარიშვილებისადმი აღნიშნულია — „ამის თამასუქი ამ ორიანობაში დამეკარგა. თუ ის თამასუქები გამოჩნდეს, ამ ჩემგან მოცემულმან წიგნმან გააცუდოს" [132, 863]. ასევე საინტერესოა ერეკლე II ერთ-ერთი განჩინება, რომელშიც მოყვანილია ერეკლე I 1694 წ. საბუთი, რომელიც ასე იწყება: „როდესაც ქართლში ორიანობა შეიქმნა..." [126, 286-287].

რომელ „ორიანობაზეა" ლაპარაკი:

XVII ს-ში ქართლის ბაგრატიონთა სახლის მიერ განხორციელებული გამაერთიანებელი პოლიტიკა და ვახტანგ V ღონისძიებანი ირანისათვის სახიფათო ხდება, ამიტომ იგი კახეთის ბაგრატიონთა შტოს მომძლავრებას უწყობს ხელს; შედეგად კვლავ დინასტიურ ბრძოლას ვღებულობთ: ქართლის მეფის გიორგი XI მცდელობას შედეგი ვერ მოჰყვა, ირანი 1688 წ. ქართლში გამაპმადიანებულ ნაზარალხანს — ერეკლე I გზავნის. ამას გიორგი XI-ერეკლე I მწვავე ურთიერთდაპირისპირება — „ორიანობა" მოჰყვა, განსაკუთრებით, 1691-1695 წწ-ში. ერეკლე I განსაკუთრებით „განადიდებდა კახთა", ამიტომ ქართლში მოსახლეობის ერთი ნაწილი მას უკმაყოფილო ჰყავდა. საკმარისი იყო გიორგი XI ქართლში გამოჩენა, რომ ქართლის თავადთა დიდი ნაწილი მის მხარეზე გადავიდა. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, ერეკლე I „ყველამ ულონობა დასწამა და ვისაც რამე მისცა, იმათ ასრე თქვეს: ეშინიანო ჩვენგანაო და ქრთამათ გვაძლევსო და ამხანგურათ დაუწყეს ხუმრობა და ენა შეაჩვიეს" [116, 287]. ორივე მეფის გარშემო ფეოდალური დაჯგუფებები იქმნება — თავიდან ერეკლე I უჭირს, „აღარსით ერთგული და მოკეთე აღარ ჰყვანდა, არც თავისი მემკვიდრე, არც მეყვისნი და არც ნათესავნი, არც მუსაიბნი და არც მეცნიერნი" [116, 288]. გიორგი XI შეძლო თავისი სამეფოს საკმაოდ

დიდი ნაწილის დაკავება. მის მხარეზე იბრძვიან: გივი ამილახვარი, დავით ქსნის ერისთავი, გიორგი არაგვის ერისთავი და მისი ძმა ბარძიმი, თამაზ ბარათაშვილი, ციცი ციციშვილი, სომხით-საბარათიანოს თავადები.

ერეკლე I, რომელსაც თავისი მომხრეები ჰყავდა, თბილისის ციხეში გამაგრდა. ქართლში „ორიანობა" დამყარდა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ზოგიერთი თავადური სახლიც გაიყო, მაგ., ამილახვრები, რომელთა ერთი ნაწილი გიორგი XI მხარეს გადადის, ნაწილი კი ერეკლეს გვერდით რჩება (კერძოდ, გივი ამილახვარი გიორგი მეფის, ხოლო იოთამ ამილახვარი ერეკლე მეფის მომხრეა). იმ პერიოდის საბუთები [121, 368-369, 356] შესანიშნავად ახასიათებენ „ორიანობის" შედეგად ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას, სადაც ქიშპი და ურთიერთმოხდომა ჩვეულებრივ ამბად ქცეულა. ორად გაიყო ყაფლანიანთ სახლიც; ამდენად, „ორიანობის" შედეგად ქართული ფეოდალური საზოგადოება ორად გაიხლიჩა და საბოლოოდ, „ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ქვეყანა არც გიორგის ემორჩილებოდა და არც ერეკლეს" [206, 476].

როგორც XVს-ის „ორიანობის" შემთხვევაში, ახლაც დაპირისპირებულმა მეფეებმა შეთანხმება სცადეს, „ეზრახნენ გიორგი და ერეკლე მეფენი ურთიერთს მნებებელნი", მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. ქიშპი-„ორიანობა" კვლავ განახლდა, 1694 წელს იგი მცხეთის რეგიონში მიმდინარეობს. უმიზნო ურთიერთბრძოლა ცვალებადი წარმატებებით წარიმართა და მხოლოდ ჰუსეინის შაჰად გახდომის შემდეგ შეიცვალა ერეკლე I სასარგებლოდ. „ორიანობა" 1695 წ. იმით დასრულდა, რომ იძულებული გიორგი XI ქართლიდან იმერეთში გადავიდა, ხოლო 1696 წ. – ირანს გაემგზავრა.

ერთი მაგალითი კახეთში XVIII ს-ის „ორიანობის" შესახებ:

1735 წ. ირანის მიერ ქართლ-კახეთის მეფედ თეიმურაზ მეფის ძმის – დავით II შვილი ალექსანდრე, იგივე გამაჰმადიანებული ალი-მირზა ინიშნება. 1736 წ. გაზაფხულზე ფშავში გახიზნული თეიმურაზ მეფე ბრუნდება და კახეთში ბატონდება [82, 627]. ალექსანდრეცა და თეიმურაზიც რეალური ძალაუფლების მქონე ხელისუფალნი არიან: 1736 წ. გაზაფხულიდან 1736 წ. ბოლომდე, ვიდრე თეიმურაზს დააპატიმრებდნენ, კახეთში საბუთებს გამოსცემს როგორც ალექსანდრე [30; 78,

394], ისე თეიმურაზ მეფე [53; 3; 32]. ამდენად, ერთ სამეფოში რეალური ხელისუფლებით კვლავ ორი მეფე მოქმედებს. 1736 წ. გაზაფხულიდან 1736 წ. ბოლომდე თეიმურაზსა და ალექსანდრე მეფეებს შორის კახეთის სამეფოში „ორიანობის" ვითარებაა. როგორც ჩანს, „ორიანობის" არსებობა იმან განაპირობა, რომ ერთ მხარეს ოფიციალურად დანიშნული და იურიდიული ძალით მოქმედი ალექსანდრე მეფეა, ხოლო მეორე მხარეს, ხელსაყრელი ვითარებიდან გამომდინარე, გარკვეულ წრეებში გავლენისა და ავტორიტეტის მქონე თეიმურაზ მეფე. სწორედ, ესაა XVIII ს-ის ამ „ორიანობის" არსებობის საფუძველი.

თავი V

ბატონიშვილობის საკითხი XVIII საუკუნის II ნახევარში

XVIII საუკუნის II ნახევრის ბატონიშვილობის საკითხში, ჩვენს საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით, რამდენიმე ძირეული მომენტი უნდა გამოვყოთ:

1. ქართლისა და კახეთის ბაგრატიონთა სამეფო სახლების დინასტიური ბრძოლა, „ქართლოცენტრიზმი" და ქართლის თავადთა „ლეგიტიმისტური მოძრაობა".

2: ერეკლეს ბატონიშვილთა საკითხი.

3. ბატონიშვილობის საკითხი სოლომონ I-სოლომონ II ხანის იმერეთში.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ, მიუხედავად ირან-ოსმალეთის აგრესიისა, XVI-XVIII სს-ის ქართულ სამეფოთა ტახტებზე (მცირე გამონაკლისით იმერეთში) მხოლოდ ბაგრატიონთა საგვარეულო სახლის წარმომადგენელნი ადიან, რაც უპირველესად მტკიცე ისტორიული ტრადიციით აიხსნება — საქართველო და ბაგრატიონები იმდენად განუყოფელ ცნებებად იქნენ, რომ მძიმე ვითარებაშიც კი სამეფო დინასტიის შეცვლის საკითხი არ ისმება. ბაგრატიონთა დინასტიის შეცვლის მცდელობა თუ მათი სამეფო ტახტიდან ჩამოშორება ქართველობის წინააღმდეგ ბრძოლად აღიქმება და დამპყრობლისათვის მწვავე უკურეაქციის საშიშროებას შეიცავს, ამიტომ ირან-ოსმალეთი (მათთვის უფრო მოხერხებული იქნებოდა თავისი მოხელეების საშუალებით ემართათ ქართული პოლიტიკური ერთეულები) იძულებულია ბაგრატიონთა საგვარეულოს ასეთ ფუნქციონირებას ანგარიში გაუწიოს. როცა რუსეთის იმპერიამ ბაგრატიონთა მეფობა გააუქმა, ქართველი ბატონიშვილები ხაზგასმით აღნიშნავენ (კერძოდ, იულონ ბატონიშვილი), რომ „...наш царский дом, процветавший во времена великого Юстиниана, уцелел даже до сего времени; если это допустило право персидских государей тиранов, то этем более имеем мы несомненную надежду, что смилуется

над нами христианский цар“ [141, 159]; იგივეს ამბობს დავით ბატონიშვილიც [141, 173]. თვითონ ბაგრატიონთა სამეფო სახლში არსებობდა მტკიცე აზრი, რომ ბაგრატიონთა გვარის გარეშე საქართველოს მართვა შეუძლებელია — დარეჯან დედოფლის სიტყვებით, 1200 წელია საქართველოს მეფეებად ბაგრატიონები არიან და „ეს ყოველ ქვეყანაზე და მთელ ევროპაში გამოცხადებულია“ [108, 287].

ბაგრატიონთა დამოუკიდებელ სამეფო შტოთა ჩამოყალიბების შემდეგ, სამივე სახლის წარმომადგენელნი კვლავ თვლიან (როგორც ადრე), რომ ბაგრატიონთა გარდა „სხუა მეფე არა უფლებულ არს ჩუენ ზედა;“ ეს კიდევ უფრო ამწვავებს დაპირისპირებასა და დინასტიურ ბრძოლას ქართულ სამეფო სახლებს შორის, რასაც საგარეო ფაქტორიც ასაზრდოებს. დაპირისპირებულ შტოთა ბაგრატიონები ყოველმხრივ ცდილობენ მეორე სახლის წარმომავლობისა თუ წარსულის დაკნინებას — მაგალითად, ალბათ შემთხვევითი არაა, რომ ვახტანგ VI თითქოს ვერვისაგან შეიტყო („ვერვისგან შევიტყევ“) „რომელის ტომისაგან იყო“ კახეთისა და იმერეთის მეფეთა „ნათესაობა“, ან „მდაბალი ვინ გინდა ბაგრატოანთ ნათესაობა დავსწერეთ, მათცა უფრო დავსწერდით და თუ თვითან იპოვნიან და რომლისაც ტომისაგან არიან და დაეწერებიან მე დიდად მეამება“ [17]. ცენტრის — ქართლის ბაგრატიონთა ინტერესების გამომხატველ ისტორიულ წყაროთა ავტორები ყოველმხრივ ცდილობენ გარკვეულად მაინც გამოხატონ განსხვავება სამეფო სახლების რანგსა თუ სტატუსში — მაგალითად, ქართლის ხელისუფალთ „მეფის“ ტიტულით მოიხსენიებენ, სხვებს კი „ბატონის“ ან სხვა მსგავს ხარისხში. ასე იქცევა თვით ვახტანგ VI, როცა კახეთის მეფეს მხოლოდ „კახის ბატონს“ უწოდებს [17]; ბერი ეგნატაშვილი ამ მხრივ მკვეთრ დიფერენციაციას აკეთებს — მაგალითად, „ხოლო ამას ჟამში წარმოუგზავნა კაცი ხონთქარმან მეფეს გიორგის, და მპყრობელსა იმერეთისასა ბაგრატს, და მპყრობელსა კახეთისას ლევანს..“ [76, 353...]. თუნდაც არჩილ მეფის სიტყვები გავიხსენოთ, რომ იმერეთში „ვინგინდა ცუდი და მატყუარნი ჩვენის გვარის კაცად მოგონილ ალექსანდრე იჯდა მეფედ...“ [347, 132-133].

„ქართლოცენტრიზმის“ კლასიკური მაგალითია ალექსანდრე ამილახვარის „გეორგიანული ისტორია“, სადაც კახეთის ბაგრატიონები

ქართლის ტახტის უზურპატორებად არიან გამოცხადებული; დაპირისპირება იქამდე მიდის, რომ ქართლის ტახტზე უცხო ძალის ხელისუფლობაც კი ურჩევნიათ, ვიდრე მეორე შტოს ბაგრატიონთა ბატონობა — ალექსანდრე ამილახვარი ვახტანგ VI-ზე ამბობს, რომ მან „წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია ამდენ მტერს და მთელი ქართლი თურქეთის სულთანს მისცა, რათა იგი სპარსელებს და კახეთის მფლობელებს არ დარჩენოდა“ [71, 130]; კახეთის ბაგრატიონებს იგი „უკანონო მმართველებს“ [71, 132] უწოდებს. დინასტიური ბრძოლის სიმწვავე და ამილახვართა პოზიცია კარგად ჩანს ალექსანდრე ამილახვრის შემდეგ სიტყვებში: „...ერეკლემ იცოდა, რომ ჩვენ კანონიერი მეფის მხარეზე ვიყავით და ის მოსაზრება, რომელსაც იგი იყენებდა, რომ ჩვენ დედით ქართლის ტახტის მემკვიდრეები ვართო, უფრო ამილახვრების სასარგებლოდ ლაპარაკობდა, ვინაიდან... დიდედაჩემი იყო ქალი მცხოვანი და ძლიერი მეფის შაპნავაზისა, რომელიც მთელ ამ სამეფოს ჰფლობდა; მაგრამ ჩვენს წინაპრებს უმჯობესად მიაჩნდათ, თავიანთი სიმკვიდრისა და ხარისხის დაცვა, ვიდრე ხანმოკლე მეფობა“ [71, 141]. როგორც ვხედავთ, ბაგრატიონთა ტახტის ვასალის ფიქრები აქამდეც მიდის. შესაბამისად, ალექსანდრე ამილახვარი მეფის ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემის წინააღმდეგია.

კარგადაა ცნობილი, რომ ქართლის სამეფო ტახტზე კახეთის ბაგრატიონთა გამეფებას ქართლის ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელთა მწვავე რეაქცია მოჰყვა; ფეოდალური ოპოზიციაც თავის მხრივ გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოს დაშლას და მათთვის „საშიში მეფეების“ ქართლიდან განდევნას ცდილობს [181, 395]. ბარბარე ქობულაშვილის ცნობით, „როდესაც ყენმა ქართლი მისცა კახ მეფეს თეიმურაზს, ქართლელებმა დიდად იწყინეს კახეთის მეფის დამონება. დღესაც ამბობენ, კახეთი რა არის, რომ კახეთის მეფე იქნებაო“ [74, 119]. დინასტიური ბრძოლის სიმწვავესა და ქართლის განწყობილებას კარგად ახასიათებს რუსეთის სამსახურში მყოფი ოთარ თუმანოვის ინფორმაცია, რომელიც საიდუმლო დავალებით ცნობების შესაგროვებლად 1754-1756 წწ. საქართველოში იმყოფებოდა: „თბილისის სამეფო, ეს მეფე ქართლის ვახტანგ რომე აქ რუსეთში მოვიდა, თამასხანის დროს, ორივ ამ მეფეს თეიმურაზს და იმის შვილს ერეკლეს დარჩა, ახლაც უჭირავს. თუმცა კახეთი უფრო მდაბალი იყო,

ახლა, რადგან ორივე ერთათ არის, კახეთს უფრო სამკვიდროდ ეჭიდებიან, ქართლი უფრო იჩაგრება. ამის გულისათვის ქართველი წყინობენ დაჩაგვრასა დაფარვით, მაგრამ არა შეუძლიათ რა... ყოველთვის იქ ჭორები გაიშლება რომე მეფე ვახტანგის ძენი ანუ იმისი ჩამომავლობა მოდიანო, ამაში ის კახ ბატონებს ეფიქრებათ, თუმც რუსეთმან დაიჭიროსო იმათ მიცემენო თავად სამკვიდროსაო, ამიტომ ბევჯითათ არ ეჭიდებიან, კახეთს უფრო ხელს უწყობენ. ამიტომ დაფარული პარტიები არის...“ [328, 11-30; 327, 13]. „მეფე ვახტანგის (ვახტანგ VI) ძენი“-ს თუ მათ ჩამომავალთა საკითხი დიდხანს იდგა პრობლემად თეიმურაზ-ერეკლეს ტახტის წინაშე. ეს იყო ძლიერი ოპოზიცია, რომელიც ქართლის სამეფო ტახტზე კახეთის ბაგრატიონთა სახლის გამეფებას ბოლომდე ვერ შეეგუა, თუნდაც იმიტომ, რომ მათთვის „კახეთი უფრო მდაბალი იყო“. იესე მეფის შვილიშვილი, ცნობილი პოეტი დიმიტრი ბაგრატიონი, რომელიც ერეკლე II მიერ 1766 წელს რუსეთში იქნა გაძევებული, შეურიგებელი ოპოზიციის აქტიური წევრია — მისი სიტყვებით, „ჩემი მეფე ვახტანგ მეფისანი თუ ვინმე იქნება, ის იქნება“ [292, 116-117], ანუ სხვას იგი არ ცნობს. არსებულ ვითარებას კარგად ახასიათებს გაძევებული ანტონ I კათალიკოსის განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიისადმი: „Нине ж царствующие в Грузии не наследники престола нашего, а Грузия принадлежит деду моему и в наследство фамилии моей...“ [327, 14]. იესე მეფის ძის — ალექსანდრე ბატონიშვილის 1759 წლის არზაში იმპერატრიცა ელისაბედ I-დმი აღნიშნულია: „Нине царствующие тамошнего престола не наследники, а принадлежит тот престол фамилии отца моего по линии ближним...“ [327, 24]. ცნობილია, ბაქარ ბატონიშვილის აქტიურობა და მისი ცდა ქართლში დასაბრუნებლად — 1749 წლის 5 ივნისის თხოვნაში, ტახტის დაკავების მიზნით საქართველოში დაბრუნების თაობაზე, ბაქარი ხაზს უსვამს, რომ პეტრე დიდი და ეკატერინე ამ საკითხზე თანახმანი იყვნენ და მას უნუგეშოდ არ ტოვებდნენ — „ახლა კი შესაფერი დროა ამ აზრის განსახორციელებლად. თუმცა ჩვენი ქვეყანა დარჩა, მაგრამ იქ მუდამ უთანხმოებაა, რადგან ჩვენი გვარისაგან იქ არავინაა და ვისაც უჭირავს ქართლი, მას არ ემხრობა ხალხი, მეფედ ისინი მხოლოდ ჩვენს გვარს სცნობენ და

ამიტომ მუდამ არეულობაა...“ [247, 95]. მისი ცდიდანაც არაფერი გამოვიდა.

სპეციალურად უნდა შევჩერდეთ იესე მეფის ძის — გამაჰმადიანებული აბდულა-ბეგ ბატონიშვილის გამოსვლაზე: თეიმურაზ II მეფობის პირველ წლებში აბდულა-ბეგის სამფლობელო მსხვილ ფეოდალურ სენიორიად იქცა. ბატონიშვილობის საკითხი და დინასტიური სიტუაცია გამწვავებულია, ამიტომ მეფე მის შემორიგებას ცდილობს. სამეფო ტახტის ჩანაფიქრით, იქნებ ამ ნაბიჯით მას ტახტის პრეტენზიაზე აეღო ხელი [336, 71]. აბდულა-ბეგს გადაეცა სომხითი, სადაც რეზიდენციად სამშვილდე აქცია (მისი მფლობელობის შესახებ ვრცლად იხ. ზ. ხიდურელთან [336, 71...]). დინასტიური შუღლი და ბატონიშვილობის საკითხი იმდენად შორს აღმოჩნდა წასული, რომ სამეფო ტახტის მსგავს ღონისძიებებს შედეგი ვერ მოჰყვა; კახი ბაგრატიონების „უზურპაციით“ აბდულა-ბეგი მაინც შეურაცხყოფილია — მან 1747 წელს ისარგებლა თეიმურაზ მეფის ირანში წასვლით, ქართლში მის სასარგებლოდ არსებული განწყობილება საკმაო ძალად მიიჩნია და აშკარა აჯანყების გზას მიმართა. აბდულა-ბეგმა ერეკლეს მისწერა: „მეფე არჩილობით ქართლი ჩემიაო, დამანებეო და შენ კახეთს მიეპატრონეო“, ან მეორე აღნიშვნა: „ქართლი ჩემიაო და კახეთი შენიაო, შენ იმას დასჯერდი, მე ქართლი დამანებეო“ [101, 128, 130]. ბარბარე ქობულაშვილის ცნობით, „ქართლი ხომ ასე გამდგარი იყო და სომხითში მთლად ბარათანი ბირთვისში იყვნენ აბდულაბეგთანი და ერთმანეთთან მიწერ-მოწერა ჰქონდათ ქართლელებს და ბარათანთა“ [74, 119]. 1748 წ. წავკისთან გადამწყვეტ ბრძოლაში ერეკლემ გაიმარჯვა [295, 143-144], აბდულა-ბეგს (მისი ქრისტიანული სახელი არჩილია) „მეფე არჩილობით“ ლეგიტიმური პოზიციების წინ წამოწევამ ვერ უშველა (ჩვენამდე მოაღწია ისტორიულმა დოკუმენტებმა, სადაც აბდულა-ბეგი მეფედ იწოდება; ჩანს, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მის ხელისუფლობას ცნობს), მისი მთავარი დასაყრდენი სამშვილდე აღებულ იქნა, ხოლო სომხითი კვლავ სახასოდ გამოცხადდა. ერეკლე II 1748 წლის წყალობის წიგნში ავთანდილ ჯავახიშვილისადმი ხაზს უსვამს აბდულა-ბეგ ბატონიშვილის „ხაინობას“ ანუ მოღალატეობას: თეიმურაზს „თელეთი აბდულა-ბეგისათვის მიეცა. რადგა აბდულა-ბეგმა ხაინობა ქნა და ჩვენზე ბევრი სტყუა, ფარსადანს ისევ

თავის მამულს თელეთს უბოძებთ და შენის განაყოფის მამული ისევ შენთვის წყალობა გვიქნია“ [50].

თეიმურაზ-ერეკლეს სამეფო ტახტი თითქოს ყველაფერს აკეთებს ბაგრატიონთა ამ შტოს სტატუსისათვის, მაგ., აბდულა-ბეგის ძმას — ჰუსეინ-ბეგს საკუთარი საუფლისწულოს გარდა სამეფო ხაზინიდან 400 მანეთი დაენიშნა, როგორც საკომპენსაციო პენსია [312, 68]; მიუხედავად ამისა, აბდულა-ბეგის გზას დაადგნენ მისი შვილებიც: როსტომ-მირზა და დავითი. როსტომ-მირზა 1755 წელს დამარცხდა, ხოლო დავითი, 1765 წლის პაატა ბატონიშვილის აჯანყებაში მონაწილეობის გამო, სიკვდილით იქნა დასჯილი [123, 293-294]. რაც შეეხება ვახტანგ VI უკანონო შვილის პაატა ბატონიშვილის (თეიმურაზ ბაგრატიონთან იგი იწოდება როგორც „არარჯულიერი ძეი მეფისა ვახტანგისა“ [82, 52], მაშინ როცა იგი თავად თვლიდა, რომ „ქართლის ტახტი უფრო მე შემეფერება, ვიდრე არაქართელს, ქვეყნისმრბეველს ირაკლისო...“ [71, 143]) შეთქმულებას თუ დინასტიური შუღლისათვის დამახასიათებელ ტიპურ გამოსვლებს (მაგ., ალექსანდრე ბაქარის ძე), ისინი ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგადაა შესწავლილი და აქ სპეციალურად აღარ შევჩერდებით. მხოლოდ ერთ საინტერესო დეტალზე გავამახვილებთ ყურადღებას:

პაატა ბატონიშვილის შეთქმულების დამარცხებისა და წინასწარი გამოძიების შემდეგ, სამეფო ხელისუფლების საგანგებო დადგენილებით, თბილისში დარბაზის გაფართოებული სხდომა — „საერთო შეკრება“ (ალექსანდრე ორბელიანი) მოეწყო, სადაც სხვა მომენტებთან ერთად მეფემ ხაზი გაუსვა მის თავდადებას ქართლის წინაშე და თქვა: „ღმერთს თავდებად გაძლევთ, თუ ჩემზე უკეთეს მეფეს იშოვით საქართველოს ბედნიერებისათვის, მე ჩემს გვირგვინს იმას დავულოცავ“ [69, 262].

ქართლისა და კახეთის ბაგრატიონთა სახლების დინასტიური ბრძოლის, „ქართლოცენტრიზმისა“ და ლეგიტიმიზმის საკითხის თვალსაზრისით უნდა აღვნიშნოთ, რომ პრობლემა თავად ქართლის სახლის წარმომადგენლებმა შექმნეს. ამას მკვლევარნიც (მაგ., რ.ბურჭულაძე) კი აღიარებენ, ვინც კახეთის სახლის წევრებს უზურპატორებად მიიჩნევენ: „ვახტანგ VI-ის რუსეთს გამგზავრება იმიტომ კი არ იყო შეცდომა, რომ ის რუსეთთან უფრო მჭიდრო კავშირებს ეძებდა, არამედ

იმიტომ, რომ ამ კავშირების ძიებაში მან სახელმწიფო მმართველი დინასტიის გარეშე დატოვა“, ან მეორე ადგილას: „...ვახტანგ VI-მ დინასტიის გარეშე დასტოვა მთელი საქართველო და არა მარტო ქართლის სამეფო. ეს იყო იმ რანგის შეცდომა, რომელიც უეჭველად გამოიწვევდა ისეთ უარყოფით მოვლენებს, რომელთა აღკვეთა შემდგომ ან გაძნელდებოდა, ან შექმნიდა ახალ რეალობას, რომელიც ერთობ საეჭვო იქნებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის“ [198, 7]. ერთი სიტყვით, გამართლდა შანშე ერისთავის წინასწარმეტყველება ვახტანგ VI სახლისა და მის ჩამომავალთა საქართველოდან ფეხის ამოკვეთის თაობაზე („ბაქარ დააბრუნე, სულ ნუ დააგდებ ამ ქვეყანას... უფრო ძალიანობა გამოგიჩნდება“).

რადგან ვახტანგ VI სახლმა ქართლი დატოვა, ხოლო საგარეო ვითარება შესაბამის საშუალებას იძლევა, ამით რატომ არ უნდა ესარგებლათ თეიმურაზსა და ერეკლეს?! დაშლის საპირისპიროდ, ამას ხომ ორი ქართული სამეფოს გაერთიანება მოჰყვა, რაც დიდი და პროგრესული მოვლენა იყო. რ. ბურჭულაძე ასევე აღნიშნავს, რომ ვახტანგის ნაბიჯის შედეგად შეიქმნა „მმართველობის ვაკუუმი“, რაც არ შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო; სწორედ ამ დროს დაიკავა ტახტი „კახეთის ბატონიშვილმა“ თეიმურაზმა [198, 7]. ამდენად გამოდის, რომ კახეთის ტახტს სწორი ნაბიჯი გადაუდგამს და ვაკუუმი შეუვსია.

რ. ბურჭულაძე განსაკუთრებულ ყურადღებას კახეთის ბაგრატიონთა ლეგიტიმური საფუძვლების საკითხს უთმობს: პირველ რიგში, გამოყოფს იმ მომენტს, რომ თეიმურაზს ცოლად ჰყავს ვახტანგ VI ქალი — თამარი, საიდანაც იგი „ნათესაურ კავშირში იყო ბაგრატიონთა სამეფო სახლთან“; რაც შეეხება თეიმურაზის ტახტზე ასვლას, ამას იგი თურმე საქართველოში ბაგრატიონთა უშუალო შთამომავლობის არარსებობის პირობებში ახორციელებს, როგორც „ბაგრატიონთა სიძე“ [198, 7]. თეიმურაზ-ერეკლე და, საერთოდ, ბაგრატიონთა კახეთის სახლი განა მარტო სამეფო დინასტიის ნათესავი, ხოლო თეიმურაზ II მხოლოდ ბაგრატიონთა გვარის „სიძეა“?! საკითხთან დაკავშირებით მკვლევრის დასკვნა ასეთია: „როგორც ქართლ-კახეთის ტახტზე, ასევე იმერეთის ტახტზეც (იქ გაცილებით უფრო ადრე!) არალეგიტიმური მმართველები აღმოჩნდნენ. რაგინდ მაღალი იდეალებისათვის არ

უნდა ებრძოლათ ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს, რაგინდ მაღალი პოლიტიკური ნიჭი არ უნდა გამოეჩინათ, მათ კარგად იცოდნენ, რომ არ წარმოადგენდნენ ლეგიტიმურ მმართველებს, მუდამ აწვალებდათ ძალაუფლების არასრულფასოვნების კომპლექსი...“ ლეგიტიმიზმის ასე ვიწროდ განხილვამ ავტორი 1783 წლის ტრაქტატის ძალზე ცალმხრივ გაგებამდე მიიყვანა; მისი აზრით, ტრაქტატის პირობების შემუშავების დროს, ერეკლესათვის მთავარი იყო რუსეთს ეცნო მისი ოჯახის უფლებები სამეფო ტახტზე და სხვა არაფერი — „ეს იყო არა მეფის მიერ გადადგმული ნაბიჯი სამეფოს სიძლიერისა და კეთილდღეობისათვის, არამედ სახელმწიფოს სათავეში შემთხვევით მოხვედრილი რიგითი ფეოდალის ზრუნვა ფეოდალური იმუნიტეტის შესანარჩუნებლად“ [198, 7]. როგორც ვხედავთ, დინასტიური ბრძოლის, „ქართლოცენტრიზმისა“ და ლეგიტიმიზმის არასწორი გაგების გამო, ერეკლე II „რიგით ფეოდალადაა“ გამოცხადებული. აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ თუ ერთ დროს გათავადებული გვერდითი შტოს საგვარეულო სახლის — მუხრანბატონების ჩამომავლებს შეეძლოთ დაეკავებითან ქართლის ტახტი, რატომ იგივეს გაკეთების უფლება არ ჰქონდა, ქართლის მეფეების არყოფნის პერიოდში, თეიმურაზ-ერეკლეს სახლს?! თუ ისტორიული თვალსაზრისით მივუდგებით, ისინი „რიგითი“ ფეოდალები კი არა, თავისი წარმომავლობით ბაგრატიონთა მთავარი შტოს, კერძოდ, ერთიანი ქართული სახელმწიფოს უკანასკნელი მეფის გიორგი VIII პირდაპირი ჩამომავალნი არიან. როსტომის მიერ ბახუტას შვილებისა და ირანის შაჰის მხრიდან მათი ცნობის შემდეგ, გათავადებული მუხრანბატონები ქართლის სამეფო ტახტზე ლეგიტიმურნი ხდებიან — ასევეა კახეთის ბაგრატიონებიც (სხვათა შორის, ირანი მათაც უჭერს მხარს, კერძოდ, თეიმურაზს), თეიმურაზის შტო კანონიკურადაა კურთხეული, თანაც სვეტიცხოველში ქრისტიანული წესით.

ლეგიტიმიზმის[1] თვალსაზრისით არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თეიმურაზ II თეიმურაზ I ჩამომავალია, რომელიც უკვე ფლობდა ამ ტახტს, მუხრანელი ბაგრატიონები კი თავისი წარმოშობიდანვე გვერდითი შტოა; თეიმურაზ II მამა — ნაზარალი-ხანი (ერეკლე) ასევე ფლობდა ქართლს; ვახტანგ VI შემდეგ ქართლი კონსტანტინეს გადა-

[1] ლეგიტიმისტური მოძრაობის შესახებ XVIII ს. II ნახ. აღმოსავლეთ საქართველოში ვრცლად იხ. ლ. ტუხაშვილის დასახ. მონოგრაფია.

ეცა, რომლის ძმა და მემკვიდრეც სწორედ თეიმურაზ მეფეა [312, 15].

ქართლისა და კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანებამ ვახტანგის ჩამომავალთა პრეტენზიები ერთბაშად მოხსნა — ქართლის სამეფო, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული, აღარ არსებობს, ამიტომ ავტომატურად წესრიგდება ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრეობის საკითხიც [305, 93].

ჩვენ ძირითადად ვილაპარაკეთ ქართლის მხოლოდ იმ მოსახლეობაზე, რომელიც კახეთის ბაგრატიონთა გამეფების წინააღმდეგი იყო, მაგრამ აღსანიშნავია, რომ სამეფოს მეორე დიდი ნაწილი 1744 წელს თეიმურაზისა და ერეკლეს გამეფებას აღფრთოვანებით შეხვდა: „კ (20) წელს გადეკლო და მემკვიდრე-მეპატრონე აღარავინ მჯდარიყო ქართლსა. ამისთვის უფრო სიხარული ჰქონდათ, მემკვიდრე ქრისტეს მოყვარე მეფე დაუჯდათ და ამით ყოველი შეჭირვება დაავიწყდათ ქართველთა“ [101, 82]. ეს მნიშვნელოვანი და პროგრესული მოვლენა იყო, მაგრამ, შესაბამისად, ურთულესი საქმეც, რაც თეიმურაზ-ერეკლეს შესანიშნავად ესმოდათ. პროგრესული საქმე ძმათა სისხლის ღვრის გარეშე უნდა განხორციელებულიყო, რასაც შორსმჭვრეტელური დიპლომატიური ნაბიჯები სჭირდებოდა — ამ მიზნით ძალზე ჭკვიანურად წინ წამოიწია თეიმურაზ მეფის მეუღლისა და ვახტანგ VI ასულის — თამარ დედოფალის პიროვნებამ; პროგრესისა და გაერთიანებისათვის მებრძოლმა დედოფალმა ნადირ-შაჰის ნდობისა და ქართლის თავადთა ანტიკახური განწყობილების შენელების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. საერთოდ, თამარის — ვახტანგ VI ასულობა და თეიმურაზის ცოლობა ქართლის ტახტზე ფეხმოკიდების რთული საკითხისა და ლეგიტიმურობის გასაღებად იქცა. თავიდანვე იზრუნეს მომავალ მეფეზე — ტახტის შემკვიდრის კანდიდატზე და ქართლ-კახეთის ტახტი ერთ უფლისწულს, ერეკლეს უფროს ვაუს — ვახტანგს უანდერძეს: „მეფეს თეიმურაზს მეფის ერეკლეს მეტი ძე არ ესვა და ორთავ მეფეთა სასურველი ვახტანგი იყო ძე მეფის ერეკლესი... ასაკითა იყო მცირე, მაგრამ ამას იტყოდა მისი მნახველი „ახლავ ხელმწიფობა შეეფერებაო“ [101, 206]. „ორსავ საქართველოს უფლისწულად“ წოდებული ვახტანგ ბატონიშვილის სტატუსის ასაწევად თუ ხაზგასასმელად თეიმურაზის საბუთებშიც მეფის მემკვიდრედ, პიმშოდ და სასურველად სწორედ ის იწოდება: „მეფემან... ელმწიფემან პა-

ტრონმან თეიმურაზ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალ-დედოფალმან პატრონმან ანახანუმ, პირმშომან და სასურველმან ძის ძემან ჩვენმან ბატონიშვილმა ვახტანგ...“ [105, 217; 194, 90...].

ამის შემდეგ იწყება „ორივ მეფენი“-ს [101, 158... 195...] (ასეთი ტერმინი ხშირად დასტურდება ისტორიულ წყაროებში) ერთობლივი და შეთანხმებული მოქმედება ეროვნული პოლიტიკის გასატარებლად — შეიძლება ითქვას, რომ მართალია იურიდიულად არა, მაგრამ რეალურად ქართლი და კახეთის თეიმურაზ-ერეკლეს დროს ერთიანი ორგანიზმია [293, 210]. მათი ერთიანი საქმნიანობა სახელმწიფო პოლიტიკის ყველა სფეროში იგრძნობა: სასამართლო და სოციალურ-ფინანსური საკითხები, საგარეო პოლიტიკა — მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა და სხვ. ჩვენამდე მოაღწია ორივე მეფის ხელით ერთად გაცემულმა საბუთებმა, ურთიერთმტკიცებებმა თავიანთ სიგელებზე და ა.შ. „ორივ მეფენი“ წინასწარ შემუშავებული სქემით მოქმედებენ, რათა ქართლ-კახეთი ერთ ორგანულ ნაწილად აქციონ — შექმნილ ვითარებას პაპუნა ორბელიანი შესანიშნავად ახასიათებს: „მაშინ გაერთნეს ქართლი და კახეთი. იურვიდენ საქმეთა ორისავ ქვეყანასას ერთად. ვითაც მამა-შვილნი იყვეს მეფენი ჩვენნი, სახელმწიფონიც გაერთნეს“ [101, 181], ან 1749 წ. დავითგარეჯის უდაბნოსათვის მიცემული შეწირულობის წიგნი, რომელშიც თეიმურაზ მეფე ხაზს უსვამს: „მას ჟამსა ოდეს ორისავე ტახტისა და სამეფოს მპყრობელობა ხელთ გვდგა ღვთის ნებითა და ორივე სამეფონი გაერთდენ“ [2]. საინტერესოა, რომ ეს ერთობლივი „ორივ მეფენი“-ს თანამეფობა მონეტაზეც აისახა — ადგილი აქვს ორივე მეფის სახელით ემისიას [379, 258].

ასეთ ვითარებაში რუსეთში გადახვეწილ ქართლის ბატონიშვილებს საყრდენი საფუძველი სულ უფრო ეცლებათ, მათ რეალურად ქართლისათვის აღარაფრის შეთავაზება აღარ შეუძლიათ. ამ ფონზე თეიმურაზ II შეძლო ერთობლივად განეხორციელებინა ქრისტიანული მმართველობის აღდგენა, სიმპათიების მოპოვება რუსეთთან და ლოიალობა ირანთან ურთიერთობაში; თეიმურაზ-ერეკლეს ტახტმა ფაქტობრივად დამოუკიდებელი და გაერთიანებული აღმოსავლეთ საქართველო ამიერკავკასიის ჰეგემონად აქცია, აწარმოა გამიზნული საშინაო პოლიტიკა წესრიგისა და ქართული სახელმწიფოებრივი სტრუქტურების დასახვეწად... [312, 12, 28]. ასეთ შედეგებს ქართლის ფეოდალთა „ლეგიტიმისტური მოძრაო-

ბა“ წინ ვეღარ დაუდგებოდა – ერეკლე II თავისი პიროვნული თვისებებით ბევრად სჭარბობდა ტახტის სხვადასხვა პრეტენდენტს, პაატა ბატონიშვილის შეთქმულების გამო მოწვეულმა გასამართლების პროცესმა, ანუ „თავისებურმა რეფერენდუმმა“ ნათლად უჩვენა, რომ ქართლ-კახეთის უდიდესი ნაწილი მხარს „პატარა კახის“ პოლიტიკას უჭერს [320, 43].

კახეთის ბაგრატიონთა გამაერთიანებელი პოლიტიკის ფონზე, ქართლის ბაგრატიონთა დინასტიური ბრძოლა რეაქციულ ხასიათსაც კი იძენს [287, 66] და უფრო ზიანის მომტანი ჩანს, ვიდრე სიკეთისა [215, 608...]. „მუხრანელი მეფეების“ აღდგენის მიზნით წარმოებული ბრძოლა რეალურად იყო „ქვეყნის გაერთიანების წინააღმდეგ ლეგიტიმიზმის დროშით გამოსვლა, როცა ეს ძალები სხვადასხვა ტახტის მაძიებელთ წამოატივტივებდნენ ხოლმე და თითონ მათგან ამაგის დაფასებას და დიდ მოგებას მოელოდნენ“ [305, 110]. როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაშია აღნიშნული, ეს პროცესი მსხვილი ფეოდალების ცენტრიდანულ, რეაქციულ და ვიწროდინასტიურ „ლეგიტიმისტურ მოძრაობად“ ჩამოყალიბდა [312, 9, 13]. „თავადური ქართლის გლოვა“ [175, 182] კახეთის ბაგრატიონთა შტოს გამარჯვებით დასრულდა, რამაც ბოლო მოუღო „მუხრანელი“ მეფეების ტახტის აღდგენის მიზნით წარმოებულ ქართლის ფეოდალთა „ლეგიტიმისტურ მოძრაობას“ და უდიდესი პოლიტიკური შედეგი მოიტანა – აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანება და ქვეყნის გაძლიერება.

2. ერეკლეს ბატონიშვილების საკითხი:

ისტორიულ წყაროთა შესწავლა-შეჯერებამ გვიჩვენა, რომ ერეკლე II (სამი ცოლიდან) 28, ხოლო გიორგი XII კი (ორი ცოლისაგან) 23 შვილი ჰყავდა, რაც მრავალი ქიშპისა და ურთიერთდაპირისპირების მიზეზი გახდა. პლატონ იოსელიანი ამ ფაქტში ორ მხარეს ხედავს: „სიმრავლე ძეთა და ასულთა მეფის ძისა გიორგისა და ესრეთივე სიმრავლე სამთა ცოლთაგან ძეთა და ასულთა ირაკლისა, იყო მიზეზი სამეფოისა სახლისათვის კეთილისა და ბოროტისა“; რა იყო მისი აზრით დადებითი: „ნაყოფი კეთილი“ ისაა, რომ „დაშორებული ძველად ქართლი და კახეთი შეერთდა უფრო მტკიცედ. სასახლემან მეფისამან მოითხოვა ქართლიდამ, რომელიცა უწოდებდა აქამდე მეფესა ირაკლის კახთა-ბატონსა, და არა მეფესა, სასძლონი და მეფისა

ასულნი მოიძიებდენ თვისდა საქრმოთა ქართლისა თავადთა სახლთა-გან“ [134, 13]. ამას, ავტორის აზრით, ლეგიტიმიზმის თვალსაზრისი-თაც მოუტანია ცვლილება-შედეგი: „ესრეთ დაკავშირდა ქართლი და კახეთი ერთობითა თავადთა და სამეფოჲსა სახლისა მძახლობითა და მოყვრობითა. ამან კავშირმან დაავიწყა ქართლისა მეფისა გვარი, დაშ-თენილი რუსეთსა 1724 წლიდამ; ამან ერთობამან ნათესაობითმან მო-სპო თქმულობა ქართლისა ერისა: ირაკლი მამა კახეთისა და მამი-ნაცვალი ქართლისა“ [134, 13].

რაც შეეხება „ბოროტად“ შედეგს: „მეორის მხრითა სიმრავლემან ძეთა და ასულთა დაბადეს შური და მტრობა ურთიერთისადმი...“ აქტიურდებიან ოჯახები, სადაც „იყოფოდა მეფის ასული რძლად ანუ რომლისაგანცა წარიყვანდნენ მეფის-ძენი ქალთა სასძლოდ თვისად“, „თავადნი ესენი, დამოკიდებულნი მოყვარეობითა მეფეთა თანა, არღა ემორჩილებოდენ მეფისა მოხელეთა...“ [134, 13-14]. შედეგი თვითონ პ. იოსელიანისავე დახასიათებით კატასტროფულია: „დასუსტდა ჰაზრი და მნიშვნელობა პირმშოებისა; ეცინიდენ მემკვიდროებასა; არა პა-ტივსცემდენ პირველობასა და თვითოეული წევრი სამეფოჲსა სახ-ლისა გონებდა თავსა თვისსა მეფობისათვის განმზადებულად. სჯული არღა ჰსჯულობდა სამეფოში, სადაცა უფლებდენ მეფის-ძენი და კარის-კაცნი მათნი“ [134, 14].

XVIII ს. 90-იანი წლების ქართლ-კახეთის სამეფოში სპეციალუ-რად დაისვა ტახტის მემკვიდრეობისა და საუფლისწულოთა ფლობის წესის საკითხი. ნ. ბერძენიშვილი ამ მოვლენას „რეაქციის ზეიმს“ [181, 465] უწოდებს. პირველად მეორე საკითხზე შევჩერდებით, რომლითაც ბატონიშვილებს მნიშვნელოვანი მფლობელობა [336, 80] დაუკანონდათ — „ამნაირად, ამდენი შრომითა და ბრძოლით შექმნილი სამეფო ქონება ამიერიდან კიდევ უფრო რექციული ფეოდალების ხელთ მოექცა, ვიდრე თავადები იყვნენ“ [181, 465]; საბოლოოდ, დიდი ისტორიკოსი მათ „თავადური რეაქციის ბურჯებად“ ნათლავს [181, 466]. თავიანთ სამ-ფლობელოებში ბატონიშვილები როგორც „ჴელმწიფენი“, ისე გრძნობდ-ნენ თავს, იღვწიან მათ დამოუკიდებელ მამულებად გადასაქცევად — მეფეს ამ მიწებზე უკვე ნაკლებად მიუწვდება ხელი.

თეიმურაზ ბაგრატიონის განცხადებით, „განუყო მეფემ ირაკლიმ მამულნი ძეთა თვისთა საბატონიშვილოდ, რომლისა გამო აღდგა შფო-

თი მეფისა ირაკლის სახლში ძმათა შორის“ [85, 64]. საინტერესო ფაქტია, რომ პოლკოვნიკ ტამარას რუსეთიდან საქართველოში გამომგზავრებისას სპეციალურ დავალებად მიუღია ერეკლე მეფისათვის ერჩია, რათა სამეფოს საბატონიშვილოებად დანაწილება არ მოეხდინა; ერეკლემ უარყო ეს ინფორმაცია და ტამარა საპირისპიროში დაარწმუნა, რის შემდეგაც იგი პეტერბურგში ატყობინებდა: „ამჟამად არავითარი საშიშროება არ არსებობს იმისა, რომ მან სამეფო თავის 6 ვაჟს შორის (თუ ბერს არ ჩავთვლით) დაანაწილოს, პირიქით, მან მე ერთხელ განმიცხადა, რომ ეს მავნე წესი მათში დიდი ხანია აღკვეთილია“ [67, 85]. აქ თითქოს კარგად ჩანს ერეკლე მეფის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი; ამავე დროს, ირკვევა, რომ ქვეყანაში აზრი სამეფოს შვილებისათვის საუფლიწულოებად დაყოფის შესახებ ფეხმოკიდებულია, რის შესახებაც რუსეთში კარგად იციან. ეს პროცესი ტამარასთან აღნიშნულია ტერმინით — „მავნე წესი“, მაგრამ მისთვის მებრძოლმა ძალებმა მაინც გაიმარჯვეს.

ერეკლეს მიერ სახასო ბატონიშვილებს შორის იქნა განაწილებული — მალე ისინი დამოუკიდებელ საბატონიშვილო სენიორიებად ჩამოყალიბდნენ. მეფემ „ძეთა თვისთადმი“ ასეთი გადაწყვეტილებით სამკვიდროდ „საკუთარი წილი“ გაუჩინა — „განწესებანის“ მიხედვით, ბატონიშვილებს რაც „თავთავისი წილი აქვსთ მიცემული, ის ხომ თავიანთი კერძი არის...“ [122, 512; 110, 206]. უფლისწულს საუფლისწულო ყმა-მამულიდან მხოლოდ შემოსავლით სარგებლობის კი არა, არამედ უკვე მამულის თავისი ნებისამებრ განკარგვის უფლება აქვს, ე.ი. საუფლისწულო უფლისწულის სრული საკუთრებაა [307, 13]. ამდენად, ცვლილება თვალსაჩინოა, საბატონიშვილოს დროებითი სარგებლობიდან სრულ საკუთრებად ქცევისაკენ.

პირველი მსხვილი საუფლისწულო 1752 წელს შეიქმნა და ერეკლეს უფროს ძეს — ვახტანგ ბატონიშვილს ეკუთვნოდა. იგი „არაგვის მპყრობელად“ იწოდება, რამდენადაც მისი სამფლობელო არაგვის საერისთავოს მოიცავდა [336, 74...]. XVIII ს. 70-იან წლებში უკვე ახალი საუფლისწულო ჩამოყალიბდა, რომელიც მომავალ გიორგი XII გადაეცა. გიორგი ბატონიშვილისადმი ბოძებულ სამფლობელოებს (ყაზახი, ბორჩალო, შამშადილი...) სამეფო ტახტისადმი არამორჩილ საერისთავოთა ტერიტორიებიც ემატება — წინა ეტაპზე უკვე იყო ლაპარაკი მეფის

ხელისუფლების იმ პოლიტიკის შესახებ, როცა ცენტრი, ერთგულების იმედით, ერისთავთა მაგივრად, ბატონიშვილებს იზოლირებულობა-განდგომის ტენდენციის მქონე სხვადასხვა რეგიონების მმართველებად ნიშნავს. ამ ახალ საუფლისწულოებით მეფე ერეკლე ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას ისახავს მიზნად — მამაშვილობის გრძნობიდან გამომდინარე, იგი სეპარატისტული ტენდენციების აღმოფხვრას ფიქრობს. დაახლოებით 1774-1776 წწ-ში გიორგი ბატონიშვილის ხელში გადადის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი — არაგვის საერისთავო, რომელიც 1776 წელს მეფემ მას გამოართვა და ლეონ ბატონიშვილს გადასცა (ლეონი 1781 წელს გარდაიცვალა); ერეკლემ ამჯერად არაგვი თავის შვილს — ვახტანგს (ალმასხანად წოდებულს) უწყალობა, თუმცა მასზე მირიან და ფარნაოზ ბატონიშვილებსაც მიუწვდებოდათ ხელი; ვახტანგ ბატონიშვილი ერთპიროვნული მფლობელი 1784 წლიდან ხდება [336, 76...]. ამ პერიოდამდე აღნიშნული სამფლობელოდან შემოსავალი სამეფო ოჯახის წევრებს შორის (იგულისხმება ვახტანგი, მირიანი და ფარნაოზ ბატონიშვილები) ნაწილდება. თუ როგორ უნდა შეფასდეს საკითხის ასეთი გადაწყვეტა და რა შედეგები გამოიღო, უკვე იყო საუბარი და ქვევითაც შევჩერდებით; აქ მხოლოდ ვიტყვით, რომ ერეკლე II ამ ნაბიჯმა ქვეყანა საპირისპირო ვითარებამდე მიიყვანა.

როგორც ცნობილია, XVIII საუკუნის დასაწყისში იყო ცდა, რათა ქსნის საერისთავო სამეფო დომენის ფარგლებში მოექციათ (1716-1719 წწ-ში ამ მხარეს განაგებს ვახუშტი ბატონიშვილი); 1777 წელს ერეკლე II ქსნის ერისთავები დასაჯა, სამფლობელოები ჩამოართვა და თავის შვილებს გადასცა: „მიუღო ქსანი და მიუბოძა ძესა თვისსა გიორგის და ლიახვი იულონს“ [85, 57]; 1778 წლის ბრძანებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „...ქსანსა და ლიახვზე ჩვენგან ერთის კომლის კაცის სხვის მიცემა აღარ იქნება“ [107, 457]. როცა გიორგი ბატონიშვილმა თავისი სამფლობელო შვილებს — იოანესა და ბაგრატს შორის გაყო, პირველმა ქსნის ხეობა, მეორემ კი მეჯუდისხევი და ისროლის ხევი მიიღო. ერისთავები მაინც აგრძელებენ ბრძოლას სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ — მთელი საერისთავო ბატონიშვილების ხელში აღმოჩნდა: გიორგის ძე — იოანეს მფლობელობა ქსნის, საფარშეთის, ალევის, ცხრაზმისხევის, ჩურთის, ქარჩოხის და

ჟამურის ხეობაში ჰქონდა, ბაგრატ გიორგის ძეს — მეჯუდისხევში, ისროლისხევში, საკორინთოსა და ქოლოთ-ქვითკირში, ერეკლე II ძეს იულონს კი პატარა ლიახვი და გვერდისძირი ეკუთვნოდა [203, 330]. ჩვენი აზრით, ასე დანაწილებული მფლობელობა საკითხის გადაწყვეტას ვერ უზრუნველყოფდა, მით უმეტეს, როცა ბატონიშვილები თვითონ ცდილობენ თავიანთი სამფლობელოების გაზრდას ახალი ყმამამულის შეძენის გზით.

სხვადასხვა საბატონიშვილოს, კერძოდ, იულონის, ვახტანგის (ალმასხან), ფარნაოზის, ალექსანდრეს, მირიანის, იოანეს, ბაგრატის, თეიმურაზისა და სხვ. ბატონიშვილთა სამფლობელოების რაობისა და მოცულობის საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგადაა შესწავლილი [336, 80...,85...,89...]; ამიტომ უშუალოდ პრობლემასთან დაკავშირებით დავასკვნით, რომ თეიმურაზ II და ერეკლე მეფის მიერ შექმნილი სახასო, რომელიც გარკვეულ პერიოდში ქართლ-კახეთის სამეფოს მესამედზე მეტს მოიცავდა, დაქუცმაცდა-დაიშალა, სამეფო ცენტრიც შესაბამისად დასუსტდა და მნიშვნელოვანწილად ფუნქციადაკარგულად იქცა.

ქართლ-კახეთის სამეფო სახლში სიტუაცია უკიდურესად XVIII საუკუნის 90-იან წლებში ტახტის მემკვიდრეობის წესის თაობაზე, კერძოდ, ახალი კანონის — „განწესებანის" შემოღების შემდეგ გართულდა: ჩვენ უკვე გვქონდა მსჯელობა ტახტზე მონაცვლეობის სხვადასხვა შესაძლებელი ფორმების შესახებ — არჩევითი და მემკვიდრეობითი; მონარქიებში ძირითადად ეს მეორე პრინციპი იყო გავრცელებული, რომელსაც ცენტრალიზაციისათვის, სხვასთან შედარებით, უფრო უნდა შეეწყო ხელი. არის შემთხვევები ანდერძით ტახტის მემკვიდრეობისაც; სენიორატისა და მაიორატის ფორმის ხშირი ფუნქციონირება უკვე დავაფიქსირეთ. ბაგრატიონთა საქართველოში აღნიშნულ პრინციპთა საპირისპიროდ „პირმშოობაა" (ტახტის მამიდან უფროს ვაჟზე გადასვლა) გაბატონებული.

ერეკლე II მეფობის ბოლო პერიოდში კვლავ დაისვა ტახტის მემკვიდრეობის კარგად დამკვიდრებული წესის საკითხი: ტახტი უკვე ძმიდან ძმაზე უნდა გადასულიყო და არა მამიდან შვილზე; მემკვიდრეობის ამ სისტემას კოლატერალული ხაზი ეწოდა, იგი ცნობილია სხვა ქვეყნებშიც და დაპირისპირების ხელშემწყობ პრინციპად მოჩანს. ამ

წესით, გიორგი XII შვილები – მისი შტო ფაქტიურად ტახტის მემკვიდრეობითობას კარგავდა. აქედანაა ბრძოლა, ბატონიშვილობის საკითხში კულმინაციური სიმწვავე და შედეგი – სამეფო ტახტისა და შესაბამისად, ქვეყნის დასუსტება. სამეფო სახლში ვითარება იქამდეც კი მივიდა, რომ ზოგმა არჩევითი პრინციპის შემოტანაზეც კი დაიწყო ლაპარაკი, რაზეც ქვევით შევჩერდებით კიდეც.

მთავარი დოკუმენტია – „განწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისანი ძეთა თჳსთადმი სამეფოჲსათჳს საქართუელოჲსა“ [122, 508...; 110, 200-221], რომელიც ვრცელი და საინტერესო ისტორიული წყაროა; ერეკლეს აზრით, „განწესებანი საქართველოს მეფის ოჯახისათვის“ ისეთ კანონად უნდა ქცეულიყო, რომ „მასუკან არასოდეს შფოთისა და სისხლის დაღვრისა და ერთმანეთის მტერობისა საფიქრელი აღარა გექნებათ რა...“ [122, 508]. მეფე თვლის, რომ შვილებისათვის „ასე არ გამესინჯა“ და „თავთავისი წილი და რიგი ახლავ არ მიმეცა და არ გამეჩინა“ მე „ერთმანერთის სისხლის ჩამოვარდნის მიზეზი შევიქნებოდი“; ერეკლე მეფე მისი ჩანაფიქრით ქმნის კანონს, რომლითაც განსაზღვრულია, თუ „როგორ უნდა ერთად ძმობდნენ და ან თავისი წილი საკუთარი რა აქვთ გაჩენილი“; მეფე მუდმივად ხაზგასმით ამბობს: „...მეტი განზრახვა არა მქონია“ და ამიტომაც „დამიწერია ჩემის შვილების გზების ჩვენება და ეს განწესება...“ [122, 510].

ერეკლე მეფემ პირველი გადაწყვეტილებით (რაც „საუფლისწულო მიმიცია, იმაში ერთმანეთთან საქმე აღარა აქვთ რა“) საუფლისწულოთა ხელშეუხებლობა დააკანონა. მართალია, ეს იყო მეფის მოწოდება ძმათა ერთიანობისაკენ, მაგრამ შექმნილ ვითარებაში იგი ხელოვნური დაკავშირების ცდად იქცა [336, 79], ამან კიდევ უფრო უარყოფითი შედეგები მოიტანა. მთავარი აქ ისაა, რომ ამას თვით ტახტის მემკვიდრეობის წესის შეცვლაც კი მოჰყვა: „მეფობა პირველად უფროს ძმას, მეორეთ მეორეს, მესამედ მესამეს, მეოთხედ მეოთხეს, მეხუთედ მეხუთეს, მეექვსედ მეექვსეს და მასუკან კიდევ მეორედ უნდა მოუბრუნდეს პირველის ძმიდამ და კიდევ ისე უნდა ჩავიდეს მეექვსეს ძმამდის, ყველამ, ძმის შთამომავლობამ ასე უნდა ჩაირიგონ მეფობა...“ [122, 519]. ამის შემდეგ დასახელებულია სხვადასხვა შემთვევა სახლისშვილობის (სხვა მხრივაც) თვალსაზრისით და გაკეთებულია მითითება, თუ როგორ მოიქცნენ – ვინ აიყვანონ

ტახტზე. სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესი მოკლედ ასე ფორმულირდება: „ხან ერთმა ძმამ მიიღოს მეფობა და უფროსობა და ხან მეორემ“ [122, 522].

მეფე ერეკლეს სამეფო სახლის საგვარეულო განშტოებათა საკითხიც აწუხებს — ეს პროცესი გრძელდება, სახლების გაყრა სახეზეა, ამიტომაც, უმაღლესი ხელისუფლებისათვის აღნიშნული პრობლემაც აქტუალურია: „თუ ასე არ გამეერთებინა, ის მეორე ძმები გაყრას მოინდომებდენ, მასუკან სულ გაყრაში ერთი მეორეზე აღზდგებოდენ...,და მუდამ შფოთი და სისხლის დაღვრა და სიკვდილი იქნებოდა; და მე ასე ამისათვის შვიდ თაობამდის, სადამდის ყველასი შვიდი თაობა არ შესრულდეს, ამავ წესზე უნდა იყვნენ“ [122, 527]; ტახტის მემკვიდრეობის ძველი წესის — „პირმშოობის“ უარმყოფ და გაყრის შემჩერებელ არგუმენტად ასეთი მომენტია მოყვანილი: თუ უფროსობა-მეფობა ერთი ძმის სახლში იქნება, მაშინ „სხვანი მასუკან იმის ყმანი შეიქნებიან, და ეს დიდი უსამართლობა არის“ [122, 522]. როგორც ვხედავთ, ლეგიტიმიზმის ძველი გაზიარებული პრინციპი „უსამართლობადაა“ მონათლული. ერეკლეს რწმენით, ყველაფერი იმიტომ კეთდება, რომ გაყრა და დამდაბლება არ იყოს, რათა „ამ სახლშიაც ძმების შთამომავლობა ერთის ძმისა მეორე ძმის ყმად არ გახდეს და არ გაგლახაედეს“ [122, 523]. როგორც ვხედავთ, ბოლოს ლაპარაკია იმ პროცესის შესახებ, რასაც ბაგრატიონთა სამეფო სახლში სხვადასხვა შტოთა „გაღარიბებისა“ და „გაგვარების“ პროცესს ვუწოდებთ; ერეკლესთან ამის აღსანიშნავად „გაგლახაკება“ იხმარება.

პ. იოსელიანის მიერ ტახტის მემკვიდრეობის ეს ახალი წესი შეფასებულია როგორც „უგვანი ანდერძი დასაღუპავად ქვეყანისა შედგენილი“: „ანდერძითა ამით უნდა მისცემოდა მეფობა პირველად იულონსა, მერეთ ვახტანგსა, მერეთ მირიანს, მერეთ ალექსანდრეს. მერეთ უკანასკნელსა შვილსა ირაკლისსა ფარნაოზს. — შემდეგ ამაისა უნდა გარდასულიყო გვირგვინი მეფობისა მეფისა გიორგისა შვილებზედ, ე.ი. პირველად უნდა მისცემოდა მეფობა დავითს, მერეთ იოანეს, მერეთ ბაგრატს...“ [134, 219-220]. საინტერესოა პ. იოსელიანის ასეთი ინფორმაცია, რომ „ანდერძისა ძალითა ნამდვილ ხელმოწერილითა მეფისა ირაკლისაგან ოთხისა დღითა წინათ სიკვდილისა, თხოვნისამებრ დედოფლისა, — ჯერ იყო, რათა ემეფა პირველად პირმშოსა ძესა

მისსა გიორგის, შემდეგ ძმასა მისსა იულონს“ [134, 57-58] და ა.შ., ე.ი. ამტკიცებს 1791 წ. ახალი წესის პრინციპებს. რას ნიშნავს „ოთხისა დღითა წინათ სიკვდილისა“ ერეკლე მეფის მიერ ანდერძზე ხელის მოწერა?! 1791 წლის „განწესებანთან“ ერთად, 1798 წელს, ერეკლეს სიკვდილის წინ, ასეთი ანდერძიც ხომ არ გამოსტყუა დარეჯან დედოფალმა მხცოვან მეფეს?! ჩვენთვის ცნობილი ხდება ანდერძის დამწერის ვინაობაც: „ერთმან უგვანმან ანდერძმან, დაწერილმან ყორღანაშვილისა ოსეფასაგან, აღსძრა შფოთი ძმათა შორის“ [134, 58].

აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ტახტის მემკვიდრეობის ახალი კანონი „ნახევრად ნატყუარ-ნაძალადევი“ იყო და ერეკლემ ის ხელის მოწერის უმალვე უარყო [181, 465]. არსებობს საპირისპირო აზრი, რომ ერეკლე II ეს ახალი წესი მოქმედებდა [336, 79], რაზეც 1797 წელს გიორგი ბატონიშვილის მიერ იულონ და ალმასხან ბატონიშვილისადმი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ მიცემული პირობის წიგნის მე-4 მუხლი ლაპარაკობს: „ღმერთმან დიდხანს აცოცხლოს ყუელანი, მაგრამ საქართველოს მეფობა უფროს-უმცროსობით ჩამორიგებით იყოს ძმებზედ“ [122, 533]. თვალშისაცემია, რომ ერეკლეს ძენი მუდმივად ეჭიდებიან ერეკლეს ანდერძს და მის თავის სასიკეთოდ გამოყენებას ცდილობენ — ბატონიშვილთა ერთ-ერთ წერილში აღნიშნულია: „...რაც მეფე ერეკლეს განუწესებია, სასიკვდილოდ თავი უნდა მივცეთ, ჩვენგან ამ ანდერძზედ გარდასვლა არ იქნება. ჩვენ ერთად შევიყარენით, ბატონიშვილის იულონს და ფარნავაზს ვიახელით; მეფის ერეკლეს დადებულის ანდერძით და თითონ მეფის გიორგის მიცემულის წერილით მეფობა ახლა იმისი არის; კიდეც შევფიცეთ, მეფეთაც აღვიარეთ. ჩვენზედ ამის გარდა სხვისა არავისი მეფობა იქნება; ვერც მეფის ერეკლეს ანდერძს გადავალთ...“ [190, 317].

ამდენად, ერეკლემ უარყო ტახტის მემკვიდრეობის ახალი წესი თუ სიკვდილის წინ, დარეჯანის მეცადინეობით, ეს „განწესებანი“ თავისი ანდერძით კიდევ უფრო განამტკიცა?! 1797 წელს ეს ახალი კანონი ძალაშია, რადგან გიორგი ბატონიშვილის ზემოაღნიშნული 1797 წლის იულონ და ალმასხან ბატონიშვილებისათვის მიცემული პირობის წიგნის გარდა, ამავე წლის გიორგის სიმტკიცის წერილში პირდაპირაა აღნიშნული: „სიმტკიცის წერილი, რომელიცა მაუცია აწინდელსა მეფესა საქართველოჲსასა გიორგის ძმის თჳსისა იულო-

ნისათჳს დამტკიცებისათჳს მისისა შემდგომად თჳსა საქართველოს სამეფოსა ზედა მემკვიდრედ". ამის შემდეგ, კიდევ უფრო ცხადი განცხადებაა გაკეთებული: „ჩემო ძმავ, ბატონისშვილო იულონ! მე თქვენი ძმა გიორგი ამ წიგნს გაძლევ, რომ, როდესაც მე გარდავიცვალო, ჩემ შემდგომ მეფობა შენ გქონდეს, შენი არის, ამას ჩემის ხელით გიმტკიცებ და ჩემის ბეჭდით" [110, 223]; მაგრამ, ჩვენი აზრით, ასეთი ვითარება მხოლოდ პირველ ეტაპზე, მისი ახალგამეფების ხანაში ჩანს – ერეკლეს გარდაცვალებისა და მის მიერ სამეფო ტახტზე ფეხის მოკიდების შემდეგ, გიორგი XII ტახტის მემკვიდრეობის ერეკლესეული ახალი წესის გაუქმებისათვის იბრძვის; ჩვენ არც იმას გამოვრიცხავთ, რომ მას ამ მცდელობაში თავისი იურიდიული არგუმენტებიც ჰქონდა: ნ. ბერძენიშვილი და აპ. როგავა ერეკლეს მიერ მემკვიდრეობის ახალი წესის უარყოფის ფაქტს უდავოდ მიიჩნევენ [80, 116-117]; იქნებ ერეკლეს მხრიდან მართლაც ჰქონდა ამის მცდელობას ადგილი, რასაც შემდეგ გიორგი მეფე დაეყრდნო?! შესაძლებელია, ამაში პ. იოსელიანთან დაცული საინტერესო ინფორმაცია დაგვეხმაროს: ერეკლე მეფის განხილული ანდერძის გვერდით იგი აღნიშნავს, რომ „მეფესა გიორგის სხვაცა აქვნდა ანდერძი მამისაგან დაწერილი. ამა ანდერძითა ირღვეოდა ანდერძი, გამოცხადებული დარეჯან დედოფლისაგან" [134, 220]; მასვე მოჰყავს ეპისტოლე, რომელიც საქართველოში „განეფინა", სადაც სხვა მომენტებთან ერთად აღნიშნულია: „დაგიჟინიათ მეფის ერეკლეს ანდერძზედ დავდგეთო. მეფემ ერეკლემ დასტოვა თავისი ანდერძის დამარღვეველი ანდერძი, რომელიც მეფეს გიორგის მისცა, ის ანდერძი გარსევანმა წაიღო იმპერატორთან" [134, 221]. ვთქვათ, ასეთი ანდერძნი მეფემ მართლაც „დასტოვა", მაგრამ მთავარია რამდენად მუშაობდა იგი – ბატონიშვილთა ორ დაპირისპირებულ ბანაკს შორის მწვავე ბრძოლაა, ამიტომ რომელი გატარდა ცხოვრებაში?! ფაქტია, რომ 1791 წლის „განწესებანი" მოქმედებს და „ესე იყო მიზეზი, რომელმანცა დაბადა შფოთი ძმათა შორის და გადაუყენა ერთგულობიდან მრავალნი" [134, 220]. არსებულ ვითარებას არც ორი ანდერძის არსებობაა გასაკვირი და არც რომელიმე მათგანის ნაყალბეობაა გამოსარიცხი. როგორც ჩანს, გიორგი XII ტახტზე მომაგრების შემდეგ, მაინც შეძლო მემკვიდრეობის ახალი კანონის გაუქმება; ფაქტია, რომ 1799 წლის 23 ნოემბრის

„ახალი ტრაქტატით“ დავით ბატონიშვილი საქართველოს სამეფო ტახტის პირდაპირ და ერთადერთ მემკვიდრედ გამოცხადდა — ამით მეფობა გიორგი XII — დავითის შტოს ხელში დარჩა.

ანდერძის არსებობა თუ ნატყუარობა საკითხის ერთი მხარეა — მან ორივე შემთხვევაში ქვეყნის ცხოვრებაში ტრაგიკული როლი ითამაშა; მოვიყვანთ მხოლოდ ერთ თვალსაჩინო მაგალითს: „ფარნაოზი იტყოდა ამას: „მამისა ჩემისა ანდერძითა, ხომ უნდა ვიმეფოო ოდესმე, — მე ჩემი წილი ეხლა მინდა ვიმეფოო!“ [134, 59]. აქ კარგად ჩანს იმ ეპოქის სააზროვნო სისტემა და არსებული ვითარება ტახტის მემკვიდრეობის წესის გარშემო.

გიორგი XII გამეფებიდან უმოკლეს ხანაში მეფესა და ძმებს შორის, რომელთაც „შეჰფიცეს არა სიწრფელითა“, მწვავე კონფლიქტი წარმოიშვა — „თვესა მეოთხესა შემდგომად გამეფებისა მოხდა ამბოხი ძმათაგან მეფისა გიორგისა მეორისა დედიდან. იულონი, გამეფებული ქართლში, აღიარებდა უფლებასა თვისსა მეფობისა ტახტისათვის, ანდერძის გამო მეფისა ირაკლისა. ვახტანგ ანუ ალმას-ხან (ორ სახელოვანი) არაგვისა განმგე, ჰგონებდა თავსა თვისსა არა დამოკიდებულად მეფისაგან, ვითარცა ბატონი და ერისთავი ძველთა წესითა, არაგვისა. მირიან გაბატონდა მარტყოფსა და ფარნაოზ სურამსა“ [134, 57]. ბოლოს, თავისი ზრახვანი, ხმამაღლა განაცხადა დაპირისპირებული „პარტიის“ ლიდერმაც — „დარეჯანი დედოფალი, ცხადად არ აღიარებდა მას (გიორგი XII, — დ.ნ.) მეფედ: მე მინდა, — იტყოდა იგი, — მეფობა, ვითარცა ეკატერინა იყო დედოფლად რუსეთში“ [134, 50]. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ დარეჯან დედოფლის ასეთი პოლიტიკა და დამოკიდებულება არაღვიძლი შვილის — გიორგისადმი სათავეს ბევრად ადრე იღებს, ვიდრე ერეკლე II გარდაცვალებაა, თვით გიორგი ბატონიშვილის მცირეწლოვანების ხანაშიც კი (უფლისწულის ცუდი კვება და ა.შ.); ეს მომენტები ვრცლად და ძალზე საინტერესოდაა მოთხრობილი გიორგი XII შვილიშვილის ოლღა გრუზინსკის მოგონებებში, რომელიც სხვა არაერთ უნიკალურ ცნობასაც შეიცავს (მისი გამოქვეყნება ჯერჯერობით მოხერხდა გაზეთ — „Свободная Грузия“ სერიის სახით: „Воспоминания Ольги Грузинской“. პუბლიკაცია მომზადებულია ს. ბიჭიკაშვილის, დ. ნინიძისა და ა. მხეიძის მიერ [146]).

ბატონიშვილთა ურთიერთბრძოლისა და დაპირისპირების ისტორია მრავალრიცხოვან ფაქტთა მომცველია – ისინი კარგადაა ცნობილი და ძირითადად შესწავლილია კიდეც, ამიტომ აქ აღარ შევჩერდებით. ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ზოგიერთ მომენტზე: ტახტის მემკვიდრეობის საკითხი იქამდე გამწვავდა, რომ „დარეჯან დედოფალს სთხოვა შვილმა მირიანმა, რომ კახეთში უნდა წამობრძანდეთო, იქ უნდა გავამეფოთ იულონ და გიორგი დავითხოვოთო...“ მეფე გიორგი შეშფოთებულია – „მე რომ ვარო და ასე მტრობენო, ჩემს შვილებს სულ დახოცავენო“ [134, 64]. ბუნებრივია, განსაკუთრებით პირმშო დავითის საკითხია მოსაგვარებელი: „შვილსა ჩემსა დავითს შეაცთენენ გულარძნილნი ძმანი ჩემნი,– იტყოდა მეფე... მტერნი მათისა მამისა, როგორ შეიქმნებიან შვილთა მისთა მყვარებელნი.– ავი ნიშანია ეს...“ [134, 69]. ვითარებას ისიც უფრო ართულებს, რომ ბატონიშვილთა უმეტესობა „იყვნენ არა ეგოდენ ვარგისნი და არც სამეფოდ აღზრდილნი...“ [134, 70]. გიორგი XII პოლიტიკა, როცა „უნებდა მეფესა ჩამორთმევა საუფლისწულოებისა, რომლითაცა იყო დაგლეჯილი სამეფო“ [134, 117], რითი დასრულდა ჩვენთვის ცნობილია. გიორგი მეფის კრედოა – „დაეცემა მეფობა, უკეთუ განუყოფ მე სამეფოსა ძმათა ჩემთა. ვის უქმნია ესე და არ უნანია?“ [134, 187]. საპირისპიროდ, ბატონიშვილთაგან არაერთი მათგანი „ჰგონებდა გამეფებასა“ – დარეჯან დედოფლის „პარტია“, იულონ და ა.შ. თუნდაც „სურამის მეფე“ ფარნაოზის ისტორია კმარა: საერთოდ, არაერთხელაა მის შესახებ აღნიშნული, რომ „უმეტეს ფარნაოზ იყო შფოთისა მიზეზი“, ან „ფარნაოზ ძე მეფისა ირაკლისა აპირებდა ხმლითა მიხდომასა“ მეფე გიორგისთან და სხვ. საუფლისწულოების დარიგების დროს, „უმცირესი ძე ირაკლისა ფარნაოზ ჯერეთ 15 წლისა დარჩა უადგილოდ“, ამიტომ ერეკლეს ბრძანებით მას ძმასთან ალმასხანთან უნდა ეცხოვრა; მაგრამ „ძმამან იგი არ მიიღო. თანამხლებელთა უქადეს თობის გავარდნა...“ ფარნაოზი უკუმოიქცა, რამაც მეფე ერეკლეს გულისწყრომა გამოიწვია, გიორგი ბატონიშვილის ჩარევამ და ალმასხანთან „ბოდორნისა ეკკლესიასა შინა“ ფიცის დადებამ „დრო სიყვარულისა“ დაამყარა, მაგრამ ფარნაოზმა თვითონ „არ ინება მუნ დგომა“ და ერეკლეს სასახლეში დაბრუნდა [134, 48]. 1797-1798 წლებში მირიან ბატონიშვილის პეტერბურგში გამგზავრების შემდეგ, დარეჯან დედოფ-

ლის თხოვნით, მისი ყმა-მამულის ნაწილი ფარნაოზს გადაეცა; მირიან ბატონიშვილის დაბრუნებას ბატონიშვილობის საკითხის გამწვავება მოჰყვა — ფარნაოზმა მამული აღარ დასთმო და სურამის ციხე გაამაგრა. მის წინააღმდეგ დავით მემკვიდრე გაიგზავნა: შეშინებული ბატონიშვილი ციხიდან გამოვიდა, „სამ თვეს ტრიალებდა ფარნაოზ სურამისა გარეშემო და აქა შეიგროებდა ჯარსა და ლეკთაცა მიიწოდებდა ახალციხის მხარეთგან. მე (იგულისხმება პ. იოსელიანი, — დ.ნ.) თვით მინახავს მცირე ოქმი, სურამს ნაბოძები ფარნაოზისაგან, სადაც იწოდებოდა ბეჭედითა სმულითი: მეფე ფარნაოზ და სხვა ბეჭედი შემდეგითა წარწერითა: დედოფალი ანნა“ [134, 59]. დავით უფლისწულმა ფარნაოზი დაამარცხა, ხოლო მეფე გიორგიმ სურამი მირიანს აღარ დაუბრუნა და მემკვიდრე დავითს გადასცა. ეს ისტორია — „ამბავი ბეჭედისა“ 1844 წელს პ. იოსელიანმა სანკტ-პეტერბურგში თვით ფარნაოზ ბატონიშვილს შეახსენა, რომელიც „იცინოდა კურთხეული ამისათვის: ჩემო პლატონ, — მიბრძანა მან, — დროება მრავალს რასმე აქმნევინებს კაცსა!“ [134, 59]. რუსეთში გადახვეწილ სამეფო სახლის წევრებს ისღა დარჩენოდათ გაეხსენებინათ მათ თავს დატრიალებული „წარსულთა დროთა შემთხვევათა“ — პ. იოსელიანს მაგალითისათვის ასეთი თავყრილობა მოჰყავს „1803 წ. ანგლიისა სასახლეში პეტერლოფს“, სადაც „ოდეს იტყოდეს ამბოხისა და მეფობისა დაცემისა მიზეზთა“; გარჩევის შედეგად, „ბრალსა დიდსა მიაწერდნენ ფარნაოზსაცა მეფის ძესა, ძმათა შორის უმცროსსა, რომელიცა ეძებდავე ტახტსა და მეფობასა საუბედუროდ ქვეყნისა“ [134, 59].

ტახტის მემკვიდრეობის თვალსაზრისით მოვლენები მოკლედ შემდეგნაირად განვითარდა: გიორგი XII სიკვდილის წინ მარიამ დედოფალი ეკითხება: „ბატონო, რას უბრძანებთ შვილებსა ამათ? ვის აბარებთ, თუ გვეწვია უბედურება რაჲმე?...“ პასუხი ასეთია: „ბატონო დედოფალო, გაიგონე რა გიამბო; მე აუჩენ პატრონსა დიდსა და ძლიერსა“ [134, 206]. ბატონიშვილთა შფოთის გამო „იძულებულმან“ გიორგი XII წერილი მისწერა „მინისტრსა თვისსა ჭავჭავაძე გარსევანს კარსა ზედა როსისასა, რათა ითხოვოს იმპერატორისაგან სიცოცხლესავე თვისა მეფისასა მისცეს მეფობა ძესა მისსა დავითს და დაცხროს შფოთიცა ძმათა შორის თვისთა...“ [75, 76]. ბატონიშვილთა ორივე მთავარი დაპირისპირებული „პარტია“ სათანადოდ ემზადება — დავით

ბატონიშვილი თავის ძმა ბაგრატს სწერს: „ეს საიდუმლო იყოს: ცარ ნემნო'მკა ბოლენ. რაგინდ დაგიბაროს ბატონმა, თუ ყმამ, არ ჩამოხვიდე; მანდაურობა გამიმაგრე; თუ მანდ ერთ-ერთმა ბიძაშენებმა მოინდომონ გარდმოსვლა, ნუ გარდუშვებ. თუ ჯარით დაგიბარო, მზად იყავ, — როგორც მოგწერ ისე ჰქენ!" [106, 8].

გიორგი მეფის გარდაცვალებისას დავით მემკვიდრის პოზიცია ასეთია: „თვით იცით ვინ ვარ და რა მეკუთვნის, მოვალეობა თქვენი გაქმნევინებსთ მას რაცა იქმნება საქმნელი" [134, 209]. არ ცხრება მეორე მხარე, რომელთაც „უნებდათ დაეგვირგვინებინათ მეფედ იულონ მცხეთას". ამას მთავარი და ახალი მომენტი დაემატა: რუსეთის ფარული და შორსმიმავალი პოლიტიკის ერთ-ერთი ნაბიჯი — ქართველთ „იხილეს დავით განმგედ მეფობისა და ჯერეთ არ მეფედ" [134, 269]. ბრძოლა ისე გამწვავდა, რომ ბატონიშვილთა დამშვიდებისათვის თითქოს გზაც კი აღარ ჩანს, გარდა რუსეთის ჩარევისა [211, 203]; თავადაზნაურთა შეკრებაზე იოანე ორბელიანი, მდგომარეობის გამო, იქამდე მიდის, რომ მათ მეფობისა და სახელმწიფოებრიობის-დამოუკიდებლობის დათმობისაკენ მოუწოდებს: „მგონია დამშვიდებისათვის ქვეყნისა და ჩვენისა საკუთარისა პატივისა დასაცველად, ვისურვოთ, — დაშთეს რუსეთისა მეფობა: ნურღა გვინდა მეფედ დავით" [134, 207].

საინტერესოა, რომ ასეთ მძიმე ვითარებაში გაჩნდა აზრი გარკვეული ფორმით ტახტზე არჩევითობის პრინციპის შემოღებისა: „უთანხმოებისა დროთა ამათ ქალაქი თფილისი ღელავდა. გაჩნდნენ მეამბოხენი, რომელთაცა ზოგთა სურდათ რუსნი, ზოგთა უნებდათ მემკვიდრე დავით, ზოგთა არცა იულონ და არცა სხვანი, ზოგთა უნებდათ იქმნეს აღრჩევით მეფე მიუხედველად პირმშოობისა; და ვიეთთამე დასაწყნარებელად შფოთისა სურდათ მეფედ დედოფალი დარეჯან" [134, 220]. საინტერესოა, რომ ეს არჩევა ისევ ბაგრატიონთა გვარიდან უნდა მომხდარიყო, ამდენად, დასტურდება არჩევითობის პრინციპის თავისებური ფორმა.

მსჯელობა-დავა ტახტის მემკვიდრეობის წესის თაობაზე ერეკლე მეფის შემდეგაც გაგრძელდა: იოანე ბატონიშვილი 1799 წელს წარდგენილ სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტში ტახტის მემკვიდრეობის წესს განსხვავებულად უდგება. მისი აღნიშვნით, „მეფემან ირაკლი, განაწესა ძმებზედან მოდევნებით მეფობა, და ამას ზედნცა აიძულა

ხალხი და დაიფიცეს, თუმცა არ იყო სჯულიერი სამართალი“ [89, 32]. ამ განცხადებით ისიც ჩანს, რომ ერეკლეს მიერ შემოღებული ახალი წესი მაშინვე არ გაუქმებულა, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობს. იოანეს გარკვეული ცვლილებები შეაქვს და ტახტის მემკვიდრეობის წესს კიდევ უფრო ართულებს. ახალი პროექტით, ტახტი ერეკლეს შვილებზე არა უფროს-უმცროსობით, არამედ ერეკლე II და გიორგი XII შვილებზე რიგრიგობით უნდა გადასულიყო: მეფე გიორგის შემდეგ ტახტზე ერეკლეს შვილი – იულონი უნდა ასულიყო, იულონის შემდეგ გიორგი მეფის შვილი – დავითი, დავითის შემდეგ ერეკლეს შვილი ვახტანგი და ა.შ. მისი აზრით, რადგან ერეკლეს „განწესებანი“ „ჰჩანს მიზეზ შფოთისა სახლსა შინა სამეფოსასა, თქვენცა იხმარეთ მეცნიერება და შესაერთებლად ძმათა თქვენთა ინებეთ ესრეთ: თქვენ შემდგომ თუ ცოცხალი დაშთეს, იულონ იყოს მეფე. იულონის შემდგომად იყოს დავით და დავითის შემდგომად ვახტანგ და ესრეთ მიმოგდებით ძმათა შვილებთა შორის, ვითარცა ხონთქრის გვარშიაცა არს ესე წესდება“ [89, 32]; გათვალისწინებულია ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც: „უკეთუ მეფის ძეს, რომელსაც ერგებოდეს მეფობა და იყოს უგუნური და არა შეეძლოს-რა, ანუ ისევ მემკვიდრის შვილი, ანუ სხვა გონიერი ვინმე, მიიღონ მეფედ, ნაცვლად მისსა“ [89, 33]. საინტერესოა, რომ ტახტის კანდიდატთა პერსონალურ დასახელებას იოანე ბატონიშვილი შესაბამის ადგილას გამიზნულად წყვეტს, რადგან ამ წესით ტახტი უკვე თვით ავტორს გიორგი XII შვილს – იოანეს ეკუთვნოდა [89, 059]. მის მიერ შემოთავაზებული წესით, ტახტზე ასვლა გიორგი მეფის შვილებს უფრო ადრე უწევთ, ვიდრე სხვებს.

იოანე ბატონიშვილი, როგორც პატრიოტი და ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, შესანიშნავად ხედავს საქართველოს გაერთიანების მნიშვნელობას, ამიტომ ტახტის მემკვიდრეობის წესის ამ პრობლემისადმი მისადაგებას ცდილობს: „თუ რითაც ღონით შეიძლებოდეს თანხმობა იმერთა და ქართველთა მეფეთა შორის... ოდეს ერთ-ერთი მეფე გარდიცვალოს ქართლისა ანუ იმერეთისა უწინ, დაშთომილი მეფე ანუ ცოცხალი მეფე უნდა იქნეს ორივეს სამეფოს მეფედ – „დასონ საზოგადოდ ქართველთა და იმერთა შემდგომად მეფისა: ხან აქეთური მეფის ძე და ხან იქითური მეფის ძე დაჯდებოდენ მეფეთ, შემდგომად გარდაცვალებისა მეფისა. მეფის ძეთ აქაურთ – იმერეთ-

საც ჰქონდეთ მამული და იქაურთ — ქართლშიაც და იმერეთშიაც...“ [89, 33]. რაც შეეხება იულონსა და მისი ძმების „პარტიას“, იგი კვლავ ერეკლეს ანდერძის პირობების დაცვისათვის იბრძვის... „მემკვიდრე“ დავით ბატონიშვილი თავის ნაშრომში სამეფო სახლთან დაკავშირებულ მრავალ პრობლემას ეხება; ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, ბუნებრივია, იგი ტახტის მემკვიდრეობის ტრადიციულ წესს იცავს: „По древнему, веками утвердившемуся и союзными государствами признанному установлению, царский грузинский престол должен наследовать первородный сын царствующей особы, а по нём старший его сын и так далее по нисходящей в роде его линии“ [80, 223]. დავითის პირმშობიდან გამომდინარე, მისი პოზიცია სავსებით გასაგებია. მასთან ხაზგასმული მეორე პრინციპი კი საგვარეულო განშტოებათა — ბაგრატიონთა ზოგიერთი შტოს გათავადების პროცესის დასახასიათებლადაა საინტერესო: „Но когда царь или наследник его не оставит по себе детей мужеска пола, тогда наследие переходит к прочим членам царского дома по старшинству, и даже может относиться к принцам крови, для коих право на наследие удерживается до четвертого колена. Но далее не имеют уже сего права, поколику тогда фамилия их не будет превышать в своем достоинстве прочих грузинских князей“ [80, 223]. ასევე აღსანიშნავია, რომ დავით ბატონიშვილი ქალის სამეფო ტახტზე აყვანის შესაძლებლობას გამორიცხავს [80, 223].

დავით ბატონიშვილისაგან განსხვავებით, ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილი თავის ნაშრომში საპირისპირო აზრს ავითარებს; მისი მტკიცებით, სამეფო ტახტი მეფიდან არა უშუალოდ უფროს შვილზე, არამედ გარდაცვლილი მეფის ძმაზე გადადიოდა [145,], ანუ იგი მხარს უჭერს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესის კოლატერალური ხაზით წარმართვას.

ზემოაღნიშნული, ვფიქრობთ, სათანადოდ ახასიათებს ეპოქასა და ამ პერიოდის სამეფო სახლში შექმნილ მძიმე ვითარებას, რომელიც ერთი სიტყვით შეიძლება შეფასდეს — „აგონია“; შედეგიც შესაბამისია — 1801 წლის აქტი.

3. ბატონიშვილობის საკითხი იმერეთის სამეფოს არსებობის ბოლო ეტაპზე — სოლომონების ხანაში:

აჯანყებანი, მრავალრიცხოვანი გადატრიალებანი, სამეფო სახლის სხვადასხვა შტოთა დაპირისპირება, „მეფედ თქმულობა" (ფარსადან გორგიჯანიძე აღნიშნავს — „გურიელი მეფეთ თქმული" [116, 242]) და ვასალთა „მეფის" ტიტულით გამგებლობა აქ ჩვეულებრივი მოვლენაა. მართალია, ეს მომენტები ძალზე საინტერესოა დინასტიური ბრძოლისა და ბატონიშვილთა საკითხის ისტორიის თვალსაზრისით, მაგრამ ისინი ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგადაა შესწავლილი; მაგალითად, ბატონიშვილთა გამოყენება ტახტის ხელში ჩაგდებისა თუ სხვა მსგავს ჩანაფიქრთა მიზნით (გავიხსენოთ სოლომონ დიდის შვილიშვილი გიორგი ბატონიშვილი [83] და სხვ.), ასევე ამომწურავადაა განხილული [185; 187; 188; 208; 296; 297] ბრძოლა იმერეთის ტახტისათვის სოლომონ II მეფობის წინა ხანაში თუ თვით მისი ხელისუფლების პერიოდში (უკვე კარგადაა ცნობილი, თუ რა „მიზეზისათვის დასვეს იმერთა ბიძაშვილი მისი (დავით არჩილის ძე, — დ.ნ.) არა მეფედ, არამედ ნაიბად..." [75, 59] და სხვა მსგავსი ხასიათის საკითხები); რაც შეეხება ლიხთ-იმერეთის საუფლისწულოების ისტორიასა და ბატონიშვილობის საკითხის ზოგიერთ ძირეულ მომენტს, იგი მონოგრაფიულადაა განხილული ო. სოსელიას მიერ [307, 25...], ამიტომ ყურადღებას კონკრეტულად ჩვენთვის ამჯერად განშტოებებთან დაკავშირებულ საინტერესო პრობლემებზე შევაჩერებთ.

იმერეთი, მიუხედავად სამეფო ტახტის არსებობისა, ძირითადად „უმეფისბრძანებოდ" და „უუფროსოდ" გამოიყურება — ფაქტია, რომ მხოლოდ 40 წლის (1660-1701) მანძილზე იმერეთში მეფე 17-ჯერ გადააგდეს სამეფო ტახტიდან. ასეთმა „უმეფობა-უუფროსობამ" კიდევ უფრო გაამწვავა ბატონიშვილობის საკითხი, გაამრავლა ბაგრატიონთა საგვარეულოს გვერდითი შტოები და მთელი სიგრძე-სიგანით დასვა „იმერეთს მართალი ბატონი"-ს პრობლემა (ასე აღნიშნავს არჩილი რუსეთში გაგზავნილ წერილში: „იმერეთს მართალი ბატონი არ იჯდა. ამათაც მოინდომეს და გამაბატონეს" [347, 106-107]). შევჩერდეთ ზოგიერთ მომენტზე:

„Российская Родословная книга" ასეთ ინფორმაციას გვაწვდის: „Багратиони-Давидовы: Под именем князей Баграти-

онов Давыдовых называются потомки: 1) Царевича Имеретинского Давида Багратовича, 2) сыновей царя Имеретинского Давида: а) Вахтанга и б) Тариела и 3) потомки сына Царя Соломона II (უნდა იყოს სოლომონ I, – დ.ნ.) Давида Соломоновича. Они признаны в княжеском достоинстве 6-го декабря 1850 года" [156, 8].

ამდენად, დასახელებულია იმერეთის ბაგრატიონ-დავითიშვილთა სამი შტო:

1) პირველი იმერეთის მეფის ალექსანდრე V (1720-1752) ძის – ბაგრატ ბატონიშვილის შვილის დავით ბატონიშვილის (1781-1820) ჩამომავალია; სოლომონ I ეს ძმისწული მუდმივად არგვეთში ცხოვრობდა. სწორედ მის ჩამომავალთ ეწოდათ „ბაგრატიონ-დავიდოვები" [307, 46], კერძოდ, იმერეთის დავითიშვილებად უნდა იწოდებოდნენ მისი შვილები ივანე და თეიმურაზი. როგორც ცნობილია, ბაგრატიონთა სამეფო სახლის რუსეთში გადასახლების შემდეგ, მეფეთა შთამომავალნი „ქართველი ბატონიშვილების" ოფიციალურ ტიტულს ატარებდნენ და ჰქონდათ საპატიო ზედწოდება – „უგანათლებულესობა". რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს 1804 წლის 12 სექტემბრის დადგენილებით და 1812 წლის 26 მარტის მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებით განისაზღვრა, რომ მხოლოდ საქართველოს მეფეების შვილები – „ქართველი ბატონიშვილები" შეინარჩუნებდნენ ამ წოდებას – აღმოსავლეთ საქართველოდან გადასახლებულნი „გრუზინსკებად", ხოლო იმერეთის ბატონიშვილთა შვილები – „იმერეტინსკებად" იწოდნენ [199, 18-19]. 1837 წლიდან იმპერატორ ნიკოლოზ I ნებართვით სოლომონ I შვილიშვილები „ბაგრატიონ-იმერეტინსკები" გახდნენ, ხოლო მეფე დავით II (1784-1789) შთამომავალნი კი „იმერეტინსკებად" დარჩნენ [338]. ამდენად, „დავითიშვილობა" ამ შტოში აღარ შენარჩუნდა და ისინი „ბაგრატიონ-იმერეტინსკებად" იქცნენ (საბოლოოდ, ეს განაყოფი იმერეთის ბაგრატიონებში უფროსი შტო გახდა).

2) იმერეთში დავითიშვილებად წოდებული მეორე შტო იმერეთის მეფე დავით II-საგან ჩამოყალიბდა. „Российская Родословная книга" ასახელებს ვახტანგსა და ტარიელს, რომლებზეც სპეციალურად შევჩერდებით: როგორც ცნობილია, 1784 წ. სოლომონ I მოუ-

ლოდნელი გარდაცვალების შემდეგ, ტახტის ოფიციალური მემკვიდრე დავით არჩილის ძე კახეთში ცხოვრობს და მას ქვეყნის მართვის ძალა ჯერ არ შესწევს. ტახტზე გიორგი VII ძე – დავით II (1784-1789) ადის და გარკვეული პერიპეტიების შემდეგ სამეფოში ფეხს იკიდებს [220, 125...]. ტახტის მემკვიდრეობის წესისა და ბატონიშვილობის ისტორიის თვალსაზრისით საინტერესოა, რომ სოლომონ I დავით ბატონიშვილი სიცოცხლეშივე აღიარა ტახტის მემკვიდრედ – სოლომონ მეფის ანდერძში ვკითხულობთ: „როცა მამაჩემი, მეფე ალექსანდრე, გარდაიცვალა, მამათქვენმა (გიორგი) მიიღო სამეფო. იმერეთის მეფედ იყო 8 წელი, შემდეგ თავისუფალი ცხოვრება ისურვა, მიმიხმო მზოვრის ციხესიმაგრეში და ფიცისქვეშ პირობა დამადებინა: „როგორც მან გადმომცა მეფობა, ასევე ჩემს შემდეგ იმერეთში მისი შვილი დავითი უნდა გამეფდეს“ [45, 52]. თავის მხრივ, დავით II ფიცსა და პირობას დებს, რომ მტკიცედ გააგრძელებს სოლომონ I კურსს, ხოლო დავით არჩილის ძესა და გიორგი ალექსანდრეს ძე „მამაშვილურის სიყვარულით“ აღზრდის [220, 126]. ერეკლე II, საშინაო და საგარეო ვითარების გათვალისწინებით, დროებით ურიგდება იმერეთში მეფობის ასეთი კუთხით გადაწყვეტას, ხოლო ბაგრატ ბატონიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დავით გიორგის ძე იმერლებმა დასვეს „არა მეფედ, არამედ ნაიბად, ვიდრე აღზრდამდე არჩილის ძისა დავითისა“ [75, 59]. თურქეთმა აქტიურად დაპირისპირებული პოზიცია დაიჭირა და იმერეთის ტახტის პრეტენდენტებად ქაიხოსრო აბაშიძე (მისი პაპა გიორგი აბაშიძე იმერეთში მეფობდა, აქედანაა თითქოს მისი ლეგიტიმური უფლებებიც ტახტზე) და რაჭის ერისთავის ვაჟი გიორგი – „ქიორ-ბეი“ (მისი ბებია სოლომონ I მამიდა და ვახტანგ VI დისწული იყო) წამოაყენა, მაგრამ წარუმატებლობა განიცადა.

დავით II 1789 წლამდე იმეფა, შემდეგ იგი ტახტიდან ჩამოაგდეს; „დავითს გიორგის ძესა მისცეს სარჩოდ სოფლებნი შესაფერნი და აფიცეს, რათა არღარა განიზრახოს მეფობაჲ თავისი და იყოს მორჩილ მეფისა სოლომანისა...“ [75, 63]. დავით არჩილის ძე (სოლომონ II) თავის მხრივ საკუთარი ლეგიტიმური უფლებების დასამტკიცებლად იმერეთის თავადებს სწერს: „როცა სოლომონ მეფემ საქართველოდან დამიბარა, მან დავით გიორგის ძეს მისცა მისი წილი და უთხრა, რომ ამის მეტი იმერეთში შენ მონაწილეობა არა გაქვსო. მე მის შვილად

და მემკვიდრედ ვიყავი აყვანილი. მაგრამ, სამწუხაროდ, სოლომონ უცბად გარდაიცვალა და ჩემის მცირეწლოვანების გამო მეფედ დავით გიორგის ძე ამოირჩიეს, მხოლოდ პირობა დადვა ფიცის ქვეშ, რომ მე იმერეთში მონაწილეობა მექნებოდა...“ [247, 51]. დავით II აქტიურად იბრძოდა მეფობის დასაბრუნებლად, მაგრამ სოლომონ II საბოლოო გამარჯვება მოიპოვა; ამის შემდეგ მას ზოგიერთი ისტორიული წყარო მოიხსენიებს როგორც – „დავით ნამეფარს“ [107, 53].

დავით II „ნამეფარს“ კონსტანტინე ბატონიშვილის გარდა უკანონო ძე – როსტომი ჰყავდა, რომლის შვილებია სწორედ ჩვენთვის საინტერესო ვახტანგი და ტარიელი (როსტომის მეუღლეა ელისაბედ მხეიძე). როსტომი მამის მემკვიდრეობის უფლებით ვერ სარგებლობს (რადგან უკანონო შვილი იყო) და თავის ძმას კონსტანტინეს როგორც ვასალი ემსახურება, მას სახლთუხუცესის თანამდებობა ეკავა [307, 52]. მონაწილეობა მიიღო იმერეთის 1819-1820 წწ. აჯანყებაში, იმყოფებოდა ტყვედ, საიდანაც იგი თურქეთში გაიქცა. ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე იმერეტინსკის სიტყვებით, რომელიც დავით II შვილიშვილია, როსტომმა სათავე დაუდო კიდევ ერთი განშტოების არსებობას: „У царя Давида IV был ещё незаконный сын Ростом. Он сделался родоначальником знаменитой турецкой фамилии Хайдаръ-Беговъ“ [45, 46]. საინტერესოა, რომ ამ ფაქტის შესახებ დღესაც იციან აჭარაში – სოფ. მახინჯაურში მცხოვრები ხაიდარ იუსუფის ძე ბაგრატიონის (დაბადებული 1930 წ.) ნაამბობით, ბაგრატიონები თურქეთში ხაიდარ-ფაშას ჩამომავლებად ითვლებიან[1]. ამდენად, ეს საინტერესო და კლასიკური მაგალითია ბაგრატიონთა სახლში რომელიმე განაყოფის „გაგვარებისა“, ანუ ახალი საგვარეულო განშტოების წარმოშობისა, რომლის წარმომადგენელთაც ცხოვრება უკვე თურქეთში მოუხდათ. როსტომის შვილები – ვახტანგი და ტარიელი ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ 1819-1820 წწ. აჯანყებაში, ერთად გაიქცნენ ახალციხის საფაშოში – სწორედ ახალციხეში მოხდა კონფლიქტი მასსა და აჯანყების ერთ-ერთ მეთაურს ივანე აბაშიძეს შორის, რის შემდეგაც, კერძოდ, 1822 წელს ეს უკანასკნელი მოკლულ იქნა [98, 212]. 1835 წელს ვახტანგი და ტარიელი ჯერ კონსტანტინოპოლში,

[1] ნაამბობის ჩაწერაში დაგვეხმარა ხელვაჩაურის რაიარქივის დირექტორი ა. ლეონიძე, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

შემდეგ კი პარიზში იმყოფებიან [49, 172, 271; 372 122 (შენ.1), 156]. ვახტანგს მიმოწერა აქვს მარი ბროსესთან, რომელიც მის პოლიტიკურ გეგმებს (საქართველოს გამოყოფა რუსეთის იმპერიისაგან) თანაუგრძნობს [144, 962]; მისი ასეთივე ხასიათის ურთიერთობა აბაზ-მირზასთანაც დასტურდება [27]. საინტერესოა, რომ მარი ბროსესთან ტარიელი იწოდება როგორც ჰაიდარ-ბეგი: „Tariel ou Haidar-Beg, en Turquie“ [395, 644].



ამ განშტოების გენეალოგიას ასეთი სახე აქვს:

3) „Российская Родословная книга“ ასახელებს სოლომონ I ძეს დავითს, რომლის ჩამომავლობაც ასევე ბაგრატიონ-დავითიშვილებად იწოდება. ჩვენთვის ცნობილია, რომ სოლომონ I თავის ერთ-ერთ მემკვიდრედ ალექსანდრეს ასახელებს, რომელიც სოლომონ მეფის სიკვდილამდე ოთხი წლით ადრე გარდაიცვალა; ალექსანდრე ბატონიშვილის ვაჟიც — გიორგი უკანონოდ იყო შობილი, ამიტომ ტახტზე მემკვიდრეობის უფლება არ ჰქონდა [142, 108, 129, 133-134, 167, 369]. დავით არჩილის ძის პერსონაც ხომ ამ ვითარების გამო წამოტივტივდა. ისტორიულ საბუთებს რომ თავი დავანებოთ,

ისეთ ეპიგრაფიკულ ძეგლში როგორიცაა მაგ.,იმერეთის სოფელ ვარძიის მონასტრის სამრეკლოს წარწერა, აღნიშნულია, რომ „შენებად ამისა“ იწყეს „სადღეგრძელოდ“ და „გასამარჯვებლად“ „მეფის სოლომონისა და ძისა მისისა ალექსანდრესათვის“ [329, 7]. ასევე უკვე აღვნიშნეთ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის გარდაცვალების შემდეგ სოლომონ I თავის სიცოცხლეში მემკვიდრედ მომავალ დავით II ასახელებს. რა ხდება დავითის გარშემო?! მის ისტორიულობას ადასტურებს როგორც „Российская Родословная книга“, ისე, რაც მთავარია, ნიკოლოზ იმერეტინსკი, რომელიც იმერეთის სამეფოს ბოლო პერიოდის ისტორიისა თუ იმერეთის ბატონიშვილთა წარმომავლობის საკითხში ყველაზე კომპეტენტური პირია. მისი გენეალოგიით, სოლომონ (I) მეფეს დავითი პირველი ცოლისაგან – რუსუდან შერვაშიძისაგან ჰყავს; რაც შეეხება მის მემკვიდრედ აღიარებულ ალექსანდრე ბატონიშვილს, იგი შვილია მეორე ცოლისაგან – მარიამ დადიანისაგან. აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება, რის გამო გამწვავდა ბატონიშვილობის საკითხი და რატომ არ იწოდა დავითი „პირმშო“ (ანუ მემკვიდრე) ბატონიშვილად. როგორც ჩანს, ადგილი ჰქონდა კონფლიქტს სამეფო ოჯახში, რასაც დავითის (როგორც პირველი ცოლისაგან ვაჟის) სამეფო კარიდან გარიყვა, ანუ „გაღარიბება“ მოჰყვა. ამიტომაა, რომ სოლომონ I მემკვიდრედ ალექსანდრე ბატონიშვილს ასახელებს. „Российская Родословная книга“ ამ დავითის შტოსაც „ბაგრატიონ-დავიდოვებად“ იხსენიებს [156, 8].

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ იმერეთის ბაგრატიონებიდან „გაგვარების“ თუ „ღარიბობის“ მდგომარეობაში სხვებიც ბევრნი აღმოჩნდნენ: მაგ., ალექსანდრე V მეოთხე ვაჟი და სოლომონ I ძმა – ბაგრატ ბატონიშვილი, რომელიც ბაგრატიონობის მიუხედავად თავის მამულში – ზემო იმერეთში მხოლოდ „როგორც იმერელი თავადი“ [307, 33] ისე ცხოვრობს, ან არჩილ ბატონიშვილი, ალექსანდრე V მეხუთე ვაჟიშვილი და სოლომონ I ძმა – ისიც სტატუსით მხოლოდ „იმერელი თავადია“ და რეზიდენცია საზანოსა და კაცხში აქვს [307, 36].

ლიხთ-იქითის ბატონიშვილობის საკითხიდან სხვა მომენტების მოყვანაც შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, ზოგადი სურათი ამ ფაქტების მიხედვითაც ნათელია.

დასკვნა

ბაგრატიონთა სახლის საგვარეულო განშტოებათა წარმოშობის პირველ საფეხურად XIII საუკუნის ე.წ. „ტეხილი“ გვესახება — როცა ქვეყანაში მიმდინარე შინაგან პროცესებს ჯერ კიდევ დასრულება სჭირდება და ამ ფაზაში მას საგარეო ვითარებაც ურთულდება; საშინაო და საგარეო ფაქტორთა ურთიერთგადაჯაჭვა გზას „ჩიხისაკენ“ ხსნის, რაც სამეფო ტახტის მდგომარეობას მნიშვნელოვნად ასუსტებს და ძველ ფუნქციას უკარგავს. პარალელურად ძლიერდება უფლისწულთა ბრძოლა მათი სამფლობელოების მემკვიდრეობით საკუთრებად ქცევისათვის, რასაც ისინი საბოლოოდ აღწევენ კიდეც. XIII ს. საუფლისწულოთა ხასიათი, ლაშას „ალასტანელობა“ და „ჯავახთ უფლობა“, ბაგრატიონთა სამეფო სახლის გარკვეულ შტოთა მფლობელობის „პროვინციის მეფობაში“ გადაზრდა, სახასოს დაქუცმაცებისა და საბატონიშვილოს სამეფო დომენიდან გამოყოფის პროცესი ქმნის გარკვეულ საფუძველს ბაგრატიონთა სამეფო სახლში საგვარეულო განშტოებათა წარმოშობისათვის.

ლაშა-გიორგის „ანდერძი“, რეალურად არსებობისა თუ შეთხზულობის მიუხედავად, ბაგრატიონთა ორი დამოუკიდებელი შტოს წარმომადგენელთა მიერ თავიანთი ლეგიტიმურობის სამტკიცებლად იქნა გამოყენებული. XIII საუკუნის საქართველოში ორი სამეფო შტოს დაკანონებას „ორმეფობა“ მოჰყვა. „ორმეფობა“ — ერთ-ერთი მწვავე ფორმაა ტახტის მაძიებელ აჯანყებულ უფლისწულთა ბრძოლის ისტორიაში. თუ XI-XII საუკუნეების ეტაპზე ისინი ერთიანი სამეფო ტახტისათვის იბრძვიან, XIII საუკუნეში უკვე ლიხთ-იქითისა და ლიხთ-ამერის ტახტებითაც კმაყოფილდებიან. მისი წინა „თანამეფობის“ ეტაპი, ანუ ერთ ტახტზე „ორნივეს“ მეფობა თავისთავში უკვე შეიცავს ერთ-ერთის „ზემოჯდომის“ პრინციპს. სეპარატიზმისა და დინასტიური ბრძოლის ეს შესაძლებლობა „ორმეფობაში“ გადაიზარდა, რაც თავის მხრივ ლიხთ-იქითის „მეფეთა“ განშტოების წარმოშობის საფუძველი გახდა. ლიხთ-იქითში ასეთი შტოსა და შესაბამისი ტენდენციის განვითარება კი დამოუკიდებელი იმერეთის სამეფო სახლის წარმოშობას უწყობს ხელს.

ორმეფობის მსგავსად, 1298-1318 წლების მრავალმეფიანობის ხანა

ბაგრატიონთა სახლში სხვადასხვა შტოებისა და „პროვინციის მეფეთა“ წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველი ხდება. „პროვინციის მეფეები“ კი თავისთავად მნიშვნელოვანი ეტაპია დინასტიური ბრძოლისა და ბატონიშვილობის საკითხის ისტორიაში — იგი ერთ-ერთი ტეხილია ბაგრატიონთა სახლის საგვარეულო განშტოებათა ჩამოყალიბების პროცესში. მას თან „ორიანობაც“ ერთვის, რომელიც, თავის მხრივ, კვლავ ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებასა და სამეფო კარის სამმართველო აპარატის დაქსაქსვას უწყობს ხელს.

ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლის გლობალური პრობლემისა და ბაგრატიონთა საგვარეულოში განვითარებული პროცესების ურთიერთკავშირში განხილვა ამ ურთულეს საკითხს ახალ ნიუანსებს მატებს. ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოთა წარმომქმნელი უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების ფონზე „პროვინციის მეფეებისა“ და ბაგრატიონთა გვერდითი შტოების არსებობამ რეგრესული როლი ითამაშა და, სხვა ცნობილ მნიშვნელოვან მიზეზებთან ერთად, დაქუცმაცებისა და ერთიანი სახელმწიფოს დაშლას შეუწყო ხელი. უდავოა, რომ ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიის ამ კუთხით კვლევა ერთიანი ქართული სამეფოს დაშლის პრობლემატიკას ახალ ელემენტებს სძენს და ამ რთული მექანიზმის უფრო მეტი სისრულით წარმოდგენის საშუალებას გვაძლევს.

რეგრესულმა სოციალურ-ეკონომიკურმა პროცესებმა საქართველო დაშლამდე მიიყვანა, ევროპა კი ამის საპირისპიროდ განვითარების სხვა გზას დაადგა:

XII-XIII საუკუნეების დასავლეთ ევროპაში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს ცვლილებებს — ე.წ. „გლეხთა პირადი დამოკიდებულებისაგან გათავისუფლების პროცესს“ თანდათანობით ბატონყმობის გაუქმება მოჰყვა. ყალიბდება წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები — პარლამენტი, გენერალური შტატები... XIV-XV საუკუნეების მოვლენების შედეგად დასავლეთი „ფეოდალიზმის საყოველთაო კრიზისისაკენ“ მიდის. იგი ფეოდალთა ძალაუფლების საფუძვლების დასუსტებას იწვევს და აჩქარებს თვითონ ფეოდალური სტრუქტურების მსხვრევის პროცესს. ასეთი კრიტიკული მოვლენები სხვადასხვა სფეროში არ განაპირობებს მთელი დასავლური ეკონომიკის დაცემას, ხოლო მომავალში ხელსაც უწყობს საზოგადოებრივ წინსვლას — ევროპის ერთიან სისტე-

მაში გაღარიბებული ერთი რეგიონის ადგილს აღმავალი მეორე რეგიონი იკავებს და დანაკარგის კომპენსაციას ახდენს. ძველი ურთიერთობების რღვევისა და ახლის ჩამოყალიბების გზაზე XIV-XV საუკუნეების ე.წ. „ფეოდალიზმის კრიზისმა" აღორძინებისა და „ახალი ხანის" წარმოშობა განაპირობა.

ტერმინ — „ფეოდალიზმის კრიზისში" იგულისხმება XIV-XV საუკუნეების ევროპის არა დეპრესია-სტაგნაცია, არამედ ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალი საზოგადოების შიგნით ძველი სტრუქტურების მსხვრევის პროცესი, რაც საბოლოოდ, „ახალ ხანას" წარმოშობს. XIV-XV საუკუნეების „ქრისტიანული სამყაროს კრიზისი" — იმავე „ფეოდალიზმის პირველი კრიზისი" ფეოდალიზმის დაღუპვას მოასწავებს, რომელსაც „გრძელი XVI საუკუნე" (ფ. ბროდელი) მოჰყვა და კულმინაციას XVII საუკუნეში „ფეოდალიზმის საყოველთაო კრიზისის" („general crisis") სახით მიაღწია. ასეთი ფორმით დასავლეთი „ჩიხს" ასცდა და გზა გაიკაფა კაპიტალიზმისაკენ.

XII-XIII საუკუნეების მიჯნის თამარის საქართველო თავისი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარებით მომზადებულია იმ პროცესებისათვის, რაც დასავლეთ ევროპაში XIII საუკუნიდან თანდათანობით წარიმართა. საქართველოში ბატონყმობამ თავისი პროგრესული როლი შეასრულა — ქართული საზოგადოება მისი გაუქმებისა და წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის წარმოქმნის გზით უნდა წასულიყო; სწორედ ამ უკანასკნელს ითხოვდა ყუთლუ-არსლანის „კარავი". სამეფო ხელისუფლებამ „კარავი" არ დაუშვა, მაგრამ „კარავისელთა" მიმართ კომპრომისზე წავიდა და მათი გარკვეული მოთხოვნილებები დააკმაყოფილა. კანონზომიერებანი დაირღვა და შედეგიც შესაბამისი მივიღეთ: დიდებულთა „გაკელმწიფება", ვაჭრობისა და ქალაქების განვითარების შეჩერება, ქალაქთა თვითმმართველობის ჩამოუყალიბებლობა და სხვ. საგარეო ფაქტორი უარყოფითი პერსპექტივის გამოვლენის კატალიზატორად იქცა, დაწყებული პროცესი განვითარების სტადიაში შეჩერდა და დაუმთავრებელი დარჩა. ასეთმა ვითარებამ ქართული სახელმწიფოებრიობა „ჩიხის" მდგომარეობამდე მიიყვანა.

საქართველოში გაუქმების მაგივრად ბატონყმობა გახანგრძლივდა და სწორედ ესაა ე.წ. „ჩიხი". საშინაო და საგარეო ვითარების უარყოფითად გადაჯაჭვის შედეგად საქართველოში „ბატონყმობის კრიზისი"

(ნ. ბერძენიშვილი) ვერ დაიწყო. „ჩიხში“ მყოფი საზოგადოება ახალს ველარ წარმოშობს და შესაბამისად, „ახალი ხანაც“ არ ჩანს. „გლეხთა გათავისუფლების პროცესის“ განუვითარებლობამ სენიორიების „მეორე გამოცემას“ — სათავადოების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ქვეყნის წინსვლა „ჩიხში“ მოექცა, შეფერხდა და დაღმავალი ხაზით წარიმართა. „ჩიხი“ XIV-XV საუკუნეების საქართველოში თავისი შინაარსით საპირისპირო ხასიათისაა XIV-XV საუკუნეებს დასავლეთ ევროპის „ფეოდალიზმის კრიზისთან“ შედარებით. „ჩიხი“ გახანგრძლივებულ, კარჩაკეტილ ბატონყმურ ურთიერთობაში ჩამოყალიბებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარებაა. ბატონყმობა დამძიმდა და შედეგად მივიღეთ პროცესი, რასაც „ხელმეორე დაყმევებას“ („ბატონყმობის მეორე გამოცემას“) ვუწოდებთ.

დასავლეთში ე.წ. „ხელმეორე დაყმევება“ გადაილახა; ევროპის ერთიანი სისტემიდან მომდინარე ძლიერმა იმპულსებმა მისი სხვადასხვა რეგიონი კვლავ აღმავლობის გზაზე დააყენა. ამ სისტემაში არსებული ურთიერთკავშირი საბოლოოდ ერთიანი ევროპის განვითარებას განაპირობებს. მაჰმადიანურ გარემოცვაში მყოფი საქართველო, პირიქით, ჩამოცილებული აღმოჩნდა მსოფლიო პოლიტიკისა და ეკონომიკის ცენტრს; XVI საუკუნიდან მოყოლებული „საქართველო ასეთი უმეზობლო... ასე მტერბშემოცვული არასოდეს ყოფილა“ (ნ. ბერძენიშვილი). საქართველო ევროპის ერთიანი სისტემის წევრი ვერ გახდა, შესაბამისად, არც ის იმპულსები იშვა, რომელიც ქვეყანას „ჩიხიდან“ გამოიყვანდა.

XIV-XV საუკუნეების „ფეოდალიზმის კრიზისი“ თანდათან ცვლის ევროპის ძველ ეკონომიკურ და სოციალ-პოლიტიკურ სტრუქტურებს, იწვევს აღორძინებას და „ახალ ხანას“ წარმოშობს. იგი ფეოდალიზმის „შემოდგომას“ აახლოებს; ასეთმა „კრიზისმა“ თვისებრივად ახალი ეტაპისათვის მოამზადა ნიადაგი — ე.წ. „ფეოდალიზმის საყოველთაო კრიზისი“ „შუა საუკუნეების შემოდგომაა“ (ი. ჰაზინგა) და, შესაბამისად, საფუძველია „ახალი ხანისა“. „ჩიხი“ აღნიშნულის საპირისპირო მოვლენაა, ამიტომ საქართველო ასცდა განვითარების იმ გზას, რასაც დასავლეთი დაადგა. „ჩიხიდან“ გამოსავალი მხოლოდ ხანგრძლივ მშვიდობიანობაში არსებობდა, რისი საშუალებაც ქვეყანას არ მიეცა. საქართველოში ვერ ჩამოყალიბდა აბსოლუტური მონარქია,

სადაც ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა მიმდინარეობს. საბოლოოდ, იგი კაპიტალისტურ ურთიერთობათა გამარჯვებას განაპირობებს. „ჩიხი“ და საქართველოს სამეფოს დაშლა კი „ახალი ხანის“ დასაწყისს ვერ მოიტანდა. ბუნებრივია, კაპიტალიზმიც არ ჩანს. საქართველოსა და დასავლეთ ევროპის განვითარების გზები ამ ეტაპზე მნიშვნელოვნად ასცდა ერთმანეთს.

ამ ტეხილისა და დამოუკიდებელ ქართულ სამეფოებში (XVI-XVIII სს.) დინასტიური ბრძოლის საერთო სურათის, ასევე ზოგადთეორიული შესაბამისი პრობლემების განხილვამ, ნათელი გახადა ბაგრატიონთა სამეფო სახლის საგვარეულო განშტოებათა წარმოშობის პროცესის არსი:

ერთიანი სახელმწიფოს დაშლა ახალი ეტაპია ქართული სახელმწიფოებრიობის გზაზე და დინასტიური ბრძოლისა თუ ბატონიშვილობის საკითხის ისტორიაში სათანადო ცვლილებებს იწვევს — მისი ძველი ფორმები ქრება და ახალი იბადება; მათ შორისაა „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტიც. XVI საუკუნიდან ტერიტორიულად მცირე, პატარა ქართულ სამეფოებში ასეთ „კნინ მეფეთა“ მფლობელობისათვის აუცილებელი პირობები უკვე აღარ არსებობს. ყალიბდება ახალი ეტაპი — დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოებში ბატონიშვილთა და ბაგრატიონთა საგვარეულოს სხვადასხვა წარმომადგენელთა ბრძოლა უფლებრივი მდგომარეობის მოსაპოვებლად. XVI-XVIII საუკუნეებში საბატონიშვილოები ძირითადად დროებით სარგებლობაში გადაცემული საკუთრებაა და საბოლოოდ, კვლავ სამეფო ტახტის განკარგულებაში უნდა ბრუნდებოდეს. ბატონიშვილები მსგავსი მამულებიდან ღებულობენ წლიურ შემოსავალს და სამეფო სახლის უახლოეს წევრთა პრობლემა ამ კუთხით რეგულირდება; ბაგრატიონთა მეორე ნაწილი სხვადასხვა მაღალი სახელმწიფო თანამდებობის მოპოვების საშუალებით იძენს შესაბამის უფლებრივ სტატუსს, მაგრამ სხვა დარჩენილი მნიშვნელოვანი ნაწილისათვის ე.წ. ბატონიშვილობის საკითხის მოგვარება მაინც ვერ ხერხდება.

მთავარი მიზეზი, რომელიც ბაგრატიონთა სამეფო სახლში ამ მხრივ ვითარებას ამწვავებს, XVI-XVIII საუკუნეების ქართულ სამეფოებში შექმნილი ურთულესი საშინაო ვითარებაა, რასაც კვლავ სა-

გარეო ფაქტორი ეჯაჭვება — შედეგი ქვეყნის განვითარებაში ჩამოყალიბებული საბოლოო სტაგნაციაა. ასეთ მდგომარეობაში სამეფო ტახტს უჭირს ბატონიშვილობის საკითხის მოგვარება, სამეფო ოჯახის უახლოესი თუ შორეული ნათესავები, განსაკუთრებით, ბაგრატიონთა საგვარეულოს გამრავლებული გვერდითი შტოს წარმომადგენლები, თავიანთი ბაგრატიონობიდან გამომდინარე, ცენტრისაგან შესაბამისი უფლებებისა და იურიდიული სტატუსის მინიჭებას მოითხოვენ. სამეფო ტახტის მემკვიდრეობითი ფლობის წესის ხშირი რღვევის პირობებში მათ ზოგიერთ წარმომადგენელს გარკვეული ლეგიტიმური უფლებებიც უჩნდება. ყოველივე ეს ბაგრატიონთა ისედაც გამრავლებული შტოების გვერდით ახალ განშტოებათა წარმოშობას განაპირობებს — მათ თავიანთი პოლიტიკურ-ეკონომიკური პრეტენზიები უჩნდებათ, ხოლო პირობები შესაბამისი სტატუსის შესაქმნელად აღარ არსებობს; ბაგრატიონთა გვარის ჩამომავლობის მიუხედავად, აღარც შესაბამისი პატივი და აღარც „კნინი მეფობა".

XIV-XV საუკუნეების ეტაპზე ბაგრატიონთა სახლის გვერდითი შტოები უკლებრივ ბაგრატიონებად რჩებიან, მაგრამ XVI საუკუნიდან, სათავადოების წარმოსაქმნელად არსებულ ხელსაყრელ პირობებში, მათი ერთი ნაწილი ბაგრატიონობას, ანუ „ვერცა გუარობასა მეფეთასა" (ვახუშტი) ვეღარ ინარჩუნებს, რაც „ნატომ მეფეთა" წარმოშობას განაპირობებს. ამდენად, ქართლის, კახეთისა და იმერეთის ბაგრატიონთა სამეფო შტოების ჩამოყალიბებას სამეფო საგვარეულოში არაერთი განშტოების წარმოშობა მოჰყვა; ყალიბდება ბაგრატიონთა საგვარეულოს გვერდითი განშტოებები — იგივე ბაგრატიონთ-ყოფილთა თავადური სახლები, რაც ახალ გვართა, ანუ ბაგრატიონთა სახლის გათავადებული შტოების წარმოშობის საფუძველი ხდება.

სწორედ ამ კუთხით მონოგრაფიულადაა შესწავლილი ბაგრატიონთა სამეფო სახლის საგვარეულო განშტოებების — მუხრანბატონთა, დავითიშვილთა (თვალდამწერიანთა), რამაზიშვილთა, გოჩაშვილთა ისტორია (წარმომავლობა, განშტოებათა გენეალოგია, ცენტრისა თუ რეზიდენციის პრობლემა, სამფლობელოების ლოკალიზაცია, ამ თავადური სახლების მეთაურთა ვინაობა, განშტოებაში გაყოფა-გაყრის პროცესი, საძვალის საკითხი და ა.შ.). შესაბამისად, განხილულია ბაგრატიონთა გვარის ისეთ წარმომადგენელთა ისტორია, რომელნიც

თავიანთი წარმომავლობისა და ბატონიშვილთა საკითხის სიმწვავის გამო „ნათესავობით ბაგრატოვანნი“ ან „მეფეთა მონათესავედ წოდვილნი“ არიან. ბაგრატიონთა სახლის გვერდით შტოთა მფლობელობის კუთხით „ქვეყანა“ სავახტანგოს კვლევამ ამ პერიოდის სამეფო საგვარეულოს ისტორიას მეტად საინტერესო ახალი ფურცლები შემატა. ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა საკითხმა თავისებურად დააყენა გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო მმართველობის თემა და ნათლად დაგვანახა იმ ტეხილის არსი, რომელიც მან ერთიანი ქართული სამეფოს დაშლის შემდეგ განიცადა.

ბოლო ეტაპის — XVIII საუკუნის II ნახევარში ბატონიშვილობის საკითხის განხილვამ გვიჩვენა, რომ „მუხრანელი მეფეების“ ტახტის აღდგენისაკენ მიმართული ქართლის თავადთა „ლეგიტიმისტური მოძრაობა“ ვიწროდინასტიური და გამაერთიანებელი პოლიტიკის საწინააღმდეგო მოვლენაა. ერეკლე II მეფობაში სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესის, ერეკლეს „ანდერძისა“ და საუფლისწულოთა სტატუსის სპეციალურმა კვლევამ სხვა მთავარ მიზეზთა გვერდით წარმოაჩინა ზოგიერთი ისეთი მომენტიც, რამაც ქართული სახელმწოფოებრიობა 1801 წლამდე მიიყვანა. ამავე პერიოდის იმერეთის სამეფოს ისტორიის ამ კუთხით განხილვამ ლიხთ-იქითში ბაგრატიონთა სამეფო სახლის რამდენიმე განშტოება გამოავლინა — თავადი „ბაგრატიონ-დავიდოვები“ (იმერეთის ბაგრატიონ-დავითიშვილები), ჰაიდარ-ბეგები...

ვფიქრობთ, აღნიშნული პრობლემის მონოგრაფიული განხილვა ქმნის ერთიან სურათს ისეთ დიდ პროცესზე, რასაც ბაგრატიონთა სამეფო სახლში საგვარეულო განშტოებათა წარმოშობა-არსებობა ჰქვია — ეს ის საკითხია, რომელმაც, სხვა გლობალურ მოვლენებთან ერთად, ასევე მნიშვნელოვნად განსაზღვრა საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარების ურთულესი და საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი — XIII-XVIII საუკუნეები.

მუხრანის ბატონთა გენეალოგია




დავითიშვილთა გენეალოგია
ალექსანდრე I კახთა მეფე (1476-1511)
დიმიტრი თვალდამწვრიანი
დავით თვალდამწვრიანი=ციციშვილის ასული
ბაგრატ III ასული = რამაზ დავითიშვილი = შაეშეთის ბატონის ქალი
კონსტანტინე
ელიზბარ
დავით=ანა-ხანუმ
შიოშ/სიაოშ
გიორგი
რამაზ
ელიზბარ=თინათინ ბატონიშვილი
კონსტანტინე
შიოშ
ქალი=თეიმურაზ-მირზა ბატონიშვილი
რამაზ
დავით
ხოსია
ქალი=ქაიხოსრო ციციშვილი
რამაზიშვილები
ელიზბარ
კონსტანტინე
თამარ=გიორგი XI
ქალი=ავთანდილ არაგვის ერისთვისშვილი
გიორგი
დავით
ივანე
ედიშერ
ბერი
შიოშ
სოლომონ
ქაიხოსრო
იესე
დავით
ზაალ
ელიზბარ
ელიზბარ
როსტომ
ანა
როსტომ
გიორგი (გოგია)
ქეთევან
იანე (იოანე)
როდამ
ნინია
სოლომონ (უკანონო)
გიორგი
ნინო
თინათინ (თამარ)
ზაალ
ალექსანდრე

წყაროები და ლიტერატურა

1. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი (შემდეგში ხელნაწერთა ინსტიტუტი), Ad – 1061;
2. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad – 2219;
3. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad – 2244;
4. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd – 464;
5. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd – 597;
6. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd – 598;
7. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd – 604;
8. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd – 605;
9. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd – 794;
10. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd – 2871;
11. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S – 3729;
12. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd – 27;
13. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd – 1490;
14. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd – 8235;
15. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd – 9256;
16. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd – 9257 (დედანი ხარვეზებითაა – Ad – 1040);
17. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q – 844;
18. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd – 738;
19. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd – 1601;
20. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd – 2118;
21. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd – 2124;
22. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd – 2132;
23. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd – 3235;
24. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd – 3240 ბ;
25. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd – 4170;
26. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd – 4847;
27. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd – 5684;
28. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd – 6358;
29. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd – 8765;

30. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd – 9677;
31. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd – 9860;
32. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd – 10205;
33. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd – 13179;
34. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd – 14441;
35. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd – 14443;
36. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd – 14631;
37. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd – 14633;
38. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd – 14664;
39. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd – 14673;
40. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd – 15041;
41. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H – 2134;
42. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H – 2140;
43. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H – 2747;
44. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ე.თაყაიშვილის ფონდი №612;
45. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. ROS - 736: Кн. Н. К. Имеретинский. Багратиды в Россий, ч. II, Имеретия, СПБ., 1885;
46. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა), ფონდი 213, აღწერა 1, საქმე №420;
47. სცსა, ფ. 230, ს. №4/68;
48. სცსა, ფ. 254, აღწ. 1, ს. №76;
49. სცსა, განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, ს. №241;
50. სცსა, 1448 – 478;
51. სცსა, 1448 – 1534;
52. სცსა, 1448 – 2286;
53. სცსა, 1448 – 2388;
54. სცსა, 1448 – 7467;
55. სცსა, 1449 – 1102;
56. სცსა, 1449 – 1497;
57. სცსა, 1449 – 1542;
58. სცსა, 1449 – 1591;
59. სცსა, 1449 – 1620;
60. სცსა, 1450 – 2/143;
61. სცსა, 1450 – 12/113;

62. სცსა, 1450 – 14/8;
63. სცსა, 1450 – 14/9;
64. სცსა, 1450 – 14/48;
65. სცსა, 1450 – 15/109;
66. სცსა, 1450 – 53/81;
67. ЦГВИА, Фонд 52, опись 1/194, дело 286;
68. ა) Дело Тифлисского Дворянского Депутатского Собрания по прошению капитана князя Георгия Семенова сына Багратионова-Мухранского, სცსა, ფ. 213, აღწ. 1, ს. №117; ბ) О княжеском достоинстве Соломона Ростомовича Багратиони (Давитишвили), სცსა, ფ. 213, აღწ. 1, ს. №454;
69. ალექსანდრე ორბელიანი, „შეთქმა“, „ცისკარი“, ტ. I, აპრილი, წიგნი მეოთხე, 1859;
70. ანტონ კათალიკოზი, საქართველო-იმერთა მეფეებთა შთამომავლობანი და გვართა ცვლილებანი ამის ქვემო მოხსენების, „ივერია“, №III, 1880;
71. ალექსანდრე ამილახვარი, გეორგიანული ისტორია, გ. ქიქოძის თარგმანი, „მნათობი“, №8, 1939;
72. „ახალი ქართლის ცხოვრება“, ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობით და რედაქციით, თბ., 1940;
73. ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959;
74. ბარბარე ქობულაშვილის ცნობები ზოგიერთ ისტორიულ პირთა და სომხით-საბარათიანოს აოხრების შესახებ, „საისტორიო კრებული“, IV, ტფ., 1929;
75. ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გამოსცა თ. ლომოურმა, თბ., 1941;
76. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, „ქართლის ცხოვრება“, II, თბ., 1959;
77. გრიგოლ აკანელი, მოისართა ტომის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და კომენტარით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1961;

78. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940;
79. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის გამოცემა, II, თბ., 1953;
80. დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, აპ. როგავას რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1959;
81. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941;
82. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება", IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973;
83. თავგადასავალი იმერთა მეფის სოლომონ დიდის შვილის-შვილის ბატონიშვილის გიორგისა (ავტობიოგრაფია), თ. ჟორდანიას გამოცემა, „მოამბე", №V, 1900;
84. თეიმურაზ ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1972;
85. თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა, თბ., 1983;
86. იოანე ბატონიშვილი, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, „ივერია", IV, 1884;
87. იოანე ბატონიშვილი, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, „ივერია", V-VI, 1884;
88. იოანე ბატონიშვილი, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, „ივერია", XI-XII, 1884;
89. იოანე ბატონიშვილი, სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ, თბ., 1957;

90. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1964;
91. იოანე ბატონიშვილი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, თბ., 1986;
92. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, II, მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1953;
93. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, III, მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1955;
94. „მესხური მატიანე", სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), გამოსცა ქრ. შარაშიძემ, თბ., 1961;
95. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I, გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ, თბ., 1964;
96. მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები), ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯ. ოდიშელმა, თბ., 1968;
97. მუსტაფა ნაიმას ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, თბ., 1979;
98. ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1962;
99. ნიკო ბაგრატიონი, ბურებთან, მოგონება, თბ., 1990;
100. პლანო კარპინი, ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვ. 2, თბ., 1942;
101. პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981;
102. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ქართული ისტო-

რიული საბუთების მიხედვით, I, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბ., 1991;
103. ჟამთააღმწერელი, „ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხალნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959;
104. ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1987;
105. საქართველოს სიძველენი, I, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1899;
106. საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეები მეფის ძე დავით და ბატონიშვილი იულონ (მასალები: ბატონიშვილების დავით, იოანე, იულონ, ვახტანგ, ფარნაოზ, მირიანისა და მათ მომხრეთა წერილები), გამოსცა ივ. ჯავახიშვილმა, „მოამბე", №IV, 1900;
107. საქართველოს სიძველენი, II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1909;
108. საქართველოს სიძველენი, III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1910;
109. სეხნია ჩხეიძე, საქართველოს ცხოვრება, ახალი მოთხრობა 1469 წლიდან, ვიდრე 1800 წლამდე ორ წიგნად აღწერილი, გამოც. ზ. ჭიჭინაძის მიერ, ტფ., 1913;
110. საქართველოს სიძველენი, I, მეორე გამოცემა, წ. I, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1920;
111. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევები და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ, თბ., 1993;
112. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (კოლექცია), ალ. ბარამიძის რედაქციით, V, შეადგინა ლ. ქუთათელაძემ, თბ., 1955;
113. სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანის) ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბ., 1978;

114. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978;
115. საქართველოს ისტორიის ქრონიკები, XVII-XIX სს. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ავთ., იოსელიანმა, თბ., 1980;
116. ფარსადან გორგიჯანიძე, ს. კაკაბაძის გამოცემა, „საისტორიო მოამბე“, II, ტფ., 1925;
117. ფირდოუსი, შაჰ-ნამე, იუს. აბულაძის, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედაქციით, კომენტარებით და ლექსიკონით, II, ტფ., 1934;
118. ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გ. ლეონიძის და სოლ. იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1935;
119. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, II, ტფ., 1897;
120. „ქართლის ცხოვრება“, მარიამ დედოფლის ვარიანტი, ე. თაყაიშვილის გამოცემა, ტფ., 1906;
121. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმნა და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, თბ., 1955;
122. ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1966;
123. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, III, გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ, შ. ხანთაძემ, თბ., 1967;
124. ქართული სამართლის ძეგლები, III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970;
125. ქართული სამართლის ძეგლები, IV, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972;
126. ქართული სამართლის ძეგლები, V, ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1974;
127. ქართული სამართლის ძეგლები, VI, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1977;

128. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1978;
129. ქართული სამართლის ძეგლები, VII, ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981;
130. ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984;
131. ქართულ-სპარსული (ორენოვანი) ისტორიული საბუთები (XVI-XVIII სს.), ტექსტი დაადგინა, თარგმანი, კომენტარები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნ. დუნდუამ, თბ., 1984;
132. ქართული სამართლის ძეგლები, VIII, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985;
133. შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, იუს. აბულაძის რედაქტორობით, I, თბ., 1916;
134. ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა აღწერილი პლატონ ეგნატის ძის იოსელიანისაგან, აკ. გაწერელიას რედაქტორობით, თბ., 1978;
135. ცხოვრება საქართველოჲსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980;
136. ძეგლი ერისთავთა, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო შ. მესხიამ, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან", ნაკვ. 30, თბ., 1954;
137. ძეგლის დადება გიორგი V ბრწყინვალისა, ქართული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, რუსულად თარგმნა, შესავალი, შენიშვნები, გლოსარიუმი და საძიებლები დაურთო დ. ფურცელაძემ, თბ., 1988;
138. ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1966;
139. XV ს. იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1981;

140. XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ, არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო დ. გოჩოლეიშვილმა, თბ., 1988;
141. Акты, Собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею, II, под редакцией А. П. Берже, Тфл., 1868;
142. Акты, III, Тфл., 1869;
143. Акты, V, Тфл., 1873;
144. Акты, VIII, Тфл., 1881;
145. Вахтанг Ираклиевич-Царевич. Обозрение истории грузинского народа, СПБ., 1814;
146. Воспоминания Ольги Грузинской (პუბლიკაცია მომზადებულია ს. ბიჭიკაშვილის, დ. ნინიძისა და ა. მხეიძის მიერ) — „Свободная Грузия", 1996, 27 июня... (სერიის სახით);
147. Георгий Александрович Грузинский. Род князей Грузинских происходящий от Грузии — იხ., თ. ჭყონია, გორკის ოლქში აღმოჩენილი ქართული სიძველენი, „ლიტერატურული ძიებანი", IV, თბ., 1948;
148. Грузинские документы IX-XVвв., перевод и комментарии С. С. Какабадзе, М, 1982;
149. Давид Багратиони. История Грузии. Текст издал и снабдил вступительной статьей и указателями А. А. Рогава, Тб., 1971;
150. Джером Горсей. Записки о России XVI начало XVII в., М., 1990;
151. Киракос Гандзакеци. История Армении. Перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л. А. Нанларян, М., 1976;
152. Летопись на камнях (Vimakan Taregir). Собрание-указатель армянских надписей. Составил К. Костанянц, С-Петербург, 1913;
153. Посольство в Грузию (Кахетию И Карталинию) Мих. Игн. Татищева и дьяка Андрея Иванова. С. А. Белокуров. Сношения России с Кавказом, вып. I (1578-1613 гг.), М., 1889;

154. Парсадан Горгиджанидзе. История Грузии. Перевод Р. К. Кикнадзе и В. С. Путуридзе. Исследование и указатели Р. К. Кикнадзе, Тб., 1990;
155. Роспись поколенная князей грузинские земли князя Хохоны да князя элизбара Романовичев Давыдовых. „Материалы по истории русско-грузинских отношений (80-90-е годы XVII века)", Документи к печати подготовил, предисловием и коментариями снабдил Г. Г. Паичадзе, Тб., 1979;
156. Российская родословная книга, издаваемая кн. Петром Долгоруковим, ч. III, СПБ., 1856;
157. Сехния Чхеидзе. Истирия Грузии („Жизнь царей"), перевод выполнил, предисловием, указателем и словарями снабдил Н. К. Накашидзе, Тб., 1976;
158. თ. აბრამიშვილი, ორი დავითის მონეტა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე", XVI-B, თბ., 1950;
159. ნ. ასათიანი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან (კახეთის სამეფოს წარმოქმნის საკითხისათვის), თსუ „შრომები", 78, თბ., 1963;
160. რ. აბესაძე, სამეფო დომენის სამოხელეო აპარატი იმერეთში XVIII ს. II ნახევარში, ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის „მასალები", თბ., 1971;
161. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973;
162. ალ. აბდალაძე, ლაშა-გიორგის მემკვიდრის საკითხისათვის, „მაცნე", №4, თბ., 1975;
163. ნ. ასათიანი, სახელმწიფო რეფორმების საკითხისათვის XV ს. კახეთის სამეფოში, „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან", თბ., 1976;
164. ნ. ანდღულაძე, თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1976;
165. გ. ალასანია, აბდულ აზიზ ყარა ჩელები-ზადეს ცნობები საქართველოს შესახებ, „საისტორიო კრებული", VI, თბ., 1976;

166. გ. არახამია, ძველი ქართული საგვარეულო მატიანეები, თბ.,1988;
167. ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, ოთხი საისტორიო ნარკვევი, თბ., 1989;
168. ჯ. აფციაური, მეთოთხმეტე თუ მეთექვსმეტე საუკუნე? „კრიტიკა“ №5, 1989;
169. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, კ. მეშველიანი, ისტორიის პერიოდიზაციისათვის, „მაცნე“ №2, 1992;
170. ი. ახუაშვილი, ქართული გვარ-სახელები, მასალები ქართული გვარების ისტორიისათვის, I, თბ., 1994;
171. ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან“, ნაკვ., I, თბ., 1937;
172. ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. I, თბ.,1944;
173. ნ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური (საანგარიშო მოხსენება), „საქართველოს ისტორიის საკითხები“, I, თბ., 1964;
174. ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, II, თბ., 1965;
175. ნ. ბერძენიშვილი, XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, II, თბ., 1965;
176. ნ. ბერძენიშვილი, ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან XIII ს. საქართველოში, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, III, თბ., 1966;
177. ნ. ბერძენიშვილი, „მოკიდებულისათვის“, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, III, თბ., 1966;
178. ნ. ბერძენიშვილი, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესწყობილება, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, V, თბ.,1971;
179. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, V, თბ.,1971;
180. ნ. ბერძენიშვილი, დავით მერვე, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, V, თბ.,1971;

181. ნ. ბერძენიშვილი, საქართველო XI-XVIII საუკუნეებში, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, VI, თბ., 1973;
182. ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, VII, თბ., 1974;
183. ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, IX, თბ., 1979;
184. ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, თბ., 1990;
185. შ. ბურჯანაძე, სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი (1752-1768 წწ.), თსუ „შრომები“, X I, თბ., 1950;
186. ს. ბარნაველი, სამთავისის „„მეორედ აღმაშენებელის“ ვინაობა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. XII, №9, თბ., 1951;
187. შ. ბურჯანაძე, იმერეთის სამეფო 1768-1784 წლებში, ხელნაწერთა ინსტიტუტის „მოამბე“, III, თბ., 1961;
188. შ. ბურჯანაძე, იმერეთის სამეფოს საშინაო პოლიტიკა 1789-1802 წლებში, ხელნაწერთა ინსტიტუტის „მოამბე“, IV, თბ., 1962;
189. დ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, V, თბ., 1975;
190. არჩ. ბარამიძე, შინაპოლიტიკური ბრძოლის ერთი მაგალითი XVIII ს-ის დასასრულისა და XIX ს-ის დასაწყისის ქართულ ეპისტოლარულ წყაროებში, „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან“, თბ., 1976;
191. რ. ბურჭულაძე, „საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი...“, „ცისკარი“, №2, 1977;
192. ა. ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, ნაწ. I, თბ., 1978;
193. შ. ბადრიძე, საშინაო და საგარეო პოლიტიკა XIII ს. 10-20-იან წლებში, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, III, ტომის რედაქტორები: ზურაბ ანჩაბაძე, ვიქტორ გუჩუა, თბ., 1979;
194. მ. ბერძნიშვილი, „სიგლის თავი“ XVI-XVIII ქართულ სამეფო საბუთებში, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, VI, თბ., 1985;

195. დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი, თბ., 1985;
196. მ. ბერიძე, სპარსული ელემენტი ჯავახეთის ტოპონიმიაში, „ონომასტიკა“, I, თბ., 1987;
197. ა. ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, ნაწ. II, თბ., 1988;
198. რ. ბურჭულაძე, „აწმყო შობილი წარსულისაგან...“, გაზ. „არჩევანი“, 14/IV 1993;
199. ს. ბიჭიკაშვილი, დ. ნინიძე, ა. მხეიძე, ბაგრატიონები, თბ., 1995;
200. ვ. გაბაშვილი, დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, ენიმკის „მოამბე“, XIII, თბ., 1942;
201. დ. გვრიტიშვილი, ზემო ქართლის სადროშო, თსუ „შრომები“, XX I, თბ., 1950;
202. კ. გრიგოლია, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, I, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954;
203. დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955;
204. ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა), თბ., 1958;
205. დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII-XIV სს.), I, თბ., 1962;
206. დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV-XVII სს.), II, თბ., 1965;
207. ვ. გუჩუა, სიმონ I-ის ბრძოლა იმერეთის შემოერთებისათვის. კახეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან. სიმონ პირველის მეფობის უკანასკნელი წლები, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, IV, ტომის რედაქტორი მამია დუმბაძე, თბ., 1973;
208. მ. გონიკიშვილი, იმერეთი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 1979;
209. ჯ. გვასალია, ლიახვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, VI, თბ., 1982;
210. ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევი (შიდა ქართლი), თბ., 1983;

211. მ. გონიკაშვილი, ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, თბ., 1986;
212. ჯ. გვასალია, ფრონეს ხეობათა ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, VII, თბ., 1989;
213. გ. გაბუნია, ქუთაისი და „ქუთათისის ქვეყანა“ („შიდა ეგრისი“), ქუთაისი, 1993;
214. გ. გაბუნია, ასე იწყებოდა დიდი საქართველო, ქუთაისი, 1996;
215. მ. დუმბაძე, ქართლ-კახეთის გათავისუფლება ირანის ბატონობისაგან, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, IV, თბ., 1973;
216. მ. დუმბაძე, ნიკო ბერძენიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1978;
217. ნ. დუნდუა, სიმონ I-ის ერთი ორენოვანი (ქართულ-სპარსული) საბუთი, „სპარსულ-ქართული ცდანი“, თბ., 1987;
218. ბ. დარჩია, მასალები ბაგრატ ბატონიშვილის (მუხრანბატონის) ბიოგრაფიის შესახებ, კრ., „ქართული მწერლობის საკითხები“, ეძღვნება გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის აკად. ალ. ბარამიძის დაბადების 90-ე წლისთავს, თბ., 1993;
219. ზ. დათუაშვილი, ეპიზოდი საქართველოს სამეფოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან, „საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლის საკითხები“ (რესპუბლიკური სამეცნიერო სესია), თბილისი-ქუთაისი, 1994;
220. პ. ვაჭრიძე, ორი დოკუმენტი იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XVIII ს-ის 80-იანი წლები), „მაცნე“ №2, 1981;
221. პ. ზაქარაია, ქსნის, მჭადისჯვრის და მუხრანის ციხე-სიმაგრეები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“, XVIII-B, თბ., 1954;
222. პ. ზაქარაია, სამშობლოს გუშაგები, თბ., 1965;
223. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე, ტფ., 1902;
224. ე. თაყაიშვილი, „მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან“ და შენიშვნები ამ ცნობების შესახებ, „ძველი საქართველო“, II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1913;

225. პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, „თხზულებათა კრებული“, ტ. I, თბ.,1963;
226. ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, II, ტფ.,1913;
227. ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, ტფ.,1913;
228. ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, IV, ტფ.,1913;
229. ს. კაკაბაძე საქართველოს მოკლე ისტორია, ტფ., 1922;
230. ს. კაკაბაძე, ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარეშემო, „საისტორიო მოამბე“, I, ტფ., 1924;
231. ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, „საისტორიო მოამბე“, II, ტფ., 1924;
232. ს. კაკაბაძე, ძველი ქართული მატიანეები, „საისტორიო ძიებანი“, თბ., 1924;
233. ს. კაკაბაძე, ორიანობა ქართლში XV საუკუნეში, „საისტორიო კრებული“, III, ტფ., 1928;
234. ს. კაკაბაძე, ალექსანდრე-სვიმონი, ქართლის მეფე XVI საუკუნეში, „საისტორიო კრებული“, III, ტფ., 1928;
235. ს. კაკაბაძე, რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ.,1966;
236. პ. კარბელაშვილი, ამილახვართა საგვარეულოს ისტორიული გუჯრები, „ძველი საქართველო“, II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ.,1913;
237. დ. კაპანაძე, უცნობი ქართული მონეტებისა და ზარაფხანების შესწავლის საკითხისათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“, XIV-B, თბ.,1947;
238. ა. კიკვიძე, სამცხის სამთავროს წარმოშობა საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში, თსუ „შრომები“, XXXVII, თბ.,1949;
239. კ. კეკელიძე, ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა-გიორგის ისტორიისათვის, „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, I, თბ., 1956;
240. დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ.,1969;
241. რ. კიკნაძე, კიდევ ერთი ქართული წყარო ლაშა გიორგის ისტორიისათვის, „საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები“, I, თბ., 1982;
242. რ. კიკნაძე, რამდენიმე დაკვირვება ჟამთააღმწერლის თხზულების ტექსტზე, „საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები“, I, თბ., 1982;

243. ა. კლდიაშვილი, ანანაურის მოხატულობა, გაზ. „თბილისი“, 6/X, 1986;
244. ა. კლდიაშვილი, რა ხელმა დახატა..., გაზ. „ასპინძა“, 5/X, 1986;
245. ე. კაჭარავა, საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიისათვის, „მაცნე“, №3, 1987;
246. ვ. კიკნაძე, საქართველო XIV საუკუნეში, თბ., 1989;
247. იას. ლორთქიფანიძე, მასალები საქართველოს ისტორიისათვის (მე-18 საუკუნე), „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისადან“, ნაკვ. II, თბ., 1940;
248. თ. ლომოური, ახალციხის ზარაფხანა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“, XII-B, თბ., 1944;
249. თ. ლომოური, დავით VII-ის და ვახტანგ III ფულები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“, XV-B, თბ., 1948;
250. მ. ლორთქიფანიძე, საქართველო XI ს. ბოლოსა და XII ს. პირველ მეოთხედში. დავით IV აღმაშენებელი, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. III, ტომის რედაქტორები: ზ. ანჩაბაძე, ვ. გუჩუა, თბ., 1979;
251. მ. ლორთქიფანიძე, თურქ-სელჩუკების განდევნა, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრების გაფართოება, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, III, თბ., 1979;
252. ბ. ლომინაძე, მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ (XIII ს. 40- XIV 10-იანი წწ.), „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, III, თბ., 1979;
253. დ. ლომიძე, 1735-1744 წლების ქართლისა და კახეთის მმართველთა ქრონოლოგია, „მრავალთავი“, VIII, თბ., 1980;
254. ჯ. ლომაშვილი, ხარჭაშანი და ხარჭაშნელნი, „ეტიუდები“, თბ., 1984;
255. დ. ლომიტაშვილი, სოფ. დირბის ისტორიიდან, „მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის“, ნაკვ. II, თბ., 1985;
256. რ. მეფისაშვილი, ვალეს ტაძარი და მისი აღმაშენებლობის ორი ძირითადი პერიოდი, ARS GEORGICA (ქართული ხელოვნება), 3, თბ., 1950;
257. ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVIII სს.), თბ., 1962;

258. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ლორე-ტაშირის ქართული ეპიგრაფიკა, თსუ „შრომები“, 108, თბ., 1964;
259. ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით), თბ., 1981;
260. ი. მეგრელიძე, სიძველენი ლიახვის ხეობაში, თბ., 1984;
261. გ. მამულია, ბატონყმობა, თბ., 1987;
262. დ. ნინიძე, შინაპოლიტიკური და დინასტიური ბრძოლის ისტორიისათვის XVI ს. საქართველოში (ლუარსაბ I ქართლის მეფის ძე – ალექსანდრე), „ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები“, XI, თბ., 1985;
263. დ. ნინიძე, ერთი ეპიზოდი ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიიდან – გოჩაშვილნი, „ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები“, XII, თბ., 1986;
264. დ. ნინიძე, სოფელ ალასტანის ისტორიიდან, „მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის“, ნაკვ. III, თბ., 1987;
265. დ. ნინიძე, ვახტანგ III გარდაცვალების თარიღისათვის, „ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები“, XIV, თბ., 1987;
266. დ. ნინიძე, სასისხლო სიგელები და „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტი, „ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები“, XVI, თბ., 1988;
267. დ. ნინიძე, XIV ს. დამდეგის საქართველოს ისტორიის რამდენიმე ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხი, თბილისის უნივერსიტეტის „შრომები“, 283, თბ., 1989;
268. დ. ნინიძე, მ. სანაძე, ჰოვჰანავანქის მონასტრის ეგვტერის წარწერა და ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ ისტორიის ზოგიერთი საკითხი, „მაცნე“, №3, 1990;
269. დ. ნინიძე, ვინ არის კონსტანტინოპოლის პატრიარქის იოაკიმ I „პანეგირიკის“ დედოფალი თამარი? „მნათობი“, №6, 1991;
270. დ. ნინიძე, გიორგი VII წინააღმდეგ შეთქმულების ისტორიისათვის, „მნათობი“, №7, 1991;
271. დ. ნინიძე, წმინდა გიორგის კულტის ისტორიიდან საქართველოში, „მნათობი“, №11-12, 1991;
272. დ. ნინიძე, „შვილნი დავით მეფისანი“, „მნათობი“, №4, 1992;
273. დ. ნინიძე, შინაპოლიტიკური ბრძოლის ისტორიიდან XV საუკუნეში

(„ორიანობა“), თბილისის უნივერსიტეტის „შრომები“, 310, 1992;
274. დ. ნინიძე, ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა წარმოშობისათვის, „მაცნე“, №2, 1993;
275. დ. ნინიძე, ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელოს წარმოქმნის ისტორიისათვის, „მნათობი“, №7-8, 1993;
276. დ. ნინიძე, საავსტანგო, „მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის“, ნაკვ. IV, თბ.,1993;
277. დ. ნინიძე, მცირე განმარტება სამთავისის „მეორედ აღმშენებლის“ წარწერასთან დაკავშირებით, „ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები“, XIX, თბ., 1993;
278. დ. ნინიძე, „ქუთათისის ქვეყანა“ და ლიხთ-იქითის „მეფეთა“ საკითხი, საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლის საკითხები – რესპუბლიკური სამეცნიერო სესია (მოხსენებათა თეზისები), 20-22 ოქტომბერი, ქუთაისი, 1994;
279. დ. ნინიძე, საქართველოს „მრავალმეფიანობის“ ხანის (1298-1318) დიპლომატია, „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, 1, თბ.,1994;
280. დ. ნინიძე, „ჩალაღანის“ საკითხისათვის, „ორიენტალისტური ძიებანი“, I, თბ., 1994;
281. დ. ნინიძე, „პროვინციის მეფეები“ XIV-XV საუკუნეების საქართველოში, თბ., 1995;
282. დ. ნინიძე, გოლგოთას საკითხი XIV-XV სს. ქართულ დიპლომატიაში, „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, 2, თბ.,1995;
283. დ. ნინიძე, გ. საითიძე, ლუარსაბ I დედის ვინაობის საკითხისათვის, „არტანუჯი“, №4, 1995;
284. დ. ნინიძე, ლიხთ-იქითის „მეფეთა“ ისტორია XIV საუკუნეში, თბილისის უნივერსიტეტის „შრომები“, 321, თბ., 1996;
285. ჯ. ოდიშელი, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV-XVII სს.), კრ.,„XIV-XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი“, თბ.,1964;
286. გ. ოთხმეზური, XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981;
287. გ. პაიჭაძე, ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთთან XVIII ს-ის 50-60-იან წლებში, „ქართული სამეფო სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“, II, თბ.,1973;

288. დ. პაიჭაძე, ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო XV საუკუნის 60-იან წლებში, თბ., 1989;
289. დ. ჟღენტი, ქართლის დედოფალ მარიამის როლი სახელმწიფო განმგებლობაში, „მაცნე", №1, 1985;
290. გ. ჟორჟოლიანი, საქართველო XVII საუკუნის 30-50-იან წლებში (ქართლ-კახეთი), თბ., 1987;
291. დ. ჟღენტი, შინაფეოდალური ბრძოლა XVII ს-ის 60-70-იან წლების აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1994;
292. ტრ. რუხაძე, ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში, თბ., 1939;
293. ლ. რატიანი, აღმოსავლეთ საქართველოს შინა პოლიტიკური ვითარება XVIII 40-50-იან წლებში, „მრავალთავი", VI, თბ., 1978;
294. ლ. რუხაძე, გოჩა დადიანი და მისი პოემა, „განთიადი", №2, 1987;
295. ლ. რატიანი, თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ბრძოლა შინაფეოდალურ ოპოზიციასთან, „მრავალთავი", XV, თბ., 1989;
296. მ. რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო (1462-1810), თბ., 1989;
297. მ. რეხვიაშვილი, იმერთა მეფენი — სოლომონ პირველი და სოლომონ მეორე, ქუთაისი, 1992;
298. ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილება გვიანფეოდალურ პერიოდში, თბ., 1952;
299. ი. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII-XIV სს., თბ., 1967;
300. მ. სვანიძე, ს. ჯიქია, საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან 1588-1590 წწ., „მაცნე", №6, 1966;
301. მ. სვანიძე, სვიმონ I ოსმალეთთან ურთიერთობის ზოგიერთი თარიღის დაზუსტებისათვის, „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები", I, თბ., 1970;
302. ივ. სურგულაძე, სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით, თბ., 1977;
303. მ. სურგულაძე, ბაგრატ VI-ის 1468 წ. სიგელის დიპლომატიკური თავისებურებანი, „მაცნე", №1; 1978;
304. ვ. სილოგავა, ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგრაფიკული ექს-

პედიციის 1977 წლის მუშაობის ანგარიში, „მრავალთავი“, VII, თბ., 1980;
305. მ. სამსონაძე, საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში, თბ., 1988;
306. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990;
307. ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), III, თბ., 1990;
308. ბ. სილაგაძე, მონღოლთა მეორედ გამოჩენა ამიერკავკასიაში და საქართველოს დაპყრობა-დანაწილება, „მაცნე“, №3, 1992;
309. მ. სურგულაძე, ბაგრატიონთა სამეფო სახლი, გენეალოგიური ტაბულები შეადგინეს: მ. სურგულაძემ და მ. ქავთარიამ, თბ., 1995;
310. ლ. ტუხაშვილი — ამილახვარი პაპუნა იოთამის ძე, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ტ. I, თბ., 1975;
311. ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, თბ., 1980;
312. ლ. ტუხაშვილი, რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი), თბ., 1983;
313. ლ. ტუხაშვილი, ფარაონთა და ხალიფათა ტახტების მფლობელნი, წ. I, თბ., 1992;
314. ლ. ტუხაშვილი, ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, წ. I, თბ., 1994;
315. ნ. ურბნელი, გიორგი ბრწყინვალე მეფე საქართველოსი, ტფ., 1889;
316. დ. უჩანეიშვილი, დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის (XVII-XIX სს.), თბ., 1967;
317. მ. ქიქოძე, ქართლის სათავადოების ისტორიიდან XV-XVIIსს. (საამილახორო), მსკი, ნაკვ. 35, თბ., 1963;
318. მ. ქავთარია, ბაგრატიონთა ქართლ-კახეთის სამეფო სახლის გენეალოგია და ქრონოლოგია (XVII-XVIII სს.), „მრავალთავი“, V, თბ., 1975;
319. ვ. ღუნაშვილი, ცხრაზმის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია

XIV ს-ის 20-50-იან წლებში, „მაცნე“, №4, 1992;
320. გ. ყორღანაშვილი, პაატა ბატონიშვილის შეთქმულების ხასიათის გაგებისა და შეფასებისათვის, „საქართველოს ისტორიის საკითხები“ (ნაწილი II), თბ., 1995;
321. ა. შანიძე, ვ. ფუთურიძე, სამენოვანი წარწერა გრემში, ენიმკის „მოამბე“, V-VI, თბ., 1940;
322. ნ. შენგელია, სახლთუხუცესის თანამდებობა იმერეთის სამეფოში, ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის „შრომები“, ტ. I, 1940;
323. შუა საუკუნეების ისტორია, II, სკაზკინისა და ვაინშტეინის რედაქციით, თბ., 1949;
324. ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრ., „შოთა რუსთაველი“ (ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი), თბ., 1966;
325. ნ. შენგელია, XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974;
326. გ. შარაძე, ევგენი ბოლხოვიტინოვი პირველი რუსი რუსთველოლოგი, თბ., 1978 (მასში იხ., Исторические изоброжение Грузии в политическом, церковном и учебном его состоянии. Сочинено в Александро-Невской Академии. В Санкт-петербург. 1802).
327. ი. ცინცაძე, რამდენიმე ახალი ცნობა XVIII საუკუნის ქართლის ისტორიისათვის, მსკი, ნაკვ., IV, თბ., 1942;
328. ი. ცინცაძე, კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები საქართველოდან (1754-1756), თსუ „შრომები“, XXVII-B, 1946;
329. გ. ცქიტიშვილი, წარწერა იმერეთის სოფ. ვარძიის მონასტრის სამრეკლოზე, მსკი, ნაკვ. 31, თბ., 1954;
330. ვ. ცინცაძე, საცხოვრებელი სახლის ერთი სახის დახასიათებისათვის საქართველოში (კოშკი სოფელ ხეითში), ARS GEORGICA, №4, 1955;
331. ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959;
332. ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნიდამ მეთექვსმეტე საუკუნემდე, თბ., 1885;

333. თ. ჭყონია, გორკის ოლქში აღმოჩენილი ქართული სიძველენი, „ლიტერატურული ძიებანი“, IV, თბ., 1948;
334. ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია (უძველესი დროიდან მე-XVIII ს. გასულამდე), ტფ., 1919;
335. ე. ხოშტარია, „ძეგლი ერისთავთას“ ზოგიერთი რეალიის გაგებისათვის, „მრავალთავი“, VII, თბ., 1980;
336. ზ. ხიდურელი, ფეოდალური მიწათმფლობელობა XV-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში (სამეფო დომენი), თბ., 1989;
337. კ. ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, შიდა ქართლი, თბ., 1992;
338. მ. ჯანაშვილი, იმერეთის მეფეების ბოლო შთამომავლები, გაზ., „ივერია“, 26, ტფ., 1901.
339. მ. ჯანაშვილი, თვალდამწვრიშვილები (ვუძღვნი თავ. დ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილს), „ივერია“, №38, 1904;
340. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფ., 1926;
341. გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სომხით-საბარათიანოს სათავადოები), თბ., 1955;
342. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966;
343. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967;
344. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, „თხზულებანი“, III, თბ., 1982;
345. გ. ჯამბურია, მუხრანბატონი აშოთან ბაგრატის ძე, ქსე, 7, თბ., 1984;
346. გ. ჯამბურია, მუხრანბატონი ვახტანგ ბაგრატის ძე, ქსე, 7, თბ., 1984;
347. М. Броссе. Переписка грузинских царей с российскими государями с 1639 г. - по 1770 г., СПБ., 1861;
348. Д. Бакрадзе. Кавказ в древних памятниках христианства. Акты, V, Тфл., 1873;
349. М. А. Барг. О так называемом „кризисе феодализма“ в XIV-XV вв. „Вопросы истории“, №8, 1960;
350. Н. Бердзенишвили. Очерк из истории развития феодальных отношении в Грузии (XIII-XVI вв.), „საქართველოს ისტორიის საკითხები“, II, თბ., 1965;

351. Н. Бердзенишвили. Из истории феодальных отношении в Грузии XV в:, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, II, თბ., 1965;
352. Ю. Я. Бессмертный. Феодальная деревня и рынок в Западной Европе XII-XIII вв., М., 1969;
353. К. Э. Босворт. Мусульманские династии, М., 1971;
354. М. А. Барг. Место XVII века в истории Европы (К вопросу о „начале нового времени“). „Вопросы истории“, №1, 1985;
355. Ф. Бродель. Материальная цивилизация, экономика и капитализм, XV-XVIII вв., Т. I. Структуры повседневности: возможное и невозможное, М., 1986;
356. Ф. Бродель. Игры обмена. Материальная цивилизация, экономика и капитализм, XV-XVIII вв., Т. 2, М., 1988;
357. Е. В. Гутнова. Влияние экономической эволюции на изменения в социальной иерархии в Англии XIV-XV вв., „Средние века“, вып. 46, М., 1983;
358. Ж. Ле Гофф. Цивилизация средневекового Запада. Перевод с французского. Общая редакция Ю. Л. Бессмертного: Послесловие А. Я. Гуревича, М., 1992;
359. И. Джалагания. Из истории монетного дело в Грузии XIII века, Тб., 1958;
360. П. Закарая. Крепостные сооружения Картли, Тб., 1968:
361. П. Закарая. Древние крепости Грузии, Тб., 1969;
362. История средних веков, сочинение Оскара Иегера, СПБ., 1894;
363. История Нового времени, 1610-1789. Составил Ж. Лакур-Гайе, СПБ., 1894;
364. История Франции в трех томах (редакционная коллегия, ответственный редактор А. З. Манфред), Т. 1, М., 1972;
365. История средних веков (XV-XVII вв.), составители В. Е. Степанова и А. Я. Шевеленко, ч. II, М., 1974;
366. Ю. У. Ивонин. Позднее средневековье или ранная Новая история? „Вопросы истории“, №1, 1987;

367. Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Е. К. Тфл., 1901;
368. Е. А. Косминский. Были ли XIV и XV вв. временем упадка европейской экономики. „Средние века“, вып. 10, 1957;
369. А. Клдиашвили. Роспись западного предела церкви Ананаури в Вардзиа, ктиторский портрет, сб., „Пещеры Грузии“, спелологический сборник, 12, Тб., 1988;
370. Л. А. Котельникова. „Феодальное возрождение“ или „старый“ феодализм? „Средние века“, вып. 52, М., 1989;
371. А. Марсов. Краткая Грузинская история, М., 1840;
372. Н. Махарадзе. Восстание в Имерети 1819-1820 гг., „Материалы по истории Грузии и Кавказа“, вып. III, Тб., 1942;
373. А. А. Мортон. История Англии, М., 1950;
374. Р. Меписашвили, В. Цинцадзе. Архитектура нагорной части исторической провинции Грузии Шида-Картли, Тб., 1975;
375. А. Натроев. Мцхет и его собор Свети-Цховели, Тфл., 1901;
376. Дж. Одишели. Грузинские грамоты выкупа крови. „Источниковедческие разыскания 1979“, Тб., 1984;
377. Дж. Одишели. Проблемы дипломатики периода распада феодальной Грузии. Диссертация на соискание ученой степени доктора исторических наук (в форме научного доклада), Тб., 1992;
378. Письма о Грузии Л. С. Исарлова, Тфл., 1899;
379. Е. Пахомов. Монеты Грузии, Тб., 1970;
380. А. Д. Ролова. Фернан Бродель и проблемы средиземноморья в XVI-XVII вв., „Средние века“, вып. 52, 1989;
381. Русская Геральдика, сочинение Александра Лакиера, М., 1990;
382. „Средние века“, вып. 42, М., 1978 (იხ. ბესმერტნის რეცენზია გი ბუას ნაშრომზე);
383. Е. Такаишвили. Хроника эриставского Акафиста. „Сборник

материалов для описания местностей и племён Кавказа“, XXIX, Тфл., 1901;
384. Е. Такаишвили. Канчаетский „Жамъ-гулани“ и исторические приписки его кинклоса. „Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа“, XXIX, Тфл., 1901 (ცალკე ამონაბეჭდი);
385. Е. Такаишвили. Серебряное знамя Мухранского владетеля Константина, 1745 г., „Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества“, вып. II, Тфл., 1907;
386. О. Тьерри. „Избранные сочинения“, М., 1937;
387. Б. Тепфер, э. энгель. эволюция королевской власти в Германии (გერმანულ ენაზე, ვაიმარი, 1976, – მის შესახებ იხ., „Средние века“, вып. 42, М., 1978).
388. А. Хаханов. Очерки по истории грузинской словесности. Вып. 3, М., 1901;
389. Й. Хейзинга. Осень средневековья, М., 1988;
390. Г. Ф. Церетели. Археологическая экскурсия по Квирильскому ущелью. „Материалы по археологии Кавказа“, вып. VII, под редакцией графини Уваровой, М., 1898;
391. M. Bloch. Rois et serf – un chapitre d' histoire capétienne, Paris, 1920;
392. M. Bloch. Mélanges historiques, t. 1 et t. 2, Paris, 1962;
393. G. Bois. Crise du féodalisme. Economie rurale et démographie en Normandie Orientale du début du XIV-e siècle au milieu du XVI-e siècle, Paris. Edition de l' Ecole de hautes études en sciences sociales, 1976;
394. F. Braudel. La Méditerranée et le monde méditerranéen a l' epoque de Philippe II, vol. 2, Paris, 1976;
395. M. Brosset. Histoire de la Géorgie depuis l' antiquité jusqu' au XIX siècle, II-e partie. Histoire moderne, I-re livraison, IX addition, St-Pétersbourg, 1856;
396. L. Febvre. La Probléme de l' incroyance au XVI siécle: La Religion de Rabelais. Paris. 1942;

397. J. Ferrand. Familles princieres de Géorgie, Montreu, 1983;
398. J. Le Goff. La civilisation de l' Occident médiéval, Paris, 1977;
399. I. Heers. L' Occident aux XIV-e et XV-e siècles, Paris, 1963;
400. D. Ninidze. Aus der Geschichte des Kampfes um die Befreiung des Kreuzklosters zu Jesrusalem. „GEORGICA". Heft N18, 1995;
401. M. Postan. Essays on Medieval Agriculture and General Problems of Medieval Economy, Cambridge, 1973;
402. Fr. Simiand. Recherche anciennes et mouvelles sur le mouvement général de prix du 16-e au 19-e siècles, Paris, 1932;
403. C. Toumanoff. Manuel de généalogie et de chronologie pour l' histoire de la Caucasie Chrétienne (Arménie – Géorgie - A lbanie), Roma, 1976;
404. C. T. Wood. The French Apanages and the Capetian Monarchy, 1224-1328, Cambridge, 1966.

HISTORY OF BRANCHES OF THE BAGRATIONI ROYAL HOUSE (13TH-18TH CENTURIES)

Summary

The beginning of the emergence of branches of the Bagrationi family can be referred to as "turning point". It coincided in time with the period when the home affairs of the country were far from being resolved and the foreign affairs were becoming more and more complicated. This combination of complex home and foreign affairs resulted in the "deadlock" weakening the throne and depriving it of its original functions. Simultaneously, the struggle carried on by princes for gaining hereditary rights to their lands, which they ultimately achieved, became more desperate. The character of appanages (*sauplistsulos*) in the 13th century, King Lasha's "alasteneloba" (the term indicating that he had a residence at Alastani while he was a prince) and "Javakht uploba" (rule over the Javakhs), transformation of property ownership of certain branches of the Bagrationi family into "provincial kingship", and the process of the disintegration of the demesne and of the separation of the principality (*sabatonishvilo)* from the royal domain provided settings for the emergence of new branches in the royal house of the Bagrationis.

The "will" left by Lasha-Giorgi, despite the claims about its genuineness and falseness, was used as an evidence by the representatives of the two independent branches for proving their legitimacy. Legitimation of the two royal branches in 13th century Georgia was followed by *ormepoba* (simultaneous reign of two kings, when one king reigned in East Georgia and another, in West Georgia). *Ormepoba* was one of the most troublesome moments in the history of the rebelling princes who wished to gain the throne. If during the 11th and 12th centuries they struggled for the throne of the united country, in the 13th century they would satisfy themselves with the throne of either West or East Georgia. The preceding stage, i.e. *tanamepoba* (reign of two kings at a time) implied the superior-

ity of one of the kings. This opportunity for separatism and dynastic struggle resulted in *ormepoba*, which set basis for the emergence of the branch of West Georgian kings. Appearance of such branch in West Georgia and the related developments favoured the formation of the royal house of independent Imereti.

Similar to that of *ormepoba*, the period of *mravalmepoba* (simultaneous rule of several kings) throughout 1298-1318 prepared conducive settings for the emergence of new branches and "provincial kings". Appearance of "provincial kings" marked an important stage in the history of dynastic struggles and of the *Batonishvilis* (princes) - it is one of the turning-points in the process of the formation of the branches of the Bagrationi family. Added to this was "*orianoba*" (existence of two opposing kings within one kingdom) favouring the weakening of the central authority and the dissolution of the state machinery.

Consideration of the global problem of the disintegration of the united Georgian feudal monarchy and of the processes developed in the Bagrationi house in one context adds new dimension to the study of this issue. Against the negative socio-economic background facilitating the emergence of the kingdoms of Kartli, Kakheti and Imereti, the existence of "provincial kings" and offshoot of the Bagrationis played a regressive role. Along with other known reasons, it contributed to the disintegration of the united state. It is without doubt that the study of the history of the Bagrationi family from this very point of view adds new features to the problem of the disintegration of the united Georgian state thus providing a more comprehensive picture of this complicated mechanism.

Regressive socio-economic processes led to the dissolution of Georgia while Europe took a totally different path:

Important changes in 12th - 13th centuries Europe, the so-called "liberation of peasants from personal dependence" was gradually followed by the abolition of serfdom. As a consequence, representative bodies, such as the parliament, were created. The events of the 14th and 15th centuries led to the "overall crisis of feudalism" thus weakening the foundation of authority of feudal lords and accelerating the process of the break-up of feudal structures. These critical happenings in various areas have not caused the fall of the economy of entire Europe, they have rather promoted the

advance – regions affected under a united European system were taken over by new regions thus compensating the losses. On the way to dismantling old and developing new relations, the so-called "crisis of feudalism" in the 14th and 15th centuries determined the revival and setting of a "new era".

The term "crisis of feudalism" implies not only the depression and stagnation of Europe of the 14th and 15th centuries but the break-up of old structures within the society being in the process of transformation from feudalism to capitalism. This eventually led to a "new era" The "crisis of the Christian world" or "the first crisis of feudalism" in the 14th and 15th centuries meant the expiration of feudalism, which was followed by a "long 16th century" (F. Braudel) and culminated by the "general crisis of feudalism". Thus, the West managed to avoid the "deadlock" and to pave the way towards capitalism.

During the reign of Queen Tamar in the 12th and 13th centuries, Georgia, with its political and socio-economic settings, was prepared for the processes begun in Europe in the 13th century. Serfdom had played its progressive role in Georgia – Georgian society should have taken a path towards its abolition and founding a representative monarchy. This is what was requested by the *karavi* (camp) of Qutlu-Arslan. The state did not tolerate *karavi* but made concessions towards "*karaviselis*" and satisfied some of their demands. The logical development was hampered, which had respective consequences: nobles began to rise to the rank of kings, development of trade and cities/towns ceased, formation of local self-governments of cities and towns suspended, etc. Foreign factor acted as a catalyst of negative developments, the processes begun did not reach completion. This brought Georgia to the deadlock.

Despite its abolition, serfdom in Georgia dragged on, which was the main reason of the so-called "deadlock". Complicated home and foreign affairs suspended "the crisis of serfdom" in Georgia (N. Berdzenishvili). The society in the "deadlock" failed to give birth to something new, which made setting of a "new era" impossible. The absence of the "peasants liberation process" led to the "second edition" of liege lords – setting up of principalities. The advance of the state was hindered and came to the "deadlock". The "deadlock" in 14th-15th Georgia was absolutely different

from the "crisis of feudalism" in Western Europe of the 14th -15th centuries. The "deadlock" is a socio-political condition formed within the closed environment of serfage. Serfdom became graver, as a result of which "second serfage" ("second edition of serfdom") took place.

The West managed to overcome the "second serfdom". Strong impulses coming from the overall European system facilitated the development of its regions. The strong ties existing within the system ultimately determined the development of united Europe. On the opposite, Georgia, being enclosed by Muslim states, appeared to be remote from the world's political and economic centre. Beginning from the 16th century Georgia has never been "so isolated... so encircled by enemies" (N. Berdzenishvili). Georgia failed to become a member of the unified European system, owing to which it failed to break the "deadlock".

The "crisis of feudalism" during the 14th and 15th centuries gradually changed old economic and socio-political structures, facilitated the revival and the setting of a "new era". It accelerated the set of "autumn"; the crisis prepared grounds for a totally new stage – the so-called "general crisis of feudalism" is "autumn of the Middle Ages" (I.Huizinga). This has formed the basis for a "new era". The situation with the "deadlock" was just the contrary. That is why Georgia fell astray the path of development taken by Western Europe. The "deadlock" could only be avoided under the conditions of a long peace, the chance of which was not given to the country. Absolute monarchy, characterised by a strong opposition to the attributes of feudal society, was not established in the country. This has, ultimately, brought to the victory of capitalist relations. The "deadlock" and the disintegration of the Georgian kingdom could not bring the "new era". It was natural that the paths of the development of Georgia and Western Europe could not coincide.

The study of the overall picture of the "turning point" and dynastic struggles, as well as consideration of general theoretical problems serve to clarify the essence of the process of the formation of the offshoot of the Bagrationi family.

The disintegration of the united state, representing a new stage in the history of the statehood of Georgia, caused certain changes in relation to the history of *Batonishvilis*. This was reflected in the appearance of new

forms, including that of the institute of "provincial kings". Beginning from the 16th century, there were no more requirements for the ownership of lands for "minor kings" in small Georgian kingdoms. A new stage, marked with the fight for obtaining rights among the representatives of *Batonishvilis* and Bagrationis, was established. Between the 16th and the 18th centuries, principalities represented estates granted with a right of temporary use and on conditions that they would ultimately be returned to the royal authority. *Batonishvilis* received annual revenues from such lands, which served to regulate the problem of the close members of the Bagrationi house. Another group of the Bagrationis tried to acquire legal status through obtaining higher positions. However, for the rest part of the Bagrationis, the resolution of the problem still appeared impossible.

The major reason aggravating the situation in the royal house of Bagrationis was the complicated internal situation in the Georgian kingdoms throughout the 16th-18th centuries, aggravated by a foreign factor. The result of this was the stagnation in the development of the country. Under such conditions, the royal throne found it difficult to resolve the issue of *Batonishvilis*. Close and distinct relatives, and most of all representatives of the increased number of the offshoots of the Bagrationi family, being Bagrationis, claimed respective rights and a legal status from the centre. In the condition of frequent violations of the rule of inheritance of the royal throne, certain representatives asked for their legitimate rights. This favoured creation of new offshoots who made their own political and economic demands which could no more be satisfied by the state. Despite their Bagrationi origin, they no more enjoyed either the respect or the title of "minor kings".

Throughout the 14h and 15th centuries the offshoot of the Bagrationi family remained to be Bagrationis, however, beginning from the 16th century, under the conditions favourable for the creation of principalities, some of them failed to maintain even the "name of kings" (Vakhushti), which determined the appearance of "*natomi*" kings (feudal lords who had lost the name of Bagrationi). Hence, the formation of royal branches in Kartli, Kakheti and Imereti was followed by the emergence of numerous offshoots in the royal house. It was as a result of this that offshoots of the Bagrationi family were created. Thus, the emergence of noble houses of

former Bagrationis prepared basis for the emergence of new families.

It is from this perspective that the monograph addresses the history (origin, genealogy of branches, relations between the centre and the residence, localisation of lands, identity of the heads of nobles' houses, separation within the offshoots, mortuaries, etc) of the offshoot of the Bagrationi family, namely those of the Mukhranbatonis, Davitashvilis (Tvaldamtsvrianni), Ramazishvilis and Gochasvilis. Respectively, the monograph considers the history of those representatives of the Bagrationis, who, owing to the problems related to their origin and the issue of being *Batonishvili*, are "Bagrationis by kinship" or relatives of kings. The study of the "*kvekana*" (country) Savakhtango in terms of ownership of the offshoot of the Bagrationis' house added interesting aspects to the history of the royal house. It allowed to look at the issue of state administration of medieval Georgia from a new perspective and to create a clear picture of the "turning point" having taken place after the dissolution of the united Georgian state.

Consideration of the issue of the *Batonishvilis* in the last stage, i.e. in second half of the 18th century, revealed that the "legitimate movement" of Kartlian feudal lords towards the restoration to the throne of "Mukhranian kings" was a narrow-dynastic movement directed against the unifying policy. Special study of the rule of inheritance to the royal throne in the period of king Erekle II, the will of Erekle II and the status of appanages revealed certain aspects which brought the Georgian statehood to the events of the year 1801. The study of the history of Imereti Kingdom enabled to reveal several branches of the Bagrationi royal family including those of such feudal lords as Bagration-Davidovs (Bagration-Davitashvilis) and Heidar-Begs.

It is our opinion that the monographic study of the mentioned problem will create a comprehensive picture of the process of emergence and existence of branches in the Bagrationi family. This is a problem which, along with other aspects, largely determined the course of the most difficult and lengthy period in the history of the Georgian statehood, namely the period between the 13th and 18th centuries.

შინაარსი

შესავალი 3

თავი I

ბაგრატიონთა სახლის გვერდით შტოთა წარმოშობის საფუძვლები 13

§1. საუფლისწულო XIII საუკუნის საქართველოში 20
§2 ორმეფობა XIII საუკუნის საქართველოში 36

თავი II

ბაგრატიონთა სახლის გვერდითი შტოები და ბატონიშვილობის საკითხი XIV-XV საუკუნეებში 57

§1. მრავალმეფიანობის ხანა – 1298-1318 წლები 57
§2. „პროვინციის მეფეები“ XIV-XV საუკუნეების საქართველოში 66
§3. „ორიანობა“ XV საუკუნეში 80

თავი III

საქართველოს სამეფოს დაშლა და ბაგრატიონთა სამეფო სახლი 94

§1. ევროპის „ფეოდალიზმის კრიზისი“ და საქართველო (XIV-XV საუკუნეები) 94
§2. საქართველოს სამეფოს დაშლა და ბაგრატიონთა სახლის დამოუკიდებელი სამეფო შტოების წარმოქმნა 108

თავი IV

ბაგრატიონთა სახლის საგვარეულო განშტოებათა ისტორია XVI-XVIII საუკუნეებში 132

1. ბატონიშვილობის საკითხი და დინასტიური ბრძოლის ზოგადი სურათი დამოუკიდებელ ქართულ სამეფოებში (XVI-XVIII საუკუნეები) 132

2. ბაგრატიონთა სამეფო სახლის საგვარეულო
განშტოებათა წარმოშობა 143
§1. სამუხრანბატონო და მუხრანბატონთა
განშტოება 147
§2. ბაგრატიონ – დავითიშვილები 202
§3. გოჩაშვილთა ისტორია 256
§4. „ნათესავობით ბაგრატოვანთა“ და სამეფო
საგვარეულოს ზოგიერთი განშტოების ისტორიიდან 271
§5. გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო
მმართველობა და ბაგრატიონთა საგვარეულო განშტოებანი 283
3. ბატონიშვილობის საკითხი და ქვეყანა სავახტანგო 300
4. „ორიანობა“ XVI-XVIII საუკუნეებში 320

თავი V

ბატონიშვილობის საკითხი XVIII საუკუნის
II ნახევარში 325

დასკვნა 356
დანართი №1 363
დანართი №2 364
წყაროები და ლიტერატურა 365
ინგლისური რეზიუმე 391

გამომცემლობის რედაქტორი *მ. ჩიკვილაძე*
ტექრედაქტორი *ი. ნავროზაშვილი*
კორექტორი *მ. კილაძე*

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.01.04
პირ. ნაბეჭდი თაბახი 25
ოფსეტური ქაღალდი №1, 60X84 1/16
შეკვეთის №02 ტირაჟი 500

ფასი სახელშეკრულებო